50
წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცხოვრებას დღეს ამბობ

დანტე ალიგიერი

# ღვთაებრივი კომედია



# დანტე ალიგიერი
# ღვთაებრივი კომედია

## ჯოჯოხეთი*

### ქება პირველი

უსიერ ტევრში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე
ანაზდეულად გამოვფხიზლდი გზადაკარგული.
ენა ვერ იტყვის, თუ რამდენად იყო ტყე იგი

4 უკაცრიელი, უდაბური და გაუვალი.
თვით მოგონებაც წამიერი ერთხელ ხილულის
საშინელია ამჟამადაც და შემზარავი.

7 ეს მოგონება თვით სიკვდილზე უმწარესია,
მაგრამ მე მინდა ჯერ მოგითხროთ სულ სხვა საგნებზე,
იმათ ხილვათა მისაწვდომად, განსაცხადებლად.

10 ვეღარ გიამბობთ, ვით დავკარგე მე გზა მართალი,
თურმე ჩემს თვალებს მორეოდა ეგზომად რული.
ჯერაც ჭალაკი საშინელი არ გამეარა,

13 ბექობი რამე მეყვსეულად შემომეხეჩა,
ზე ავიხედე, დავინახე: ცთომილის სხივებს
ზეთავი მთისა შეემოსათ უცხო არილით.

16 აჰა დაოკდნენ გულის ჩემის ტბისა ზვირთები,
წარსული ღამის სიმძიმილი გამომინელდა,
და ვით მენავე ზღვაურისგან გამორიყული

---

* „ჯოჯოხეთი“-ს ნახევარი თარგმნა კ. ჭიჭინაძემ კ. გამსახურდიას მიერ შეს-რულებული პწკარედების მიხედვით. კომენტარები შეადგინა კ. გამსახურდიამ.

19 თვალს რომ შეავლებს ამბოხებულ ზღვის მღელვარებას,
ასევე ჩემი მწუხარებით ვნებული გული
უკუ მოიქცა და გასცქერის მიჯნას გადავლილს,

22 რომლის ბადალი კაცს ხორციელს არ გადულახავს.
ოდნავი შვება მოვუპოვე ჩემს ნაგვემ სხეულს,
ამოვისუნთქე, მოვიკრიფე ისევე ღონე.

25 მივყევ უდაბნოს მცირე ბილიკს ზემოდ მიმავალს,
და როცა კალთას გორმახისას შევადგი ფეხი,
შემომეფეთა მე უეცრად ფეხმარდი ბაბრი,

28 ფორეჯებიან, ჭრელი ბეწვით გარემოსილი,
შემომცქეროდა, მომნუსხველი, ჯიქური მზერით
მითვალთვალებდა, არც ლამობდა აქცევას გზისას.

31 ისე ბეჯითად გადამიჭრა გზა გასავლელი,
შევსდექ მრავალგზის, შევყოყმანდი და განვიზრახე:
შემობრუნება, გზის დათმობა და უკუქცევა.

34 ეს იყო ჟამი მიწურული გარიჟრაჟისა,
როს მზე ისწრაფვის კაბადონზე ამოსასვლელად
მკრთალ ვარსკვლავების ასაბიით გარემოცული,

37 როს სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას
და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცთომილებს,
სხივთა ირაო გაიელვებს ლურჯ ცადაქნილზე.

40 უცხოდ ნაჭარგი ბაბრის ტყავი და განთიადი
ჩემს სულს დაჭანცულს ესალბუნა, შემესხა ფრთენი
და აღორძინდა კვლავ იმედის ნიჭი ჩემს გულში,

43 ანაზდეულად შემომენთო შიშისა ზარი:
გამომეცხადა დაღრენილი, მძვინვარე ლომი;
თავაწეული იგი ჩემსკენ მოისწრაფოდა.

46 მოძუნძულებდა დამშეული, პირჭუში მხეცი,
ტორების ჩქამზე ცახცახებდა თავათ ჰაერიც.
შემდეგ ვიხილე მომავალი ჩემსკენ ძუ მგელი.

49 გამხდარი იყო, ეტყობოდა ვნება ყოველი
ხორცისმიერი, ბიწიერი მას დაკისროდა.
თვალთაგან მისთა მონაბერმან საშინელებამ

52 მწვერვალზე ასვლის იმედები გამინიავა.
როგორც მავანი კაცი ბედით გალაღებული,
გახარებული ხელმარჯვობით, განძის მოხვეჭით,

55 ერთ უხიაგ დღეს გაკოტრდება და დამწუხრდება.
მეც ისე შევკრთი ამ ტყიერის შემოხვდომისას,
და მივაშურე იმ მიდამოს, სადაც დილის მზე

58 სხივდაფანჩვული ბნელ ორწოხებს შეხიზნებოდა.
შეველ ტაფობში, შემეყარა აქ კაცი ვინმე,
რომლის ძახილი მომესმოდა ჟამგამოშვებით.

61 გავეხმაურე ამ მარტომყოფს ვრცელ უდაბნოში,
ვუყივლე, ვარქვი: „შემიბრალე, მოიღე სიტყვა
„ვინაც არ იყვე, გინა კაცი და გინა ლანდი“.

64 შემომესიტყვა: „არ ვარ კაცი, ოდესღაც ვიყავ,
„მშობელნი ჩემნი ლომბარდიის ყოფილან მკვიდრნი,
„იქ მანტუაში დარწეულა მათი აკვანი.

67 „მე დავიბადე იულიუს კეისრის ჟამსა,
„რომში ვცხოვრობდი, როს ავგუსტუს მეფობდა ქველი
„და მატყუარა, ცრუ ღმერთები დათარეშობდნენ.

70 „პოეტი ვიყავ და ანქიზეს ვაჟს ვუმღეროდი
„მძლე ილიონის დაწვის შემდეგ რომში ჩამოსულს.
„მაგრამ შენ საით მიისწრაფი უკუქცეული,

73 „ამ სევდის ბაღნარს ფერდამკრთალმა რად მოაშურე?
„რად აღარა გსურს იმ განცხრომის მთაზე ახვიდე,
„რომელიც თავათ სიხარულის სათავე არის?“

76 „შენ ვირგილიუს უნდა იყვე, — ვარქვი დარცხვენით, —
„დაუშრეტელი დასაბამი ენამზეობის.
„სხვა პოეტების ნათლის სვეტო და სიამაყევ,

79 „მეც შენ აღმიძარ ო, მგოსანო, ნდომა სწავლისა,
„მეც სიყვარულით მიძებნია შენი წიგნები,
„შენის წყალობით მეც სახელი მომიხვეჭნია.

82 „ამ მწითურ ნადირს ხომ უყურებ, ოსტატო ჩემო,
„ბრძენო მისანო, მომეშველე და დამიფარე,
„ხედავ, შიშისგან მიცახცახებს სხეული სრული?“

„სხვა გზას მიჰყევი, — მიპასუხა მაშინ მგოსანმა,
რა დამინახა მდუღარება ჩამომდიოდა, —
„მხოლოდ ამრიგად თავს დააღწევ საშიშროებას.

„ვინადგან მხეცი, რომლის შიშით ესდენ ცახცახებ,
„არ გაატარებს ამ შარაზე არვის ხორციელს.
„თუ გაუძალდი, არ აგცდება მისგან სიკვდილი.

„იგი ბუნებით ბოროტია და ბიწიერი,
„გაუმაძღრობით, ღორმუცლობით სახელგანთქმული,
„თუნდაც რომ სჭამოს დღე და ღამე დაუცხრომელად:

„მით უფრო მეტად უმძაფრდება შიმშილის გრძნობა.
„მრავალ ცხოველთან მოუხდება მას შეუღლება,
„მაგრამ ვიდრემდის მოვიდოდეს ერთხელ მწევარი,

„არ მიეცემა დასასრული მის გამარჯვებას.
„არც კვებავს მიწა, არცა ოქრო თურმე იმ მწევარს!
„სიბრძნე, სიქველე, სიყვარული საზრდოა მისი.

„მოევლინება იგი მხსნელად ჩვენს იტალიას,
„რომლისათვისაც თავი დასდვეს ტურნუს, ნიზუსმა,
„სიკვდილი ერგო ევრიალეს, ქალწულს კამილლას.

„და ეგ მწევარი წინ გაიგდებს მყისვე იმ ძუ მგელს,
„არ მოეშვება, სანამ მგელი მისგან დევნილი
„არ ჩაეფლობა ჯოჯოხეთის ბნელ ორწოხებში,

„სადაც მზაკვრობას ურწევია აკვანი მისი,
„და საიდანაც მოევლინა იგი სამყაროს.
„ახლა მომყევი, მე გაგიწევ წინამძღოლობას.

„გირჩევ მომენდო და იარო ჩემს ნატერფალზე,
„მარადჟამობის მიდამოებს როცა მივაღწევთ,
„შემოგესმება უსასოო გოდების ხმები.

„ნახავ ანტიკის მაღალ სულებს გაწამებულთა,
„საშინელის ხმით რომ უხმობენ მეორედ სიკვდილს.
„აქვე იხილავ ისეთებსაც, ვინც ამ გენიას

„შეგუებიან სასოებით და იმედი აქვთ
„ოდესმე თავათ შეუერთდნენ განწმენდილ სულებს.
„შემდეგ, თუ შენაც მოგინდება ეახლო იმათ,

„უფრო ღირსეულ სულს მიენდე, ის გიწინამძღვრებს,
„მასთან დაგტოვებ და ხელახლა გამოვბრუნდები,
„რადგან ცეზარი, საზენაოს ხელისუფალი,

„რომლისა მიმართ მეამბოხედ ვითვლები მენა,
„თავის ჭალაქში არ შემიშვებს, არ დამავანებს.
„ხმელი და მყარი, საზენაო და სააქაო,

„არსთა სულობა, გარესკნელი თვალშეუდგამი,
„მას აბარია და ეთერის ცადაქნილები,
„მისი ტახტია და მაღალი სასუფეველი,

„და ნეტარება მისგან რჩეულს, მისგან ხელდასხმულს,
„რომელსაც იგი შეივრდომებს და შეიფარებს.“
ვარქვი: „მგოსანო, აწ გაფიცებ იმ ღმერთის სახელს,

„რომელიც შენთვის ეგზომ უცხო ყოფილა თურმე,
„თუ გსურს ამ საფრთხეს განმარიდო და სხვა მრავალი
„მე განსაცდელი ამაცილო და მიწინამძღვრო,

„თან წარმიტანე, რომ ვიხილო — ის საბრალონი,
„რომელნიც წეღან საუბარში შენვე ახსენე,
„და პეტრე წმინდის კურთხეული კარიბჭეები“.

ის გზას გაუდგა, მეც კვალდაკვალ მივყევი მგოსანს.

## ჭება მეორე

დღე მიიწურა; დედამიწა საღამოს მწუხრმა
ბინდით შემოსა და დაღლილნი მუშაკნი მიწის
განსასვენებლად განამზადა. მე მარტოოდენ

მელოდა შრომა დამჭანცველი: სავალი მძიმე
და შებრძოლება სიბრალულის გრძნობასთან ჩემში.
ყველაფერს ამას ხსოვნა ჩემი გაუწყებთ სწორი.

შველას გენუკვით ო, მუზებო, გენიავ დიდო!
ხოლო შენ, სწორო მატიანევ ჩემგან ხილულის,
მეხსიერებავ, ახლა უნდა იჩინო თავი!

„მგოსანო, ჩემო წინამძღოლო, — მივმართე ოსტატს, —
„საქმე დიდია მეტისმეტად, რომელსაც მანდობ,
„და ჯერ განსაჯე, შესრულება თუ ძალმიძს მისი.

„შენ აღგვიწერე, სილვიუსის მშობელმა ერთხელ,
„მაშინ ჯერ კიდევ ხორციელმა, რომ ინახულა
„მხარე მარადი და უვნებლად დაბრუნდა უკან,

„მაგრამ თუ მტერმან ყოველივე ბოროტისამან
„ის დაიფარა, სჩანს მიზეზი ამისი იყო
„მისი სახელი და დიადი დანიშნულება.

„გასაგებია ეს კაცთათვის: ჯერ კიდევ მაშინ
„ცათამპყრობელმა მას უწოდა შემქმნელი რომის
„და რომაელთა უდიდესი იმპერიისა.

„ხოლო ამ რომს და იმპერიას იმ თავითავე
„გარდმოევლინა მადლი ცისა: იკურთხოს მიწა,
„სად დასჯდებიან პეტრე წმიდას მოადგილენი!

„შენგან ქებულმა ენეოსმა ჯოჯოხეთს შთასვლით
„ბევრი შეიცნო, რამაც ძლევა მას მიანიჭა
„და პაპთა შემდგომ განდიდებას დაუდო ფუძე.

„შემდეგში პავლე — ეს ლარნაკი არჩევანისა —
„ცათა სამყოფელს აღიტაცეს; დეე ჩვენს რწმენას
„მაღლით ახალი მოუვლინოს მან დასაყრდენი.

„მე კი ვით მოგყვე, ან ვინ მომცემს წამოსვლის ნებას?
„არცა ენეოს, არცა პავლე არა ვარ, თვით მე
„თავს უღირსად ვთვლი, — და სხვა ვინღა მიმიჩნევს ღირსად?

„ახლა ხომ ხედავ გამოყოლა რისთვის მაშინებს,
„მთელი ეს საქმე მე სიგიჟედ მომჩვენებია.
„მაგრამ ბრძენი ხარ და შენ უფრო სისწორით განსჯი“.

რაც ემართება ადამიანს, რომელიც ჰკარგავს
თვის ნებისყოფას, რომელშიაც ახალი აზრი
შესცვლის ძველ აზრებს და ჩაახშობს ქმედების ძალას,

მეც ის შემემთხვა ამ წყვდიადით მოცულ მხარეში:
გამბედაობა ღვაწლისათვის, რომელიც ესდენ
წარმიტაცებდა, მე ზრახვებმა დამილპო გულში.

„თუ შესაფერად გავარკვიე სიტყვები შენი, —
ლანდმა დიადმა მიპასუხა, — სჩანს შენი სული
„მდაბალი შიშის ზეგავლენით მერყეობს აგრე;

46 „ხშირად მაგვვარი შიშის გამო ადამიანი
„მაღალ საქმეთა შესრულებას განერიდება:
„ასევე ლანდი მხეცს აშინებს ჩვენებით მტკნარით.

49 „და რომ გავფანტო შენი შიში, გიამბობ მე შენ,
„რისთვის მოველ და თანაგრძნობა შენმა ბედშავმა
„მდგომარეობამ რა მიზეზით აღმიძრა გულში.

52 „ვიყავ მათ შორის, ჯერაც კიდევ რომელთა ბედი
„არ გადამწყდარა, და უეცრად ქალწულმა წმიდამ
„მიხმო, — ბრძანებას სიხარულით დავნებდი მისას.

55 „თვალნი იმისნი ელვარებდნენ უმეტეს, ვიდრე
„ცის ვარსკვლავები; უნაზესი და უტკბილესი
„ანგელოსური ხმა იმისი მომესმა ნელი:

58 «ო, შენ, მანტუის სულგრძელო და მაღალო მკვიდრო,
«ვისიც დიდება არსებობს და იქნება ქვეყნად,
«ვიდრე მიწაზე იარსებებს სიცოცხლე, — წადი!

61 «იქ, იმ უდაბურ მთის ფერდობზე მეგობარს ჩემსას,
«მაგრამ ბედისგან მივიწყებულს, დაბრკოლებანი
«გარდულახავნი და სასტიკნი შეჰყრიან გზაზე.

64 «მაკრთობს ის, რამაც მოაღწია ჩემდამი ზეცად:
«ვაი, თუ უკვე დაიღუპა აქამდე იგი,
«ვაი, თუ უკვე დახმარებას დააგვიანდა!

67 «წადი, უშველოს დეე შენმა ბრწყინვალე სიტყვამ.
«არავითარი არ დაზოგო ღონისძიება,
«რომ იხსნა იგი და მით გული მეც დამიმშვიდო.

70 «ბეატრიჩე ვარ; ჩამოვსულვარ ქვეყნიდან, სადაც
«მწყურის მხურვალედ კვლავ მიქცევა; მე სიყვარულმა
«გზად დამაყენა და ამის თქმაც მასწავლა მანვე.

73 «მალე მე ისევ წარვუდგები წინაშე უფალს
«და სახელს შენსას განვადიდებ იმის წინაშე.»
«იგი დადუმდა, — მე პასუხით მივმართე შემდეგ:

76 «ო, ქალბატონო სიკეთისა! შენ აგყავს მხოლოდ
«წუთისოფლური სიხარული იმ სიმაღლემდე,
«რომ მას უსაზღვრო ცის სიხარულს უთანასწორებ.

«ისე მწყურიან გემსახურო, რომ შენი ნება
«თუნდ სისრულეშიც მომეყვანა, გგონებდი მაინც
«რომ დავაყოვნე. მე გავიგე სურვილი შენი;

«მაგრამ მანამდე გთხოვ მაუწყო: რად არ გაშინებს
«მიწის ქვესკნელში ჩამოშვება ვრცელ სამყაროდან,
«სადაც სურვილი შენ მხურვალე მიგიხმობს ისევ».

«თუ კი გწადია შენ ამისი გაგება, — მითხრა, —
«მე შემიძლია რამდენიმე სიტყვით აგიხსნა,
«ამ უფსკრულში თუ რად ჩამოველ ასე უშიშრად.

«საშიშროებას წარმოადგენს ის მარტოოდენ,
«რაც მოყვასისთვის ბოროტების წარმომშობია;
«დანარჩენი კი საშიშარი არ არის ჩვენთვის!

«ღმერთმა სიმტკიცე მომანიჭა ყოვლად კეთილმა
«და ჩემს წინაშე უძლურია ეს სატანჯველი;
«მე თვით ალმური ცეცხლისანი არ მეკიდება.

«ცაში ქალწული გულმოწყალე მთლად განიმსჭვალა
«ღრმა სიბრალულით იმისადმი, ვინც უნდა იხსნა,
«და შეაჩერა მოქმედება განაჩენისა,

«იგი ლუჩიას შეევედრა მხურვალე გულით:
„შენს ერთგულ მორჩილს დახმარება სჭირდება შენი,
„და მე გენუკვი, არ მოაკლო ეს დახმარება“.

«მაშინ ლუჩიაც, ყოველგვარი სიმკაცრის მტერი,
«შემწყნარებელი ყოველისა, გაჩნდა იქ, სადაც
«ღრმად მოხუცებულ რახილთან მე ბაასი მქონდა.

«სთქვა. „ბეატრიჩე, შენ, ნამდვილო საუნჯევ ღვთისა!
„რად არ ისწრაფი მიეშველო, ვისაც ესოდენ
„ძლიერ უყვარდი, რომ ბრბოს იგი ასცილდა შენთვის?

„ნუთუ არ გესმის შესაბრალი იმისი კვნესა?
„ვერ ხედავ, როგორ ებრძვის იგი სიკვდილის ღელეს,
„რომლის სიმძაფრე ოკეანის ქარიშხალს უდრის?“

«არვინ საშოვარს ისე მკვირცხლად არ სდევდა არსად,
«არვინ განსაცდელს იმ სისწრაფით არ გაჰქცევია,
«როგორც ლუჩიას სიტყვის გამო ვილტოდი აქეთ.

«დავთმე ციური სამყოფელი და შევუთავსე
«მთელი იმედი შენს ბრწყინვალე მჭერმეტყველებას,
«რამაც დიდება მოგიხვეჭა შენ ესოდენი».

„სთქვა ეს სიტყვები ბეატრიჩემ და შეაჩერა
„ჩემზე სინათლით და ცრემლებით გავსილნი თვალნი,
„და მეც სასწრაფოდ გამოვსწიე შენს დასახსნელად.

„აჰა, მოველი მე მორჩილი მისის ნებისა,
„და აგარიდე მხეცს საშინელს, რომელმაც შენ აქ
„უმშვენიერეს მწვერვალისკენ გზა გადაგიჭრა.

„უკვე გაუწყე ყველაფერი, რადღა აყოვნებ?
„შიში შენს გულში ესოდენი რამ მოათავსა?
„გამბედაობა და მხნეობა სად გაჰქრა შენი?

„მაშინ, როდესაც კურთხეული სამი ქალწული
„შენთვის ზეციურ სამყოფელში ზრუნავენ ამდენს
„და ოდეს ჩემგან დაპირება ამდენი გესმა?“

როგორც ყვავილნი დათრთვილულნი ღამის სიცივით
თავებს დახრიან, მაგრამ დილით მზის ცხოველ შუქზე
გასწორდებიან ღეროებზე ლამაზად ისევ,

ასე გავსწორდი მოდრეკილი სულიერ დაღლით,
და განმიმტკიცდა მე იმგვარი მხნეობით გული,
რომ გაბედულად და თამამად მივუგე ოსტატს:

„კურთხეულ იყოს თანაგრძნობა იმ ქალწულისა,
„ვინაც მშველელი მომივლინა! იკურთხე შენაც,
„ეგზომ სასწრაფოდ მისი ნება რომ აღასრულე!

„შენი სიტყვების გაგონებამ აღმიძრა გულში
„უმხურვალესი წყურვილი, რომ გამოგყვე უკან
„და გავაგრძელო შენთან ერთად მე გზა გმირული.

„წინ გაემართე; ნებისყოფა დეე საერთო
„სუფევდეს ჩვენში. შენ იქნები, მგოსანო, ჩემი
„მასწავლებელი, მბრძანებელი და წინამძღოლი“.

ვარქვი და უკან გზით ველურით გავყევი მას მე.

„ჩემს უკან სუფევს ტანჯვისა და ცრემლთა ქალაქი,
„ჩემს უკან სუფევს უნაპირო, უსაზღვრო სევდა,
„ჩემს უკან შავი სამყაროა სულთ წარწყმედილთა.

4 „მართლმსაჯულება ფუძედ ჰქონდა ჩემს დიად შემქმნელს,
„მე ვარ ნაყოფი ღვთაებრივი ძალმორჩმულების,
„უმაღლეს სიბრძნის და პირველი სიყვარულისა.

7 „ჩემს გაჩენამდე წარმავალი არ არსებობდა,
„მარადიული ყოფნა არის ჩემივე ხვედრი.
„თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დასტოვეთ ყველა!“

10 ჯოჯოხეთის ბჭეს ეს სიტყვები ეწერა შავად;
ჩვენ იქ ვიდექით; წავიკითხე, მივმართე მგოსანს:
„ოსტატო, მაკრთობს მნიშვნელობა ამ წარწერისა“.

13 მან მიპასუხა ისე, როგორც შეჰფერის ბრძენსა:
„შენ აქ უთუოდ უნდა დასთმო ყოველი შიში,
„არ უნდა ექმნეს აქ ადგილი სრულიად ყოყმანს.

16 „ჩვენ მივაღწიეთ იმ სამყოფელს, სადაც იხილავ
„ნაღველითა და მწუხარებით აღსავსე სულებს,
„რომელნიც ქვეყნად დაისაჯნენ სიგიჟის სენით“.

19 სთქვა ეს და ხელზე მან ღიმილით დამადო ხელი,
მე ამ ღიმილმა მომიპოვა გამბედაობა.
შემდეგ გამრია მან მისტიურ აჩრდილთა შორის.

22 იქ, უვარსკვლავო სივრცეებში, კიდით კიდემდე
ისმოდა გმინვა შემზარავი, ტირილი მწარე.
მე ვერ გავუძელ თავდაპირველ და ავქვითინდი.

25 მიეუახლოვდით, შემოგვესმა: მრავალ ენაზე
ტლანქი გინება, ღრიანცელი, დრტვინვა, ღმუილი,
გაშმაგებული ყვირილი და ტლაშუნი ხელთა.

28 და ეს ყოველი, ერთ საშინელ გუგუნად შლილი,
იკლაკნებოდა ისე, როგორც გრიგალის ფრთებ ქვეშ
დაიკლაკნება ქვიშიანი უდაბნო ხოლმე.

31 თავბრუდასხმულმა უმეცრებით შევძახე ოსტატს:
„ეს რა ხმებია? ვინ არიან აქ ეს სულები,
„რომელთაც ტანჯვა ესოდენი რგებიათ წილად?“

34 „აქ, — მიპასუხა, — ისჯებიან იმათნი სულნი,
„მოკვდავთა შორის უბადრუკნი ვინც იყვნენ; ვინაც
„ვერ გახდა ღირსი იქ ვერც ქების, ვერც გინებისა,

37 „ბინა მიეცა მათ იმ უღირსთ ანგელოზთ შორის,
„რომელნიც უფლის არც ერთგული. არც მოღალატე
„არა ყოფილან, — თავისათვის ზრუნავდნენ მხოლოდ.

40 „ზეცამ დაიცვა სისპეტაკე თავისი მათგან,
„თვით ჯოჯოხეთიც არ განიხვნა იმათ წინაშე,
„არარაობას ბოროტებამ შეხედა ზიზღით“.

43 „ოსტატო, — ვარქვი, რას შეიცავს სასჯელი ესე,
„რაა მიზეზი შემზარავი მათი დრტვინვისა?“
მომიგო: „გამცნობ ყოველივეს ორიოდ სიტყვით.

46 „მათთვის იმედი არ არსებობს გარდაცვალების;
„აწმყო რა ესდენ მდაბალი აქვს და საზიზღარი,
„რომ ეხარბებათ უმეტესი სიმძიმე ხვედრის.

49 „ქვეყნის პირიდან მთლად აღგვილა მათი ხსენება,
„გულმოწყალება და სასჯელი ივიწყებს იმათ.
„ჩვენც ნურას ვიტყვით, — გადავხედოთ და გავიაროთ“.

52 მაშინ შევხედე: ელვასავით მოჰქროდა დროშა,
თითქოს ქარტეხილს წარეტაცნა, თითქოს არასფერს
არ შესძლებოყო შეჩერება იმისი არსად.

55 მას უკან სდევდა აჩრდილების ურიცხვი დასი.
მეძნელებოდა დაჯერება: სიკვდილმა ქვეყნად
ნუთუ ოდესმე ესოდენი მსხვერპლი ბოიმკო?

58 შემეცნაურა იქ ერთ-ერთი აჩრდილთაგანი.
ღრმად დავაკვირდი და ვიცანი ის, ვინაც თავზე
ლაფი დაისხა უდიდესი უარისყოფით.

61 მაშინ შევიგნე და დავრწმუნდი, რომ ეს ჯრბოები
უღირს სულთაგან შესდგებოდნენ, და რომ ისინი
უარუყვია როგორც უფალს, ისე მის მტრებსა.

ოდნავ ღაფავდნენ სიცოცხლეში უბადრუკ სულებს,
აქაც, ბედშავნი ქმნილებანი, ტანგაძარცულნი,
ფრთოსან მწერთაგან დაკბენილნი დაძრწიან მარად.

ბზიკებისა და ბუზებისგან დაღრღნილ სახეებს
სდიოდათ სისხლის ნაკადული ცრემლებთან ერთად,
და მას მატლები საზიზღარი სწუწნიდნენ დაბლა.

პირი ვიბრუნე და აჩრდილთა მეორე ურდოს
ფართო მდინარის ნაპირებზე შევავლე თვალი.
„ოსტატო, — მყისვე შევეკითხე, — მაუწყე ახლა:

„ვინღა არიან ეს სულები, ან მოუთმენლად
„მდინარის ფონთან რად შეყრილან, თუ თვალთახედვა
„არა მღალატობს ამ საეჭვო სინათლის გამო?“

„ამას ყველაფერს, — მიპასუხა ვირგილიუსმა, —
„მე შენ გიამბობ მაშინ, ოდეს ნაბიჯი ჩვენი
„მიგვაახლოვებს აქერონის ნაღვლიან ნაპირს“.

მე წამოვწითლდი და თვალები დავხარე დაბლა;
რათა ზედმეტი საუბარით არ შემეწყინა,
ალარ დამიძრავს მდინარესთან მისვლამდე ენა.

და აი, ვხედავთ თეთრთმიანი მოხუცი ნავით
მოუახლოვდა მდინარის პირს და დაიყვირა:
„ვაჲ თქვენ, სულნო, ო, ვაჲ თქვენ, გარყვნილნო სულნო!

„ველარ იხილოთ თქვენ ცის თაღი ამიერიდან!
„მე მიჰთვისა ვარ, იმ ნაპირზე რომ გადაგზიდოთ,
„სადაც მარადი წყვდიადია, ცეცხლი და ყინვა.

„შენ რაღა გინდა ამათ შორის, ცოცხალო სულო?
„შორს განერიდე მკვდართა ბანაკს“. — მაგრამ რა ნახა,
რომ მის ბრძანებას არ ვასრულებ, განაგრძო ისევ:

„სხვა გზით, სხვა ფონით შეგიძლია შენ მიაღწიო
„მეორე ნაპირს, — ხოლო ეს გზა დასტოვე მყისვე.
„შენს გადაყვანას დასჭირდება მსუბუქი ნავი.“

„დააცხრე, ქარონ, შენი რისხვა, — სთქვა წინამძღოლმა;
„განკარგულება ასეთია იქ. სადაც ნება
„არის კანონი უმტკიცესი. ნუღარ ჰკითხულობ!“

97 თითქოს უზომოდ განრისხებულ მენავის თვალებს
შემოსალტოდნენ ცეცხლოვანი რკალები ირგვლივ,
მაგრამ ამ სიტყვამ ბანჯგვლიანი მოულბო სახე.

100 სამაგიეროდ, ტანგაძარცულ დაქანცულ ლანდებს,
მკაცრი მოხუცის უკმეხ სიტყვებს რომ მოჰკრეს ყური,
დაუმახინჯდათ სახეები, და კბილთა ღრჭენით

103 იწყეს უფლისა შეგინება, სწყევლიდნენ მამებს,
თავიანთ შვილებს, შვილიშვილებს, კაცთა ჯილაგსა
და ბოლოს თავის დაბადების ჟამსა და ადგილს.

106 შემდეგ მოთქმით და ღრიანცელით შემაძრწუნებელ
ფონს მიაშურეს — ვერ ასცდება ვერც ერთი სული
ამ ფონს, თუ იგი არ სცხოვრობდა უფალის შიშქვეშ.

109 იქ მათ თვალების აღველფილი გადმოცეცხლებით
დემონი ქარონ აგროვებდა, აწვდიდა ნიშანს
და ჩამორჩენილთ ნიჩბის ცემით მირეკდა წყალთან.

112 და ისე, როგორც შემოდგომით ფოთლები ხისა
თანდათანობით მოცვივიან, ვიდრე რტოები
თავის სამოსელს დედამიწას არ დაუბრუნებს,

115 ეს აჩრდილებიც — ეს ადამის ბოროტი თესლი, —
მენავის ხმაზე სათითაოდ ნავში ხლტებოდნენ,
ვით მონადირის დაძახილზე ნაგეში ქორი.

118 აჰა, ისინი მიაროვევენ ამღვრეულ ტალღებს.
და ვიდრე ნაპირს მიაღწევდნენ მოპირდაპირეს,
აქ ბრბო ახალი იკლაკნება, ჰკვნესის და ჰბორგავს.

121 „იცოდე, შვილო, — წინამძღოლმა კეთილმა მითხრა —
„იცოდე, სულნი გარდაცვლილნი ღვთის რისხვის ჟამსა
„თავს აქ იყრიან დედამიწის ყოველი მხრიდან.

124 „გამოდევნილნი უზენაეს მართლმსაჯულებით,
„მიესწრაფიან გაშმაგებით ნაპირს მეორეს;
„თვით შიშის ზარი მათში იღებს სურვილის სახეს.

127 „არასდროს ამ გზით სულს უმწიკვლოს არ გაუვლია,
„და თუ ქარონმა არ ისურვა მიღება შენი,
„თვითონ მიხვდები, მისი რისხვა რას მოასწავებს“.

130 როს დაასრულა ეს სიტყვები, პირქუშმა სივრცემ
ისე საშინლად დაიხუვლა კიდით კიდემდე,
რომ მოგონებაც კი ამისი მათრთოლებს ხოლმე.

133 კვნესა აღმოხდა ბედშავთ ბანაკს შემზარავ ქარქვეშ,
ელვის ზოლივით გაანათა წითელმა შუქმა,
და შიშის ზარით გულწასული ძირს ჩავიკეცე

136 მე, ვით ღრმა რულში ჩაძირული ადამიანი.

## ჯება მეოთხე

დაიგრუხუნა, დაიჭექა და გამოვფხიზლდი,
ჩემი სხეული აიტანა ელდის ცახცახმა,
გზააბნეული ვაწყდებოდი მე აქეთ-იქით,

4 ვით კაცი ვინმე უეცარად ძილგაკრთობილი.
ვაკვირდებოდი არემარეს ჩემთვის შეუცნობს,
აშკარა იყო მივდგომოდი ვარამის ჭალაკს.

7 უფსკრულის პირად მომესმოდა მე ღრიანცელი,
მოჰქროდა ჩემსკენ უფსკრულების ბნელი არავი
და ხმაურობის საშინელი კორიანტელი.

10 პირღია ხვრელში უშედეგოდ ვიხედებოდი.
„ჩავიდეთ, — მითხრა, მყის მგოსანმა გაფითრებულმა, —
„უპირველესად მე ჩავდივარ, მერმე მომყევი“.

13 და თვალი ვკიდე: ვით ეცვალა წინამძღოლს ფერი.
ვარქვი: — „ვით მოგყვე, როცა გხედავ ესდენ ფერგამკრთალს,
„მას ვინც მფარველად და მეგზურად მეგულებოდი“.

16 „არ მიიჩნიო დაშინებად ფერნამკრთალობა, —
მითხრა, — ეგ არის თანაგრძნობის არილი მხოლოდ,
„ვიჩქაროთ, მომყევ, — შემესიტყვა, წამავლო ხელი, —

19 „გვიცდის მანძილი დია ძნელად გადასაოელი“.
დაწინაურდა, მეც მივყევი. აჰა, ორთავემ
პირველი გარსის მიდამოში შევადგით ფეხი.

22 გარს ევლებოდა იგი უფსკრულს ჩვენს წინ აღმართულს.
მივაპყარ ყური: არ ისმოდა იქიდან ურვა,
არცა ტირილი ხმამაღალი არ მოგვწვდენია,

მხოლოდ ეთერი ცახცახებდა მარადჟამული,
მძიმე კვნესისგან შენარხევი და შენაძრწოლი.
და ბრბო უშქარი: კაცი, ქალი, დიდი და მცირე

მიჯარულიყო ერთ ადგილას სასომიხდილი,
და ქედმოდრეკით მისცემოდენ უდრტვინველ ვარამს
ქველი ოსტატი მეუბნება: — „შენ არა მკითხავ

„ამ ვნებულ სულთა ვინაობას, სადაურობას,
„მაგრამ მე მინდა შენ იცოდე, ვიდრე ამ არეს
„ჩვენ დავაგდებდეთ სანახავად სხვათა მრავალთა.

„ამ ბედკრულ სულებს არ მიუძღვით ცოდვა სხვაგვარი,
„ეგ არის მათი შეცოდება დია ბედითი,
„რომ ნათლისღება ამ ბედშავებს არ ღირსებიათ.

„მათ უცხოვრიათ ქვეყანაზე ქრისტეზე ადრე,
„და მეც აქა ვარ ბედის მათის თანაზიარი.
„ეს უნებლიედ დავაშავეთ, ადრე რომ გავჩნდით,

„და ამიტომაც დაღუპვისკენ გვიქციეს პირი.
„აწ მოგვვლენია ერთადერთი მძიმე სასჯელი:
„ვიცხოვროთ ასე და მარადჟამს გულს გვიღადრავდეს

„ნდომა, რომელსაც სასოება არა ხლებია“.
გულზე ვარამი შემომენთო ამის გამგონეს,
ვინადგან ვსცანი ამ ქვესკნელში დავანებულთა

მე ვინაობა და ღირსება ხარისხოვანი.
ვარქვი: — „ოსტატო და ძვირფასო, დიდო ბატონო,
„თქვენს შორის ვინმე თუ ოდესმე გამორეულა,

„რომელიც თავის წარჩინების გამოისობით
„ამ მიდამოდან გაეყვანოთ, რათა შემდეგში
„ნეტართა შორის ღირსებოდა ის დავანებას“.

და იგი მისწვდა ჩემგან თქმულის ზრახვას იდუმალს.
მითხრა: — „ჯერ კიდევ ამ არეში ახლად მოსულმა
„მე თავათ ვნახე ძალოვანი გვირგვინოსანი,

„ვით ჩამოვიდა და შემდგომად მან წაიყვანა
„ადამის ლანდი და ძე მისი — თავათ აბელი,
„ნოე და მოსე ებრაელთა რჯულისმდებელი,

„მამა აბრამი, ჰურიათა მეფე დავითი
„და ისრაელი დედა წულით და მამიანად,
„არცა რახილი დავიწყნია და სხვა მრავალი.

„ყველას უთუოდ ზედ დაადგა უფლისა თვალი.
„ამის გარეშე არ მომხდარა, არც გაგონილა
„ამ ქვესკნელისგან ვინმეს თავი რომ დაეღწიოს“.

ვიდოდით, თანაც საუბარსაც არ ვეშვებოდით,
სულების ტევრი უთვალავი გზაზე გვხვდებოდა.
ჯერაც ტალანი უფსკრულისა არ გაგვეარა,

გამოჩნდა შორით მოლაპლაპე ცეცხლის კოცონი,
ჩრდილდანთხეული ჰემისფერით გარემოცული.
დავწინაურდით და დავაგდეთ მანძილი მცირე,

და მეცნაურა სულნი ფრიად წარჩინებულთა.
ვჰკადრე:—„ოსტატო, შენ ხომ კრძალვით ახსენებ მუდამ
„მეცნიერების, ხელოვნების მაღალ სარანგებს,

მასწავლე, მარქვი ვინ არიან ეს სულმნათები,
„სხვათა კიდეგან რომ დამდგარან განკერძოებით“.
„მათი სახელი გავარდნილი თქვენს სამყაროში. —

მითხრა მგოსანმა — „ზეცაშიაც არს შენაწყნარი,
„ამიტომ აქაც არ აკლებენ მათ წარჩინებას“.
მყის შემომესმა ხმა უცნობი და უცნაური:

„დიდება მგოსანს ვირგილიუსს და მის მაღალ ლანდს,
ჩვენგან წარვლენილს და ხელახლა შემობრუნებულს“.
მოსწყდა ხმა იგი, და ვიხილე მოგვიახლოვდა

ჩვენ ოთხი ლანდი, ოთხივ დიდად წარჩინებული.
მითხრა ოსტატმა: — „მომავალი სამთა წინაშე
„ვითა მამფალი, მამაცურად ხმალშემართული,

„გახლავს ჰომერი, პოეტების ზესთა-ზენარი.
„მას რომ მოჰყვება — ჰორაციუს სატირიკოსი,
„შემდეგ ოვიდი და მეოთხე გახლავთ ლუკანი.

„ერთად გვითხზავდა ჩვენ ხუთივეს დიდების გვირგვინს,
„ერის გულისხმა ერთობლივად გამჟღავნებული,
„და ამიტომაც შენ თავადაც ხომ კარგად ხედავ

„ესდენი კრძალვით ოთხივენი მესალმებიან“.
ამ დარბაისელ ოსტატების სათნო კრებული
ჩემს წინ გალობდა საგალობელს ტკბილხმოვანს ფრიად,

და ხმაჲ მათი ძალოვანი, ომახიანი,
დაგვფარფატებდა ვით არწივის გაშლილი ფრთენი.
მცირე უბნობა მათ გამართეს ურთიერთშორის,

შემდეგ ოთხივე მომიბრუნდა. მომცეს სალამი,
და დამიმოწმეს ფრიად დიდი პატივისცემა,
რაკი მიკადრეს და მიმიღეს თავიანთ წრეში,

ამ გზით მეექვსედ მაღიარეს გენიოსთ შორის.
ასე ვიარეთ ვიდრე ბნელი არ გაგვეყარა
და შემოგვადგა მოლიცლიცე სინათლის შუქი.

და ვსაუბრობდით ჩვენ ხანდაზმით ისეთ საგნებზე,
რის გამჟღავნებას მე აქ ვარჩევ ისევე დუმილს.
აღმართულიყო ჩვენს წინაშე დიადი კოშკი,

შვიდკეცი, მტკიცე გალავანით შემოგარსული,
და რუ მცირედი, მოლიკლიკე, ლაჟვარდოვანი
გარს ეხვეოდა ამ მიდამოს და იფარავდა.

რუ მტკიცე იყო გადასვლისას, ვით მყარი მიწა.
შვიდივ გალავნის ჩვენ შვიდივე განვლეთ კარიბჭე,
შემოგარენი შეგვეყარა მწვანით ნაქარგი.

ბრძენთა ლანდები ბაასობდენ დარბაისლურად,
სიდინჯე ახლდა მათ მოქცევას და გამოხედვას,
საამო სილბო — მეტყველებას, ენამზეობას.

ჩვენ მივადექით მწვანე გორაკს შუქით მოფენილს,
სჩანდა აქედან მოლიანი შემოგარენი.
ამ გორაკიდან მე მაჩვენეს სულნი დიადნი,

რომელთა ხილვაც საამაყოდ მიმიჩნევია.
ვნახე ელექტრა შემორტყმული დიდის ამალით,
მხლებელთა შორის გამოვიცან მყისვე ჰექტორი,

არ მეუცხოვა, რა თქმა უნდა, აღარც ენეას.
იდგა ცეზარი, დაჯავშნული, ჩაფხუტიანი,
ქორული მზერით თვალს ავლებდა გარე მიდამოს.

ვნახე კამილა, შევიცანი პენტესილეაც,
მეფე ლატინუს, სეფეწული მისი ლავინა,
აქ იყო ბრუტუს (გააძევა ვინაც ტარქვინი),

ლუკრეც. მარსია, იულია და კორნელია.
განზე გამდგარი სალადინის მოსჩანდა ლანდი,
და როცა ოდნავ უფრო ზევით მე ავიხედე,

ვნახე ოსტატნი სიბრძნისანი და მეცნიერნი,
ვისაც ქვეყანა იხსენიებს დიდის პატივით:
ბრძენი სოკრატეს, მის მხარმარჯვნით, ყველაზე ახლოს,

იდგა სიბრძნისა ოქროპირი დიდი პლატონი,
აქ იყო იგიც, ვინც, სამყარო დაუზარებლად
არგო შემთხვევის განუკითხავ აღმოცენებას,

იგულისხმება აქ მისანი, ბრძენი დემოკრიტ.
შემდეგ თვალს მოხვდა დიოგენი, ანაქსაგორეს,
ემპედოკლესი, ჰერაკლიტეს, ზენონ და თალეს;

ღრმად განმჭვრეტელი თვისობრივი თეორიისა —
დიოსკორიდე და მის გვერდით იდგა ორფეოს,
ტულიუს, ლინუს, იქ სენეკა ზნეობის მსაჯი,

გეომეტრიის მებალავრე — ბრძენი ევკლიდეს,
ისტორიკოსი — პტოლომეოს და ჰიპოკრატეს,
ავიცენესი, გალიენო, ავეროესი,

სახელგანთქმული მწიგნობარი, კომენტატორი,
არ ძალმიძს ყველას სათითოოდ დასახელება,
სიტყვა არ მყოფნის მანდ განცდილის გადმოსაცემად.

ოთხნი დაგვცილდნენ, და მეგზურმა ჩემმა მაღალმა
მე შემაყენა სულ სხვა გზაზე, ვიარეთ ასე,
და მივაღწიეთ დამაშვრალთა ისეთ ადგილას,

სადაც სინათლის ნატამალი არსით გვიჩანდა.

## ქება მეხუთე

პირველი გარსი გავიარეთ, ხოლო შემდეგი
იყო შემცველი მცირე სივრცის, — წუხილის დიდის
ისმოდა კვნესა და კივილი გულისწამღები.

ტახტზედ ზის მინოს საშიშარი და აღრენილი,
ახალმოსულებს აკვირდება და ახარისხებს:
მისგან ელიან აქ განკითხვას, მსჯავრის დადებას,

უკეთ რომა ვთქვა: როცა სული ცოდვილიანი
მას წარუდგება და გაანდობს სრულს აღსარებას,
შემდეგ მინოსი მას მიუჩენს ქვესკნელში ადგილს,

და მისი კუდიც იმდენჯერვე დაიკლაკნება,
რამდენი გარსიც ჯოჯოხეთის მან უნდა განვლოს.
უშთი ბრბოები ზიმზიმებენ მინოსის ტახტთან,

უმზერენ. კრთიან და ელიან ელდის ცახცახით
მისგან განკითხვას და შემდგომად ქვესკნელს ჩაგდებას.
„ჰოდ ამ ტანჯვის სავანეში ახლადმოსულო“, —

მარქვა მინოსმა და შესწყვიტა მღვდელმსახურება,
როგორც კი თვალი შემომავლო და შემამჩნია. —
„გმართებს სიფრთხილე ამ არეში ჩამოხეტებულს.

„ვინ გიწინამძღვრა, ამ ქვესკნელში ვით მოაღწიე,
„ხომ არ გატყუებს სიგანივრე კარიბჭეების?“
ჩემმა მეგზურმა მიაძახა: — „რად ჰყვირი, მინოს?

„საბედისწერო გზაზე შემდგარს ხელს ნუ შეუშლი,
„ასე სწადიან ეს იმასაც, ვინც ყოველივეს
„ისე წარმართავს, როგორც თავათ მოესურვება“.

აჰა, მოგვესმა ჩვენ ორივეს კვნესა და გმინვა,
და მივაღწიეთ ისეთ ადგილს, სად სამინელი
ქვითინი, ურვა და ყიჟინი სმენას აწყდება.

იყო ადგილი სინათლისგან მთლად განძარცული,
სადაც ისეთი ღრიანცელი შემოგვესმოდა,
რომლის მაგვარი ზღვას სჩვევია ზამთრის ღამეში,

ორპირ გრიგალით აზვავებულს, აბობოქრებულს.
დაჰქრის არავი ჯოჯოხეთის დაუცხრომელი,
და ქროლვა იგი თან იტაცებს ამ ბედშავ სულებს,

აფორიაქებს, აბურთავებს და ათამაშებს.
და, როცა სულნი მიაღწევენ უფსკრულის კიდეს,
ისმის ზიმზიმი, ჟრიამული, ვაჲ და ვიში,

გმობა ღმერთისა, ყოველივე ღვთიურ სიქველის.
გავიგე: თურმე ამ საშინელ აურზაურში
სჯიდენ ხორციელ ცოდვებისგან დამძიმებულებს,

ვინაც სურვილებს ანაცვალა გონების ნიჭი.
ვით დასუსხული შოშიები ფრთების ფარფატით
გუნდათ შეყრილნი, ქარისაგან წარტაცებულნი,

სულნიც ასევე აეშალა ძალოვან გრიგალს,
აღმა და დაღმა უთავბოლოდ დააქროლებდა.
და ნიშანწყალიც არსით ჩანდა, რომ ამ ვაებას,

და უნუგეშო მწუხარებას თუ ჰქონდა ბოლო.
როგორც წეროთა გაწკაპული ქარავანები,
ყიავ-ყიავით რომ დაჰქრიან შორეთის მგზავრნი,

სწორედ ასევე აჩრდილები განაწამები
მოთქმით და ვიშით დაჰქროლავდენ, დარიალებდენ.
ვუყივლე ოსტატს: — „რა ხროვაა, შავი გრიგალი,

ასე რომ სწეწავს და აწამებს დაუცხრომელად?“
„უპირველესი, — მიპასუხა ჩემმა მეგზურმა, —
„ამ სულთა შორის განაგებდა ოდესღაც მხარეს,

„მრავალენიან ნათესავთა სამკვიდრებელსა;
„იგი იმდენად წარიტაცა ბიწიერებამ,
„რომ თვით კანონმა დაადგინა მის სამეფოში

„თავაშვებული ავხორცობის ურცხვი თარეში.
„სწორედ ეგ არის სემირამის სახელგანთქმული,
„ნინუსის ცოლი და მისივე ტახტის მემკვიდრე.

„მას ეკუთვნოდა ის ქვეყანა, რომელიც ხონთქარს,
„ამიერიდან გაუხდია თავის საუფლოდ.
„ხოლო მეორე სიყვარულის გახდა ზვარაკი.

„თავი მოიკლა, უღალატა სარწმუნოებას,
„სიშეეს ფერფლი დაიფიცა ამაო ფიცით,
„მესამე, თავათ კლეოპატრა გულარძნილია.

ვნახე ჰელენე. რომლისთვისაც წელი მრავალი
სისხლის წვიმები დააყენეს ტროადას ვმირებმა.
აქ აქილევი, ვინც ამურთან უკანასკნელად

ცხარე ბრძოლაში დამარცხება იგემა მწარე;
იქ კი პარისი და ტრისტანი და სხვა მრავალი
ჩემმა მეგზურმა დამანახა, თითით მაჩვენა.

ამ გმირთა ლანდებს სიყვარულმან საბედისწერომ
დაათმობინა სხვადასხვა დროს წუთისოფელი.
როცა ოსტატმა სათითოოდ ჩამომითვალა

ანტიკის ქალნი და მათივე მიჯნურთა წყება,
შემიპყრო წამსვე თანაგრძნობამ და დამაღონა.
„პოეტო, — ვარქვი, — ამ ორ აჩრდილს შევესიტყვები

„ასე სუბუქად მოფარფატეთ, ჩვენსკენ მომავალთ“.
მან მიპასუხა: — დააცალე მოახლოვება,
„ღმერთი ამური დააფიცე, აქ გაჩნდებიან“.

მოაქროლებდა ჩვენსკენ ლანდებს სუბუქი ქარი
და მე შევსძახე: — „ჰოჲ სულნო, მოგვიახლოვდით,
თუ შესაძლოა, რომ გიხილოთ და შეგესიტყვოთ“.

ვით წყვილი ტრედი მომფრინავი რძისფერ ეთერში,
ერთობლივ სურვილს აყოლილნი ანაზდეულად,
გამოეთიშნენ ორივენი სულების ხროვას,

სადაც დიდონი სხვებთან ერთად იმყოფებოდა.
„არსო მწყაზარო, ვინც რონინობ თალხ სინათლეში,
„მოგვიახლოვდი ჩვენ ბინადართ სისხლიან ქვეყნის,

„სამყაროს უფალს რომ ნდომოდა შენდობა ჩვენი
„გამოვითხოვდით მისგან სულის შენის შენდობას“.
„რადგან ჩვენს ტანჯვას სიბრალული აღუძრავს შენში,

„თუ ქარი ჩადგა, ჩვენც მზადა ვართ, რომ მოგისმინოთ,
„და ჩვენც გაუწყოთ სათქმელი და საუწყებელი.
„ჩემი სამშობლო იმყოფება სწორედ იმ ადგილს,

„სადაც მდინარე პო შეერთვის უფსკრულებს ზღვისას.
„ტრფობა ადვილად ეკიდება გულს კეთილშობილს,
„და ჩემი გული აღვსილია აწ განძარცული

„ჩემი სხეულის უკურნებელ სიყვარულითა —
„არ ინდობს არცერთ შეყვარებულს თურმე ამური,
და მეც დამათრო სიყვარულმა ისე უწყალოდ,

„ისე მომხიბლა მე მიჯნურის ბედნიერებამ,
„რომ შენც კი ხედავ, განუყრელად შევრჩით ერთმანეთს
„და გაგვიტაცა სიყვარულმა ჩვენ ორივენი,

„და თანაბარი სიკვდილითა მოგვიღო ბოლო.
„კაენის გარსი ელოდება მას, ვინც სიცოცხლეს
„ასე უწყალოთ მოგვაშორა, გამოგვასალმა“.

როცა ვისმინე მე ჩივილი დაკოდილ სულთა,
თავი ჩავქინდრე და შემიპყრო მყის სიმძიმილმა.
მითხრა ოსტატმა: — „ვისთვის ფიქრობ დაღონებული?“

ვარქვი: — „ვაჲმე, გამიღვიძა მათ აღსასრულმა
მე ტკბილი ფიქრი, სურვილები მივიწყებული“.
შემდეგ ამისა მივუბრუნდი იმ ვნებულ სულებს,

ვუთხარ: — „ფრანჩესკა, შენმა ტანჯვამ და მწუხარებამ
„მე უსასოო მდუღარებით ამივსო თვალნი,
„მითხარ, ამ ტკბილი მოგონების და ოხვრის ჟამსა

„რარიგად გამცნოთ სიყვარულმა ზრახვა ფარული?“
მან მიპასუხა: „კარგად იცის შენმა ოსტატმა,
„რომ მოგონება გადასული ბედნიერების

„უბედობის ჟამს უდიდესი სატკივარია.
„რაკი ეგ საქმე გულთან ახლო მიგიტანია,
„გეტყვი რა იყო სიყვარულის ჩვენის სათავე.

„ერთხელ ვისხედით ორივენი და ვკითხულობდით
„ჩვენ გასართობად ლანსელოტოს გამიჯნურებას,
„მრავალგზის ფერი შეგვიცვალა ამ წიგნის კითხვამ,

„თვალი თვალს მოხვდა, აგვიძგერა ორთავეს გული
„და ერთმა გვერდმა ბედისწერის განასკვა კვანძი.
„ვისხედით ერთად, ვკითხულობდით სწორედ იმ ამბავს,

„ნაზმა მიჯნურმა ვით აკოცა მომღიმარ მიჯნურს,
„საყვარლის ღიმით მონუსხულმა, აღტაცებულმა
„იგი, ვინც დღესაც განუყრელად ვადამჭდობია,

„ვისთანაც ჟამიც ვეღარ გამყრის მე უმუხთლესი,
„ანაზდეულად მკერდს მომეკრა ათრთოლებული
„და აღგზნებულმა მითავაზა ტკბილი ამბორი.

„და წიგნი იგი სამიჯნურო და სალაღობო
„იქცა გალეოდ მიჯნურობის ჩვენის საქმეში.
„არც ერთი ბწკარი არ გვიკითხავს ჩვენ ამის შემდეგ“. —

როცა ერთ-ერთი მიამბობდა მიჯნურთაგანი,
მეორეს ცრემლის მდუღარება სდიოდა ღაწვზე.
მე დავიშრიტე ამ ამბავის გამგონებელი

და წავიქეცი, ვით უღონო, უსულო გვამი.

## ᲐᲔᲒᲐ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

ოდეს დაბნედილს დამიბრუნდა ისევე ცნობა,
ორი ბედშავის სიბრალულმა რომ დამიკარგა,
რომელთა ხვედრმა ღრმა ნაღველით აღმივსო სული,

ისევ ახალნი წამებანი და წამებულნი,
ჩემს გარეშემო თავმოყრილნი, დამდევდნენ ყველგან,
სითკენც არ უნდა მიმეხედნა, ან წავსულიყავ.

ვიმყოფებოდი მე იმ ჟამად მესამე გარსში,
სადაც მსუსხავი, დაწყევლილი, ცივი და მძაფრი
გადაუღებლად, განუწყვეტლად იღვრება წვიმა;

სად მსხვილი სეტყვა, თოვლნარევი ბინძური სითხე
ჰაერს ამძიმებს პირმოჭუშულს და, ძირს დასული,
თვით დედამიწას საშინელი სიმყრალით სწამლავს;

სადაც ცერბერი — საზიზღარი, სასტიკი მხეცი,
სამხახიანი, სისხლისმსმელი, — ყეფით და ღრენით,
გაშმაგებული ეტევება ცოდვილებს ბედშავთ.

თვალდასისხლული, შავწვერება, ვეება მუცლით,
იგი დასჯილებს ბრჭყალმაგარი თათებით ჰკაწრავს,
აგლეჯავს კახებს, ჰფატრავსა და ჰფლეთს ნაწილებად.

წვიმით გვემულნი, ძაღლებივით ღმუიან მუდამ,
იფარვენ ერთს და უშიშვლდებათ მეორე წყლული,
ან განუწყვეტელ მიმოსვლაში ეძებენ ხსნასა.

რა წამს ცერბერმა — ამ ვეება ქვეწარმავალმა —
თვალი შეგვავლო, დააფჩინა სამმაგი ხახა,
დაჰკრიჭა კბილნი და ტორტმანი დაიწყო ტანის.

25 მაშინვე ჩემმან წინამძღოლმან ორივე ხელი
დაბლა დაიღო, აღიტაცა პეშვი მიწისა,
და შეაყარა გაუმაძღარ ხახაში ნადირს.

28 როგორც ლუკმისთვის აღრენილი მშიერი ძაღლი
მყის დამშვიდდება, როდესაც კი მიიღებს იმას,
რისთვისაც იგი იბრძოლებდა ცოფმორეული,

31 ისე შეიკრა ხარბი ყბები მყრალ დემონისა,
რომლის ღრიალი აყრუებდა იმდენად ყურებს,
რომ ცოდვილები ნატრულობდნენ დახშოდათ სმენა.

34 ჩვენ მივდიოდით და, დასეტყვილთ სასტიკის წვიმით,
ფეხით ვთელავდით უსხეულო აჩრდილებს, რომელთ
მხოლოდ ლანდური შერჩენოდათ კაცთაგან სახე.

37 ყველანი ერთად განრთხმულები ეყარნენ დაბლა;
და მხოლოდ ერთმა იმათგანმა ასწია თავი,
იქვე მახლობლად მიმავალნი რომ დაგვინახა.

40 „ო, შენ ჯოჯოხეთს შთამოსულო, — მომმართა ლანდმა, —
„აბა, თუ ძალგიძს, შემიცანი! შენ დაიბადე
უმალ, ვიდრე მე დამეუფლა სიკვდილის გახრწნა“.

43 „სჩანს, — ვუპასუხე, — ამ დუხჭირი წამებით სახე
„შენ ისე ძლიერ გამოგცვლია, რომ ვერ ვიგონებ,
„თუ ჩვენ ოდესმე შევხვედრილვართ ერთმანეთს სადმე.

46 „მაუწყე ვინ ხარ, ამ სევდიან ადგილთა შორის
„წამებისათვის განწირულო? ეს შენი ტანჯვა
„შესაზარია მეტისმეტად და საზიზღარი“.

49 მომიგო ლანდმა: — „გაჟღენთილი შურით და მტრობით,
„შენი მშობელი ქალაქია სამშობლო ჩემი,
„იქ ვატარებდი ბედნიერად ცხოვრების დღეებს.

52 „თქვენ მე ჩიაკოს მიწოდებდით, მოქალაქენი;
„მე, ღორმუცელას, ამ ბინძური ზნისათვის ახლა,
„ხედავ, რარიგად მათახსირებს სასტიკი ზესხმა.

55 „არა მარტო მე დამტეხია თავს ეს სასჯელი.
„სხვებსაც იმავე ცოდვისათვის იგივე ტანჯვა
„რგებიათ წილად“. — ეს მითხრა და დადუმდა ლანდი.

58 ისევ მივმართე: — „ო, ჩიაკო, წამება შენი
„მე გულს მიღონებს და ცრემლებით მისველებს თვალებს;
„მაგრამ, თუ უწყი, მეც მაუწყე, სანამდე მივლენ

61 „დაუდგრომელი, დამთხვეული ქალაქის მკვიდრნი?
„არის თუ არა ღვთისნიერი იმათში ერთი?
„შუღლი და მტრობა რამ დაჰბადა იქ ესოდენი?“

64 მან მიპასუხა: — „ხანდაზმული აღრევის შემდეგ
„იქ სისხლს დაღვრიან და პარტია ტ ყ ი უ რ ე ბ ი ს ა
„გარეკს მეორეს უმკაცრესი ძალდატანებით.

67 „მაგრამ სამი მზის ტრიუმფალურ შემოსვლის შემდგომ
„დაემხობიან ტ ყ ი უ რ ნ ი და ნაცვლად მეორე,
„ვინმე მოსულის დახმარებით, აღსდგება ისევ.

70 „და ის მრავალ ჟამს იხელმწიფებს და დამარცხებულთ
„დაადგამს იგი უსასტიკეს მონობის უღელს,
„მიუხედავად მათი სევდის და სირცხვილისა.

73 „ორი ღვთის კაცი დარჩენილა ქალაქში კიდევ;
„მათ არ უსმენენ. სიამაყე, სიძუნწე, შური —
„ამ სამს ნაპერწკალს აღუნთია მათი გულები“.

76 ასე დასრულდა სამწუხარო იმისი სიტყვა,
მაგრამ მივმართე: — „მე მსურს რჩევა მივიღო შენგან,
„და გთხოვ შემდეგი საუბარი კიდევ მაჩუქო.

79 „მითხარ: რა იქმნენ ფარინატა და ტეგიაჯო,
„კაცნი დიადნი? სად არიან არიგო, მოსკა
და ჯიაკოპო რუსტიკუჩი — ესოდენ ქველნი?

82 „სად ბინადრობენ, ვით შევიძლო შეცნობა მათი?
მწყურის ვიცოდე: სიტკბოებას ზენაარულსა,
თუ ჯოჯოხეთის შხამსა სვამენ ისინი ახლა?

85 მითხრა: — „გარიეს აღმატებით ბნელ სულთა შორის;
მრავალ უზნეო საქმისათვის ჩაჰყარეს დაბლა,
„და, თუ ჩაჰყვები შავს უფსკრულსა, იქ დაგხვდებიან.

88 „მაგრამ, როდესაც ტკბილ სამყაროს დაუბრუნდები,
„გვედრი აუწყო ადამიანთ ამბავი ჩემი.
„მეტი არ ძალმიძს არც პასუხი, არც საუბარი“.

ეს რომ წარმოსთქვა, გადუბრუნდნენ ჩიაკოს თვალნი,
კვლავ შემომხედა, დამძიმებით თავი დაღუნა
და სხვებთან ერთად პირუკუღმა განერთხო მიწას.

აქ მომიბრუნდა წინამძღოლი: — „არ გაიღვიძებს,
„ვიდრე დაფდაფი არ გაისმის ანგელოზისა,
„ვიდრე ცოდვათა შემმუსვრელნი არ მოვლენ ძალნი.

„მაშინ ბნელ საფლავს შთავა ისევ ლანდი ყოველი,
„კვლავ ხორცშესხმული წინანდებურს მიიღებს სახეს
„და მსჯავრს მოისმენს აგრგვინვებულს კიდით კიდემდე!“

ნელის ნაბიჯით გავიარეთ ადგილი სავსე,
აჩრდილებისა და თოვლჭყაპის ბინძურ ნარევით,
თან საიქიო ცხოვრებაზე გავაბით სიტყვა.

ვკითხე: — „ოსტატო! საშინელი სამჯავროს შემდეგ
„გამწვავდებიან, დასცხრებიან ეს ტკივილები,
„თუ იმათთაგან ასეთივე დარჩება ტანჯვა?“

მითხრა: — „რას ამბობს, მოიგონე მეცნიერება:
„რამდენად უფრო სრულყოფასთან ახლოა არსი,
„მით უკეთა ჰგრძნობს ბოროტებას და სიკეთესა.

„თუმც ვერასოდეს ეს უმსგავსო ხალხის ჯილაგი
„ნამდვილ სრულყოფას ვერ მიაღწევს, მაინც ელიან,
„რომ დღე სამსჯავრო მათ რაიმეს მოუტანს კეთილს“.

ასე ვიდოდით წრის გარშემო ნელი ბაასით,
და აქ არ ვამბობ, რაოდენი გამოვთქვით აზრი.
ბოლოს ჩასავალს მივადექით, სადაც ვიხილეთ

პლუტუსი, მტერი უდიდესი კაცთა მოდგმისა.

## ჭეშა მეშვიდე

„Papè Satan, papè Satan aleppe“.
დაიღრიალა ველურის ხმით პლუტუსმა. მაშინ
წარჩინებულმან, ყოვლის მცოდნე ოსტატმან ჩემმან

გასამხნევებლად შემომძახა. — „ნუ შეშინდები,
„მთელი იმისი ძლიერება არ კმარა მისთვის,
„რომ აღგეკვეთოს ჯოჯოხეთის ჯურღმულში ჩასვლა“.

7 ის მიუბრუნდა ამის შემდეგ მედიდურ დემონს
და შეუძახა: — „ხმა გაკმინდე. წყეულო მგელო,
„ბრაზით დამხრჩვალმა დაიგლიჯე შენივე ტანი.

10 „ჩასვლა უფსკრულსა უმიზეზოდ არ ხდება მისი:
„მთას, სადაც მიქელ ანგელოზმა გაანადგურა
„მედიდურობის ამბოხება, — ებრძანა ასე".

13 ვით იალქანი ქარისაგან გამობერილი
დატრიალდება და ეცემა დამსხვრეულ ანძით,
ასე ცხოველი საზარელი პირქვე დაემხო.

16 და ჩვენც ჩავეშვით ამის შემდეგ მეოთხე თხრილში.
თანდათანობით მივარღვევდით ტანჯვის ჯურღმულებს,
სადაც შთანთქმულა ბოროტება მთელ სამყაროსი.

19 ღვთის სამართალო! ვინ შეიცნოს ახალი ტანჯვა
და ის წამება, თვალთახედვა რომ დამისეტყვა!
ან ჩვენს ბნელ ცოდვებს რად მივყავართ ჩვენ აქამომდე!

22 როგორც ტალღანი ხარიბდისა მიჰქუხან მუდამ,
და სხვა ტალღებზე შეხეთქილი სცვივიან უფსკრულს,
ასე ერთმანეთს აწყდებიან აქ ცოდვილები.

25 არსად ისინი არ შეყრილან ესოდენ მრავლად:
გათვისებულნი ორ ბანაკად, ავი ზრიალით
ვეებერთელა სიმძიმეებს სტორცნიან ერთურთს.

28 და რა დაჰკოდვენ ერთმანეთსა, მყის დაიხევენ
მყრალის ლანძღვის და საყვედურის ზლუქუნით უკან:
შენ რად ისროლე? შენ რას უცდი, რისთვის არ ისვრი?"

31 უკუქცეულნი მიილტვიან შავბნელი გარსით,
და, რა წამსაც კი მიაღწევენ მეორე კიდურს,
ბრძოლის ყიჟინა და ზახილი ატყდება ისევ.

34 შემდეგ ხელახლა იმავე გზას მოსდევენ რბენით,
და ძველ ადგილზე გაჩაღდება ბრძოლა ახალი.
და მათ შემყურეს სიბრალულით მითრთოდა გული.

37 ვკითხე: — „ოსტატო, ვინ არიან აქ ეს სულები?
„ნუთუ მარცხენა ბრბოს ლანდები აღკვეცის ნიშნით
„სასულიერო ხარისხისა ყოფილან ყველა?"

და მე ოსტატმა მიპასუხა: — „გონება მათი
„ესდენ ხშულ იყო მიწიერი ცხოვრების ჟამსა.
„რობ ვერ გაეგოთ მათ საზღვარი მფლანგველობისა.

„ამას ამჟღავნებს საბრძოლველი მათი ყიჟინა,
აღმოთხეული ნახევარი გარსის საზღვარზე,
„რომლის გადაღმა სავანეა სულ სხვა ცოდვისა.

„ხოლო ისინი, თავტიტველნი, სამღვდელო პირნი,
„მათში აქა-იქ პაპები და კარდინალები,
„ცნობილნი იყვნენ უსაზომო სიძუნწის სენით".

„ოსტატო, — ვარქვი, — ამ ხარისხის ცოდვილთა შორის
„უნდა შემეცნო მე უთუოდ პირი მრავალი,
„ვისი სახელიც შებილწულა ამგვარი ცოდვით".

„ამაო არის ეგ იმედი, — მომიგო, — ტანჯვას
„ისე საშინლად შეუშლია მათნი სახენი,
„რომ შენ არ ძალგიძს იმათ შორის ვისიმეს ცნობა.

„უნდა მარადის ასკდებოდნენ ერთმანეთს ასე,
„ხოლო აღდგომის ჟამსა შინა, ზე აღსდგებიან
„ზოგნი უთმონი და ზოგნი კი ხელდამუჭვილნი.

„ველური ფლანგვის და ველური სიძუნწის გამო
„სიტკბო დაჰკარგეს მათ ნათელი სამყოფელისა,
„და აღიჩინეს აქ მუდმივი ბრძოლისთვის ბინა.

„ახლა მიხვდები, შვილო ჩემო, რამდენად ფუჭი
„არის ფორტუნას მოწყალება, რისთვისაც ასე
„დაუსრულებლად რომ ბობოქრობს ადამის მოდგმა.

„ცათა ქვეშეთის მთელი ოქრო, სიმდიდრე მთელი,
„რაც კი ოდესღაც ხელში ეპყრათ ამ ტანჯულ სულებს,
„ვერ შეისყიდის დასვენებას წუთიერს მათთვის".

„ოსტატო, — ვსთხოვე, — განმიმარტე შემდეგი კიდევ:
„ვინ უნდა იყოს ის ფორტუნა, შენ რომ ახსენე.
„ვინც სიკეთენი მიწისანი ხელთ იპყრა სრულად?"

„ჰოდა, შეშლილნო ქმნილებანო, — აღმოხდა ოსტატს, —
„ვით აგრევიათ გზა და კვალი! მომაპყარ სმენა,
„და დაიხსომე ჩემგან თქმული ჭეშმარიტება.

„შეჰქმნა თუ არა ყოვლად ბრძენმა ხმელეთი ცათა
„მყის მბრძანებელი მიუჩინა, — დეე მწყემსობდეს
„კანონი შუქთა თანასწორი განაწილების

„კიდით-კიდემდე სამყაროში; ამგვარადავე
„დაუმორჩილა სიკეთენი მან მიწისანი
„ერთს უზენაესს მსაჯულსა და მბრძანებელს ყოვლადს.

„დეე გადასცეს მან ქონება ფუჭწარმავალი
„ერთი ხელიდან ხელს მეორეს, რასიდან რასას;
„მის მოქმედებას ვერ აღკვეთენ კაცთა ზრახვანი.

„ბატონობს ერთი, ნადგურდება მეორე რასა,
„თანახმად მისი მსჯავრდადების, თუმცა ეს მსჯავრი
„დაფარულია, ვით ბალახში შემძვრალი გველი.

„მას ხელს ვერ უშლის თქვენი სიბრძნე: თავის ფარგლებში
„ითვალისწინებს, განსჯისა და განაგებს იგი,
„ვით დანარჩენი ღვთაებანი თავიანთ წრეში.

„ცვალებადობას დასასრული არა აქვს მისას,
„მიექანება, მოისწრაფვის წინ გამალებით,
„როგორც საჩუქრის მომხვეჭელი. აი ფორტუნა, —

„ჯვარზე აკრავენ მას ხშირ-ხშირად და უსაფუძვლო
„ცილისწამებით და გინებით უტეხენ სახელს
„ისინი, ვინაც მას დიდებით უნდა ჰმოსავდენ.

„ის ყურს არ უგდებს, ნეტარებას ეძლევა უღრმესს
„თავდაპირველად წარმოშობილ ქმნილებათ შორის,
„და თავის სფეროს ატრიალებს განცხრომით იგი.

„აწ კი ჩავეშვათ აღმატებულ წამების გარსში.
„უკვე ჩადიან ვარსკვლავები, ჩვენი შეყრის ჟამს
„ზე აღმავალნი, — დაყოვნების არა გვაქვს ნება“.

ჩვენ გადავკვეთეთ გარსი იგი და გავიარეთ,
და მივაღწიეთ აღქაფებულს, მდუღარე ნაკადს, —
იგი ხმაურით ეშვებოდა წყლით გაჭრილ ხრამში.

იყო უფერულ ღელე იგი და ამღვრეული;
ვაკვირდებოდით ჩვენ ჭაღარა ტალღების დენას,
და მივდიოდით წინ ბილიკით უსწორმასწორით.

ძირს გაშლილიყო საზიზღარი, პირქუში ჭალა,
და იქ შემდგარი ნაღვლიანი ეს ნაკადული,
ჭაობს შმორიანს წარმოშობდა სტიქსად წოდებულს.

იქ მე გულდასმით ვადევნებდი თვალს ყოველივეს,
და შევამჩნიე — ამ ჭაობში ბინძურნი ბრბონი
გააფთრებული სახისანი და ტანშიშველნი.

ეს აქ ცოდვილებს გაემართათ სასტიკი ბრძოლა,
არა ხელებით მარტოოდენ, არამედ თავით,
მკერდით, ფეხებით, — ხორცს აგლეჯდნენ კბილებით ერთურთს.

„ეს, შვილო ჩემო, — მომიბრუნდა ოსტატი ტკბილი, —
„რასაც უცქერი სულებია იმათი, ვინაც
„გული გაუღო განრისხებას. დეე უწყიდე,

„რომ წყლის ქვემოდაც ბევრნი ჰყრიან; უმძიმეს ოხვრით
„ამოუბურთავსთ ზედაპირი მათ ჭაობისა,
„შენს თვალთახედვას ყოველის მხრივ რომ გადაშლია.

„დალექილ ლაფში ჩაძირულნი მწარედ მოსთქვამენ:
„ვცხოვრობდით ნათელ ქვეყანაში ბოროტის გულით,
„და ედებოდა იქ ჩვენს სულებს თანდათან ჭვარტლი.

„ლაფში ჩაყრილნი ვიტანჯებით ამისთვის ახლა“.
„აი ეს ჰიმნი ხრინწიანობს მათ ყანყრატოში,
„რადგან გამოთქმა გარკვეულად არ ძალუძთ მისი“.

შემოვუარეთ ნაპირ-ნაპირ ჭაობის დიდ წრეს,
ხმელეთისა და წყალთა შუა, თან განუწყვეტლივ
თვალს ვადევნებდით ლაფში ჩაყრილ ცოდვილთა ურდოს,

და ჩვენ დასასრულ ერთი ციხის ძირს მივადექით.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ

მივსდევდი ოსტატს, და სანამდის მივადგებოდი
კოშკის სანახებს, თვალი ვჰკიდეთ ციხის ქონგურებს,
შევნიშნეთ ორი მორიალე თვალწვრილი შუქი,

რომელთაც ერთიც შორეთიდან ესიტყვებოდა.
მივმართე ისევ ვირგილიუსს — ამ ზღვას ცოდნისას,
ვარქვი: — „რას ნიშნავს ამ სამკეცი შუქის რიალი,

„ესეც მასწავე, ვინ აანთო ეგ კელაპტრები?“
მან მიპასუხა: — „შეგიძლია უკვე შენიშნო
„მღვრიე წყლის პირზე, რაც მოგველის, თუ რომ ჭაობზე

„ამგვარი ორთქლის საფარველმა არ დაგაბრკოლა“.
არასდროს ლარით ჯერ ისარი არ უტყორცნიათ
ეგზომ სისწრაფით გამპობელი შორი ეთერის,

როგორც ამ წამში მოქროლავდა წყლის ზედაპირზე
პატარა ნავი შურდულივით ჩვენსკენ მავალი.
მართავდა ამ ნავს ერთადერთი მენიჩბე ვინმე,

და მოჰყივოდა: — „შენც მოსულხარ, სულო მძვინვარე“.
„ამაოდ ჰყვირი შენ ჩვენს მიმართ, ჰოჲ, ფლეგიას!“ —
გაბრაზებულმა უპასუხა ოსტატმა ჩემმა, —

„ჩვენ შველა შენგან დაგვჭირდება გაღმა გასვლამდის“.
ვით უშველებელ სიცრუისა გამგონი კაცი,
გამწარებული განაგონით და შენასმენით,

ასე ფლეგიას აიტანა იმ წუთში ბოღმამ.
ჩემმა მეგზურმა ფეხი ჩასდგა ჩამომდგარ ნავში,
და მეც მანიშნა ამის შემდეგ შიგ ჩავმჯდარიყავ.

ჩავსხედით ორნივ ძველებურად ანაგებ ნავში,
და გაემართა იგი სწრაფად, თანაც გზადაგზა
ზედაპირს წყლისას აჩნდა კვალი უშველებელი.

როცა მივჰქროდით ამ მკვდარ წყლებზე გამალებული,
გადმოდგა სული ამოსვრილი ერთავად ლაფში,
და მომაძახა: — „მარქვი სულო, ვინა ხარ შენა

„აქ რომ მოსულხარ დადგენილი ჟამის უადრეს?“
მე ვუპასუხე: — „თუ მოვსულვარ, მე აქ არ ვრჩები.
„მაგრამ შენ ვინ ხარ, სულო, ესდენ ზიზღის მომგვრელი?“

მომიგო სულმა: — „მე გახლავარ ერთი მათგანი,
„ვინაც მარადჟამს ზედ დასტირის თავის მწარე სვეს“.
ვარქვი: — „მაშ დარჩი ცრემლების და გლოვის ანაბრად,

„სულო წყეულო, შეგიცანი ვინაც არ იყვე,
„ლაფში გასვრილი, შეთხუპნული და გაზინთული“.
ორივე ხელით მოეჭიდა ის ნავის ძგიდეს,

40 მაგრამ ოსტატმა მას ხელი ჰკრა და მიაძახა:
„წა, გამეცალე და გაჰყევი სხვებს, შენებრ ძაღლებს“.
შემდეგ ოსტატი შემომეჭდო და გადამკოცნა,

43 და მითხრა ასე: — „კურთხეული იყოს დიაცი,
„ვინც შენ წარმოგშვა, გაგაჩინა, ამაყო სულო.
„ქვეყნად ეგ სული თავკერძობით იყო ცნობილი,

46 „არც თუ სიქველეს შეუმკია ხსოვნა ამ კაცის,
„და ამიტომაც ამ ბნელეთში, ამ ჯოჯოხეთშიც
„უმწეოდ დაძრწის იგი ეგზომ გაცოფებული.

49 „იცი რამდენ კაცს საიქიოს ჰოჰქონდა თავი
„ქვეყნიერების გამგებელად, უებრო მეფედ.
„ხედავ ქვესკნელში ის სულები პატივახდილი,

52 „გოჭების მსგავსად ვით დაყრილან ლაფში მოსვრილი.
„აწ საზიზღარი მოგონება შთენილა მათგან“.
ვარქვი: — „ოსტატო, საამურად დამირჩებოდა,

55 „ვიდრე ამ ტბიდან ორივენი ამოვიდოდეთ,
„ვნახო ის სული იმ ტლაპობში ვით ჩაიფლება.
„მან მიპასუხა: — „ვიდრე გაღმა ნახავდე მიწას

58 „ეგ საწადელი უეჭველად შენ აგიხდება.
„კარგადაც მესმის რად გახარებს ამგვარი ნდომა“.
მცირე ხნის შემდეგ ვნახე მართლაც, თუ ვით სწეწავდენ

61 მას სხვა სულები, ამოსვრილი აგრეთვე ლაფში.
ასე რომ დღესაც მე მიუძღვნი უფალს მადლობას.
ჰყვიროდა ყველა: — „ეგ შენა ხარ ფილიპ არჯენტი?“

64 გაცოფებული. ვულამაყი ფლორენტინელი
კბილით იგლეჯდა, იკაწრავდა საკუთარ სხეულს.
დავსტოვეთ იგი, მასზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

67 ანაზდეულად შემომესმა გოდების ხმები.
შევჩქვიფდი, შევკრთი, მივაჩერდი ნაპირს შორეულს.
მითხრა ოსტატმა: — „შვილო ჩემო, ამიერიდან

70 „ვუახლოვდებით ჩვენ იმ ქალაქს დიტედ წოდებულს,
„და მანდ ბინადრობს უთვალავი, ბნელი ლაშქარი“.
„ოსტატო, — ვარქვი, — მე შევსცქერი შორეულ ველზე

„წითელ მიზგითებს უშველებელს ცაში ატყორცნილს,
გამოხურვებულ რვალის მსგავსად მოლაპლაპეთა“.
მან მიპასუხა: — „ეგ ცეცხლია მარადჟამული,

„მანდ სივრცეებში მომწყვდეული და მოვარვარე —
„ეს აჩენს წითლად ამ შენობებს ქვესკნელის კიდეს“.
ჩვენ მივადექით თვალშეუვლებ, უძიროო ჯურღმულს,

რომელიც ქალაქს გარს უვლიდა ქამარის მსგავსად,
გეგონებოდათ გალავანი მტკიცე რვალისა.
გამოხდა ჟამი, ზედწავაწყდით ჩვენ ისეთ ადგილს,

სადაც მენავემ დაიყვირა ძალოვანის ხმით:
„ჩამოდით ახლა და დაგხვდებათ იქ შესავალი“.
მე ვნახე მაშინ კარისბჭესთან უშქარი სული,

რომელთაც ცაში შეუცოდავთ, და ამიტომაც
ჩამოუყრიათ ამ ქვესკნელში და აქ ღნაოდენ:
„ეს ვინ არიან ამ სიკვდილის სასუფეველში

„ჟამის მოსვლამდის ბნელ ქვესკნელში რომ ჩამოსულან?“
ბრძენმა ოსტატმა მათ ანიშნა და განუმარტა,
მათთან უბნობა რომ ეწადა გააგებინა.

როცა სიცოფე დაურჩქალდათ, მათ უპასუხეს:
„ჩამოდი მარტო, ხოლო კაცი იგი ფრთოსანი,
„ვინც თავხედურად შემოჭრილა ჩვენს საუფლოში,

„თუ შეუძლია, მარტოხელა გაუდგეს გზასა,
„შენ კი, ბნელეთში ვინც უწევდი მას მეგზურობას,
„დასტოვე იგი, დაბინავდი ამ სავანეში“.

იცი, მკითხველო, თუ რარიგად დამამწუხრებდა
ამ შეჩვენებულ საუბარის თავათ მოსმენა,
რადგანაც უკან მობრუნების წამერთო სასო.

და ვარქვი ოსტატს: — „ო, ძვირფასო, ჩემო მეგზურო,
„შენ ბარე შვიდგზის დამიფარე განსაცდელისგან,
„ნუღარ დამტოვებ და უკეთუ გვეკრძალვის წინსვლა,

„უკუ მოვიქცეთ ორივენი გამოვლილ გზითა“.
ჩემმა მეგზურმა, მბრძანებელმა მომიგო ასე:
„ნუ გეშინია, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვაბრკოლებს,

„ყოვლისა შემძლემ რაკი დაგვრთო ერთხელვე ნება.
„აქ მომიცადე, გაიმხნევე გული იმედით,
„მე არ დაგტოვებ ამ ქვესკნელში არასდროს მარტო“.

მითხრა, დამტოვა იჭვნეული მამამ მზრუნველმან,
და „ჰო“ თუ „არა“ წამდაუწუმ იბრძოდა გულში.
იგი მცირე ხანს ჩურჩულებდა იმ დემონებთან,

და ჩვენმა მტრებმა გაიხურეს კარები მაგრად.
გარედ დასტოვეს მყის ოსტატი გახევებული.
იგი მობრუნდა, წამოვიდა ნელი ნაბიჯით,

თავჩაქინდრული დედამიწას დასჩერებოდა,
და სიამაყის ნატამალიც არ უჩნდა შუბლზე,
ამოიოხრა, დარდიანად წაიბუტბუტა:

„ვინ დამიკეტა მე ნეტავი ასე იჩქითად
„ვარამის სახლის შეუვალი კარიბჭეები?“
შემდეგ ამისა მომიბრუნდა და მეუბნება:

„შენ ნუ გაფიქრებს მღელვარება ესოდენ ცხადად,
„გამჟღავნებული ჩემს სახეზე და ჩემსავ ხმაში.
განსაცდელისგან მე გამოვალ გამარჯვებული,

„კარიბჭეების დამგმანველი ვინაც არ იყვეს.
„არ ახალია თავხედობა მათი ამგვარი,
„მათ სხვა კარიბჭეც დაუგმანავთ ძალით გრძნეულით,

„მაგრამ ისინიც უმოქმედოდ დარჩენილია.
„მათზე ხომ ნახე წინასწარი სიკვდილის მიერ;
„აჰა, ის ლანდი უმეგზუროდ ძირს რომ ჩამოდის

„გაგვიღებს ჩვენაც შეუვალი ციხის კარიბჭეს“.

## ქება მეცხრე

გამიკრთა ფერი, როს ვიხილე უკუქცეული,
ჩემი მეგზური მომავალი პირისპირ ჩემსკენ.
ბრძენმა ოსტატმა დაიოკა მყის მღელვარება.

სულგანაბული დამდგარიყო, რადგან ზრქელ ნისლში
თვალი ვერასფერს შეამჩნევდა დიდ მანძილებზე.
„ხამს გამარჯვება წილად გვერგოს... და ვინძლო არა...

„მაგრამ ჩვენ გვწყალობს დიდი ძალა... მე ვინატრებდი
„რომ მოგვევლინოს დროზე მაინც უკვე აღთქმული“...
კარგად ვამჩნევდი ვით მიჩქმალა პირველ სიტყვათა

მან მნიშვნელობა, მაგრამ შემდეგ წართქმული აზრი
სულ სხვანაირად შევისმინე და შევიგენი.
მაინც შემაკრთო ამ უბნობამ უსრულოდ თქმულმა,

რომელსაც მეტი მნიშვნელობა მე მივანიჭე,
ვიდრე წარმომთქმელს ჰქონდა თავათ გამოზომილი.
„მინდა ვიცოდე ამ მწუხარე ქვესკნელში ჩასვლა

„თუ შეუძლიათ ბინადართა პირველი გარსის,
„მათ ვინც უებარ მჭმუნვარებით შეპყრობილია?“
ეს შევეკითხე მე ჩემს ოსტატს და მან მომიგო:

„ჯერ იშვიათად თუ მომხდარა, რომ გზა იგივე,
„რომელსაც მივსდევ მე ამჟამად, ვინმეს ოდესმე
„რომ გაეთელოს და დაევდოს ამ გარემოში.

„თუმცა მომხდარა, რომ მე აქვე ჩამოვსულიყავ
„სასტიკ ერიქტოს შელოცვებით წაქეზებული,
„(რომელიც სულებს უბრუნებდა მიწიერ სხეულს),

„მცირე ხნით ადრე ქვრივი იყო ჩემი სხეული,
„რადგან არ ახლდა მას იმჟამად ეგ ჩემი სული,
„როცა ერიქტომ მაიძულა მე აქ ჩამოსვლა,

„რათა იუდას ნათესავის ერთ-ერთი სული
„მას გამოეხმო, — განაგრძობდა ოსტატი ჩემი, —
„და გარსი ესე უღრმესია ყველა სხვა გარსზე,

„ყველაზე ბნელი და მტევადი განსაკუთრებით,
„მაღალ ზეცისგან მოშორებით არის მდებარე,
„მე კარგად ვიცნობ აქაურ გზებს, დამშვიდდი შენაც.

„ჭაობი ესე სიბინძურით და შმორით სავსე
„ირგვლივ არტყია ქალაქს იმავ ნაღვლის სავანეს,
„რომელშიც ჯერაც უბრძოლველად ვეღარ შევსულვართ“.

აქ მან დასძინა კიდევ სიტყვა რამოდენიმე,
რომელიც ახლა უკვე ვეღარ მომიგონია,
რადგანაც მზერა თვალთა ჩემთა სწორედ იმ ჟამად

მიქცეულიყო ალმოდებულ მწვერვალისაკენ,
სადაც ვიხილე ინფერნალი სამი ფურია,
სისხლში მოსვრილი და ქალური აღნაგობისა.

წელზე ეხვიათ მათ სამთავეს მწვანე ურჩხულნი,
და თმების ნაცვლად დახვევოდათ ასპიტნი თავზე,
ნაწნავებივით შემობსკვნილი ზედ საფეთქლებზე.

მომმართა იმან, ვინც იცნობდა ამ ასაბიებს
მარადიული მწუხარების, ცრემლის დედოფლის:
„ხედავ, — მითხრობდა, — შენ მანდ სასტიკ ერინიებსა,

„ერთი მხარ მარცხნით მდგომარეა თავათ მეგერა,
„ხოლო მხარ მარჯვნით ცრემლს რომ აფრქვევს, ის ალექტოა,
და იმათ შორის რომ ჩამდგარა — თვით თიზიფონე“.

ეს მითხრა შემდეგ და დადუმდა ოსტატი ჩემი.
შუბლს იღადრავდენ სამივენი ბასრი ფრჩხილებით,
თავში იცემდენ, ხორცს იგლეჯდენ, ისე წივოდენ,

რომ მე შიშისგან მივეკარი მყისვე ჩემს ოსტატს.
„მოდი, მედუზა, ჩვენ ქვად ვაქცევთ იმას ამ წუთში“.
ასე ჰყვიროდნენ, თანაც ქვევით იხედებოდნენ.

„ჩვენ ცუდი ვქენით, რომ თეზევსის შურისაგება
„ვერ მოვიყვანეთ სისრულეში, დაუყონებლივ
„გამოტრიალდი, დაიფარე ამ წამსვე სახე,

„თორემ გორგონემ თუ შეგნიშნა და დაგინახა,
„ზევით ამოსვლის იმედს უნდა გამოეთხოვო“, —
მითხრა ოსტატმა, შემდეგ თავათ შემომაბრუნა,

არ ენდო იგი ჩემსავ ხელებს და საკუთარი
მყის მომაფარა მან თვალებზე და მთელ სახეზე.
ჰოი, თქვენ ვისაც გაგაჩნიათ საღი გონება,

ხამს რომ შეიცნოთ იდუმალი ეგ შეგონება
აწ ამ უცნაურ სტრიქონებში საცნაურქმნილი.
უკვე აზვავდნენ, აგრიალდენ ირგვლივ ზვირთები,

და მათი გრგვინვა შემზარავი და აბორგება
აზანზარებდა შიშის ზარით ორივე ნაპირს.
ეს მიაგავდა ამოვარდნას ქარიშხალისას,

რომელიც თავზე დაატყდება ტყეს უეცარად;
დალეწავს შტოებს, წარიტაცებს ყვავილს და ფოთოლს,
მიჰქრის გრიალით გულამაყი, თავაწყვეტილი,

და წინ გაიგდებს ბუღს მტვერისას, მწყემსებს და ჯოგებს.
ოსტატმა ჩემმა წამს შეუშვა ხელი ჩემს თვალებს,
მითხრა: — „აწ გმართებს დაძაბული მიმართო მზერა,

„იქითკენ, სადაც მოსჩანს ქაფი, ორთქლი და კვამლი".
ვით ბაყაყები, გველისაგან დაშინებულნი,
წყალს გაირბენენ ტყაპატყუპით და მოკურცხლავენ,

მიაშურებენ თავშესაფარს, ლეყებს, ან ბეჭოს,
ვნახე ასევე უამრავი სულების ხროვა,
ვით გაურბოდა ერთ ვიღაცას შეძრწუნებული,

რომელიც სტიქსზე უშიშარად გადმოდიოდა,
თანაც ფეხები არც კი ჰქონდა დასველებული,
მარჯვენა ხელით იცილებდა კვამლს მოზღვავებულს,

ხოლო მარცხენა გაეშვირა თავის წინაშე.
მივხვდი, ის უნდა ყოფილიყო ცით მონავლენი
და მივუბრუნდი ვირგილიუსს, რომელმაც წამსვე

მამცნო დუმილით მომავლისთვის მეცა თაყვანი,
ჰოდა, რარიგად იყო იგი აღშფოთებული!
მიუახლოვდა მყის კარიბჭეს, შემოჰკრა წნელი,

გაიღო კარი, არ უქნია ძალდატანება.
„ჰოდა, ზეციდან ულმობელად გადმორეკილნო,
„თქვენ ნათესავნო განდევნილნო და საზიზღარნო, —

შესძახა მყისვე იმ საშინელ ზღურბლთან მისულმა, —
„საიდან მოდის თქვენი ეგზომ გულგოროზობა,
„როგორა ჰბედავთ ამბოხებას იმ ძალის მიმართ,

„რომელიც მიზანს ჯერ არასდროს არ ასცდენია.
„ან ტანჯვას თქვენსას აორკეცებს და ამახვილებს.
„გახსოვთ ცერბერი აღრენილი, გააფთრებული,

„კისერგაფცქვნილი და ნიკაპი შემოღადრული"...
შემდეგ მიიქცა ტალახიან გზისაკენ იგი,
არ შეგვამჩნია აღარც ჩვენ და არც სხვა მრავალი,

106 და ჩვენც გავწიეთ იმ მიწისკენ წმინდა სიტყვებით
გამხნევებულნი და იმედით გულმოცემულნი.
შევედით ისე, შებრძოლებაც არ მოგვხდომია,

109 და მეც მეწადა დამენახა, თუ ამ ციხეში
ვინ დაემწყვდიათ იმ დაგმანულ კარებს გადაღმა.
შესვლის უმალვე მიმოვავლე თვალი გარემოს,

112 და ვნახე ირგვლივ გადაშლილი ჭალაკი დიდი
სავსე წამებით და საშინელ მწუხარებითა.
როგორც არლესთან, სადაც რონის მდორდება წყალი,

115 როგორც პოლასთან ან მდინარე ქვარნაროს ახლოს,
სად იტალიას ჰკეტავს იგი. და მიჯნებს მისას
ულოკავს კალთებს, ეხუტება და ეტმასნება,

118 ასევე ირგვლივ საფლავები ღარავდენ მიწას
უსწორმასწოროდ, საშინელად მიმოქცეულნი.
საფლავებს შორის ლიცლიცებდენ ცეცხლის ენები.

121 როგორც გველები დაკლაკნილი და დაგრეხილი,
ისე სასტიკად მოდებოდა ცეცხლი ლუსკუმებს,
რომ ზედ თამამად გაალღვობდა რკინას მჭედელი.

124 ლუსკუმებისთვის გადაეძროთ მუნ სარქველები,
იდგა ისეთი სიმძიმილი, მწარე გოდება,
რომ ცხადი იყო მოისმოდა წამებულ სულთა

127 ყივილი, ვაჲ და ღნავილი გულშემღონები.
მივმართე ოსტატს: — „ვინ არიან ბედშავნი სულნი,
„ამ ლუსკუმებში დასუდრულნი რომ ხმას გვაწვდიან,

130 „გვასმენენ ეგზომ უსასოო, მწუხარე კვნესას“.
და მან მომიგო: — „აქ არიან ჰერეზიარქნი,
„კერპთა ქურუმნი, მწვალებელთა მამამთავარნი,

133 „მათი ამყოლი, ასაბია და მიმდევარი.
„ვინც სწავლას მათსას ემხრობოდა თანმიმდევრობით
„მსგავსი მსგავსთან წევს და ლუსკუმებს სხვადასხვაგვარი

136 „ცეცხლი უნთია ყოველის მხრივ შემოგზნებული“.
მიჰყვა მხარმარჯვნით და დავაგდეთ წამების არე,
და გადავლახეთ გალავანი ამაღლებული.

ქალაქის კედელთ და დასჯილთა საფლავებს შორის
ვიწრო ბილიკით მიდიოდა ჩემი მეგზური,
და მეც კვალდაკვალ მას მივსდევდი. ბივმართე ოსტატს:

„დიდო გენიავ! ვინაც ჩემი მსვლელობის კვალი,
„შენი მაღალი ნებისამებრ, უწმინდურობის
„ერთი ბუდიდან მეორეში წარმართე, — გვედრი

„დამიშომშინო სურვილი და საცნაურ მიყო,
ძალგვიძს ვიხილოთ მდებარენი ამ საფლავებში?
„ახდილ ლუსკუმებს დარაჯიც კი არ ახლავს ერთი“.

ბან მიპასუხა: — „ეს საფლავნი დაიხშობიან,
„იოსაფატის ჭალიდან რომ მოვლიან სულნი,
„იქ დატოვებულ სხეულებით განკაცებულნი.

„აქეთ გაშლილან სამარხები ეპიკურისა,
„და ამ მოძღვარის მიმდევართა, ვინც ღაღადებდნენ
„შესახებ სულის სიკვდილისა სხეულთან ერთად.

„აქ შევეცდები გიპასუხო შენს შეკითხვაზე,
„და შეგისრულო სათხოვარი მეორე კიდევ,
„რომლის შესახებ არას ამბობ“. შევკადრე ოსტატს:

„ჩემო კეთილო წინამძღოლო! გულის გაღება
„მე შენს წინაშე არ ვისურვე იმისთვის მხოლოდ,
„თავი ზედმეტი საუბრით რომ არ შეგაწყინო“.

„ო, ტოსკანელო! ხორციელად რომ სტუმრებიხარ
„ამ ცეცხლმოდებულ სამყოფელსა, სადაც გაისმის
„სათნოდ მეტყველნი შენნი ხმანი, შესდექი ერთს წუთს!

„ეგ ტკბილი ენა გარკვეულად ამჟღავნებს, რომ შენ
„იმ კეთილშობილ ქვეყნის ძე ხარ, რომლისათვისაც
„მე შეიძლება მავნებელი ვიყავი მეტად“.

მოულოდნელად შემომესმა სიტყვები ესე
ერთი პირღია საფლავიდან; შეშინებული
მე უფრო ახლოს მივეკარი ჩემს წინამძღოლსა.

მითხრა ოსტატმა: — „მიიხედე, რა გემართება?
„ფეხზე დამდგარა ფარინატა საფლავის თხრილში, —
თავით წელამდე შეგიძლია მისი დანახვა“.

34 და ჩემი თვალი ფარინატას თვალს შეეყარა,
იგი ამაყად აღმართავდა შუბლსა და მკერდსა,
თითქოს წამება ზიზღსა ჰგვრიდა მას მარტოოდენ.

37 ხელის საჩქარო და ძლიერი ამოძრავებით
მიმაახლოვა ფარინატას საფლავს ოსტატმა,
და მითხრა თანაც: — „საუბარი მოსჭერით მოკლედ".

40 შევდეგ უსიტყვოდ საფლავის წინ, და ფარინატაც
ჩუმად მიმზერდა ამაყად და ზეიადად ერთს ხანს;
შემდეგ მომმართა: — „წინაპარნი ვინ იყვნენ შენნი?"

43 მე მოვინდომე შესრულება მისი ნებისა.
და ჩემს პასუხში ყველაფერი გულახდით ვამცნე.
მაშინ თვალები ზე აღმართა ფლორენციელმა

46 და მითხრა: — „შენი წინაპრები, — ჩემი და ჩემთა
„ნათესავთა და მიმდევართა მოსისხლე მტრები, —
„ორჯერ განვდევნე სამშობლოდან"! „ჰო". — ვუპასუხე.

49 „ისინი მართლაც განიდევნენ. მაგრამ უკანვე
„შესძლეს ხელახლა დაბრუნება, როგორც პირველად,
„ისე მეორედ; თქვენებმა კი ეს ვერ ისწავლეს".

52 მაშინ სამარხის თავსახურის უკანა მხრიდან.
მოულოდნელად სხვა ცოდვილმა თავი ამოჰყო.
ვფიქრობ, მუხლებზე დაჩოქილი თუ იყო იგი.

55 მიმოიხედა ჩემს გარშემო იმგვარად, თითქოს
სურდა, რომ გვერდით დაენახა სხვა ვინმე კიდევ,
მაგრამ, როდესაც დაიფერფლა მისი იმედი,

58 წარმოსთქვა მოთქმით: — „ამ ბედშავს და ბნელ საპატიმროს
„თუ შენ სწვევიხარ საკუთარის გენიის ძალით,
„მაშინ რა მოხდა, რომ შენს გვერდით ვერ ვხედავ ჩემს შვილს?"

61 ვუთხარ: — „არა ვარ საკუთარის ძალით მოსული;
„აი, აგერ იქ მელოდება მომყვანი ჩემი:
„ეგებ ნაკლებად ა ფ ა ს ე ბ დ ა მას შენი გვიდო".

64 მისმა სიტყვებმა და სასჯელის ხარისხმა უკვე
ჩვენთვის ნათელჰყო ვინაობა იმ ცოდვილისა;
აი, პასუხი პირდაპირი რად იყო ჩემი.

67 ზე წამოიჭრა ის უეცრად და შემომძახა:
„ა ფ ა ს ე ბ დ ა ო? ნუთუ იგი მკვდარია უკვე?
ნუთუ მის თვალებს აღარ ჰმოსავს ნათელი ტკბილი?“

70 და რა შემნიშნა, რომ მე პასუხს ვაგვიანებდი,
ცოდვილი მყისვე გადაბრუნდა საფლავსა შიგან,
და იმის შემდეგ არ უხილავს ჩემს თვალებს იგი.

73 სამაგიეროდ მას, ვისთვისაც შევჩერდი მე იქ,
ჩემგან ნათქვამით არ შეცვლია სრულიად სახე, —
იდგა უძრავად კვლავ ზვიადი და უდრეკელი.

76 იგი ხელახლა დაუბრუნდა შეწყვეტილ ბაასს:
„თუ სამშობლოში ვერ დაბრუნდნენ ჩ ე მ ი ა ნ ე ბ ი,
„ამ სარეცელზე უმეტესად მაწუხებს ეს მე.

79 „მაგრამ აღგზნებას ვერ მოასწრებს ორმოცდაათჯერ
„სახე აქაურ ღვთაებისა, რომ შენ იხილავ,
„თუ რა სამძიმო შეიქმნება ეს დაბრუნება.

82 „გაფიცებ ნათელ სამყაროში მიქცევის იმედს,
„შემატყობინო, თუ რად სტანჯავს ეს ხალხი ასე
„ჩ ე მ ე ბ ს თავისი საშინელი კანონმდებლობით“.

85 მე ვუპასუხე ამის გამო: — „სისხლისღვრა დიდი,
„რომელმაც ზვირთნი არაბიის წითლად შეღება,
„იწვევს გულიდან ჩვენს ტაძარში ამნაირ ლოცვებს“.

88 ამოიოხრა, გააქნია თავი და მითხრა: —
„მარტო არ ვიყავ ამ საქმეში და ჭეშმარიტად,
„მე სხვებთან ერთად უმიზეზოდ არ ვმოქმედობდი.

91 „სამაგიეროდ მე ვიყავი ერთი იქ, სადაც
„ერთხმად გადასწყდა დედამიწის პირიდან აღგვა
„ფლორენციისა, და შევსძელი დამეცვა იგი“.

94 დეე მშვიდობა დაუმკვიდრდეს ამიერიდან
„შენს მოდგმას! მაგრამ ეგებ ჩემი ფიქრების ხლართი
„გახსნა როგორმე, — მოვუბრუნდი ამგვარის თხოვნით:

97 „მე ვფიქრობ, თუ კი არა ვსცდები, რომ მომავალი
მთელი იმისი შედეგებით ხსნილია თქვენთვის.
თუმცა კი ნაცვლად თქვენს წინაშე დახშულა აწმყო“.

„ვით დასუსტებულ თვალთახედვის მქონენი, ისე
„ჩვენ უკეთ ვარჩევთ, — მიპასუხა. — შორეულ საგნებს;
„მეუფემ ესდენ გაგვანათლა უზენაესმა.

„მაგრამ, როდესაც მოვლენანი ახლოვდებიან,
„ჩვენი შორსხედვა ამაოა, და, თუ არ გვამცნეს,
„ვერ ვიგებთ თქვენი მიწიერი ცხოვრების ამბავს.

„აი აქედან შეგიძლია მიხვდე, რომ ჩვენი
„წინასწარხედვის ნიჭი მყისვე მოჰკვდება, როგორც
„მომავლის ბჭენი სამუდამოდ დაიხშობიან“.

მაშინ, ვსცანი რა საკუთარი დანაშაული,
ვუთხარ: — აუწყე შენს მეზობლად წაქცეულ ცოდვილს,
„რომ მისი შვილი ცოცხალია ამჟამად კიდევ.

„და თუ მე ნაცვლად პასუხისა ხმა არ დავსძარი,
„ეს მოხდა მხოლოდ იმ ფიქრებში გართვის მიზეზით,
„რომელიც ახლა გამირკვია შენს მიერ თქმულმა“.

ოსტატი უკვე მიმიხმობდა. ამის მიზეზით
მე დავაჩქარე ცოდვილისთვის მიმეცა კითხვა,
თუ მასთან ერთად პატიმარნი ვინ ისხდნენ კიდევ.

მითხრა: — „ჩემს გვერდით აქ დაყრილან ათასზე მეტი.
„მათ შორის ფრიდრიხ მეორეა და კარდინალი;
„ხოლო შესახებ დანარჩენთა მე არას ვიტყვი“.

ის დაიმალა ამის შემდეგ: მეც გავემართე
მგოსნისკენ, თანაც მაფიქრებდა სიტყვები თქმული
ფარინატასგან, ჩემის აზრით, მუქარით სავსე.

კვლავ გზას გაუდგა წინამძღოლი და მკითხა თანვე:
„რაა მიზეზი, ასე ძლიერ რომ მოიწყინე?“
და მეც პასუხი მოვახსენე ამ შეკითხვაზე.

„დეე ხსოვნაში ღრმად ჩაგეჭრას, — მიბრძანა **ბრძენმა,** —
„შენს წინააღმდეგ დამუქრების შემცველი სიტყვა;
„მაგრამ მისმინე! — და მან თითი შემართა მაღლა, —

„როს წარუდგები შენ იმ ქალის უნათლეს სახეს,
„ვისი ბრწყინვალე თვალთახედვა სჭვრეტს ყოველივეს,
„შენი ცხოვრების მომავალ გზას გაუწყებს იგი“.

133 სთქვა ეს და მარცხნით გადუხვია, ჩვენ მოვიტოვეთ
უკან ქალაქის გალავანი და ამ ქალაქის
ცენტრს მივაშურეთ ჭალისაკენ დაშვებულ გზითა.

136 ჭალიდგან გახრწნის ოხშივარი აღწევდა უკვე.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ

უზარმაზარი, ნაპრალებით ტანდარღვეული,
კლდეების პირით მიმავალნი, თავს წავადექით
კიდევ უმეტეს სატანჯველით დასჯილთა კრებულს.

4 რა ვერ გავუძლეთ საშინელი უფსკრულის სიღრმით
აღმონათხევი ოხშივარის საზიზღარ სუნსა,
ვეებერთელა საფლავის ქვას ამოვეფარეთ!

7 და იქ ვიხილე მე შემდეგი ეპიტაფია:
„ჩემს შიგან პაპი ანასტასე დამკვიდრდა ბინად,
„ვისაც ფოტინმა დაუბნია გზა სიმართლისა“.

10 „ჩვენ აქ ნელინელ მოგვიხდება დაშვება დაბლა,
„თანისთანობით ამ სიმყრალეს რომ შევეჩვიოთ;
„ხოლო შემდეგში ის საგრძნობი იქნება ნაკლებ“.

13 ვკადრე პასუხად მე ოსტატსა: — „გთხოვ მოიგონო
„ისეთი რამე, რომ ამაოდ დრო არ ვიდოდეს“.
მომიგო: — „ვფიქრობ მე ამაზე, ხომ ხედავ თვითონ.

16 „ამ კლდეთა შორის, შვილო ჩემო, — განაგრძო შემდეგ, —
„სამ იარუსად დაწყობილან ვება გარსნი.
„მსგავსათ მათისა, რომლებშიაც იყავი უკვე,

19 „გარსები ესე გავსილია დასჯილ სულებით;
„და რომ იკმარო შენ იმათი დანახვა მხოლოდ,
„მსურს აქ გაუწყო მიზეზები მათი დასჯისა,

22 „მოყვასისათვის მიყენება ზიანის, ვნების
„ბოროტ განზრახვის მიზანია, და შესრულება
„ხდება ამ მიზნის ტყუილით და ძალდატანებით.

25 „ტყუილი — ეს ხომ მანკი არის კაცთა ბუნების,
„იგი ისჯება უმკაცრესად. აქ მატყუარნი,
„ღვთისგან უმეტეს შერისხულნი, ძირს ჰყრიან უფრო.

28 „გარსი პირველი სავანეა მოძალადეთა,
„და, ვით ზიანი ძალადობით ხდება სამგვარი,
„ამიტომ იგი დაუყვიათ სამ გარსად კიდევ.

31 „ძალდატანება შესაძლოა ღმერთზე, მოყვასზე
„და თავის თავზე: დაატყდება პირს ან მის დოვლათს
„იგი, ამაში დაგარწმუნებ ახლავე ნათლად:

34 „კაცის მკვლელობა, დაშავება, სხვისი ქონების
„განადგურება, გატაცება, აკლება, დაწვა —
„ძალდატანებად ჩაითვლება მოყვასის მიმართ;

37 „ამიტომ მკვლელნი, დამკოდველნი სამძიმოდ, ცეცხლის
„წამკიდებელნი და მძარცველნი ცალკე ბრბოებად
„პირველ ქვეგარსში მისცემიან წამებას მისჯილს.

40 „კაცს შეუძლია მიიტანოს ძალდატანება
„საკუთარ თავზე, ქონებაზე: და ამის გამო
„მისთვის მეორე ქვეგარსია სასჯელის ბუდედ,

43 „ვინც თვითნებურად თავს ანებებს საწუთროს თქვენსას,
„ან ვინც წააგებს ან გაფლანგავს თავის ქონებას,
„და შემდეგ სტირის იქ, სადაც მას ჰმართებდა ლხენა.

46 „უფლისა მიმართ ის ილაშქრებს ძალდატანებით,
„ვინც თავის გულში უარსა ჰყოფს უწმინდეს სახელს,
„და ვინც ღმერთსა ჰგმობს მისგან შექმნილ ბუნების გმობით.

49 „აი, ამიტომ მცირე გარსში მოქცეულია,
„ვინაც ატარებს დაღს სოდომის და კაჰორისას.
„და ღმერთი ვისაც ვერ უგრძვნია საკუთარ გულში.

52 „კაცს შეუძლია, რომ ყოველი სულის მქენჯნავი
„მოტყუილების მსხვერპლად იგიც გახადოს, ვისაც
„აქვს დაჯერება და ის, ვინაც არ ხარჯავს რწმენას.

55 „მეორე დარგის მოტყუება ბუნების ძალთა
„ძიერ გაბმული სიყვარულის კავშირსა სთიშავს;
„და ამიტომაც მოქცეულა მეორე გარსში:

58 „ფარისევლობა, პირფერობა, სიყალბე, ჯადო,
„მაჭანკალობა, მკრეხელობა, მექრთამეობა,
„სიმონია და სხვა ამგვარნი საქმენი ბილწნი.

„პირველი დარგის მოტყუება ძირფესვიანად
„სპობს ბუნებრივი სიყვარულის ჩანასახს, მასთან
„გრძნობას, რომელიც ჰქმნის შემდეგში ურთიერთ რწმენას.

„აი, ამიტომ უკანასკნელ უმცირეს გარსში
„მსოფლიოს ცენტრში, სადაც ტახტზე დამჯდარა დიტე,
„მარადისობა მოღალატეს მუხრუჭებს უჭერს".

„ოსტატო, — ვარქვი, — ყოველივე შენს მიერ თქმული
„გასაგებია და იძლევა სწორ წარმოდგენას
„ამ უფსკრულის და შიგ მოქცეულ ცოდვილთა ირგვლივ.

„მაგრამ მაუწყე: ამ ნისლოვან ჭაობში სულნი
„წვიმით გვემულნი, ქარის ფრთებზე მოფარფატენი,
„ან ერთმანეთზე მიწეულნი ბინძური ლანძღვით,

„რად არ დასჯილან ალმოდებულ ქალაქის ცეცხლში,
„თუ კი მათ რისხვა დასტეხიათ თავზე უფლისა?"
„ხოლო თუ არა, რისთვისღაა სასჯელი ესე?"

„მან მიპასუხა: — „რა მიზეზით აძბოხებულა
„ჩვეულებრივის წინააღმდეგ გონება შენი?
„ან თუ რაიმე სხვა საგანზე მიმართე აზრი?

„ნუთუ არ გახსოვს კანონები, რომლითაც სამი
„ადამიანის ცოდვით სავსე ძიდრეკილება
„განსაზღვრა შენმა ეთიკოსმა შემდეგი სახით:

„გულარძნილობა, სიბოროტე და გულმხეცობა.
„გულარძნილობა, შეურაცხყოფს ღვთაებას ნაკლებ
„და ამის გამო ნაკლებადაც ისჯება იგი.

„თუ კარგად გინდა შეიგნო ეს ჭეშმარიტება,
„წარმოიდგინე შენ — გარეშე ამ გარსებისა —
„რაგვარ სულთა აქვსთ მიჩენილი ადგილი ტანჯვის:

„მაშინ შეიგნებ, თუ ისინი რისთვის არიან
„ქვედა გარსების ცოდვილთაგან გამოყოფილი,
„და მათ ნაკლებად რისთვისა სჯის ღვთის მსაჯულება".

„მზეო, მკურნალო დაბნელებულ თვალთა ხედვისა,
„კითხვების ახსნით შენ ესოდენ მაბედნიერებ,
„რომ ჩემთვის ეჭვი საჭიროა, ვითარცა ცოდნა.

„გთხოვ ერთხელ კიდევ, დაიხიო ოდნავად უკან
„და მითხრა, თუ ვით შეურაცხყოფს მექრთამეობა
„ცის სათნოებას: გამიხსენი ეს კვანძი, გვედრი“.

„ფილოსოფია, — მიპასუხა, — ბევრ თავის დარგში
„ასწავლის ყველას, ვინც ისურვა ისწავლოს მისნი
„საიდუმლონი, რომ ბუნებას სათავეს აძლევს

„ღვთის გონება და ხელოვნება; ხოლო თუ კი შენ
„გულმოდგინებით ჩაიხედავ შენს ფიზიკაში,
„ამოიკითხავ თავშიდავე, რომ ხელოვნება

„თქვენი, რამდენად შეიძლება, ბუნებას ჰბაძავს,
„როგორც შეგირდი თავის ოსტატს, და რომ ღვთისაგან
„ვით პაპისაგან შვილიშვილი, გამოდის იგი,

„ახლა, თუ კი შენ დასაწყისი შესაქმის წიგნის
გაგახსენდება, მიხვდები, რომ ეს ორი წყარო
„კაცსა ანიჭებს სიცოცხლეს და ცხოვრების სახსარს.

„ხოლო მექრთამე სხვა გზით მიდის: ის უმხედრდება
„ბუნებასა და ხელოვნებას მისგან გამოსულს,
„და თავის იმედს სხვა რამეზე ამყარებს მუდამ.

„აწ კი მომყევი — მიმიწოდებს სურვილი წინ მე:
„უკვე აენთო ჰორიზონტზე თევზის ნიშანი
„და თითქმის ეტლის ზოდიაკო შთავიდა ჩრდილოს.

„და ეს იქ, სადაც ეშვებიან კლდეებით დაბლა“.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔᲢᲔ

ადგილი იგი, რომელთანაც ჩვენ მივაღწიეთ,
იყო პიტალო, უფსკრულისკენ დაქანებული.
ასე მეგონა მდგარ ვიყავი მე ტრანტის ხევში.

ადიჯის პირას, სად მეწყერი და მიწის ძვრები
ლაღრავენ მიწას და ფლატეებს აზანზარებენ.
აქ ნიადაგი ზედ საყრდენსაც ვეღარ ჰპოულობს.

მთის მწვერვალიდან მოშორებულ ველის პირამდის
კლდისა ფერდები ისე ცერად შემართულიყვნენ,
რომ არსაიდან საცალფეხოც არ სჩნდა ბილიკი,

10 რომლითაც მგზავრი დიდის ჯაფით მიაღწევს ზეთავს.
იწვა თხემისა ზედაპირზე კრეტას სირცხვილი —
დემონი იგი, ვინც შეიცვნეს ერთხელ ყალბ ძროხად.

13 როცა შეგვნიშნა, წამსვე სხეულს თავის საკუთარს
დაუწყო კბენა ბრაზისაგან გახელებულმა.
შესძახა მაშინ მინოტავროსს ბრძენმა მეგზურმა:

16 „ხომ არ გგონია მოსულიყოს აქ შენი მკვლელი,
„ის სეფეწული ათინისა, ვინც იმ სოფელში
„მოგიღო ბოლო და ქვესკნელში შთამოგაგზავნა.

19 „წა, არაწმინდავ, იგი მოვა მხოლოდ და მხოლოდ
„ნახოს და დასტკბეს აქ ქვესკნელში თქვენის წამებით".
როგორც მოზვერი, სასიკვდილო ჭრილობის შემდეგ

22 საბელს რომ გასწყვეტს, უშედეგოდ დაიწყებს ხლტომას,
ასე ბორგავდა მინოტავროს, მაშინ ოსტატმა
გაფრთხილებულმა მომაძახა: — „ძირს ჩაირბინე,

25 „ვიდრემდის იგი გახელებით ბორგავს, სხმარტალებს".
ჩავყევით ბილიკს და დაფშვნილი ქვების ყორეზე
ძლივს ვიმაგრებდი საკუთარი ტანის სიმძიმეს.

28 მე ჩავდიოდი თავდაღმართზე ჩაფიქრებული.
ოსტატი ჩემი მომიბრუნდა და მეუბნება:
„ალბათ შენ ჰფიქრობ ამ დალეწილ კლდეთა ნაფშვენზე,

31 „რომელსაც ახლა უთვალთვალებს ის ცოფიანი,
„პირველითგანვე. როცა ჩაველ ქვესკნელის ფსკერზე,
„ირგვლივ მდებარე თვალუწვდენი სალი კლდეები

34 „ჯერაც არ იყვნენ დამსხვრეული და დალეწილი.
„მცირე ხნის წინად. თუ მე ხსოვნა აღარ მღალატობს.
„იმის მოსვლამდის, ვინც ქვესკნელში დიტეს წარსტაცა

37 „პირველი გარსის უდიდესი ნაალაფარი.
„და ეგ ტაფობი საშინელი, თვალშეუვლები
„შეკრთა, შეინძრა, შეზანზარდა გვრილიაშემო,

40 „ასე მეგონა ეს სამყარო უშველებელი
„ბორგავდა მისის სიყვარულით შეტოკებული,
„ვინც არა ერთხელ ეგ ქვეყანა თვალშეუდგამი

„ხელახლა გაჰქნა ამბოხებულ ქაოსის მტვერში.
„ასე ამგვარად, ამ ადგილას აგრეთვე სხვაგან
„კლდე ძველთა ძველი ნაფხვენებად გადაქცეულა.

„დაძაბე მზერა, ჩაიხუტე ემანდ უფსკრულში,
„ვინადგან ახლა სისხლის ღელეს ვუახლოვდებით,
„იხარშებიან ამ ღელეში სწორედ ისინი,

„ვინც თავის მოყვასს აყენებდა ძალდატანებას".
ბრძოო სიხარბევ. და სიცოფევ აღვირახსნილო,
ეს თქვენ გვაქეზებთ ამ სიცოცხლის მოკლე მანძილზე,

რათა მარადჟამს ვიწვებოდეთ სისხლის მორევში.
ვნახე გარშემო შემორტყმოდა ველს დიდი ხარო,
ჩემმა მეგზურმა რომ მიამბო სწორედ ისეთი,

კლდის ნამუსრევთა და ამ ორმოს ვრცელ ოლეებში
დააბოტებდენ კენტავრები მშვილდ-ისრით ხელში,
ისევე, როგორც ეს სჩვეოდათ მათ სააქაოს.

რა დაგვინახეს ამ დაღმართით ჩამომავალნი,
შესდგენ და სამი იმათგანი ჯგუფს გამოეყვნენ.
მოგვიახლოვდნენ, მშვილდ-ისარიც მყის მოიმარჯვეს.

და სამთაგანმა მოგვაძახა ერთმა კენტავრმა:
„რომელ წამების სანახავად მოდიხარო გვარქვით,
„ან რომელ მხრიდან წამოსულხართ გვითხარით მალე.

„თორემ ახლავე დაგეწევათ ისარი მალი".
მიუგო მაშინ მას მეგზურმა დარბაისელმა:
„ამის შესახებ მოვახსენებთ პასუხს, ჩვენს ხირონს.

შენ კი, გულფიცხო, რომ წინადაც გიცნობდენ ისე,
„როგორც მშვილდოსანს სულწასულსა და მოუთმენელს".
მეგზურმა ჩემმა ხელი მკიდა და მეუბნება:

„ეს არის ნესუს, მშვენიერი დეჟანირასთვის
„ოდესღაც თავი რომ გასწირა და მოიკვდინა.
„შუაში მდგომი არის თავათ დიდი ხირონი,

„რომელიც იყო მამამძუძე აქილევსისა,
„ხოლო მეორე ფოლუსია გახელებული.
„ეს მშვილდოსნები გარს უვლიან ხირონს ათასგზის,

„და ვაჲ იმას, ვინც დასტოვებს მიჩენილ ადგილს
„დანაშაულის შესაფერად მუნ მიკუთვნებულს“.
მივუახლოვდით ჩვენ ორნივე ფეხმარდ კენტავრებს;

ხირონმა ხელში მოიმარჯვა წამსვე ისარი,
და ისრის წვეტით გაიჩეჩა გრძელი წვერები,
ასე მიმართა თანამგზავრებს გვერდით მდგომარეთ:

„თქვენ დააკვირდით იმ მეორეს უკან მომავალს,
„არც ერთი მკვდარი ქვაზე ფეხებს ასე არ ადგამს“.
ჩემი ოსტატი გვერდით უდგა იმ წამში ხირონს,

სიმაღლით თვისით მისწვდა იგი კენტავრს მკერდამდის —
სად ცხენის ტანი უერთდება კაცის თავკისერს.
ეუბნებოდა: — „დიახ, იგი ცოცხალი არის,

„მე დავიკისრე მას ვაჩვენო ეს ბნელი ველი.
„უცილობლობამ მოიყვანა ის ამ ქვესკნელში,
„არა სურვილმა უმიზეზოდ აჩემებულმა

„ერთმა ასულმა ზეციური დასთმო ოსანას
„რათა მას ჩემთვის დაეკისრა ეს დავალება
„არ არის იგი, ავაზაკი, არც მე ვარ მავნე,

„გაფიცებთ სახელს იმ არსისას, ვინც ჩემს ნაბიჯებს
„მართავს ამ გზაზე, წარგვიმძღვარე ერთი თქვენგანი,
„რათა გვიჩვენოს მდინარეზე მეგზურმა ფონი,

„და კაცი ესე, ვინც სულსავით ვერ აპობს ჰაერს,
„ზურგზე შეისვას და ამგვარად წამოიყვანოს“.
ხირონი ნესუსს მიუბრუნდა და ეუბნება:

„გაბრუნდი უკან, გააცილე და დაიფარე“.
ასე ვიარეთ კენტავრების მფარველობის ქვეშ,
სისხლიან ღელეს მივყვებოდით, და მოგვესმოდა

სისხლში ჩაყრილთა სიმძიმილი დია ფრიადი.
ვსჭვრეტდი ცოდვილებს — წარბებამდის სწვდებოდათ სისხლი.
დიდი კენტავრი გვეუბნება: — „შეხე ტირანებს

„სისხლში, ძარცვაში ვისაც ედოთ მიწაზე წილი.
„ჰა, ალექსანდრე. მანდ სასტიკი, მხეცი დიონის,
„ვინც სიცილიას არა ერთი მოუგვარა ჭირი;

„ეგერ ეცელინ შავი თმებით შუბლშებურვილი,
„ხოლო მის გვერდით სდგას მტარვალი, ობიცცო დ'ესტე,
„რომელიც გერმა მოაკვდინა იმ სამყაროში".

მე გადავხედე ვირგილიუსს, ის მეუბნება:
„პირველად იგი მიიჩნიე, მე კი მეორედ".
მცირე ხნის შემდეგ დააკვირდა ერთ ბრბოს კენტავრი,

კისრამდის იყვნენ ცოდვილები სისხლში ჩაფლული.
მანვე გვიჩვენა განზე მდგარი ერთი ცოდვილი,
გვითხრა: — „ამ კაცმა ღვთის ტაძარში მოჰკლა მოყვასი,

„რომელსაც ახლაც იხსენიებს ინგლისის მხარე".
შემდეგ ვიხილე მე ლანდები სისხლის ღელეში,
რომელთაც უჩნდათ სისხლის ზემოდ მთელი სხეული.

და შევიცანი მე მათ შორის რამოდენიმე.
სისხლის მდინარე წვრილდებოდა თანდათანობით,
და იმ ადგილას, სადაც ღელე იყო იმდენად

მარჩხად გაშლილი, კოჭებამდის გვწვდებოდა სისხლი,
ჩვენც იქ ვარჩიეთ იმ მდინარის გაღმა გადასვლა.
„შენ როგორც ჰხედავ, ეგ მდინარე კლებულობს გზა-გზა. —

მითხრა კენტავრმა, — მაგრამ ნახავ მეორე მხარეს,
„უფრო და უფრო გაღრმავდება სისხლისა ხევი,
„იქ კი ტირანებს წარბებამდის ადგება სისხლი.

„ეს იმ ადგილას, სად ღვთიური განაჩენისგან
„სისხლის მორევში ჩაუგდიათ მეფე ატილა,
„რომლის სიმკაცრე დედამიწას აზანზარებდა.

„იქვე შეამჩნევ შენ ტირანებს პირუს და სექსტუსს,
„ნახე მდუღარე, აჭოთებულ სისხლის მორევში
„მდუღარე ცრემლებს რომ აფრქვევენ ღა სულს ღაფავენ;

„ერთი მათგანი არის თავათ რენე კორნეტო,
„ხოლო მეორე, მის მახლობლად რენე დი პაცცო,
„რომელნიც მგზავრებს თავს ესხმოდენ დიდ თემშარებზე".

სთქვა და გაბრუნდა, გადალახა მეორედ ფონი.

ჯიდრე ნესუსი გავიდოდა მდინარის გალმა,
ჩვენ ერთ უდაბურ. უბილიკო ტევრში შევედით,
მწვანისა ნაცვლად ტყეს მოსხმოდა შავი ფოთლები,

ირგვლივ ტოტები კუთხიანი და დაგრეხილი.
აქ ნადირები ბინადრობენ სწორედ იმგვარი,
თავზარს რომ სცემენ კორნეტოს და სეკინას მცხოვრებთ.

ბუდეს იგებდენ აქ ჰარპები გულშემზარავი,
სტროფადის მკვიდრი ტროელები რომ გამოდევნეს,
და მათ აუწყეს ჟომავალი ბედითი ჟამი.

ჰარპებს ზედ ესხათ ტანზე ფრთენი უშველებელი,
და თავ-კისერი ჰქონდათ მხრებზე ადამიანის,
ფეხებზე ესხათ უჩვეულო ბასრი ჭანგები,

ხოლო მუცელზე ბანჯგვლიანი ემოსათ ბუნტყლი.
ისხდენ ხეებზე და ისმოდა ხანგამოშვებით,
მათი ძახილი საოცარი და აბაზრზენი.

და შემესიტყვა მე კეთილი ოსტატი ჩემი:
„ხამს ვიდრე მანძილს შორეულსა შეუდგებოდე,
„იცოდე ახლა დაიწყება გარსი მეორე,

„და გარსი ესე დაილევა, როცა მივაღწევთ
„ძიდამოს მწუხარს, უდაბურსა და ქვიშიანსა.
„დაუკვირდები ყოველივეს და შენ შეამჩნევ

„სანახაობას საოცარსა და გასაკვირველს.
„ასე რომ მკრთალად გეჩვენება ნათხრობი ჩემი“.
ყოველი მხრიდან მომესმოდა კვნესა, წუხილი,

მაგრამ მე თვალით ვერ ვხედავდი თუ ვინ ოხრავდა.
შიტომაც შევსდეგ ნაღვლიანი, ჩაფიქრებული.
მგოსანს ეგონა: მე ვერ მივხვდი თუ რა ხდებოდა,

ამ ხეებისგან გამომავალ ურვას, გოდებას
ვაწერდი თითქოს უღრან ტყეში დამალულ სულებს.
და მითხრა: — „თუ შენ რომელიმე ხის შტოს მოსტეხავ,

„ნახავ რაროგად შეგეცვალოს გულში ნაზრახი“.
გავშართე ხელი, უშველებელ, ეკლიან ხიდან
მოვსდრიკე ტოტი, შევაბრუნე და ჩამოვსტეხე.

34 იკივლა წამსვე ტანმა ხი'ამ: — „რისთვის მომტეხე?“
და შემდეგ, როცა სისხლისაგან სულმთლად გაშავდა:
„ნუთუ მცირედი სასოებაც არ გაგაჩნია.

37 „ოდესღაც ჩვენაც ქვეყანაზე კაცნი ვიყავით,
„ახლა შენც ჰხედავ ხის ტანი ვართ გარინდებული.
„ხამს ხელი შენი ყოფილიყო უფრო შემწყალე

40 „თუნდ გველის მართვის რომ ჩაგსვლოდა სხეულში სული“.
ვით ნორჩი ტოტი ცალმხარეზე ალმოდებული
მეორე მხარეს შეჰქმნის შუშხუნს და აცრემლდება,

43 ასევ ამ შტოდან თანაბარად გამოჟონავდენ
სისხლი და სიტყვა. ამიტომაც შევუშვი ხელი,
და დავემსგავსე დაშინებულს ანაზდეულად.

46 „სულო ვნებულო, — შეესიტყვა ჩემი ოსტატი, —
„რომ შესძლებოდა მას წინდაწინ ერწმუნებინა
„ის, რაც ოდესღაც ჩემს ლექსებში ამოუკითხავს,

49 „არამც და არამც არ გახლებდა იგი შენ ხელსა.
„და ეს ყოველი იყო ისე გაუგონარი,
„რომ სამწუხაროდ წავაქეზე ამ საქციელში,

52 „რათა საბაბი ამნაირად მას მისცემოდა
„შენი სახელი საიქიოს ეხსენებინა,
„სადაც მას ისევ გაბრუნების ნება აქვს სრული“.

55 ხემ უპასუხა: — „ისე მხიბლავ შენი სიტყვებით,
„დუმილის დაცვა ამიტომაც არ შემიძლია.
„ხელში მეკაცა ორი კლიტე ფრიდრიჰის გულის,

58 „ისე ხელმარჯვედ ამ იარაღს ვატრიალებდი,
„რომ სულ ყველაზე ავუცრუე მბრძანებელს გული.
„ისეთის დიდის სიბეჯითით, გულმოდგინებით

61 „მე ვასრულებდი ჩემს სამსახურს, — ბოლოს და ბოლოს
„დავკარგე ძილი, მოსვენება და კარიერაც.
„და მეძავებმა, ვინც დღედაღამ კეისრის კარებს

64 „შესჩერებოდენ, შეაძულეს მას ჩემი თავი.
„ჟამმა, სასახლის ინტრიგებმა და გარყვნილებამ
„ააბობოქრა ჩემს წინაღმდეგ ყოველი კაცი,

„როცა აუგუსტუსს ჩემზე გული ააყრევინეს, —
„პატივისცემა შემეცვალა მყისვე პატიჟად —
„ამბოხდა სული, — გადავწყვიტე თვითმოკვდინებით

„გამოვქცეოდი ცხოვრებიდან სასტი Სიძულვილს,
„და გულმართალმა წაწყმედის გზა ამოვირჩიე.
„უნორჩესს ფესვებს ამა ხისას აწ გეფიცები

„ბატონისათვის არაოდეს მიღალატნია,
„რადგანაც იგი იყო ღირსი პატივისცემის.
„უკეთუ ერთი თქვენთაგანი იქ მიბრუნდება,

„გთხოვთ ხსოვნა ჩემი მტრების მიერ აწ წაბილწული
„კვლავ აღადგინოთ იმ მიწაზე და გაამართლოთ".
შესდგა მგოსანი, მერმე ისევ მე მეუბნება: —

„დროს ნუ დაჰკარგავ, შეეკითხე, როცა დადუმდეს,
„იმის შესახებ, რაც შენ კიდევ გაინტერესებს".
და ვუპასუხე: — „სჯობს შენ ჰკითხო ჩემს მაგიერად,

„რადგანაც გული ამიჩვილდა სიბრალულისგან,
„მიტომაც ენა ვერ დამიძრავს ხმის გასაცემად".
„ეგ კაცი იტყვის საიქიოს სიტყვას მართებულს,

„მაგრამ ეს გვამცნე, სულო, ეგზომ დატყვევებულო,
„ვით გადასახლდა სული შენი ამ ხის კვირტებში,
„თუ ძალუძს ვისმეს, რომ დაიხსნას იგი აქედან?"

ჰკითხა ოსტატმა ლმობიერად ხეს გარინდებულს.
ამოიოხრა ძალოვანად მაშინ ამ ხემან,
და ოხვრა იგი გარდაიქცა მყისვე სიტყვებად:

„მოკლე პასუხი შესაძლოა გაგცეთ ამაზე,
„როდესაც სული თავის ნებით გამოეხსნება,
„თვისთა კავშირთა უკითხავად გააზატდება,

„იმას მინოსი გადაგზავნის მეშვიდე გარსში.
„ტყეში მოხვდება, არ ექნება აღარსად იმას
„ერთი ადგილი და მუდმივი მუნ სამყოფელი.

„აღმოცენდება იგი, როგორც თესლი იფქლისა,
„ყლორტად ამოვა და იქცევა ველურ ხის ტანად.
„მოვლენ ჰარპები, ბოჰკორტნიან ყლორტებს და ფოთლებს,

„და გაიხსნება იარები ათასნაირი.
„სხვა სულებსავით ჩვენც დავიწყებთ გარკანის ძებნას,
„მაგრამ ვერც ერთი ეღირსება კვლავ შესამოსელს.

„რადგანაც ნებსით მიტოვებულს ვეღარ ვიბრუნებთ.
„წავათრევთ მაშინ ჩვენს ვნებულ სულს ვარამის ტყეში,
„და სათითაოდ ჩამოვჰკიდებთ ცალკეულ ხეზე“.

ყურს მივუგდებდით ჯერაც კიდევ იმ ხისა ჩივილს,
ახალ-ახალი სათხრობელის მომლოდინენი,
როცა ერთბაშად შემოგვესმა აურზაური,

რომლის მინაგვარს გაიგონებს ტახის მარეკი,
უდაბურ ტყეში ჩასაფრული და განაბული,
როცა ატყდება მადევართა ყეფა-განგაში,

მხმარი ფოთლების და შტოების ლიწინ-ლიწინი.
წამს თვალი ვჰკიდეთ — მხარმარცხნიდან ჩვენსკენ მორბოდა,
აქელებული ორი სული შტოების მსხვრევით.

ერთმა მათგანმა დაიყვირა: — „მოვედ სიკვდილო,
„რაღას აყოვნებ, გეველდრები, მოვედ სიკვდილო“.
ხოლო მეორე მოჰკიოდა: — „ო, ჩემო ლანო,

„ასე ფეხმარდი ყოფილიყავ ტოპჰოს ბრძოლაში“.
ეს დაიძახა და ერთ ბუჩქში გაუჩინარდა.
მისდევდა სულებს შავ ძაღლების ლეგეონები,

გახელებული მოროკავდენ როგორც მწევრები,
რომელთაც თავი აუშვიათ საბელებიდან.
მისცვივდენ მყისვე სულგანაბულს ჩირგვში მჯდომარეს,

ბასრი კბილებით დაუღადრეს ბედშავს ფერდები,
დაჰგლიჯეს მერმე და აქციეს ნაკუწ-ნაკუწად,
თან წარიტაცეს მოსხმარტალე მისი სახსრები.

ჩემმა მეგზურმა ხელი მკიდა და მიმიყვანა
აქვითინებულ ბუჩქის ძირას, და დავინახე —
როგორ სდიოდა სველ იარებს სისხლი და ცრემლი.

მოსთქვამდა ბუჩქი: — „ჯიაკოპო და სანტ ანდრეა,
„სთქვი, ზედ საყრდენი ჩემ შტოთაგან გაკეთებული,
„რად გამოგადგა, ან რაღასთვის გამოიყენე,

133 „ან მე ცოდვები შენს მაგივრად რად მომეკითხოს?“
და ჰრქვა ოსტატმა: — „სთქვი ვინა ხარ დაწყლულებული,
„აგრე რომ კვნესი ცრემლნარევი სისხლის მნთხეველი,

136 მიუგო ბუჩქმა ცრემლიანმა და დაკოდილმა:
„ჰეჲ, სულებო, აქ მოსულნო ჭვრეტად წამების,
„რომელმაც აგრე შემომაფცქვნა ფოთოლნი ჩემნი.

139 „გვედრით, მწუხარე ბუჩქის ძირას ჩემი ფოთლები
„მიმოფანტული მოაგროვეთ ისევ ერთ ადგილს.
„ვარ ნაშიერი იმ ქალაქის, ნათლისმცემელმა

142 „მის პირველ მფარველს რომ წაართვა და დაიჩემა,
„მიტომაც მისი ხელოვნება ამწუხრებს გულებს,
„და არნოს ხიდზე მარსის ძეგლი რომ არ მდგარიყო,

145 „გაწეულ ჯაფას დაჰკარგავდნენ ქალაქის მკვიდრნი,
„რომელთაც იგი ხელმეორედ ააღორძინეს
„ატილას მიერ დატოვებულ ნაცარტუტაზე;

148 „მაგრამ ვაჲმე, — დაუმატა ვნებულმა სულმა, —
„ჩემივე სახლი სახრჩობელად გამოვიყენე“.

## ჟ ე ბ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

მშობელი მიწის სიყვარულმა დამიპყრო სრულად.
მაშინ ფოთლები მოვაგროვე მიმოფანტული,
და დავუბრუნე ხეს, რომელიც დადუმდა უკვე.

4 შემდეგ მივედით ჩვენ იქ. სადაც მეორე ნაწილს
გარსის მესამე ემიჯნება ნაწილი, — სადაც
სჩანს ზენაარსის შემრისხველი მართლმსაჯულება.

7 რომ ზედმიწევნით დაგიხატოთ საგნების სახე,
ვიტყვი, რომ ჩვენ ველს მივაღწიეთ იმგვარს, რომელიც
თავის წიაღში არ ახარებს რაიმე თესლსა.

10 მას ტყე სევდისა სარტყელივით გარს მოვლებია,
ვით იმ ტყეს არხი მწუხარების არტყია ირგვლივ.
აქ, ამ საზღვარზე, შევაჩერეთ მსვლელობა ჩვენი.

13 ქვიშა გამშრალი და მხურვალე ჰფარავდა ველსა,
ქვიშა ისეთი, რომლის მაგვარს ოდესღაც ფეხით
სთელავდა კატონ. ო, ღვთიურო შურისძიებავ!

16 რა საშინელი უნდა იქმნე შენ იმის თვალში,
ვინაც კი ჩემის მხედველობის წინაშე გაშლილ
სანახაობის ამ აღწერას გადაიკითხავს!

19 უანგარიშო, უთვალავი ვნახე იქ ურდო
ტანგაშიშვლებულ და მოტირალ აჩრდილებისა.
თითქოს სხვადასხვა დასტეხოდათ სასჯელი თავზე:

22 ზოგნი ეყარნენ გაშოთვილნი. ზოგნიც დამსხდარნი
მოკუნტულიყვნენ საცოდავად, მაშინ როდესაც
ზოგიერთები აქეთ-იქით ვიდოდნენ გაბმით.

25 უკანასკნელთა დიდი იყო რაოდენობა,
ხოლო მათი კი, ვინც ძირს იწვა იყო ნაკლები,
მაგრამ დრტვინვა კი უმეტესი ისმოდა მათგან.

28 მთელს იმ უდაბნოს დასდიოდა თქორივით თავზე
თოვლი ცეცხლისა, ისე როგორც ალპების მთებში
მოცვივის თოვლის ფანტელები უჭარო დღითა.

31 ვით გახურებულ ინდოეთში ცეცხლის ქულები
თავს დასდიოდა ალექსანდრეს მხედრობას ციდან,
და ძირს დაყრილნი განაგრძობდნენ მიწაზე წვასა,

34 რის გამო გასცა ალექსანდრემ ბრძანება ჯარში, —
მიწა ფეხებით მოეთელნათ, რომ ცეცხლის წვიმას
ცეცხლის გაჩენა ვერ მოესწრო და ჩამქრალიყო, —

37 ასე უდაბნოს დასდიოდა მარადი ცეცხლი,
როგორც აბედი ტალკვესის ქვეშ, ის ინთებოდა.
და წამებულებს მით სატანჯველს უორკეცებდა.

40 და ამ ტანჯვაში საცოდავი ხელები მათი
დაუსვენებლივ აქეთ-იქით დაფათურობდნენ,
და შორს ისროდნენ მათ გარშემო დაცემულ ალებს.

43 „შენ დაამარცხე ყოველივე და ყველაფერი, —
მივმართე ოსტატს, — იმ გულზვიად დემონთა გარდა,
„ცეცხლის ქალაქის — დიტეს ბჭესთან რომ შეგვეყარნენ.

46 „ვინ არის აქ ეს გოლიათი, მაუწყე იგი,
„სჩანს არას ფიქრობს ამ საერთო ხანძარის ირგვლივ,
„და წევს ამაყად, ცეცხლის დელგმას არ ჰგრძნობდეს თითქოს.

49 ხოლო მიხვდა რა ეს ცოდვილი, რომ მე ჩემს მგზავრთან
იმის შესახებ ვლაპარაკობ, წამოიძახა:
„სულ იგივე ვარ მე მკვდარი თუ ცოცხალი მუდამ!

52 „იუპიტერმა რომ დასტანჯოს თვისი მჭედელი,
„ვინაც რისხვის დროს გამოსტაცა პირბასრი ელვა
„და მით გულმკერდი გამიგმირა სიკვდილის წუთში;

55 „მან სათითოოდ რომ დასტანჯოს ყველა მჭედელი
„თავისი შავი სამჭედლოსი — გიბელოს მთისა,
„და თან ჰყვიროდეს: — «მომეშველე, ერთგულო ვულკან!»

58 როგორაც იგი გაჰყვიროდა ფლეგრიის ომში;
„ყველა მეხები რომ დამატყდეს იმისი თავზე, —
„ჩემის მოტეხით ის მაშინაც ვერ დასტკბებოდა“.

61 აჭ ისე ძლიერ ამეტყველდა მეგზური ჩემი,
როგორაც უმალ არ მსმენია მისი უბნობა:
„ო, კაპანეოს! გოროზობა არ სცხრება შენი,

64 „მაგრამ სასჯელი მით უმეტეს გაქვს საშინელი;
„შენი უზომო გაცოფება თუ არის მხოლოდ
„ემაგ სიგიჟის ღირსეული სანაზღაურო“.

67 შემდეგ ამისა მე მომმართა: — „ეს არის ლანდი
„შვიდთა მეფეთგან, თებეს ალყა რომ შემოარტყეს,
„რომელიც წინათ ცათამპყრობელს ეურჩებოდა

70 „და ეურჩება აქამომდე, როგორც ემჩნევა;
„სამაგიეროდ სიამაყე, შუბლზე რომ უჩანს,
„დაიმსახურა მან ისე ვით სანაცვლო ჯილდო.

73 „ახლა მომყევი და უფრთხილდი, რომ არ შეახო
„ფეხი ამ ქვიშას ალმოდებულს; რაც შეიძლება
„უნდა ეცადო არ დასცილდე ნაპირებს ტყისას“.

76 დადუმებულნი ტყის სიღრმიდან გამომდინარე
მცირე ნაკადულს მივადექით; მაჟრჟოლებს ახლაც
მეწამულ ფერად შეღებილი ზვირთები მისი.

79 ვითარცა წყარო ბულიკამეს მდუღარე წყალი
რბის და შემდეგში ცოდვილ ქალებს უნაწილდება,
ისე წითელი ნაკადულის რბიოდნენ წყალნი.

ფსკერი მისი და ნაპირები დაფერდებული
ქვის კალაპოტად ქცეულიყო; მე მივხვდი მაშინ —
ჩვენი გზაწვრილი ამ ნაკადულს მიუყვებოდა,

„მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიტოვეთ კარები უკან,
„რომლის გამოვლა აკრძალული არა აქვს არვის,
„შენთვის ჩემს მიერ ნაჩვენები საგნების რიცხვში

„შესანიშნავი არ ყოფილა არცერთი ისე,
„ვით ეს ნაკადი, ალს რომელნიც ანელებს ყოველს“, —
ასეთი იყო სიტყვა ჩემის წინამძღოლისა.

მე ამ სიტყვებმა ჩამინერგეს გამბედაობა,
და ვსთხოვე ოსტატს, რომ დაეთმო ნაწილი ჩემთვის
იმ საზრდოისა, რომელმაც მე აღმიძრა მადა.

მაშინ წარმოსთქვა: — „მდებარეობს შუაგულ ზღვაში
„დაობლებული მხარე კრიტოს. იჯდა ოდესღაც
„იქ მეფე, რომლის დროს ქვეყანა უბიწო იყო.

„იქ ერთი მთაა, ამაყობდა ოდესღაც იგი
„წყალვარდნილებით და სიმწვანით! ხოლო ამჟამად
„მიგდებულია, ვით საგანი ჟამგარდასული.

„ერთ დროს ის რეამ აირჩია, ვით საიმედო
„აკვანი ძისთვის; და ის უკეთ რომ დაეშალა,
„ბრძანა, ყიჟინით დაეფარათ ტირილი მისი.

„მთის შუაგულში სდგას მოხუცი უზარმაზარი;
„ზურგი იმისი დამიეტას მისჩერებია,
„ხოლო თვალები -- რომს, ისე ვით საკუთარ სარკეს;

„თავი მას წმინდა ოქროსი აქვს, ხელები, მკერდი —
„უსპეტაკესი ვერცხლისაგან ვამონაჭედი,
„მთელი სხეული მუხლებამდე აქვს სპილენძისა.

„სხვა დანარჩენი — რკინა არის საუკეთესო.
„მარჯვენა ფეხი აქვს მას მხოლოდ თიხისგან; ამ ფეხს
„ის დაჰყრდნობია უფრო მეტად, ვიდრე მეორეს.

„ყოველ ნაწილში, ოქროსაგან შემდგარის გარდა,
„სჩანან ნაპრალნი, საიდანაც მოსწვეთენ ცრემლნი;
„ცრემლები ესე თავშეყრილნი გაჰკვეთენ მთასა,

„და მოიღტვიან ამ უფსკრულში, სადაც ჰბადებენ
„აქერონს, სტიქსსა და ფლეგეტონს, ხოლო დასასრულ
„აი, ამ ვიწრო გასავალით გადეშვებიან

„იქ, სადაც უკვე აღარ არის სავალი მათთვის;
„მათგან იქმნება იქ კოციტი, ამ ტბის შესახებ
„მე არას გეტყვი — შენ თვითონვე იხილავ მალე".

შევკითხე მაშინ: — „თუ ეს ღელე სათავეს იღებს
ჩვენს ქვეყანაში, განმიმარტე, რაა მიზეზი,
რომ ამ ნაპირზე ხდება იგი ხილული მხოლოდ?"

და წინამძღოლმა მიპასუხა: — „წრისებურია,
შენ თვითვე უწყი, ეს ადგილი, თუმც დიდი ხანი
„ეშვები დაბლა მიმართული სულ მუდამ მარცხნით,

„მაგრამ ჯერ მაინც ყველა წრეებს ვერ დაუარე;
„აი, ამიტომ, თუ საგნები ახალი შეგხვდეს,
„დეე შენს სახეს მათი ხილვა ნუ განაცვიფრებს".

მივმართე კიდევ: — „გთხოვ მაუწყო, ფლეგეტონი და
„ლეთე სად არის? არ ახსენებ ამ უკანასკნელს,
„ხოლო პირველზე სთქვი, რომ იგი ცრემლთაგან სდგება".

მომიგო: — „ჩემთვის საამოა კითხვები შენი.
„მაგრამ, მე ვფიქრობ, ამ წითელი ტალღების გრგვინვამ
„შენ უკვე უნდა გაგირკვიოს ერთ-ერთი კითხვა;

„ნახავ აგრეთვე შენ მდინარე ლეთესაც, მაგრამ
„არა ამ ადგილს, არამედ იქ, სადაც განბანვა
„მონანიებულ და შენდობილ ცოდვილთა ხდება".

შემდეგ დაურთო: — „შეგვიძლია დავსცილდეთ ამ ტყეს;
„ეცადე უკან არ ჩამორჩე; თავისუფალი
„გზა მისდევს ღელეს; ნაპირები გრილია მისი

„და ჰქრება მათზე ყოველივე ალი ცეცხლისა".

## ᲭᲔᲒᲐ ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ

აი, მივდივართ ჩვენ ქვადქმნილი ერთი ნაპირით:
ღელეს თავს ადგას ოხშივარი ბურუსის სახით,
და შიგ ზვირთებზე დანათოვი ცეცხლი ინთქება.

4 როგორაც განდსა და ბრგეს შუა ფლამანდელები
ჯებირთ აღმართვენ, რომ ზვირთთაგან დაიცვან თავი
და უკანავე მიაქციონ ზღვის შემოტევა,

7 ან როგორც კიდევ პადუელნი ბრენტის ნაპირას
ციხე-ქალაქებს ამაგრებენ მანამდე, ვიდრე
ჩიარენტანას მწვერვალები გალხვება სიცხით,

10 ისე აქაურ მშენებელსა, ვინც არის იგი,
ღელის ნაპირზე ჯებირები უშენებია,
თუმცა არც ისე დიდი განის და სიმაღლისა.

13 უკან დავტოვეთ ჩვენ ტყიანი ადგილნი უკვე,
და შორს იმდენად, რომ მის მიმართ პირშექცეული
ვეღარ შევძლებდი გამერჩია სიღრმეში იგი.

16 მაშინ გზადაგზა ღელის კიდით ჩვენსკენ მავალი
შემოგვეყარა ბრბო ცოდვილთა: ყოველი სული
ისე გულდასმით მოგვაჩერდა, ვით საღამოს ჟამს,

19 ახალი მთვარის მკრთალ ნათელში გზად შეხვედრილნი
სჭვრეტენ ერთმანეთს მოხუჭული თვალებით, როგორც
თერძი მოხუცი, როდესაც ის ძაფს უყრის ნემსში.

22 ასე გვიმზერდა ჩვენ ოჯახი წინ შემოყრილი,
და რა შემიცნო, ტანსაცმელის კალთაზე ერთმა
ხელი შემავლო, შემომძახა: — „ო, სასწაულო!“.

25 და, ვიდრე იგი ხელს აპყრობდა ჩემს მიმართ, თვალი
შევავლე იმის დამწვარ სახეს, — თუმც დიდი იყო
დამახინჯება ცეცხლის მიერ, მაინც შევსძელი

28 მეხსიერებით აღმედგინა მე იგი ჩემში;
მაშინ, დავხარე რა მე იმის სახისკენ თავი,
ვკითხე: — „თქვენა ხართ ეს, ბატონო ბრუნეტო, ნუთუ?“

31 და მან მომიგო: — „შვილო ჩემო! ნუ შეგზარდება,
„თუ რომ ბრუნეტო ლატინი შენ ორ-სამ ნაბიჯზე
„თან გამოგყვება და დასცდება ამ სულთა ურდოს“.

34 მივეც პასუხი: — „გთხოვთ თქვენ ამას დაბეჯითებით,
„და, თუ ისურვებთ, მე დავჯდები თქვენს გვერდით აქვე,
„თუ კი ამაზე დასტურს მომცემს ჩემი ძეგზური“.

„ო, შვილო ჩემო, — მიპასუხა, — ამ კრებულიდან
„ვინმე წამითაც რომ შეჩერდეს, ცეცხლის წვიმის ქვეშ
„გაუნძრეველად უნდა იწვეს ის ასი წელი.

„გაუყევ შენს გზას, თან მოგყვები, და შემდეგ ისევ
„შევუერთდები მე ამ ლაშქარს, რომელიც მარად
„მიდის წინ თავის მწარე ბედზე ცრემლთა მფრქვეველი“.

მე ვერ გავბედე ბილიკიდან გადამეხვია,
რათა მის გვერდით მევლო, მაგრამ თავმოდრეკილი
პატივისცემას ვამჟღავნებდი და ყურადღებას.

მკითხა: — „რა ბედი ან შემთხვევა იყო მიზეზი,
„შენ აქ დანიშნულ საათამდე რომ ჩამოსულხარ?
„ან ის ვინ არის, შენ რომელიც გზას მიგასწავლის?“

„იქ, ამის ზემოდ, — ვუპასუხე, — ნათელ მხარეში,
„მე გზა დამებნა ერთ ჭალაში მოულოდნელად,
„ვიდრე მე ჩემი შემისრულდა სიცოცხლის ვადა:

„გუშინ დილითვე ვაპირებდი უკან დახევას,
„მაგრამ წარმიდგა იგი, ოდეს ვიბრუნე პირი,
„და წარმიმართა ამ ქვესკნელით გზა მსვლელობისა“.

მომიგო: — „მიჰყევ შენს ვარსკვლავსა და არ ასცდები
„დიად ნავთსადგურს, შენი ბედი თუ ვსცანი კარგად,
„როცა სიცოცხლით მშვენიერით სავსე ვიყავი.

„და, თუ კი ჩემი ნაადრევი სიკვდილი არა,
„მე, დამნახველი ზეციური მადლისა შენში,
„შევეცდებოდი შრომისადმი შენს წაქეზებას.

„მაგრამ დასული თიეზოლეს თხემიდან ხალხი,
„გულბოროტი და უმადური, რომელიც დღემდე
„სულში ატარებს კვლავ მშობლიურ კლდე-ღრეთა ნიშნებს

„მტრობით სიკეთეს გადაგიხდის შენს მიერ მიზღულს.
„ეს ამგვარადაც უნდა მოხდეს, რადგან რა უნდა
„ტკბილ ხილს იქ, სადაც ტყეთ დამდგარა ჯახველი მწარე.

„ძველთაგანავე ხმა დაყრილა, რომ ტომი იგი
„ბრმა არის, ძუნწი, გულხარბი და ამპარტავანი:
„შენც არ წაგბილწონ, განერიდე მათ უზნეობას.

„ბედი გიმზადებს შენ ესოდენ დიდებას შემდგომ,
„რომ შენს მიქცევას მოინატრებს ორივე მხარე,
„მაგრამ საკენკად ვერ დასწვდება ნისკარტი ხორბალს.

„დეე პირუტყვთა მინაგვარნი თიეზოლელნი
„თვის მსგავსთა გვამებს სარეცელად იგებდნენ; მაგრამ
„ნუმც შეჰხებიან მცენარესა, — თუ მათ ნაკელზე

„კიდევ რაიმე აყვავდება, — რომელშიც წმიდა
„თესლი იფეთქებს რომაელთა, იქ რომ შთენილან,
„ოდეს ეს ბუდე გარყვნილების დაარსებულა“.

„რომ ცას ესმინა ყველა ჩემი ლოცვები, მაშინ, —
ვარქვი პასუხად, — თქვენ აქამდე არ იქმნებოდით
„გაძევებული მიწიერი სამყოფელიდან.

„რადგან ხსოვნაში, სევდით სავსე, ვინახავ მარად
„სახეს საყვარელს, კეთილსა და მამობრივს თქვენსას.
„ოდეს, ჯერ კიდევ საწუთროში ყოფნის ჟამს, თქვენ მე

„შემასწავლიდით, უკვდავებას ადამიანი
„თუ რა გზით იხვეჭს; დე ამიტომ, ვიდრე ცოცხალ ვარ,
„ჩემი სიტყვები აღნიშნავდნენ მადლობას თქვენდა.

„რაც სთქვით თქვენ ჩემი მომავალის შესახებ, ყველას
„დავიწერ მე და დავიხსომებ, დე განმიმარტოს
„იგი ქალწულმა, თუ მეღირსა იმასთან მისვლა.

„მაგრამ ეს მინდა თქვენ უწყიდეთ, ოღონდ სინდისი
„არა მქეჯნიდეს, და მზადა ვარ მივიღო ბედის
„გამოცდილება, როგორიც კი იქნება იგი.

„წინასწართქმანი მე პირველად არ მესმის მსგავსნი:
„დეე ფორტუნამ ჩარხი თვისი აბრუნოს ვით სურს,
„ხოლო გლეხმა კი ატრიალოს თავისი ბარი“.

მაშინ მოძღვარმა პირი თვისი მოიღო მარჯვნით,
თვალი შემავლო და წარმოსთქვა: — „კარგად ის უსმენს,
„ვინაც მონასმენს აღიბეჭდავს ხსოვნაში კარგად“.

ასე ვიდოდი მოსაუბრე ბრუნეტოს გვერდით,
და შევეკითხე, თუ ვინ ჰყვანდნენ ამხანაგები
განსაკუთრებით ცნობილნი და სახელგანთქმულნი.

„ზოგიერთი ღირსია ცნობის;
„დანარჩენებზე ლაპარაკი არა ღირს, რადგან
„დრო მცირე დარჩა ხანდაზმული საუბარისთვის.

„სასულიერო პირებია, იცოდე, ყველა,
„დიდად ცნობილნი და სწავლულნი. მიწაზე იმათ
„ყველას ერთნაირ ცოდვაში აქვს ჩადგმული ფეხი.

„მიემგზავრება პრისჩიანო მტირალთა ბრბოში,
„იქვე ფრანჩესკო და კორსოა აგრეთვე, ხოლო
„უსაზიზღრესი თუ გინდოდა სანახაობა,

„შეგეძლო ისიც გეხილა, ვინც მსახურთ მსახურმან
„ღვთისამან არნოს ნაპირიდან ბაჩილიონეს
„ნაპირს გადასვა, სად თვის სხეულს განშორდა იგი.

„კიდევ შემეძლო ბევრი რამე მეამბა, მაგრამ
„არ მაქვს უფლება მეტი სვლისა და საუბარის,
„რადგან ახალ კვამლს უდაბნოდან ავარდნილს ვხედავ.

„მოდის იქიდან მეორე ბრბო; იმათთან ერთად
„არ უნდა ვიქმნე. ჩემს საუნჯეს გაბარებ შენა,
„რადგან ამ წიგნში მე კვლავ ვცოცხლობ; სხვას არასა გთხოვ".

შემდეგ ის უკან გაეშურა ესოდენ სწრაფად,
როგორც ვერონის შეჯიბრის დროს მიექანება
მწვანე მაუდის მომხვეჭელი: სირბილში სჩანდა,

რომ მას ელოდა გამარჯვება და არა მარცხი.

## ᲭᲔᲒᲐ ᲛᲔᲗᲔᲭᲕᲠᲛᲔᲢᲔ

მიღწეულ ვიყავ ისეთ მხარეს, სადაც ისმოდა
ფუტკრის ზუზუნის მინაგვარი ხმაური რამე,
ქშუილი წყლისა მოისმოდა შემდეგ გარსიდან,

როს სამი ლანდი მოსწყა ადგილს და გამოჰქანდა,
ერთად მორბოდნენ დასეტყვილი ცეცხლის წვიმისგან.
მოგვიახლოვდნენ და გვიყივლეს შემზარავი ხმით:

„შესდეგ, გეტყობა ტანთსამოსზე ერთი თქვენგანი
„ჩვენი ცოდვილი სამშობლოის ხარ ნაშიერი".
ვნახე მრავალი ზოგი ძველი, ზოგიც ახალი

10 წყლული მათ ტანზე ცეცხლისაგან ამოთუთქული,
და მოგონება ამ ამბავის ახლაც მაჟრჟოლებს.
ათხოვა ყური მათ შეძახილს ჩემმა მეგზურმა,

13 ჩემსკენ იქცია მეყვასეულად პირი და მითხრა:
„მოიცა ცოტა, ახალმოსულთ მოვეჭაცეთ რიდით.
„ამ გარემოში რომ არ ჰქროდეს ქარი ალისა,

16 „მოგიხდებოდა შენ უთუოდ წინ შეგებება".
რა დაინახეს ჩვენ შევსდექით, წამსვე სულებმა
მორთეს ყვირილი, მოგვძახოდენ: — „შესდეგ, შესდეგო".

19 რა ახლოს მოდგენ, დაირაზმნენ სულნი გარშემო.
ვით მორკინენი საცხებელით რომ ტანს იზელენ,
გიდრე ერთმანეთს შეებმოდნენ ჯილდოს გულისთვის,

22 ისე ლანდებიც გარს გვივლიდნენ ფერხულის მსგავსად;
ჩვენ გარეშემო დაჭროლავდნენ, დარიალებდნენ,
არ გვაშორებდნენ თანაც სახეს ერთი წუთითაც,

25 ხოლო ფეხები გაურბოდნენ პირუკმო მხარეს.
„თუ ალის ქარში ამ უდაბურ და მწირ ადგილას, —
დაიწყო ერთმა იმათგანმა ასე უბნობა, —

28 „ამ გაშავებულ და გაძარცულ სხეულთა მიმართ
„ზიზღი აღგეძრა, არც კი გინდა, რომ შემოგვხედო
„და მოისმინო გულხმიერად ვედრება ჩვენი,

31 „მიხედე მაინც ჩვენს სახელებს და წარჩინებას,
„და გვარქვი ვინ ხარ ესოდენის გამბედაობით
„ფეხს რომ აბიჯებ ჯოჯოხეთის ცხელ ნიადაგზე?

34 „ერთი ჩვენგანი, მე რომ მივსდევ ახლა კვალდაკვალ,
„თუმცა უმზვავსოდ გაძარცულა და გატყაულა,
„იგი ოდესღაც იყო მეტად წარჩინებული,

37 „ვიდრე შენ ახლა შეგეძლება წარმოიდგინო,
„ის შვილიშვილი იყო ქველი დიდი გვალდრადოს,
„სახელად ერქვა მას ოდესღაც გვიდო გუერა,

40 „იმ ცხოვრებაში აქვს მრავალი დამსახურება,
„შესრულებული ხრმალისა და გონების ძალით.
„ხოლო შეორეს ჩემს შემდგომად რომ ტკეპნის ქვიშას,

„ალდობრანდია ტეგიაჯოდ სახელდებული,
„მისი სახელიც ხამს იმ ქვეყნად ახსენონ კრძალვით.
„მე კი ოდესღაც, მათთან ერთად ჯვარზე გაკრულსა,

„ჯაკობო მერქვა, რუსტიკუჩი გვარია ჩემი,
„და უმთავრესად დამაქცია წყეულმა ცოლმა".
ცეცხლის საფარი რომ მჭონოდა იმ წუთას ხელში

მოვეხვეოდი სამთავე სულს და ასე ვფიქრობ
ჩემი ოსტატიც ამის გამო განრისხდებოდა.
მაგრამ დაწვისა და ვატრუსვის დამძლია შიშმა,

და ნებისყოფამ გადასძლია აღძრულ სურვილებს.
მე ვუპასუხე: — სიძულვილი გულს არ მდებია,
„არამედ ვხედავ თქვენს სიმძიმილს გულის ტკივილით,

და მოგონება ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება,
„ჩემმა ოსტატმაც მიკარნახა რომ უსათუოდ
„უნდა გხლებოდით და მენახეთ შორიახლოდან.

„თქვენი სამშობლოს ბინადარი გახლავართ მეცა,
„მსმენია ქება არა მცირე საქმეთა თქვენთა.
„მახსოვს, როგორის სიყვარულით გიხსენიებდნენ.

„დავაგდე მწარე მე ფიალა, ნაყოფთა ტკბილთა
„ვარ მაძებარი, ეს აღმითქვა ოსტატმა ჩემმა,
„მაგრამ ჯერ ცნობით ხამს ჩავიდე ქვესკნელის გულში".

„მრავალჟამიერ აწ შენს სხეულს უტარებიხარ,
„ნუღარ აგცდება ნურც მოხვეჭა სახელის დიდის".
მკითხავდა სული: — „ჩვენს ქალაქში თუ კიდევ ჰყვავის,

„სიქველე, სიბრძნე, სიყვარული გმირულ საქმეთა,
„რადგან აქ არის რა ხანია თვით ბორსიერე,
„ყამიდან ყამზე ის მოგვითხრობს მწუხარე ამბებს".

„ახალმა ხალხმა, გამდიდრების ხარბმა სურვილმა,
„დაშალა შენში, ფლორენციავ დაუვიწყარო,
„ამპარტავნობა, ფუჭსავატი სულმოკლეობა.

„და უკვე ვხედავ სინანულის ცრემლი გწვევია", —
წამოვიძახე ეს სიტყვები თვალაპყრობილმა.
სამივემ ისე გადახედეს ერთი მეორეს,

76 როგორც მარფალი სიტყვისაგან ელდანაკრავთა.
„ბედნიერი ხარ თავისუფლად აზრს რომ გამოსთქვამ,
„როდესაც ამ ბნელ ჯურღმულებსაც დააგდებ, წახვალ

79 „კინძლო იხილო მშვენიერი ვარსკვლავის თვალი,
„როცა ახსენო და წამოგცდეს: «იქ ვიყავიო»,
„უამბე კაცთა ჩვენ შესახებ რაც მოიგონო“.

82 შემდეგ ამისა წრე დაშალეს და უკუიქცნენ,
ისე მიჰქროდენ თითქოს ტანზე შესხმოდათ ფრთენი,
და ისე სწრაფად ვეღარ შესძლებთ ამინის თქმასა,

85 როგორც ისინი გადიხვეწნენ, გაუჩინარდნენ.
ჩემმა ოსტატმა გადაწყვიტა ვზას გავდგომოდით,
ვიარეთ ასე, რა დავაგდეთ მანძილი მცირე,

88 წყლის ხმაურობა გაძლიერდა მომეტებულად,
ახლა საუბარს ერთმანეთთან ვერ ვახერხებდით.
ვით ის მდინარე ვისოს მთიდან გამომავალი,

91 აპენინის მთებს მხარ მარცხნიდან რომ გამოუდის
(ამ მანძილებზე აკვაქვეტა მას ეწოდება)
და შემდეგ ვიდრე გავაკება დაიწყებოდეს,

94 დაჰკარგავს სახელს, რა მიაღწევს ფორლის მახლობლად,
გადმოეშვება ალპებიდან გრიალ-გრიალით,
სწორედ იმ ადგილს, მონასტერი სან ბენედეტოს,

97 სადაც სდგას ახლა, ეს სავანე წმიდა მამათა,
ასევე წყალიც სალი კლდიდან დაქანებული
ისე ძლიერად ჩამოჰქუხდა აზვავებული,

100 რომ ყურთა სმენა გამოგვტაცა გრიალმა მისმა.
მე წელზე მქონდა შემობმული საბელი გრძელი,
რომლითაც ბაბრი ტანხატულა მსურდა შემეპყრო.

103 ოსტატმა ჩემმა გამომართვა საბელი იგი,
შემდეგ ამისა დავახვიეთ, გორგლად დავხვეთ.
მიბრუნდა უცბად მხარმარჯვნისკენ ოსტატი ჩემი,

106 და ნაპირიდან გადისროლა საბელი ქვესკნელს.
ვიფიქრე: ალბათ, საოცარი რამე არსება
ამ ახალ ნიშანს ჯურღმულიდან გამოენთება,

რაკი ოსტატი თან ადევნებს დაძაბულ მზერას.
ჰოდ, რამდენი სიბრძნე გმართებთ იმის წინაშე,
ვინც არა მარტო კაცთ საქციელს ამჩნევს და ხედავს,

არამედ სულის უფსკრულებშიც ჰკითხულობს აზრებს.
ახლა მობრუნდა ისევ ჩემსკენ ბრძენი ოსტატი:
მითხრა — „სულ მალე გამოჩნდება ის, რასაც ველი.

„რასაც ოცნება შენი მხოლოდ თუ მისწვდებოდა,
„ის ახლა თვალწინ დაგიდგება და გაგაოცებს“.
ხამს კაცმა არც კი გახსნას პირი იმის სათქმელად,

რაც სიმართლეა, მაგრამ ძნიად დასაჯერები,
რათა შემდეგში არ ჩავარდე თავათ სირცხვილში,
მაგრამ ამჟამად აღარ ძალმიძს დუმილის დაცვა.

ჰოდ, მკითხველო, გეფიცები ჩემს კომედიას,
დე, ნუ მოაკლდეს კაცთა შორის მას სიყვარული,
მე თავათ ვნახე საოცარი არსება რამე

ამ ზრჭელ ჰაერში, სიბნელეში ვით მოფორთხავდა,
ერთბაშად შიში შეიპყრობდა უმამაცესსაც
და გულზე ელდა უეცარი მოეგზნებოდა.

როგორც მყვინთავი, მაძებარი გემის ღუზისა,
რომელიც ფსკერზე მოსდებია ქვესკნელის ბურდებს
(ან სხვა რამ საგანს უეცარად ზღვაში დანთქმულსა),

ამოვა ზევით გაწუწული და გაზუზული,
თანაც ხელებს შლის და ფეხებით მყარს ებჯინება,
ასე ნელ-ნელა მოდიოდა იგი ზევითკენ

ეს საოცარი, და საზარი ბნელი არსება.

## ᲫᲔᲑᲐ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ

„აჰა ვეშაპი, რომლის ბოლო შხამისმნთხეველი,
„გახვრეტს სალსა კლდეს, გინა კედელს, გინა საჭურველს.
„აჰა, ურჩხული წამბილწველი სამყაროისა“.

ასე დაიწყო საუბარი ოსტატმა ჩემმა,
და მან ანიშნა მისულიყო ნაპირთან ახლოს,
ჩვენაც მივჰყევით მარმარილოს შიშველ ნაპირებს.

7 და ეს ჩვენება ამაზრზენი თაღლითობისა
მოგვიახლოვდა, დაგვაცქერდა თავაწეული,
მაგრამ თვით ბოლო წყალში ჰქონდა ჯერაც ჩაფლული.

10 სახით და თავით მიაგავდა იგი სათნო კაცს,
ხოლო სხეული დანარჩენი ჰქონდა გველისა,
და იღლიამდის ბანჯგვლიანი ბასრი ჭანგები,

13 ზურგი, ფერდები და გულმკერდი ჭრელ ფოროჯებით
ჰქონდა ერთთავად მას მორთული და მოხატული.
არას დროს თურქებს და არც თათრებს არ მოუქარგავთ

16 თვისი დროშები ფერადებით ნაირ-ნაირით,
არცა არაგნეს თუ ჰქონია ეგზომ ჭრელ-ჭრელად,
მდიდრად ნაქსოვი და ნაქარგი ფარჩეულობა.

19 როგორც ნავები ბაგირებით ნაპირს მიბმული
ქვემოთა ტანით სანახევროდ წყალში ტოპავენ,
და ზემო ტანით ნაპირებზე გადმოდგებიან,

22 ან გერმანელთა ქვეყანაში ხარბი წავები
დაცუცქდებიან საბრძოლველად მომზადებულნი,
სწორეთ ასევე საზიზღარი იგი ურჩხული,

25 შემოდგომოდა აფხორილი კლდოვან ნაპირებს,
მხარეს ქვიშიანს რომ გარს უვლის და ემიჯნება.
და კუდი მისი ნავარდობდა ლაღად სივრცეში

28 გამოუჩანდა ორკოპალი თათის წვეტები,
ვით მორიელის ორი ჭანგი გესლით გავსილი.
ჩემი ოსტატი მეუბნება: — „ხამს ეგ ბილიკი

31 „დავაგდოთ ახლა, დავეწიოთ იმ მაცდურ ცხოველს,
„რადგანაც იგი, როგორც ჰხედავ, ჩვენ გველოდება".
მაშინ მხარმარჯვნით გადვუხვიეთ ათი ნაბიჯით,

34 ნაპირის კერძად გავიარეთ, რათა ალის ქარს
და ქვიშის ჭაობუქს ჩვენ როგორმე განვრიდებოდით.
როცა მივედით და მანძილი დაგვრჩა მცირედი,

37 ვნახე სულები წამომსხდარნი უფსკრულის კიდეს,
ოსტატი ჩემი მეუბნება: — „თუ გსურს ამ გარსის
„სრული, უზადო, წარიტანო შთაბეჭდილება,

„წა, დააკვირდი და იხილე წამება მათი.
„ეგ არის მხოლოდ, დააყოვნე მანდ ხანი მცირე.
„მგ შენ მოსვლამდის ვთხოვ იმ ცხოველს ძლიერი ქედი,

„სულ მცირე ხნითა, რომ გვათხოვოს გალმა გასვლამდის."
მეშვიდე გარსის სანაპიროს მივყევი მაშინ,
სავსებით მარტო გავემართე იმ ადგილისკენ,

სადაც ის სულნი დაღვრემილნი ჩამომსხდარიყვნენ,
და სიმძიმილი მათ თვალებში იხატებოდა.
იწვდიდნენ ხელებს, იფარვიდნენ თავსა და სახეს,

როგორც შეეძლოთ ცეცხლის წვიმას იგერიებდნენ,
ასე ძაღლები იშორებენ დრუნჩით, თათებით,
პაპანებაში შემოსეულ ბუზებს და რწყილებს.

როცა თვალები მიმოვავლე მაგ საცოდავებს,
რომელთაც ცეცხლის ნიაღვარი თავზე აწვიმდათ,
ვერც ერთი ვეღარ შევიცანი, მაგრამ შევნიშნე

ყოველ მათგანის ყელზე ქისა დაკიდებული;
სხვადასხვაფერად ეს ქისები იყვნენ ნაღებნი.
და გავარჩიე მე მათ შორის ერთი ყვითელი,

რომლისა ფორმა მიაგავდა სახეს ლომისას,
მეორე ქისა იყო სისხლის ფერად ნაღები
და ზედ ეხატა ბატი თეთრი, როგორც კარაქი,

ერთ-ერთ წამებულს ყელზე ჰქონდა მოთეთრო ქისა,
რომელსაც ღორი ამშვენებდა ლაჟვარდის ფერი.
რა დამინახა, მომიბრუნდა და მეუბნება:

„რას დაყიალობ, საცოდავო, შენ ამ ხაროში.
„რადგანაც ჯერაც ცოცხალი ხარ, იცოდე ეგეც,
„ვიტალიანო, მეზობელი ჩემი, ცნობილი,

„მოვა ოდესმე, მომიჯდება მხარმარცხნით მენა.
„ამ ფლორენციელთ ხომ კი ჰხედავ, მე ვარ მათ შორის
„აქ ერთადერთი მოქალაქე ჩვენის პადუის.

„დაუცხრომელად გაჰკივიან ეს ბატონები:
«მოვედ მამფალო რაინდების, რომლის ფარზედაც
«ამოჭრილია გვარის გერბად სამი ნისკარტი».

73 შემდეგ ამისა დაიღრიჯა იგი საძაგლად,
გამოჰყო ენა, მიაგავდა ამ წუთში ხვადაგს,
ენით რომ იტლეკს ტლანქი დრუნჩის დანერწყვილ ნესტოს.

76 მე კი უკუვდექ, მომეკრძალა იმის რისხვისა,
ვინც დამაბარა მე ხანმოკლე აქ დაყოვნება,
ვუჩქარე ნაბიჯს და დავაგდე ის წამებულნი.

79 ვნახე ოსტატი ამძვრალიყო იმ საშინელი
ცხოველის ზურგზე, მომიბრუნდა და მეუბნება:
„მარჯვეთ იყავი, არ შეშინდე, გმართებს სიმარდე,

82 „შენ წინ მომიჯექ, რომ არ გავნოს ურჩხულის კუდმა“.
როგორც ნაციებს უთეთრდება ფრჩხილის ძირები,
როცა ხურვების ახლოვდება ჟამი და ყავლი,

85 მთელი სხეული უცახცახებს, რა დაინახავს
ადგილს ნესტიანს, ან სიგრილეს იგრძნობს უეცრად,
მეც ასე გავხდი, ეს სიტყვები რომ გავიგონე.

88 ამ დამუქრებამ გააღვიძა ჩემში სირცხვილი,
რომელიც მონას გაამხნევებს ოსტატის გვერდით.
მყის შემოვახტი იმ საოცარ ურჩხულს მე ზურგზე,

91 მინდოდა მეთქვა: — „მომეშველე, მომხვიე ხელი“,
მაგრამ ამაოდ შევეცადე, გამიწყდა სიტყვა,
და მხოლოდ მანვე, ვინც მრავალგზის მომშველებია,

94 როგორც კი შევჯექ, შემოძხვია ორივე ხელი
და წამს შესძახა: -- „აბა, გასწი მარჯვედ, გერიონ,
„ვრცელი წრეები გადალახე, თანაც გახსოვდეს

97 „დაღმართში ჩასულს შენ ახალი ტვირთის შეძენა“.
როგორც ნაპირით მოწყვეტილი ნავი შეირძრეს,
ჯერ უკუ იქცეს და შემდეგ კი წინ გაექანოს,

100 ასე შეტოკდა წამს ურჩხული, იწყო უკუსვლა,
ერთბაშად წელში გაიმართა, გაინავარდა,
მოგრიხა კუდი, დაიკლაკნა გველთევზასავით.

103 წინა ტორებით შეარხია მდორე ჰაერი.
არც ფაეტონი, როს სადავე მიუშვა მან ეტლს,
დასერა ზეცა, გადარუჯა ცეცხლის კვალებით,

და არც იკაროს, როცა გრძნობდა ფრთები სანთლისა
ცხუნვარე მზეზე ადნებოდა და ემსხვრეოდა,
თანაც შემკრთალის მამის ძახილს ისმენდა ამ დროს:

«უკვე გადასცდი, ჩემო შვილო, შენ სწორი გზიდან»,
ალბათ არც ერთი იმათგანი ასე არ თრთოდა,
როგორც დავშინდი მე ამ წუთში, როცა ვიგრძენი,

ჰაერში ვიყავ უსასოოდ გამოკიდული,
და ვერას ვსჭვრეტდი იმ საშინელ ურჩხულის გარდა.
ასე ამგვარად მისცურავდა სულ ნელა, ნელა,

ერთბაშად განზე გაუხვია და ჩამოეშვა,
მყისვე ვიგრძენი გვიბერავდა ქვევიდან ქარი.
აჰა, მომესმა წყლის ქშუილი. დაუცხრომელი,

საშინელის ხმით აყრუებდა ივი მიდამოს;
და ეგ ქუხილი მომესმოდა როგორც წინიდან;
ისე ჩვენს ქვემოდ უმეტესად მარჯვენა მხრიდან;

სწორედ მიტომაც გადავხარე მე მაშინ თავი
და გადვიხედე, დამენახა, თუ რა ხდებოდა.
უფსკრულის ნახვამ წამსვე შიში გამიორკეცა.

შევნიშნე: ცეცხლი გუზგუზებდა კიდითკიდემდის,
და მომესმოდა მე ტირილი უშველებელი,
მყისვე უეცრად შევიცანი, შეუცნობელი.

როგორც მიმინო გაფრენილი ცის ლაქვარდებში,
გაქსუებული აიჭრება მაღლა ეთერში,
ვერ სჭვრეტს საქნიერს, ვეღარც ღაჟოს ფრთებისა ლიცლიცს

და ათქმევინებს თავის პატრონს: «აჰ, ჩამოდიხარ?»
ტრიალ-ტრიალით დაეშვება იმავ ალაგზე,
სადაც აფრინდა, გააკეთა ცაში ირაო,

და ჩამოჯდება მონადირის მახლობლად სადმე,
ასევე დინჯად ძირს დაეშვა კლდისპირს გერიონ,
და როცა ტვირთი ჩამოსცილდა ძლიერ ქედიდან,

გაუჩინარდა, ვით ისარი მშვილდს მოწყვეტილი.

არის ადგილი ჯოჯოხეთის უფსკრულში ერთი,
ჰქვიან სახელად მალებოლჯე; ის მთლად რკინისფერ
ქვისაგანაა, ამგვარივე კედელით ირგვლივ.

და შეჩვენებულ იმ ადგილის შიგ შუაგულში
ამოთხრილია ჭა უღრმესი და უვრცელესი;
აიწერება თავის დროზე იმისი ფორმა.

სივრცე — ჭისა და ქვის კედლის საფუძველს შუა
წრისებურია, მორკალული და მონუსხული,
ამასთანავე ათ ჯურღმულად იყოფა იგი.

როგორც გარედან ციხის კედლებს, ციხის გალავანს,
შემოავლებენ გარეშემო განიერ თხრილებს,
მიუდგომელი რომ გახადონ ამითი უფრო,

აი, ამგვარად გარეგნული მოსჩანდა სახე
ამა მღვიმეთა, და ისე ვით ციხის თხრილებზე
ხიდებს აგებენ ზე ასაკეცს, სწორედ ამრიგად

კლდეთა ძირიდან ხერხემლები სხვა კლდეებისა
აღმართულიყვნენ, გადაჰკვეთდენ გარე კიდეებს,
მღვიმეებს მასთან, და ჭის ნაპირს ებჯინებოდნენ.

აი, ამ ადგილს ჩამოგვყარა ჩვენ გერიონმა
თავის მხრებიდან; გაემართა მგოსანი მარცხნით,
და მეც გავსდიე ჩემს წინამძღოლს უსიტყვოდ უკან.

და დავინახე მე გზადაგზა მარჯვენა მხარეს
სხვა მწუხარება, სხვა წამება, ჯალათნი სხვანი:
იყო მათ მიერ გავსებული პირველი მღვიმე,

რომლის სიღრმეში ცოდვილები ტანგაძარცულნი
ორწილ ვიდოდნენ გაბაწრულნი: ერთი ნაწილი
ჩვენსკენ, მეორე ჩვენთან ერთად, მაგრამ ნაბიჯი

იმათი იყო უფრო ჩქარი, მსგავსად იმისა,
იუბილეს დროს როგორც რომში მლოცველთა გუნდი
გაივლის წმიდა ანგელოზის ხიდზე ორ მწკრივად,

31 რომელთა შორის ერთი არის პირმიქცეული
ციხის მიმართ, და პეტრე წმიდას ტაძრისკენ მიდის,
ხოლო მეორე უბრუნდება მაღლობებს ისევ.

34 აქაც და იქაც ჩაშავებულ კლდეების თავზე
იდგნენ რქიანი დემონები გრძელი შოლტებით,
და უბადრუკებს საშინელით მისდევდნენ ცემით.

37 ოჰ, როგორ ხლტოდნენ პირველსავე დაკვრასთან ერთად
ბედდაწყევლილი ცოდვილები, და აღარც ერთი
აღარ უცდიდა მეორეს და მესამე დაკვრას.

40 და იქ გზადაგზა თვალთახედვა შეჩერდა ჩემი
ერთ-ერთ დასჯილზე, და წარმოვსთქვი მე იმ წამშივე:
„ამ ადამიანს არა ვხედავ პირველად მხოლოდ“.

43 მე შევიცადე, რომ შემეცლო იმისთვის თვალი,
შესდგა აგრეთვე წინამძღოლი ჩემი კეთილი.
და ცოტა უკან დაბრუნების ნებაც კი დამრთო.

46 შოლტით გვემულმა ძირს დახარა ცოდვილმა თავი;
სურდა დაფარვა მას სახისა, მაგრამ ამაოდ.
მე მივაძახე: — „ვინაც თვალი დახარე დაბლა,

49 „თუ არ მატყუებს შენი სახის მოხაზულობა,
„შენ უნდა იყო ვენედიგო კაჩიანმიკო,
„და გთხოვ მაუწყო, რა მიზეზით შთაგაგდეს აქ შენ.“

52 მან მიპასუხა: — „გაგიტყდები, თუმცა კი მიმძიმს,
„მე ამას შენი მაიძულებს ნათელი ენა,
„ენა, რომელიც მე ქვეყანას მაგონებს წარსულს.

55 „დანაშაული მე მიმიძღვის მთლიანად მასში,
„რომ მარკიზს ხელში ჩაუვარდა გიზოლა ტურფა,
„თუმც სულ სხვა ხმები დადიოდა ამის შესახებ.

58 „და ბოლონიის მკვიდრთა შორის არა თუ მარტო
„მე ვიტანჯები ამ უფსკრულში, ჩვენ იმდენი ვართ,
„რომ არ არსებობს სავენასა და რენოს შუა

61 „ენა იმდენი, ბოლონურად „ჰო“-ს რომ წარმოსთქვამს;
„თუ შენ ამისი დასამტკიცი საბუთი გინდა
„წარმოიდგინე იქაურთა სიძუნწე დიდი“.

64 და როგორც კი მან ეს სიტყვები წარმოსთქვა, მყისვე
დემონმა შოლტი უცხუნა და შესძახა: — „გასწი,
„ქალს გასასყიდელს, მაჭანკალო, ვერ ნახავ აქა“.

67 შემდეგ ჩემს მეგზურს დავეწიე; გადავსდგით კიდევ
რამოდენიმე ნაბიჯი და მივუახლოვდით
ერთ კლდეს კედელის საფუძვლიდან წამოწვერილსა.

70 ჩვენ სულ ადვილად მოვექეცით კლდის მწვერვალს თავზე.
მარჯვენა მხარეს მივუხვიეთ მისი ზურგით, და
მარადისობის ამა მღვიმეს გავშორდით გარეთ.

73 რა მივაღწიეთ ადგილს, სადაც კლდის ზურგი ხიდს ქვეშ
ორად გაჭრილა შოლტვილების გასატარებლად,
მითხრა ოსტატმა: — „შესდექი და დაჰყავი ხანი,

76 „ვიდრე ცოდვილნი უბადრუკნი, რომელთ სახენი
„შენ არ გიხილავს, რადგან ერთის მიმართულებით
„ვიდოდნენ ჩვენთან, არ მოხრიან პირს ჩვენდა მიმართ“.

79 და აჰა კიდეც, ძველთაძველი ხიდიდან ვხედავთ:
ახლოვდებიან მეორეს მხრით ჩვენდამი ლანდნი,
გრძლად გაბაწრულნი და აგრეთვე შოლტით გვემულნი.

82 ვიდრე შეკითხვას მოისმენდა, ოსტატმა მითხრა:
„ცოდვილს შეხედე ამ ახოვანს; მოემართება
„და, როგორც ხედავ, ერთ ცრემლსაც კი არ აგდებს თვალით.

85 „თან რა მეფური ზვიადობით მოადგამს ნაბიჯს!
„იაზონია მარჯვე იგი და გაბედული,
„წარმტაცებელი კოლხეთიდან ოქროს საწმისის.

88 „მოინახულა მან გზადაგზა კუნძული ლემნოს,
„მალე მას შემდეგ, როს იმ ქვეყნის მკაცრმა ქალებმა
„იქ ამოსწყვიტეს მამრობითი სქესი მთლიანად.

91 „იქ მან ფიცით და მოთაფლული სიტყვებით შესძლო
„ნორჩ ჰიპზიფილეს მოტყუება, რომელმაც უმალ
„ყველა თავისი დობილები მოატყუილა.

94 „შემდეგ მან იგი დააგდო და დასტოვა მარტო;
„ამ ბოროტების ჩადენისთვის ისჯება იგი,
„აქვე სასჯელი დასტეხია მედეას გამო.

„მას თან მოსდევენ შემცოდენი ამავე ცოდვით.
„აწ შენ საკმაოდ გაეცანი მღვიმეს პირველსა
„და მის წიაღში გამომწყვდეულ ბედშავ ცოდვილებს.“

მალე მივედით ჩვენ იქ, სადაც კლდეთა მეორე
ზურგი გადაჰკვეთს საცალფეხო გზას, რომელითაც
ჩვენ მივდიოდით, და მეორეს წარმოშობს ხიდსა.

აქ ჩვენ თვალთა წინ წარმოგვიდგა მეორე მღვიმის
ცოდვილთ დარანი საშინელი; განუწყვეტელად
ჰკვნესოდნენ, თანაც ხელებს თვისას იშენდნენ ირგვლივ.

გაზეპილიყვნენ ამ უფსკრულის გარეკიდენი
სველი ობითა ზეაღმავალ ორთქლისა გამო,
რაიც ყნოსვას და თვალთახედვას აზიანებდა.

მღვიმესა ამას სიღრმე ჰქონდა ესოდენ დიდი,
რომ მისი ფსკერის დასანახად საჭირო იყო
ხიდის უმაღლეს ადგილიდან ძირს გადახედვა.

და როდესაც კი ზე ავედით და გადვიხედეთ,
ცოდვილთა ურდო დავინახეთ მღვიმეში დაბლა.
რაღაც თხელსა და მყრალ ტლაპოში მოცურავენი.

აქ მე ცოდვილი შევამჩნიე, რომელსაც თავი
ისე გასვროდა ტალახით, რომ აღარ მოსჩანდა
სასულიერო იყო ან თუ საერო პირი.

და შემომძახა მან ქვემოდან: — „რისთვის მიცქერი
„მეტი სიხარბით მე, ვიდრე სხვა არაწმიდათა?“
„მისთვის, — მივუგე, — რომ, თუ ხსოვნა არა მღალატობს,

„მე შენ ოდესღაც მინახავხარ მშრალის თმებითა.
„შენ ხარ ლუკელი ალესიო ინტერმინეი;
„აი, ამიტომ ჩამოგცქერი განსაკუთრებით.“

მაშინ მან ხელი შემოიკრა თავზე და მითხრა:
„აქ ჩამომაგდო მე სიტყვებმა ფარისევლურმა;
„დაუღალავად წარმოსთქმიდა მათ ჩემი ენა.“

აქ მომიბრუნდა მე მეგზური ჩემი და მითხრა:
„გადაიხარე, გადიხედე ოდნავად იქით.
„რომ შენის თვალით დაინახო სახე ბოზისა.

„შეხედე, თმები მას რარიგად აქვს გაწეწილი,
„და ფრჩხილები კი გავსებია რაგვარი ზინთით.
„ხან დაცუცქდება, ხან ისევე ზეზე ადგება.

„ეს თაისია — ბოზი, ვინაც კუროს სიტყვებზე:
«დიდად მიყვარხარ და ძლიერი მაქვს შენი ნდომა,»
„მოურიდებლად უპასუხა: — «განემზადეო».

„აწ კი შესჯერდნენ თვალნი ჩვენნი საკმაო მზერით.“

## ქება მეცხრამეტე

ო, სიმონ მაგუს! ო, ბინძურნო მიმდევნო მისის
მწვალებლობისა! თქვენ, რომელნიც დახარბებიხართ
ერთ სიქველეზე ჯვარდაწერილ ღვთაებრივ ძალას!

ვინაც ამ ძალით ოქრო-ვერცხლზე ვაჭრობდით, — თქვენთვის
დაიგუგუნებს საშინელი ხმა საყვირისა,
თქვენთვის, მესამე მღვიმის წიაღს რომ შეუპყრიხართ!

ამასობაში ჩვენ შემდეგი საფლავის ზემოდ
ავედით უკვე და მივედით იმა ადგილსა,
სადაც კლდის თავი გადაჰყურებს შუაგულ მღვიმეს.

უზენაესო გონებაო! რა ხელოვნებას
ამჟღავნებ ზეცად, მიწაზედან და ჯოჯოხეთში,
და რა სამართალს აჩენს შენი მართლმსაჯულება!

მე დავინახე კიდენი და ფსკერი მღვიმისა
ნაცრისფერის ქვით მოგებულნი; ამ ქვაფენილზე
მრავლად მოსჩანდა ორმოები ერთგვარი სახის.

ასე მეჩვენა, რომ ისინი იმ ზომის იყვნენ,
სან ჯიოვანის ტაძარში რომ ემბაზებია,
ნათელთა წმიდა საიდუმლოს აღსასრულებლად,

რომელთა შორის რამდენიმე წლის წინად ერთი
მე გავამსხვრიე, დახრჩობისგან რომ მეხსნა ჩჩვილი.
დე, გადაიქცეს სიტყვა ესე ცილისწამების

აღმკვეთ სიგელად. თითოეულ ორმოდან ძაღლა
აღმოეშვირათ მუხლებამდე ფეხები ცოდვილთ;
ხოლო სხეული დანარჩენი ძირს მაფლულიყო.

58 მდგომარეობა აქ იმგვარი შეიქმნა ჩემი,
კაცი საუბარს რომ ყურს უგდებს, ვერ იგებს ნათქვამს,
და დარცხვენილმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

61 მაშინ მგოსანი მომიბრუნდა: — «უთხარი მალე:
«არა ვარ იგი, რომელიც შენ გგონივარ, ლანდო».
და მეც იმგვარად ვუპასუხე, როგორც მებრძანა.

64 ჩემი პასუხი რომ ისმინა, შეთრთოლდა სული,
გაასავსავა ფეხები და ხმით ცრემლიანით
წარმოსთქვა ოხვრით: — „მაშ, მითხარი, რა გინდა ჩემგან?

67 „თუ კი შენ ჩემი ვინაობის გაგების სურვილს
„მოუყვანიხარ ამ კლდეებით, დეე უწყიდე,
„რომ შემოსილი ვიყავი მე მანტიით წმიდით,

70 „მე ძე ვიყავი ძუ დათვისა და ხარბი ესდენ,
„რომ საკუთარი ხელებისთვის მე ვაგროვებდი
„პარკში ოქროსა, და აქ პარკში თვით მოვექეცი.

73 „წინამორბედნი, სიმონიის ჩამდენნი სხვანი,
„ამ ქვის ხვრეტილით ძირს გატარდნენ და ამჟამადაც
„იმყოფებიან ჩემი თავის პირდაპირ ქვემოთ.

76 „და მეც თვითონ იქ ჩავეშვები, როდესაც მოვა
„ამ ქვეყნად იგი, რომელიც შენ მეგონე წელან,
„შემოძახილი ნაადრევი ოდეს გასმინე.

79 „მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემს ქუსლებს ცეცხლი ედება,
„და თავდაყირა ჩავკიდულვარ, გავიდა ხანი
„მეტი, ვიდრე ის გაწვალდება ამგვარის ყოფნით;

82 „რადგან მას უკან გამოჰყვება დასავლეთიდან
„მრავალნაირი ბოროტებით დამძიმებული
„მოძღვარი ბილწი: ის ორივეს დაგვფარავს აქ ჩვენ!

85 „იგი ახალი იაზონი იქნება, რომელს
„წიგნი აღგვიწერს მაკაბელთა: ვით პირველს მეფე,
„ისე შეუწყობს ხელს მეორეს ფრანგთა ბატონი“.

88 არ ვიცი, ეგებ მეტისმეტად თამამი ვიყავ,
როდესაც მე მას ვუპასუხე შემდეგი სიტყვით:
„მითხარ, უფალმა რა საუნჯე მოსთხოვა პეტრეს

25 ყველა ცოდვილებს მოსდებოდათ ტერფებზე ალი,
და ამის გამო ისე თრთოდა მათი კუნთები,
რომე საბელსა, ყოველივეს დასწყვეტდნენ მყისვე.

28 როგორაც ზეთით გაჟღენთილი საგნების წვის დროს
ალი თავს იყრის ზედაპირზე, ამგვარად აქაც
იგი ქუსლთაგან ცერებისკენ მიისწრაფოდა.

31 და მე წარმოვსთქვი: — „ეს ცოდვილი, ოსტატო ჩემო, —
„თანატანჯულებს რომ აჭარბებს მანჭვით და გრეხით,
„ვინ უნდა იყოს ესდენ ძლიერ ცეცხლს მიცემული?“

34 მან მიპასუხა: — „თუ ისურვებ, მე შემიძლია
„ძირს ჩაგიყვანო, აყვანილი ამ ციცაბოთი,
„და იქ მისგანვე სცნობ მის სახელს და იმის ცოდვებს.“

37 ვუთხარ: — „რაც შენ გსურს, ყოველივე მეც მსიამოვნებს.
„შენა ხარ ჩემი ბატონი, და ხომ იცი კარგად,
„რომ მე შენს ნებას არასოდეს არ გადავუხვევ;

40 „შენ ჩემს გულშიაც კი ერკვევი“. შემდეგ ამისა
მეოთხე ზღუდით ზე ავედით, მივბრუნდით მარჯვნით,
და ვიწრო მღვიმის ორმოიან ფსკერზე დავეშვით.

43 ხოლო კეთილმა ოსტატმა ძირს არ დამსვა, ვიდრე
არ მიმიყვანა იმ ცოდვილის ორმოსთან ახლო,
ფერხთა სავსავით ქვემოდან რომ აღმოკვნესოდა.

46 „ო, შენ ვინაც არ უნდა იყო, — მივმართე ცოდვილს, —
„ჩაყუდებულო თავდაყირა, როგორც მიწაში
„ჩარჭმული ბოძი, ხმა გამეცი თუ შეგიძლია“,

49 ვიდექ ვით ბერი, აღსარებას რომ ართმევს მკვლელსა,
რომელიც კიდევ მოუწოდებს მიწამიყრილი,
რათა მან ჟამი სიკვდილისა დააგვიანოს.

52 აქ მან ქვემოდან შემომძახა: — ოჰ, როგორ! ნუთუ,
„ბონიფაციუს, ეს შენა ხარ, და მეტყველებამ
„მე წინასწარმა რამდენიმე წლით მომატყუა?

55 „ნუთუ გაძეხი იმ ოქროთი ესოდენ მალე,
„რომლის გულისთვის შენ კეთილად შემკული ცოლი
„დანიშნე, შემდეგ წაჰბილწე ის და შეაგინე?“

124 შემდეგ მან ირგვლივ შემომხვია ორივე ხელი,
მიმიკრა გულზე და ხელახლა ზე აღემართა
იმ გზით, რომლითაც იმას წინად ძირს ჩამოეშვა.

127 და გულმკერდიდან იქამომდე არ მომიცილა
მან მე, ვიდრე არ მიმიყვანა ხიდის თავამდე,
სადაც გზა მიდის მეოთხიდან შემდეგ ზღუდისკენ.

130 აქ კი ნელი-ნელ ჩამოუშვა თავისი ტვირთი
ფრიალოსა და დაკოჭრებულ კლდეზედან, სადაც
ველური თხაც კი გაჭირვებით თუ გაივლიდა.

133 მაშინ მეორე ჩემს წინაშე გამოჩნდა ჭალა.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲪᲔ

ახალ ტანჯვისთვის ხამს გავმართო ლექსის სტრიქონი,
რათა პირველი სიმღერისა მეოცე ქების
მექნეს მასალა საშაიროდ განმზადებული.

4 თანდათანობით შევაჩვიე თვალი და მზერა,
მწარე ცრემლებით მორწყულ სიღრმეს უფსკრულისასა.
ვნახე სულები გარს უვლიდნენ ტაფობსა მცირეს

7 თავჩაქინდრულნი, მოწყენილნი, ატირებულნი,
სწორედ ისევე როგორც ჩვენში, სააქაოში
დადიან ხოლმე დახლართულნი მოზარეები.

10 როდესაც უფრო მინდობილმა ძირს ჩავიხედე
და დავაკვირდი ამ ცოდვილებს, წამების კერძებს,
შევნიშნე: ყველას ნიკაპიდან თეძოს თავამდის

13 შებრუნებული ჰქონდა ტანის ზემო ნაწილი,
და პირის სახე ზურგისაკენ მიბრუნებული.
ასე რომ ზურგით მოჩოჩავდნენ ჩვენსკენ პირუკმოდ.

16 შესაძლო არის ამგვარი რამ მოსვლოდეს ვინმეს,
ვისაც სიდაბლე შემთხვევია ან და ავი ზნე,
ამგვარი რამე არ მინახავს და არცა მჯერა.

19 ჰოდა, მკითხველო. გისურვებდი ამ საკითხავმა
მოგახვეჭინოს შენ კეთილი ნაყოფი მარგი,
თავათ განსაჯე ასეთი რამ თუ შესაძლოა,

„წინასწარ, ვიდრე მას კლიტეებს ჩააბარებდა?
„არ უთხოვია ჭეშმარიტად მისთვის შემოქმედს
„არარა, მხოლოდ უბრძანა მას: ვიდოდე ჩემ გზით.

„და არცა პეტრე მოციქულსა არცა თუ სხვებსა
„არ უთხოვიათ მათესათვის ოქრო ან ვერცხლი,
„ოდეს ადგილი დაიკავა გამყიდველისა.

„იყავი ასე, დასჯილი ხარ ვით მოგიხდება,
„ნაძარცვი ოქრო შეინახე კარგად, რომელმაც
„აღმართა შენი გოროზობა კარლოსის მიმართ.

„და რომ აქ ჩემში არ იწვევდეს თავშეკავებას
„პატივისცემა იმ უწმიდეს კლიტეთა მიმართ,
„რომლებსაც ნათელ ქვეყანაში შენ განაგებდი,

„ჩემი სიტყვები იქნებოდა უფრო სასტიკი,
„რადგან ქვეყანას გულს უნაღვლებს სიხარბე შენი,
„კეთილთ წამქეზე და ბოროტთა განმდიდებელი.

„თქვენ, მოძღვარნი ხომ მოციქულმან შეგნიშნათ მაშინ,
„ოდეს იხილა მან დიაცი წყლებზე მჯდომარე...
„ის, ვისაც შვიდი თავი ჰქონდა დაბადებითვე.

„და ძალას თავის ათი რქიდან ვინც ღებულობდა,
„ვიდრე სიქველეს აფასებდა მეუღლე მისი.
„თქვენ ოქროსა და ვერცხლისაგან ღმერთი შეჰქმენით,

„და თქვენ მარტო მით განსხვავდებით წარმართებისგან,
„რომ წარმართები თაყვანს სცემენ ერთ კერპსა მხოლოდ,
„თქვენ კი ასობით გაგიხდიათ ღმერთად ისინი.

„ო, კონსტანტინე! რაოდენი დაჰბადა ცოდვა
„არა თუ შენმან მონათვლამან, არამედ ძღვენმა,
„რომელიც პირველ მდიდარ პაპსა შენ უთავაზე“.

და ვიდრე ასეთ საგალობელს აღმოვიტყოდი,
განრისხებით თუ სინანულით გულშეპყრობილი,
ცოდვილი მძლავრად შეარხევდა აშვერილ ფეხებს.

ეს მოეწონა, მე მგონია. ჩემს წინამძღოლსა, —
ისე უსმენდა კმაყოფილი ღიმილით იგი
ჭეშმარიტების გამომხატველ სიტყვების ხმასა.

„თავის ძუძუებს, შენ რომელთაც ველარც კი ჰხედავ,
„ეს იყო მანტო, შემომვლელი მრავალი ქვეყნის,
„უკანასკნელად დაბინავდა ჩემს სამშობლოში,

„მე ამიტომაც მსურს მისმინო კიდეც მცირე ხანს.
„შემდეგ ამისა, რაც მოუკვდა ამ მანტოს მამა,
„ბახუსის ქალაქს დაეკარგა თავისუფლება,

„მან ისევ იწყო ხეტიალი ვრცელ ქვეყანაზე.
„არის ერთი ტბა ჩვენს მშვენიერ იტალიაში,
„ალპების ტერფთან, გერმანიას რომ ემიჯნება

„ტიროლის ახლოს, და ბენაკო გვიქვია ამ ტბას.
„და მთელი წყალი ათასნაირ სათავიდანა
„გამომდინარე ჯერ აკურთხებს აპენინის მთებს

„ვალ-კამონიკას და გარდას ტბას შორის მდებარეს,
„შემდეგ ამისა ამ ტბის ფსკერზე დადგება თვლემად.
„მის შუაგულში იმყოფება ერთი ადგილი.

„როგორც ვერონას და ბრესციას, ისე ტრიენტის
„ეპისკოპოზებს ის შეეძლოთ ეკურთხებინათ,
„ამ მიდამოში რომ გაევლოთ სამივეს ერთად.

„თხემის ზეთავზე, სად ნაპირი დაქანებულა,
„სდგას პეშიერა ბერგამასკის, ბრესციას გასწვრივ.
„სწორედ ამ ადგილს ნაპირიდან გადმოდის წყალი,

„რასაც ბენაკო თვის სტომაქში ველარ დაიტევს.
„აქედან იგი მოედება მწვანე ჭალაკებს
„და მას მინიკო ეწოდება, არა ბენაკო

„თვით გოვერმოლდის, სადაც იგი პოს უერთდება.
„მცირე მანძილზე ბენაკოდან გასულ მინიკოს
„შეეხეჩება გავაკება, სადაც მდინარე

„განზე გაიწევს, მოედება ატეხილ ჭალებს
„და ზაფხულობით აშმორდება ჭაობი ავი.
„აქ გაუვლია გზად მიმავალ ველურსა ქალწულს —

„უნახავს მანტოს კუნძული რამ ჭაობებს შორის;
„უკაცრიელი, უდაბური ყოფილა იგი.
„კაცთ სიახლოვეს შეგნებულად განრიდებულსა

22 რომ თვალებიდან მე ცრემლები არ დამდენოდა,
როცა ვხედავდი ასე ახლოს კაცისა სახეს
ისე პირუკმოდ შებრუნებულს, უკუშექცეულს,

25 რომ მდუღარება თვალებიდან გადმონაჟონი,
ამ ბედშავ სულებს უკანალზე გადასდიოდათ.
და მე ესტიროდი კლდისა ქიმზედ გადაყრდნობილი.

28 მითხრა ოსტატმა: — „ხომ არ გინდა აჰყვე ამ შლეგებს,
„აქ სათნოებამ საბოლოოდ რომ გაიხაროს,
„ხამს იგი მოკვდეს და გაიხრწნეს აუცილებლად.

31 „იგია თავათ უდიდესი მკრეხელთა შორის,
„ვინც ღვთის განაჩენს მართებულად აღარ მიიჩნევს.
„ასწიე თავი, — მეუბნება, — აღახვენ თვალნი,

34 „ნახე ის კაცი, თებაელთა წინაშე, ვისაც
„ერთხელ რომ მიწამ პირი უყო და გადაყლაპა,
„რომელსაც ყველა მისძახოდა გაოცებული:

37 «სად გადავარდი, მაგ ქვესკნელში ამფიარეუს,
«ან ბრძოლის ველი ასე ფიცხლად რისთვის დაგდე?»
„შეუკავებლად ეფლობოდა ის ჯურღმულებში,

40 „ვიდრემდის მინოსს იგი ხელში არ ჩაუვარდა.
„მას ზურგი თვისი მკერდად ქცევია,
„რადგანაც ძლიერ შორს უნდოდა წინ გაეხედა.

43 „უკუღმა ხედავს და უკუღმა დადის კიდევაც,
„ტირეზიასაც შეუცვლია მთლად აღნაგობა,
„ოდესღაც კაცი ახლა ქალად გადაქცეულა,

46 „ყველა სახსრებით მთელი ტანით ფერნაცვალები,
„ახლა მან წნელით უნდა სცემოს ორ გველს დაგრეხილს.
„სანამ ხელახლა იგი კაცად არ გადიქცევა.

49 „ე, მანდ არონსი დაყრდნობილი საკუთარ ღიპზე,
„იგი ოდესღაც ლუნის მთაზე სცხოვრობდა თურმე,
„სად კარაელი თვით უვლიდა საკუთარ ყანას,

52 „მარმარის კლდეში გამოკვეთილ სახლში სცხოვრობდა,
„გადასცქეროდა ვარსკვლავეთსა და ზღვის სანახებს.
„ხოლო ის ქალი, გაწეწილი თმებით რომ ჰფარავს,

„ახლა კი წრფელი სინანულიც გვიანღა არის.
„საბრალოებმა მიატოვეს მაჭო, მასტიკო,
„მასრა, სართავი, თითისტარი, რათა ესწავლათ

„ჭინკათ ხელობა და მზაკვრობა, კუდიანობა.
„ბალახ-ბულახსა აგროვებდენ, სანთელს ძერწავდენ.
„მაგრამ წავიდეთ, უკვე კაენ ეკლის მტვირთველი

„შესდგა ორივე ჰემისფეროს მმიჯნავ საზღვარზე,
„და ეხუტება ოკეანეს სევილას ქვემოდ.
„წუხელაც მთვარე გორგალივით იყო გავსილი“, —

მითხრა ოსტატმა, საუბარში განვაგრძეთ გზაჲ.

## ჯეგა ოცდამეერთე

ასე ვიდოდით ჩვენ ორივე ხიდიდან ხიდზე.
ისეთ რამეზე ვსაუბრობდით, კომედიაში
რაც მოხსენების და შექების არ იყო ღირსი.

და მივაღწიეთ არკის ზეთავს, როცა შევსდექით,
რათა ამაო სიმძიმილი რომ მოგვესმინა
და ჯურღმულების სხვა ნაპრალში გადაგვეხედნა.

და ეს ნაპრალი მომეჩვენა საშინლად ბნელი.
ვით ვენეციელთ არსენალში ზამთრობით ფისი
სდუღდება, რათა შეაკეთონ შემდეგ გემები,

რომელნიც ზღვაში ვერ გასულან შეუკეთებლად
ერთი ამზადებს ახალ ხომალდს, იქვე მეორე
ფერდებს უფისავს გემს გამოწვრთნილს მრავალ ზღვაურში,

ზოგი ჩაქუჩებს ურახუნებს გემისა ბოლოს,
ზოგიც გემის ჭვინტს უკირკიტებს დაზიანებულს,
ერთი ნიჩბების დამზადებას მოსჭიდებია,

მეორეს აფრა გაუფისავს უკანა ანძის,
დანარჩენები ძველ იალქნებს ლესვენ ფისითა, —
ასევე სდუღდა ამ ჯურღმულში არა ცეცხლისა,

არამედ ღვთისა უებარი ნებისყოფითა
ზრქელი და შავი ფისის ფაფა უშველებელი.
ყოველის მხრიდან კიდეებზე გადმოღვრილიყო.

„აქ უცხოვრნია მოახლეთა თვისთა ამარა,
„ვიდრემდის სუნთქვა არ წაერთო — აქ დარჩენილა.
„ამ ჭაობების გარეშემო მცხოვრები ხალხი

„შემოკრებილა ამის შემდეგ ველურ კუნძულზე,
„ვინადგან იგი შეუვალი იყო მტრისათვის
„და მანტოს ძვლებზე აუგიათ ერთხელ ქალაქი,

„ანაზდეულად, ამ ადგილის გამომძებნელის
„შეურქმევიათ მათ სახელი თურმე მანტუა;
„და მრავლდებოდა მანტუაში მოსახლეობა,

„ვიდრემდის ფლიდი, პინამონტი შლეგ კასალოდის
„მუხანათობით ძირს დასცემდა, მოატყუებდა.
„მეც ამიტომაც განგიმარტე ეს ყოველივე;

„ვინძლო ისმინო ჩემ სამშობლოს წარმოშობაზე
„შენ სხვანაირი განმარტება. არ დაიჯერო,
„რათა სიცრუემ არ დაჩრდილოს სიტყვა მართალი".

მე ვუპასუხე: — „სიტყვა შენი ჰოი, ოსტატო,
„ჩემთვის იმდენად სარწმუნოა და საგულისხმო,
„რომ სხვის ნათქვამი ამის გამო არ მიღირს ჩირად.

„მიბრძანე მხოლოდ, ახლა ჩვენსკენ მომავალ ხალხში,
„თუ ვინმე არის ყურადღების ჩვენისა ღირსი,
„ამას უპყრია ერთობლივად გონება ჩემი".

მან მიპასუხა: — „იმ შავ ზურგზე შეფენილ წვერებს
„ხომ კარგად ამჩნევ? იგი იყო სწორედ აუგურ,
„ეს იმ ხანებში საბერძნეთში, როცა ვაქკაცნი

„გამოილიენ, ან აკვნებში თუ სადმე დარჩა
„კალხასთან ერთად ახლდა იგი ბერძნებს ავლისში,
„სახელად ერქვა ევრიპილეს, როგორც მაღალი

„ტრაგედიისა ჩემის ლექსი გვაუწყებს ამას.
„ხოლო მეორე კაფანდარა, სნეული სახის,
იყო ცნობილი ცრუ მისანი მიხაელ სკოტუს.

„დიდი ოსტატი ჯადოსნური ხელოვნებისა
„გვიდო ბონატი, იმის გვერდით აგერ ასდენტი,
„სჯობდა არასდროს არ დაეთმო სადგისი, ტყავი,

55 ეუბნებოდნენ: — „ნებიერად იყურყუმალე“.
სწორედ ასევე მზარეული ხორცისა ნაჭერს.
ატივტივებულს ჩააბრუნებს ჩანგალით ქვაბში.

58 ქველი ოსტატი მეუბნება: — „გაუჩინარდი,
„შეძვერი სადმე კლდისა ღრუში, რომ გექნეს მყუდრო
„თავშესაფარი, ხოლო ჩემი ნუღარ გაქვს დარდი,

61 „ჩემთვის ყველანი ნაცნობია ამ გარემოში,
„და არა ერთხელ გავრეულვარ ამგვარ ბრძოლაში“.
მითხრა ოსტატმა, გაიარა უშიშრად ხიდი;

64 როცა მეექვსეს რიცხვით ნაპირს მან მიაღწია,
შესდგა ერთბაშად და მედგარმა შეჭმუხნა შუბლი.
როგორც ძაღლები დაღრენილი, გაშმაგებული

67 მივარდებიან კბილთა ღრჭენით ვინმე მათხოვარს,
ასე ეშმაკნიც იმ ხიდიდან გამოცვეთილნი
მივარდნენ ოსტატს, დაემუქრენ რკინის ჭანგებით.

70 შესძახა მაშინ გაცოფებულთ მეგზურმა ჩემმა:
„გიჯობთ რომ დასცხრეთ ესოდენად ამბოხებულნი
„ვიდრე ხელს მახლებთ, მე მგონია, ის გირჩევნოდეთ

73 „დაწინაურდეს, მომისმინოს ვინმემ თქვენგანმა.
„და ამის შემდეგ შეგიძლიათ ამკუწოთ წვრილად.
ყველამ ერთბაშად დაიჩხავლა: — „წა, კუდნაცარავ“.

76 მყისვე შეჩერდნენ, მხოლოდ ერთი დაწინაურდა.
ახლოს მოვიდა ჩემს ოსტატთან და ეუბნება:
„ამ გარემოში რას აკეთებ, რას დაყიალობ?“

79 „ნუთუ გგონია კუდნაცარავ, — უთხრა ოსტატმა, —
„მე ვეწვეოდი ამ გარემოს, ნება უფლისა
„რომ არ მფარვიდეს და განსაცდელს თქვენგან მოვლენილს

82 „არ მარიდებდეს ყოვლადშემძლე განგების ხელი?
„გზა დამიცალე, ვინაიდან ხედავენ ცაში,
„ვინმე კაცთაგანს რომ ვმეგზურობ ამ ველურ გზაზე.“

85 წამს ეშმაკეულს სითამამე გამოელია
და ძირს დაუშვა რკინის ჭანგი ზეშემართული.
შებრუნდა უცებ. გადასძახა იქვე თავის ტოლს:

22 კარგად ვხედავდი მდუღარე ფისს ვით ჭოთჭოთებდა,
და ინთხეოდა ვით დინგელის შავი ღვართქაფი.
სულგანაბული შევსცქეროდი, როცა ოსტატმა

25 „დახე, დახეო“, — დამიძახა და ხელი მკიდა.
მეც როგორც კაცი, შიშისაგან დაფეთებული,
ელდანაკრავი რომ ვერ ასწრებს იმის დანახვას,

28 რაც თავათ საფრთხის მიზეზია, ასეთ წუთებში
ანაზდეულად თვალს აცეცებს და მაინც გარბის. —
ისე შევბრუნდი, შევტრიალდი და დავინახე:

31 როგორ ამოძვრა კლდის ქონგურზე ეშმაკი შავი.
ო, რა საზარი იყო იგი შესახედავად,
ცქვიტი. ფეხმარდი და გაშლილი ზედ ესხა ფრთენი.

34 ზურგზე მოეგდო მას ცოდვილი, ხოლო ჭანგებით,
მოსჭიდებოდა საცოდავის ფეხისა ტერფებს.
„ავჭანგიანნო, ხიდის ჩვენის მცველნო გუშაგნო, —

37 ჰყვიროდა იგი. — „ჰა ერთ-ერთი სანტა ციტასი,
„უხუცესია ეს ცოდვილი და ძირს ჩაუშვით.
„ამის მაგვარნი იმ ქალაქში კიდევ ბევრია,

40 „და მე ახლავე იქ მივდივარ მათ მოსაყვანად.
„ციტაში ყველა ბუონტუროს ერთის გარეშე
„შესაძლო არის მოიყიდოთ ხელის ჭუჭყითა.

43 „ციტაში ფულით „ჰო“-დ იქცევა ერთბაშად „არა“.
და გადააგდო, ხოლო თვითონ წვეტიან ქიმზე
გადმოირბინა ისე მარდად, როგორც ვერც ერთი

46 ეზოს ქოფაკი ქურდს ვერ გასდევს გამალებული.
ცოდვილი სული ძირს დაეშვა და ეშმაკები
ჩასაფრებულნი იმ ხიდის ქვეშ ჩხავოდენ ასე:

49 „აქ აღარ არის წმინდა ხატი. და სულ სხვაგვარად
„გმართებსო ცურვა, ვიდრე იგი წინად გვჩვეოდა
„იქ, საიქიოს მობანავეს სერჩიოს წყალში.

52 „მიტომაც თუ გსურს არ მოეგბა ჩვენს ანკესებზე,
„სჯობს ფისის ტბიდან არ ამოჰყო ზევითკენ თავი“.
დაარჭვეს ზურგზე ასზე მეტი ბედშავს ჩანგალი,

„თქვენ მათ მიენდვეთ, და ისინი გზას გიჩვენებენ.
„დაწინაურდი, ალიჩინო, კალაკაბრინა, —
„ყვიროდა იგი — შენ კაგნაჩო, ბარბარიჩია,

„შენ ინიშნები ათეულის უფროს მეგზურად,
„წა, დრაგინაჩო, ჩირიატო და ლიბიკოკკო,
„და შენც ფარფარელ, რუბიკანტე გადარეულო.

„შენაც გაჰყევი ამხანაგებს, გრაფიაკანე.
„გადაიარეთ ადუღებულ ფისის მორევი,
„და ეს პირები მიიყვანეთ შემდეგ ხიდამდის,

„რომელიც ჯერაც უფსკრულებზე აღმართულია.“
„ოსტატო ჩემო, — მივუბრუნდი ახლა ჩემს მეგზურს, —
„ვაჲმე, ეს რა დაინახეს ჩემმა თვალებმა,

„გვიჯობს ვიაროთ უმეგზუროთ ჩვენ ამ ჯურღმულში. —
„შენ შეგიძლიან კვლავინდებურ დარბაისლობით
„გზა გაიკვლიო, მე კი მიმძიმს მათი დანახვაც;

„ხომ ხედავ როგორ უკაწკაწებთ ბასრი კბილები,
„შეჭმუხვნილ წარბებს ზედ ემჩნევა ავნი ზრახვანი.“
„ნუ გეშინია, — მიპასუხა ოსტატმა ჩემმა, —

„ამ კბილთა ღრჭენით იმ ცოდვილებს ემუქრებიან,
„ფისის მორევში რომ უწყალოდ იხარშებიან.“
ეშმაკეულნი შეტრიალდნენ მყისვე მხარმარცხნით,

ახლა მათ ენა გამოუყვეს თავიანთ უფროსს,
გაუდგენ გზასა, და მთავარმა ეშმაკეულმა
უკანალიდან მოგვასმინა დუდუკის ხმები.

## ჯება ოცდამეორე

მინახავს გასვლა ბანაკიდან ცხენოსნებისა,
მათი ფიცხელი იერიში, მათი აღლუმი,
უკან დახევა და გაქცევა მტერთაგან მათი.

ო, მე მინახავს თავდასხმანი თქვენს ქვეყანაზე,
არეცოს მკვიდრნო! მე მინახავს კავალკადები.
მინახავს, როგორ გამართულა ტურნირზე ბრძოლა,

„ვაგლახ, ჩვენ იმას ვერას ვაგნებთ და ვეღარც **მოვკლავთ.**“
ჩემი მეგზური მომიბრუნდა და შემესიტყვა:
„შენ ჰეჲ, ხიდს ქვეშ მიჩქმალულო ნაპრალებს შორის,

„გამოდი მყისვე, უშიშარად მომიახლოვდი“.
ზეწამოვიჭერ და სირბილით მას მივაშურე,
ეშმაკეულნიც თან მოგვსდევდნენ გაწბილებულნი.

მე კი შიშისგან ვცახცახებდი. რადგან მეგონა
ისინი უკან წაიღებდნენ აღთქმას დადებულს.
მე ვნახე ასე შიშისაგან რომ თრთოდენ სპანი

კაპრონას ციხე მტერს რომ მისცეს პირობის ძალით,
როცა შეხედეს გარს ეხვიათ მტრისა ლაშქარი.
მეც ამიტომაც ზედ ვეკვროდი ტანზე ჩემს ოსტატს,

და წამდაუწუმ ეშმაკეულთ ვუთვალთვალებდი,
რადგანაც მათი საქციელი მე მაეჭვებდა.
ძირს დაშვებული თან მოჰქონდათ რკინის ჭანგები,

ერთი მეორეს შესცქეროდა — ეუბნებოდა.
„თუ გინდა ცოტას შევეხები ზურგზე ჭანგითა“.
„მოფხანე ცოტა“, — უპასუხა ერთმა მეორეს.

მაგრამ დემონი, ჩემს მეგზურს რომ ესიტყვებოდა,
მობრუნდა მყისვე, გადასძახა თავის ამხანაგს:
„კმარა, იყუჩე, გეუბნები შე ჩხუბისთავო“.

მერმე მან ჩვენსკენ შეიბრუნა იჩქითად პირი
და გვეუბნება: — „თქვენ ამ გზაზე ვეღარ გაივლით,
„რადგანაც არკა აქაური. რიცხვით მეექვსე,

„დამსხვრეულია. ნამუსრევი გადარჩა მხოლოდ,
„და თუ გწადიათ გზა განაგრძოთ ამ მიდამოში,
„გირჩევთ ეს მღვიმე გადალახოთ და მოშორებით

„თქვენ შეგიძლიათ კადიაროთ მეორე ხიდი.
„გუშინ შესრულდა ამის შემდეგ ათას სამოცი
„და ექვსი წელი, რაც ის ხიდი ჩანგრეულია.

„ხუთი საათიც მიუმატეთ, თუ გსურთ სიზუსტე,
„ახლა იმ მხარეს გავაგზავნი მე ჩემიანებს,
„რათა ფიხიდან აპოგგვაროონ წამებულები.

„ჩაურჭვე ზურგში, რუბიკანტე, შენი ჩანგალი,
„შემოაგლიჯე, მოაფლითე გარშემო ტყავი,“ —
ხმაშეწყობილი გაისმოდა ქაჯთა ძახილი.

მაშინ მივმართე მე წინამძღოლს: — „ოსტატო ჩემო,
„გამოარკვიე თუ შეიძლო, ვინ არის იგი
„ბედშავი, ვინაც ჩაუვარდა თავის მტრებს ხელში.“

მიუახლოვდა მას მეგზური და შეეკითხა:
„სადაური ხარ?“ — უპასუხა ამაზე სულმა:
„მე ნავარიის სამეფოდან ვარ წარმოშობით.

„მამამ ოხერმა, ქონება და ჯანღონე თვისი
„როცა გაფლანგა, დედაჩემი წამიძღვა წინა
„და მიმიყვანა ერთ ბატონთან მსახურად. შემდეგ

„მე შემიყვარა გულკეთილმა თიბოტო მეფემ,
„და იქ სავაჭროდ გავიხადე წყალობა მისი.
„აი, ის ცოდვა, რომლის გამოც აქ ვიხარშები.“

და ჩირიატომ, ლაშებიდან ეშვები ვისაც
გადმოეყარა ორივე მხრით, ვით ტახს ველურსა,
საბრალოს ერთი ეშვთაგანი ამოჰკრა მაგრად.

თითქოს კლანჭებში ჩაუვარდათ ავ კატებს თაგვი.
ბარბარიჩიამ მოუჭირა ხელი და წარსთქვა:
„ჯერ დამაცალეთ, სანამ კარგათ ავკრავდე ჩანგალს.“

შემდეგ ამისა ოსტატისკენ მოიღო პირი
და უთხრა: — „კიდევ თუ გსურს რამე შეიტყო მისგან,
მიეცი კითხვა, ვიდრემდისინ შუა გავგლეჯდე“.

და თანამგზავრიც შეეკითხა; — „ხომ არ არიან
„აქ ლათინები ფისში ჩაყრილ ცოდვილთა შორის?“
მან უპასუხა: — „აგერ ამ წუთს დავსტოვე ერთი,

„ვინაც სცხოვრობდა იტალიის მეზობლად თურმე.
„ო, მეც ნეტავი იმასავით დავმალულიყავ,
„არ მექნებოდა ამ ბრჭყალთა და ჩანგალთა შიში.“

„აბა გეყოფა!“ — შეუძახა აქ ლიბიკოკკომ
საბრალო ცოდვილს, და ხელებზე ჩანგალი მოსდო,
შემდეგ გაჰკრა და ააგლიჯა ხორცის ნაფლეთი.

ხან ბუკთა ხმაზე, ხან ზარების ჩამორეკვაზე,
ხან დაფდაფთ გრგვინვის, ხან ციხეთგან ნიშნის მიხედვით,
როგორც ჩვენსას და უცხო ქვეყნებს სჩვევიათ, ისე.

მაგრამ არასდროს არ მინახავს ამგვარი სტვირის
ხმაზე ვიდოდეს ქვეითი ან ცხენოსანთ ჯარი,
ან ხომალდები კანდელთა თუ ვარსკვლავთ ნიშანზე.

ჩვენ ათ დემონთან მივდიოდით. ო, საშინელი
თანამგზავრები! მაგრამ ხომ ვართ ტაძარსა შიგან
წმინდათა გვერდით, ტავერნაში — ღორმუცელებთან.

და მაინც კიდევ თვალთახედვას არ ვაცილებდი
ფისს, რომ მენახა მე მთლიანი სივრცელე მღვიმის,
და შიგ ცეცხლსა და გენიაში შთაყრილნი სულნი.

ვით დელფინები, მოღუნული ზურგების რკალით,
ცნობას აძლევენ მენავეთა, რომ ახლოვდება
ჟამი, როცა მათ ნავის ბედზე უნდა იზრუნონ,

სწორედ იმგვარად ზოგიერთი დასჯილთაგანი
გამოჩნდებოდა ზედაპირზე შვებისთვის ზურგით,
და კვლავ ელვაზე უსწრაფესად იმალებოდა.

და ისე, როგორც ჭაობების სიღრმიდან ბაყაყთ
ამოუყვიათ ზედაპირზე ლაშები, ხოლო
ფეხებს და ტანის სხვა ნაწილებს ლაფში მალავენ,

ყოველი მხრიდან ამოეყოთ ცხვირები ცოდვილთ,
მაგრამ როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ბარბარიჩიას,
ელვის სისწრაფით ჩაძვრებოდნენ მდუღარე ფისში.

მე დავინახე — ო, ახლაც კი მიკვნესის გული, —
ერთმა დამალვა ვერ მოასწრო, ისე ვით ერთი
რჩება ბაყაყი, როს მეორე გაშპება წყალში.

გრაფიაკანომ, მის მახლობლად მდგომარემ, მაშინ
მოსდო ჩანგალი შავის ფისით გაჟღენთილ თმებზე
და, როგორც წავი, ამოაგდო იქიდან იგი.

მე ამ დემონებს სახელებით ვიცნობდი ყველას,
რადგან ვისმენდი ამოძახილს დარაზმვის ჟამსა,
და მაშინ ოდეს მიმართავდნენ ხოლმე ურთიერთს.

ამის გამგონე კანიაცამ ასწია ტუჩი
და თავის ქნევით განაცხადა: — „უყურეთ ამას,
„რა ეშმაკობა მოიგონა, ხელთ რომ დაგვიძვრეს!“

მაგრამ ცოდვილმა — მას მრავალი გააჩნდა ხვრელი —
მიუგო: — „მართლაც ბოროტებას ვამჟღავნებ დიდსა,
„რომ ამხანაგებს აქ ვუმზადებ წამებას ძლიერს.“

ვერ მოითმინა ალეკინომ და უთხრა ცოდვილს
წინააღმდეგი მისი, რასაც ფიქრობდნენ სხვანი:
„მაინცდამაინც, თუ ჩაყვინთავ, არა გდევ უკან;

„მე ფრთებს დავუშენ მარტოოდენ ფისის ზედაპირს.
„ჩვენ გავსცილდებით კლდეს და, ნაპირს მოფარებულნი,
„შევხედავთ, ერთი თუ დაგვძვრები ხელიდან ამდენს.“

ო, შენ მკითხველო, დაინახავ შესაქცევს ახალს!
პირი იბრუნეს დემონებმა მეორე მხრისკენ,
და სხვებზე უმალ მან, რომელიც უარზე იდგა.

ამასობაში ნავარელმა იხელთა წამი,
მიწას ქუსლები დააჭირა, გადახტა უცებ
და დემონების დევნისაგან განთავისუფლდა.

შეძრწუნდნენ ამით დემონები, მეტადრე იგი,
ვინც შეცდომაში შეიყვანა, ამიტომ ცოდვილს
გამოედევნა ის ყვირილით: — „ვერსად წამიხვალ!“

მაგრამ ამაო იყო ეს ხმა: დემონის ფრთებმა
შიშს ვერ გაუსწრო — მსწრაფლ ჩაჰყვინთა ცოდვილმა ფისში,
და ქაჯი ისევ უკუიქცა გაწბილებული.

ამგვარად იხვი გარეული მიილტვის წყალქვეშ,
თავს რომ დაესხმის შევარდენი, რომელიც კვლავ
ბრუნდება ცაში დარცხვენილი და დაღალული.

და კალკაბრინა, გულძოსული ამ მოღორებით,
გამოედევნა დემონს ფრენით, გახარებული,
რომ გამოუჩნდა ამხანაგთან საბაბი ჩხუბის.

რაწამს ცოდვილი დაიმალა, მან მაშინავე
თავის ამხანაგს მიაშურა კბილების ღრჭენით,
და ჩააფრინდა მას ბრჭყალებით უფსკრულის თავზე.

73 დრაგინაცომაც მოინდომა ეტაცნა ხელი
ფეხებში მისთვის, მაგრამ ამ დროს დეკურიონი
მიბრუნდა მათკენ და მრისხანე შეავლო თვალი.

76 როცა ისინი ცოტაოდენ, მიწყნარდნენ, მყისვე
მიმართა ჩემმა წინამძღოლმა შეკითხვით ცოდვილს,
რომელიც ისევ დასცქეროდა იარას თვისას:

79 „სთქვი, თუ ვინ იყო ის, რომელიც შენ მიატოვე
„შეუფერებელ დროს ნაპირზე რომ გამოსცურე?“
მან უპასუხა: — „იგი იყო ბერი გამიტა.

82 „მმართველი იყო გალურისა, სიმრუდის ბუდე,
„რომელსაც ხელში ჰყავდა თავის ხელმწიფის მტრები
„და მათ მოეპყრა არა ისე, ვით შეჰფეროდათ:

85 „აიღო მათგან, როგორც ამბობს, ოქრო და შემდეგ
„თავისუფლება მიანიჭა; სხვა შემთხვევებშიც
„უპირველესი იყო იგი მექრთამეთ შორის.

88 „იმასთან ხშირად საუბრობს დონ მიკელე ცანკე,
„დე-ლოგადერო — დაუღლელად ენანი მათნი
„მუსაიფობენ სარდინიის ამბების ირგვლივ.

91 „ო, მიიხედეთ, როგორ აღრჭენს აგერ ის კბილებს!
„გავაგრძელებდი მე აქ კიდევ საუბარს, მაგრამ
„ვშიშობ, ხელახლა არ ამიწვას წყეულმა კანი!“

94 მაშინ მრისხანედ შეუყვირა დემონთ ბელადმა
ფარფარელოსა, რომელიც იქ თვალდაჭყეტილი
ლამობდა ცემას: — „დაიკარგე, ბილწო ფრინველო!“

97 „თუ გსურთ იხილოთ ტოსკანელნი ან ლომბარდელნი
„და მოუსმინოთ, — განაგრძობდა შემკრთალი სული, —
„მე შემიძლია ამ წუთშივე აქ გავაჩინო,

100 „ოღონდ ბრჭყალები საშინელი ამა წყეულთა
„მათ არ აკრთობდეთ და ამათი შურისძიების
„არ ეშინოდეთ: მაშინ აქვე მარტო მჯდომარეს

103 „მე შემიძლია შვიდი სული ამოვიწვიო:
„საკმარისია დავისტვინო, ვითა სტვენს ხოლმე
„ჩვენგანი, ვინაც ზე ამოჰყოფს ფისიდან თავსა.“

19 და მე ვიგრძენი, რომ შიშისგან მთლიანად თმები
ყალყზე დამიდგა. მივიხედე, მივმართე მეგზურს:
„ოსტატო, თუ კი ამ წუთშივე არ დავიმალეთ,

22 „შიში შემზარავს მე ახლავე დაწყევლილ კლანჭთა;
„უკან მოგვდევენ უსათუოდ, კიდევაც თითქოს
„მესმის ყიჟინა და ხრიალი დადევნებისა“.

25 მითხრა პასუხად: — „ტყვიასხმული რომ ვიყო მინა,
„მე მაშინაც კი უსწრაფესად ვერ ავრეკლავდი
„შენს სახეს, ვიდრე გამოვიცან, რაც გედო გულში.

28 „აი, ამ წუთში შეიყარნენ ჩვენნი ზრახვანი
„ერთსახოვანნი და აღძრულნი მიზეზით ერთით;
„მათ თანხმობიდან მე ამგვარი გამომაქვს რჩევა:

31 „აგერ კლდე მარჯვნით თუ ფრიალო არ არის ეგზომ,
„რომ ჩვენ ჩაშვება აღგვჯვეთოს შემდეგ მღვიმეში,
„მაშინ შევიძლებთ დავაღწიოთ მდევარებს თავი“.

34 ვერც კი მოასწრო გადმოეცა ეს აზრი ჩემთვის,
რომ მე დემონებს ფრთებგაშლილებს თვალი შევასწარ,
შორს აღარ იყვნენ, გამალებით მოჰქროდნენ ჩვენსკენ,

37 მაშინ სასწრაფოდ აღმიტაცა მეგზურმა ხელზე.
ამგვარად დედა, უეცარად ძილდაფრთხობილი
ყოველი მხრიდან მოწოლილი კოცონის მიერ

40 წამოიჭრება, ხელს დასტაცებს შვილსა და გარბის
თავგანწირული და მზრუნველი მისთვის ესოდენ.
რომ ძლივსღა ასწრებს სარცხვინელი დაჰფაროს თვისი.

43 კლდის სიმაღლიდან ჩასრიალდა ოსტატი ქვემოდ,
ზურგმიბჯენილი დაფერდებულ შუაზე, რომლის
ბოლო-ორწოხი სხვა მღვიმეში გადადიოდა.

46 არასდროს წყალი დაშვებული თავდაღმა ღარით,
რომ მოძრაობა მიანიჭოს წისქვილის ქვასა,
ისე სისწრაფით არ ეცემა ბორბალის ფარფლებს,

49 რა სისწრაფითაც დაქანებულ კლდის ფერდობებზე
ძირს წასრიალდა და ჩაეშვა მეგზური ჩემი.
თან რომ მიეყუდე მე შვილივით ხელთ აყვანილი.

მაგრამ ისიც რომ ბრჭყალმაგარი მიმინო იყო,
მყის შეეგება შემოტევას პირისპირ მარჯვედ,
და ორივენი ჩაიძირნენ მდუღარე ფისში.

სულ მოკლე ხანში შეარიგა სიცხემ ისინი,
მაგრამ სითხიდან ამოფრენას ვერ ახერხებდნენ,
რადგანაც ფისით გაიგლისა იმათი ფრთები.

ბარბარიჩიამ, სხვების მსგავსად უკმაყოფილომ,
ოთხი დემონი გააგზავნა ჩანგლებით ხელში
მოპირდაპირე ნაპირზე, და დაუყოვნებლივ

დანიშნულ ადგილს ჩამოეშვნენ ისინი სწრაფად,
და გაუწოდეს თავიანთი ჩანგლები დაფლულთ,
რომელნიც უკვე სანახევროდ მოხარშულიყვნენ.

ამ განსაცდელში მივატოვეთ ჩვენ იქ ისინი.

## ᲥᲔᲑᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲡᲐᲛᲔ

მარტონი, გამყოლთ მოკლებულნი და მდუმარენი
მივისწრაფოდით ჩვენ გზადაგზა, მე უკან, ის წინ,
ისე ვით ძმანი გზად მიდიან მინორიტელნი.

ქაჯთა ურთიერთ წაკიდებამ მე მომაგონა
ერთი არაკი ეზოპისა, არაკი, სადაც
ლაპარაკია გომბეშოს და ვირთხის ბრძოლაზე.

ორი ერთგვარი მნიშვნელობის სიტყვის აზრშიც კი
მეტი მსგავსება არ იქნება, ვიდრე მათშია,
თუ შევადარებთ ჩვენ აქ იმათ თავსა და ბოლოს.

და ისე. როგორც ერთი აზრი ჰბადებს მეორეს,
ამ აზრმაც ჩემში მყის წარმოშვა მეორე აზრი,
რამაც თავზარი პირვანდელი გამიორკეცა.

მე გავიფიქრე: „დემონები მოსტყუვდნენ ასე
„ჩვენს გამო: ალბათ ამ მიზეზმა დაჰბადა მათში
„გაგულისება და სიბრაზე განუსაზღვრელი.

„თუ განრისხება შეეუღლა მათ ბოროტ ნებას,
„მაშინ ისინი დაგვესხმიან უთუოდ თავზე
„მეტ გააფთრებით, ვიდრე ესხმის ქოფაკი ქურციკს".

85 მომიახლოვდნენ, გამისწორდნენ და ალმაცერად
ხმაგაკმენდილნი მომაჩერდნენ; შემდეგ ამისა
ერთიერთმანეთს მიუბრუნდნენ და ამეტყველდნენ:

88 „აი, ეს ყელის მოძრაობით სჩანს ცოცხალია;
„და ხოლო თუ კი მიცვლილები არიან, მაშინ
„თავიდან როგორ აიცდინეს სამოსი მძიმე?“

91 შემდეგ ამისა მე მომმართეს: — „ო, ტოსკანელო,
„ვინაც შესძელი მიგეღწია ფარისეველთა
„სევდიან ბრბომდე, ვინაობა გვაუწყე შენი.“

94 მივეც პასუხი: — „დავიბადე და აღვიზარდე
„მშვენიერ არნოს ნაპირებზე, დიად ქალაქში,
„და ვარ იმგვარად ხორცშესხმული, ვით ვიყავ დღემდე.

97 „მაგრამ თქვენ, როშელთ ღაწვთა ზედან გადაფენილა
„ესოდენ დიდი მწუხარება, გვითხარით ვინ ხართ,
„ან რა სასჯელი გდევთ ესოდენ სხივმომფინარე?“

100 მომიგო ერთმა: — „ეს სამოსი მოოქროვილი
„ჩამოსხმულია ტყვიისგან და ისეა მძიმე,
„რომ დატვირთული სასწორივით ვქანაობთ მის ქვეშ.

103 „მხიარულ ძმათა ორდენიდან ვართ ბოლონელნი,
„იმ სოფლად მერქვა კატალანო, მას ლოდერინგო;
„მოურავებად აგვირჩია შენმა ქალაქმა.

106 „ერთის მაგიერ მოურავი გაუჩნდა ორი,
„და ბრწყინვალედაც დავიცავით მისი მშვიდობა,
„რასაც გარდინგოს მიდამონი მოწმობენ დღემდე.“

109 „ბერნო, — შევსძახე, — ბოროტება თქვენს მიერ...“ მაგრამ
სიტყვა ვერ დავსძარ ამის მეტი, რადგან შევნიშნე,
კაცი მიწაზე მიმსჭვალული ყავარჯნით სამით.

112 რა დამინახა, მყის შეთრთოლდა განრთხმული დაბლა,
მძიმე ოხვრით და ალმოფშვინვით აჰბურძგნა წვერი.
ამის მნახველმა კატალანომ მომმართა სიტყვით:

115 „ამ მიპსჭვალულმა, რომელსაც შენ უცქერი ახლა,
„ფარისეველნი დაარიგა, რომ ძე კაცისა
„ხალხის გულისთვის ჯვარს გაეკრათ და დაესაჯათ.

52 და როგორც ფეხი დააბიჯა ორწოხის ფსკერზე,
კლდის თავს მოადგნენ იმავე წამს სულნი ბოროტნი,
მაგრამ მე უკვე აღარ მქონდა მათ მიმართ შიში,

55 რადგან განგება უმაღლესი, რამაც ამ ქალებს
ვალად მცველობა დააკისრა მეხუთე მღვიმის,
ნებას არ აძლევთ, რომ დადებულს გასცილდნენ ფარგლებს.

58 ჩვენ აქ ვიხილეთ ბრბო შეღებილ აჩრდილებისა;
მოკლე ნაბიჯით დადიოდნენ ირგვლივ ისინი,
და თან სტიროდნენ შეპყრობილნი სისუსტით თითქოს.

61 მათ ტანზე ეცვათ ჩამოშვებულ კაპიშონებით
ანაფორები, გამოჭრილი და შეკერილი
ისე, როგორსაც ატარებდნენ ბერები კელნის.

64 მოოქროვილი გარეპირით, შიგნით ტყვიისა
და მძიმე ესდენ, რომ ფრიდრიხის ანაფორები
გეჩვენებოდათ შედარებით უმჩატეს ჩალად.

67 მარადობისთვის მძიმე იყო ის მოსასხამი!
ჩვენ კიდევ მარცხნით მივუხვიეთ, გავყევით სულებს
და თანაც მოთქმას, სევდით სავსეს, ვუსმენდით მათსას.

70 მაგრამ დაღლილნი უმძიმესი დატვირთვის გამო,
ის საბრალონი ისე ნელა ადგამდნენ ნაბიჯს,
რომ თანამგზავრნი იცვლებოდნენ ჩვენს გვერდით მუდამ.

73 მივმართე მეგზურს: — „გამონახე მათ შორის ვინმე,
„თავის სახელით და საქმით რომ იყოს ცნობილი,
„არ შესდგე, ისე მიმოავლე გარშემო თვალი.“

76 მაშინ, როგორც კი გაიგონა მათ შორის ერთმა
ხმა ტოსკანური, მოგვაძახა: — „შესდექით ერთ წუთს,
„თქვენ, ასე სწრაფად მიმავალნო ბნელ სივრცეებით!

79 „ეგებ შეიტყოთ ყოველივე, რაცა გსურთ, ჩემგან.“
მაშინ მობრუნდა თანამგზავრი ჩემსკენ და მითხრა:
„მაშ დაუცადე და შეუწყე მის ნაბიჯს ფეხი.“

82 მეც შევიცადე, დავინახე ორი ცოდვილი,
თვალით გვამცნობდნენ, რომ დაწევის სურვილი ჰქონდათ,
მაგრამ ტვირთი და სივიწროვე გზის აბრკოლებდათ.

წლის დასაწყისის ისეთ დროში, როს მზე ისველებს
ოჭროს დალალებს განბანილებს ვერსოს ურნაში,
როდესაც ღამე ხანგრძლივობით დღეს დაეწევა,

4 მინდვრების ყინვა თეთრად კაზმავს დასა დღისასა,
მაგრამ მცირე ხნით თუ შერჩება მას ეს სითეთრე,
სოფლელი კაცი ნახავს როგორ ელევა სარჩო,

7 შეავლებს თვალებს ყინვისაგან მოვერცხლილ ჭალებს,
ხელებს დაუშვებს უიმედო, სასომიხდილი,
შინ შებრუნდება და ვაგლახობს გულმემოყრილი,

10 და აღარ იცის რა გააწყოს, რა მოაგვაროს.
მაგრამ აქ გულში აღეძრება სულ სხვა იმედი,
და რა შეიცნობს რომ ქვეყანას ანაზდეულად

13 უცვლია სახე, წამოავლებს ხელს თავის კომბალს,
და ცხვარს გარეკავს ფარეხიდან შიშველ მინდვრებში,
მეც ასე შევკრთი, როცა ვნახე ჩემი ოსტატი

16 დაღონებული, მოწყენილი, შუბლშეჭმუხვნილი.
მაგრამ სულ მალე დამიამა მან გულის წყლული,
როცა ორთავემ მივაღწიეთ ხიდს ჩამონგრეულს.

19 უკან მობრუნდა, შემომხედა ვეგზურმა ჩემმა,
და მზერა მისი იყო ეგზომ სათნო, კეთილი
და ვნახე იგი იმავ კორდის ფერხთით მდგომარე.

22 შესდგა, მცირე ხანს შეყოყმანდა, ანაზდეულად
გაშალა მკლავნი, მიაშტერა მზერა ნანგრევებს,
გაშალა მკლავნი, შემომხვია ირგვლივ ხელები.

25 როგორც მავანმა კაცმა გამრჯემ დარბაისლურად,
წინ დახედულმან და გამსჭვრეტმან მოპავალისამ,
მან ამიყვანა მთის ზეთავის ერთ საფეხურზე,

28 მეორე ხელით მანიშნებდა, მეუბნებოდა:
„აცოცდი ფრთხილად ქვის გოროხზე, თანაც გასინჯე,
„თუ შეუძლია დაგიმაგროს და შეგიკავოს“.

31 ეს არ ყოფილა გზა მანტია მოსხმულ ცოდვილთა,
რადგან ჩვენ ორნი (ის მსუბუქი ვითარცა ლანდი,
მე კი ოსტატსა თან მივყავდი სულ ზევით, ზევით),

„აი, ხომ ხედავ, ტანშიშველი აგდია იგი
„გზის გარდიგარდმო გაშოთვილი, დე განიცადოს
„ყველას სიმძიმე, ვინაც იმას ფეხს დააბიჯებს.

„იგივ სასჯელი დასტეხია სიმამრსა მისსა,
„და ყველას, ვინაც ეს ურჩიათ, რაიც შემდეგში
„თესლად გარდიქცა ებრაელთა უბედობისა.“

აქ მე შევნიშნე განცვიფრება ვირგილიუსის
ამ სამარცხვინოდ, საუკუნოდ გაძევებული
და ჯვარედინად დალურსმული კაცის წინაშე.

შემდეგ ამისა ერთ ბერთაგანს მიმართა კითხვით:
„ეგებ შეგეძლოს, რომ გვაუწყოთ, მარჯვენა მხარეს
„არის თუ არა იმნაირი გვირაბი რამე,

„რომლითაც გასვლას მოვახერხებთ ამ უფსკრულიდან,
„ისე რომ შველა არ დაგვჭირდეს შავ ანგელოსთა?“
მან უპასუხა: — „უფრო ახლოს, ვიდრე გგონია,

„ქედი მაღალი მდებარეობს, რომელიც მოდის
„უპირველესი კედელიდან და გადასერავს
„გულჩაშავებულს, ჩაბნელებულ ორწოხებს ყველას;

„გაწყვეტილია აქ იგი და ვერ ჰფარავს მღვიმეს;
„თქვენ შეგიძლიათ გადიაროთ ზვავების თავზე,
„რომელნიც ჰფარვენ ფერდობსაც და ჯურღმულის ფსკერსაც.

ჩემმა მეგზურმა ერთის წუთით დადრიკა თავი.
შემდეგ წარმოსთქვა: — „მოგვატყუა უთუოდ იმან,
„ვინაც გადაღმა წაწყმენდილებს ჩანგლებით იჭერს“.

სთქვა ერთმა ბერმა: — „მე მსმენია ბოლონიაში,
„ბევრი აუგი ეშმაკისა; ამბობდნენ, რომ ის
„მატყუარაა, ცბიერი და სიცრუის მამა.“

მაშინ მეგზური გაემართა ჩქარის ნაბიჯით;
სახეზე რისხვა მოჰფენოდა; მეც დავანებე
უმძიმეს ტვირთით წელგაწყვეტილ აჩრდილებს თავი

და თან მივყევი უძვირფასეს ფეხთა ნატერფალს.

67 ვერ გავიგონე. თუ ხმა იგი რას გვაუწყებდა.
რადგან იმ წუთში სწორედ ხიდზე ვიყავ შემდგარი.
მხოლოდ ეს გახდა საცნაური მის მოსმენაზე —

70 განრისხებულის მოგვესმოდა ანჩხლი ძახილი,
ძირს დავიხარე, მივაყურე, მაგრამ ვერასგზით
ძე ხორციელის ვერ წვდებოდა მზერა იმ ჯურღმულს.

73 „ოსტატო, — ვარქვი მე ჩემს მეგზურს, — ვეცადოთ ვინძლო
„გადავიაროთ გაღმა მხარეს, შევდგეთ იმ თხემზე,
„რადგან აქ მდგომსა მე არ მიჭრის თვალი და ყური.“

76 „მე საქმით გაგცემ ამის პასუხს, — მან მიპასუხა, —
„რადგან სურვილი მართებული, სამართლიანი
„ხამს რომ შესრულდეს და მოგვარდეს დუმილის დაცვით.“

79 და მივაღწიეთ ხიდს გასულთა ნაპირსა მერვეს,
და მეც ჭალაკი საშინელი მიმოვიხილე;
აქ ვნახე როგორ ზიმზიმებდა გველების ხროვა.

82 მარტოდენ მათი მოგონებაც ჟრჟოლას მგვრის ტანში.
თავი ნუ მოაქვს აწ ლიბიას უდაბნოებით,
თუმც იქ ბევრია ჩელიდრები, ფარე, ჯაკული,

85 თუნდ ჭრელი ჩენკრი და მომრგვალო ამფისიბენა.
არცა ლიბიას, მეწამულ ზღვას, ეთიოპიას
ჯერ არასოდეს ქვემძრომები ესდენ მრავალი

88 და საშინელი თვის მიწაზე არ მოსწრებიათ.
ამ გაშმაგებულ და შხამიან გველთა ხროვაში
შიშველი ხალხი ირეოდა სასომიხდილი.

91 ჰელიოტროპი, ან საფარი ენატრებოდათ.
ზურგზე ხელები ჰქონდა ყველას გველით მიმბული,
წელზე, კისერზე, თეძოებზე და სარცხვინელზე.

94 საბელებივით დაღვარჭნილი გარს ერტყათ გველნი.
ჰა, გამოქანდა შხამიანი ასპიტი ერთი,
და გამოუდგა ჩვენს მახლობლად მდგომარე ცოდვილს,

97 დაგესლა იგი იმ ადგილას, სადაც კისერი
მხრებს უერთდება, დაიკლაკნა ცოდვილი იგი.
თქვენ ასე სწრაფად ვერც ონს დასწერთ და ვეღარც ინსა,

34 ფრთხილად ვიდოდით, მივფოფხავდით კლდიან ბრეკებზე.
და რომ ფერდობი ამ მხარეზე უფრო ნაკლების
სიგრძე-სიგანის, აღნაგობის არ ყოფილიყო,

37 მე უსათუოდ ვერ გავძლებდი, დავეცემოდი,
ვინადგან მღვიმის შესავალთან ჯურღმულის ყელი
აღმართისაკენ იყო ცერად დაქანებული,

40 და ყოველ ტაფობს ცალ მხარეზე უვლიდა ფლატე
და ძეორეზე ჩაზნექილი ჰქონდა ნაპირი.
ბოლოს ორივემ მივაღწიეთ გორაკის ზეთავს,

43 სად ნამუსრევი ნანგრევისა კიდევ ეყარა.
ფილტვები ჩემი დაიშრიტა მძიმე სუნთქვისგან,
ველარ შევძელი სიარული და მოვიკეცე.

46 „ამიერიდან სიზარმაცე ხამს დაიოკო,
„რადგან ბუმბულში ნებივრობით და ფუფუნებით
„ჯერაც დიდება და სახელი არ მოხვეჭილა.

49 „და ვისაც უქმად ეს სიცოცხლე უტარებია,
„მისგან იმდენი დარჩენილა კვალი ამ ქვეყნად,
„რამდენსაც კვამლი, ან ზღვის ქაფი დასტოვებს ხოლმე.

52 „აღსდეგ, მოთენთვას მოერევა ძლიერი სული,
„ყოველგვარ ბრძოლას ის მოიგებს გამარჯვებული,
„ვის მხნეობასაც ვერ დათრგუნავს ტვირთი ხორცისა.

55 „ჩვენ მოგვიხდება უფრო მაღალ ძწვერვალზე ასვლა.
„აქედან გასვლა როდი ნიშნავს მიზნის მიღწევას,
„გამოიყენე თუ გაიგე ეს ნაუბარი“.

58 ზე წამოვიჭერ, ვაჩვენებდი ოსტატს მეტ ძალას,
ვიდრემდის მქონდა მე იმ წუთას მუხლში და მკლავში.
ვარქვი: — „ოსტატო, მაშ ვიაროთ, მოგყვები მხნეთა“.

61 მივყევით ქიმებს ოღრო-ჩოღროს და გაუვალსა.
წინანდებურზე უფრო მეტად პიტალო კლდეზე
მივსდევდი ოსტატს და გზადაგზა ვესიტყვებოდი,

64 რათა მას ჩემთვის არ შეეტყო უსუსურობა.
მოულოდნელად გამოვარდა პირქუშ ხაროდან
ხმა, რომელშიაც ვერ შევსძელი სიტყვის გარჩევა;

„ვიდრე ის შემხვდა იმ ქვეყნიდან წამოსვლის ჟამსა.
„არც შემიძლიან მაგ წადილი არ აგისრულო.
„უფსკრულს შთამაგდეს მე, რადგანაც წმინდა ჰურჭელი

„საკურთხევლიდან მოვიპარე მუხანათურად,
„და ჩემს მაგივრად სხვას დაბრალდა დანაშაული.
„მაგრამ იმისთვის, რომ არ გეკრას მოშაინური

„ღიმილის დამღა მაგ ბაგეზე, მართებულია,
„ოდესმე თავსა თუ დააღწევ ამ ბნელ სავანეს.
„მომაპყარ სმენა, ყურად იღე ჩემი ნათხრობი.

„შავებისაგან გასწმენდავენ აწ პისტოჲას,
„შემდეგ მცხოვრებლებს და ზნეს იცვლის თვით ფლორენციაც,
„ვალდიმაგრადან გამოიწვევს გრიგალს მარიხი,

„ბნელი ღრუბლების ასაბიით გარემოცულსა.
„გაიმართება დაუცხრომელ ქარიშხალის დროს
„პიკენის ველზე ულმობელი მძვინვარე ბრძოლა.

„ანაზდად ნისლი გაიბობა, გაიფანტება
„და მაშინ თეთრებს არ ასცდება განადგურება.
„ამას მოგითხრობ, როს მოგიკლა ამ ამბით გული“.

## ქება ოცდამეხუთე

ესა სთქვა ჭურდმა და ხელები ასწია ზევით,
და სამი თითით გააკეთა დაცინვით ბრაწი.
წამოიძახა: — „ღმერთო, შენი არ მეშინია.

„მას შემდეგ, რაც მე აქ ასპიტებს დავუმეგობრდი.“
გველთაგან ერთი მყის კისერზე შემოეხვია,
ხმა გაკმინდეო — თითქოს ამას ეუბნებოდა.

მეორეც უცბად შემოერტყა ცოდვილს მკლავებზე,
შემოეტმასნა მთელს სხეულზე, შეჰკრა, შეჰკოჭა,
რად არ იქცევი ნაცარტუტად ო, პისტოჲა,

რად არ გაჰქრები უჩინარად ქვეყნის პირიდან,
რადგანაც შენსა გარყვნილებას არ უჩანს ბოლო,
თვით ჯოჯოხეთის დაბნელებულ ჯურღმულთ წიაღში,

როგორც ის ცეცხლში გაეხვია და დაინაცრა.
შემდეგ ამისი, ძირს დაეცა ფერფლად ქცეული,
ისევ წამოდგა, გადაიქცა ხელახლად ლანდად.

ასე კვდებაო, მოგვითხრობენ მისანნი ძველნი,
თავათ ფენიქსიც და ხელახლა დაიბადება,
თურმე, როგორც კი გაუხდება ხუთასი წელი.

მთელს სიცოცხლეში არც ბალახს სჭამს და არცა იფქლსა,
ამონისა და საკმეველის ნაზი ცრემლები
საზრდოა მისი სანუკველი, და სიკვდილის ჟამს

მური და ნარდი სარეცელად დაეფინება.
და როგორც კაცი გათვალული, დემონებისგან
ან სულისხუთვით გათანგული, ღონემიხდილი

ძირს დაეცემა და ხელახლა ზეაიჭრება,
მიმოიხედავს, დაბნეული, ელდანაკრავი,
რა საცნაურს ყოფს წამიერად გამოვლილ ძრწოლას,

ასე წამოდგა ის ცოდვილიც, რა გამოფხიზლდა:
ო, შემოქმედის ულმობელო მართლმსაჯულებავ,
რა სასტიკი ხარ ასე მწარედ შურისმგებელი!

ჩემმა მეგზურმა გამოჰკითხა მას ვინაობა,
მან უპასუხა: — „ტოსკანოდან გადმომისროლეს
„ამ საზარელად დაბჩენილი ჯურღმულის ყელში.

„ნამდვილ პირუტყვეულს ვეწეოდი მე იქ ცხოვრებას,
„სწორედ იმნაირს, ვით შეშვენის ჩემებრ ჯორცხენას,
„და პისტოჲა გახლდათ, ჩემი თავშესაფარი“.

მივმართე მეგზურს: — „შეეკითხე, თუ რანაირმა
„დანაშაულმა ჩამოაგდო ის ამ უფსკრულში?
„ვისაც ოდესღაც მე ვიცნობდი სისხლის მხვრეპელად.“

და იმ ცოდვილმა გაიგონა ჩემი ნათქვამი,
არ დაგვემალა და მოგვაპყრო გულისაყურე,
შემოტრიალდა და შეფაკლდა სირცხვილისაგან.

„სავალალოა, — გამოსთქვამდა ის გულისტკივილს, —
„შენ ამ უფსკრულში რომ შემომხვდი ასე ბედითად,
„აქ უფრო მეტი მწუხარება მერგო მე წილად,

და მეც ბაგეზე დავიდევი იმ წუთში თითი,
რათა ჩემს მეგზურს დაეძაბა გულისაყური.
ვინძლო, მკითხველო, შენ დაეჭვდე ჩემს ნაამბობში,

მე ეს ამბავი საკვირველად არ მეჩვენება,
რადგან მე თავათ ძლივს ვიჯერებ ჩემს მიერ ნახულს.
იმ წუთში, როცა შევსცქეროდი ახალმოსულებს,

ექვსფეხა გველი ზედ მიეჭრა ერთ-ერთს სამთაგანს
შემოეჭიდა, მოეხვია შუა ჭანგებით
მუცელზე, წელზე შემოეჭდო გაცხარებული.

წინა ჭანგები შემოავლო მკლავებზე მჭიდროდ,
ორთავ ლოყაში გაუყარა ბასრი კბილები,
ქვედა ჭანგები წაიგრძელა, თეძოებს მოსდო,

და გრძელი ბოლო გაუყარა თეძოთა შორის.
არასდროს სურო ასე მჭიდროდ ხეს არ ეხვევა,
როგორც ურჩხული აეტმასნა ცოდვილის სხეულს,

ერთი მეორეს გადაესკვნა, გადაეკვანძა,
ერთი მეორეს შეეხორცა და შეედუღა,
თითქოს ჰქონოდათ მათ ორივეს დინგელის ხორცი.

ფერი და ხორცი აირია და გაითქვიფა,
არც ერთს არ შერჩა აღნაგობა უწინდებური,
ასე ატყვია ცეცხლში დამწვარ ქაღალდზე ლაქა

წაბლისა ფერი, როცა იგი დაიშრიტება,
დაჰკარგავს თეთრ ფერს და სიშავე ჯერ არ ხლებია.
ორივე სულმა დაინახა ეს საოცრება,

წამოიძახეს: — „ო, აგნელო, გეცვალა სახე,
„ამიერიდან არც ერთი ხარ და აღარც ორი,“
ორივეს თავი უკვე იქცა ერთ სახეობად.

როს ორი ლანდი წარმოგვიდგა ჩვენ როგორც ერთი,
და ერთ სახეში ორივენი გაერთიანდნენ.
მუცელი, მკერდი, თეძოები ისეთნი გახდენ,

რომლისა მსგავსი ჯერ არავის არ მოსწრებია.
მთლად წაიშალა პირველადი ნაკვთები მათი
უცხო რამ სახე შეიცავდა ორმაგ არსებას,

13 არ შემხვედრია უფრო მეტად მგმობელნი ღვთისა,
მათ იგიც ვეღარ შეედრება, ვისაც ოდესღაც
თებეს მახლობლად ძალადობით მოუღეს ბოლო.

16 გაიქცა იგი, გაგვეცალა სიტყვის უთქმელად,
თვალი მოვჰკარი ვით მორბოდა გაცოფებული
კენტავრი ერთი, აღრენილი გაიძახოდა:

19 „საით წავიდა იგი მრუშში და გულარძნილი?“
ვგონებ მარემაც იმდენ გველებს არ ასაზრდოებს,
რამდენიც კენტავრს დაჯორგვილი მიჰქონდა ზურგით.

22 ურჩხული შავი, ფრთაგაშლილი აჯდა ქეჩოზე,
პირდაბჩენილი ცეცხლს აფრქვევდა გზად შემოხვედრილს,
ჩემი მეგზური მეუბნება: — „ეს არის კაკუს,

25 „რომელსაც თურმე ავენტინის მთისა ფერდობთან
„სისხლისა ტბები არა ერთხელ დაუქცევია.
„ის გამოთიშეს ამ ქვესკნელში თვის ტოლებიდან,

28 „რადგანაც ჯოგებს გზად შეხვედრილს ახრჩობდა იგი.
„და ამ ურჩხულის ხელმრუდობას მოუღო ბოლო
„მძიმე ხელცულმა ძალოსანის ჰერკულესისამ,

31 „თუმცაღა ასში ათი კეტიც არ მოხვედრია“.
როცა ვირგილი მოძითხრობდა ზემოდ ნაამბობს.
ურჩხული მარდად მიჰქროლავდა ჩვენს სიახლოვეს.

34 აჩრდილი სამი შემოადგა იმავე ხიდსა,
სადაც ჩვენ ორნი ვსაუბრობდით, განზე გამდგარნი.
არც ჩემსა ოსტატს და აღარც მე შემიმჩნევია,

37 როგორ მოვიდნენ სამივენი ანაზდეულად,
მხოლოდ ეს იყო, შემოგვესმა ყივილი მათი.
„ჰეჲ, ვინა ხართ აქ მოსულნი“, — შეგვძახეს ერთხმად.

40 წამსვე შევწყვიტეთ ჩვენ ორივემ აქ მასლაათი,
და გულისყური მივაპყარით ახლომოსულთა.
ვერ შევიცანი ვინაობა მათი ვერასგზით,

43 მაგრამ ეს მოხდა, ისე როგორც ხდება შემთხვევით
ერთი მეორის, იძულებით ახსენებს სახელს,
ერთი მათგანი ჰკითხულობდა: — „სადღაა კდანფა?“

და ორი ფეხი ქვემძრომისა, აჭამდის მოკლე,
ერთ წამს დაგრძელდა, და დამოკლდნენ კაცის ხელები,
ორი უკანა გველის ფეხი წამს დაიგრიხა,

გადაეკვანძა, გადაესკვნა ერთი მეორეს
და გადაიქცა მამაკაცის სარცხვინელ ასოდ;
ხოლო კაცისა გაიხლიჩა, შუა გაიპო.

კვამლმა ორივეს მთელ სხეულზე გადაურბინა,
თმა ამოვიდა ცალმხარეზე, მეორე მხარეს
დასცვივდა ბეწვი, ზედა კანი შეიქნა სლიპი,

წამოდგა ერთი და მეორე ძირს დაენარცხა.
თვალს აცეცებდა და ორივე თვალის გუგაში
ხან ერთის დრუნჩი კიანთობდა, ხან მეორისა.

ფეხზე მდგომარემ გაისწორა თმა საფეთქელთან,
და მატერიის სიჭარბემან ტიტველ ლოყებზე
ანაზდეულად ორი ყური აღმოაცენა.

ნაშთმა, რომელსაც უკან არც კი დაუხევია,
უეცრად ცხვირი გაიჩინა სახის სიბრტყეზე,
და გამოუჩნდა ბუნებრივი სწორი ტუჩები.

ოთხზე მხოხავმა წაიგრძელა ერთბაშად დინგი,
ორივე ყური შეიკეცა თავის ქალაში,
ასე სჩვევია ლოკოკინას რქების შეკეცვა,

და ენა მისი, სასაუბროდ განმზადებული,
შუა გაიპო და მეორეს — ენა გაპობილს —
მყის შეეზარდა, გაუმრთელდა გაჭრილი ენა.

გველად ქცეულმა სულმა ერთიც გაიშლიგინა,
იწყო სისინი, გაემართა ჭალაკისაკენ.
მეორე უკან გამოუდგა, თან ახველებდა.

ესიტყვებოდა: — „მე ეს მინდა, რომ აწ ბუოსომ
„დაიწყოს ჩემებრ ამ ბილიკზე უმწეოდ ხოხვა."
მეშვიდე გარსში მე ვიხილე სულთა გარდაქმნა,

ფორმების შეცვლა. მიგრაცია ნაირ-ნაირი,
და ეს სიახლე მასალისა თუ მიპატიებს.
ჩემი კალამი რომ არ ეძებს დაფნების მოჰკას.

79 და გაგვეცალა იგი დინჯი, ნელი ნაბიჯით.
ვით მარდი ხვლიკი ელვასავით სწრაფად მორბედი
გაიშლიგინებს და მახლობელ ბუჩქს მიაშურებს,

82 ასე ორივეს შეუტია ასპიტმა ერთმა
(პილპილის ფერად მოხატული ჰქონდა პერანგი),
და ერთ იმათგანს შეანთხია გესლი სწორედ იქ,

85 საიდგანაც ყრმა რძით საზრდოობს დედის მუცელში,
იქვე დაეცა გაშხლართული, სულგანაბული.
დაჭრილმა სულმა გველს შეხედა გარინდებულმა,

88 წამს გაიჭიმთა, გააზმორა და დაამთქნარა,
თითქოს ხურვება დამართოდეს, მოსვლოდეს ძილი.
გაშტერებული გველს უმზერდა, გველიც დაკოდილს.

91 ერთს დანაკოდი უხრჩოლავდა, მეორეს პირი,
და გაერია ურთიერთში ორთქლი და შმორი.
ლუკანი სდუმდა საბელუსის და ნასიდუსის

94 მწვავე ტკივილებს როს შეეხო და გაგვიმჟღავნა,
აწ მოისმინეთ ყურადღებით აქ მოთხრობილი.
ოვიდიუსიც ბედშავ კადმუსს და არეთუზას

97 არ იხსენიებს და პოეტმა ერთი მათგანი
გველად აქცია და მეორე ჩხრიალა წყაროდ,
მაგრამ მე მაინც ეს არ მიჩანს სახარბიელოდ,

100 რადგან არასდროს მას კავშირი სხვადასხვაგვარი
ურთიერთშორის გათქვეფილი არ მოუცია,
ორივე ფორმას მატერია რომ გაეცვალათ.

103 შუა გაიპო გველის კუდი და დაკოდილის
ორივე ფეხი შეეზარდა მყისვე ერთმანეთს,
თეძო, ბარძაყი მიეწებნენ ერთი მეორეს,

106 სულ მცირე ხანში აღარ სჩანდა არსად სახსარი.
და გახლეჩილმა გველის კუდმა მიიღო ფორმა,
რომელიც წეღან კაცის ტანზე გაუჩინარდა.

109 კანი ცალ მხარეს გაფაფუკდა, მეორე კიდე
გახდა უხეში, ხორკლიანი, გაკაჟებული:
ვნახე ხელები იღლიაში ვით შესრიალდნენ,

25 ვით გორაკის ძირს მოსვენებით მჯდომარე გლეხი,
წლის იმა ჟამსა, ოდეს თავის ბრწყინვალე სახეს
ცათა ქვეშეთის საშუქარი მეტ ხნობით აჩენს,

28 და დღის იმა ჟამს ოდეს კოღო ბუზს შეეცვლება,
უცქერის ველზე მოოქროვილ ციცინათელებს
იქ, სადაც მისი ყანა არის და ვენახია,

31 ამგვარად ალნი ამდენივე, გამაშუქარნი
მერვე მღვიმისა, დავინახე, როგორც კი ფეხი
დავადგი ადგილს, საიდანაც ფსკერი მოსჩანდა.

34 ვით მან, ვის გამო ძუ დათვებმა იძიეს შური,
წმიდა ელიას ცეცხლოვანი ეტლი იხილა,
ოდეს ზეცისკენ წარიტაცეს ცხენებმა იგი,

37 ხოლო შორეულ სიმაღლეში თვალნი იმისნი,
ვეღარ არჩევდნენ ვეღარაფერს, გარდა ალისა,
წინ რომ მიჰქროდა, ვით მსუბუქი ღრუბელის ქულა,

40 ასევე მღვიმის შავ სიღრმეში თვითოეული
მისრიალებდა ცეცხლის ალი, რომელიც თითქოს
ცოდვილს, ვით ნადავლს, შეიცავდა თავის წიაღში.

43 მე ხიდის ნაპირს ავეკარი, რომ დამენახა
ეს სანახავი, და უთუოდ უფსკრულსა შიგან
გარდვეშვებოდი, რომ ტინისთვის არ მეცლო ხელი.

46 როცა მეგზურმა ყურადღება შენიშნა ჩემი,
ასე მაუწყა: — „ალნი ესე შეიცვენ სულებს,
„და ცეცხლს დამდაგველს შიგ ეძლევა ყოველი სული“.

49 „ოსტატო, — ვკადრე — მე ამაში ვრწმუნდები მეტად,
„შენ რომ ყურს გიგდებ, თორემ თვითვე წარმომედგინა,
„რომ ეს ამგვარად უნდა იყოს, და მსურდა კითხვა,

52 „ვინ ახლოვდება ამ ზემოდან გაყოფილ ალში
„იმგვარად, თითქოს ალი იყოს იგი ცეცხლისა,
„რომელმაც შთანთქა ეთეოკლე და ძმა იმისი?“

55 მითხრა: — „ამ ალში ულისია და დიომიდე.
„შეერთებულნი აქ არიან სასჯელში ისე,
„ვით პოროტების ჩადენის დროს ყოფილან ერთად.

თუმცა თვალები დამიჭანცა სანახაობამ,
და სული ჩემი იყო ფრიად განცვიფრებული,
ცოდვილთა მაინც ვეღარ შესძლეს იდუმალი გზით

მუნით განლტოლვა და გაპარვა შეუმჩნეველად,
რომ მე პუჩიო სციანკატო იქ არ შემეცნო.
ის ერთად-ერთი შთენილიყო სახე უცვლელი.

ახლად მოსულთა სამ ცოდვილთ შორის ერთ-ერთი
იყო სწორედ ის, ვისაც იგლოვ ჰოდ, ჯავილლე.

## ჯეგა ოცდამეექვსე

ო, იზეიმე, ფლორენციავ! შენს ძლიერებას
ფრთების სივრცელით დაუფარავს ხმელეთი, ზღვები,
თვით ჯოჯოხეთშიც კი გუგუნებს შენი სახელი!

მოქალაქენი ქურდთა შორის ვიხილე შენი,
ხუთი ისეთი პიროვნება, რომ მე სირცხვილმა
დამწვა, — და ეს ხომ შენს სახელსაც არა სდებს პატივს.

მაგრამ სიმართლეს თუ შეიცვენ სიზმარნი დილის,
მალე შეიტყობ, პრატოელებს რაცა სურს შენთვის.
სხვათა ადგილთა მცხოვრებლებზე რომ არა ვსთქვათ რა.

უბედურება რომ დაატყდეს, დროც არის ამის;
დეე, დაგატყდეს, თუ კი იგი არ აგცილდება,
თორემ უმეტეს დაგამძიმებს შემდეგში მოხუცს!

გავემართენით; გამობრუნდა ოსტატი უკან
და წარმიტაცა თან იმავე კლდის ციცაბოთი,
ძირს ჩაშვების დროს კიბეებად რომ გამოგვადგა.

კლდეთა ნამუსრევთ და პირღია ნაპრალთა შორის
განმარტოებით მოარულებს ვერ გაგვიყვანდნენ,
თუ არ ხელების დახმარებით, მუხლები ჩვენი.

ჩემს გულს ნაღველი ერეოდა, და ახლაც, ოდეს
მეხსიერებით გავაცოცხლებ ხილვას მაშინდელს,
მძიმე კაეშანს ვეძლევი და გონებას ვლაგმავ.

ნუმც დაუკარგავს მას სიქველე — მეგზური თვისი:
და თუ ვარსკვლავმან ბედნიერმან, ან ცისა მადლმან
მე სათნოება მომანიჭა, არა მშურს ჩემთვის.

„მაშინ. როდესაც მე ცირცეა დავსტოვე, ვინაც
„ერთ წელზე მეტ ხანს დამაყოვნა გაეტას ახლოს,
„უადრეს, ვიდრე დაარქმევდა სახელს ენეას

„ამა ადგილსა, არცა შვილის უნაზეს გრძნობის,
„არც ვალს მოხუცი მამისადმი, არც სიყვარულსა,
„რომელიც ძვირფას პენელოპას ავსებდა ლხენით,

„აღარ შეეძლოთ აელაგმათ ჩემში სურვილი,
„მეცნო ქვეყანა და გამეგო გამოცდილებით
„ადამიანთა ბოროტება და სათნოება.

„გზას დავადექი გაშლილ ზღვაზე ხომალდით ერთით,
„და თან მეახლა ამხანაგი მე რამდენიმე,
„რომელთაც ჩემგან განშორება არ მოისურვეს.

„სჩანდენ ნაპირნი ესპანეთის და მაროკოსი.
„ვხედავდი კუნძულს, სარდინიას და სხვა კუნძულებს,
ზღვით შემოგარსულთ და განბანილთ მისის ზვირთებით.

„და ჩვენ ყველანი ღრმად მოხუცნი ვიყავით უკვე
„მაშინ, როდესაც მივაღწიეთ ზღვის ვიწრო სრუტეს,
„სად ჰერკულესმა ზე აღმართა საზღვარი კლდისა,

„როგორც ნიშანი, — ნურასოდეს მის გარდალახვას
„დე ნუ გაჰბედავს, ნუ იფიქრებს ადამიანი!
„მარჯვნით დავსტოვეთ სევილია, სეუტა მარცხნით.

«ძმანო, — მივმართე ამხანაგებს, ასიათასი
«საშიშროებით მიაღწიეთ თქვენ დასავლეთსა,
«და აწ სიცოცხლე თქვენ ხანგრძლივი არ დაგშთენიათ;

«ესოდენ მცირე ჟამისათვის არა ღირს დასთმოთ
«სიამოვნება იმ უკაცურ ქვეყნის ხილვისა,
«მანათობელი მზის გადაღმა რომ მდებარეობს.

«შთამომავლობა მოიგონეთ მაღალი თქვენი,
«თქვენ პირუტყვული ცხოვრებისთვის არ გაჩენილხართ, —
«ცოდნა გეკუთვნისთ მოიპოვოთ და სათნოება».

„და მე ამ მცირე მოწოდებით ჩემს ამხანაგებს
„გამბედაობა შთაუნერგე იმდენი გულში,
„რომ შესაძლოც კი აღარ იყო თავშეკავება.

58 „აი, ეს ალი მოსდებიათ ცდუნებისათვის,
„ოდეს ხის ცხენით ბჭე განახვნეს მათ, საიდანაც
„კეთილშობილი გამოვიდა რომაელთ თესლი.

61 „აქ დასტირიან ტყუილს, რითაც დედამია
„აქილევსისთვის იტანჯება, მიცვლილი თუმცა;
„აქვე ისჯება მოტაცება პალადიუმის“.

64 თუ კი ალიდან შეუძლიათ მათ ლაპარაკი,
„ოსტატო ჩემო, გთხოვ, და კიდევ გთხოვ დამატებით, —
„და, დეე, გახდეს თხოვნა ჩემი ათასი ფასი, —

67 „ნება მომეცი შევიცადო, ვიდრე მოაღწევს
„ჩვენამდე ალი, ორ ნაწილად რომ გაკვეთილა.
„ხომ ხედავ, რარიგ მომიხიბლა მან ეს სურვილი“.

70 შენი სურვილი, — მიპასუხა, — „ღირსია ქების,
„და შეგისრულებ შენ ამ სურვილს კიდეც ამიტომ,
„მაგრამ ეცადე გააჩერო როგორმე ენა.

73 „მალაპარაკე: შენ რაცა გსურს, მიგიხვდი უკვე;
„ვინ იცის, რაკი ბერძნებია ეს ცოდვილები,
„ეგებ არ გიცნონ შენს ენაზე საუბრის ღირსად“.

76 როდესაც ალი მოგვეახლა და სცნა ოსტატმან
დრო და ადგილი შესაფერად, მე გავიგონე,
როგორ დაიწყო მან უბნობა შემდეგი სიტყვით:

79 „ო, თქვენ, ორნი რომ მოქცეულხართ ერთ ალში! თუ კი
„წინაშე თქვენდა მე რაიმე დავიმსახურე,
„დიადი იყო, თუ მცირე ეს დამსახურება,

82 „ოდეს ჩემს მაღალ ნაწარმოებს ვწერდი იმ ქვეყნად. —
„გთხოვთ ნუ ისწრაფვით და გვაუწყოს თქვენს შორის ერთმა,
„სად დაიღუპა ის საკუთარ დანაშაულით?“

85 ამ სიტყვის შემდეგ ძველმა ალის რქამ უმაღლესმა,
ნელა დაიწყო მოძრაობა — და აჩურჩულდა,
თითქოს ქარისგან შერხეული და მოცახცახე.

88 აქეთ და იქით შეტორტმანდა, მსგავსად ენისა,
რომელიც უკვე სასაუბროდ გამზადებულა,
და აჰა, კიდეც შემოგვესმა ხმა და სიტყვანი:

„ზურგი ვაქციეთ აღმოსავლეთს, და მყის ნიჩბები
„ფრთებად აესხა გაქანებას გიჟურსა ჩვენსას.
„რომლის მანძილზე სულ მარცხენა გვეჭირა მხარე.

„ღამე მეორე პოლიუსის ვარსკვლავებს სჭვრეტდა,
„ხოლო ჩვენი კი გამუდმებით ძირს იხრებოდა
„და იმდენად, რომ ზღვის ზედაპირს ეკვროდა თითქმის.

„უკვე ახალი ცის წიაღში შუქი მთვარისა
„ხუთჯერ აენთო და ჩაბნელდა მას შემდეგ, რაც ჩვენ
„საბედისწერო გარდავლახეთ საზღვარი იგი.

„მაშინ მწვერვალი ჩვენს წინაშე გამოჩნდა შორით,
„მავის წყვდიადით შემოსილი, და მომეჩვენა
„ის უმაღლესად ჩემგან ხილულ მწვერვალთა შორის.

„დიდად ვიხარეთ, მაგრამ მალე დავღონდით ისევ,
„რადგან აღმოხდა ახალ მიწას სასტიკი ქარი,
„და განრისხებით დაეჯახა პირისპირ ხომალდს.

„დაატრიალა ის სამკეცად, ზვირთების ირგვლივ,
„ხოლო მეოთხედ ზე ასტყორცნა ხომალდის ჭვინტი
„და უზენაეს ნებისმიერ პირქვე დაამხო,

„ვიდრე ტალღებმა არ შეითქვეს ჩვენს თავზე პირი“.

## ᲥᲔᲑᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

უკვე გასწორდა ალი იგი წინაშე ჩვენსა,
და ისევ ისე უმოძრაო და დადუმებულ
უტკბილეს მგოსნის ნებისამებრ წინ გაემართა.

მაშინ მის შემდეგ მომავალმა მეორე ალმა
თავის მწვერვალზე თვალთახედვა მიიპყრო ჩვენი;
შიგან ჩურჩული გაურკვევი ისმოდა რაღაც.

ვითარცა ხარმან დაიბღავლა სიცილიისმან
ჯერ, და ეს იყო მართებულიც, იმისის კვნესით,
ვისმან ყალამმან სახიერი გახადა იგი;

ცით ის ბღაოდა წამებულის ხმით საშინელით,
თუმცა-ღა იგი სპილენძისგან ნაბეჭდი იყო.
და ჰგვანდა მაინც, რომ წამებას მთლად განემსჭვალა, —

13 ისე სიტყვანი სევდიანნი, რომელთაც პირველ
ალის გულიდან გასავალი ვერ მოენახათ,
გამოურკვეველ, ყრუ ჩურჩულში იჩენდნენ თავსა.

16 მაგრამ, როგორც კი გაარღვიეს მწვერვალი ალის,
იგი მაშინვე შეტორტმანდა და ამოძრავდა
მზგავსად ენისა, მის წიაღში რომ მეტყველებდა.

19 მოგვესმა: — ჰეჲ — ვისაც ჩემი ხმა მოგიწოდებს,
„ვინაც წარმოსთქვი ლომბარდიის ენაზე წეღან:
«აწ შეგიძლია რომ წახვიდე, აღარ გაკავებ», —

22 „თუმცა მე ეგებ სულ მცირე ხანს დამაგვიანდა,
„მაინც ინებე შეჩერება და საუბარი.
„აი, ხომ ხედავ, რომ ვიწვი და თან ეს მწყურიან:

25 „თუ კი შენ მხოლოდ ამ ჟამისად ხარ შთაგდებული
„ბნელ სამყაროში ლათინელთა ტკბილის ქვეყნიდან,
„ჩემნი ცოდვანი საიდანაც მთლად მომყოლიან,

28 „მაშინ მაუწყე: რომანიის მცხოვრებნი ახლა
„მშვიდად არიან თუ ომობენ? მე დავიბადე
„მთებში — ურბინოს და ტიბროსის სათავის შუა“.

31 ძირს დავიხარე და ვუსმენდი ალს ყურადღებით,
ამ დროს ოსტატი, გვერდით მდგომი, შემეხო ხელით
და მითხრა: „თვით შენ ესაუბრე, ლათინელია“.

34 მაშინ მე უკვე გამზადებულ სათქმელით პირზე
დაუყოვნებლივ ავმეტყველდი და ვუპასუხე:
„ჰოჲ, აჩრდილო, მოქცეულო მგზნებარე ალში!

37 „ვერასდროს შენი რომანია ვერ იარსებებს
„ისე, რომ შუღლი მის ჯალათებს არ ედოსთ გულში,
„მაგრამ აშკარა არ ყოფილა იქ ჩემს დროს ომი.

40 „რავენა ახლაც იგივეა, რაც იყო წინათ:
„დაბუდებულა იქ არწივი მძლავრ პოლენტასი,
„და დაუფარავს მას ჩერვია თავისის ფრთებით.

43 „ქალაქი, ალყა ხანდაზმული, რომელმაც შესძლო
„გადაეტანა და მოესრა ლაშქარი ფრანგთა,
„მწვანე დროშებს ქვეშ გაშოთვილი ამჟამად გმინავს,

„ბერი ნაგაზი ბერუკიო და მისი ლეკვი,
„რომელთაგანაც დაისაჯა მონტანა მკაცრად,
„კბილმოლესილნი ნანადირევს სძიძგნიან ჩვეულს.

„და ჭალაქებშიც, ლამონეს და სანტერნოს წყლებთან,
„გამეფებულა ლომის ლეკვი თეთრის ბუდიდან,
„ვინც ზამთარ-ზაფხულ გამუდმებით პარტიას იცვლის.

„ხოლო ჭალაჭი, განბანილი სავიოს ზვირთით,
„თავისუფლებას და მონობას შორის მერყეობს
„ისე, ვით ტაფობს და მთებს შორის რომ მდებარეობს.

„ახლა გვითხარი, გეუდრები: შენ ვინ იქნები?
„უარს ნუ იტყვი, ისე ვით მე არ მითქვამს იგი,
„და, დეე, ქვეყნად ხსოვნა შენი სუფევდეს ხანგრძლივ.“

ალმან ჯერ კიდევ იბუტბუტა რაღაცა ერთ ხანს,
მიჰხარ-მოჰხარა აქეთ-იქით შემდეგში წვერი
წაწვრილებული და ამგვარი მოგვბერა სიტყვა:

„მე რომ ვფიქრობდე, თუ ჩემს პასუხს მოისმენს კაცი,
„ვისაც მიქცევა უწერია ხელახლა ქვეყნად,
„არ დაიძროდა ალი ესე სრულიად მაშინ.

„მაგრამ ვინათგან, თუ სიტყვების გვექნება რწმენა,
„ამ უფსკრულიდან არ გასულა ცოცხალი არსი,
„მეც გიპასუხებ: უშიშარი სირცხვილის მიმართ

„ერთ დროს მხედარი, მე მონასტერს წაველი შემდეგ,
„მჭონდა იმედი, რომ საბელი სან ფრანჩესკოსი
„ცოდვებს ამხდიდა — და ეს რწმენა არც მიმტყუნებდა,

„თუ არა მამა უმაღლესი, — წაწყმედა მის სულს!
„ისევ შთამაგდო მან წინანდელ ცოდვათა შიგან. —
„ყური დამიგდე და გიამბობ, — როგორ და რისთვის?

„ვიდრე ვცოცხლობდი მე ძვალთა და ხორცთაგან ქმნილი,
„რანიც დედამან მომანიჭა, ჩემნი საქმენი
„იყვნენ ნაქნარნი მელისანი და არა ლომის;

„კარგად ვიცოდი ყველა ხრიკი, მოვლა ფარული,
„და ისე კარგად შევითვისე ეს ხელოვნება,
„რომ მით სახელი გამივარდა მთელს ქვეყანაზე.

„მაგრამ, როდესაც მივაღწიე ცხოვრების იმ ხანს,
„როს წუთისოფლად ადამიანს შეშვენის უკვე
„ძირს ჩამოჰკეცოს იალქნები, ჩამოხსნას თოკნი,

„მე შემეზიზღა, რაც მანამდე მომწონდა გულით,
„და მივიქეცი უფლისადმი ღრმა სინანულით.
„ვაგლახ! შემეძლო თურმე კიდევ დამეხსნა თავი!

„მაშინ მეუფე თანადროულ ფარისეველთა
„სისხლით შეცამსვრელ ომს აწყობდა ლატერნას ახლოს,
„არ თუ სარაცენთ და არცა თუ ურიათ მიმართ,

„რადგან მტრად ჰყვანდნენ მას ყოველნი ქრისტეანენი.
„არვის უნახავს იმათ შორის აკრასთან ძლევა,
„და არც სავაჭროდ მოულახავს ხონთქარის მხარე.

„მან დაივიწყა უმაღლესი ხარისხი თვისი,
„წმიდა აღკვეცა და აგრეთვე ჩემი საბელი,
„რომლის შემბმელი სამუდამოდ ხმებოდა ყველა.

„და რაგვარადაც კონსტანტინე სორაქტეს მთებში
„ეველრებოდა სილვესტროსა, რომ განეკურნა
„ის კეთრისაგან, იმგვარადვე შემთხოვდა იგი,

„გადამერჩინა სიამაყის ცხელებისაგან:
„რჩევას ითხოვდა იგი ჩემგან, მაგრამ მე ვსდუმდი,
„რადგან სიტყვანი მთვრალის სიტყვებს მოჰგვანდნენ მისნი.

„მან მითხრა კიდევ: — «გაანებე მაგ ეჭვებს თავი,
«და წინასწარვე მოგიტევებ მე შეცოდებას,
«ოღონდ მასწავლე, პენესტრინო როგორ ავიღო;

«შენ იცი, ძალმიძს დავხურო და განვახვნა ზეცა;
«აი, ამიტომ გასაღები ხელთა მაქვს ორი:
«ფასი იმათი არ ესმოდა ჩემს წინამორბედს».

„ამგვარ უდაო საბუთებმა მეც დამაარწმუნეს;
„გულში ვიფიქრე, რომ სიჩუმეს სჯობს მეტყველება,
„და მოვახსენე: — «თუ, მამაო, შემინდობ ცოდვას,

«მაშინ უწყიდე მხოლოდ ერთი, — რომ საკმაოა
«ბევრი დაჰპირდე, შეუსრულო მცირედი წილი,
«და გაიმარჯვებ შენ მაღლითგან შენის ტახტისა».

„როს მივიცვალე, სან-ფრანჩესკო მოადგა ჩემს სულს,
„მაგრამ ერთ-ერთმა ქერუბინმან შავის ფერისამ
„უთხრა: — «ნუ მჩაგრავ და ნუ მიგყავს ამისი სული:

«იგი ღირსია ჩემს მონებთან წავიდეს ქვემოდ.—
«რჩევა გაიღო მან მაცდური; მას შემდეგ დღემდე
«არ თუ ამაოდ ვარ მის თმებში ხელჩაბღუჯული.

«არ შეენდობა იმას, ვინაც არ ინანიებს,
«ფიცთან ერთად კი სინანული არ შეიძლება, —
«ეს იქნებოდა ერთმანეთის წინააღმდეგი».

„ვაჰმე! რარიგად ავცახცახდი, როდესაც ხელი
„მტაცა და მითხრა: «არ იცოდი ეგების შენ, რომ
«ცოტაოდენი ლოგიკისა მეც გამეგება?»

„შემდეგ მინოსთან წამიყვანა, უკანასკნელმაც
„შემოახვია გარეშემო რვა რგოლად კუდი
„თავის მაგარ ზურგს, გაბრაზებით იკბინა მასზე

„და ხმა გამოსცა: — «მათგანია ცოდვილი ესე,
«ვინც ალსა შიგან ჩაიშვების»; აი ამიტომ
„ასე ვიდაგვი, როგორც ხედავ, ამ სამოსელში".

და რა წამშიაც დაასრულა მოთხრობა თვისი,
ალი დაიძრა ადგილიდან და გაემართა,
თანაც მკვნესარე მიარხევდა წვეტიან მწვერვალს.

ჩვენ კი, მე ჩემის თანამგზავრით, გავყევით შემდეგ
კლდეთა ხერხემალს. და მეორე თაღს მივადექით,
მღვიმესა ზედან გადატყორცნილს, სადაც ეზღვებათ

განხეთქილების დამთესველთა სანაცვლო დასჯა.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲠᲕᲔ

ვინღა შესძლებდა თუნდაც წყობილ სიტყვის გარეშე
მრავალგზის ცდაში აღეწერა სისხლისა ღვარი
და ჭრილობები, რომლის მოწმეც მე გავხდი მაშინ.

უეჭველია უძლურია აქ კაცთა ენა,
რადგანაც ჩვენი მეტყველება, გონების ნიჭი,
იმა საგნების შესაცნობად ვეღარ იკმარებს.

თუნდაც კვლავ აღსდგეს ხალხი იგი აურაცხელი,
აპულიისა შავბედითი მიწისა მკვიდრნი.
განუკითხავად დაღვრილ სისხლზე მწარედ მგოდები,

როს რომაელთა უთვალავმა ლეგეონებმა
ხმლებით დასცელეს აპულიის ნაშიერები,
როგორც მოგვითხრობს შეუმცდარად ტიტუს ლივიუს,

თუნდაც ის ერიც, რობერტ გისკარდს წინ რომ აღუდგა,
ანდა ისინიც, ვისი ძვლებიც კეპერანოში,
მის სანახებში კიდევ ჰყრია დაუმიწები,

სად აპულიელთ მატყუარა შეერქვათ ერთხელ,
ანდა მებრძოლნი უშიშარნი ტაგლაკოჩოსი,
სადაც ალარდმა გაიმარჯვა უიარაღოდ.

და ეს მკვდრები დაკეპილი და დაჩეხილი,
ერთად რომ ნახოთ თავმოყრილი, დაყორებული,
ვერ შეედრება იმ საშინელ, ამაზრზენ სურათს,

რომელიც მეცხრე გარსში ვნახე საკუთარ თვალით.
არასდროს კასრი ფსკერგაცლილი არვის უნახავს
ისე უწყალოდ გამოხურული, ძროდაბჩენილი,

როგორიც ერთი მე ვიხილე ცოდვილთაგანი,
შუა გაეპოთ ნიკაპიდან იმ ნახვრეტამდის,
რომლითაც უზრდელს კაცს სჩვევია ხანდახან ხრცოლა.

ფაფუკი ფაშვი ფეხებს შორის დაჰკიდებოდა;
გაშიშვლებული, სისხლიანი მოსჩანდა ფილტვი,
ბრმა ნაწლავები, განავალის სადენი მილი.

ვინადგან ერთ წუთს მე მას მზერას არ ვაშორებდი,
შემომესიტყვა, თვით გაიხსნა გაჭრილი მკერდი:
„მიყურე, როგორ გავიხლიჩო ჩემივ სხეული;

„ხომ ხედავ მაჰმადს, აგრე რიგად დასახიჩრებულს,
„აქვეა ალი უმოწყალოდ თავგაპობილი.
„ყველა ესენი სთესდნენ ქვეყნად განხეთქილებას,

„მიტომაც ყველა, როგორც ჰხედავ განკვეთილია.
„როცა ერთ-ერთი ამ ხალხიდან წრეს შემოუვლის,
„მივა ეშმაკი, შიშველ ტანზე გადაახტუნებს,

„შემდეგ შემოჰკრავს იმ საცოდავს, შუა გაჰკვეთავს,
„რადგან ჭრილობა ჩვენი ისევ მოშუშდებოდა,
„რომ წარამარა არ დაგვსდევდეს ეს ბელზებელი.

„მაგრამ შენ ვინ ხარ, აქ უსაზმნოდ ხიდზე დამდგარი,
„ალბათ ჩალიჩობ ვიდრე სასჯელს დაგაკისრებდნენ!“
— „ჯერაც სიკვდილი საიქიოს მას არ სწვევია.

„არც შეცოდებას მოჰყოლია მწარე განკითხვა, —
შემომეშველა და მიუგო ოსტატმა ჩემმა, —
„მაგრამ აქაურ ვითარების გასაცნობელად

„აწ უკვე მკვდარი — მე დამყვება და გზას ვაჩვენებ
„მას ჯოჯოხეთის ყველა გარსში კიდითკიდემდის
„და ყოველივე მართალია, რასაც გიამბობ“.

რა ყური მოჰკრეს ამ საუბარს, წამს ასზე მეტი
ცოდვილი იქვე ორმოებში მოჯარდა ერთად,
გაოცებული შემცქეროდნენ, და საკუთარი

დავიწყებოდათ მათ წამება და გულის დარდი.
„აწ გადაეცი ჩემს მაგივრად შენ ფრა დოლჩინოს,
„ვინძლო იმ ქვეყნად კვლავ იხილო მთიები მზისა,

„თუ ჯერ არ ფიქრობს ჩემს ნატერფალს ჩამოჰყვეს ქვევით,
„ხამს რომ სურსათი ბევრზე ბევრი შემოინახოს,
„რომ ზამთრის პირის გაჭირვებამ ნოვარას მცხოვრებთ

„არ არგოს წილად გამარჯვება. რომელიც სხვა გზით
„მათთვის არც ისე ხელაღებით მოსახვეჭია“.
ეს დამაბარა მე მაჰმადმა, წარსდგა ნაბიჯი,

მყის გაგვეცალა და გაუდგა ისევ თავის გზას.
ახლა მეორე მომიბრუნდა ცოდვილი სული,
რომელსაც ყელი გახვრეტილი ჰქონდა უწყალოდ,

ცხვირმოკვნეტილი და ერთ-ერთი ყურიც მოჭმული.
იგი პირველი შემესიტყვა მდუმარეთ შორის,
ტყავშემოცლილი, სისხლიანი გააღო პირი

მითხრა: „ჰოდ, შენ ვისაც ჯერაც არ მოგხვედრია
„განკითხვის სუსხი და ვინც ერთხელ მე შემხვედრია
„ოდესღაც ზევით, იმ სოფელში, ლათინთა ცის ქვეშ,

„თუ კი მსგავსება არ მატყუებს აქ უჩვეულო,
„როცა მიაღწევ შენ ოდესმე იმ ველს სანატრელს,
„ვერჩელის მხრიდან რომ ისწრაფვის მარკაბისაკენ,

„გთხოვ მომიგონო მე — პიეტრო და მედიჩინა,
„ამცნე ჩინებულ მოქალაქეთ ფარნოში მცხოვრებთ
„ანჯიოლელლოს და დიდ ბატონს გიდო პოლენტას.

„თუ მკითხაობა ამ ქვესკნელში სარწმუნო არი,
„ტირანი ვინმე მოღალატე, ფიცის გამტეხი
„შეიპყრობს, შეჰკრავს, ქვებს დაჰკიდებს ორთავ ხელებზე,

„იქ კატოლიკას სიახლოვეს გემიდან ზღვაში
„მათ გადაუშვებს და დაახრჩობს მუხანათურად.
„ნეპტუნს არასდროს არ უხილავს ასეთი დიდი

„დანაშაული ჩაედინოთ ოდესმე ბერძნებს,
„ან მეკობრეებს კიპროსსა და მაჯორკას შორის.
„რადგან ცალთვალა მუხანათი, რომელიც მართავს

„ქალაქს ერთ-ერთი ჩვენგანისთვის დია საზიზღარს,
„მოიწვევს იმათ სათათბიროდ, მოაწყობს ისე,
„რომ მათ ფოკარას უსაშველო ჭარის წინაშე

„აღარც ლოცვები დასჭირდებათ, აღარც აღთქმები“.
მივუგე მაშინ: — „თუ კი გინდა მე ეს ამბები
„წავიღო ზევით და გადავსცე საუწყებელი,

„ვინ არის იგი, ვისაც ხილვა იმა ქვეყნისა,
„არ იამება, მინდა თავათ ვიხილო იგი“.
ხელით სწვდა ყბაზე იგი ერთ-ერთს მის სიახლოვეს,

გაუხსნა პირი, მეუბნება: — „ეგ მუნჯი იყო,
„ვინაც ცეზარის უსაფუძვლოდ გაფანტა იჭვი,
„როცა ურჩია, რომ საომრად განმზადილისთვის

„უქმი ჰოჭმანი საზიანო საქმე არისო“.
რა საცოდავად შემკრთალიყო ეგ სვედავსილი,
ენა მოჭრილი, დაზაფრული იმ წამს კურიო,

სახელგანთქმული თავის დროზე მჭერმეტყველობით.
ერთმაც. რომელსაც ორივ ხელი ჰქონდა წაჭრილი,
ზევით ასწია მოჩეხილი მკლავის ძირები

„არც ახიტოფელს უთესია ამდენი შური,
„როს აბესალომს ამხედრებდა დავითის მიმართ,
„რადგან ვიყავ გამთიშველი, ვაჲმე, ახლა

„თავი და ტანი გათიშულათ უნდა ვატარო,
„ამგვარად გავხდი შურისგების უებრო მსხვერპლი“.

## ᲙᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲪᲮᲠᲔ

ხალხის ზიმზიმმა და სისხლიან წყლულების ცქერამ
ისე დამჭანცა, დამაღონა, მატკინა თვალნი,
რომ მე ტირილი მომანდომა და განსვენება.

ვირგილიუსი მეუბნება: — „რატომ გახევდი,
„ან რად აშტერებ მაგ საცოდავთ მოწყენილ მზერას,
„სხვა ჯურღმულებში ეს შენ ჯერაც არ დაგმართნია

„ან ვით შესძლებდი დაგეთვალა ვნებულნი სულნი,
„როცა ოცდაორს ეგ ჭალაკი უდრის მილიას.
„ჰხედავ, ჩვენს ფერხთით ამოსულა ეგერ მთოვარე.

„ამიერიდან დაგვრჩენია ხანი მცირედი,
„და სანახავი ჩვენ კიდევ გვაქვს აქ ბევრზე ბევრი.
„შენ რომ გაგეგო, — ვუპასუხე, — იმის მიზეზი,

„თუ რად ვიყავი ასე მზერად გადაქცეული,
„ვინ იცის, ეგებ დაყოვნების დაგერთო ნება“.
ჩემი ოსტატი გზას გაუდგა ამასობაში,

უკან მივსდევდი, განვაგრძობდი მასთან საუბარს:
„იმ ბნელ ხაროში, შევსცქეროდი, რომელსაც წელან,
„ვგონებ ერთ-ერთი ნათესავის ჩემისა ლანდი

„მოსთქვამდა მწარედ თავის მძიმე დანაშაულზე“.
„ამიერიდან დააღწიე მისთვის ფიქრს თავი,
„ვინადგან წელან, როცა ხიდზე გამოვდიოდით,

„მე შევამჩნიე შენსკენ იგი თითს ვით იშვერდა,
„გემუქრებოდა, გერი ბელლოს იხსენიებდა.
„იმ წუთში შენი ყურადღება დაეპყრო მთელად

„ალტაფორტისა დიდსა ბატონს, მას შესცქეროდი,
„მიტომაც იგი ვერ შენიშნე და გაგეცალა“.
„ძეგზურო ჩემო, — ვუპასუხე მე ვირგილიუსს. —

ისე. რომ სისხლით შეეთხუპნა მყისვე ცხვირ-პირი.
წამოიძახა: — „ალბათ კიდევ გახსოვს შენ მოსა
„ეს მე შევსძახე მოსისხარ მტერს: — «გათავდეს ბარემ»

„და ამ სიტყვებმა ტუსკიელებს მოუღო ბოლო".
„და ნათესავი შენი სრულად გაანადგურა", —
მე შევაგებე, ხოლო იგი ნელის ბარბაცით

ჩვენ გაგვეცალა. როგორც კაცი ვარამისაგან
გულშემოყრილი და სავსებით გაგიჟებული.
მარტო მე დავრჩი. დავაცქერდი ბრბოს მოზიმზიმეს,

და ვნახე მაშინ იმნაირი სანახაობა,
რომლის მოთხრობას უსათუოდ ვერ გავბედავდი,
მაგრამ ეგ არის. რომ უმზაკვრო ცნობიერება

ისე ამტკიცებს ჩვენს შეგნებას. ვით კაცს ჯავშანი.
ნამდვილად ვნახე და. მგონია. ახლაც ვხედავდე
თითქოს უთავოდ დადიოდეს კაცი ისევე,

როგორაც სხვები ამ საცოდავ. წამებულ ბრბოში.
ხელი წაევლო საკუთარი თავის ქოჩორზე,
ლიფლიფასავით მოაქნევდა. და თავი იგი

შემოგვცქეროდა. გაჰკიოდა: „ — ვაჲმე. ვაჲ".
ასე ლიფლიფად გაეხადა მას თავისთავი.
და ორი ერთში. ერთი ორში გადასულიყო.

რარიგად გახდა შესაძლებლად ეგ საოცრება,
ალბათ, თვით უწყის ვინც დასაჯა იგი ამრიგად.
ხიდის ყურთან რომ მოაღწია. ასწია ხელი.

და ხელში თავი კვლავ ეჭირა ზეაღმართული.
სიტყვები მისი რომ იოლად ჩვენ მოგვწდომოდა:
„დახე, ამ ჩემს ტანს საზიზღარად დასახიჩრებულს,

„გვედრი შენ, ვინაც აქ ეწვიე გარდაცვლილ სულებს,
„დახე. თუ ვისმეს ჩემზე დიდი რგებია ტანჯვა.
„ჩემი ამბავი საიქიოს თუ წარიტანო,

„გახსოვდეს: მე ვარ თვით ბედკრული ბერტრამ დალ ბორნო,
„რე ჯიოვანის, ვინც ასმინა თათბირი მრუდე.
„მე ავამხედრე მამა ძისა თვისის წინაღმდეგ,

„ჯერ მის მაგივრად სისხლი არვის არ აუღია,
„და, მე მგონია, ამიტომაც მემდურის მეცა,
„გასაგებია: უფრო მეწვის მე მისთვის გული“.

ჩვენ მივდიოდით და გზადაგზა მივბაასობდით.
ვიდრემდის ისეთ გავაკებას არ მივაღწევდით,
სადაც ფლატედან ჩვენ შეგვეძლო თვალი მოგვეკრა

და დაგვენახა იქ მახლობლად მდებარე ველი.
ვიდექით ასე, ქვედა ქალაქს გადავცქეროდით,
კარგად მოსჩანდა დასერილი ჯურღმულის პირი,

ვხედავდით კარგად ამ ჯურღმულში გამოკეტილებს,
გვესმოდა თანაც ჟრიამული გულისწამღები,
და შემზარავი სიმძიმილის, ვაების ხმები.

მეც ამიტომაც დავიცავი თითებით ყურნი,
თითქოს ივლისსა და სექტემბრის თვეების შორის
ავადმყოფები, სნეულები ავი სახადით

მთელი მარემის, სარდინიის, ვალდიჩიანას
ჰოსპიტალები დაეცალოთ, აქ მოეყვანოთ,
და დაემწყვდიოთ ამ ჯურღმულში ყველანი ერთად.

იდგა ისეთი საძაგელი და მყრალი სუნი,
როგორც სჩვევია კეთროვანის ჩირქიან სხეულს.
ამ ვრცელი კლდისა უკანასკნელ ნაპირს ჩავყევით,

მერე მხარმარცხნით გავუხვიეთ, და ამის შემდეგ
უკვე გარკვევით გავარჩიეთ ჯურღმულის ფსკერი,
სად უტყუარი და უებრო მართლმსაჯულება,

უზენაესის ნებისყოფის აღმსრულებელი,
ღირსეულ სასჯელს ახდევინებს ყალბისა მქნელებს.
მე არ მგონია უფრო დიდი ურვა, გოდება

ეგინის ხალხის შემხედვარეს რომ მოესმინა,
როს შავი ჭირი გაერია დიდსა და მცირეს,
და ცხოველებსაც, უმცირესსა თავათ ჭუასაც,

როგორც მგოსნები მოგვითხრობენ, გაავლო მუსრი,
და უძველესი ერთი იგი ჯინჭვილთა თესლით
კვლავ აღორძინდა, განაახლა ჯილაგი თვისი,

61 ვიდრე ამ ვნებულ, გაწამებულ სულების მნახველს,
როცა ისინი ზიმზიმებდნენ ქანცმილეული.
ამ ბნელ ჭალაში ერთი პირქვე დამხობილიყო,

64 ჰგოდებდა მწარედ, და მეორე გვერდზე დაგდებულს
ზედ დასწოლოდა, როგორც კეცი კეცზე შედგმული,
ზოგიც ბილიკებს მიჰყოლოდა ოთხზე მჩოჩავი.

67 ჩვენ მივდიოდით ორივენი ნელის ნაბიჯით.
ვსდუმდით, ვუმზერდით დაკუტებულთ ირგვლივ სნეულებს.
ცოდვილებს ტანზე ეყრებოდათ ნახოკი კანი,

70 არასდროს არცერთ მეჯინებეს ბატონის შიშით,
ეგზომ სისწრაფით, და ესოდენ დაუზოგავად
არ უხმარია ჯერ სამნელი ცხენის წმენდის დროს,

73 როგორც ცოდვილნი საკუთარი ხელის ფრჩხილებით
კანს იხოკავდნენ, რათა ამ გზით მათ ეგრძნოთ შვება,
აუტანელი ქავილისგან გაცოფებულებს.

76 მათი ფრჩხილები ისე ფცქვნიდნენ სხეულზე კანსა,
ვით დანისპირი ტანზე ქერეჭს ააცლის თევზებს.
„შენ ჰეჲ, ფრჩხილით რომ იხოკავ საკუთარ ხელებს“, —

79 მიმართა ერთ-ერთს ცოდვილთაგანს ოსტატმა ჩემმა,
„მარქვი თქვენს შორის ლათინელი თუ ურევია,
„სხვაფრივ გისურვებ, რომ მარადჟამს გეყოს ფრჩხილები

82 „მაგ საამური სამუშაოს შესასრულებლად“.
„ჩვენ ორივენი ლათინელი გახლავართ, სულმთლად
„სახე შეცვლილნი, როგორც ხედავთ, — სთქვეს მათ ტირილით,

85 „მაგრამ შენ ვინ ხარ ვითარების ჩვენის მკითხავი?“
ჩემმა მეგზურმა მათ მიუგო: — „მოვყვები ცოცხალს
„მე კლდიდან კლდეზე გადავდივარ ძლივს მაჯაგანით,

88 „რათა ამგვარად მას ვაჩვენო ეს ჯოჯოხეთი.“
ორივემ მყისვე ხელი უშვა ერთი მეორეს,
ორთავემ ჩვენსკენ მოიბრუნეს წამსავე პირი,

91 და მათ მესამეც მოეკედლა, როცა ისმინა,
ჩემმა მეგზურმა, რაც მათ უთხრა, ხოლო ოსტატი
მე მომიბრუნდა, გვერდს მომეკრა და მეუბნება:

„ჰკითხე შენ იმას, რაც გინდოდეს“, და მეც უმალვე,
მათ შევესიტყვე, რადგანც ნება დამრთო ოსტატმა.
ვუთხარი: — „სულნო, დეე დარჩეს, თქვენი სახელი

„წუთისოფელში სამუდამოდ წარუხოცელი,
„და ხსოვნა თქვენი კაცთა შორის იქნეს მზეგრძელი,
„ოღონდ ეს მარქვით თქვენ ვინა ხართ, ან სადაური,

„ნუმც საძაგელი, საზიზღარი წამება თქვენი
„დაგიშლით მამცნოთ ვინაობა და გამიმხილოთ“.
„ვარ არეცოდან, — მითხრა ერთმა, — ჩამაგდო ცეცხლში

„მე გულარძნილმა და სასტიკმა ალბერტ სიენამ,
„მაგრამ სიკვდილის ჩემის მიზეზს, ეგეც იცოდე,
„არ შთაუგდივარ ჯოჯოხეთში“. და მე დავსძინე:

„შენ მართალს ამბობ, ასე იყო“ — მან კვლავ განაგრძო:
„წუთისოფელში მე შემეძლო ჰაერში ფრენა,
„მაგრამ ერთ-ერთმა ჭკუათხელმა, ახირებულმა

„მომთხოვა მისთვის მე ეს საქმე მესწავლებინა,
„მხოლოდ იმიტომ, რომ მე იგი ჯადოსნურის გზით
„ველარ გავხადე დედალოსი, თავის მამასთან

„მან დამასმინა და ჩამაგდეს ცეცხლის კოცონში.
„მაშინ მინოსმა ზედმიწევნით სწორმა მსაჯულმა
„მე მომისაჯა აქ მეათე ჯურღმულში ყოფნა,

„რადგან მიწაზე ალქიმიას მე ვეწეოდი“.
მივმართე ისევ ვირგილიუსს და ვეუბნები:
„არა მგონია, რომ სხვა იყოს ხალხი ამქვეყნად

„სიენელებზე უფრო მეტად თავქარიანი,
„და არც ფრანგები ჩამორჩება მათ ამ საქმეში“.
ხოლო მეორე კეთროვანმა ჩემი ნათქვამი

რა მოისმინა, ჩაერია ჩვენს საუბარში:
„სტრიკას ნუ ჩასთვლით იმათ შორის, „იგი ფლანგვაში
იმთავიდანვე იყო ფრიად თავდაჭერილი,

„ნიკოლოც უნდა გამორიცხოთ, მან შემოიღო
„მიხაკის მხალის საჭამანდი ამ ტურფა ბაღში,
„სად ნიადაგი ყვავილთათვის სანუკვარია,

„არც ის კრებული მიათვალოთ, სადაც კაჩია,
„თავის მეგობრებს უმართავდა გულუხვ ნადიმებს.
„ამგვარად ქეიფს შეალია მან ვენახები,

„და ნიჭი თვისი ხალხს უჩვენა აბაგლიატომ.
„ახლა თუ გინდა, რომ გაიგო სიენელების
„დამსწრეთა შორის, თუ ვინ არის მტერი მეორე,

„კარგად შემხედე, დამაკვირდი და დარწმუნდები,
„რომ კაპოჩიოს ვდგავარ ლანდი მე შენს წინაშე.
„ალქიმიისა შემწეობით ძვირფას ლითონებს

„მე ვაყალბებდი, შენც მიცნობდი საიქიოში,
„როგორც მაიმუნს სანაქებო აღნაგობისას“.

## ᲥᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲐᲗᲔ

მაშინ, როდესაც იუნონა ზემელას გამო
თვის სასტიკ რისხვას თავს ატეხდა თებაიდს ტომსა,
რაიც მან საქმით არა ერთხელ ჰყო თვალსაჩინო,

ისე გაცოფდა ატამასი, გადაირია,
რომ, ოდეს თვალი შეცაასწრო მეუღლეს თვისას,
ორი შვილი რომ აეყვანა ორივე ხელზე,

დაიღრიალა: — „მიმოვშალოთ ბადენი, რათა
„გზაზე ძუ ლომი დავიჭიროთ ორლეკვიანი;“
შემდეგ ამისა გააშვირა სასტიკნი თათნი,

ჩასჭიდა ერთ-ერთ ვაჟს თავისას, სახელად ლეარხს,
ზე შეაქნია და შეაკლა პიტალოს კლდისას.
ხოლო დედა კი წყალს მიეცა მეორე ტვირთით.

ანდა როდესაც ძირს დაამხო ფორტუნის ხელმა
ილიონელთა განდიდება და სიგოროზე,
რასაც თან მოჰყვა მეფისა და სამეფოს დანთქმა,

მაშინ ჰეკუბა, ბედდამწვარი და სევდიანი,
ვინც ტყვეობაში პოლიქსენას სიკვდილი ნახა,
ხოლო ზღვის პირას პოლიდორის უსულო გვამი,

ისე გაცოფდა და სიბრაზეს მიეცა იმგვარს,
რომ გააფთრებულ ჭოფაკივით დაიწყო ყეფა —
ასე შეშალა მწუხარებამ გონება მისი.

22 მაგრამ არასდროს არც თებელნი, არც ტროელები
არა ყოფილან იმ ზომამდე გააფთრებულნი,
და არ უფატრავთ არც პირუტყვნი, არც კაცთა ხორცი,

25 რა სიმკაცრესაც ამჟღავნებდა აჩრდილი ორი,
გაფითრებული და ტიტველი: სირბილის დროსაც
იკბინებოდნენ, ვით იშელით გაჭრილი ტახი.

28 ერთი მათგანი კაპოკიოს ებდღვნა პირდაპირ,
ხელი ჩასჭიდა მას კისერში, თან წარიტაცა
და დედამიწას მიჰფარცხვიდა მისივე მუცლით.

31 არეცოელმა კი შეკრთომით მაუწყა ასე:
„ეს ჯიოვანი შიკი არის გაცოფებული,
„თავის უზომო განრისხებას სხვებს ატეხს თავზე“.

34 „დეე, ნუ დაგგლეჯს შენ კბილებით მეორე სული,
მივუგე სიტყვა, ჰქმენ წყალობა და გამირკვიე,
„ვიდრე თვალთაგან არ გამქრალა, ვინ არის იგი“.

37 მან მიპასუხა: — „უძველესი სულია ქალის.
„ბილწი მირრასი, შეიყვარა მშობელი მამა
„უმეტეს გრძნობით, ვიდრე ვალად ეკისრა ასულს.

40 „ცოდვის მახეში რომ გაება თავისი მამა,
„ის მოევლინა მას სრულიად სხვა ქალის სახით,
„მსგავსად სულისა, იქ ვინც გარბის და ვინც გაჰბედა,

43 „რათა მთელს ჯოგში უტურფესი ეშოვნა ჭაკი,
„ბუზო დონატად ქცეულიყო, და თან შეეთხზა
„ყალბი ანდერძი ყოველგვარი კანონის დაცვით.“

46 ოდეს ორივე ცოფიანმა, რომელთა ზედან
ჩემი შეჩერდა თვალთახედვა, გვერდს ჩაგვიარა,
მე შემოვბრუნდი, რომ გულბილწნი მეხილა სხვანი.

49 და დავინახე იქ ერთ-ერთი, — ის მთლად ლიუტოს
გარეგან სახეს მიიღებდა, თუ კი მის სხეულს
გადაჰკვეთავდნენ თეძოებში ფეხების ზემოდ.

52 წყალმანკისაგან, — სნეულება, რომელიც აღკვეთს
სხეულში წვენთა მიმოქცევას, შესცვლის ნაწევრებს,
და თანაბრობას დაუკარგავს სახეს და მუცელს, —

55 პირი დაეღო, ვით ჭლექიანს, რომელსაც ფიცხი
წყურვილის გამო ზემო ჩარბი აუწევია,
ხოლო მეორე დაუხრია ძირს ნიკაპისკენ.

58 „თქვენ, ვინც შესძელით. მე არ ვიცი თუ რა მიზეზით,
„აქ ეს წამება აგეცდინათ — წარმოსთქვა იმან, —
„გთხოვთ მიაქციოთ თვალთახედვა და ყურადღება

61 „ოსტატ ადამის უბედობას. მე სიცოცხლეში
„სურვილისამებრ ყოველივეს მფლობელი ვიყავ;
„ვაჰმე! ახლა კი მენატრება წვეთი წყალისა!

64 „ნაკადულები, კაზენტინოს მწვანე ბორცვთაგან,
„სველ და ნესტიან ნიადაგში საწოლის მჭრელნი,
„ძირს რომ ჩარბიან და ერთვიან მდინარე არნოს,

67 „თვალწინ მიდგიან ამ ჟამისად მე განუწყვეტლივ,
„და არც ამაოდ, ვინაიდგან იმათი ხილვა
„მახმობს უმეტეს, ვიდრე სენი სახის შემცვლელი.

70 „მართლმსაჯულებამ უმკაცრესმან ამოირჩია
„ჩემს საწამებელ იარაღად ადგილი იგი,
„სადაც შევცოდე, რომ ტანჯვანი გამიძლიეროს.

73 „ეს რომენაა, იქ ვასხამდი ყალბ ფულებს, რომელთ
„ნათლისმცემელი იოანეს სახე ეხატათ,
„რის გამოც სხეულს გავეყარე მიწაზე დამწვარს.

76 „და რომ შემეძლოს უბადრუკნი ვიხილო სულნი
„ალექსანდრესი, გვიდოსი და იმათი ძმისა,
„მე ამ სანახავს არ გავსცვლიდი ბრანდის წყაროზე.

79 „ერთი მათგანი ჯოჯოხეთში ყოფილა, თუ კი
„ამ დამთხვეულმა აჩრდილებმა არ მომატყუეს:
„მაგრამ რას ვაქნევ, თუ ხელფეხი მაქვს შეხუთვილი?

82 „ისე მჩატე რომ მაინც ვიყო — შემეძლოს გავლა
„თუნდ ერთის გოჯის, თითოეულ საუკუნეში,
„მაშინ მე უკვე ვიქნებოდი დამდგარი გზაზე,

85 „რათა მეხილა ამ უწმინდურ ურდოში იგი,
„თუმცა საზღვარი გარეშემო ამ ჭალაკისა
„უდრის მილიას სიგრძით თერთმეტს, განით ნახევარს.

„მათის, აი ამ უწმინდურთა მიზეზით მოვხვდი
„ამგვარ ცოდვილთა ბნელს ურდოში: მომაჭრევინეს
„იმათ ფლორები შენარევით სამი კარატის.“

მე შევეკითხე: — „ვინ იქნება ეს ორი სული,
„აგერ შენს მარჯვნით ურთიერთს რომ ჩახუტებიან,
„ორთქლი რომ ასდით, ისე როგორც ზამთარში სველ ხელს?“

„ასე ყოფილან ჩემს მოსვლამდე, — მომიგო სულმა. —
„და, რაც აქა ვარ, არასოდეს არ განძრეულან;
„ვფიქრობ, უძრავად დარჩებიან სამარადისოდ.

„ერთია — ქალი, ვინც იოსებს დასწამა ცილი,
„მეორე — სინონ, ცრუ ბერძენი ილიონიდან:
„აცხელებს მაგათ და ოხშივარს ორთქლავენ მყრალსა.“

მაშინ იმ ორი აჩრდილიდან ერთ-ერთმა სულმა,
შეურაცყოფად მიიღო რა ცილისწამება,
მუშტი დაარტყა წყალმანკიანს გაბერილ ფაშვზე;

ფაშვმაც ამაზე ხმა გამოსცა, ისე ვით დოლმა,
ხოლო ადამმა თავისის მხრით გაარტყა აჩრდილს
ხელი, რომელიც მე მსუბუქად არ მომეჩვენა,

და უთხრა თანაც, — „მოძრაობა არ ძალმიძს თუმცა
„დამძიმებული ასოებით, მაგრამ ხელი კი
„მე გვარიანად მიმოძრავებს ასეთ შრომისთვის“.

უთხრა სინონმა: — „როდესაც შენ კოცონზე წახველ,
„მაშინ არ იყო შენი ხელი ამდენად მარჯვე,
„მაგრამ ასევე მარჯვე იყო ყალბ ფულს რომ სჭრიდა.“

ხოლო ადამმა: — „მართალს ამბობ ამ შემთხვევაში,
„მაგრამ სიმართლე დაგავიწყდა ტროაში გეთქვა
„მაშინ, როდესაც შეგეკითხნენ იმის შესახებ.“

„თუ მე ვსტყუოდი, შენს სანაცვლოდ ყალბ ფულებს სჭრიდი“,—
უთხრა სინონმა,—მე აქა ვარ ერთის ცოდვისთვის.
„შენოდენი კი არცერთს დემონს არ აწევს ზურგზე,

„აბა ხის ცხენი მოიგონე, ფიცის გამტეხო, —
აქ ღიპიანმა უპასუხა, — და დაიტანჯე
„მით, რომ ქვეყანამ იცის შენი დანაშაული!“

„შენ კი იტანჯე მოწყურებით, რომელმაც შენი
„ენა დახეთქა, დაიტანჯე დამპალის წყალით,
„რომელმაც ფაშვი აგიბერა ყორისებრ თვალწინ.“

აქ ყალბისმქმნელმა უპასუხა: — „ეგ შენი პირი
„იღება მაშინ, როცა გინდა თქმა სიავისა:
„თუ მე მწყურია და სინესტით ვარ გაბერილი,

„შენ ხომ ცხელებას დაუწვავხარ და შენი თავი
„ალშია თითქოს; დიდი ხვეწნა არ იქნებოდა
„საჭირო, რომ შენ აგელოკა ნარცისის სარკე“.

მე უდიდესი ყურადღებით ვუსმენდი იმათ,
მაგრამ მომმართა მე უეცრად ოსტატმა;—„ფრთხილად!
„ცოტა კიდევ და უეჭველად განკირისხდები“.

როგორც კი მესმა ეს მრისხანე სიტყვები მისი,
მყის შევტრიალდი დარცხვენილი იმგვარად მისკენ,
რომ მარტოოდენ გაგონება მიწითლებს სახეს,

და ვით შემკრთალი საშინელის ოცნებით კაცი,
გულს აიმედებს, რომ ეს არის ოცნება მხოლოდ,
და სურს, რაც არის, თითქოს იგი არ ყოფილიყო,

ისე ვიდექი მე უსიტყვოდ, რადგან მინდოდა
ბოდიშის მოხდა, — მოვიხადე კიდევაც იგი,
და არ ვიცოდი, რომ ბოდიში მოხდილი მქონდა.

„შეისყიდიდა დანაშაულს შენსაზე მეტსა
„სირცხვილის გრძნობა უფრო მცირე, — ასე მომმართა
ოსტატმა ჩემმან: — „ინუგეშე ამითი თავი, —

„და თუ შემთხვევა მოწმად გაგხდის შემდეგში კიდევ
„ამგვარი ჩხუბის, გაიხსენე, რომ ვდგევარ გვერდით,
„რადგან სურვილი ასეთების გაგონებისა

„არის სურვილი უსათუოდ მდაბალი მეტად.“

## ჯეგა ოცდაეთერთმეტე

ესამ, რომელმაც მომაყენა წყლული ისეთი,
რომ სიწითლემან დამიფარა ორივე ღაწვი,
მე განკურნება მომანიჭა შემდეგში ისევ;

4 სწორედ ამგვარად შუბის წვერი აქილევსისა
და მისი მამის — გადმოცემა მოგვითხრობს ასე —
ჯერ დაჰკოდვიდა და შემდეგ კი წყლულს მოარჩენდა.

7 უკან დავტოვეთ ჩვენ თანდათან ჭალაკი იგი,
უბედურებით ავსებული და მდუმარენი.
მივუყვებოდით მის გარშემო მოვლებულ კიდეს.

10 იყო სინათლე უმეტესი, ვიდრეა ღამით,
ხოლო დღის შუქზე უმცირესი: თვალი ძლივს სჭრიდა,
მაგრამ სმენა კი განაცვიფრა საყვირის ხმამან,

13 ძალა რომლისა დაჰფარავდა ქუხილის გრგვინვას, —
და ამ ხმაურმა, ყურადღება რომ დამიტყვევა,
მზერაც აგრეთვე მიმიჯაჭვა ერთს წერტილზედან.

16 საუბედურო დამარცხების შემდეგ, როდესაც
მთლად დაიღუპა წმინდა საქმე კარლოს დიდისა,
არ უყვირნია უძლავრესად ორლანდოს საყვირს.

19 როგორც კი თავი ზე ავსწიე, მეჩვენა თითქოს
წინ გავარჩიე რამდენიმე მაღალი კოშკი;
მივმართე ოსტატს: — „ეს რა არის, რა ქალაქია?“

22 მან მიპასუხა: — „წარმოდგენას შეუყვანიხარ
„შენ შეცდომაში, ვინაიდან შორიდან ლამობ
„ამ სიბნელეში გაარჩიო საგნების სახე.

25 „მიუახლოვდი იმა ადგილს და დაინახავ
„შენ, თუ მანძილი რაოდენად ატყუებს გრძნობას.
„აბა უჩქარე ცოტაოდენ.“ შემდეგ ამისა

28 ოსტატმა ნაზად დამიჭირა ხელი და მითხრა:
„რომ შენ საგანი მოგეჩვენოს ნაკლებად უცხო,
„გაიგე უმალ, ვიდრემდისინ წინ წახვიდოდე,

31 „რომ ეს კოშკები კი არ არის, გიგანტებია
„ჭისა სიღრმეში მდგომარენი, ნაპირთან ახლოს,
„და შთამალულნი შიგ ტერფთაგან ვიდრე წელთამდე.“

34 როგორც ბურუსის გაცრეცის ჟამს ეჩვევა თვალი
თანდათანობით გაარჩიოს საგნების სახე.
შემობურვილი ჰაერშიგან შეძდგარის ორთქლით,

37 ისე, სქელი და ჩაკუპრული სივრცის მკვეთელი,
მიახლებული ჭის ნაპირსა, ვგრძნობდი, რარიგად
გაქარწყლებული შეცდომის წილ, მზარავდა შიში.

40 ვონტერეჯონეს კედლებზე რომ შემდგარან კოშკნი,
სწორედ იმგვარად ჭის გარშემო მოვლებულ კიდეს
ასცილებოდნენ შუატანით კოშკების მსგავსად

43 გოლიათები საშინელი და შემზარავი,
რომელთა მიმართ განრისხებას ამჟღავნებს კიდევ
იუპიტერი ქუხილით და მეხთა კვეთებით.

46 უკვე შემეძლო გამერჩია ერთ-ერთის სახე,
მხარნი, გულმკერდი, უმეტესი ნაწილი მუცლის
და ძირს გვერდებზე ჩაშვებული ორივე ხელი.

49 ეჭვი არ არის, მოქცეულა ბუნება კარგად,
რომ მოუშლია ამ ვეება სულიერთ შექმნა,
და მარიხისთვის მოუსპია ჯალათნი დიდნი.

52 თუ ის არ ნანობს სპილოთა და ვეშაპთ გაჩენას,
მაშინ გონივრულ განსჯის შემდეგ უნდა ვიფიქროთ,
სამართლიანად და ბრძნულად რომ იქცევა იგი,

55 რადგან გონების მოქმედება თუ შეუერთდა
ძალმოკრებულებას და სიავეს, ადამიანი
ვეღარ ეიძლებს ვეღარაფრით დაიცვას თავი.

58 გიგანტის სახე მომეჩვენა გრძლად და ვეებად,
ვით წმინდა პეტრეს ეკლესიის ზეთავი რომში;
მისდა თანაბრად დიდნი იყვნენ ასონი სხვანი.

61 ასე რომ იმა ნაპირიდან, რომელიც ტანის
ქვედა ნახევარს დაჰფარავდა, მოსჩანდა მაღლა
კიდევ იმდენი, რომ თმებამდე ვერ აუწევდა

64 ხელს ერთად სამი ფრიდლანდელი, რადგან მხარიდან,
იქ, სადაც თავი ინასკვება მოსასხამისა,
იყო ფსკერამდე ოცდაათი მთლიანად პალმა.

67 „რაფელმა ამეკიზაბი ალმი!“
აღმოხდა ხახას უზარმაზარს, რომელსაც ტკბილთა
საგალობელთა არ შესწევდა წარმოთქმის ძალა.

რქვა მას ოსტატმა: — „ხელთ აიღე. შეშლილო სულო,
„შენი საყვირი, დე დააცხროს მან შენი რისხვა,
„ანუ სხვა ვნება, ოდეს იგი დაგიწყებს ქენჯნას.

„მოსძებნე ყელზე და მონახავ თასმაზე შეხ იქ
„გამობმულ საყვირს, ჰა — შეხედე, როგორ ჰკიდია
„შენს უზარმაზარ მკერდზე იგი, ჩერჩეტო სულო!“

შემდეგ ოსტატმა მე მომმართა: — „ეს ნებროთია.
„თავს თვით იმტყუნებს; წამოწყებამ გიჟურმა მისმა
ქვეყნად წარმოშვა ერთის ნაცვლად მრავალი ენა.

„დავსტოვოთ იგი, ნუ დავხარჯავთ ამაოდ სიტყვებს.
„არც ერთი ენა გასაგები არ არის მისთვის
„იმგვარად, როგორც სხვებს არ ესმის იმისი ენა.“

შემდეგ შემოვლა მოვახდინეთ მარცხნიდან დიდი,
და ისრის ერთი გადატყორცნის მანძილზე ვნახეთ
სხვა გოლიათი უმეტესი და საზარელი.

არ ძალმიძს გითხრათ, თუ ამგვარად ვის ნებისყოფას
შეეკრა იგი; მკერდზე ჰქონდა მარცხენა ხელი
მიმაგრებული, მარჯვენა კი მიკრული ზურგზე

ჯაჭვით, რომელიც ეშვებოდა კისრიდან დაბლა,
და გარეშემო ხუთ სარტყელად შემოვლებოდა
გიგანტის სხეულს, ზე აღმართულს ჭის სიღრმეთაგან

„ამ გულგოროზმა მოინდომა ძალმორჭმულობით
„შესჯიბრებოდა იუპიტერს, ცათა მბრძანებელს, —
სთქვა წინამძღოლმა, — და სანაცვლო მიიღო ჯილდო.

„მას ეფიალტე ეწოდება: გმირობა მისი
„დიდ იყო, ოდეს გიგანტებმა შეაკრთეს ღმერთნი;
„ხელი მმუსვრელი უმოძრაოდ შთენია ახლა“.

მივმართე ოსტატს: — „მაქვს სურვილი. თუ შესაძლოა,
„რომ მე აქ ჩემის საკუთარის თვალით ვიხილო
„განუზომელი ბრიარეოს.“ მან მიპასუხა:

„აი აქავე, შენ მახლობლად, ნახავ ანთეოზს:
„ის თავისუფლად იქყოფება და ლაპარაკობს.
„იგი ყოველგვარ ბორკოტების ფსკერზე ჩაგდებას.

„ხოლო იგი კი, ვისი ნახვაც შენ მოისურვე,
„შორს არის უფრო, შეკრულია, ჩამრჰგავს ამას,
„მაგრამ სახე მას მხეცური აქვს გარდამეტებით.“

არასდროს კოშკი ისე ძლიერ არ შერყეულა
უსაშინელეს მიწის ძვრისგან, როგორაც მაშინ,
ტანი უეცრად შეტორტმანდა ეფიალტესი.

მე არასოდეს არ მიგრძვნია სიკვდილის შიში
ასე ძლიერი, და ჯაჭვი რომ არ შემენიშნა,
გამათავებდა მარტოოდენ ამ შიშის ზარი.

წინ გავემართეთ ამის შემდეგ და მივადექით
ანთეოზს — იგი ჭის ზედაპირს ასცილებოდა
უმეტეს, ვიდრე ხუთი ადლით, გარდა თავისა.

„ო, შენ, რომელმაც უტურფესი ხეობის ველზე,
„სად სციპიონი ეზიარა დიდებას უკვდავს,
„ხოლო ანნიბალ უკუ იქცა ლაშქარით თვისით,

„ლომი ათასი შეიპყარი! შენ, ვის შესახებ
„დღემდე ამგვარი დაშთენილა თქმულება ხალხში,
„რომ, თუ კი ბრძოლას წარმართავდი შენს ძმებთან ერთად,

„შვილებს მიწისას გამარჯვება ხვდებოდათ წილად,
„ნუ იუარებ ჩვენს შთაყვანას შიგან უფსკრულსა,
„სადაც კოციტი შეუჯაჭვავს უმძაფრეს ყინვას.

„ნურცა ტიციუსს, ნურც ტიფეოსს ნუ მიგვასწავლი, —
„ძალუძს სურვილი შეგისრულოს ამ ადამიანს, —
„მაშ დაიხარე და ნუ ღმეჭავ მაგგვარად სახეს.

„ჰო, შეუძლია მას დიდება შეგასხას, — იგი
„ჯერ ცოცხალია და ფიქრობს, რომ იცოცხლებს ხანგრძლივ,
„თუ მას ვადამდე არ აღიწევს მადლი ციური“, —

უთხრა ოსტატმა, და გიგანტმაც მოჰკიდა ხელნი,
ძალა, რომელთა შემზარავი სცნა ჰერკულესმა,
და აღიტაცა უეცარის სისწრაფით მაღლა.

აქ მომიბრუნდა ვირგილიუს და მომაძახა:
„მომიახლოვდი, რომ აყვანა შევიძლო შენი“.
და ჩვენ ორივე ერთ სიმძიმედ გარდავიქეცით.

136 ვით კარისენდა, თუ ვუცქერით იქიდან იმას,
სითკენც იხრება, როს ღრუბელი გადუვლის თავზე,
ხოლო ის თითქოს შესახვედრად გადაზნექილა,

139 ასე მეჩვენა ანთეოსი, ოდეს ვიხილე
იგი დახრილი, — წამიერად ვინატრე გულში,
სხვა გზა ქვესკნელში შთასასვლელად რომ ყოფილიყო.

142 მაგრამ მან მშვიდად ჩაგიყვანა უფსკრულის ფსკერზე,
სადაც დათქმულან იუდა და ლიუციფერი.
არ დაშთენილა დიდხანს იგი წელმოდრეკილი:

145 ტანში გასწორდა ისე, როგორც ხომალდის ანძა.

## ჯ ე ბ ა  ო ც დ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე

მე რომ შემეძლოს აქ მივმართო ლექსს გაურანდავს,
როგორც შეშვენის ამ საშინელ, ამაზრზენ ჯურღმულს,
რომელსაც ირგვლივ მოსჯარვია კლდე უამრავი,

4 დაძაბულ ძალას გონებისას მოვიმარჯვებდი,
მაგრამ ამგვარი ხელოვნება არ მეხერხება,
და ამიტომაც აწ ვმეტყველებ მოკრძალებულად.

7 ვერას გააწყობს აქ ლაღობა, ვერც ყრმის ტიტინი,
რომელსაც „დედა“, ან „მამილო“ ძალუძს გამოსთქვას,
ამ გზით ვინ შესძლებს რომ ასწეროს გამოუთქმელი,

10 ან ვინ ასახოს საძირკველი სამყაროისა.
მინდა მწედ ჰყავდეს ჩემს სიმღერებს ის ბანოვანნი,
ვინაც ამფიონს მოეშველა, როდესაც იგი

13 ქალაქ თებაის გალავანებს თვით აშენებდა,
რათა სიმღერა შეეფარდოს ჩემს მიერ ნახულს.
ო, კაცთა მოდგმავ, დაწყევლილო პირველითგანვე,

16 რომელიც გმინავს ამ ქვესკნელში, ხომ გირჩევნოდა,
რომ ყოფილიყავ ქვეყნად არვე თხათ, ან ცხოვართა.
როდესაც ქვევით მივაღწიეთ ჭის ბნელ ფსკერამდის,

19 ვიდექით უკვე გიგანტების ფერხთან ორნივე.
ზე ავიხედე თვალშეუვლებ კლდის ფლატესაკენ,
მყის შემომესმა მე სიტყვები ასეთნაირი:

„ფრთხილად იყავი, არ დაადგა ამ ქანცმილეულთ
„და უბედურ ძმებს თავზე ფეხი მოულოდნელად“.
რა გავიგონე ეს სიტყვები, შემოვტრიალდი.

და დავინახე ჩემს წინაშე, იქვე ჩემს ფერხთით,
განიერი ტბა, მიაგავდა იგი არც თუ წყალს,
ახლამედ მთლიანს მოვარვარე ფართობს მინისას.

ასეთი ზრქელი ხობოკვერა მტკიცე ყინვისა
არა აქვს თავათ დონაუს წყალს იქ ავსტრიაში,
არც მდინარე დონს ზამთრეული ცისა შემყურეს.

ზედ დასცემოდა თუნდაც მთელი პეტრაპანასი
ან ტამბერნიჩეს მაღლობებიც რომ დასწოლოდა,
არ გაადენდა იგი ტკაცანს, არც „კრიკს“ უმცირესს.

როგორც ბაყაყი საყიყინოდ მომზადებული
წყლიდან გამოყოფს დინგს ისეთ დროს, როს გლეხის ქალი
ოცნებობს ხშირად პურის მკაზე, ასევე სულნიც

გალურჯებულნი მთელ სახეზე ყბების ძირამდის,
სულმთლად დამზრალნი ყინვისაგან გამოგვეცხადნენ,
აკაწკაწებდნენ თანაც კბილებს ვით ყანჩა ნისკარტს.

თავმოდრეკილნი ჯერაც თვალებს ვერ გვისწორებდნენ,
ბაგეზე სუსხი ეტყობოდათ, თვალებზე — ტანჯვა.
როცა ქვევითკენ ჩავიხედე, მყის შევამჩნიე

ჩემს ფერხთით ორი მკერდს მიჰკროდა ერთი მეორეს,
ასე რომ თმები თავის ქალას აღრეულიყო.
„აწ მარქვით, სულნო, ერთმანეთზე მიხუტებულნო“, —

შევსძახე: — „ვინ ხართ“? — ზე ასწია ორივემ თავი.
იწვიმა ცრემლმან მათ თვალთაგან ანაზდეულად;
ცრემლები იგი წამწამებში გაჰყინა სუსხმა.

ჯერ არასოდეს ორი ლატნა არვის უნახავს
რკინის ჭანგებით ერთმანეთზე გადაჭდობილი
ამაზე მეტი სიმტკიცით და გულმოდგინებით,

როგორც ის ორი მოჰხვეოდა უროიერთს სული,
ორნივ ბრაზისგან აღრენილნი, გაცოფებულნი
ერთი მეორეს მისდგომოდნენ ვით ყოჩსა ყოჩი.

მე კი ჩემს მეგზურს მივუბრუნდი: — „ოსტატო ჩემო,
„მადროვე ერთი ვიდრე ეჭვებს გავიფანტავდე,
„შემდეგ კი ძალგიძს დამაჩქარო როგორც გენებოს“.

სდუმდა ოსტატი, მე მივმართე ისევ ამ ცოდვილს,
მოურიდებლად ღმერთს რომ ცმობდა და მაგინებდა.
„მარქვი ვინა ხარ, რომ აძაგებ ამგვარად, მოყვასს?“

„შენ ვინ ხარ თავათ, — მან მომაგო გაანჩხლებულმა, —
„განუკითხავად რომ დადიხარ ანტენორაში,
„თანაც წიხლს მირტყამ აქ ცხვირპირზე, რომ ვყოფილიყავ

„სული ცოცხალი, ხომ ვიგრძნობდი ტკივილს უმეტესს?“
„მე ცოცხალი ვარ, — ვუპასუხე, — ხამს გიხაროდეს,
„რომ მე შენს სახელს ჩემს ლექსებში ვახსენებ ერთხელ“.

მომიგო მაშინ: — „წა, გამშორდი, ქალაჩუნობა
„და გახსენება ამ ჯურღმულში არ დამჭირდება“.
წავწვდი ქოჩორში, ვეუბნები: — „მარქვი, ვინა ხარ,

„თორემ არც ერთი არ შეგრჩება თავზე თმის ღერი“.
და მან მომიგო: — „დამაგლიჯე თუ გნებავს თმები,
„ჩემს ვინაობას ვერ გაგიმხელ“, — ეს სთქვა და წამსვე

თავი დაჰხარა და მეორემ წამოიძახა:
„რა მოგივიდა, რა დემონი შეგიჩნდა ბოკკა?
„აწი ნუ იტყვი თუნდ ნურაფერს“—მივმართე ბოკკას, —

„შე მოღალატევ, გამცემელო, შენს ნამდვილ ამბავს
„მე თან წავიღებ იმ სოფელში.“ — და მან მომიგო:
„წა, გამეცალე და იყბედე რამდენიც გნებავს,

„მხოლოდ ეგ არის, თუ გახვიდე ამ ჯურღმულიდან,
„სჯობს გაიხსენო იგი, ვისაც ენა აქვს გრძელი,
„ამცნე სულ ყველას, რომ აქ შეხვდი ბატონს დუერელს.

„სადაც ცოდვილნი ჩაცვენილან ყინვის მორევში.
„თუ მკითხავ კიდევ ვინ არიან სხვანი ქვესკნელში,
„გეტყვი: შენს გვერდით მდგომარეა თვით ბეკჩერია,

„რომელსაც ყელი გამოღადრეს ფლორენციაში,
„იქ მოშორებით განელონეს და ტრიბალდელოს
„მახლობლად რომ წევს უნდა იყოს სოლდანიერი“.

ერთმა, რომელსაც ყინვისაგან ორივე ყური
დამზრალი ჰქონდა, მოახერხა ეს ეთქვა ჩემთვის:
„რას მოგვაშტერდი, თუ შენ გინდა ამ ორ ცოდვილთა

„იცოდე აწი ვინაობა, სადაურობა,
„გახსოვდეს: ველი სად მდინარე რბის მიზენჩიო
ეკუთვნის ამ ორს და მათ მამას ბატონ ალბერტის;

„ორივ ერთივე დედის საშოს ნაშიერია.
„მთლად მოიარო თუ გინდ გარსი შენ კაინისა,
„ვეღარ მოსძებნი აქ ისეთ სულს ყინვის მორევში,

მათზე მეტად რომ ეკუთვნოდეს გადაყუდება,
„არც იგი, ვისაც გაუგმირა მკერდი, მხარბეჭი
შუბის მოქნევით შუადღისას ერთხელ არტურმა,

„არც ფოკაჩია, არც პატრონი ეგერ, იმ თავის,
„ახლა ჩემს მზერას რომ ხელს უშლის შუაში მდგარი.
„სასსოლ მასკერონ ერქვა ქვეყნად ოდესღაც ამ კაცს,

„თუ ტოსკანელი ხარ შენ მკვიდრი, გეცოდინება,
„ენამრავლობა რომ მე ბევრი აღარ დამჭირდეს,
„გეტყვი: გახლავარ უბერტინოს მკვლელი დე პაცცი.

„სახელად მერქვა კომიჩიონ და ველოდები,
„თუ როდის მოვა, შემეცვლება თავათ კარლინო“.
შემდეგ ამისა მე ვიხილე ათასი სახე,

სიცივისაგან გათოშილი, გალურჯებული
და ამიტომაც ამ გაყინულ ტბის მოგონებაც
მუდამჟამს ჭრელოლას მას შემდეგაც მომგვრიდა ხოლმე.

რაც უფრო მეტად შევდიოდით ჯურღმულთა ცენტრში,
სად ყოველივე სიმძიმენი ერთს ესწრაფვიან,
მეც ვცახცახებდი მარადიულ ყინულის გზაზე,

არ კი ვუწყოდი ნებსით იყო, თუ უნებლიედ,
თუ განგებისგან მქონდა იგი ნაკარნახევი.
მაგრამ ეს იყო, ამ თავების შორის მავალმა,

ერთ ცოდვილთაგანს წიხლი ვკარი პირისახეზე,
დაიღრიალა ამ ბედკრულმა: — „რისთვის გამსრისე,
„თუ მონტაპერტის ბრძოლისათვის შურს არ იძიებ?“

121 გავშორდით ამათ და ერთ ღრუში ვნახეთ ჩვენ ორი
ცოდვილთაგანი, გათოშილი, გალურჯებული,
ერთი მეორეს დამხობოდა უღონოდ თავზე,

124 და ისე, როგორც დამშეული პურს მოკბეჩს ხოლმე,
ისე ღადრავდა ქვემწოლარეს ის, ვინც ზედ აწვა,
კეფისა ძირას, სად ხერხემალს შეერთვის თავი.

127 სწორედ ისევე უმოწყალოდ გლეჯდა ტიდეე,
გაცოფებული მენალიპეს საფეთქლებს კბილით,
მას შემდეგ, რაც მან თავის ქალა დაღრღნა, გამოხრა,

130 „ჰოდ, შენ, — ვარქვი, მტრისა შენის ხორცის მჭამელო,
„უნდა მაუწყო, ვის ეკუთვნის ეგ თავის ქალა,
„ან მის პატრონმა შენ რა გავნო, რა დაგიშავა

133 „აგრე რომ ღადრავ მის თავკისერს მხეცური ჟინით?
„ოღონდ ეს მამცნე და გპირდები, თუ შემრჩა ენა,
„რომლითაც, ნიჭი მეტყველების მიბოძა ზენამ,

136 „მე შენს სიმართლეს არ დავკარგავ საიქიოში.“

## ჯ ე ბ ა  ო ც დ ა მ ე ც ა მ ე ტ ე

ტუჩები თმებზე შეიწმინდა მაშინ ცოდვილმა,
რა გაათავა საზიზღარი ზარმელი თვისი,
და კეფა სრულად გადაუღრღნა მოსისხარს კბილით.

4 შემდეგ ამისა მოგვიბრუნდა და გვამცნო ესა:
„შენ ეს გწადია: განვიახლო წამება იგი,
„რომლისაც თავათ მოგონებაც ამაზრზენია.

7 „უნდა იცოდე, სიტყვა ჩემი იქნება თესლი
„და ამ თესლისგან უსათუოდ აღმოცენდება
„დიდი სირცხვილი, იმ უპირო მოღალატისა,

10 „რომელსაც წელან თქვენ წინაშე კბილით ვღეჭავდი,
„და აჭ სიტყვებიც არ იქნება თქმული უცრემლოდ.
„არ ვიცი ვინ ხარ, ან ქვესკნელში ვით მოაღწიე,

13 „მაგრამ კილოზე შეგამჩნიე, რომ ფლორენციის
„შენ ნაშიერი უნდა იყო, და უსათუოდ
„გეცოდინება, რომ მე ვიყავ გრაფ უგოლინო,

16 „ხოლო მეორე იყო როჯერ ეპისკოპოსი.
„ახლა ისმინე, თუ რად უმტრე ამ ჩემს მეზობელს.
„არ ღირს გიამბო, თუ რაგვარი მუხანათობით,

19 „ვით მიღალატა გულალალად მასზე მინდობილს,
„და ვით შემიპყრო მოსისხარმა და მომაკვდინა,
„მაგრამ შენ ალბათ არც კი იცი, რაც მთავარია,

22 „თავათ ამბავი უსასტიკეს მოკვდინებისა.
„მაშ მოისმინე და განსაჯე ჩვენგან ნათხრობი.
„იმ ვიწრო ხვრელმა გულშემზარავ, ბნელ დილეგისამ,

25 „(რომელსაც ახლა ჩემს შემდგომად ჰქვია სახელად
„შიმშილის კოშკი, სად მრავალი პატიმარია).
„მე იქ მაჩვენა საქანელთა თვისთა წყალობით

28 „მრავალ მთვარეთა მოქცევაჲ სხივით გავსება.
„როცა ბედითმა ზმანებამან დაფხრიწა რიდე,
„ვყავ საცნაური მომავლისა სახე უჩინო:

31 „იგი მეჩვენა მე სიზმარში ვით მძლე ბატონი,
„რომელიც მგელს და მგლის ბოკვერებს ერეკებოდა
„იმ მაღალ მთისკენ, ქალაქ ლუკკას რომ ემიჯნება.

34 „წინ მიუძღოდნენ მას მწევრები მთლად გალეულნი,
„კარგად გაწვრთნილნი, დაგეშილნი, გაუმაძღარნი,
„დაწინაურდნენ მყის გულადი, შემდეგ სისმონდი,

37 „და არც ლანფრანჩი მონადირეთ ჩამორჩენია.
„მცირე ხნის შემდეგ დაიქანცა მგელი ხვადიცა,
„და ბოკვერებსაც ვნახე ჯანი ვით ელეოდა,

40 „მისწვდნენ მწევრები, დაუღადრეს ბედშავთ ფერდები.
„როცა ცისკრისას გამოვფხიზლდი. მე შემომესმა,
„თუ ვით სტიროდენ შიმშილისგან ჩემი ბალღები,

43 „რომელნიც ჩემთან იმ დილეგში იტანჯებოდნენ,
„თუ განაგონი ცრემლს არ მოგგვრის, მაშინ არ ვიცი
„ეგზომ ულმობელს რა მოგალბობს, რა აგატირებს.

46 „ისინი უკვე ძილფხიზლობდენ, ახლოვდებოდა
„ჟამი. როდესაც ჩვეულებრივ მოჰქონდათ საზრდო.
„წამს შემომესმა ვით დაკეტეს ქვევით ჭიშკარი

„იმ საშინელი დილეგისა და მივუბრუნდი,
„სიტყვის უთქმელად მივაშტერდი მე ჩემსა ვაჟებს.
„გული გაქვავდა და შემაშრა თვალებზე ცრემლი;

„ისინი მწარედ ქვითინებდნენ გულამომჯდარნი.
„ერთი მათგანი მეუბნება, ანსელმუჩიო:
«რა გასაოცრად მოგვაჩერდი, რაო, მამილო?»

„არც ერთი ცრემლი მე იმ წუთში არ დამდენია,
„არც თუ რამ მითქვამს საპასუხოდ იმ დღის მანძილზე,
„არც შემდეგ ღამეს, ვიდრემდის მზე ამოვიდოდა.

„როს მკრთალი შუქი ჩვენს დილეგში შემოიპარა,
„ვნახე ხატება საკუთარი ოთხივ სახეზე,
„გაცოფებული კბილით წავწვდი საკუთარ ხელებს!

„მათ კი ეგონათ, რომ შიმშილმა ეს მაიძულა,
„ადგნენ ერთბაშად წინ დამიდგნენ, შემომქვითინეს;
«რას შვრები, მამავ, თუ სიყმილი გაწუხებს ეგრე,

«ჰა, ჩვენი ხორცი, ეს ინებე, რადგან ამ ხორცით
«ეგზომ ვნებულით შენ შეგვმოსე, წაიღე შენად».
„დავდუმდი მყისვე, მათთვის გული რომ არ მომეკლა,

„სდუმდნენ ოთხნივე, როგორც იმ დღეს, ისე შემდეგშიც.
„ო, მკვიდრო მიწავ, ნეტავ ჩემთვის გაგეხვნა პირი,
„როცა მეოთხე დღე გათენდა, დაეცა გადო,

ჩემს ფერხთით იწვა და ამგვარად მეველრებოდა:
«რისთვის არ გინდა მომეშველო, ჩემო მამილო?»
„იქ მოკვდა იგი, და როგორაც მე აქ მიყურებ,

„ისე მეც ვნახე საკუთართა თვალთა წინაშე
„ოთხივე ვაჟი ვით კვდებოდა, ოთხივ ზედიზედ.
„უკვე მეხუთე და მეექვსე დღე შემოთენდა,

„თვალის სინათლე დამელია ისე ვბორგავდი,
„და მათ ცხედრებზე დავდიოდი გაოგნებული.
„კიდევ სამი დღე ვიჯახირე და ვივალალე.

„ბოლოს შიმშილმა გაიმარჯვა დარდის წინაშე“.
ესა სთქვა, შემდეგ კვლავ მივარდა ბრაზმორეული
იმ უპატრონო თავის ქალას დაუწყო ღეჭვა.

ვაჰ, შენ პიზავ, სამარცხვინო ლაქავ ხალხისა,
შვენიერ ქვეყნის სად სჩვევიათ წარმოთქმა si-სა,
გიგვიანებენ მეზობელნი პატიჟს მართებულს.

აწ ამოძრავდი, კაპრაია და შენც გორგონა,
ზღუდეთ იქეცით და დახერგეთ არნოს შესართი,
რათა პიზაში მოსახლენი წალეკოს წყალმა.

ახალო თებე, უსამართლოვ, განუკითხავო,
ვთქვათ უგოლინომ მტერს გადასცა ეგ შენი ციხე,
მაგრამ მის ვაჟებს რას ერჩოდი ჯვარზე რომ აცვი,

ნორჩი ბრიგატა, ან ჭაბუკი უგუჩიონე
და ორს დანარჩენს ჩემს ლექსებში უკვე ნახსენებთ.
დავწინაურდით, მივაღწიეთ ისეთ ადგილას,

სადაც ცოდვილნი, გაყინული ხობოკვერისგან,
გარემოცულნი, ძირს ეყარნენ თვალდაღუზულნი.
თავათ ტირილიც არ შეეძლოთ, რადგან ცრემლები

პირველითგანვე მოდენილი ზედ შეყინვოდათ
თვალის გუგაზე ვით კრისტალის სათვალეები.
თუმცა სიცივემ მთლად დამიზრა კანი სახისა,

გრძნობიერება დამიკარგა სუსხით გათოშილს,
მაგრამ მე მაინც ქარის ქროლვა ვჰყავ საცნაური.
მივმართე ოსტატს, ვეუბნები: — „ეს რა ქარია?“

და მან მომიგო: — „შენ მიაღწევ მალე იმ ადგილს,
„სად საკუთარი თვალი მოგცემს ამ კითხვის პასუხს,
„როცა იხილავ ამ ბორიოს წარმოშვებ მიზეზს“.

მაშინ ერთ-ერთმა ამ ყინულში ჩაკირულთაგან
ჩვენ მოგვაძახა: — „ჰოჲ, სულნო, ეგზომ სასტიკნო,
„განგებისაგან წარგზავნილნო ამ ყინვის გარსში.

„ჩამომაცალეთ მე სახიდან ეს საფარველი,
„რომ ოდნავ მაინც გულის ჭირი შემომსუბუქდეს,
„და არც ცრემლები შემეჭირხლოს ქუთუთოებზე“.

მე ვუპასუხე: — „თუ გსურს ხვედრი შეგიმსუბუქო,
„ჯერ ეს მითხარი, თუ ვინა ხარ და ამის შემდეგ
„ვინძლო ვერ შევძლო მოგაპყრო ოდნავი შკება,

„დეე მე თავათ გავირიყო ყინულთ წიაღში.“
მან მყის მომიგო; — „მე გახლავარ ალბერიგ ბერი,
„ბაღნარის ბნელის აწ ნაყოფით ხელში შთენილი,

„ლეღვი მეწადა და მის ნაცვლად მომაგეს ფშატი“.
„რას ამბობ? — ვარქვი, — შენც გიწია უკვე სიკვდილმა?“
მან მიპასუხა: — „მე არ ვიცი სხეული ჩემი,

„რა ყოფაშია იქ ამჟამად, მაღლა, მიწაზე;
„ამ პტოლომეას ენიჭება პრივილეგია:
„აქ ჩამოვარდეს შესაძლოა სული მანამდის,

„ვიდრე ატროპოს შეუწყვეტდეს გზას სიცოცხლისას,
„ოღონდ წარმხოცე აწ თვალთაგან ცრემლები ესე
„მწვავე სუსხისგან შეყინულნი, ჭირხლად ქცეული,

„გამცნობ, რომ სული მუხანათი, დაუნდობელი,
„როგორც კი ღალატს იქ მიწაზე ჩაიდენს თურმე,
„სწრაფად იმნაირს, როგორიც მე დამედო ბრალად,

„მყისვე დემონი მას შეიპყრობს, წარსტაცებს სხეულს,
„დაეუფლება მერმე ჟამის აღსრულებამდის;
„ჩამოაგდებენ შემდეგ ამ სულს ამ ყინულეთში.

„შესაძლო არის იქ მიწაზე დარიალობდეს
„ამ ლანდის ხორცი, მანდ ჩემს უკან რომ აღრჭენს კბილებს,
„ეს ყოველივე ალბათ შენაც მოგეხსენება,

„რაკი ბნელეთში ჩამოსულხარ საიქაოდან.
„ეგ ლანდი გახლავთ თვით მესსირე ბრანკა დ'ორია,
„წელი მრავალი გაატარა მან ამ ჯურღმულში“.

მე ვუპასუხე: — „შენ მატყუებ, და მე მგონია,
„ჯერ არ მომკვდარა იქ მიწაზე ბრანკა დ'ორია
„სასმელს და საჭმელს შეეჭცევა ტანთშემოსილი.“

„ზედა ჯურღმულში, სადაც ცხელი ფისი დუღდება, —
ამბობდა იგი, — „ჯერ არ იყო კიდევ მოსული
„მიქაელ ცანჩე, როს დემონმა იმის მაგივრად

„დ'ორიას ტანში მოათავსა, აქ ჩამოგზავნა,
„ამ ყინულეთში. ნათესავნე. თანაზიარნი.
„ახლა ამას გთხოვ, გამიწოდე მე ბედშავს ხელი

„აღმიხვენ თვალნი ყინვისაგან ამოფისულნი.“
ო, გენუელნო, უზნეონო და ბიწიერნო,
რისთვის წაბილწა ეგ ხმელეთი ტერფებმა თქვენმა!

ერთ-ერთი თქვენი ნათესავის, რომანიაში
ყველაზე მეტად გულარძნილის და პირბოზისა,
მე შემხვდა ლანდი იქ, კოციტში, ამოვლებული,

იქ ვნახე სული, ხოლო მისი ბილწი სხეული
ვით მოჩვენება დარიალობს ჯერაც მიწაზე.

## ქება ოცდამეთოთხმეტე

„Vexilla regis prodeunt inferni
„ახლა ჩვენ სამტროდ, — ასე მითხრა ვირგილიუსმა:
„წინ გაიხედე, თუ შეიძლო შეასწრო თვალი.“

თითქოს ნინევი ზრქელი ნისლის ბურავდა ზეცას,
ჩვენს ჰემისფეროს ღამის კალთა ეფინებოდა,
შორიახლოდან მე ვამჩნევდი ქარისა წისქვილს, —

ატრიალებდა, აბრუნებდა ძლიერად ქარი.
უკუვიქეცი, მივეკედლე ისევ ჩემს ოსტატს,
რაკი საფარი მე სხვაგვარი არსით მიჩანდა.

უკვე მივედი (მეკრძალება ამის ლექსად თქმა),
ისეთ ადგილას, სად აჩრდილნი უკვე სავსებით
ყინვის ლოლუებს შეემოსათ და გაეთოშათ.

მოსჩანდნენ ლანდნი ისე ნათლად და გამჭვირვალედ,
ვით მცირე დვრიტა ჩაგდებული საწყლე ჭიქაში.
ზოგს თვალზე რული ძირს მწოლარეს მოჰკიდებოდა,

ზოგიც ყვინთავდა ზეზეურად ფეხზე მდგომარე,
ზოგნი ცოდვილნი თავქვე იწვნენ, ზოგიც პირაღმა,
ზოგს ფეხი თავთან მიეტანა მშვილდივით მოხრილს.

უკვე საკმაოდ ორივენი დავწინაურდით,
როცა ოსტატმა შესძლო ჩემთვის ეჩვენებინა
არსება იგი, ვინც ოდესღაც ყოფილა, თურმე,

პირშვენიერი, სახილველად ფრიად საამო.
წინ დამიყენა. გამაჩერა მაშინ ოსტატმა.
მითხრა „ეგ არის თავათ დიტე, და ამ ადგილზე

გმართებს უთუოდ აღიჭურვო მხნეობით დიდით".
სჯობს არც კი მკითხო ო, მკითხველო, ვით დავიბენი,
როგორ გავხევდი უეცარად გარინდებული,

ამას ვერ ავწერ, რადგან სიტყვა აქ უძლურია.
არცა სიკვდილი მომწევია ენა წართმეულს,
არცა სიცოცხლის შემრჩენია მე ნატამალი.

თავათ იფიქრე თუ კი შეგწევს გონების ძალი,
რა ვიქნებოდი უსიკვდილოდ და უსიცოცხლოდ?
ამ სიმძიმილის სამყაროის იმპერატორი

ამოდიოდა და ყინული სცემდა გულმკერდზე.
რა გამოვჩნდები, მე რომ ვინმემ დევს დამატოლოს,
ასევე დევიც მარტოოდენ მის მკლავის სიგრძეს

რომ შეადაროთ, გეჩვენებათ მთლათ ქონდრის კაცად
ახლა შენ თავათ ხამს განსაჯო, წარმოიდგინო,
თუ რა სიდიდის იყო მისი სხეული სრული.

რამდენად ადრე ყოფილიყო ის შვენიერი,
იმდენადავე საზიზღარი იყო ამჟამად.
თუ კი ის თვალებს მიაპყრობდა მაღლა შემომქმედს,

იგია თავათ ბოროტების ყოვლის მიზეზი.
რარიგ გავოცდი, როცა ვნახე მე ჩემის თვალით
სამგვარი სახე გამოსხმული რომ ჰქონდა თავზე,

ჯერ წინა სახე სისხლისფერი, მთლად მეწამული;
სხვა დანარჩენი პირველს სახეს უერთდებოდა,
ორთავე მხარის შუა გულში დატანებული,

ხოლო სამივე შუბლის ზემოდ ჰქონდა შეყრილი.
ნახევრად თეთრი და ნახევრად იყო ყვითელი
მარჯვენა სახე, და მეორე სახე მარცხენა.

იმათი ფერის, ვინც ნილოსის პირას ბინადრობს.
ყოველი სახის ქვემოდ ფრთენი უშველებელნი
უჩნდა ისეთი, ვით შეჰშვენის ამნაირ ფრინველს.

ჯერ არასოდეს არ მინახავს ამხელა აფრა
ზღვაზე გაშლილი. ფრთებზე ბურტყლიც კი არ ემოსა,
არცა ღამურის ქინქლის მსგავსი თუ ეტყობოდა.

58 აბარტყუნებდა ისე ძლიერ იგი თავის ფრთებს,
რომ დამდგარიყო გარეშემო სამკეცი ქარი,
მთელი კოცტიც ამიტომაც იყინებოდა.

61 ექვსივ თვალთაგან მონადენი მდუღარე ცრემლი,
სისხლიან დუჟში არეული სამივ ნიკაპზე,
ნიაღვარივით დაუცხრომლად ჩამოსდიოდა.

64 ყოველ ხახაში გაჩხირული ჰყავდა ცოდვილი,
და ყოველ მათგანს გლეჯდა რკინის. ლომისებრ კბილით.
ასე ერთბაშად აწამებდა, ღრღნიდა სამივეს.

67 პირველს მათ შორის გარნა მარტო სატანის კბილი
ღადრავდა, გლეჯდა. კბილთან ერთად ბასრი ჭანგები;
ასე რომ ზურგზე ერთიანად გასცლოდა კანი.

70 მითხრა ოსტატმა: — „სული ესე მომეტებულად
„რომ იტანჯება, იუდაა ისკარიოტი,
„თავი ხახაში გაჩრილი აქვს სატანას მისი,

73 „ფეხები უჩანს, და მეორე შავდრუნჩიანი.
„გახლავს ბრუტუსი, იტანჯება ხმაგაკმედილი.
„ხოლო მესამე, ახოვანი კასსიუსია.

76 „დროა წავიდეთ, ვინაიდან ეშვება ღამე
„და ყოველივე ნახული გვაქვს თვალმისაწვდენი.“
ყელზე მოვეჭდე მე ჩემს ოსტატს, დავყევი ნებას.

79 ხოლო მან მარჯვედ შეურჩია დრო და ადგილი,
და სწორედ, როცა ლუციფერმა გაშალა ფრთენი,
ბურტყლიან ფერდებს ძირს ჩამოჰყვა ცალკერძად ბეწვებს,

82 ხოლო ცალკერძად ხელს ავლებდა გაყინულ ქერქსა.
ერთბაშად, როცა მივაღწიეთ თეძოს თავამდის,
შემოტრიალდა და კვლავ იწყო ზე აცოცება.

85 ასე მეგონა კვლავ ჯოჯოხეთს ვუბრუნდებოდი.
„მარჯვეთ იყავი“ — მითხრა მაშინ ვირგილიუსმა,
თანაც ქშინავდა, როგორც კაცი ქანცმილეული.

88 „დროა ამ ტანჯვას დავაღწიოთ როგორმე თავი.“
ეს მითხრა, მყისვე კლდის ნაპრალში გამოძვრა მარჯვედ,
ჩამომსვა იქვე, განაპირას და გვერდს მომიდგა.

ზე ავიხედე, ლუციფერი მსურდა მენახა.
სწორედ ისეთი, როგორც ვნახე წელან მე თავათ,
და თვალი ვკიდე ვით აპლაკა ფეხები მაღლა.

რამდენად დიდი მღელვარება მე განვიცადე.
გამსაჯოს თვით ბრბომ, ვიცი იგი ვერც კი გაიგებს,
როგორ ადგილას გავიარე, როგორ ვეწამე.

„აღსდეგინ, მითხრა მე მეგზურმა, — წინ გვიდევს გრძელი
„ჩვენ გზა და შარა დია ძნელად გადასავლელი,
„მზესაც თვით ეტლის მესამედი გადაუვლია.“

„ადგილი იგი, სადაც მაშინ ვიდექით ჩვენა,
„კოშკის დარბაზი როდი იყო, არამედ მრუმე
„და ოღროჩოღრო, ბუნებრივი ტაფობი რამე.

„ჰოდ, ოსტატო, ვიდრე უფსკრულს გავეყრებოდე, —
„ვარქვი ჩემს მეგზურს, რა ავდექი და გავიმართე, —
„მიამბე რამე, განმიფანტე გაუგებრობა:

„სად გაჰქრა ყინვა, ან სატანა როგორ წაიქცა,
„ან მზემ ვით განვლო ეს მანძილი ესდენ სისწრაფით,
„საღამოსა და დილას შორის განწესებული?“

მან მიპასუხა: — „ნუ გგონია ცენტროს გადმოღმა
„იმყოფებოდე იქ, სადაც მე სატანის ბეწვებს
„ვეჭიდებოდი; იგი მიწის მთელ სიმაღლეზე

„გახიდულია, როგორც ღერძი უშველებელი.
„შენ გაღმა იყავ, ვიდრე ქვევით ჩამოვიდოდი,
„როს გამოვბრუნდი, შენც გამოსცდი სწორედ იმ მიჯნას,

„რომელსაც ელტვის მიწიერი სიმძიმე სრული.
„და იმყოფები ახლა ისეთ ჰემისფეროს ქვეშ,
„რომლისა გასწვრივ სხვა მეორე ახურავს მიწას,

„სად ძე კაცისა უცოდველად იშვა, სცხოვრობდა;
„აწ ფერხნი შენნი ზედ დაგიდგამს მცირე რამ გარსზე,
„რომელიც არის ჯიუდეკას გარსისა გასწვრივ.

„აქ დილა არის, ხოლო გაღმა საღამოვდება,
„ხოლო ის არსი, რომლის ბეწვიც კიბედ ვიხმარეთ,
„გაჩხირულია ყინულეთში კვლავინდებურად,

„სწორედ ამ მხარეს ჩამოვარდა ზეციდან ეშმა
„და ხმელი იგი, ამ ადგილას ამობორცვილი,
„ზღვის საბურველით შეიმოსა მისგან შემკრთალი,

„და შეუერთდა მეყვსეულად ჩვენს ჰემისფეროს;
„ხოლო ნაწილი, შენც ხომ ხედავ აწ დაცლილია,
„შეკრთა, შეინძრა, ატივტივდა, იქცა მწვერვალად.“

არის ადგილი იქ ქვემოთკენ ეშმაკეულის
და მის საფლავის მოშორებით, თვალშეუვლები,
მხოლოდ თუ სმენით მიუხვდები სადაურობას,

კლდის ნაპრალიდან გამოჟონავს რუ მოჩხრიალე.
იდუმალ ბილიკს ავედევნეთ მე და მეგზური,
ნათელ სამყაროს სახილველად უკუქცეულნი.

ვიარეთ აღმა, მივყვებოდი უკან ჩემს ოსტატს.
ვიდრე სივრცეში გამოჭრილი არკის გადაღმა
არ ვნახეთ ცისა შვენებანი ნაირ-ნაირი,

და გამოვედით, რომ გვეხილა კვლავ ვარსკვლავები.

## სალხინებელი

### ძეგა პირველი

ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი
უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწევს აფრას,
ჩვენს უკან დარჩა ზღვა ასევე აზვავებული.

ხამს ვუმღეროდე აწ სამყაროს რიცხვით მეორეს,
სად სულს კაცისას გაწმენდილს და განსპეტაკებულს,
ცად ამაღლების სრული ხიჭი მოეფინება

და პოეზია სულმიხდილი რომ აღსდგეს ჭკვდრეთით,
წმინდა მუზებო, რადგან თქვენი ვიყავ მარადჟამს,
აწ კალიოპეც მწედ მეყოლოს და შემაწიოს

ხმა იგი, ერთიხელ პიერიდებს რომ დასცა რისხვა,
რამაც სავსებით წარუკვეთა მათ სასოება.
აღმოსავლური საფირონის დამტკბარმა ფერმა,

13 რომელიც ზეცას მოსდებოდა გავარვარებულს,
და სხივოსნობის ათინათი ციდან ნასროლი.
პირველ გარსამდის ცის კაბადონს მოჰკიდებოდა,

16 მოჰხიბლა თვალნი სიხარულით აღტყინებულნი,
რა შემღონებელ ჰაერს თავი მე დავაღწიე,
რომელიც გულს და თვალთახედვას აუძლურებდა.

19 ტურფა პლანეტი სიყვარულის აღმაგზნებელი
მთელს აღმოსავლეთს უღიმოდა, თანაც ჩრდილავდა
თვის ასაბიას ციურ ცთომილს თევზად წოდებულს.

22 მხარმარჯვნისაკენ მოვიქეცი, მყისვე მივხედე
პოლუსს მეორეს და ვიხილე ვარსკვლავი ოთხი,
რომელნიც მხოლოდ პირველკაცთა ჰქონდათ ნახული.

25 თითქოს ზეცასაც ახარებდნენ ციაგით თვისით,
მაგრამ ვაჲ შენ, ჩრდილოეთო დაქვრივებულო,
რომ არაოდეს გეღირსება ხილვა იმათი.

28 რა განერიდა მზერა ჩემი იმა ცთომილებს,
სხვა პოლუსად მივაშურე, აღვაპყრე თვალი,
სად უკვე ეტლი უჩინარი იქმნა იდუმალ.

31 მოხუცს მარტოკას თვალი ვკიდე იქვე მახლობლად,
მის აღნაგობა აღმიძრავდა პატივისცემას,
რომელზედ მეტსაც მოსთხოვს ხოლმე მამა თავის შვილს.

34 თეთრი ერია გრძლადმოშვებულ და სათნო წვერებს,
საკმაოდ ხშირი გარეოდა ჭაღარა თმებშიც,
ორმაგ ნაწნავად ზედ მკერდამდის ჩამოშვებული.

37 ოთხივე წმინდა ვარსკვლავების სხივთა ციალი,
ისე მოსავდა სახეს მისას განსხივოსნებულს,
რომ მზისა დარად იდგა იგი ჩემსა წინაშე.

40 „ვინ გაქცევიხართ, მარადჟამულ საპყრობილესა,
„ბნელი არავის მდინარებას, მარქვით ვინა ხართ?“
გვეკითხებოდა. უტოკავდა სათნო წვერები.

43 „ვინ გიწინამძღვრათ. ვინ გიჩვენათ გზა დია ბნელი,
„როცა უკუნი ღამის წიაღს განელტვეთ მუნით.
„რომლის სიბნელე ამრუდებდა ჯოჯოხეთის ველს.

46 „გარნა ქვესკნელის შჯულისდება აწ დარღვეულა,
„ცათა აღთქმანი ზენარულნი ხომ არ შესცვალეს,
„რომ წარწყმედილთა ჩემს გვირაბში მოსვლა შეიძლეთ?“

49 ჩემმა მეგზურმა შემაკავა და გამაჩერა.
სიტყვით. ხელებით, ნიშნებით და წამისყოფითა,
მიბრძანა მყისვე დაჩოქება, მოდრეკა ქედის.

52 „არ მოვსულვარო. უთხრა ჩემის ნების მიერი,
„არამედ დედამ ზესთაზენით წარმოგზავნილმან,
„მთხოვა ამ კაცის წინამძღვრობა და გზის ჩვენება.

55 „რადგან გწადია განგიმარტოთ როგორიც არის
„აწ ვითარება და პირობა ჩვენი აქ მოსვლის,
„ჩვენ აღარ ძალგვიძს წინ აღეუდგეთ ნებასა შენსა.

58 „ამ მწირს დაისი არ უხილავს უკანასკნელი,
„თუმცა სიშმაგის თვისის გამო სულ მცირე ჟამი
„მას დარჩენოდა, ვიდრე უკუმოიქცეოდა.

61 „მაშინ. როგორც ვთქვი, წარმაგზავნეს მყისვე მე მისკენ,
„არ მიჩნდა სხვა გზა, მის საშველად და დასახსნელად,
„კიდეგან გზისა, რომელზედაც წარვმართე იგი.

64 „მე მას ვუჩვენე განწირული მოდგმა ადამის
„ახლა მწადია მოიხილოს ისეთნი სულნიც.
„ვის განწმენდასაც ხელმძღვანელობ, მეთვალყურეობ.

67 „ჩვენი აქ მოსვლის მატიანეს გიამბობ ძნიად.
„ზენარულია ძალა იგი, რომლის წყალობით,
„აქ მოვიყვანე შენს სასმენად და სახილველად.

70 „მე ვისურვებდი შეგეწყნაროს აქ მოსვლა მისი,
„ყველასგან ნანატრს ეძებს იგი თავისუფლებას,
„ეს ყველამ იცის თავგანწირვა ვისაც სჩვევია.

73 „შენ მიმიხვდები, რადგან თავათ დასთმე სიცოცხლე
„უტიკასათვის, სადაც დაგრჩა მოკვდავი ნეშთი,
„რომელიც კიდევ გაბრწყინდება განკითხვის ჟამსა.

76 „არც თუ კანონი შეგვიბღალავს მარადჟამული,
„ის ცოცხალია და მე მინოსს არ ვემონები;
„და ვიმყოფები მე იმ გარსში, უბიწო მზერით

„შენი მარჩია თითქოს კიდეც გემუდარება,
„სულო დიადო, ჩვენც ჩაგვთვალო თავისიანად,
„ჩვენც შეგვივრდომე სიყვარულის მისის სახელით.

„და გაგვატარე ჩვენ შვიდივე სამეფოს გაღმა.
„მე კი მას ვამცნობ თავაზიან მოპყრობას შენსას,
„თუ კი ქვესკნელში შენ ხსენებას არ აღგვიკრძალავ.“

„მართლაც მარჩია ლხენას გვრიდა თვალებსა ჩემსა.
გვითხრა მოხუცმა, — „როცა ვიყავ მეც იმ მიწაზე,
„მე მას დიახაც ვუსრულებდი ყოველ საწადელს.

„აწ კი დამღუპველ ნიაღვარის გაღმა შთენილი,
„ვეღარ მომწვდება იმ კანონის გამოისობით,
„რომელიც ჩემის აქ წამოსვლის ხანში დამკვიდრდა.

„მაგრამ თუ დედა ზეციური შენ გხელმძღვანელობს,
„როგორც თავათ სთქვი, მოფერება რა საჭიროა,
„ისიც იკმარებს რომ შემთხოვდე მისის სახელით.

„წა. ლელისაგან გაუკეთე ამ კაცს არდაგი,
„ასხურე წყალი და მობანე სახე იმგვარად,
„რომ არსად აჩნდეს მცირე ლაქის რამ ნატამალი,

„რადგან არ არის მართებული რომ მცირე ლაქაც
„აჩნდეს სახეზე. რომ შეხვდება პირველ კარისკაცს,
„სამოთხის სულთა საუფლოში როცა მიაღწევს.

„მცირე კუნძულზე ხომ კი ხედავ, ქვევით, სულ ქვევით,
„სადაც ტალღები გარს ევლება მტკიცე ნაპირებს,
„იზრდება ლელი გარეშემო ლონთქოშო შლამზე.

„ვერავითარი სხვა მცენარე აქ ფურცლოვანი
„ან ღერიანი ვერ გასძლებდა, ვერ იხარებდა,
„რაკი რომ წყალთა მიმოქცევას არ დაჰყვებოდა.

„მაგრამ იცოდეთ აწ აქეთკენ აღარ მობრუნდეთ,
„ამომავალი მზე გიშველით როცა აივლით
„თხემზე ნაკლებად დაცერებულ ბილიკით მერმე.“

და განქრა იგი. წამოვდექი სიტყვის უთქმელად,
მივუახლოვდი, ვეახელი ისევ ჩემს ოსტატს
და მივაჩერდი, გავეყარე თვალი მყის თვალში.

„აწ შემომყევი, შვილო ჩემო. მითხრა ოსტატმა,
„უკან გავბრუნდეთ და ჩავეშვეთ იმ ბილიკიდან,
„რომელიც ტაფობს ძირს ჩაყვება ქვემოთ მიჯნამდის.“

უკვე ცისკარმა წინ გაიგდო რიჟრაჟის ჟამი,
ილტვოდა მრუმე პირისაგან სინათლისასა,
მე მყის შევნიშნე შორეულის ზღვისა ცახცახი.

და ჩვენც ვიდოდით როგორც მგზავრი ვინმე ეული,
დაკარგული გზის საძებარად უკუქცეული
დარდს რომ ეძლევა, ვიდრე მართალს ვერ პოვებს გზასა.

როს მივაღწიეთ ისეთ ადგილს, სად დილის ცვარი
მზეს შებმებოდა, თანაც ჩრდილებს ეფარებოდა,
იბნიდებოდა, კანკალებდა, ოდნავ ლხვებოდა,

ჩემმა ოსტატმა ხელის გული მილზე დააწყო,
ეს რა შევნიშნე, ვეახელი. მყის მივუშვირე
მე ღაწვნი ჩემნი, დანამულნი ცრემლთა დენისგან;

მანაც ხელები დაცვარული მომისვა პირზე,
შემავლო ხელი, აღადგინა ჩემი სახისა
ფერი წარყვნილი, გამურული ქვესკნელის ბოლში.

შემდეგ ამისა, მივაღწიეთ უდაბურ ნაპირს.
რომელსაც თვისთა წყალთა ზედან არვინ უნახავს
აქ გაეაროს და უკანვე მოქცეულიყოს.

მე აქ კატონის ნებისამებრ ჩემმა მეგზურმა
წელზე არდაგი შემომარტყა, ო, სასწაულო,
მაგრამ რხეული ლელი იგი შემეხსნებოდა,

იქვე ხელახლა აღსდგებოდა, სადაც მოსწყვიტეს.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

აჰა, გაბრწყინდა, გაიმართა მზე ჰორიზონტზე,
მერიდიანი, რომლის გარსის უმაღლეს პუნქტთან,
ზედ გადაუვლის და დაჰყურებს იერუსალიმს:

და ღამეც გასწვრივ განგის წყლიდან ამოდიოდა,
თან ამოჰქონდა მას სასწორი, რომელიც მყისვე
გაუვარდება, როგორც კი დღეს გაასწრებს ჟამით.

7 თეთრი ღაწვები ასპიროზის იმ ადგილიდან,
სადაც ვიდექი. უკვე სჩანდა ბროწეულისფრად,
შემდეგ სიბერე მორეული გაყვითლდა უცებ.

10 ჩვენ ზღვის ნაპირზე ვაყოვნებდით, როგორც რომ კაცნი
შორეთზე ფიქრის ბურუსისგან გარემოცულნი.
მგზავრობენ ნდომით, ერთ ადგილზე თავათ შთენილნი.

13 როგორც მარიხი გარიჟრაჟზე ამოანათებს,
ზრქელ ნისლს გააპობს ლალისფერად გაწითლებული,
ზღვას თვალს დაადგამს დასავლეთის ცადაქმნილისკენ!

16 ასე მეჩვენა მე ნათელი (ვნატრობ კვლავ ხილვას),
ზღვისკენ მოჰქროდა ისე მარდად, ვერავითარი
ანცი ფრინველი სისწრაფეში ვერ გაასწრებდა.

19 მცირე ხნით თვალი ავარიდე მე ამ ჩვენებას,
მყის მივუბრუნდი ჩემსავ ოსტატს შესასიტყვებლად,
ისევ შევნიშნე სხივი იგი განდიდებული,

22 შემდეგ კი ვნახე მის გარშემო ვით რიალებდა,
რაღაც მოთეთრო, მოფარფატე უცხო სხეული,
პირველის ქვემოთ სხვა გამოჩნდა, ახლა მეორე.

25 სიტყვის წარმოთქმაც ვერ მოასწრო ჩემმა ოსტატმა,
პირველად ნახულს გამოაჩნდა ერთბაშად ფრთენი,
უკვე შეიცნო მან ციური იგი მენავე.

28 წამოიძახა: „შეხე, შეხე, უფლის ანგელოსს!
„მუხლთ მოიყარე და დაიჭდე გულმკერდზე ხელი,
„ამიერიდან შენ იხილავ ამგვარ შიკრიკებს,

31 „ადამიანურს ერიდება ის საშუალებებს,
„აღარ სჭირდება არც ნიჩბები, არც აფრა რამე,
„საკუთარ ფრენით დანავარდობს იგი შორეთში.

34 „დახე, თუ როგორ გაიელვებს ზეცის სივრცეში,
„გააპობს ჰაერს მარადიულ ფრთების ფარფატით,
„არ გახუნდება ფრთენი იგი აროდეს ჟამში.“

37 რაც უფრო მეტად იგი ჩვენსკენ მოიწევოდა,
მომეტებულად სხივოსანი ხდებოდა იგი
და თვალნი ჩემნი ვერ იტანდნენ მის ბრწყინვალებას.

ძირს დავიხედე, იგი მყისვე დაეშვა ხმელზე,
ისეთი სწრაფი და მსრბოლელი ჰაერის ნავით,
რომ წყალთა ზედან მისცურავდა დაუსვენებლად.

მესაჭე იგი ზეციური მართავდა ხომალდს
და ნეტარება მის სახეზე აღბეჭდილიყო,
ასზედაც მეტი სული იჯდა იმავ ხომალდში

„In exitu Israel d'Algypto"
იმასაც რაც რომ დაწერილა ფსალმუნში იქვე
გალობდნენ ერთად, შეწყობილი და ტკბილი ხმითა.

როცა პირჯვარი გადასახა მათ ანგელოსმა,
გადმოხტნენ სულნი ხომალდიდან მყისვე ხმელეთზე
და იგი სწრაფად ისევ განქრა, გაუჩინარდა.

სულთა კრებული დარჩა ხმელზე უცხო იერის,
შემოგარენსა შესცქეროდნენ გაოცებულნი,
ვითარცა კაცნი უცნაური საგნის მჭვრეტელნი.

მზე სხივს აფრქვევდა მოქათქათეს და მოვარვარეს,
ნათლის სხივები მიეფინა ყოველი მხრისკენ,
უკვე ისრებით კაპრიკორნი ცის შუა გულით

გადმოერეკა ციურ მნათობს და სულნი იგი
შემოგვეევედრენ: „ვინძლო თქვენ ეს უწყოდეთ კიდეც
„რარიგ შევუდგეთ ჩვენ იმ მთისკენ მიმავალ გზასა?"

ვირგილიუსმა უპასუხა: „თქვენ თუ გგონიათ,
„თითქოს ამ ადგილს ჩვენ ვიცნობდით, თუნდაც ოდნავად,
„ჩვენ თქვენებრ უცხო მწირები ვართ, აქ ჩამოსულნი.

„მცირე ხანია რაც მოვსულვართ, თუმც თქვენზე ადრე,
„მხოლოდ სულ სხვა გზით, და გზა იყო ესოდენ მძიმე,
„რომ მთაზე ასვლა აწ იქნება შვების მომგვრელი."

როდესაც სუნთქვის ჩემის გამო შეიცვნეს სულთა,
ცოცხალთაგანი რომ ვიყავი, გაოცდნენ სრულად
და ამიტომაც გაფითრება შეეტყოთ მყისვე,

ვით ზეთისხილის ტოტის მომტანს, მშვიდობის მაცნეს,
ბრბო მისცვივდება ახალ ამბის მოსასმენელად
და არვის უნდა გაეცალოს ამ აურზაურს.

73 ასე აჩრდილნი შემომერტყენ მზერადქცეულნი,
ნეტარნი სულნი ჩემს გარშემო შემოკრბენ თითქოს,
არვის ახსოვდა უკვე წასვლა განსაწმენდელად.

76 ერთი მათგანი გამოეყო ირგვლივ მოჯარულთ
და მოინდომა მომხვეოდა ისეთის გრძნობით,
რომ მეც იგივე ჩავიდინე, განვიმეორე.

79 „ჰოდ, აჩრდილნო, უსხეულო ამაო სულნო“...
სამგზის მოვხვიე სულ ამაოდ მე მას ხელები,
და სამგზისავე შემეფინა ფარფატით მკერდზე.

82 გაოცებისგან შემეცვალა მე ვფიქრობ ფერი,
რადგანაც სულმა გაიღიმა, უკუმოიქცა,
დავწინაურდი და მივყევი ოტებულს უკან.

85 ტკბილი უბნობით შემაყენა. მომეალერსა,
როს შევიცანი თუ ვინც იყო, ვიწყე ვედრება,
მცირე ხანს ჩემთან დაყოვნებას, საუბარს ვთხოვდი.

88 მითხრა: „როდესაც მე კავშირნი თან მახლდა ჩემნი
„მიყვარდი მაშინ, არც აწ მძულხარ გააზატებულს,
„მიტომც ვაყოვნებ, მაგრამ მარქვი შენ საით მიხვალ?“

91 „ჩემო კაზელავ, ვმოგზაურობ რათა მივბრუნდე
„იმ სამყაროში ხელმეორედ“ მივუგე სულსა,
„მაგრამ რატომღა ჩამოსულხარ აქ ასე გვიან?“

94 მან მიპასუხა: „არ მომსვლია ეს უსამართლოდ,
„ასე რომ იმან, ვინც მოიწვევს აქ თვის სასურველს,
„მე მან მრავალგზის აღმიკვეთა გადმოსახლება,

97 „და ნება მისი ეფონება განაჩენს მართალს,
„ეს სამი თვეა რაც ღებულობს ის თვის ხომალდში,
„ვისაც კი ნებსით მოუნდება ხომალდში ჩასვლა,

100 „და მეც ვიდექი ზღვის ნაპირზე იმავ ადგილას,
„სადაც ტიბროსი მარილიანს იგემებს წყალსა.
„მან გულმოწყალედ შემივრდომა და შემიკედლა.

103 „ამ შეკვეთილთან გადმოფრინდა იგი ანგელოს,
„რადგანაც ყველა ჩვეულებრივ აქვე გროვდება,
„ვინც მღვრიე ტალღებს არ გაჰყვება აქერონისკენ.“

106 მაშინ მივუგე: „შეგეწიოს აღთქმა ახალი,
„გწყალობდეს ნიჭი სიყვარულის ნაზ სიმღერების,
„ოდესღაც სულის ჩემსა ღელვას რომ აოკებდნენ,

109 „და მოანიჭე თუნდაც ლხენა მცირეოდენი
„ჩემს სულს დაქანცულს, დამაშვრალსა და გაწამებულს
„სხეულის ჩემის აქ მოტანით დამძიმებულსა.

112 „Amor che nella mente mi ragiona...“
ისე მწყაზარად, ისე ნაზად მღეროდა იგი,
რომ ბგერა იგი ამჟამადაც ცახცახებს ჩემში.

115 როგორც ვირგილი, ისე მეც და სულნი ჩვენს ირგვლივ
სმენად ვიქეცით მოხიბლულნი იმა სიმღერით,
თითქოს სხვაგვარი არა გვქონდა ჩვენ საფიქრალი,

118 ასე ვიდექით, ყურს ვუგდებდით გარინდებული,
აჰა ესერა, კვლავ წარმოდგა მოხუცი იგი
გვითხრა: „ჰე სულნო, რას აყოვნებთ, სულნო ზარმაცნო.

121 „აქ რას დამდგარხართ, ისწრაფოდეთ იმ მთაზე ასვლად,
„რათა გაწმენდილთ მოგეცალოთ ტანიდან ქერცლი,
„რაც თქვენ ხელს გიშლით ჯერაც ხილვად უფლისა თქვენის“.

124 სწორედ ისევე, როგორც მინდვრის მტრედის გუნდები,
ველზე კენკავენ იფქლისა ან ღვარძლის ნამუსრევთ,
მშვიდნი, ყოველგვარ სიამაყის კიდეგან ვლიან,

127 მაგრამ როგორც კი გამოჩნდება საფრთხე რაიმე,
მყისვე ყველანი დასტოვებენ თავიანთ სარჩოს,
საშიშროების განრიდებით აღტაცებულნი.

130 ასევე ვნახე: ახლადმოსულ სულების გროვა
მოსწყდა სიმღერას, გაექანა წამსვე თხემისკენ,
როგორც ის კაცი, ვინც არ იცის საითკენ რბოდეს,

133 და ჩვენც ასევე უცაბედად ავიყარენით.

## ᲪᲔᲒᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

თუმც უცაბედად განტოლვილი სულები იგი
მყისვე მოედვნენ იქვე ტაფობს და მიაშურეს
მთას, რომელზედაც მოგველოდა განწმენდის ცეცხლი.

4 მე მივუბრუნდი ჩემსა ოსტატს და ერთგულს მეგზურს;
მე უმისობა უეჭველად დამეტყობოდა,
ვინ გამიწევდა მწვერვალისკენ წინამძღოლობას?

7 და მე ვხედავდი მას გუნება ვით ამღვრეოდა
ჰოდ, სინდისო სპეტაკო და კეთილშობილო,
მცირე მიზეზიც კი იკმარებს --- მოგგვაროს ქენჯნა!

10 როცა ოსტატმა შეანელა ლტოლვის სიფიცხე,
რომელიც მუდამ ჩრდილს აყენებს დარბაისლობას,
ჩემი გონება იმ წუთამდის ფიქრით მოცული

13 მყის გამოფხიზლდა, ახალ აზრით გაბრწყინებული
და მივაპყარი ყურადღება მე მთასა მაღალს,
რომელიც ზღვიდან ზეცისაკენ აღმართულიყო.

16 ძოწისფერმა მზემ გადმომდგარმა მაშინ ჩემს მხრებზე
სხივთა ჩქერალი დააფრქვია ჩემსა სხეულზე
და აიტუზა ჩემს წინაშე ჩემივე ლანდი.

19 შემკრთალმა განზე გავიხედე მყის უნებლიედ,
ასე მეგონა აქ მარტოკა დავშთენილვარო.
ბნელს მოუცავსო დედამიწა ჩემსა წინაშე.

22 ნუგეშისმცემმა ჩემმა მითხრა: რისთვის შეჰკრთიო?
ეს სთქვა და ისევ მეყვსეულად მობრუნდა ჩემთან.
„ეგებ არ გჯერა შენს ნაბიჯებს რომ ვხელმძღვანელობ?

25 „ახლა ბინდდება იმ მხარეში. სად სამარეში
„სძევს ის სხეული, ჩრდილის ტყორცნის რომ ჰქონდა ბიჭი.
„ნეაპოლშია, რაც წამერთო ბრინდისში ერთხელ

28 „და თუ მე აწი ვერ მივაგებ ჩრდილს სხვა სხეულებს,
„ეს არც იმაზე საოცარად უნდა გეჩვენოს,
„საგნიდან საგანს ცაში ჩრდილი რომ არ ადგება.

31 „უფლის სიქველე სიცივისა და სიტფოს გრძნობას
„ანიჭებს სხეულთ და აღუძრავს ვნებათა ღელვას.
„ისე რომ კაცნი ვერც შევწვდებით ამ საიდუმლოს.

34 „შლეგია იგი ვინცა ჰფიქრობს გონება ჩვენი,
„შესძლებდეს თითქოს თანმისდიოს ეტლსა უსრულოს,
„რომელსაც მხოლოდ სამება ფლობს ერთსახიერი.

„კაცნო, იქმარეთ განმარტება თქმული ვინადგან,
„რადგანაც ყოვლის გაგებისა რომ გქონდეთ ნიჭი,
„წმინდა შთასახვა მარიამს არ დასჭირდებოდა,

„და თქვენ ხომ ნახეთ ის სულები ვისაც ამაოდ
„სურდათ წადილი მიხვდომოდათ და ლამის შესძლეს,
„მაგრამ სანაცვლოდ მათ მიეგოთ ცეცხლი უკუნი.

„მე აქ ვგულისხმობ არისტოტელს, პლატონს და სხვებსაც“.
ეს სთქვა და თავი ძირს დახარა ოსტატმა ჩემმა,
დადუმდა კიდეც და მწუხარე ფიქრმა მოიცვა.

ამასობაში მივადექით ჩვენ კალთას მთისას
და გადავაწყდით დაცერებულ კლდისა ფლატეებს,
სადაც ჩვენ ასვლას მთლად ამაოდ შევეცდებოდით.

ტურბიასა და ლერიჩს შორის უსასტიკესი
კლდის ნაპრალები მარჯვე კიბედ გეჩვენებოდათ
ამ ფლატეების, ამ ღრანტების თვალის შემვლებელს.

„ვინ იცის ნეტავ საით მისდევს მთას გავაკება?“
მითხრა მეგზურმა, შეანელა მყისვე ნაბიჯი,
რომელსაც მგზავრი აჰყვებოდა ფრთების არმქონე,

ვიდრე ოსტატი იდგა აგრე თავმოდრეკილი,
აკვირდებოდა და ირკვევდა გზის ავანჩავანს,
მე მთის მწვერვალებს შევსცქეროდი, ვუთვალთვალებდი,

მხარმარცხნივ ვნახე, შევამჩნიე სულთა კრებული;
ისინი თითქოს მოდიოდნენ ჩვენსკენ ერთობლივ
და როგორც სჩანდა ნელის ბიჯით გზას მოჰყვებოდნენ.

„აღახვენ თვალნი,“ მივუბრუნდი და ვარქვი ოსტატს,
„იქ მიმავალნი მოგვაწვდიან თათბირს სანუკველს,
„უკეთუ თავათ ვეღარ შესძლო გარკვევა გზისა“.

თავი ასწია, გაუბრწყინდა სახე ჩემს ოსტატს,
„მივუახლოვდეთ რაკი ეგზომ ნელა მოდიან,
„ხამს სასოება არ დააგდო აწ, შვილო ჩემო“.

ჯერაც ჩვენამდის უკლდათ სულებს კიდევ მანძილი,
მას შემდეგ, რაც ჩვენ გადავცილდით ნაბიჯსა ათასს,
დარჩენილ სივრცეს ქვას მიაწვდენს კარგი მტყორცნელი.

70 მაშინ ყველანი აეტმასნენ მთების ყორეებს.
გამოეფინენ სალ კლდეებზე ჯგუფ-ჯგუფად მდგარნი,
როგორც რომ მგზავრი გზის სისწორით დაეჭვებული.

73 ჰოდ, თქვენ, სულნო, რჩეულნო და აღსრულებულნო,"
უთხრა ვირგილიმ, „გეფიცებით აწი მშვიდობას,
„მზად ვარ ვირწმუნო ყოველივე თქვენგან ნათხრობი;

76 „გვარქვით რა მხრისკენ გავაკება უდგება ამ მთას,
„რათა შეგვეძლოს მივაღწიოთ ზეთავსა მისას,
„რადგანაც ბრძენი ერიდება დროის დაკარგვას".

79 როგორც ბაკიდან გამორეკილ ცხვრების არვედან
გამოვა ერთი, შემდეგ ორი, სამი და სხვები,
დაშინებულნი თავმოდრეკით თავს ჩაქინდრავენ,

82 რასაც ჩაიდენს მეწინავე სხვები ჰბაძავენ,
მოჯარდებიან მის ზურგს უკან, თუ შესდგა იგი,
მორცხვნი, მორჩილნი, არ დასდევენ შედგომის მიზეზს.

85 ასე მეც ვნახე მომავალთა ჩვენსკენ სულების
მეწინავენი, წინამძღოლნი სათნო სახისა,
დინჯი ნაბიჯით მომავალნი დარბაისლურად.

88 მაგრამ როგორც კი თვალი ჰკიდეს ვით გადაიჭრა
ნათელი ზოლი სინათლისა ჩემგან მხარმარჯვნივ,
ჩემი აჩრდილი გამოეყო და კლდეს მიადგა.

91 ისინი შესდგნენ, უკუიქცნენ მცირე მანძილზე;
სხვა დანარჩენნი მომავალნი შემდგომაც მათთა
ასევე შესდგნენ, არ უწყოდნენ რისთვის და რათა?

94 „მე თქვენ გაუწყებთ, ვიდრე თავათ მკითხავდეთ ამას,
„თქვენ ხედავთ ცოცხალ ადამიანს თქვენსა წინაშე"
და ლანდმა მისმა გადასერა ჩრდილით ნათელი.

97 „ნუ გაოცდებით, მაგრამ მაინც ირწმუნეთ ისე,
„რომ ზეცისაგან მიმავალის ძალის კიდეგან
„როდი სწადია მას ავიდეს ამა მწვერვალზე".

100 ასე უბნობდა ვირგილიუს, ჭველმა კრებულმა
გვითხრა: „გაბრუნდით და წინაშე ჩვენსა ვლიდეთო".
თანაც ხელებით გვითითებდნენ მიმართულებას.

ერთმა მათგანმა მომაძახა: „ვინაც არ იყვე,
„იარე, მაგრამ პირი ჩემსკენ დაიჭირეო,
საიქიოში თუ გყავარო სადმე ნახული?“

რა მივუბრუნდი, მივაშტერდი მომნუსხველ მზერით,
ის იყო ქერა, სახით ქველი, პირმშვენიერი;
ერთ-ერთი წარბი გაპობილი ჰქონდა ჭრილობით

და როცა კრძალვით ვიუარე აროდეს-მეთქი,
„არსად მინახავს შენი სახე“, მითხრა: „დახეო“,
თანაც მიჩვენა მან ჭრილობა მკერდისა ზემოდ.

იწყო უბნობა, გამიღიმა: „მანფრედი ვარო,
„იმპერატორის კონსტანცისა მე შვილისშვილი.
„აწ გევედრები როს გაბრუნდე ისევ მიწაზე,

„მოინახულე ჩემი ქალი, მზეთუნახავი,
„არაგონის და სიცილიის მთავრების დედა,
„ამცნე სიმართლე, თუ წაბილწონ ჩემი სახელი.

„იმ წუთში როცა გამიგმირა მტერმა სხეული.
„ორი ჭრილობა მომაყენეს მე სასიკვდილო,
„მივმართე უფალს, გულმოწყალეს, მწარე ქვითინით,

„მძიმე ცოდვები მედებოდა იმ სოფელს ვალად,
„მაგრამ სიკეთე და მოწყალე მკლავი უფლისა
„ყველას მიიღებს, შეივრდომებს და შეიწყნარებს.

„კოზენცას პასტორს მიჩენილსა ჩემდა სადევნად,
„კლემენტის მიერ წარმოგზავნილს მაშინ ენახა
„გადაკეცილი სამღვთო წიგნის ფურცელი ერთი.

„ეს ჩემი ძვლები იქნებოდა იქვე დაფლული,
„იმ სამარეში ბენევენტის ხიდისა ყურთან,
„სადაც მან ლოდი გადახადა სამარეს ჩემსას.

„ახლა მათ წვიმის თქეში რეცხავს, უბერავს ქარი,
„ვერდეს ნაპირას, სამეფოის საზღვარს გადაღმა,
„სადაც მან ძვლები მოიტანა ჩამქრალ ჯაღებით.

„მაგრამ სულს ისე ვერ წაწყმიდავს თვით ანათემა,
„რომ სიყვარული მან დაჰკარგოს მარადჟამული,
„ვიდრემდის რწმენა კიდევ ბჟუტავს ქრთილის ოდენა.

„ისიც სწორია, როცა ურჩი ეკლესიისა
„კვდება, თუნდ ცოდვაც აღიაროს სიკვდილის პირზე,
„ამ მწვერვალამდის უნდა დარჩეს განუწმენდელი;

„ყოველი წლისთვის, რამდენსაც იქ ურჩობდა თავათ
„ორჯერ ხუთმეტი ყავლი გავა, თუ კი სასჯელი
„ღირსეულ ლოცვით არ იქნება შემცირებული.

„ახლა დაფიქრდი თუ რაოდენს მიზამ სიკეთეს,
„თუ ყოველივეს შენ აუწყებ ჩემს ქველ კონსტანცას,
„როგორც შეხვედრის ჩვენის ადგილს ისევე ვადას,

„იქ დარჩენილთა ლოცვა ჩვენ აქ წარმოგვადგება“.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

როს აღივსება სიმძიმილით ან სიხარულით
ერთ-ერთი ნიჭი სულის ჩვენის კიდითკიდემდის,
მაშინ ეს ერთი სულს შეიპყრობს და დაატყვევებს;

სხვაგვართა ვნებათ დაეხშობათ გზა მისავალი.
ეს აბათილებს მცდარსა სწავლას, რომელიც ამბობს,
თითქოს ერთ კაცში არა ერთი ღვივოდეს სული.

მიტომაც, როცა რამეს ვხედავთ ან სმენად ვიღებთ,
რაც გულისყურსა დაიურვებს ჩვენსას სრულიად,
მდინარებს ჟამი, და შენ თავათ ვერ ამჩნევ ამას;

მართებულია ერთმა ნიჭმა ადევნოს თვალი,
ნიჭი მეორე შეგვრჩენოდეს სრულად მოცლილი.
პირველი თითქოს აზატია, ის წარტყვენილი,

ამის უდავო მე მივიღე გამოცდილება.
ვიდრემდის ერთ სულს ყურს ვუგდებდი გაოცებული,
მზე გასცდენოდა შეუმჩნევლად ერგასსა ხარისხს,

რომელიც ჩემს თვალს გაეპარა, როს მივაღწიეთ
ისეთ ადგილას, სად სულებმა ერთხმად გვიყივლეს:
„აქ არის იგი რასაც წეღან გვეკითხებოდით“.

უფრო დიდს არეს აბშობს ხოლმე ხანდახან მეზვრე,
როდესაც ყურძენს სიმწიფისა მოუვა ყავლი.
ფიწლის მოქნევით წამოღებულ ეკლების ბურდით,

22 ვიდრე ეჭირა მცირე ბილიკს, რომელსაც ჩვენა
ფეხი შევადგით მე და ჩემმა მეგზურმა მარტო,
როცა ლანდების გაგვეყარა კრებული სრული.

25 შესაძლო არის მიაღწიოთ ფეხით სან ლეოს,
ნოლში ჩახვიდეთ, მიაღწიოთ ბისმარტუას თხემს,
აქ ამომავალს უნდა სხმოდა უთუოდ ფრთენი;

28 მე კი მმართებდა უსწრაფესი მსუბუქი ფრთენი
ნდომის მიერი გამომსხმოდა, რომ მივყოლოდი
მეგზურსა ჩემსა ვინც გულდინჯად გზას მინათებდა.

31 ასე ვიდოდით ჩვენ ხევდახევ სულ ზევით, ზევით
ნაპრალებსა და ტინებს შორის გამომწყვდეულნი,
ვიშველიებდით აღმასვლისას ხანდახან ხელებს;

34 როდესაც ჩვენს წინ გარდიშალა მაღალი ზენი,
ვნახეთ ტაფობი ეცნაური თხემის ზეთავზე.
„ოსტატო ჩემო აწ მაუწყე რა გზას დავადგეთ?“

37 და მან მომიგო: „შენ აქ ფეხი არ მოიცვალო,
„ვიდრე მხლებელი ჩვენ ჯომარდი არ მოგვეკლინოს.“
აღმართულიყო ჩვენს წინაშე მთისა ზეთავი,

40 ცადაზვინული და პიტალო თვალშეუდგამი,
ხოლო ფერდები უფრო ცერად შემართულიყვნენ,
ვიდრე კვადრატის შუაგულში გასმული ხაზი.

43 მე დავიქანცე, შევღაღადე ქანცმილეულმა:
„უტკბესო მამავ, გამობრუნდი, იხილე თავათ
„მარტოკა შთენილს, შენ უკეთუ არ დაყოვნდები.“

46 „იქამდის მიდი, შვილო ჩემო, როგორმე“, მითხრა
და მიმითითა ცოტა ზემოთ გავაკებაზე,
რომელიც იმ მთას ევლებოდა ირგვლივ პირაქეთ.

49 სიტყვებმა მისმა გამამხნევა მაშინ იმგვარად,
რომ მყის ძალღონე მოვიკრიფე, მივდევდი, ვიდრე
ტერფების ქვეშ არ მოვიქციე ქამარი მთისა.

52 ხოლო ამ ადგილს შევისვენეთ და ჩემოვსხედით,
პირშექცეულნი აღმოსავლეთს მივჩერებოდით
და შევხაროდით ამ აღმართის სათავეს ქვეყით.

55 მივაპყარ თვალნი გადაღმისკენ გაწვდილ ნაპირებს,
შემდეგ ამისა მზეს ავხედე და გამიკვირდა,
რომ სხივნი მისნი მხარმარცხნიდან შემოგვსეოდნენ.

58 ჩასწვდა მგოსანი იმ წუთშივე ჩემს გაოცებას,
მნახა ვით შევკრთი, როცა ვნახე რომ ეტლი მზისა
აქვილონს და ამ მთას შორის როგორ მიჰქროდა.

61 და განმიმარტა: რომ ამ წუთში კასტორ და პოლუქს,
თან რომ ახლავდნენ ასაბიად ამ დიად სარკეს,
„სინათლე რომ ჰფენს ჰემისფეროს ორივეს ერთად,

64 „ნახავდი მაშინ ზოდიაქოს სხივით შემოსილს,
„ლომებისაკენ უფრო მეტად მიახლოვებულთ,
„უკეთუ ეტლი არ უცვლია ოდითნავალი.

67 „თუ შენ გწადია, რომ გაიგო ეს როგორ ხდება,
„მაშინ დაფიქრდი და სიონი წარმოიდგინე
„ამ მთისა გასწვრივ და მეორე ჰემისფეროზე.

70 „მათ ცადაქმნილი ზედახურაეთ ორთავეს ერთი,
„ჰემისფერონი იგულისხმე სხვადასხვაგვარი;
„მაშინ მიხვდები თუ გონების ძალი გშთენია,

73 „რომ გზაჲ იგი სად ფაეტონს დაეწვა ეტლი,
„ზედ გადაუვლის სიონის ზეთავს,
„მეორე მხარეს გადაივლის ამ მთის მწვერვალზე.“

76 „ოსტატო, ვარქვი, ჰეშმარიტად ჯერ არასოდეს,
„მე ასე ნათლად აზროვნება არ შემძლებია,
„და ჩავწვდი ახლა მიუწვდენელს გონების ძალით,

79 „რომ ზეციერი მოძრაობის ნახევარი წრე,
„რასაც ექვატორს უწოდებენ გულმეცნიერნი,
„ხომ იდგა მუდამ ზამთარსა და მზის დისკოს შორის.

82 „შენს მიერ აწი აღნუსხული მიზეზის გამო,
„იმდენ მანძილზე გადიხრება სამხრეთისაკენ,
„როგორც ებრაელთ ცხელ ქვეყნისკენ ეგულებოდათ,

85 „მაგრამ ესა მსურს, რომ მაუწყო თუ ნებას დამრთავ,
„რამდენი ჟამი დაგვრჩენია ჩვენ მწვერვალამდის,
„რომელსაც თვალი ჯერ ვერასგზით ვერ შევაწვდინე?“

88 „და მან მომიგო: „ძნელი არის თავდაპირველად
„ამ მთაზე ასვლა დასაწყისში, მაგრამ შემდეგ კი
„მაღლა და მაღლა აღმავალი გზა იოლდება.

91 „როცა მიაღწევ უვნებელად ამ გზის სამანთან,
„მყის განსვენებას საცნაურს ჰყოფ და იგრძნობ შვებას,
„და ზეთავისკენ აღმა ასვლა გაიოლდება,

94 „თითქოს მდინარეს მიყვებოდე ნავით ქვემოთკენ.
„იქ ელირსები დასვენებას ჯაფაგანვლილი,
„სხვას ვერას გეტყვი და ნათქვამი მტკიცედ გჯეროდეს.“

97 როს მოათავა ეს ნათქვამი ოსტატმა ჩემმა,
იქვე მახლობლად ხმა მოისმა: „ვინ იცის, ეგებ
სჯობდეს ჩამოჯდე და დაყოვნდე მცირედის ჟამით“.

100 ჩვენ შემოვბრუნდით, მივიხედეთ, მთქმელის მძებნელნი
და დავინახეთ მხარმარცხნისკენ ჩვენ ლოდი დიდი,
რომელსაც ჩვენ აქ ვერც ვამჩნევდით თავდაპირველად;

103 მყის მივაშურეთ და ვიხილეთ ლოდისა ჩრდილში,
იმ ლოდს გადაღმა დამდგარიყვნენ იგივ სულები,
ვითა ზარმაცნი უსაქმურად აყუდებულნი.

106 ერთი მათგანი მომეჩვენა მე დაქანცულად,
იჯდა უძრავად, მოეხვია მუხლებზე მკლავნი
და მუხლებს შორის დაემალა მას პირისახე.

109 „ჰოდ, უფალო გულმოწყალევ, ვარქვი, მოხედე,
„ამ საწყალობელს, იგი ისე ზანტად დამჯდარა,
„დათ გახდომოდეს თითქოს ბედშავს თვით სიზარმაცე.“

112 ჩვენი ნათქვამი ყურადიღო და მოგვაქცია
ჩვენ სახე თვისი და ასწია მუხლს ზემოთ თავი,
მითხრა: „იარე, თუ კი გერჩის მუხლებში ღონე;“

115 ვიცანი იგი და თუმცაღა მიმძიმდა სუნთქვა,
და მივდიოდი უსაშველოდ აქელებული,
მას მივაშურე და როდესაც მივუახლოვდი,

118 გვერდს მოვუდექი, მან ასწია ისევე თავი,
მკითხა: „ახლა ხომ შეიცანი თუ მზე რაოდგად
„მხარმარცხნისაკენ მიაქროლებს თვის ეტლს ბრწყინვალეს?“

მისმა ზანტურმა მიმოქცევამ და თქმამ სხარტულმა,
გამოიწვიეს ჩემს ბაგეზე მაშინ ღიმილი,
ო, ბელაკუა არ ვიდარდებ შენთვის არასდროს.

„მაგრამ ეს მარქვი, რად დამჯდარხარ შენ ამ ადგილას,
„ეგებ ვინ იცის აქ უცდიდე მეგზურსა ვისმეს,
„თუ ძველებურმა ჩვეულებამ წამოგიარა?"

მან მიპასუხა: „რად ვიჩქარო, ძმაო, ზეასვლა.
„როცა არ ძალმიძს რომ შევიდე განსაწმენდელში,
„რადგან მთის ბჭესთან გუშაგად სდგას ღვთის ანგელოსი?

აქ უნდა დავრჩე მე იმდენხანს, რამდენიც წელნი,
საიქიოში დამიყვია ჩემს სიცოცხლეში.
რადგან სიკვდიდმდე სინანული ვერ მოვასწარი.

„ეს არის მხოლოდ, შესაძლოა წამომეშველოს
„სათნო გულთაგან აღვლენილი ლოცვები წრფელი,
„სხვაგვარი ლოცვა ამაოა, მათ გმობენ ცაშიც."

უკვე ჩემზე წინ ვირგილიუს აღმავიდოდა,
და მომძახოდა იჩქარეო, მომყევ. ხომ ხედავ
მზე დამთხვევია მერიდიანს და ჰორიზონტზე

ღამემ დაადგა ფეხი თვისი უკვე მაროკოს.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

უკვე გავშორდი სულთა კრებულს, მივყევ ჩემს მეგზურს,
მის ნატერფალთა შევუდექი აღმამავალი,
როცა ჩემს უკან გაიშვირა ერთ-ერთმა ხელი,

წამოიძახა: „შეხე, თითქოს არ ანათებენ,
„უკან მავალის მხარმარცხნისკენ სხივები მზისა.
„და მიდის იგი იმნაირად, როგორც ცოცხალი".

ამის გამგონე გამოვბრუნდი და მოვიხედე.
ვნახე აჩრდილნი ვით მიჭვრეტდნენ მომნუსხველ მზერით,
მე მიყურებდნენ და მიმზერდნენ ჩემსავე აჩრდილს.

„რად ამღვრეულა სული შენი ესოდენ ზრუნვით?
მკითხა ოსტატმა, „რად ყოვნდები, რამ დაგაღონა,
„რისთვის გაფიქრებს იმა სულთა ნაჩურჩულევი?

13 „გიჯობს მე მომყვე, მაგ ლაყბობას ყურს ნუ ათხოვებ;
„იყავ ვით კოშკი მედგარი და შეუპოვარი,
„გრიგალთა გრიალს რომ არ უხრის ქედს მოუდრეკელს,

16 „რადგან მამაცი, რომლის გულში აზრი სცვლის აზრსა,
„ხშირად ყოყმანობს და მიზანსა შორდება თვისას,
„რადგანაც ახლადგანზრახული ასუსტებს ძველსა“.

19 რაღას ვეტყოდი თუ არ ასე: „მოვდივარ-მეთქი“
და დარცხვენისგან შემეფაკლა ოდნავად ღაწვი,
ასეთ რამისთვის დამნაშავეს გაამართლებენ.

22 ამასობაში დავინახეთ ქედს შესდგომოდნენ
სულთა ლანდები, აღავლენდნენ საგალობელსა,
გალობდნენ ტკბილად, ერთობლივად „ღმერთო გვიწყალეს.“

25 და რა შენიშნეს რომ სხეული ჩემი ცოცხალი
არ ატარებდა გარსშემომდგარ სხივებსა მზისას,
მათი გალობა ხრინწიანი დასრულდა: „ოჰ“-ით.

28 ორნი მათგანი, მყის გვეახლნენ ვით მოციქულნი,
რიდით მოვიდნენ, დაგვაცქერდნენ და შეგვეკითხნენ:
გვთხოვეს: გვაუწყეთ, ვინა ხართო ან სადაურნი?

31 ჩემმა მეგზურმა უპასუხა: „თქვენ შეგიძლიათ
„უკუიქცეთ და გამომგზავნელთ აუწყოთ კიდეც,
„რომ ჩემსა მხლებელს თანვე ახლავს ცოცხალი ტანი.“

34 თუ მის აჩრდილის სანახავად შესდგნენ ისინი,
მეც ეს მგონია, და პასუხიც კარგი მიიღეს,
ეკადრებოდა მას პატივი იმ აჩრდილთაგან.

37 მე არ მინახავს ალნარევსა ოხშივარს უფრო
მეტის სისწრაფით გაეკვეთოს ბინდის ეთერი
ან აგვისტოს მზეს რომ გაეპოს თალხი ღრუბლები.

40 ვიდრე ეს სულნი გაექანენ ზეთავისაკენ,
რა მიაღწიეს, მოგვიბრუნდნენ ყველანი ერთად,
ვით ცხენოსანნი მომქროლავნი მერეხის დარად.

43 „ხედავ ამ სულთა ურიცხვ კრებულს ჩვენსკენ მომავალთ,
„მოიჩქარიან შენსკენ, მითხრა მაშინ ოსტატმა:
„წინ წამოდექი და უსმინე საველრებელი.“

„ჰოჲ, შენ სულო, მიმავალო ნეტარებისკენ,
„დედის საშოდან გამოყოლილ ხორცის სამოსში,“
„შესდექ მცირე ხნით.“ შემღაღადეს ერთობლივ სულთა,

„ნახე რომელი ჩვენთაგანი ჯერ არ გინახავს,
„რათა იმ ქვეყნად თან წაიღო საუწყებელი.
„რისთვის ისწრაფვი, რად არ გინდა დაყოვნდე ოდნავ?

„ყოველ ჩვენთაგანს იძულებით მოუღეს ბოლო,
„ყველას ცოდვები გვამძიმებდა სულის გაყრამდის;
„ჩვენ ამ ცოდვებზე აგვეხილა ზეცაში თვალი,

„მტრებს მივუტევეთ სინანულით სავსე გულებით,
„და წუთისოფელს გავეცალეთ უფლის ვედრებით,
აწ ხილვად მისად ანთებულნი შევიყარენით.“

მე ვუპასუხე: „გულმოდგინედ ვუმზერ თქვენ სახეთ,
„ვერვინ ვიცანი ჯერჯერობით თუ საწადელი
„თქვენი მე ძალმიძს აგისრულოთ ოჰ, ქველნო სულნო,

„მაუწყეთ ოღონდ, აღგისრულებთ, ვფიცავ მშვიდობას,
„რომელიც მაძლევს მე სიმხნევეს მეგზურთან ერთად,
„ერთ სამყაროდან მეორეში გადასასვლელსა.“

ერთმა მათგანმა მიპასუხა: „ჩვენ გვჯერა ყველას
„ეგ აღთქმა შენი ყოველივე ფიცის კიდეგან,
„თუ კი შენს სურვილს უღონობამ გზა არ მოუჭრა.

„და მე რომელიც შეგესიტყვე ყველაზე ადრე,
„გთხოვ, თუ ოდესმე შენ იხილო ქვეყანა იგი,
„რომანიას და კარლოს ქვეყნებს რომ ემიჯნება,

„მწედ მექმენ მაშინ შემავედრე იქ დარჩენილებს,
„რათა ფანოში აღავლინონ წრფელი ლოცვები
„ცოდვათა ჩემთა შესანდობლად, ჩემს განსაწმენდად.

„იქაური ვარ; და ჭრილობა საკმაოდ მძიმე,
„რომლისგან სისხლი გამოდინდა შეუწყვეტელი,
„მე მომაყენეს ანტერონის სამამფალოში,

„სადაც უშიშრად განვაგრძობდი ცხოვრებას მაშინ.
„და მოხდა ესე ესტეს მთავრის ბრძანების ძალით,
„უმართებულო სიძულვილის მე გავხდი მსხვერპლი;

„მაგრამ მირასკენ თავის დროზე რომ წავსულიყავ,
„ორიაკოდან, სადაც მტრებმა შემიპყრეს კიდეც,
„დღემდისაც სუნთქვის ქვეყანაში მე დავრჩებოდი.

„ჭაობებისკენ გავექანე. ჭოჭმა და ლელმა
„გზა გადამიჭრა და მომიხდა მენახა თავათ,
„ვით დააყენა სისხლმა ჩემმა მიწაზე გუბე.“

ახლა მეორე შემესიტყვა: „ახდეს წადილი,
„რომელმაც დაგძრა იმ მწვერვალზე ასვლისა მდომი,
„მეც შემივრდომე და სათხოვარს მიაპყარ ყური.

„მონტეფელტროდან გამოსული ვარ, ბუონკონტე,
„არ ვენაღვლები ჯიოვანნეს, არც სხვა მახლობელს.
„მიტომც დავღოღავ სულთა შორის თავმოდრეკილი.“

მე ვუპასუხე: „რა შემთხვევის ან ძალის გამო,
„კამპალდინოდან წაგიყვანეს იმ სიშორეზე,
„რომ ჯერაც შენი სასაფლაო ვერ უპოვნიათ?“

„აჰ, მიპასუხა მაშინ სულმა, კასენტინოსთან,
„არის მდინარე არკიანოდ სახელდებული,
„გამოდის იგი აპენინის მწვერვალ ერმოდან,

„იმ ადგილამდის სად მდინარე ჰკარგავს თვის სახელს,
„მე მივაღწიე სანახევროდ ყელგამოჭრილმა,
„მივრბოდი ფეხით და ველმინდორს სისხლითა ვრწყავდი,

„მაგრამ იქ უკვე ხმაც დავკარგე და თვალთა ხედვაც,
„უკანასკნელი აღმოკვნესა იყო: მარია!
„დავეცი პირქვე, გაეყარა სული ჩემს სხეულს.

„მე მართალს გეტყვი, შენც იგივე აუწყე სხვებსაც,
„ცის ანგელოსმა ამიყვანა და ქვესკნელისამ
„წამოიძახა, რად მართმევო ამ სულს, ციერო?

„წა, წარიტაცე რაც უკვდავი რამ იყო მასში,
„მაგრამ იმ ცრემლის სანაცვალოდ, რომელიც წამცდა,
„სხეულსა მისას მე სხვაგვარად გავუსწორდები.

„შენ კარგად იცი თუ რარიგად ზრქელდება ცაში
„ის სუყე ორთქლი, ძირს რომ მოდის ქცეული წყლადა,
„და ისევ ჩქარა აორთქლდება და ავა მაღლა.

„ასევ ბოროტი ნებისყოფა ბოროტის მქმედი,
„დაუკავშირდა გონივრულსა კავშირსა თვისას
„და აამხედრა მან გრიგალი და მრუმე ნისლი

„და მთელი ველი, რა შეღამდა, დღე მიიწურა,
„პროტომანიოს გარემოდან ქედის პირამდის,
„ისე გაავსო ლეგა ნისლით ხმელეთი სრული,

რომ გაჟღენთილი ჰაერიც კი გადიქცა სითხედ,
„მოსქდა მერეხი, გადმოჰქუხეს ნიაღვარებმა,
„როდესაც მიწამ ვერ შესრუტა დაღვრილი წყალი,

„რუები რუებს შეუერთდნენ, ღელენი ღელეთ,
„და შემდეგ ერთად მიაშურეს მეფურ მდინარეს,
„თავაშვებულთა რა ჯებირი დაიურვებდა

„და არკიანომ წყალმრავალმა, აზვავებულმან
„მყის მოიხელთა გვამი ჩემი გაცივებული.
„არნოს გადასცა და შემეხსნა გულხელდაკრეფილს

„მკლავნი სიმწრისგან ურთიერთზე გადანასკულნი.
„მათრია წყალმა ტბორეთა და ნაპირთა შორის,
„შლამში გამხვია, დამასილა შლამი და ხრეში.“

„როს წუთისოფლად მიბრუნება მოგიხდეს ისევ,
„რა მოათავო დასვენება დიდხანს, ნამგზავრმა,
მეველრებოდა ახლა სული რიცხვით მესამე:

„მეც მომიგონე, გეველრები, გახლავარ პია,
„სიენამ მომცა მე სიცოცხლე, მომკლა მარემმამ,
„ეს კარგად იცის ვინც დანიშნულს მაჩუქა ერთხელ

„თავის ცერისგან წაძრობილი ბეჭდისა თვალი.“

## ᲫᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲩᲕᲚᲔ

როს მოთავდება სამ კამათლით ზარას თამაში,
ზარას წამგები ქვე დარჩება გულშემოყრილი,
ისვრის კამათელს ხელმეორედ, ფიქრობს მწუხარე;

ხოლო მომგებელს თან გაჰყვება მოგროვილი ბრბო,
ერთი მეორეს წინ წაუსწრებს, ზოგიც თან მისდევს,
წამოეწევა, გაახსენებს მომგებელს ამაგს:

ზარას მომგები ხან ერთს უსმენს, ხანაც მეორეს,
ვისაც ხელს ართმევს იგი მყისვე ჩამოსცილდება.
და მოიშორებს ის თავიდან ხალხს მოზღვავებულს.

ასე ვიდოდი გარშემორტყმულ სულების ბრბოში,
ხან ერთს ვუმზერდი, მივხედავდი ხანაც მეორეს.
ზოგსაც აღთქმებით, ზოგს შეხედვით ვიგერიებდი.

არეცოელი აქვე იყო, რომელიც მოჰკლა
გჰინო და — ტაკკოს ულმობელმა, მსახვრალმა ხელმა.
იგიც ვინც ბრძოლის ველს გაექცა, წყალში დაიხრჩო,

იქ ხელგაწვდილნი მომდგომოდნენ, მეუდრებოდნენ
ნ. ფრედერიგო და მეორე მკვიდრი პიზასი.
ვინც ქველ მარცუკკოს დიდი ძალა გამოამჟღავნა.

ვნახე გრაფ ორსო და ის სული ვინც მოკვდინებით
გაწორდა სოფელს მეშურნეთა გესლის წყალობით,
თუმც მართებულად, როგორც თავათ მომითხრო სულმა,

დელაბროჩია იყო იგი, დაფიქრდეს თავათ
მის ხსენებაზე, სინჯორა დიდი ბრაბანტის,
რათა შემდეგში ცოდვილთა მრევლს არ მიეთვალოს.

როცა საკმაოდ გავუსწარი სულთა აჩრდილებს,
რომელნიც ერთხმად მოითხოვდნენ. სხვებისგან ლოცვას,
ამ გზით ეწადათ ნეტარებას ზიარებოდნენ.

ასე დავიწყე: „როგორც მახსოვს შენ უარყავი,
„ჰოჲ სულმნათო, ერთ შენს წიგნში თითქოს ლოცვითა,
„არვის ძალუძდეს რომ შესცვალოს ცის განაჩენი.

„ეს ბედშავები მხოლოდ ამას გევედრებიან
„ნუთუ ამაოდ სასოება აღძვრია სულებს?
„ან ეგებ თქვენი ნაბრძანები მე ვერ გამეგოს“?

მითხრა: „ნაწერი ნათელია ჩემი ამგვარი,
„არც იმა სულთა სასოება არის ამაო,
„თუ მათ გონებას არ დააკლდა განსჯისა ნიჭი.

„ძირს არ დაიწევს ის მწვერვალი მართლმსაჯულების,
„როდესაც ცეცხლი სიყვარულის შეავსებს სწრაფად,
„რასაც სასჯელი აქაური მიუზღავს სულებს.

„ხოლო ჩემს წიგნში სულ სხვას ვწერდი ოდესღაც თავათ,
„როცა ვამბობდი ლოცვა ცოდვილთ ვერ განკურნავსო,
„უკეთუ იგი უფლისადმი არ განკუთვნილა.

„მაგრამ არ შერჩე ამ მაღალსა წინასწარ გრძნობას,
„ვიდრე ამ საკითხს არ გადასწყვეტს მნათობი იგი,
„ვინც ჩამოდგება გონებას და ჭეშმარიტს შორის.

„მე აქ ვგულისხმობ ბეატრიჩეს, მიხვდი თუ არა?
„მაგრამ შენ იმას მთის ზეთავზე იხილავ მხოლოდ;
„მწვერვალის თხემი გაბრწყინდება ნეტარ ღიმილით.

მე ვუპასუხე: „ო, მოძღვარო, ავჩქარდეთ მაშინ,
„დაქანცულობას მე აღარ ვგრძნობ კვლავინდებურად.
„ეჰე, შეხედე, გაწოლილა უკვე მთის ჩრდილი."

„ვიდრემდის დღეა წინ გავსწიოთ მარდი ნაბიჯით,
მან მიპასუხა, „და ვიაროთ სანამ შევიძლოთ,
„სულ სხვანაირად ეს მოხდება, ვიდრე გგონია,

„სანამ შენ მწვერვალს მიაღწევდე, უკუქცეული,
„მნათობი მთების გადმოღმიდან გამოანათებს,
„ასე რომ შენში სხივი მისი ვერ გადატყდება.

„წინ გაიხედე, ეგერ სული სდგას, გვითვალთვალებს,
„იქ სდგას მარტოკა, გვაშტერდება მომნუსხველ მზერით,
„იგი გვასწავლის ჩვენ აქედან შარას უმოკლესს."

ჩვენც მას მივმართეთ: „ჰოჲ, სულო ლომბარდიელო,
„რა ქედმაღალად და ამაყად გეჭირა თავი,
„დარბაისლურად მოგვაპყრობდი თვალთაგან მზერას!"

მან არა გვითხრა, არ დაუძრავს არც ერთი სიტყვა,
ელოდებოდა ჩვენგან მისვლას, გვითვალთვალებდა,
როგორაც ლომი გაწოლილი დასასვენებლად.

ვირგილიუსი მას ეახლა, სთხოვა კიდევაც
ეჩვენებინა ჩვენთვის გზაჲ აქ უმარჯვესი,
მაგრამ ვედრებას არ ათხოვა ამ სულმა ყური.

თავათ ჰკითხავდა ცხოვრების და სამშობლოს ამბავს.
ტკბილმა მეგზურმა მყის დაიწყო: „მანტუადანო..."
და ჩრდილი იგი მოღუშული, ფიქრში წასული

73 მიეჭრა ოსტატს, გარდინაცვლა მყისვე ადგილი,
წამოიყვირა: „მანტუელო, მე ვარ სორდელო,
შენი ქვეყნიდან...“ შემოეჭვდნენ ურთიერთს ყელზე.

76 ოჰ, იტალიავ, შე მხევალო, ტანჯვის დილეგო,
უიალქანო ხომალდი ხარ გრიგალის პირში,
ოდესღაც ხალხთა მბრძანებელი, აწ საროსკიპო.

79 ეს დიდი სული აათრთოლა ისე ანაზდად
თავის მამულის სახსენებლის გაგონებამა,
ნათესავს თვისას მიესალმა და ესალბუნა,

82 შენს მკერდზე მცხოვრებთ უომარად ვერ გაუძლიათ,
ცოცხლად შთენილნი დღენიადაგ სჭამენ ურთიერთს,
თავათ ისინიც ვინც საერთო ციხეში ცხოვრობს.

85 თვალი მოავლე უბედურო შენსა ქვეყანას,
შენი ხმელეთი, შენი ზღვები მიმოიხილე,
თუ სადმე იყოს ერთი კუთხეც მშვიდობიანი.

88 ჲუსტინიანემ თუმც ერთხელაც მოგდო აღვირი,
მაგრამ რას გშველის უნაგირი აწ უპატრონო,
შენი სირცხვილი უმისოდაც შემცირდებოდა.

91 ჰოჲ, ქვეყანავ, თავმოდრეკა გმართებს უთუოდ,
რათა კეისარს დაანებო ცხენზე შეჯდომა,
თუ ყურადიღებ სათნოებით სიტყვას უფლისას;

94 აჰა, გაშმაგდა, გაზულუქდა აწ მხეცი იგი,
რადგან დეზებით ჯერაც არვის დაუოკნია,
მას შემდეგ, რაც შენ ხელთ იპყარი სადავე მისი.

97 შენაც ო, ალბერტ გერმანელო, ვინაც დააგდე
იგი ულაყი, უხედნელი, მოუთრგუნავი,
როცა სადავე ხელში მტკიცედ უნდა გჭეროდა.

100 დეე, მიაგოს მართებული სასჯელი ზეცამ
აწ სისხლსა შენსას თვალსაჩინოდ განცხადებული,
რათა ათრთოლდეს რისხვისაგან მემკვიდრეც შენი.

103 რადგან შენის და მამისშენის გამოისობით,
გაუმაძღრობით და სიხარბით სულწაძლეულნო
საკეისროის ბაღი იგი დაფარა ყვერმა.

106 მოვედ, იხილეთ კაპპულლეტტი, გინა მონტეკკი,
ფილიპესკები და მონალდი, ო უდარდელო,
ნახე რარიგად დაზაფრულან, დაშინებულან!

109 მოვედ, სასტიკო და იხილე დაცემა ზნეთა
შენ აზნაურთა და უწამლე დასნეულებულთ,
და ნახავ თავათ რა დღეშია სანტაფიორე.

112 საკუთარ თვალით ნახე რომი, ცრემლთა მთხეველი
თუ როგორ მოსთქვამს უსასოოდ დაქვრივებული:
„რისთვის დამაგდე, კეისარო, რისთვის დამტოვე?“

115 ნახე რარიგად ერთმანეთი შეგვძულებია,
ჩვენ აღარ ველით შეწყალებას და შევრდომებას,
მოვედ, სახელის საკუთარის პატივსაცემად.

118 და ვით შეგკადრო იუპიტერს ღვთისგან ხელდასხმულს,
ჩვენი გულისთვის გოლგოთაზე ჯვარზე გასულო,
მართალნი თვალნი უცხოდ ხომ არ მიგიქცევია;

121 ვინ იცის. ეგებ გვიმზადებდეს ზრახვად უფსკრულში,
თათბირი შენი გამომღები ნაყოფთა დიდთა,
რასაც ეგების ვერ სწვდებოდეს გულისხმა ჩვენი.

124 რადგანაც მთელი იტალია დარჩა ტირანებს
და აწ მარჩელოს თავს უწოდებს ყველა ყაჩაღი,
ან და თავკაცი ყოველივე ჯგუფის, პარტიის.

127 ო, ფლორენციავ იამაყე ასეთ განდგომით,
რადგანაც იგი შენს ზღუდეებს ვერ შეეხება,
ხალხისა შენის გულხმიერ სიბრძნის წყალობით.

130 ჭრავალს უნთია სამართლისა ლამპარი გულში,
მაგრამ არ ჩქარობს მოისარი ბრძენი არასდროს,
მოქალაქეთა ენის წვერზე უძევთ სიმართლე.

133 მრავალი გარბის სახელმწიფოს სამსახურიდან
და შენი ხალხი უკითხავად აღრიალდება,
აჰა დამტვირთეთ, ჩემი ზურგი იმსახურეთო.

136 მაშ იზეიმე, არ გაკლია ლხინის მიზეზიც,
შენ მორჭმული ხარ. ხვავიანი და ზავიანი.
სიტყვანი ჩემნი სინამდვილემ ვერ გააწბილოს.

შენ ვერც ათინა შეგედრება და ვეღარც სპარტა,
შჯულისდებანი უძველესნი ვინც შეჰქმნა ერთხელ,
მათ არ მიუძღვით შენოდენი დამსახურება,

რადგან კანონებს ისე ბრძნულად აწესებ შენსას,
რომ ნოემბერში უკვე აღარ გამოგაღგება,
რაც ოქტომბერში მაჯაგანით მოგიქსოვია.

და რამდენიგზის ადამიანთ მახსოვრობაში
კანონი, ზნენი, მართველობა, ფული და ზომა,
მოქალაქენი და წესრიგი შენ შეგიცვლია!

ჰოდა, ნეტავი რომ შეგეძლოს გონს მოხვიდოდე
და მიხვდებოდე როგორ ჰგავხარ შენ იმ ავადმყოფს,
რომელიც მშვიდად ვერ ისვენებს თვის სარეცელზე,

გულშემოყრილი ბორგავს ასე სენთან მებრძოლი.

## ᲔᲒᲒᲐ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

რა მოგვესალმა, მოგვეოხა კეთილშობილად,
სამგზის თუ ოთხგზის დაგვიმოწმა პატივისცემა,
უკუდგა მერე, მოკრძალებით გვკითხა: „ვინ ხართო?

„ვიდრე ამ მთისკენ პირს იზამდნენ სულნი დიადნი,
„რომელთაც ღვთისკენ აღმასვლისა დაერთოთ ნება,
„ოქტავიანემ დაამიწა ცხედარი ჩემი.

„ვარ ვირგილიუს და დავკარგე ზეცის ნუგეში
ანაზდეულად, რადგან ვიყავ წარმართი სულით;“
ეს უპასუხა ამნაირად მეგზურმა ჩემმა.

და როგორც კაცმა ვინც შენიშნა თავის წინაშე
საგანი რამე საოცარი, მოულოდნელი,
ჭოჭმანით ფიქრობს ეს არისო ან თუ სხვა რამე,

აგრე დაეჭვდა სორდელოც და თავი ჩაჰქინდრა,
მოკრძალებულად მიეახლა კვლავ ვირგილიუსს,
იქ მოეხვია, სად უმცროსი ემთხვევა უფროსს.

„ჰე, ლათინელთა სიამაყევ, ვინაც გვაჩვენე
„ლათინურ ენის სიდიადე“, უთხრა სორდელომ,
„სამშობლოს ჩემის დიდებისა მაუწყებელო,

19 „თუ მაღირსებდე ნაუბრისა შენის მოსმენას,
„ჯოჯოხეთიდან თუ მოსულხარ ესეც მაუწყე,
„რომელი გარსით გამოსულმა აქ მოაღწიე?“

22 „მე გავიარე ყველა გარსი ცრემლთა დილეგის,“
უთხრა სორდელოს თავმოდრეკილს მეგზურმა ჩემმა,
ციურ სიქველეს აყოლილმა აქ მოვაღწიე;

25 „არა საქმეთა ჩემთა გამო დავკარგე შუქი,
„არამედ მხოლოდ უქნარობის ჩემის წყალობით,
„მზემ ამარიდა პირი თვისი და მომწვდა გვიან“.

28 „არის ადგილი საშინელი არა წამების,
„მუნ დამკვიდრებულ სიბნელისა მეოხებითა
„მუნ არ მოგწვდებათ ღრიანცელი, კვნესიან მხოლოდ.

31 „მუნ უბიწოთა ყრმათა შორის ვსადგურობ მეცა,
„ამ ყრმათ სიკვდილი მისწვდენია, ვიდრე მოესწროთ
„პირველ ცოდვისგან განებანათ ახლადშობილნი.

34 „მე მათთანა ვარ ვინც ჯერ კიდევ არ შეუმოსავთ
„სამიევე წმინდა სიქველისა სამოსელითა,
„სხვა ყოველივე შევიცანი და გავიარე.

37 „ან თუ გენებოს. ან შეგეძლოს გვასწავლე გზაჲ
„რარიგ შევიძლებთ მოკლე ხანში ჩვენ აქ მიღწევას,
„სად სალხინებელს შესავალი ჰქონდეს კარები?“

40 „გვამცნო სორდელომ: „ჩვენ არა გვაქვს მორწყული არე,
„ნება მაქვს სრული მოვიარო შემოგარენი,
„სანამ შევიძლებ გამოგყვები და გზას გიჩვენებ;

43 „ეს არის მხოლოდ მიიწურა დღე როგორც ხედავ,
„ხოლო აღმასვლა სიბნელეში სახიფათოა,
„აქვე მოვძებნოთ ჩვენ ადგილი დასავანები;

46 „აქეთ, მხარმარჯვნით შეგვეყრება სულთა კრებული,
„თუ ნებას დამრთავ მიგიძღვები მათ სახილველად,
უეჭველია, მათი ხილვა შენც გეამება.“

49 „როგორ გავიგო, უპასუხეს მაშინ სორდელოს,
„ამ მთაზე აღმსვლელს უკრძალავენ ღამით ზეასვლას,
„თუ მას თვითონვე აღარ ძალუძს ავიდეს ზენზე.“

52 ქველმა სორდელომ გადაუსვა მიწაზე ფრჩხილი,
მიუგო ოსტატს: „ამ განახაზს ვერ გადასცდები,
„როგორც კი ბნელში დაინთქება მზე მწუხრის პირზე.

55 „სხვამხრივ არა რა დაუდგება წინ მთაზე აღმსვლელს
„თუ არა ღამე ამ ბექობზე დამკვიდრებული;
„ბნელი შეჰკოჭავს ზეაღმსვლელის სურვილს და ნებას.

58 „მას შეეძლება დაუბრუნდეს ისევე ტაფობს,
„ან და იაროს ახლომახლო შემოგარენზე,
„ვიდრე დავსილ დღეს გარს ერტყმება სიბნელის სალტე".

61 გააოცაო ამ ამბავმა თითქოს ოსტატი,
უთხრა: „წაგვიძეხ და გვაჩვენე ადგილი იგი,
„სად დავანება როგორცა სთქვი, ჩვენ შვებას მოგვგვრის".

64 მცირე მანძილი გავიარეთ და მე შევნიშნე,
იქვე ტაფობი ბორცვთა შორის გავაკებული,
როგორიც ხშირად შეგვხვედრია ხოლმე მიწაზე.

67 „ახლა წამოდით, გვითხრა ლანდმა და წინ წაგვიძღვა,
„იმ მთის უბისკენ დაგვრჩენია მცირე მანძილი
„და გვირჩევნია შევუცადოთ აქ დღეს ხვალინდელს."

70 ვიწრო ბილიკი მიყვებოდა მთის ზღურბლს ბარისკენ
და გავაკებას მივეახლეთ ჩვენ იმ კიდიდან,
სადაც ფერდობი სანახევროდ აბორცვილიყო.

73 ოქროჲ, ვერცხლი და კოკოსის გულის სითეთრე,
ჰინდური ხისა სისპეტაკე ჰაეროვანი,
ახლადდამსხვრეულ სამარაგდოს უცხო ციაგი,

76 ყველანი ერთად ამ წალკოტის პირისპირ მდგარი,
ფერს დაჰკარგავდნენ როგორც მცირე საგნები ხშირად
უზომოდ დიდთა სიახლოეს იჩრდილებიან.

79 განა თუ მარტო ათასნაირ ფერთა სიუხვით
შეემკო იგი თვით ბუნებას, არამედ აქვე
მრავალნაირი სურნელება დაკმეულიყო.

82 ყვავილთა შორის აქ მწვანეზე დამსხდარან სულნი,
გალობდნენ ტკბილად, შეწყობილად Salve Regina-ს,
აქ შეკუჟულნი გარს შემორტყმულ მთების უბეში.

„სანამ მნათობი არ დანთქმულა სრულიად ბნელში,“
სთქვა მანტუელმა ვინც მოგვიძღვა ამ წალკოტამდის,
„ნუ მომთხოვთ მე თქვენ მიგიყვანოთ მათ სიახლოეს“.

„ამ მაღლობიდან უკეთ ნახავთ მათ აღნავობას,
„ყველას შეხედავთ და გაარჩევთ თქვენ სათითოოდ
„ვიდრე ტაფობში ჩახვიდოდეთ, ეახლებოდეთ.

„ემანდ დამჯდარი სულთა შორის პირმოკუმული,
„ვინაც გაურბის დანარჩენებს ხმა ააყოლოს,
„არ ეგუება აქ მგალობლის მოვალეობას

„იყო ოდესღაც კეისარი, მორჭმული რუდოლფ,
„მას ეს შეეძლო იტალიის იარებისთვის
„თვით მოეარა, მოეძებნა მათთვის სალბუნი,

„რასაც ვერავინ ველარ შესძლებს ამიერიდან.
„ხოლო მეორე ვინაც ნუგეშს ანიჭებს რუდოლფს,
„მართავდა მხარეს, საიდგანაც მოდიან წყალნი

„ელბას შერთულნი და აქედან ზღვისკენ მავალნი.
„მას ოტოკარი ეწოდება და ჯერ აკვანში
„სავსებით ჩვილი უკვე სჯობდა ბედკრულ ვინჩისლავს.

„წვერგაბურძგნულსა და ავხორცსა მემკვიდრეს თვისას.
„იმ ცხვირპაჭუას, თავაზიან სულთან მოუბარს
„განსაცდელისგან ოტებულსა მისწვდა სიკვდილი,

„უკუქცეულმა შეარცხვინა მან შროშანები,
„შეხედე იგი მოწყენილი, თავმოდრეკილი
„რარიგად ოხრავს და ღაწვები ხელის გულებზე

„ზედ დაუყრდნია, მისცემია ფიქრს შავნაღვლიანს;
„ერთი მამაა და მეორე იმის სიმამრი,
„ვინაც საფრანგეთს მოუვლინა უბედურება;

„ეს ყოველივე დარდით ავსებს ორივეს გულსა.
„ის გოლიათი მანდ რომ გალობს ხმაშეწყობილად,
„მეორე კაცთან არწივისებრ ცხვირის პატრონთან,

„მას ყოველივე სიქველენი ერტყა საბელად
„და ამ ჟამამდის მეფის ტახტი რომ შერჩენოდა
„მის უკან დამჯდარ ფერმკრთალ ჰაბუკს, მაშინ სიქველე

„ერთ ფიალიდან მეორეში გადავიდოდა,
„სხვა მის მემკვიდრეს აქ ნათქვამი არ შეეხება,
„ტახტს დაეუფლნენ ფრედერიგო და ჯიაკომო,

„არც ერთს არ ერგო უკეთესი სამკვიდრებელი.
„ასე სიკეთე ფესვებიდან ვერ აღწევს შტომდის,
„კაცთა შორისაც იგივეა, მან დაადგინა

„ვინც მოგვანიჭა, რათა ლოცვით ვეწიოთ ნათელს.
„და ჩემი სიტყვა დიდ ცხვიროსან მეფესაც სწვდება,
„ასევე პეტრეს, მასთან ერთად იქვე მგალობელს,

„ვინაც პროვანსსა და აპულეთს ჭირი შეჰყარა;
„და ყლორტი იგი აღარა ჰგავს სათესლე მარცვალს,
„თუმცა კონსტანცა უფრო მეტად იქადის ქმრითა,

„ვიდრე ოდესღაც ბეატრიჩე და მარგარიტა.
„ეგერ ზის მეფე თავდაბლური ყოფაქცევისა,
„ჰენრი ინგლისის მბრძანებელი მარტოღშთენილი,

„თავისი გვარის ნაშიერით კმაყოფილია.
„ხოლო შემდეგი, ფეხმორთხმულად მიწაზე მჯდარი,
„მაღლა რომ თავს სწევს იგი არის მარკიზ გუჯომა;

„მას დასტირიან მონფერატი და კანავეზე
„ალესანდრიის დასაპყრობად ომში დაღუპულს“.

## ჯება მერვე

ჩამოდგა ჟამი, როს მეზღვაურთ შინ მობრუნება
მოენატრებათ საოცარად გულაჩუყებულთ,
ან დღე გაყრისა როს დასტოვეს შინაურები.

და ჟამი იგი როს უცხოეთს გადახვეწილებს,
გულაჩვილებულთ მოესმებათ ტკბილი ჟღარუნი
საღამოს ზარის მომაკვდავი დღის მოტირალის.

მე დამისუსტდა ყურთა სმენა, დავძაბე მზერა.
აჩრდილთა შორის მივაშტერდი მყისვე ერთ-ერთ სულს,
ზეწამომდგარი ხელს აქნევდა მოისმინეთო.

10 აღაპყრო ხელნი აღმოსავლით პირშექცეულმა,
„შენ გეჯები მე, უფალო“ ღაღადჰყო სულმა,
მყის გავინაბე მივაპყარი მას გულისყური.

13 Te lucis ante შემომესმა მის ბაგეთაგან
ტკბილი გალობა, ჟრუანტელის მომგვრელი ხმითა
და მის გამგონეს შემეცნება წამეროო სრულად,

16 სხვანიც მას აჰყვნენ სათნოებით აღტაცებულნი,
გალობდნენ ასე ღვთიურ ჰიმნებს ხმაშეწყობილად,
თვალაპყრობილი ციურ სფეროს მისჩერებოდნენ.

19 ახლა დაძაბე მზერა შენი, მკითხველო ჩემო,
რადგან აქ რიდე იმნაირად გამსჭვირვალეა,
რომ შეფარვული აზრის ცნობა არ არის ძნელი;

22 შემდეგ მე ვნახე ეს რჩეული სულთა კრებული,
ხმაგაკმედილი შესცქეროდა მდუმარე ზეცას,
მოელიანო თითქოს ვინმეს ზესთა ზენიდან

25 და ორ ანგელოსს თვალი ვკიდე ციდან გადმოსულთ,
ორივეს ხმალი ხელში ეპყრა ცეცხლებრ მგზნებარე,
ორთავე მახვილს წამტკრეული ჰქონდათ წვეტები,

28 ახლად ამომსქდარ მწვანისფერი ეცვათ ხიტონი
და პარპაშებდნენ მწვანე ფრთები და ხიტონები
ქკან მოჰქროდნენ ქარისაგან ატოკებულნი.

31 ერთი მათგანი ძირს დაეშვა ჩვენს სიახლოეს,
ხოლო მეორე ჩვენს პირდაპირ დაჯდა ბექობზე,
ასე რომ, სულნი მომწყვდეულნი დარჩნენ მათ შორის.

34 შემეძლო კარგად გამერჩია ქერა თავები.
მაგრამ სახეთა ბრწყინვალებამ მე მომჭრა თვალი,
კაცს ძალას გართმევს მომეტებულ ღონის დაძაბვა.

37 „მშობელსა ღვთისას ანგელოსნი მოუგზავნია,“
გვითხრა სორდელომ, „ამ ჭალაკის დასაფარავად,“
რადგანაც გველი სადაც არის გამოჩნდებაო.

40 მე არ ვიცოდი თუ საიდან გამოვიდოდა,
ვიხედებოდი აქეთ-იქით და შევეცადე,
მთლად გაყინული ჩემს წინამძღოლს მივახლებოდი,

43 გვამცნო სორდელომ: დრო არისო ველად ჩასვლისა,
„დიდთა აჩრდილთა მივეახლოთ და ვესაუბროთ,
„მათ ეს ამბავი უეჭველად გაეხარდებათ.“

46 სულ სამიოდე გადადგმული მქონდა ნაბიჯი.
ძირს ჩამოვედი და შევნიშნე რომ ვიღაც სული
მე მარტოოდენ დამაცქერდა, მითვალთვალებდა.

49 მწუხრი ჩამოდგა და სიმრუმე ეახლა ჰაერს.
მაგრამ ჯერ კიდევ აჩრდილსა და ჩემს თვალებს შორის
შესაძლო იყო გაგერჩიათ საგანი თვალით.

52 გამოემართა ჩემსკენ სული. ხოლო მე მისკენ,
„ო, ნინო ჩემო. მოსამართლევ კეთილშობილო,
„როგორ მიხარის წარწყმედილთა შორის რომ არ ხარ,

55 „ამ წუთში სიტყვაც აღარ გვყოფნის მისასალმებლად.“
მერმე მკითხავდა. რანაირად, როდის მოხველო,
ამ თხემის ძირას შორეული წყლების გადმოლმა?

58 „დილით მოვედი. ვუპასუხე. ცრემლის დილეგნი
„მე გადმოვლახე. თუმც ცხოვრება არ დამითმია,
„აქ ვმოგზაურობ სხვა ცხოვრების მოსახვეჭელად.“

61 როგორც კი ჩემი ნაუბარი მისწვდა მათ სმენას,
ახლადმოსული და სორდელო უკუდგნენ მყისვე,
როგორც ეს შემკრთალ ადამიანთ სჩვევია ხოლმე,

64 ერთი ვირგილის მიუბრუნდა, მეორე აჩრდილს
იქვე მჯდომარეს. „ჰეჲ, კონრად, აღსდექინ ჩემო,
„იხილე ღმერთმა რა ინება, რა მოგვივლინა.

67 და კვლავ მიმართა: იმ მაღალი მადლის გულისთვის,
„რომელიც გმართებს უეჭველად იმის წინაშე,
„ვინაც იფარავს შეუცთომელ, იდუმალ „რისთვის.“

70 „როს უკუიქცე ამ შავეთის წყალთა გადაღმა,
„სთხოვე ჩემს ძვირფას ჯიოვანნას მიმართოს ლოცვა
„იმ ადგილისკენ, სად უცოდველთ მუდამ უსმენენ;

73 „მე არა მჯერა რომ დედა მისს კიდევ ვუყვარდე,
„თეთრი სამოსი ალბათ უკვე შესცვალა სხვამან,
„თუმცა ამ ამბავს ის ინანებს უცილოდ მალე;

„ეს მაგალითიც საკმარისად ცხადმყოფელია,
„რამდენ ხანსა სძლებს ქალის გულში ტრფიალის ცეცხლი,
„როცა ალერსის და შეხედვის კიდეგან რჩება.

„სამაგიეროდ მის სამარის ლოდს ვერ შეამკობს
„მილანელების ღირსების გველი, არამედ უფრო
„მას დაამშვენებს გალურიის მამლის ფიგურა.“

ასე უბნობდა და სახეზე სჩნდა ანაბეჭდი
ნამდვილი გრძნობის, რომელიც ჯერ აგიზგიზდება,
მერმე მორჩილად დაოკდება გონების ძალით.

და ხარბნი თვალნი მიეპყარი მე უკვე ზეცას,
სწორედ იმ ადგილს სად ვარსკვლავნი ვლიან ნელ-ნელა,
როგორაც ფერსოს ნაწილები ღერძის მახლობლად.

მკითხა მეგზურმა: „შვილო ჩემო, რას უმზერ ცაზე?“
მე ვუპასუხე: „მაგ სამ მნათობს, რამაც პოლუსი
„ეგზომ დიადად გააშუქა და გააბრწყინა“.

და მან მომიგო: „დახე, დახე, ოთხი ვარსკვლავი
წელან რომ ნახე შენი თვალით ღამეულ ცაზე,
ძირს ჩამოეშვნენ და ესენი მათ შეენაცვლნენ;“

ამას ამბობდა ვირგილიუს, სწვდა მას სორდელო,
ყვიროდა ცხარედ: გამოჩნდაო ეგერა მტერი
და უჩვენებდა ხელით მეგზურს რათა ეხილა

და იმ მხარიდან, სადაც კიდე არ ჰქონდა ველსა,
გამოჩნდა გველი, მე მგონია სწორედ იმგვარი,
რომელმაც ევას მიაწოდა ცთუნების ხილი;

ქვეწარმავალმა ყვავილებში გაიშლიგინა
და წარამარა ზურგისაკენ თავს მიიდრეკდა,
ილოკდა სხეულს როგორც ნადირთ სჩვევიათ ესა.

მე არ მინახავს, არც შემეძლო ეს შემენიშნა,
როგორ აფრინდნენ ანგელოსნი ანაზდეულად,
მათი ირაო დავინახე, ვყავ საცნაური.

და რა შეიცნო მწვანე ფრთების ცაში ლივლივი,
განილტვო გველი და ანგელოსთ კვლავ მიაშურეს
ისევე თავის საგუშაგოს და მუხ დაეშვნენ;

ბოლო ის ლანდი, ვინაც წეღან ეახლა ნინოს,
მისგან ნახმობი, აქ აწერილ ჟამის მანძილზე
გაოცებული მე მიჰვრეტდა, მითვალთვალებდა.

„დეე ლამპარსა, რომელსაც შენ მიჰყევხარ ცისკენ,
„ნუ მოჰკლებია შენივ ნებით საჭირო ზეთი,
„ვიდრემდის თვითონ მიაღწევდე ფირუზის ზენას.

„გვეღრი მაუწყო თუ რაიმე გაგიგონია
„ვალდი მაგრის ან მონაპირე მხარის შესახებ,
„მამცნე ყოველი, მე ოდესღაც ვფლობდი ამ ქვეყნებს;

„იმ ცხოვრებაში მერქვა კონრად მე მალასპინა,
„გთხოვთ არ გეგონო კონრად დიდი, ვარ უმრწემესი,
„მშობლებისადმი სიყვარული აქ განმეწმინდა.“

„ვაჰმე. მივუგე, თქვენს ქვეყნებში ჯერ არ ვყოფილვარ,
„მაგრამ ნეტავი სადმე კიდევ თუ დარჩა ხმელი
„მთელს ევროპაში, შენ ნათესავთ რომ არ იცნობდნენ?

„თქვენი სასახლის ნაშიერთა სახელს, დიდებას,
„სენიორების და გმირობის მათის ამბავი,
„სმენია მათაც ვინაც ჯერაც იქ არ ყოფილა.

„და გეფიცებით ზეცად აღსვლის ურყევ წადილსა,
„თქვენი ჯილაგის ნაშიერნი არ შეარცხვენენ
„მათი ხმლისა და ქისის მიერ მოხვეჭილ სახელს.

„სისხლით, წარსულით იყვნენ ისე წარჩინებულნი,
„თუმცა ქვეყანას მცდარათ მართავს ხელისუფალი,
„თქვენი გვარისა ნაშიერნი გზასა მართალსა

„არ ასცდებიან ბიწიერის უკუმგდებელნი.“
ახლა მომმართა: „ვიდრემდის მზე მოიქცეოდეს
„ვერძით დაფარულ სარეცელზე მაღალ ეთერში,

„ეს ქველი ზრახვა სამუდამოდ ჩაეჭედება
„შენს გონებაში უფრო მტკიცე ლურსმნით ნაჭედი,
„ვიდრე ოდესმე სხვის ნათქვამი და სხვის ნაზრახი,

„უკეთუ მსჯავრი არ შესცვალა უზენაესმან.“

უკვე ანტიურ ტიტანისა ძველმა მიჯნურმა
აღმოსავლეთის მკრთალი ღაწვი აღანთო გზნებით
და გაეცალა თვის საყვარლის ვნებიან ხვევნას;

4 ამოციმციმდნენ თავის მისის გარშემო თვლები
და მიემსგავსა ფორმა მათი გაყინულ ცხოველს,
რომელიც გესლავს ადამიანს თვისივე კუდით;

7 და ღამემ ორი აღმავალი გადადგა ბიჯი,
იმ ადგილს ზემოთ, სადაც მაშინ ვიდექით ჩვენა,
მესამე ნაბიჯს დაეხარა დაბლა მისი ფრთა.

10 მე მომერია ამ წუთშივე ადამის ვნება
და ძილისაგან დაძლეულმა იქვე ჩავთვლიმე
ხშირ ბალახებში, სად ხუთივე ვისხედით მაშინ,

13 სწორედ ისეთ დროს, როს მერცხალი განთიადის წინ
მოყვება ხოლმე სევდიანად კუთვას და ჭიკჭიკს
თავის პირველად მწუხარების მოსაგონებლად,

16 და სული ჩვენი ხორცისგან განკერძებული
და აზატქმნილი ფიქრებისგან ნაწილობრივად
ვიზიონერულ განცხადებით დაიტვირთება;

19 მეზმანა ვითომც დაჰქროლავდა მაღლა არწივი,
ოქროს ნაკრტენით შემოსილი ცისა ქვეშეთზე,
ფრთებდაწურული დასაშვებად ემზადებოდა.

22 და მომეჩვენა მიტაცებდა ვითომ არწივი,
ვით განიმედი ვეყრებოდი თავისიანებს
ისეთ წუთებში, როცა იგი ღმერთებს მიჰგვარეს.

25 და ვფიქრობ ჩემთვის, ეგებ იყოს ჩვეული იგი
ამ ადგილიდან გაიტაცოს ნადავლი თვისი
და სხვა ადგილზე არ უნდოდეს წაღება რამის.

28 მერე მეზმანა ტრიალებდა ასე მცირე ხანს,
უცებ მეხივით გამოქანდა, დაეშვა ველზე
და გამიტაცა, ამიყვანა ცეცხლოვან ცაში.

31 კვლავ მომეჩვენა, ჩვენ ორივეს მოგვედო ალი,
ზმანება ჩემი კიდეც უნდა შეწყვეტილიყო,
ალბათ ასევე გამოფხიზლდა ერთხელ აქილევს,

34 თვალს აცეცებდა, აქეთ-იქით იმზირებოდა,
ვერ ცნობილობდა იგი თავის ადგილსამყოფელს,
როდესაც დედამ გამოსტაცა იგი ხირონსა.

37 მკერდზე მიკრული თან მიჰყავდა, მერმე ბერძნებმა
სკიროსისაკენ გაიტაცეს მაშინვე იგი,
ასევე მეცა უეცარად შევკრთი, შევშინდი,

40 მთელი სხეული გამიცივდა, გამიკრთა ფერი,
როგორც მავანი კაცი კრთომით ელდანაცემი;
როს გამოვფხიზლდი და მომეშვა თვალთაგან თვლემა,

43 ჩემს გვერდით იდგა ნუგეშინის მომგვრელი ჩემი;
ორი საათით მზეს აესწრო ეთერში გასულს,
ხოლო მე თავათ ვიდექ ზღვისკენ პირშექცეული.

46 „ნუ გეშინია, მეუბნება ბატონი ჩემი,
„დამშვიდდი, უკვე მოვაღწიეთ წყნარ ნავთსაყუდელს,
„ნუ დაძაბუნდი, მოიკრიფე, პირიქით, ღონე,

49 „სალხინებელსა მოაღწიე აჰა, ხომ ხედავ,
„ის მწვერვალები გარს არტყია მთას განწმენდისას,
„შესავალიც სჩანს მთაგრეხილთა შორის მდებარე.

52 „გარიჟრაჟისა მიწევამდის, ბინდისა პირზე,
„როდესაც შენში სული სთვლემდა ძილმორეული,
„ე, მანდ ველის პირს, ყვავილებით მორთულ წალკოტში

55 „მოვიდა ქალი და მომმართა: „მე ვარ ლუჩია,
„ნება მომეცი ეს მთვლემარე თან წავიყვანო,
„მოგეხმარები, ამ გზის განვლას შეგაძლებინებ.

58 „სორდელო დარჩა წარჩინებულ სულებთან ერთად,
„შენ წაგიყვანა, როგორც სხივი ბნელს გაეყარა,
„შეუდგა მაღლობს და მივყევი მის ნატერფალსა.

61 „აქ დაგასვენა: ამის შემდეგ მე მიმითითეს
„მშვენიერ თვალთა მისთა კარი აქ განმზადილი
„და შემდეგ ორნივ უკუიქცნენ: იგი და ძილი.

64 „როგორც რომ კაცი მეჭოჭმანე გაჯიქდეს ნებით,
„და მღელვარება შეეცვალოს გულდაჯერებულს,
„როს სინამდვილეს აეხსნება პირსაბურველი,

ასე ვიცვალე მე გუნება, განვაგდე იჭვი,
„მნახა ბელადმა გადმომდგარი ვიყავ ბექობზე,
„მყის დავიძარით და გავსწიეთ მწვერვალისაკენ.

ხომ გრძნობ, მკითხველო, ვით ამაღლდა ჩემი სადუქტი,
ნურც გაგაკვირვებს ამიტომაც თუ მეტყველება
ჩემი შევამკო უფრო დიდის ხელოვანებით.

ასე ვიარეთ, მივაღწიეთ შემდეგ იმ ადგილს,
სადაც კლდეები გაპობილად მეჩვენებოდა,
როგორც კედელი შენგრეული და შელეწილი,

და აქ ვიხილე მცირე კარი და საფეხურნი
ფერად-ფერადი ქვებისაგან გაკეთებული.
მუნ სდგა მეკარე, არ იძვროდა, ხმას არ იღებდა.

თვალის უპენი გამიდიდდა უფრო და უფრო,
ვნახე ვით იჯდა უკანასკნელ კიბეზე იგი,
ველარ შევძელი ამეტანა შეხედვა მისი.

ხელთ ეპყრა ხმალი მას ვადამდის გაშიშვლებული,
სხივთა ირისე ციმციმებდა მახვილის პირზე,
მრავალგზის ვცადე, მაგრამ თვალი ვერ გავუმართე.

„შევეხმიანეთ შორიდანვე, რად მოსულხარ-თქო?
გვითხრა: „სად არის, ან ვინაა მეგზური თქვენი,
„დასანანებლად არ გაგიხდეთ ზემოთ ამოსვლა;“

„ზეცის ასული, ვინც იცოდა ეს ყოველივე“, —
უთხრა ოსტატმა, „გვაუწყებდა ჩვენ ამას წინად
„იქით წადითო, იპოვნეთო მანდ შესავალი.“

„მაშინ კეთილად წარემართოს სავალი თქვენი,
გვითხრა მეკარემ სათნოების გრძნობით აღვსილმა;
„გაბედეთ აწი და მიჰყევით აღმართს კიბისას,“

ჩვენ მივეახლეთ ამის შემდეგ პირველ საფეხურს,
ის თეთრი იყო, გასაპული მარმარის ქვისგან,
მასში გამოვჩნდი მთელის ჩემის აღნაგობითა.

მეორე სპარსულ ფერზე უფრო მოსჩანდა მუქი,
გაუთლელ ქვისა და ცეცხლისგან გარს შეტრუსული
და გაბზარული როგორც სიგრძით ისე სიგანით.

მესამე ლოდად დახერგილი ორთავ ზემოდან
მეჩვენებოდა მეწამული და ალისფერი.
როგორაც სისხლი ძარღვისაგან გამოდენილი;

და სწორედ მასზე შემდგარიყო ორივე ფეხით
ის ანგელოსი მოგუშაგე ჭიშკარის ზღურბლთან,
და კარი იგი ანდამატის ქვად მომეჩვენა.

ჩემმა მეგზურმა ამიყვანა სამ საფეხურზე,
მითხრა, ილოცე სათნო გულით თავმოდრეკილმან,
რათა უფალმა თვით გაგვიღოს ჭიშკარი ესე.

სამგზის დავირტყი გულზე ხელი თავდაპირველად,
მერმე დავეცი ზეციური შიკრიკის ფერხთით
და შევევედრე შევეწყალე განეხვნო კარნი;

და დამიხაზა ანგლოსმა შვიდგზის ასო P
შუბლზე და მითხრა გაისარჯე, როცა შეხვიდე
იმ გალავანში, მოიბანე წყლულები მყისვე.

მტუტე ან მიწა გუთნის მიერ გამოღადრული
ემგვანებოდა მის სამოსელს და წამოსასხამს
და ორი კლიტე ამოიღო ზეცის შიკრიკმა:

ერთი ოქროსი და მეორე იყო ვერცხლისა,
ჯერ თეთრი კლიტე, ხოლო შემდეგ ფერად ყვითელი,
შესდო მოქლონში, ამ ამბავმა მე გამახარა.

უკეთუ ერთიც კლიტეთ შორის არ მობრუნდება,
თუ თავისუფლად არ მოიქცეს მოქლონის შიგნით,
გვამცნო მეკარემ: დახურული იქნება გზაო.

„უფრო ძვირფასი პირველია, ხოლო მეორით
„კარის გაღებას უნდა დიდი გამოცდილება,
„რადგანაც იგი თვით კავშირთა განმთიშველია.

„პეტრემ გადმომცა, მიანდერძა სჯობს შემეშალოს
„მათი გაღება, ვიდრე მათი კლიტით დაკეტვა.
„ოღონდ ჩემს ფერხთით თავს იდრეკდნენ აქ შემოსულნი.“

შემდეგ იმისა, მან განახვნო წმინდა ბჭეები.
გვითხრა: „შემოდით, მაგრამ ერთი გახსოვდეთ მხოლოდ,
„უკან მომხედავს მოუხდება გამობრუნება.“

მაგრამ როდესაც დაჟანგული კარის რაზები
დაიძრენ მძიმედ, აჭრიალდა მძიმე სპილენძი
და ურდულებმა გაადინეს მყის ყრუ ჟღარუნი.

ასე ტარპეის მძიმე ბჭენიც არ გრუხუნებდნენ,
როცა ლომგული მოაშორეს კარებს მეტელი
და ამის შემდეგ გაძარცული დარჩა საუნჯე,

ამ ხმაურობამ მე შემაკრთო და გამოვბრუნდი,
მყის შემომესმა Te Deum laudeamus
და ამ გალობას უტკბილესი ახლდა მუსიკა.

ყურს მივუგდებდი. სმენას ჩემსას ეჩვენებოდა,
როგორც ეს ხშირად შეემთხვევა ხოლმე მასმენალს,
როცა ორგანის ხმას სიმღერას ააყოლებენ,

ხან საცნაური ხდება სიტყვა და ხანაც არა.

## ᲥᲔᲒᲐ ᲛᲔᲐᲗᲔ

როგორც კი ჭიშკრის გავიარეთ ორივემ ზღურბლი,
რომლის გადასვლა ანგარ სულებს აღკვეთილი აქვს,
სულებს, რომელთაც ცთუნების გზა უჩანთ მართალად

და შევიცანი მის გრუხუნზე ვით დაიგმინა,
უკან მოხედვა მცირე ხანსაც რომ განმეზრახა,
აღარ ვიცოდი ვით შევძლებდი თავის მართლებას;

შემდეგ გაბზარულ ტანს ავყევით, ავცოცდით მაღლა,
ქვის ზედაპირი ლივლივებდა აღმა და დაღმა,
როგორც ზღვის ტალღა მიქცევის და მოქცევის ჟამსა.

„აქ ცოტა მარჯვედ უნდა ვიყვეთ, ვიაროთ ისე,
მითხრა ოსტატმა, ალაგ-ალაგ მივყვეთ ამ კედელს.
„ამ ქვის გალავანს გზის ნაპირად თან გაყოლებულს.“

ამან იმდენი დაგვაყოვნა სიარულისას,
ამასობაში მთვარის რკალმა მოასწრო კიდეც
თავის ადგილთან მიბრუნება და დავანება,

16 იქ, სადაც ტკბილად მას ეძინა ჩვენს აქ მოსვლამდის.
ვიდრე შევძლებდით ამ ორწოხში გზისა გაკაფვას,
ავედით მაღლა, გაიშალა უკვე სანახი

19 იმ ადგილებში, სად მთის ზურგი იწევა ქვევით
მე დავიქანცე და ორთავეს მხარი აგვექცა.
გზას ვერ ვაგნებდით და გარშემო იყო ტაფობი,

22 უდაბნოს გზაზე უფრო მეტად უკაცრიელი.
უფსკრულის პირად იყო ფლატე, რომლის სიმაღლე
უდრიდა სამი კაცის ზომას ერთად აღებულს

25 და სანამდისაც თვალის ჩემის მზერა სწვდებოდა,
ირგვლივ იგივე ფლატე სჩანდა გარს მოვლებული,
როგორც მხარმარცხნივ ისე მარჯვნივ თანაბარ ზომის.

28 ჯერ კიდევ ფეხი ჩვენ არ გვქონდა ზედაც შედგმული,
და მე შევნიშვნე რომ ეს ფლატე სჩანდა ყოვლის მხრივ
და არსაიდან აღსავალი ბილიკი რამე.

31 აქ მარმარილოს გალავანი ისე შეემკოთ
ქანდაკებებით, ჩუქურთმებით, რომ პოლიკრეტი
და უფრო მეტი, თვით ბუნებაც სწორს ვერ შეჰქმნიდა.

34 მუნ ანგელოსი იმ ზავისა მახარობელი,
რომელსაც მრავალ წლის მანძილზე ცრემლით ვითხოვდით
და ვინაც ზეცას აკრძალვისა შეხსნა კლიტენი,

37 იდგა ჩვენს თვალწინ ისე ცოცხლად და ისე ცხადლივ.
პოზაც იმდენად ბუნებრივი მიეღო ქანდაკს,
ჩვენ არ გვეგონა ეს ხატება თუ იყო მუნჯი.

40 ასე იტყოდით შესძახებსო იგი მყის „Ave“-ს.
და ეს ქანდაკი ატარებდა სახეს იმისას,
რომელმაც მწიდას ჩვენ გაგვიღო კარიბჭეები,

43 და მის კვარცხლბეკზე ზედ ეწერა Ancilia dei
ისე მკაფიოდ, ისე ნათლად სჩანდა წარწერა,
თითქოს მოეჭრათ იგი წმინდა სანთლის ნაჭერზე.

46 „ნუღარ მიაპყრობ მარტოოდენ ერთ საგანს მზერას,“
მითხრა ოსტატმა ჩემს მახლობლად იმ მხარეს მდგარმა,
რა მხარეზედაც გული უცემს კაცსა ხორციელს.

ახლა მე მზერა გადვინაცვლე და დავინახე:
დედაჲ ღვთისა სწორედ იმავ მიმართულებით,
სადაც ოსტატი ჩემი იდგა, ჩემი მხმობელი.

სულ სხვა ამბავი იყო ქვაზე ამოკვეთილი.
მე გავუარე ვირგილიუსს და მივეახლე,
რათა პირდაპირ დამენახა ეს ყოველივე.

იმავ მარმარზე ამოჭრილი შევნიშნე ეტლი.
იქვე ხარები კიდობანში წყვილად გაბმული,
რათა ყოველი განერიდოს, რაც მას არ ანდვეს.

ბრბო ზიმზიმებდა დაყოფილი იქვე შვიდ ხოროდ,
მე ვჭოჭმანობდი, ორ გრძნობაში ერთი ამბობდა:
მღერისო ხალხი და მეორე ამბობდა „არას“.

აქ ყნოსვისა და მხედველობის ორგანოები
შეეკამათნენ მყის ერთმანეთს, საკმევლის კვამლი
იდგა მართლაც თუ მომეჩვენა ნახატი რამე?

იქვე ცეკვავდა მეფსალმუნე თავმოდრეკილი.
სამოსის ბალთებს ხელს ჰკიდებდა და ზევით სწევდა
და ამ მომენტში სჩნდა მეფეზე აღმატებული.

ხოლო პირდაპირ დიდ სასახლის ღია სარკმელთან
იჯდა მელქოლა, განცვიფრება აჩნდა სახეზე
ამ გაწბილებულ და გულბოროტ დიდსა ქალბატონს;

დავწინაურდი და დავაგდე ადგილი იგი,
სადაც ვიდექი, რათა უკეთ ეს დამენახა,
მელქოლას უკან სხვა სურათი ბრწყინავდა ახლა.

წარმოდგენილი იყო რომის კეისრის ვაჟის
მაღალი სვე და უებარი ძლევისდიდება,
რამაც უბადლო გამარჯვება არგუნა გრეგორს.

მე აქ ვგულისხმობ თვით ტრაიანს, რომის კეისარს;
მის ცხენის აღვირს ქვრივი ქალი მოსჭიდებოდა
ძაძით მოსილი და მდუღარე ცრემლთა მნთხეველი.

ირგვლივ მხედრების, მეომართა მთელი ლაშქარი
შემოჰხვეოდა კეისართა აღმხედრებულსა,
ქარი არხევდა თითქოს დროშებს არწივებიანს,

და მოზიმზიმე ხალხის წრეში იდგა ის ქვრივი,
ევედრებოდა, რომ კეისარს შური ეძია,
მისი ძვირფასი ვაჟის მკვლელის ითხოვდა დასჯას.

იმპერატორი ამშვიდებდა: მოიცადეო,
ვიდრე კვლავ მოვალ, ხოლო ქალი სევდით აღვსილი
მუხლმოდრეკილი შეევედრა: „ჰე, მეუფეო,

„თუ არ დაბრუნდი მაშინ რა ვქნა“ და მან მიუგო:
„ჩემი მემკვიდრე მოგცემს განსჯას. და ისევ ქალმა:
„სხვის სამართალი შენ რას მოგცემს, თუ შენი დასთმე“.

და კეისარმან: „ნუ გეშინის, ასე სჯობია
„მოვალეობა მოვიხადო, ვიდრე მე წავალ
„ამას მოითხოვს სამართალი, გულმოწყალება.“

იმან ვისთვისაც არ არსებობს რამე ახალი,
მოაწყო ესე საუბარი მოჩვენებითი,
რადგან მიწაზე ასეთი რამ აროდეს ხდება.

ვიდრე მე ასე ვერთობოდი და ვჰვრეტდი თანაც
თავმოდრეკილი სათნოების დიად მაგალითს,
თვალის მომლხენელ საოცარი ნახელოვნებით,

მითხრა ოსტატმა: მოდიანო ნელის ნაბიჯით
ლანდები ჩვენსკენ ამ მხარიდან განუწყვეტელად,
ჩურჩულით ამბობს ვირგილიუს, ისევ განაგრძო:

„სწორედ ესენი აგვიყვანენ მაღლა და მაღლა.“
მყისვე ჰვრეტაში ჩაფლობილი თვალები ჩემი,
გაცებულნი უჩვეულო სანახაობით,

ახლა მიექცა მოზღვავებულ ლანდების ხროვას.
მინდა მკითხველო, შენ შეგაკრთოს სმენამ იმისამ
რაგვარ სინანულს ითხოვს ჩვენგან ცათა უფალი?

შენ ნუ უყურებ მარტვილობის სახეს გარეგანს.
იფიქრე მხოლოდ, რომ ამ ტანჯვის ყავლისა სიგრძე
არ გადასცდება უზენაეს განკითხვის საგანს.

მე ვუპასუხე: „რასაც ვხედავ, ოსტატო ჩემო,
„არ უნდა იყვნენ ჩემის აზრით ადამიანნი,
„რასაც ვერ ვხედავ ურთიერთში აღრეულია.“

ვირგილიუსმა მიპასუხა: „ტანჯვის სიმძიმეს
„სულნი ესოდენ მოუხრია მტვერში განრთხმულნი,
„რომ თვალნი ჩემნიც ძლივს არჩევდნენ მათ პირველ ხანში.

„კარგად დაძაბე მზერის ნიჭი და გაარჩიე
„გამჭრიახ თვალით ქვებთა შორის მცოცავნი ლანდნი,
„ჯერ აქიდანაც დაინახავ ვით ფართხალებენ“.

ჰე, ქრისტიანნო, გულამაყნო და საცოდავნო,
გონებით ბეცნო, სიდუხჭირით დაბრმავებულნო,
ცთუნების გზაზე ამპარტავნად ხართ მოარულნი,

ნუთუ არ ხედავთ ჭია-ღუად რომ გავჩენილვართ
ანგელოსისებრ პეპლის დარად გამოსაჩეკი.
უნდილ ფარფატით მომფრინავნი განკითხვისაკენ,

მაშ რად ამაყობს სული თქვენი ამპარტავანი?
როცა თქვენ მწერებს მიაგავხართ უდღეოდ შობილთ,
მატლებს, რომელთაც არ შესხმიათ ჯერ კიდევ ფრთენი.

როგორც სხეული ლოდებისგან ნაქანდაკები
სახლის ზედძირკვლის სახურავის დასამაგრებლად,
ქედმოდრეკილი მკერდით მუხლზე გადაყრდნობილი

(ასეთ სახეზე ხელოვნური მოსჩანს ტკივილი
მნახველის თვალში), სწორედ ასე დაცუცქულიყვნენ
სულები, როცა დავაკვირდი და ჩავაცქერდი,

ერთნი ნაკლებად მოდრეკილი მოსჩანდა, ზოგიც
მომეტებულად განიცდიდა დაწოლილ ტვირთსა,
მაგრამ ყველაზე დამშვიდებულს და მოთმენილსა

ზედ ეხატვოდა: ვერ ვუძლებო ამდენ სიმძიმილს.

## ქება მეთერთმეტე

„მამაო ჩვენო, ცათა შინა დამკვიდრებულო,
„შეუზღუდველო სიყვარულის მეოხებითა,
„რომელსაც შენ გრძნობ პირველ შექმნილ არსებათადმი,

„იდიდოს მარად და ყოველგან სახელი შენი
„და ძალი შენი, ყოველივე არსმა მიუზღოს
„შენს მაღალ სულსა მართებული მადლი საძღვენი.

7 „მშვიდობა შენი სუფევისა გვეახლოს ჩვენა,
„რადგან არ ძალგვიძს ჩვენ ვეახლოთ მას ჩვენის ნებით,
„თუ იგი თავათ არ მოვიდა, არ მოგვევლინა.

10 „ვით ანგელოსნი, როს ოსანას შენ გიგალობენ,
„მსხვერპლად გწირავენ ნებისყოფას თვისას, უფალო,
„ასევე კაცთაც ხამს შეგწირონ ნებაჲ თვისი.

13 „ყოველდღიური მოგვანიჭე არსობის მანნა,
„ურომლისოდაც ამ საშინელ, ბნელ უდაბნოში
„უკუიქცევა ვინაც წინსვლას ეძალებოდა.

16 „როგორც ჩვენ სხვათა მივუტევეთ შეცოდებანი,
„ასევე ჩვენაც მიგვიტევე, რაც ჩვენ შევცოდეთ,
„ნუ გაგვიკითხავ, როგორც ვიყვეთ განკითხვის ღირსნი.

19 „სიქველე ჩვენი არა მყარი და არა მტკიცე,
„ძველთა მტერთ მიმართ განავრცელე და განამკვიდრე,
„ჩვენაც დაგვიცავ მისგან მოგვრილ მძიმე პატიჟთგან.

22 „ამ უკანასკნელ სათხოვარსა აღგივლენთ, ღმერთო,
„არა თუ ჩვენთვის არ გვჭირია უკვე ჩვენ ესე,
„არამედ მათთვის ვინც ჩვენს უკან არს მომავალი.“

25 კეთილ მგზავრობას როგორც ჩვენთვის ისე თავისთვის,
გამოითხოვდნენ ეს აჩრდილნი, ვიდოდნენ ტვირთს ქვეშ,
როგორიც ხშირად დაგვაწვება ხოლმე ჩვენ ძილში,

28 როცა სიზმარში სულს შეხუთავს მძიმე კირთება.
არა თანაბრად მოქანცულნი, ღონემიხდილნი
პირველ საფეხურს მისეოდნენ და ფუსფუსებდნენ,

31 თანაც იწმენდნენ ეგ სულები მიწიერ ლაქას.
თუ ჩვენს მაგვრად აღავლენენ იქ სულნი ლოცვას,
რა შეუძლია სააქაოს სამაგიერო,

34 მათ ვის სურვილებს სიქველისა ფესვები მოსდგამს?
ხამს მივეშველოთ და ლაქები მოვარეცხინოთ
თან გაყოლილი ამ ქვეყნიდან რათა განწმენდილთ,

37 გზები გაეხსნათ ვარსკვლავეთის მაღალ სფეროში.
„მართლმსაჯულებამ, სათნოებამ შეგიმსუბუქოთ
„ეს მძიმე ტვირთი, რათა შესძლოთ გაშალოთ ფრთენი,

40 „და გაწმენდილნი ზეამაღლდეთ სურვილისამებრ.
„ახლა გვიჩვენეთ რომელ მხრიდან ჩვენ უსწრაფესად
„ძალგვიძს უმოკლეს გზას დავადგეთ, ან გზა რამდენი

43 „ან რომელია გზათა შორის ყველაზე მარჯვე?
„რადგან ამძიმებს ამ ჩემს მხლებელს ადამის ხორცი,
რომლითაც ჯერაც მოსილია იგი ამჟამად

46 „და უნებლიედ უმძიმს მიტომც ახლა ზეასვლა.“
არ სჩანდა თუ ვის პირისაგან გამოდიოდა
სიტყვები იგი, რაც გვესმოდა იმის პასუხად

49 რაც სთქვა იმ სულმა, ვისაც უკან მე მივყვებოდი,
მაგრამ ეს ითქვა: „ამ კიდეზე იარეთ მარჯვნივ,
„ჩვენ გამოგვყევით და გასასვლელს მუნ წააწყდებით,

52 „სად ხორციელსაც შეეძლება ასვლა აღმართში.
„მე რომ არ მაწვეს თავზე ლოდი მძიმეზე მძიმე,
„რაც თავდაბლობას მაჩვევს ეგზომ თავაწყვეტილსა

55 „და ამიტომაც იძულებით დავცქერი მიწას,
„დავინახავდი იმ ხორციელს ვინც აქ არ ამხელს
„თვის ვინაობას, ეგებ იგი მიცნობდა მეცა,

58 „ვინძლო აღმეძრა მე ტვირთმძიმეს მით სიბრალული,
„ვარ ლათინელი, სახელგანთქმულ ტოსკანელის ძე,
„ალდობრანდესკი გუჯომო მყავდა მშობელი.

61 „არ ვიცი ვინმეს თუ გცნობიათ მისი სახელი?
„ამ ძველმა გვარმა, წინაპართა ჩემთა დიდებამ
„ისე ამაყი გულზვიადი გამხადეს მეცა,

64 „და დავიწყებას მივეც ჩვენი საერთო დედა,
„ადამის ტომსა შევსცქეროდი ისეთის ზიზღით,
„რამაც მე მომკლა, რაც სიენელთ ახლაც კი ახსოვს,

67 „კამპანდატიკოს ყოველ მცხოვრებს ემახსოვრება.
„მე უმბერტო ვარ და მარტოკა არ ვიტანჯები,
„ამ სენისაგან სნეულია მთელი ოჯახი

70 „და სიამაყემ სატანჯველი მოგვაგო ყველას.
„მეც ამის გამო უნდა ვზიდო ეს მძიმე ტვირთი,
„ვიდრე უფალთან თავმოდრეკით არ ვაღვიარებ,

„რის გამხელასაც ცოცხალთ შორის ვერიდებოდი.“
მე თავდახრილი ყურს ვუგდებდი და მაშინ ერთმა
იმ სულთა შორის (არა იმან ვინც საუბრობდა)

მძიმე ლოდის ქვეშ დაიგმინა, გაზნიქა ქედი,
შემომაჩერდა, რა შემიცნო, მახსენა მყისვე,
თან მიცქეროდა მომნუსხველი მზერით და მეცა

გვერდით მივსდევდი, ყურს ვუგდებდი ჩემთან მოუბარს.
„აჰა, შენა ხარ ოდერიზი?“ წამოვიძახე.
პატივსადებლად გუბიოსი ამ ხელოვნებას

„ალუმინარეს უწოდებენ ახლაც პარიზში.
„ძმაო, — მომიგო, სურათები ყალმით ნახატი,
„ხალისიანი უფრო არის ფრანკ ბოლონელის,

„ახლა მას ჩემზე უფრო მეტი ერგო პატივი.
„და მართებულად სხვისი ქება მე არ შემეძლო,
„ვიდრე ვცოცხლობდი, რადგან სენად მჭირდა მე მაშინ

„პირველობისთვის გააფთრებით ბრძოლა და შრომა.
„სამაგიეროდ სატანჯველი მიმეზღო აქვე,
„და აქამდისაც ვერ შევძლებდი თვითონ მოღწევას,

„სიცოცხლეშივე უფალს რომ არ შევვედრებოდი.
„ჰოდა, ამაო განდიდებავ კაცთა შეძლების,
„რა მალე ელის ჭკნობა შენსა მწვანე მწვერვალებს,

„თუ არ უმაგრებს მას საფუძველს ხანგრძლივი ჟამი.
„მხატვრობის ველზე ჩიმაბუე იყო პირველი,
„ახლა ჯიოტოს აკუთვნებენ დიდოსტატობას,

„და ჩიმაბუეს სახელს ჭკნობა შემოპარვია.
„ორ გვიდოს შორის მოიხვეჭა ერთმა სახელი
„სიტყვის ოსტატის, შესაძლოა იშვას მესამე,

„ვინაც ორივე დაჩრდილოს და გააბათილოს.
„ქარის ქროლვასა მივამსგავსე აზრი ხალხისა,
„ხან აქეთკენ ჰქრის ეს ნიავი, ხანაც იქეთკენ

„და სახელებს ცვლის ნიავქარის მიმართულება.
„განა სახელი უფრო დიდი გექნება მაშინ,
„როცა სხუული შეგაჭკნება სიბერისაგან,

„თუ მაშინ როცა მოგეწევა სიკვდილი ყრმასა?
„ათასი წელიც გაიქროლებს, ეს ჟამი მცირე
„მარადჟამობის შეფარდებით ერთი წუთია,

„ვარსკვლავთა ეტლის მოქცევაში გამომწყვდეული.
„ეგეც, ვინც ოდნავ მიჩანჩალებს ჩემს გვერდით ახლა,
„ოდესღაც ჰქუხდა ტოსკანაში სახელგანთქმული,

„ახლა არავინ არ ახსენებს მას სიენაშიც,
„რომელიც ეგზომ დაარბია ფლორენციამა,
„და ფლორენციას გულზვიადად იცნობდნენ მაშინ,

„დღეს მეძავობით და სიავით სახელგანთქმულსა.
„თქვენი დიდება ემსგავსება ფერს ბალახისას,
„რომელიც იშვის და დაჭკნება იმავე ძალით,

„რამაც მიწაზე ის დაბადა, აღმოაცენა.“
მე მას მივუგე: „ეგ სიტყვები თავმოდრეკილის
გრძნობას მიღვიძებს, სიამაყის გამქარვებელი,

„მაგრამ ვინღაა იგი ვინაც ახსენე წეღან?
„ეს პროვენცანო სალვანია, მომიგო სულმა,
„აქ მოხვდა იგი, რადგან ისე გაკადნიერდა,

„რომ მთელ სიენას მოუნდომა ხელში ჩაგდება.
„ასე ვიდოდა, ასე დადის დაუცხრომელად
„სიკვდილის შემდეგ და ამგვარად იხდის აქ სასჯელს,

„ზომაზე მეტი თავხედობის გამოჩენისთვის,
ვკითხე: „თუ სული იქ რომელი მოელოდება
„სიცოცხლის სამანს, სინანულის მოხდას აყოვნებს

„ქვევით დარჩება, აქ ზემოთკენ ვეღარ მოაღწევს
(„მას ვეღარც ლოცვა შველის რამეს სხვის ავლენილი)
„სანამ იმდენი ხანი გავა, რაც მან იცხოვრა,

„რაღად ეძლევა მას ნებართვა აქ შემოსვლისა?“
მომიგო სულმან: „როს სახელი ბრწყინავდა მისი,
„საკუთარ ნებით, სიენაში შუა ფოლორცზე

„ის გამოვიდა, უკუაგდო ყალბი მორცხვობა,
„თავის მეგობრის, კარლოსის ტყვის გამოსახსნელად,
„თრთოდა, კანკალით დადიოდა მღელვარე ბრბოში,

„ფულს თხოულობდა მეგობრისა მისაშველებელს,
„სხვას არას გეტყვი, კარგად ვიცი, სიტყვები ჩემი,
„შესაძლო არის ვერ გაიგო, ბნელად გეჩვენოს,

„მაგრამ დრო გავა და შენივე ქვეყნის შვილები
„მოიქცევიან იმნაირად, რომ შენ გაიგებ,
„ამ ქველი საქმით, ვით შეიძლო მან აქ ამოსვლა.“

## ქება მეთორმეტე

ვით წყვილი ხარი მიმავალი მძიმე უღელს ქვეშ,
ჩვენ მივდიოდით, მივყვებოდით დატვირთულ აჩრდილს,
ვიდრე ოსტატი ამის ნებას დამრთავდა მენა.

მერმე ეს მითხრა: „გაეცალე, გავსწიოთ წინა,
„აქ საჭიროა ჩვენი აფრით, ჩვენივ ნიჩბებით
„ხომალდი ჩვენი წინ წავსწიოთ შეძლებისამებრ.“

მეც გავიმართე, ვით საერთოდ შეეფერება
მიმავალ კაცსა, თუმც იმ წუთში ჩემი ფიქრები
იმ თავმოდრეკილ ბედშავ სულებს თან მიჰყვებოდნენ.

წინ გავეშურე მტკიცე ნებით მე აღჭურვილი,
მივყევ ჩემს მეგზურს და ორივემ ამასობაში
მყის შევიცანით სიმსუბუქე სხეულის ჩვენის.

კვლავ მეუბნება მე ოსტატი: „დახარე თვალნი,
„ეს შენ უთუოდ ამ გზაზე სვლას შეგიმსუბუქებს.
„გიჯობს დახედო რაზე ადგამ ფეხს სიარულში.“

როგორც სჩვევიათ მიცვალებულ სულთა სახსოვრად
საფლავის ქვებზე და დაგებულ თეთრ ფიქალებზე
წარწერილია თუ ვინ არის იქ დამარხული,

და გზადგამომვლელს ეტირება მათ წაკითხვისას,
მოგონებათა გესლი გულზე შემოენთება,
ღვთისმოსავ სულებს ცრემლს დაადენს თვალთაგან კიდეც;

და მე ვიხილე გაცილებით ზედმიწევნილი,
მხატვრობის მხრითაც ნაკეთები ქანდაკებანი
ფარავდნენ გზასა მთის ფერდობის გასწვრივ მიმავალს.

25 იქ ვნახე იგი ვინც ზენარმა ჰყო სრულყოფილი
ყველაზე მეტად, ვინც ზეციდან უფსკრულს ჩანთქმულან.
და გაბნეულან დაკლაკნულნი ელვათა დარად.

28 იქ თვალი ვკიდე ზეციერი ბოძალით დაჭრილს,
ძირს დანარცხებულ ბრიარეოს მეორე მხარეს,
მძორულ სიცივით ამძიმებდა ის დედამიწას.

31 ვნახე ტიმბრეო, ვნახე მარსი, ვნახე პალლადა,
მამის მახლობლად იარაღში ჩამსხდარნი ვნახე,
მდევების ლეშებს შესცქეროდნენ ირგვლივ მწოლარეთ.

34 იქვე ვიხილე დიდნაშენთა ფერხთით მწოლარე,
ნებროთ უმზერდა დაზაფრული ახლა იმ ხალხებს,
ვინც სენაარში იწონებდა მის ქედმაღლობას.

37 ჰოდ, ნიობე, რა მწუხარე, სევდიან სახით
გამოეხატეთ, მე ეს ვნახე ამ შარაგზაზე
შვიდივე წყვილი შვილებისგან გარსშემორტყმული.

40 საკუთარი ხმლით განგმირული გნახე ო, საულ,
გელბოეს მთებში ვით მოგველო მახვილით ბოლო,
(სად არცა ცვარი, არცა წვიმა არვის უნახავს)

43 ჰოდ, არაგნე, შენც გხედავდი, სულო შეშლილო,
ობობის სახით სანახევროდ გამოხატულსა.
საბედისწეროდ შენგან ნაქსოვ, ნაქარგ ნაჭერზე.

46 ო, რობოამო, შენ სახეზე არ სჩანს ხიფათი,
მაგრამ ფერგამკრთალს ეტლი მაინც მიგაქროლებდა.
ვიდრე განდევნას მოგასწრებდა შენივე ხალხი.

49 იქვე ფიქალზე გამოეჭრათ აგრეთვე ისიც,
თუ როგორ ძვირად ალმეონმა დაუსვა დედას,
საბედისწერო მანიაკი მეუღლის მკვლელსა.

52 იქავე იყო სანაქებოდ გამოხატული,
ღვიძლი შვილები სენაქერიმს თავს ვით დაესხნენ
და ამოხადეს იქვე სული ტაძარში მლოცველს.

55 მუნვე ეხატა საშინელი დანაშაული,
როცა ტამირა კიროსს მისწვდა და უთხრა ასე:
„სისხლი გწყუროდა, მე აგავსებ შენ ისევ სისხლით.“

58 ვნახე თუ როგორ დაიფანტა ასურელთ ჯარი,
როს ოლოფერნო მოაკვდინეს შეუბრალებლად
და ვით დააჩნდა იქვე მიწას სისხლისა კვალი.

61 მე ვნახე შემდეგ დანგრეული ტროადის ციხე,
ჰე, ილიონო, ნამუსრევი ვიხილე შენი,
გამოკვეთილი ფიქალებზე ოსტატის ხელით.

64 ვინ მოიმარჯვა ოსტატურად ასე ჟალამი,
ამ გადასული სახეების გადმოსაცემად?
უდიდეს ოსტატს მათი ხილვაც გააოცებდა.

67 მკვდრები მკვდრებს ჰგავდნენ და ცოცხალნი სუნთქავდნენ
ცოცხლად,
ენახა ვისმეს სიცხადეში ეს ყოველივე,
ის ჩემზე უკეთ ამ სურათებს ვერ იხილავდა.

70 აწ იამაყეთ და იარეთ თავაწეულად,
თქვენ ევას ძენო, და ნუ დახრით მიწისკენ თვალებს,
რათა ვერ ნახოთ წაწყმედისა გზაჲ თვითონვე.

73 ამასობაში ჩვენ მოგვეცლო შორიდან მთისთვის,
მზეს უფრო მეტი გაეარა ცაზე მანძილი,
ვიდრე გონებით მივწვდებოდი ფიქრში გართული.

76 მაშინ მან მითხრა ვინც იკვლევდა გზას დაუცხრომლად
და წინამძღვრობდა: აღმართეო ზევითკენ მზერა
აწ დაფიქრებულს არ გმართებსო აქ სიარული.

79 „შეხე ანგელოსს, მას სწადია მოგვიახლოვდეს,
და გაიხედე, დაინახავ რიცხვით მეექვსე
„დღისა გუშაგი შეენაცვლა თვის წინამორბედს.

82 „სახე და ქცევა დაიმშვიდე მოწიწებითა,
„რათა ზეასვლა ამნაირად გაგვიადვილდეს,
„იცოდე ეს დღე არასოდეს განმეორდება.“

85 მაგრამ მე ისე მივეჩვიე მისთა თათბირთა,
დროის მოზოგვის გამო ხშირად მოწოდებულთა,
მისი ნათქვამი შევიცანი ანაზდეულად.

88 ახლოვდებოდა ანგელოსი პირმშვენიერი,
თეთრად მოსილი მიაგავდა თავათ სახითაც
ცისკრის ვარსკვლავსა გარიჟრაჟზე აღმობრწყინებულს.

91 გაშალა მკლავნი, ამის შემდეგ გამართა ფრთენიც,
„მოვედით, გვითხრა: აწ ახლოა საფეხურები,
„ამიერიდან ზემოთ ასვლაც არ არის ძნელი.“

94 სულ მცირეოდენს შეუძლია გაჰყვეს ამ ძახილს.
ო, კაცთა მოდგმავ, ცად საფრენად დაბადებულო,
რისთვის ვერ უძლებ შემოტევას მცირე ქარისას?

97 და მიგვიყვანა ანგელოსმა მაღალ ფლატემდე,
შუბლზე მახალა მოფარფატე მან ფრთენი თვისნი
და მანუგეშა წინ გიძევსო გზა მშვიდობისა.

100 მხარმარჯვნისაკენ მთას მიყვება ზედა ბილიკი
და მწვერვალიდან ეკლესია გასცქერის ქალაქს,
რიგზე მოვლილის რუბაკონტეს სიდის გადაღმა

103 და ამ აღმართის შემართული იგი ზეთავი,
დაკბილულია იმ დროიდან საფეხურებით,
როცა ზომის და წონის გამო არ იყო შიში.

106 სწორედ ამ ადგილს დაცერება კლებულობს ოდნავ,
მეორე წრიდან აქ იწყება კვლავ დაფერდება
კლდეთა ტინებით მომწყვდეული ყოველი მხრიდან.

109 რა მოვაღწიეთ ამ ხეობის შემოგარენში
Beati pauperas spiritu ვალობდა ორი
ისე ამოდ, და ისე ტკბილად, ენით უთქმელად.

112 აჰ, რანაირად ეს ხეობა განსხვავდებოდა
ჯოჯოხეთისგან: აქ გალობით შემოდიოდნენ
და ჯურღმულებში გაისმოდა კვნესა და ღრჭენა.

115 უკვე დავწყეთ ჩვენ აღმასვლა საფეხურებზე,
მაგრამ აქ ასვლა მე მეჩვენა უფრო იოლი,
ვიდრე გატკეპნილ თემშარაზე უბრალოდ გავლა,

118 მიტომაც ვკითხე: „ჩამომცილდა როგორი ლოდი,
„ჰოდ, ოსტატო, აქ არა ვგრძნობ ტვირთს არავითარს
„და სიარულიც აღარა მგვრის სავსებით დაღლას“,

121 მან მიპასუხა: „როცა ყველა P-ნი შენ შუბლზე
„ჯერ სანახევროდ აღბეჭდილნი წაიშლებიან,
„როგორც პირველი ამოჭრილი მახვილის წვეტით,

„მაშინ შენს ნაბიჯს დააჩქარებს ქველი სურვილი,
„და ყოველგვარი სიმძიმილი განგიქარდება,
„ზეასვლა ესე შენ სიხარულს მოგგვრის მხოლოდ-ღა“;

მაშინ მე ისე მოვიქეცი როგორც ის კაცი,
ვინც ისე მიდის რომ არაფერს არ ამჩნევს თავათ,
ვიდრე არ ამცნობს მათ სხვა ვინმე შუბლზე დადაღულს,

ხელის ფათურით მიაწყდება მერმე იმ საგანს,
რისი დანახვა არ შეეძლო მას თვითონ თვალით.
ასე ვიდოდი, ხელს ვისობდი დადაღულ შუბლზე,

მხოლოდ-ღა ექვსი დამრჩენოდა მე კიდევ ასო,
ხელით შევნიშნე მხედველობით შეუნიშვნელი
ანგელოსისგან ამოჭრილი ასონიშნები,

ოსტატმა ჩემმა ეს შემატყო და გაიღიმა.

## ჭედზა მეცამეტე

ასე მოვედით უკანასკნელ საფეხურამდე,
სადაც მთა იგი, რომელზედაც ჩვენ ავდიოდით,
დაკბილულია დასაწყისი მეორე გარსის

მასზედ ამსვლელთა განმწმენდელი, განმკურნებელი.
ირგვლივ არტყია მთისა მწვერვალს ტინის კარნიზი,
იმ პირველ რკალზე უმცირესი, უვიწროესი.

არც ნატვიფრები სჩანდა სადმე, არც ნახაზები,
მთელი ზეთავი და ასევე ნატკეპნი შარა
დაფარულიყო ტყვიისფერი, ლეგა ფიქალით.

„თუ აქ სულები აღარ დაგხვდა, ვისაც რა ვკითხოთ,“
მითხრა პოეტმა, ვშიშობ კიდეც ამ არჩევანმა
საკმაოდ დიდხანს დაგვაყოვნოს ამ სანახებში.

მერმე მზეს თვალი მიაშტერა მან მომხუსხველად.
მარჯვენა მხარით თითქოს ღერძი გააკეთა
და მხარმარცხნიდან შემოაბრუნდა ამის გარშემო.

„ტკბილო მნათობო, შევუდგები შენდამი რწმენით,
„გზასა ახალსა. სთქვა ვირგილიმ, შენ გვიწინამძღვრე
„როგორც ასეთ დროს საჭიროა წარმართვა გზისა.

19 „შენ ატყობ მყარსა, შენ ქათქათებ ხმელისა პირზე
„სანამ სხვა ძალა სხვა მხრისაკენ არ მიგვაბრუნებს,
„შენთა მთიებთა გვიწინამძღვრონ ამიერიდან“.

22 სააქაოში სივრცე იგი უდრის მილიას,
რაც გადავლახეთ ჩვენ იმ ხანად საიქაოში.
სულ მცირე ხანში მივდიოდით ჩქარი ნაბიჯით.

25 და ჩვენ ვიგრძენით მოფრინავდნენ. მორიალებდნენ
სულნი თვალისგან უხილავნი და მოწიწებით
სიყვარულისა ტრაპეზისკენ მოვვიწოდებდნენ.

28 ხმამან პირველმან შემოგვძახა ნაზი შეფრფენით:
„Vinum non habent“ გარკვეულად ეს გავიგონეთ.
ჩვენს უკან გაჰქრა და ამ სიტყვებს იძეორებდა.

31 და ვიდრე სული გაფრენილი ხმას გაქმიდავდა,
უკვე მეორე მოგვეახლა სული ძახილით:
„მე ორესტი ვარ“ და აგრეთვე შორს გადაფრინდა.

34 „ჰოდ მამაო“, დავიძახე „ვისი ხმებია?“
ვერ მოვასწარი ამის კითხვა, ახლა მესამემ:
„გიყვარდეთ იგი ვინც თქვენდამი ზრახვიდეს ბოროტს.“

37 მითხრა ოსტატმა: „ისჯებიან თურმე ამ გარსში,
„ვინც შურის გრძნობით ცხოვრებაში იყო სნეული,
„და აქ სიყვარულს ხელთ უპყრია მწვავე მათრახი.

40 „ლაგამის ჟღერა სულ სხვას გვამცნობს ამ შემთხვევაში
„და მე მგონია შენ მოისმენ იმას ვიდრემდის
„შევრდომებისა ზეგანამდის შენ მიაღწევდე.

43 „დაძაბე ძალნი, დააკვირდი აქაურობას
„და შენ წინაშე დაინახავ მოჯარულ სულებს,
„ნაპრალის გასწვრივ ჩამომსხდართა როს ეახლები.“

46 მაშინ თვალები გავახილე მე უჩვეულოდ,
წინ გავიხედე და შევნიშნე სულნი მოსილნი,
კლდეების ფერის მანტიებში გამოწყობილნი.

49 და როცა მცირე გავიარე იქვე მანძილი,
მომესმა კვნესა: „ოჰ, მარია, ილოცე ჩვენთვის!“
ზოგიც კვნესოდა: „ოჰ, მიქაელ, ოჰ, წმინდა პეტრევ.“

52 არა მგონია, დღეს ცოცხლობდეს მიწაზე ვინმე,
ისე გულცივი ხორციელი რომ არ შეზაროს,
იმ ხმამ, რომელიც გავიგონე მე იმ წუთებში.

55 რა მივეახლე მე იმ სულებს ისეთ მანძილზე,
როცა შეძძლო აღნაგობის მათის გარჩევა,
დიდმა წუხილმა მყის მომგვარა თვალთა სილამე.

58 ვგონებ ტანთ ეცვათ სინანულის სამოსი ყველას,
მხრებით ერთმანეთს მიყრდნობოდნენ, საწყალობელად,
ხოლო ყველანი ეყრდნობოდნენ კლდეების კიდეს.

61 ვით მათხოვრები უსინათლო მიუსაფარი,
ტაძრის კედელთან დადგებიან წირვის დღეებში,
ურთიერთს თავებს დააყრდნობენ ბედშავნი მხარზე,

64 რათა გამვლელებს აღნაგობით აღუძრან გრძნობა
სათნოებისა უფრო მეტად ვიდრე სიტყვებით
და როგორც შუქი ამაოა უსინათლოსთვის,

67 ისევე სულებს, რომელთაც მე აქ მოვიგონებ
აღარ რგებიათ ნატამალიც ზეციერ სხივის.
და ყოველ მათგანს, როგორც ვნახე დაბეჯითებით,

70 ქუთუთოებში მავთულები ჰქონდა გაყრილი
და ისე ჰქონდათ მათ თვალები ამოკერილი,
როგორც მიმინოს დაუგეშავს უზამენ ხოლმე.

73 ასე მეგონა, დაუბრებით რომ ჩამეარა,
ეს იქნებოდა სამარცხვინო, რა ვერ შეგვნიშნეს
და ამიტომაც შევეკითხე ჩემს ბრძენსა ოსტატს.

76 მან ჩემსა დუმილს უსიტყვოდაც აუღო ალღო,
კითხვის მიცემას მან დაასწრო უკვე პასუხი:
„ილაპარაკე, ოღონდ იყავ თქმაში სხარტული.“

79 გვერდით მომდევდა ვირგილიუს და ფლატის კიდე
იყო სავლელად სახიფათო, დაცერებული,
რადგან მის გასწვრივ მოაჯირი არ სჩანდა მცირეც.

82 იქვე პირდაპირ დამსხდარიყვნენ სულთა აჩრდილნი,
თავმოდრეკილებს თვალი ჰქონდათ ამოკერილი
და ნაკერიდან მოჟონავდა ღაწვებზე ცრემლი.

„ჰოდ, აჩრდილნო“, მე მივმართე, „თქვენ გელოდებათ,
„ციური სხივის ზენარული გამოცხადება,
„ზრახვათა თქვენთა ერთადერთი დიდი საგანი.

„უფლის წყალობით განიწმიდოს სულ მცირე ხანში,
„თქვენი სინდისის მღვრიე დუჟი, რათა ანკარა
„ჩქერალის ძალით განიწმიდოს შეგნება თქვენი.

„მაცნეთ (და ესე სანუკველი იქნება ჩემთვის)
„თუ ვინმე არის აქ თქვენ შორის ლათინელთ ტომის
„და შესაძლოა მე მას ვარგო რამენაირად.“

„ძმაო, მომიგო, — მარადჟამულ ქალაქის ამის
„ვართ შინამყოფნი, მაგრამ შენ გსურს, ალბათ, გაგება,
„რომელ ჩვენთაგანს უცხოვრია იტალიაში?“

ეს მიპასუხეს და ამ წუთში მე მომეჩვენა,
იმ ადგილიდან, საიდანაც ვლაპარაკობდი,
მე დავიძარი, უფრო ნათლად მესმინა მათთვის.

უცებ შევნიშნე ლანდთა შორის ერთი შეიძრა,
სახე მიიღო მომლოდინის (გნებავთ როგორი?)
მან ზეასწია მყის ნიკაპი ბრმის მინაგვარად.

მივუგე: „სულო, ზეასვლისთვის განმზადებულო,
„უკეთუ ის ხარ, ვინც მაძლევდა მე წედან პასუხს,
„მარქვი მე გვარი, ან სამშობლოს სადაურობა?“

„სიენელი ვარ“, მითხრა ლანდმა, „ახლა ამათთან,
„ცოდვათა ჩემთა წარხოცას ვეწევი აქვე
„და ცრემლებს ვაფრქვევთ უფლისაგან მონიჭებულსა.

„არ ვიყავ ბრძენი, თუმც სახელად მერქვა საპია.
„იმ ცხოვრებაში სხვათა ტანჯვა უფრო მალხენდა,
„ვიდრე კაცს ალხენს საკუთარი ბედნიერება.

„რომ არ გეგონოს მე გითხრობდე ვითომ მცდარ ამბავს,
„შენ დააკვირდი, თუ რამდენად ხელი ვიყავი,
„როცა ცხოვრების თავდაღმართებს მე მივყვებოდი.

„სწორედ იმ ხანად ჩემი თანამემამულენი
„მტერს შეეტაკნენ ცხარე ბრძოლით ქალაქ კოლლესთან,
„შევსთხოვე ღმერთსა, რაც მას უკვე ნებავდა თავათ,

„შემუსრეს მტერი, სამარცხვინოდ უკუაქციეს,
„და მე მტრის დევნამ იმოდენად გამათავხედა
„(სიხარულს ამგვარს აწ ვერაფერს ვერ შევადარებ).

„და კადნიერად მივმართავდი აღტყინებული
„უფალს, ვამბობდი: „არ მეშინის, ღმერთო, მე შენი
„როგორც ეს შაშვმა ჩაიდინა გამოზაფხულზე.

„მერმე თვით ზავის ჩამოგდება მოვიწადინე
„მიწიერ ყოფის მიწურულში მე მამა ღმერთთან.
„ჯერაც სინანულს შევრდომება არ მოჰყოლია.

„თუმც თავის ლოცვით არა ერთხელ მომიხსენია,
„მე პეტინანომ, იმ ნეტარმა მამამან პეტრემ,
„ვინც სიყვარულით მომეკიდა ქრისტიანულით.

„ახლა ეს მარქვი, შენ ვინა ხარ, ვინც გვეკითხები
„ჩვენ ხვედრის გამო, თვალხილულიც აქ რომ მოსულხარ?
„ვგონებ სიტყვების წარმოთქმისას სუნთქავ კიდევაც.

„თვალახვეული აქ ვიქნები კიდევ მცირე ხანს,"
მე ვუპასუხე, „რადგან მცირე დანაშაული
„მიუძღვით იმათ, ვისაც შური ედებათ ბრალად.

„უფრო ძლიერი შიში მიპყრობს, როცა ვიგონებ
„ამ გარსის ქვემოდ მოთავსებულს დილეგს ცრემლისას,
„ახლაც მამძიმებს მძიმე ტვირთი გამოყოლილი,"

„ვინ მოგიყვანა შენ აქამდის? მკითხავდა სული,
„თუ კი ისევე შინ აპირებს შენ გაბრუნებას?"
„მე ვუპასუხე: „სწორედ იმან ვინც სდუმს ჩემს გვერდით.

„სულო რჩეულო, რა გსურს კიდევ რომ გაგიკეთო
„მე მომაკვდავმა იმ მიწაზე დაბადებულმა?
„აჰ, გასაგონად ეს მართლაც რომ საოცარია,

„შენდამი ღვთისა სიყვარულის მაუწყებელი,
„გამიხსენებდე მანდ ლოცვებით ჟამიდან ჟამზე.
გაფიცებ იმას, რაც კი შენთვის სანუკვარია,

„თუ კი ოდესმე შენ ტოსკანის ქვეყნად დაბრუნდე,
„ჩემთა მახლობელთ შეახსენე ჩემი სახელი.
„შენ მათ იხილავ გარემოცულთ ისეთი ხალხით,

151 „ვისაც ტალამინ უფრო მეტად წარუკვეთს სასოს,
„ვიდრე იმათვე დიანასი ამაო ძებნა,
„ესეც უნდა ვთქვა გაცილებით მეტს დაჰკარგავენ

154 „ამ შემთხვევაში იმ მხარისა ადმირალები.“

## ძებნა მეთოთხმეტე

„ვინ არის იგი, ვინც ჩვენი მთა გადაირბინა,
„ვიდრე სიკვდილი ფრენის ძალას მიანიჭებდა,
„სურვილისამებრ ვისაც ძალუძს აღახვნეს თვალნი?“

4 „ველარ ვცნობილობ. მაგრამ ვხედავ არაა მარტო,
„მოდი შენ ჰკითხე, რადგან შენთან ახლოა იგი,
„მოეალერსე, ვინძლო სიტყვა გააღებინო;“

7 ასე უბნობდა ორი სული იქვე მახლობლად
ურთიერთს მხარზე მიყრდნობილი, მე მგულისხმობდნენ.
თავი აიღეს მოემზადნენ მყის სასაუბროდ,

10 და მითხრა ერთმა: „სულო, სხეულს ჯერ არ გაყრილო,
„მიდიხარ ცისკენ. შეგვიწყალე და შეგვივრდომე.
„მოგვეც სალბუნი და გვაუწყე ღვთისგულისათვის,

13 „გვაუწყე შენი ვინაობა, სადაურობა,
„რადგან ეს ნიჭი ბოძებული გვაოცებს ღვთისა,
„ვით სასწაული დასაბეჭდი არ გაგონილი.“

16 მე ვუპასუხე: „ტოსკანაზე გადის მდინარე,
„რომლის სათავე ტალტერონთან ღებულობს საწყისს
„და ამის შემდეგ გავლილი აქვს ასიოდ მილი.

19 „მის ნაპირთაგან მომაქვს ჩემი მოკვდავი ნეშთი.
„უნაყოფოა განგიმარტოთ აქ ვინაობა,
„რადგან საკმაოდ ჯერაც ვერ ვარ სახელგანთქმული.

22 „თუ შენს ნაუბარს კარგად მისწვდა გონება ჩემი,
მომიგო იმან ვინც პირველად გაგვესაუბრა,
„შენ აქ გულისხმობ მე მგონია მდინარე არნოს?“

25 ახლა მეორე კითხულობდა: „რისთვის მალავსო
„ის ამ მდინარის კანონიერ სახელწოდებას.
„როგორც საშინელს, უხსენებელ არსებისასა?“

28 და სულმა. ვისაც შეეკითხნენ. თავდაპირველად,
ასე მიუგო შემკითხველსა: „არ ვიცი, მაგრამ
ხეობა იგი ღირსიაო თუნდაც დაღუპვის.

31 „რადგან მდინარის სათავიდან. თხემის მახლობლად,
„სადაც პელორო განზე რჩება წყლით გაჟღენთილი,
„მხოლოდ აქა-იქ თუ მიაღწევს დონეს ამნაირს,

34 „იმ მიჯნებამდის, სად მდინარე ინაზღაურებს
„წყლისა დანაკლისს ზღვიდან ამდგარ ოხშივარითა,
„რისგანაც საზრდოს აგროვებენ მდინარეები.

37 ვითარცა გველნი განუგდიათ ყოვლი სიქველე
„ქვეყნის უხიაგ თვისებების გამოისობით,
„თუ საშინელი ჩვეულების მეოხებითა,

40 „ამ უნაყოფო მწირ ხეობის ნაშიერ კაცთა
„ამ გზით იმდენად წარუყვნიათ ბუნება თვისი,
„თითქოს კირკესგან ყოფილიყვნენ გამოკვებილნი

43 „და ამ უწმინდურ ტახებს შორის, რომელთაც რკოთი
„დაშვენდებოდათ გამოკვება, ვიდრე საჭმლითა,
„განაგრძობს დენას უნიათო იგი მდინარე.

46 „შემდეგ ჭალებში ჩამოსული წვრილ ქოფაკებთან
„ვინც უხეიროდ წკავწკავებენ, იჭინთებიან,
„ზიზღით აღვსილი აარიდებს ამათაც პირსა,

49 „ეშვება დაღმა უფრო მეტად ძალმოცემული,
„მდინარე იგი დაღუპული, სიავით სავსე
და შეეყრება მგლებად ქცეულ ავყია ძაღლებს;

52 „გაივლის მერმე ჩაბნელებულ, მრუმე ხეობებს,
„მგლებს შემოხვდება გულარძნილებს და გაიძვერათ,
„რომელთაც ხუნდი ვერ აშინებს ვერავითარი.

55 „მინდა განვავრძო მე უბნობა, თუმც მისმენს უცხო.
„თუ მოიგონებს, ის მერმისში გამოიყენებს,
„რაც ჩამაგონა მე აქ სულმა მართლისმხილველმა.

58 „მე უკვე ვხედავ შენ შვილიშვილს, თუ ვით ნადირობს
„მგლებზე, რომელნიც მძვინვარებენ ამ მდინარისა
„ვრცელ ნაპირებზე და აღაცებს ტყიურებს შიშით.

61 „და ჰყიდის ხორცსა ჯერაც ცოცხალ არსებებისას.
„ქლეტავს სულყველას თითქოს თავათ იყვეს ნადირი,
„სხვას ანადგურებს, თავათ ჰკარგავს პატიოსნებას,

64 „და სტოვებს შემდეგ სევდიან ტევრს სისხლში მოსვრილი,
„ისეთ ყოფაში, რომ გაივლის ათასი წელი,
„იგი ძველებურ ანაგობას ვერ დაიბრუნებს;

67 „როგორც მომავალ უბედობის განცხადებისას,
„ყურის მიმპყრობი ფერს დაჰკარგავს სახეშეცვლილი,
„სულ ერთი არის, რომელ მხრიდან მოსჩანდეს ჰირი.“

70 ჩემ თვალწინ ლანდი ორთავანი (რომელიც იდგა
პირშექცეული), მყის აღივსო მწუხარებითა.
როგორც კი ნათქვამს ჩასწვდა იგი და შეისმინა.

73 ერთის ნათხრობმა, ანაგობამ მეორე სულის,
მე მომანდომეს ვინაობის მათის გაგება;
ამიტომ კითხვით მათ მივმართე ვედრების ხმაზე.

76 მაშინ განაგრძო მან, პირველად ვინც შემესიტყვა:
„შენ ისა გნებავს, რომ მე დავთმო და შეგისრულო,
რისი დათმობა, შესრულება შენ არ ინებე.

79 „თუ ღმერთს სწადია აღმობრწყინდეს შენ თავზე მისი
„გულმოწყალების ათინათი, მე არ მშურს·სიტყვა
„ასე, იცოდე რომ ეს მე ვარ გვიდო დელ დუკა.

82 „შურმა იმგვარად დასწვა ჩემი სისხლი იმ ქვეყნად,
„რომ მუდამ, როცა მოლხენილსა ვნახავდი ვისმეს,
„შურის სიყვითლე მთელ სახეზე მომედებოდა.

85 „როგორი თესლიც მე დავთესე ისეთს ვმკი ჩალას,
„ავკაცთა მოდგმავ, რათ მიგელტვის გული იქითკენ,
„სად მონაწილეთ სიხარულით გააძევებენ.

88 „ჩემს გვერდით გახლავს რინიერი კალბოლის სახლის
„ვინც იყო ერთხელ სიამაყე, დამშვენებელი,
„ვინც გადაეგო უმემკვიდროდ, უნაშიეროდ;

91 „განა თუ მარტო ეს ჯილაგი განძარცულია,
„პოდან მთებამდის, ზღვის კიდედან ვიდრე რენომდის
„მართლის ქნისა და ლხინისათვის საჭირო ძღვნისგან,

„ამ სანახებში იმნაირად მომრავლებულა
„ღვარძლის, ბოროტის სარეველა, რომ საეჭვოა
„ამ ნიადაგის სამერმისოდ გასუფთავება.

„სადღაა ახლა ან ლიციო, ან და მანარდი,
„პიერ ტრავერსარ ან თუ გნებავთ გვიდო კარპინა,
„ჰოდ, ჯილაგო რომანელთა გადაგებულო,

„ნუთუ ბოლონდა კვლავ წარმოშვებს ოდესმე ფაბროს,
„ან თუ ფაენცა კვლავ დაბადებს ბერნადი ფოსკოს,
„უბირი ფესვის კეთილშობილ ამ ნაშიერსა.

„ნუ გიკვირს ცრემლი ჩემ თვალთაგან ჰე, ტოსკანელო,
„როდესაც მე აქ მაგონდება გვიდო და-პრატა,
„უგოლინ დ'აცცო. ვინც ცხოვრობდა ჯერაც ჩვენ შორის

„და ფრედერიგო და — ტიგნოსო ოჯახიანად
„ტრავერსარას და ანასტაჯის ძველნი ოჯახნი.
(„ორივე გვარი გადაეგნენ უკვე უძეოდ").

„სეფექალები, ვაჟკაცები, ლხინი და ომი,
„ეს ყოველივე რაინდობას შთაგვაგონებდა,
„ისეთ მხარეში, სად სიავე ხარობს ამჟამად.

„ო, ბრეტტინორო, რატომ შენც არ გაუჩინარდი,
„როცა ის შენი სინჯორები გადაიკარგნენ.
„რათა შემდეგში გარყვნილებას არ ჩაეთრიე?

„სწორად ინებე უძეობა ბანდაკავალომ
„და კასტროკაროც ბოროტს ჩადის, სცდება კონიოც,
„ასე უწყალოდ რომ ამრავლებს უმსგავსო გრაფებს.

„პაგანის გვარი კარგს იზამდა, რომ თავის ეშმაკს
„მოიცილებდეს, თუმც სიწმინდით, ეს უნდა ითქვას,
„მათ გამო ხსოვნა არ იქნება წარჩინებული.

„სახელი შენი ო, უგოლინ დე-ფანტოლინო,
„მუდამ იქნება შეურყვნელი. ვინადგან ვერვინ,
„მას ვერ შებღალავს თუნდ წინაპართ გადუდგეს კიდეც.

„აწ გზა განაგრძე, ტოსკანელო. მე მირჩევნია,
„ცრემლის დათხევა აქ სათქმელის წკრიალად ჩამოთვლას,
„ისე უზომოდ დამამწუხრა ჩემმა ნათხრობამა."

127 კარგად ვიცოდით რომ ამ ძვირფას სულებს ესმოდათ.
როგორ ვიდოდით და ამ რიგად სრული დუმილით
შემოგვეშველენ, დავდგომოდით გზასა მართებულს.

130 როგორც კი მარტო დავრჩით ასე გზაზე შემდგარნი,
ჰაერისგამპობ ელვის დარად შემოგვეხეჩა,
ჩვენ უეცარად ამნაირი ხმა ღაღადისა:

133 „ვინაც შემიპყრობს მე იგივე მომიღებს ბოლოს.“
გაჰქრა შორეთში, როგორც ცაში გაჭრილი გრგვინვა,
როდესაც იგი მეყვსეულად გაჰკვეთავს ღრუბელს.

136 როგორც კი სმენამ დაისვენა მის გრიალისგან,
ახლა მეორემ ისე მძაფრად შეჰქმნა გრუხუნი,
თითქოს ქუხილმა ასტეხაო მეხისა ტეხა.

139 „ვარ აგლაურო, უკვე კაჟად გადაქცეული.“
მე გამოვბრუნდი, მივიქეცი პოეტისაკენ,
წინსვლისა ნაცვლად უკუვიქეც და მივეახლე;

142 უკვე ჰაერში მყუდროება ჩამომდგარიყო,
მითხრა ოსტატმა: „საჭიროა მართლაც აღვირნი,
„თავაშვებულის კაცთა მოდგმის ასალაგმავად.

145 „მაგრამ ცთუნებას ვეღარ უძლებთ და ღეჭავთ ლაგამს.
„უძველესის მტრის ანკესის ყუნწს წამოეგებით,
„არცა ლაგამი გშველით რასმეს, არც გაფრთხილება,

148 „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენ თავზე.
„გიჩვენებთ თანაც მარადჟამულ მშვენებას თვისსა,
„მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას დასჩერებიხართ

151 „და სასჯელს გაწვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი.“

## ქება მეხუთმეტე

როგორც ცის სფერო უთენია მესამე ჟამზე
გარიჟრაჟის წინ იწყებს ციაგს, უეცარ ლიცლიცს,
ჩვილი ყრმის დარად მოუსვენრად აციგლიგდება,

4 ასევე მზესაც ბნელს ჩასვლამდის მცირე მანძილი
აწ გასავლელი დარჩენოდა შუქმილეულსა,
უკვე იქ მწუხრი იწყებოდა, აქ შუაღამე.

7 აჰა, სახეზე მოგვანათა მთიებმა ორთავ,
რადგან ჩვენ მისთვის მოგვეარნა ისეთ მანძილზე,
რომ ხელაღებით დასავლეთით გზას მივყვებოდით;

10 მყისვე შევიცან შუბლზე მძაფრად მომადგა შუქი
უფრო ძლიერი, ვიდრე უწინ ეს განმიცდია
და გამაოცა არნახულმა ჯერაც შემთხვევამ.

13 აღვმართე ხელნი ამიტომაც წარბთ სიმაღლეზე
და გავიკეთე ამნაირად საჩრდილობელი
გამძაფრებული შუქისცემის ასარიდებლად.

16 მსგავსად იმისა, როგორც წყლისგან. ანუ სარკისგან
პირუკმო მხრისკენ მიიქცევა შუქის არილი,
ამნაირადვე ზეაიწევს აღმამავალი.

19 როგორაც იგი ძირს დაეშვა და განზე გადგა
თანაბარ დონით, შეწერილით დაცემულ ქვისგან,
რასაც გვიმოწმებს დაკვირვება და ხელოვნება,

22 შემაკრთო სხივმა ზედმომდგარმა, უკუვდექ მყისვე.
ასე მეჩვენა, ანარეკლი შორეულ სხივის
მომადგა-მეთქი. ამიტომაც შუქს ავერიდე.

25 „რა არის იგი, შევეკითხე ჩემს ტკბილსა მამას,
„რასაც რიდისგან ვერ ვუბედავ მზერის მიპყრობას,
„რაც, ჩემის აზრით, ახლაც ჩვენსკენ მოემართება?“

28 „ნუ გაოცდები თუ ბრწყინვალე შუქის ლიცლიცით
„ზეცისა მკვიდრთა თვალი მოგჭრან“, მან მიპასუხა,
„ეს შიკრიკია აღმასვლისა მაუწყებელი,

31 „დრო მოვა. როცა ამ მოვლენის მზერა და ჭვრეტა
„სიმძიმილის წილ მოგგვრის ერთგვარ აღფრთოვანებას,
„რადგან ბუნება მათ შეცნობის ნიჭსა მოგირწყავს.“

34 როს მივეახლეთ ჩვენ ანგელოსს კურთხევით მოსილს,
მან მოკისკასე ხმით გვაუწყა და მოგვახარა:
„აქეთკენ მოდით, აჰა, კიბე უფრო ხელმარჯვე“;

37 როცა დავიწყეთ ჩვენ აღმასვლა საფეხურებზე
„Beati misericordes მოგვესმა მყისვე,
გვესმა გალობა: „მოილხენდე მიმადლებულო“.

მე და ოსტატი მივდიოდით ერთად, ორივე
აღმავიდოდით, ზეასვლისას მე განვიზრახე,
მისი ნათქვამი მიმეწიშნა და მესარგებლნა.

ასეთი კითხვით მე მივმართე მაშინ ჩემს ოსტატს:
„რას გულისხმობდა იგი სული რომანიელი:
„მონაწილეთა გაძევებას“ რომ ახსენებდა?“

მითხრა ოსტატმა: „შეუცვნია მას მანკი თვისი,
„რადგან თვითონვე ყოველივე გამოუცდია,
„ნუ გიკვირს თუ აქ ცდილობს იგი სხვის გაფრთხილებას.

„ვნებანი თქვენიც ხომ იქითკენ მიმართულია,
„რაშიაც მეტი მონაწილე ამცირებს კერძსაც
„და შურით ალვსილს აღმოხდება მიტომაც კვნესა.

„მაგრამ სიყვარულს უზენაეს სამყაროსადმი
სურვილნი თქვენი ციურ ნდობად რომ გარდაექმნა,
„მაშინ თქვენ გულში შიშის დვრიტა არ დაგრჩებოდათ.

„რადგან ბევრი რამ იქ მრავალთა ეკუთვნის უკვე,
„თანაც თვითეულს ენიჭება თავისი სარგო
„და მოყვასისა სიყვარულიც მუნ ბრწყინავს მეტად.“

„მე არ ვარ-მეთქი კმაყოფილი, მიკუგე ოსტატს
„როგორაც მაშინ, როცა დუმილს ვიცავდი მტკიცედ,
„ჩემს გონებაში დაივანა იჭვის ბურუსმა.

„ნუთუ სიმდიდრე ბევრთა შორის გარიგებული
„თანაზიარებს უფრო მეტად განამდიდრებდა,
„ვიდრე იგივე მცირეოდენს რომ ეპყრას ხელთა?“

მომიგო: „რადგან შენი ზრახვა კვლავინდებურად
„მხოლოდ მიწიერს დასტრიალებს, ულოლიავებს,
„სინათლის წიაღს ამიტომაც ბნელს აშობინებ.

„სიკეთე იგი უსრულესი, ენითუთქმელი,
„ცად ბინადარსა სიყვარულსაც ეტრფის ისევე,
„როგორაც სხივი გაბრწყინვებულს შუქისგან სხეულს,

„ყველას მისწვდება ვინც კი შესძლებს ლტოლვას მისადმი,
„ვისაც რამდენი გააჩნია გულმოწყალება.
„ამის მიხედვით იხვეჭს ყველა ღვთიურ სიქვეყნეს.

„რამდენად მეტი აღმოჩნდება თანაზიარი,
„მით უფრო მეტი სიყვარული ერგება ყველას
„და სიყვარულიც სარკისდარად გვაძლევს ანარეკლს.

„თუ ჩემი სიტყვა არ იკმარო ამ შემთხვევაში,
„შენ ბეატრიჩეს შეეყრები და ყოველივეს
„ის განგიმარტავს ამ კითხვასა და სხვას მისთანას,

„ეცადე მხოლოდ უეჭველად მოგიშუშდება,
„სხვა დანარჩენი ხუთი წყლული, როგორც ის ორი,
„ხუთივე ისევ სინანულით დაგიამდება“.

სწორეთ იმ წუთში, როს მივუგე: „დავკმაყოფილდი.“
ვხედავ ჩვენ უკვე ამოვსულვართ მეორე გარსზე,
მე დამადუმა სულ სხვაგვარმა სანახაობამ.

და მომეჩვენა განცხადება ვიზიონური:
შეესხა ფრთენი ჩემს ოცნებას და წარმოდგენას,
ვნახე ტაძარი მორწმუნეთა მრევლით აღვსილი

და დედაკაცი დედობრივი ნაზი ღიმილით
ამბობდა — ოდნავ გამკილავი, მჭირდავი ხმითა:
„რა ჰქენი, შვილო, ამნაირად რად მოიქეცი?

„დიდი ხანია, რაც დაგეძებთ მე და მამილო.“
დადუმდა ქალი, მოათავა ეს ნაუბარი,
მყისვე განქარდა ამნაირად ხილვა პირველი;

ახლა მეორე განმეცხადა თვალდალამული.
ღაწვებზე ცრემლი მოსდიოდა როგორც ეს ხდება,
როდესაც ბრაზი მოაწვება გულგანაწყენსა.

სჩივოდა დედა: „თუ განაგებ მართლაც იმ ქალაქს,
„რომელიც დიდხანს თვით ღმერთებსაც აპაექრებდა,
„სადაც ჯალოა ყოველივე გულთმისნობისა,

„მიაგე შური იმ თავხედი ჭაბუკის ხელებს,
„ო, პიზისტრატოს, ჩვენს ქალიშვილს რომ მოეხვია.“
ხოლო მეფემან თავდაბალმან, ასე მეჩვენა,

დამშვიდებულად, აუმღვრევლად ცოლს უპასუხა:
„მაშინ ბოროტის მოსურნესა რაღა მივაგოთ;
„უკეთუ იგი განვიკითხეთ ვინც შეგვიყვარა?“

შემდეგ ვიხილე ანთებულნი რისხვისგან კაცნი,
რომელნიც ჭაბუკს აქვავებდნენ, თანაც ჰყვიროდნენ;
„აწამეთ იგი, ჩააქვავეთ, ჩააქვავეთო.“

ვხედავდი ჭაბუკს სასიკვდილოდ განწესებულსა,
მერე წაიქცა და დაემხო დედამიწაზე
და თვალნი მისნი კიანთობდნენ ვითა ცისკარი.

შესთხოვდნენ თანაც ზესთაზენას მუდარით სავსე,
ამ უცნაურის მარტვილობის მიუხედავად,
მდევნელთა თვისთა მიტევებას და შევრდომებას.

როს სული ჩემი სიცხადისკენ უკუმოიქცა,
სცნო მის გარეშე, რაც ხდებოდა სინამდვილეში
და ზმანებაში სინამდვილის გამოცხადება.

ხოლო მეგზურმა რა იხილა ვიდოდი ისე,
ვითარცა კაცნი თვლემისაგან თავდაღწეული,
მითხრა: „რა მოგდის, უცნაურად რისთვის ბარბაცებ?“

„კარგა მანძილი გაიარე ასე უღონოდ,
თავჩაქინდრული ბორძიკობდი და მოდიოდი,
„ვით კაცი მთვრალი ან ძილისგან თავბრუდასხმული.“

მივხედე ოსტატს, როგორც შვილმა თვის სათნო მშობელს.
„ო, ტკბილო მამავ, თუ მომისმენ, წვრილად გიამბობ,
როგორ ვიხილე განცხადება ვიზიონური,

„როცა ვიდოდი მუხლმოჭრილი, თვლემით ძლეული“.
მითხრა: „სახეზე შენ კიდევაც რომ აიფარო
„თუნდაც ასიოდ საფარველი, ვერ დაფარავდი

„ჩემსა წინაშე მეყვსეულად გულისთქმას შენსას.
რაც შენ აქ ნახე, ეს იმიტომ გამოგეცხადა,
„რათა ქვეყნიურ წყალთა დენას გაუხსნა გული

„და წყალნი ესე მარადჟამულ ჭიდან მოდიან.
„რა მოგდის-მეთქი? შევეკითხე არა იმ გვარად,
როგორაც გკითხავს გამოუცდელ თვალით მჭვრეტელი,

„ვინც ვეღარ ხედავს სხვის სხეულში სულის ნაპერწკალს,
„არამედ გკითხე, რათა ძალა შეგმატებოდა.
„სწორედ ამგვარად შესძახებენ ზანტად მიმავალთ.“

ასე ვიდოდით მზის დასვლის წინ, თანაც ვხედავდით,
სანამდის მზერა წინ მიმავალთ მიგვიწვდებოდა
საღამოს ბინდში ჩამავალი მზის შუქს ჰომკრთალოს.

და ნელა, ნელა, ვხედავთ აღდგა და აღიმართა
ღამისადარი განუჭვრეტი კვამლისა ფრთილა.
შემდეგ ამისა, გაიზარდა გადაგვეფოფრა

და მან წარგვტაცა როგორც ხედვა, ისე ჰაერიც.

## ᲥᲔᲒᲐ ᲛᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔ

როგორც სიბნელე ჯოჯოხეთის, ისევე ღამეც
უვარსკვლავო ცით დალურსული, პირშებურვილი
ღრუბლების ნაბდით შესუდრული უკუნი ბნელი,

ისეთი სქელი არ ყოფილა თვალისთვის რიდე,
როგორც ეს კვამლი გარს დამდგარი, დავანებული
გარს რომ გვეხვია ჩვენ ორივეს გზაზე მიმავალთ;

თვალის გახელას სიბნელეში ვერ ვახერხებდით,
როცა მეგზური მომეახლა ბრძენი და სათნო
და მხარი თვისი მომაშვირა ზედ დასაყრდნობად,

ვით უსინათლო გამოყვება თავის წინამძღოლს
გზის გასაგნებად, რათა გზაში არ წაებლანდოს
რაიმე საგანს, ხანაც სიკვდილს არიდოს პირი;

ასე ვიდოდი, მივაპობდი ამ ბინძურ ჰაერს,
მივყავდი ოსტატს და გზადაგზა ის მაფრთხილებდა:
„იცოდე ერთ წამს არ მომშორდე, არ ჩამომცილდე.“

მომესმა ხმები, გავიგონე თითოეული
შეწყალებასა და მშვიდობას შეჰღაღადებდა
უფლისა ტარიგს, ვინც ცოდვანი ჩვენნი იტვირთა.

ლოცვანი მათნი იწყებოდნენ: Agnus Dei!
ყველა ერთ ხმაზე ღაღადებდა ერთს და იმავეს,
ჰარმონიულად განწყობილნი და მგალობელნი.

„მარქვი, ოსტატო, ეს თუ სულთა ღაღადისია?
მე შევეკითხე. დამიმოწმა მართალი ხარო.
„იმსუბუქებენ ამნაირად ცოდვას ბრაზისას.“

25 „მაგრამ შენ ვინ ხარ, ვინც მოაპობ სხეულით კვამლსა,
„თანაც ჩვენს გამო ლაპარაკობ თითქოს თვით დროსაც
„ანაწილებდე კალენდარის შენის მიხედვით?“

28 ესა სთქვა ერთმა სულთაგანმა, შემდეგ ამისა
ოსტატი ჩემი მომიბრუნდა: უპასუხეო,
„ჰკითხე ზევითკენ აქ თუ არის გზა ასასვლელი?“

31 და მეც: „ქმნილებავ მომლოდინევ განსპეტაკების,
„რათა მშვენებით შემოსილი კვლავ მიუბრუნდე
„შენსა შემომქმედს, გამომყევი ნახავ სასწაულს.“

34 „ვიდრემდის შევძლებ გამოვყვები შენსა ნატერფალს.“
მან მიპასუხა „და უკეთუ ნისლში ვერა ვჰვრეტთ,
„სამაგიეროდ სმენას ჩვენსას ძალგვიძს ჰივენდოთ.“

37 მაშინ მივუგე: „მე იმავე ხორცით შესხმული,
„რასაც სიკვდილი შემომაცლის მივალ მწვერვალზე,
„გამოვლილი მაქვს ორწოხები ჯოჯოხეთისა;

40 „უკეთუ ღმერთი მე მომაგებს წყალობას თვისას
„და ნებას დამრთავს მოვიხილო საუფლო მისი
„ისეთნაირად, რაც საერთოდ უჩვეულოა,

43 „ნუ დამიფარავ ვინ იყავი შენ სიკვდილამდის?
„ესეც მაუწყე თუ ვადგავართ ჩვენ გზასა მართალს,
„რათა სიტყვანი შენნი გვექნეს გზის მაჩვენებლად.“

46 „ლომბარდო ვიყავ და სახელად მერქვა მე მარკო,
„განცდილი მქონდა ის ცხოვრება და ის სიქველე,
„რასაც არავინ დაუმიზნებს ამიერიდან.

49 „სწორ გზას მიყვები და იარე ასე აღმართში.“
ასე მომიგო და დასძინა: „გემუდარები,
„ჩემს მაგიერად ილოცავდე როს ახვალ ზევით.“

52 მე ვუპასუხე: „დაერწმუნე ჩემს მიერ აღთქმულს,
„შენსა სათხოვარს აგისრულებ, მაგრამ მე ერთი
„ეჭვი მაწუხებს, გევედრები ეს განმიმარტო.

55 „ერთხელ აღმეძრა. მერმე უფრო გამიორკეცდა
„შენგან თქმულისგან. რაც ერთ რამეს მარწმუნებინებს
„როგორც ამ ჟამად, ისე უწინ გულში გავლებულს.

58 „მართლაც ქვეყანა იმნაირად განძარცულია
„სიქველისაგან, რასაც შენაც ადასტურებდი,
„ბოროტისაგან წალეკილი და აღვსებული;

61 „ახლა ამას გთხოვთ შემასმინო ამის მიზეზი,
„რათა შევიცნო და შევიძლო ვაუწყო სხვასაც,
„რადგან მას ზოგი ცაში ეძებს, ზოგიც მიწაზე.“

64 „ვაგლახ!“ მოისმა ნაღვლიანი ამონაკვნესი,
მერმე დაიწყო დარდიანმა: „ო, ძმაო ჩემო,
„ქვეყანა ბრმაა და იქიდან მოდიხარ გატყობ,

67 „იქ ბინადარნი ყოველივეს მიაწერთ ცასა,
„თითქოს ყველაფერს განაგებდეს თქვენსა მიწაზე
„რაღაც კანონი გარდუვალი, წრეშეწერილი.

70 „ასე რომ იყოს ნებისყოფა აღგეკვეთოდათ,
„არ იქნებოდა ზენარული მართლმსაჯულება,
„არცა განკითხვა კეთილის და ბოროტისათვის;

73 „ზეცაა იგი ვინაც აღძრავს იმპულსებს თქვენსას,
„არ ვიტყვი ყოვლის, მაგრამ ასეც რომ ვთქვა კიდევაც
„ცა გაძლევთ ნათელს სიავკარგის გასარჩეველსა.

76 და ნებისყოფას თავისუფალს და გამძლეობას
ცასთან ჭიდილში უეჭველად, იმარჯვებს კაცი,
თუ ამ ბრძოლაში მას კვებავდა განზრახვა ქველი.

79 „ძალმოსილებას უსრულესსა და ღირსეულსა
„ემორჩილებით და მისგანვე ჩანერგილი გაქვთ
„გონება თქვენი ზეცის მიმართ თავისუფალი.

82 „და თუ ქვეყანა ახლანდელი წარხდენილია,
„ამის მიზეზი თქვენშივეა, იქვე იძიეთ,
ამის შეცნობას და შეგნებას შეგაძლებინებ.

85 „ღმერთი შექმნამდის შესტრფის სულსა თვის მიერ შექმნილს,
„მიემსგავსება სული ჰერმე გოგონას ჩვილსა
„უსაზმნოდ მტირალს და უსაზმნო ალერსს აყოლილს

88 „და გულუბრყვილოს ისღა ახსოვს რომ შეჰომქმედის
„ხალისიანი ხელის მიერ შექმნილი ვარო,
„სწორედ ამიტომ შეფრფენს მარტო სასიხარულოს.

„წვრილმან სიამეს მისდევს იგი უწინარესად.
„ამაო ვნებას და სურვილებს გამოუდგება
„თუ წინამძღვარი კეთილ გზაზე არ შეაყენებს;

„სწორედ ამიტომ საჭიროა კანონის სალტე
„და უნდა იყვეს მეფედ სწორედ კაცი ისეთი,
„ვინაც გაარჩევს ჰეშმარიტის ქალაქის კოშკებს.

„არის კანონი, და ვინღაა მოპხმარებელი.
„არავინ, რადგან მეწინავე ფარის გამძღოლმა
„ცოხნა კი იცის, მაგრამ ჭლიქებს ვეღარა ხლეჩავს.

„მრევლიც რა ხედავს, წინამძღოლი იგი სამწყსოსი
„იმავ ცდუნებას ეტანება, რაც თავათ შია,
„დაეწაფება საზრდოს ამგვარს, არ ეძებს სხვასა.

„შენც ნათლად ჰხედავ უვარგისი ხელმძღვანელობა
„ქვეყნის წახდომის მიზეზია უცილობელი
„და არა თქვენი კაცობრიულ ბუნების ბრალი.

„მას ჟამსა შინა რომმა მისცა რჯული ქვეყანას,
„ორი მზე ეპყრა და როგორც ერთს, ისე მეორეს,
„გზას უნათებდა როგორც ღვთიურს ისე საეროს;

„ერთმა მეორე დააბნელა და მწყემსის კვერთხი
„ხმალს შეუერთდა და ორივე ნაძალადევად
„ვეღარ შესძლებენ ერთ კავშირში დაყოვნებასა,

„რადგან ერთ ხელში ურთიერთის არა აქვთ რიდი,
„თუ არ მიჯერებ, თავათ ნახავ შენ ჭირნახული
„ყოველი მცენარე მარცვლეულით გამოიცნობის

„პოს და ადიჯეს ნაპირებზე მდებარე ქვეყნად;
„ჰყვაოდა ერთხელ რაინდობა, ძველი სიქველე,
„სანამ ფრიდრიჰმა არ ატეხა აურზაური.

„ახლა იქ მხოლოდ ის გაივლის მოურიდებლად,
„ვინაც სირცხვილით ქვეყანაზედ თავს ვერ გამოყოფს,
„რიგიანებთან ვინც გაურბის ურთიერთობას.

„სამი მოხუცი კიდევ დარჩა იქ საჩვენებლად
„და მათი სახით ახალ დროებს დასცინის ძველი,
„სამნივ ელიან როდის უხმობს მათაც უფალი.

„ერთი კურარდო და-პალაცცო, გერარდო ქველი,
„გვიდო კასტელო, უეშმაკო ლომბარდიელი,
„ფრანგების მიერ მართებულად სახელდებული.

„ახლა შენც ხედავ, რომაელთა წმინდა საყდარი,
„ორივ უფლების თავის მუშტში მიმგროვებელი,
„ჩაეფლო ლაფში და წაბილწა ტვირთიც თავისი.“

ო მარკო-მეთქი, „მომწონს შენი თქმა გონივრული,
„ახლა კი მივხვდი რა მიზეზით ლევიტელთ ძეთა
„წილი არ ერგოთ მამისეულ მემკვიდრეობის.

„მაგრამ ვინღაა ის გერარდო შენ რომ ახსენე,
გადაგებული ჯილაგისა ცოცხალი ნაშთი
„და გულარძნილი საუკუნის მამხილებელი?“

„ეგებ მატყუებს სიტყვა შენი ან მცდიდეს ეგებ
მან მიპასუხა: „ტოსკანურად მესაუბრები,
„თანაც მიმტკიცებ არ იცნობდე ვითომც გერარდოს?

„მეტი სახელი მე არ ვიცი ქველისა გარდა,
„თუ რომ გაიას არ ვესესხეთ გერარდოს ასულს,
„გფარვიდეთ ღმერთი, ახლა უნდა დაგემშვიდობოთ.

„დახე, სინათლემ გაარღვია კვამლისა რიდე
„და ანგელოსი იქვე მიცდის, უნდა წავიდე,
„ვიდრემდის იგი გამოჩნდება თვალნათლივ ჩვენს წინ“.

ესა სთქვა მან და არ ინდომა ჩემი მოსმენა.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ

მკითხველო ჩემო, თუ ოდესმე ალპების მთებში
წამოგსწრებია სქელი ჯანღი, რომლის ბურუსში
შენ უფრო ნაკლებ შუქს გასჭვრეტდი, ვიდრე თხუნელა

თვალებზე აკრულ სიფრიფანა აპკის გადაღმა,
როს ნესტიანი, მღვრიე ორთქლი იწყებს ადგომას,
მერმე ნელ-ნელა იფანტება შემოგარენში

რა მზისა სფერო შეუყენებს სხივის ჩქერალებს,
ახლა იოლად წარმოიდგენს გონება შენი,
როგორ ვიხილე მე ხელახლა მზე ისეთ წუთში,

10 როდესაც იგი ჩასასვლელად ემზადებოდა;
ნაბიჯნი ჩემნი შევუხამე მე მხნე ნაბიჯებს
მოძღვრისა ჩემის და დავაგდე ორთქლის წიაღი.

13 დაბლა ბექობზე ცახცახებდნენ მთიებნი მზისა.
ჰოდ, ოცნებავ, გაგვიტაცებ ხანდახან ისე,
გარესამყაროს დაგვავიწყებ და გაგვარინდებ,

16 რომ სმენას ჩვენსას ვერ შეაკრთობს ათასი ბუკი.
შენ რაღა შეგძრავს ქვეყანაზე გრძნობის კიდეგან
თუ არ ნათელი მაღლა ცაში სახედ ქცეული,

19 ზენარულ ნებით კვლავ მიწაზე წარმოგზავნილი.
აწ გულქვაობა იმ ასულის, ვინც ჩიტად იქცა
ყველაზე უკეთ მგალობელად და მოჭიკჭიკედ

22 კვლავ გახმიანდა, წარმოუდგა ოცნებას ჩემსას
და სული ჩემი შეიკუმშა ისეთნაირად
რომ ყოველივე გარეგანი შთაბეჭდილება

25 მიუწვდენელი გახდა მაშინ შემეცნებისთვის.
შემდეგ ეზმანა ჩემს ოცნებას აბობოქრებულს
კაცი ჯვარცმული, ქედმაღალი, წარბშეჭმუხვნილი,

28 ამავე სახის მიიცვალა იგი იმ წუთში.
მის გარეშემო იდგნენ იქვე დიდი ასუერ,
მეუღლე ესთერ და მარდოხე სამართლიანი,

31 სრული სიმჭევრით, საქციელით წარჩინებული.
როგორც კი გაჰქრა ეს ჩვენება, გაუჩინარდა,
როგორც წყლის პირზე მოლივლივე მცირედი ბუშტი,

34 იმ წუთში, როცა სითხე იკლებს და დაინთხევა,
ოცნებას ჩემსას წარმოუდგა ქალი ყმაწვილი,
იგი სტიროდა, ქვითინებდა: „ო, დედოფალო,

37 „რაისთვის დასთმე შენ სიცოცხლე ბრაზმორეულმა?
„სიკვდილს ეწიე შენ ლავინას დაკარგვის შიშით.
„და მეც დამკარგე, აწ აქა ვარ, მივსტირი, დედავ,

40 „მე შენ დაღუპვას, არ თუ სიკვდილს იმ მეორისას".
როგორც სიზმარი შეწყვეტილი ისეთ წუთებში,
როცა დაშვებულ ქუთუთოებს ადგება შუქი,

43 რული იძალებს, მაგრამ ნათელს დაუცლის გზასა,
ასე ჩვენება იგი გაჰქრა, გაუჩინარდა,
როს უცაბედად შემომეჭრა მე ელვარება,

46 კრთომა შუქისა, ათინათი იგი ფრიადი.
მიმოვიხედე, რომ გამეგო თუ სად ვიყავი,
როს ხმა მომესმა: „აქეთ მოდით ზეაღმავალნო“.

49 ამან მიიპყრო ყურადღება ჩემი სრულიად.
ახლა ისეთის უტეხელი ჟინით აღვივსე
მსურდა შემეცნო — თუ ვინ იყო ამის წარმოქმელი?

52 ახლა სურვილი შემომენთო გულზე ანაზდად,
მზეს ხომ სჩვევია: იგი ხედვას ასუსტებს ჩვენსას
და ელვარების იმოსება ის საფარველით;

55 ასევე მეცა ვერ შევსძელი მზერის გამართვა.
„სული ღვთიური გზას გვიჩვენებს აღმოსავალსა
„იმ მთის წვეროსკენ ვედრებისა ჩვენის კიდეგან.

58 „სხივთა მკრთომელი ჩვენს წინაშე გაუჩინარდა,
„ისე მოგვექცა, როგორც კაცი უზამს თავისთავს,
„რადგან ვინც უცდის სხვისგან ჭირში შემოვედრებას

61 „იგივე ხშირად უარისთვის განმზადილია.
„მაშ ავყვეთ ახლა მოწოდებას წეღან მოსმენილს,
„ვცადოთ ზეასვლა, ვიდრე მწუხრი დაეშვებოდეს,

64 „თორემ ვერ ავალთ, ვიდრე დღე არ შემობრუნდება.“
ეს სთქვა ოსტატმა, ორივენი გავეშურენით,
მივესწრაფოდით მაღლა მთისკენ ამავალ კიბეს,

67 მაგრამ როგორც კი შევადექი საფეხურს პირველს,
მყისვე შევიცან მე ფარფატი ფრთების გარშემო,
ქარისა ქროლვა შემომესმა და ხმა: „Beati...

70 „ვინაც არ უწყის რისხვა იგი გულბოროტისა.“
უკვე ჩვენს ზევით ამდგარიყო იმ სიმაღლეზე
სხივი გვიანი, ღამის ბინდის წინამორბედი,

73 და ირგვლივ ცაზე ვარსკვლავებით ანთებულიყვნენ.
„რად მიღალატე, მუხლის ძალავ, ასე უდროოდ?“
ვუსაყვედურე ჩემსავე თავს, რა შევიცანი,

76 თანდათანობით მელეოდა სახსრებში ღონე.
მაგრამ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ისეთ ალაგას,
სად საფეხურნი ჩამოთავდნენ და ჩვენც შევდექით,

79 როგორც ხომალდი მეჩხერ წყალში გამორიყული.
მიმოვიხედე, მივაყურე, ეგებ შემეცნო,
ამ ახალ გარსის მიდამოში, ან დამენახა,

82 შემდეგ ამისა, მივუბრუნდი ისევ ჩემს მეგზურს:
„მამავ ძვირფასო, მარქვი რაგვარ დანაშაულის
„ჩამდენი სულნი ამ გარსს ზედან იწმინდებიან?

85 „მუხლნი მოდუნდნენ, მაგრამ სიტყვა ნუმც მოდუნდება."
მან მიპასუხა: „სიქველისას სჯიან აქ ტრფიალს,
„რასაც შედეგად ჯერ ნაყოფი არ მოჰყოლია,

88 „ხელმოცარულნი კვლავ მიჰყოფენ ხელს ნიჩბის მოსმას.
„მაგრამ თუ შენ გსურს უფრო ნათლად შეიცნო ესე,
„მომაპყარ სმენა და იგემებ შენ უეჭველად

91 „ნაყოფსა კეთილს ამ ადგილზე დაყოვნებისას
„არც შემომქმედი, არც შექმნილი დასაბამიდან
„არ დარჩენილან არასოდეს უსიყვარულოდ,

94 „გინდ ბუნებრივი, გინდ სულიერ ტრფობის კიდეგან
„უმცდარი იყო ბუნებრივი ტრფობა მარადჟამს,
„ხოლო მეორეს აცდენს ხშირად ტრფობის საგანი

97 „ძალის სიჭარბის,ხანაც ძალის ვერ შეწევნითა.
„ვიდრემდის იგი პირველყოფილს ელტვის სიქველით,
„მცირე სიქველეთ იგი თავათ გაართმევს თავსა,

100 „ასეთ დროს იგი აღარც აღძრავს გულბოროტ ზრახვებს.
„მაგრამ უკეთუ ბოროტ ზრახვას მიეტანება
„ტრფობა გულისა მცირე იყოს იგი თუნდ დიდი,

103 „მაშინ შექმნილი ეურჩება შემომქმედს თვისას;
„ამ ნათქვამიდან შენ მიხვდები, რომ სიყვარული
„დვრიტაა თქვენში ყოველივე სიქველის გრძნობის

106 „და საქციელის, რაც მოითხოვს შემდეგ განკითხვას.
„რადგანაც ტრფობას აღარ ძალუძს აქციოს ზურგი,
„იმას, ვისშიაც იმყოფება თვითონვე იგი,

„არავის ძალუძს შეიძულოს თვისივე თავი.
„რადგან არ ქმნილა სულიერი თავისთავადი
„პირველად ყოფნის ჩაურევლად ნაგულისხმევი,

„არავის ძალუძს სძულდეს იგი მარადჟამულად,
„მაშ თუ აქ სწორედ გამოვსახე გულისთქმა ჩემი,
„სიავე კაცთა უყვართ მხოლოდ, როცა მოყვასს სჭირს,

„ეს სიყვარული თქვენსავ ხელში აღმოცენდება.
„ზოგი მოყვასის დამცირებით სცდილობს მუდამჟამს
„ამაღლდეს თავათ, ამიტომაც სწადია კიდეც

„ძირს დასცეს იგი და თვითონ კი გზა გაიკაფოს.
„ზოგს ეშინია დაეკარგოს პატივისცემა,
„ძალა, ნამუსი და სახელი სხვის წარმატებით,

„ამიტომაც სწუხს და უსურვებს სხვას დამარცხებას.
„ზოგიც განიცდის ხშირად დევნას უმართებულოს,
„შურისგებისა საწადელით აღტყინებული.

„ასეთი კაცი მუდამ ბოროტს ნატრობს სხვისათვის.
„ეს სამნაირი სიყვარული ისჯება ქვემოდ;
„ახლა მე მინდა შენ შეიცნო სხვა სიყვარული,

„რომელიც კეთილს არმართებულ გზებით მიელტვის.
„ყოველი კაცი ბუნდოვანად გრძნობს კიდეც ქველსა,
„რადგან სიქველე მას ანიჭებს სულის მშვიდობას,

„მიტომც ყოველი მიესწრაფვის მოხვეჭას მისას.
„როდესაც სული ზანტად იწყებს სიქველის ჭვრეტას
ან მის მოხვეჭას აგვიანებს, სამაგიეროდ

„ამ გარსში მოვა სინანულით განსაწმენდელად.
„არის სიქველეც ვერ მომცემი ბედნიერების.
„ის არ შეიცავს არცა შვებას, არც დვრიტას კეთილს,

„სრული სიქველის არსთა არსის ფესვსა და ნაყოფს;
„ასეთ სიყვარულს ვინც აყვება გადაჭარბებით.
„იგი ისჯება იქ ჩვენს ზემოთ სამივე გარსში;

„თუ რას გულისხმობს სიყვარული ეს სამნაირი,
„არ განგიმარტავ რათა თავათ სცადო მიხვდომა.“

რა მოათავა ეს ბაასი ბრძენმა ოსტატმა,
შემომაჩერდა, მიცქეროდა, მითვალთვალებდა.
სურდა გაეგო თუ რამდენად დავკმაყოფილდი?

4 მე კი ახალი მიღადრავდა წყურვილი გულსა
ესდუმდი, ჩემს გულში კი ვაძბობდი: „ვინ იცის, ეგებ
„ხშირი კითხვებით ვაბეზრებდე ჩემს მეგზურს თავსა.“

7 მაგრამ მამამან ჭეშმარიტმან შეიცნო მყისვე
გაუბედავი, დამალული წადილი ჩემი.
ალაპარაკდა, მეც მომგვარა გამბედაობა.

10 ვეუთხარ: „შენს ახლოს ო, მეგზურო ჩემო დიადო,
„ისეთი შუქი ეფინება გონებას ჩემსას,
„რომ ყოველივე შენგან თქმული თვალწინ მაქვს ცხადად.

13 „ამიტომაც გთხოვ, ჩემო ტკბილო, ძვირფასო მამავ,
„მე განმიმარტო სიყვარული, შენ რომ მიაწერ
„როგორც ქველ საქმეს, ისე ქველის მოპირდაპირეს.

16 „მომართე ჩემსკენ დაძაბული გონების თვალი.“
მითხრა: „უთუოდ შეიქმნება შენთვის საცნაურ,
„შეცდომა ბრმათა, ვისაც თავი მოაქვს ბელადად.

19 „სული შექმნილი თავიდანვე სიყვარულისთვის,
„მიელტვის იმას, რაც მას ხიბლავს და აღიტაცებს,
„როგორც კი გრძნობა სიამისა გამოაფხიზლებს.

22 „საგნის არსობის ანაბეჭდი რჩება თქვენ სულზე,
„შემდეგ ამისა ძლიერდება იგი თქვენშივე
„და კვლავ მიელტვის და შეფრფინავს იმავე საგანს,

25 „აღტაცებული ამნაირად იხრება მისკენ,
„იქცევა იგი სიყვარულად, ახალ ბუნებად,
„და როგორც ცეცხლი ეტანება ზეცის სფეროებს,

28 „რაკი ბუნებით შექმნილია ზეაღსავლენად,
„და ხანგრძლივადაც ინახება ზეცის თავანში.
„ასევე სული მიჯნურობით აღტყინებული

31 „სურვილს აჰყვება, აენთება და აბორგდება,
„ამ უასაკო ლტოლვილებას გადაყოლილი,
„ვერ მოისვენებს თუ არ მისწვდა მიჯნურს გულისას;

„ახლა შენც ხედავ თუ რამდენად ჭეშმარიტებას
„ვერ მისწვდენია, ვინც ამტკიცებს რომ სიყვარული
„ყოველნაირი იყოს თითქოს ღირსი ქებისა.

„ვთქვათ, სიქველეა სიყვარულის პირველსათავე
„ან ანაბეჭდი მუდამ კარგი როგორ იქნება,
„თუნდაც დინგელი ხარისხითაც ვარგოდეს კიდეც.

„სიტყვათა შენთა, მათ გამგონემ ჩემმა გონებამ
„მე განმიმარტეს სიყვარულის ბუნების არსი,
„მაგრამ მე მაინც ბევრი რამე ვერ გამიგია;

„როს სიყვარული მოდის ჩვენთან გარემოცვიდან,
„სულს აღარ ძალუძს აქ სხვა გვარად მოიქცეს თავათ,
„გზის სისწორეში მას პასუხი ვით მოეთხოვოს?“

მან მიპასუხა: „სანამდისაც სწვდება გონება
„მე განგიმარტავ, ხოლო რწმენას, რაც შეეხება
„ამ საკითხებში, ბეატრიჩე გაგიკვლევს გზასა.

„არსობის ფორმა მატერიის კიდეგან მდგარი,
„მაგრამ მასთანვე განუყრელად გადაჭდობილი,
„თავის ბუნებით შემცველია ერთგვარ სიქველის;

„სიქველე იგი ქმედობაში თუ გამჟღავნდება,
„როგორც მწვანეში სულადგმული ვეგეტაცია,
მაგრამ პირველი იდეების და შემეცნების,

„კაცში შთასახვა როგორ ხდება დასაბამიდან,
„ეს უცნობია და ასევე მიუწვდენელი,
„პირველი ვნების გაღვიძება ბუნებით მოგსდევთ.

„როგორც თუნდ ფუტკრებს მინდვრად თაფლის მოხვეჭის ნიჭი,
„ამ თანდაყოლილ ნიჭისათვის უადგილოა
„კაცის ძაგება რომ დავიწყოთ ან ქება მისი

„და დანარჩენი ნებისყოფაც მას შეუფარდდეს,
„მოცემული გაქვთ არსებაში ძალი მბჭობელი,
„მან უნდა მწყემსოს ნებადართვის დაცული ბჭენი.

„ეს სათავეა, საიდანაც გამომდინარებს
„დამსახურება სიქველისა იმის მიხედვით,
„რომელ სიყვარულს შეითვისებთ კეთილს თუ ბოროტს?

„და ვინც გონებით ჩასწვდენია არსთა საძირკველს,
„თანდაყოლილი მათ შენიშნეს თავისუფლება
„და დაუტოვეს შემდეგ კაცთა ზნეობის სწავლა.

„ვთქვათ, უნებლიედ დაგებადათ თქვენ სიყვარული,
„თუნდ ორნაირი სათავიდან გამოვლენილი,
„თავშეკავების ნიჭიც ხომ თქვენ მოგეპოვებათ.

„ამ მაღალ ნიჭში ბეატრიჩე გულისხმობს კიდეც
„თავისუფალსა ნებისყოფას, ეს დაიხსომე,
„თუ ამის გამო იგი თავათ გაგესაუბროს.“

ამასობაში შუაღამე მოწეულიყო.
გვიანმა მთვარემ ვარსკვლავები გამოგვიჩინა,
მიისწრაფოდა ვით ბეჭედი უზარმაზარი

ცისკენ იმ გზებით, რომელზედაც მზე ადგას ხოლმე
და რომაელი მოქალაქე უყურებს ამ მზეს
კორსებისა და სარდებს შორის ბნელში ჩამავალს.

ბრწყინვალე ლანდმა. რომლის გამო თვით პიეტროლა
უფრო ხშირადაც იხსენება, ვიდრე მანტუა,
ძლივს მოიშორა ტვირთი ჩემგან დაკისრებული;

მე კი, ნათელი განმარტება ვისმინე წვრილად,
ყოველი კითხვის საპასუხოდ მუნ მიღებული.
ვიდექ ვით კაცი თვლემისმომგვრელ ფიქრში გართული,

მაგრამ გამიკრთო თვლემა იგი მოულოდნელი
ლანდების ხროვამ, რომელთაც აქ ამასობაში
ზურგიდან უკან მოეარნათ ორთავესათვის.

როგორიც ისმენს და აზოპოსს მას ჟამსა შინა
აღტყინებული ბრბო უნახავთ ღამით მროკავი,
როდესაც ბახუსს შველას სთხოვდა თებაჲს ხალხი,

ამნაირადვე წრედ შეკრულნი მოიჩქაროდნენ,
მორბოდნენ ჩვენსკენ. თვალი მოვკარ გამალებულნი,
კეთილსა ნებას აყოლილნი და წადილს მართალს.

წამოგვეწიენ მცირე ხანში, რადგან სირბილით.
უწმინდურთ ხროვა თან მოგვსდევდა. რისხვით აღვსილი
ორი მათგანი წინ მოჰქროდა და მოსტიროდა:

„მარია სწრაფად გაემართა ერთხელ მთებისკენ,
„ილერდის ხელში ჩასაგდებად ცეზარმა რისხვა
„მარსელს თავს დასცა, გაეშურა ესპანეთისკენ.“

„ვიჩქაროთ აბა, არ დავკარგოთ დრო უნაყოფოდ
„ცირე ტრფობისთვის“. გაჰკიეოდნენ სხვანი და სხვანი
„სიქველის ლტოლვამ გააცხოველოს გულმოწყალება.“

„სულნო, მაგ თქვენმა ლტოლვილებამ სულმოსწრაფულმა
„გამოასწოროს ვინძლო თქვენი გულგრილი ქცევა
„თქვენი სიზანტე სიკეთის და სიქველის ქმნაში

„ცოცხალი კაცი გეუბნებით ჭეშმარიტ ამბავს,“
„ზეასვლას ვლამობთ როგორც კი მზე შუქს მოგვავლინებს;
„მარქვით სად არის მახლობელი გზა გასასვლელი?“

ამ სიტყვებისა თქმა ინება ოსტატმა ჩემმან.
ერთ-ერთმა სულმა უპასუხა: „გამომყევიო,
„მოგვყევ კვალდაკვალ, კლდეთა შორის გიჩვენებთ ნაპრალს.

„ჩვენ კი ისე ვართ შეპყრობილი ლტოლვის სიფიცხით,
„არ შეგვიძლია შევანელოთ ჩქარი სირბილი.
„ნურცა მიაწერთ ჩვენს სიჩქარეს უხეშ საქციელს.

„აბატად ვიყავ სენტ ზენონის ძველ ვერონაში
„მე ქვეშევრდომი სახელგანთქმულ ბარბაროსასი,
„რომელსაც თრთოლვით მოიგონებს დღესაც მილანო.

„იქ არის ვინმე. ცალი ფეხით საფლავში მდგომი
„ვინც მოკლე ხანში ამ მონასტერს გამოიტირებს
„და ბევრს ინანებს წინამძღვარი რომ იყო მისი:

„ვინადგან შვილი მან თავისი სნეული ხორცით,
„სულით სნეული. უჯილაგო ყოველნაირად
„ამ მონასტერსა მიუჩინა წინამძღვრად, ბწყემსად.“

არ ვიცი კიდევ თუ რამე სთქვა, თუ მთლად დადუმდა,
ისე შორს იყო იგი უკვე ჩვენგან წასული,
ეს გავიგონე და კიდევაც დავიმახსოვრე,

ახლა მეგზური მეუბნება ჩემი მშველელი:
„აქეთ მობრუნდი და მიხედე, ის ორი ლანდი
„როგორ გარბიან, აძაგებენ სიზარმაცის სენს.“

133 ყველაზე უკან მორბენალნი ყვიროდნენ: „მთელი
„ნაცია გაწყდა, რომლისთვისაც ზღვა განიკვეთა,
„და მემკვიდრენი ვერ ეღირსნენ იორდანეს წყალს.

136 „ყველანი, ვინაც არ იკისრეს ანქიზეს ძესთან
„მძიმე ტვირთისა გადატანა, მათ უსახელო
„სიკვდილი ერგო, დავიწყების ჭოჭში ჩაფლულთა.“

139 როცა ლანდები დიდ მანძილზე დაწინაურდნენ,
ფეხდაფეხ სვლითა არ შეგვეძლო წამოვწეოდით,
ახალი ფიქრი დაეუფლა გონებას ჩემსას.

142 ახლა მრავალი სხვა ფიქრებიც ამეკვიატა,
ხან ერთს ავყევი, ხან მეორეს, ხანაც მესამეს,
ასე ამგვარად მეოცნებეს მეწვია რული

145 და გადამექცა მაშინ ფიქრი მყისვე ზმანებად.

## ᲥᲔᲒᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ

სწორედ ისეთ დროს, როცა სიცხეს დღისგან წარმომდგარს
გადასძლევს მიწა, ნაწილობრივ თავათ სატურნიც
და იგი უკვე ვერ გააჭრობს მთვარის სიგრილეს,

4 ამ დროს უკეთეს ნიშანს ჭვრეტენ გეომანტები,
ამომავალი ცისკრის გასწვრივ აღმოსავლეთით,
როს გარიჟრაჟი უკვე იწყებს ნათელ გზით სვლასა.

7 ამ დროს მეზმანა თვლემით გართულს ასული ვინმე
ენადაბრგვინილი, თვალელამი. ფეხმოქცეული,
ხელდაღვარჭნილსა სახე ჰქონდა სუდარისფერი.

10 მივაპყარ თვალნი და როგორც მზე გაატანს ხოლმე
ღამის სიგრილით გათოშილის ძვალსა და სახსარს,
ისე მოქნილი ჩემმა მზერამ გახადა მისი

13 ენა და ტანი გაეჭინთა, მცირე ხნის შემდეგ
გამოუსწორდა აღნაგობაც და გადაეკრა
ქალს მთელ სახეზე სიყვარულის ტურფა იერი.

16 როდესაც ენაც ამნაირად აიდგა ისევ,
იგი ამღერდა იმნაირად, რომ გამიძნელდა
ყურად არ მეღო მოხიბლულსა სიმღერა მისი.

19 მე ვარო იგი ტკბილხმოვანი, ნაზი სირინოზ.
„ვინც მეზღვაურებს აცდენს ხოლმე შუაგულ ზღვაზე.
„ძალმიძს მოვხიბლო ყველა ვინაც მომაპყრობს სმენას.

22 „მე გავიტაცე ოდისევი გადაკარგული
„ჩემის სიმღერით და ვინც სმენას მე შემომაჩვევს,
განშორებასაც იშვიათად თუ მოინდომებს.“

25 ჯერაც მოკუმვა ვერ მოესწრო ბაგეთა მისთა,
რომ დავინახე მე ასული წმინდათა სწორი,
გვერდს ამომიდგა სირინოზის შესარცხვენელად;

28 „ო, ვირგილიუს, ეს ვინაა, აქ ვინ მოსულა?“
იკითხა ქალმა და მივიდა მასთან ოსტატი,
თვალი მიაპყრო უცაბედად მოვლენილ წმინდანს,

31 შემდეგ სირინოზს სამოსელი შემოაფხრიწა
და გააშიშვლა ჩემს წინაშე მუცელი მისი.
მყის გამეღვიძა, როცა მომწვდა ნამკვდრევის სუნი,

34 გამომეღვიძა, დამიძახა ვირგილიუსმა:
„სამჯერ გიხმობდი ამდგარიყავ, გამომყოლოდი,
„აწ მივაშუროთ და მოვძებნოთ გადასასვლელი.“

37 ზეწამოვიჭერ. წმინდა მთისა გარსი ყოველი
ვნახე გავსილი განთიადის შუქთა ჩქერალით.
ვიდოდით ასე და ჩვენ უკან მზე კაშკაშებდა,

40 მივსდევდი ოსტატს. დაღვრემილი, თავჩაქინდრული,
როგორც ფიქრისგან გადრეკილი კაცი მავანი,
გადაზნექილი, როგორც ხიდის დახრილი არკა.

43 უცებ მომესმა: „აქვე არის გადასასვლელი,“
და ითქვა ესე ისე ნაზად და ისე რბილად,
როგორც მიწაზედ არასოდეს ითქმება სიტყვა.

46 გედისებური ფრთენი ჰქონდა ზეაპყრობილი
და წარგვაგზავნა ამის მთქმელმა მახლობელ მთისკენ.
ორ ფლატეს შორის იყო ეს მთა გამოწყვდეული.

49 შეირხნენ ფრთენი, შევიცანით ქარისებ ქროლვა
და მოგვასმინა: „ნეტარ იყვნენ ცრემლით მტირალნი,
„რადგან მათ სულებს ელოდებათ ნუგეშის ცემა.

52 „რისთვის დასცქერი დაღვრემილი კვლავ დედამიწას?“
ასე დაიწყო — მაშინ ბრძენმა ძეგზურმა ჩემმან,
როს ანგელოსი გაგვეცალა, დავრჩით მარტოკა.

55 ვუთხარ: „ახალმა უჩვეულო გამოცხადებამ
„მე დამაეჭვა და შემიპყრო ისეთნაირად,
„რომ ფიქრისათვის ვერ შევძელი თავის დაღწევა.“

58 „ძველი მისანი დაინახე, მითხრა ოსტატმა.
„ვისი წყალობით იქ ჩვენს ზევით მოსთქვამენ მწარედ
„და ნახე რა გზით ეთიშება მას ძე კაცისა.

61 „ახლა ეს კმარა, გადაადგი ნაბიჯი მტკიცედ
და მზერა შენი მიაპყარი უცნაურ ფიტულს,
რომელსაც ზენა სფეროებთან ერთად აბრუნებს.

64 როგორც მიმინო მოთვალთვალე საკუთარ ჭანგთა
მონადირის ხმას გაიგონებს და მოიხედავს,
იქითკენ, სადაც ეგულება მას საქნიერი,

67 მეც ესე ვქენი, ავიარე ფერდობი იგი
იმ ადგილამდის, სად ბილიკი სწყდება აღმართის,
ხოლო იქიდან მივაღწიე ახალ გარსამდის;

70 როცა მეხუთე გარსზე აველ. ამოვისუნთქე,
ვიხილე ირგვლივ გულამოსკვნით მტირალნი სულნი,
პირქვე დამხობილთ მდუღარება სდიოდათ თვალთა.

73 Ad hoesit pavimente anima mea.
ისე მწუხარედ დუდუნებდნენ ფსალმუნის ლექსსა.
თავათ სიტყვები გოდებაში ძლივს-ღა ისმოდნენ.

76 „ღვთისგან რჩეულნო, ვისი ტანჯვა ესოდენ მძიმე
„მართლმსაჯულებით და იმედით შემსუბუქდება,
„გვასწავლეთ გზაჲ უზესთაეს საფეხურისკენ.“

79 „თუ თქვენ არა ხართ განწირულნი აქ დასამხობად
„და მიესწრაფით გაეცალოთ აქაურობას,
იარეთ, მარჯვნით, თან მისდიეთ კიდეს მხარმარჯვნით“.

82 ასე ჰკითხავდა მათ მგოსანი. შემდეგ პასუხიც
გვესმა მახლობლად და შევიცან იმ წამსვე ხმაზე
მთქმელი ამისა დაფარული თვალთაგან ჩემთა.

მივაპყარ მზერა მყის ჩემს ოსტატს გაოცებულმან,
მან წამყოფითა მე მანიშნა, დამიდასტურა
რაკი წადილი უსიტყვოდაც გაიგო ჩემი.

უკვე საკუთარ ნებისყოფას მივენდე მეცა,
და მივუბრუნდი, მივეახლე მყის იმ არსებას,
რომლის სიტყვებმა მიიქციეს გულისხმა ჩემი.

ასე მივმართე: „ჰოდ, სულო, ვინც სინანულში
„აქ იხვეჭ ხარისხს უფლისაკენ კვლავ მიქცევისას,
„გთხოვ დააყოვნო წამიერად გოდება შენი,

„მამცნე ვინა ხარ და რად წევხარ პირქვე მიწაზე?
„ან ეგებ რამე გაგირიგო იმ ქვეყანაში,
„საიდანაც მე ამოვედი აქ ხორცშესხმულად?“

„თუ რა მიზეზით ჩვენ დაგვამხო პირქვე ზენამა
„ამას გაიგებ თავის დროზე. ჯერ ეს იცოდე:
Scias quod ego fui successor Petri

„გეცოდინება სიესტრსა და კიავერს შორის
„შესანიშნავი მდინარეა, რომლის სახელი
„ჩემს გვარს ამშვენებს წარჩინებულს ოდითაგანვე.

„სულ ორიოდე თვე დავცადე თუ რა მძიმეა
„პაპის მანტია, ღირსეულად მტარებლისათვის,
„ყველა სხვა ტვირთი ბუმბულივით მჩატე სჩანს მასთან.

„მონანიება, სამწუხაროდ, დამიგვიანდა,
„მაგრამ როგორც კი ამირჩიეს, მწყემსად რომისა,
„მე შევიცანი ამ ცხოვრების სიმცდარე სრული.

„ვნახე იქ რომ გულს მყუდროება არ ეღირსება,
„იმ ცხოვრებაში სიდიადეს ვერ მიეწევი
„და შევიყვარე ამიტომაც მე ეს ცხოვრება.

„ამ დღემდის ვიყავ უბედური, ღვთისგან განმდგარი
„და ჩავეფალი მე სიძუნწის ბინძურ ჭაობში.
„რისთვისაც მე აქ ვიტან სასჯელს როგორც შენ ჰხედავ.

„ვინც იქ სიძუნწეს კერპად სახავს, ის აქ მჟღავნდება,
„სადაც ტანჯვაში იწმინდება ცოდვის მტვირთველი,
„ყველაზე მეტად ძუნწებს სჯიან განწმენდის მთაზე.

„რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია,
„სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს,
„მართლმსაჯულებამ მიგვისაჯა მიწისთვის მზერა.

„როგორც სიძუნწით ხელშეკრული იყო ტრფიალი
„სიკეთისადმი მიდრეკილი ჩვენს ბუნებაში,
„ასე შეკრული ვყავართ ჩვენ ღვთის მართლმსაჯულებას.

„ხელნი და ფერხნი შეგვიკოჭეს და გაგვითოკეს
„და სანამ ღმერთი არ ინებებს აზატქმნას ჩვენსას,
„ასე ვიქნებით ჩვენ განრთხმული მიწისა პირზე".

მე დავიჩოქე, განვიზრახე გასაუბრება.
როგორც კი ბაგე შემიტოკდა, მიმიხვდა მყისვე,
რომ მოწიწებით ვუპირებდი თაყვანისცემას.

„რა მიზეზია, მითხრა „მუხლნი რომ მოიყარე,
ვარქვი: „სინდისი მე არ მაძლევს ნებას ვეახლო
„სხვარიგად თქვენსა პიროვნებას მაღალღირსეულს".

„აღდექინ, ძმაო, გაიმართე მუხლები გვედრი,
მან მიპასუხა: „სცდები, მე ვარ თანამსახური
„აქ თქვენთან ერთად უზესთაეს ცათა მპყრობელის.

„და თუ ოდესმე სახარების გსმენია სიტყვა,
„სადაც თქმულია. Neque nubent ოდითგანავე
„მაშინ გაიგებ რათ ვაზროვნებ მე აგრე რიგად.

„ახლა იდინე, მე არ მინდა რომ დააყოვნო,
„შენი დარჩენით ხელს შეუშლი გოდებას ჩემსას,
„რომლის წყალობით ის მწიფდება, რასაც ამბობდი.

„საიქიოში ძმისწული მყავს მე ალაჯია,
„სათნო გულისა, თუ მერმისში ჩვენი ოჯახი
„სიავეს რამეს მას არ შეჰყრის და არ წაახდენს.

„მარტო ისა მყავს დარჩენილი იმ ქვეყანაზე."

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲝᲪᲔ

უძლიერესსა ნებისყოფას ებრძვის ამაოდ
სუსტისა ნება ამიტომაც დავუთმე მეცა,
ღრუბელი წყლიდან ამოვიღე გაუქღენთელი,

4 გზას გავუდექი და ოსტატიც მიჰყვა არეებს
ფლატისა გასწვრივ დარჩენილებს. ვიარეთ ასე,
როგორც ქონგურის გაყოლებით გზად მიმავალნი.

7 მერმე სულები, ვისაც თვალით სდიოდა წვეთად
ის ბოროტება, რაც ამ სოფელს უქადის წარღვნას.
მოუახლოვდნენ გადაღმიდან კიდეს ფლატისას.

10 წყეულიმც იყავ, ძველო გველო, უკუნისამდე
ტყიურთა შორის სხვაზე მეტის წარმტაცებელო,
სიხარბეს შენსას აღარ უდევს რაიმე ზღვარი.

13 ცაო მაღალო, რომლის ბრუნვა, როგორც ფიქრობენ
ამ სააქაოს წესწყობაზე ახდენს გავლენას.
როდის-ღა მოვა ვინც ამ ტყიურს განდევნის ჩვენგან?

16 მცირე ნაბიჯით მივხოხავდით, წინ მივდიოდით,
მე კი აჩრდილებს შევსცქეროდი და მომესმოდა
როგორ სტიროდნენ და მოსთქვამდნენ საწყალობელად.

19 უცებ მომესმა „ო, მარიავ, ტკბილზე უტკბესო“,
წამოიძახა სულთაგანმა ერთმა კივილით,
როგორც სჩვევია ასეთი რამ ქალს მელოგინეს.

22 მანვე განაგრძო: „როგორ მწირად ცხოვრობდი შენა,
„რასაც ამოწმებს ის საფარი, სადაც ოდესღაც
„წმინდა ნაყოფი დაგებადა მუცლისა შენის.“

25 შემდეგ ეს მესმა: „ფაბრიციუს კეთილშობილო,
„შენ სიღარიბე და სიქველე არჩიე ერთხელ
„სიმდიდრეს ფრიადს და ცოდვების მოკიდებასა.“

28 სიტყვანი ესე მე იმ ზომად მესიამოვნა,
დავწიხაურდი რათა მეყო იგი საცნაურ,
ვინაც ამ სიტყვებს წარმოსთქვამდა ჩემ გასაგონად;

31 მანვე სიუხვე მოიგონა, რომელსაც ერთხელ
წმინდა ნიკოლოზ ქალიშვილებს აღმოუჩენდა,
სიქველის გზაზე წარემართნა რათა ისინი.

34 მივმართე: „სულო, ვინც მეტყველებ ესოდენ ქველად,
„აწ განმიცხადე ვინ იყავი იმ ცხოვრებაში.
„ან რად ღაღადებ სიტყვას ეგზომ მოსაწონარსა?

„სიტყვანი შენნი უშედეგოდ არ ჩაივლიან.
„როს მივბრუნდები მოკლე გზისა მოსათავებლად
„იმ ცხოვრებაში, რაც ესწრაფვის თავის აღსასრულს.

მომიგო: „გამცნობ არა შვების მოსახვეჭელად,
„არამედ იმა სათნოების გამოისობით
„რომელიც ბრწყინავს შენში, ვიდრე სიკვდილს ეწევი.

„ვარ ფესვთაგანი შხამიანი რამე მცენარის,
„რამაც იმდენად დააბნელა საქრისტეანო,
„რომ საეჭვოა მისგან თესლის კეთილის ხილვა.

„უკეთუ დუე, ლილი, გენტი, და თავათ ბრძუგე
„შეერთდებიან, მას უთუოდ განიკითხავენ,
„და მეც ამას ვთხოვ მოსამართლეს ყოველთა არსთა.

„იმ ცხოვრებაში ჰუგო კაპეტს მე მიწოდებდნენ.
„ჩემგან წარმოდგნენ საფრანგეთის გვირგვინოსანნი,
„ყველანი ვისაც ლუდ ერქვა ან და ფილიპე.

„მე პარიზელი ყასბის შვილი ვიყავი თავათ,
„როს გადაეგნენ ნაშიერნი ძველთა მეფეთა,
„ერთი-ღა დარჩა შეფარვული უბირი ჩოხათ.

„მაშინ აღვირნი მოვიმართე ხელისუფლების,
„მყისვე სამეფოს მოვექეცი მე სათავეში,
„შემოვიკრიბე მეგობარნი, თანამებრძოლნი;

„ხოლო გვირგვინი სამეფოსი დაქვრივებული
„ძეს მივაკუთვნე გამარჯვებით გულმოცემულმა
„და ამ შვილიდან წარმოიშვნენ შემდეგ მეფენი.

„ვიდრე მზითევმა მონაგარმა პროვანსის მხრიდან
„ჩემთა ნაშიერთ არ წარსტაცა სინდისი სრულად,
„უმნიშვნელონი იყვნენ თუმცა გულით კეთილნი;

„ძაგრამ როგორც კი სიცრუით და ძალმომრეობით
„დაიწყეს ძარცვა და საზღვართა გაფართოება,
„აიღეს პონტი, ნორმანდია და ბისკაია.

„კარლოს მძინარე იტალიას დაესხა თავსა
„და კონრადინი შეეწირა ლაშქრობას მისას,
„სამაგიეროდ ააგზავნა მან ცაში თომა.

„ვხედავ წინასწარ შორს არაა ისეთი დროცა,
„როცა სხვა კარლოს საფრანგეთით წარმოგზავნილი
„ამცნობს ქვეყანას თავისთავს და თავისიანებს;

„უიარაღოდ გაილაშქრებს, შუბის ამარად
„იუდას მსგავსად, მაგრამ ისე მოიხმარს შუბსა,
„რომ ფლორენციას გამოშიგნავს და გამოფატრავს.

„იგი მოიხვეჭს მიწის ნაცვლად იმოდენ სირცხვილს,
„რამდენიც მცირე ეჩვენება დანაშაული.
„მეორეც უკვე ტყვეობიდან მობრუნებული

„საკუთარ ასულს თვით გაიყვანს ტყვეთა ბაზარზე,
„როგორც სჩვევიათ მეკობრეებს ქალით ვაჭრობა.
„ო, ანგარებავ, სხვას რას მოგვწევ შენ უარესსა;

„ჩემი ჯილაგი იმ ზომაზე დააძაბუნე,
„ისე მონურად დაგიგეშავს, დაგმონებია,
„რომ საკუთარი ხორცი თვითვე შესძაგებია.

„და რომ წარსული უბედობაც მცირე გვეჩვენოს,
„ვგრძნობ, რომ ალაგნას მიეჭრება თეთრი შროშანი
„და მის მესაყრდეს შეიპყრობენ უეჭველია;

„ვიცი მაცხოვარს ხელმეორედ შეგვიგინებენ
„და განახლდება ისევ ძმრისა და გესლის გემო,
„ორ ყაჩაღს შორის მოუხდება უფალს სიკვდილი.

„ვხედავ წინასწარ მომავალსა სასტიკ პილატეს
„და შეიჭრება ანგარებით აღვსილი იგი
„უფლის ტაძარში უუფლებოდ და უკითხავად,

„ჰოდ, უფალო, როს მეღირსოს შვების მოხვეჭა,
„როდის ვიხილო მართებული შურისა გება,
„ცეცხლებრ ელავდეს რისხვა შენი გარდაუვალი.

„ის, რაც მე წარვთქვი უხრწნელისა ქალწულის გამო,
„რამაც შენც ჩემსკენ მოგახედა წყალობის თვალით,
„რათა მცირედი განმარტება მიგეღო ჩემგან.

„ეს ყოველივე ჩვენი ლოცვის არის საგანი.
„ასეა სანამ დღე გრძელდება; მაგრამ როდესაც
„ღამე ეშვება ჩვენ სხვარიგად ავმეტყველდებით.

„ვიგონებთ მაშინ პიგმალიონს, ვერაგს, მუხანათს,
„ანგარებისგან აღტყინებულს და გაცოფებულს,
„ვინაც ოქროსთვის მამის კვლასაც არ დაერიდა.

„ძუნწი მიდასის სიღატაკეს და სიბედშავეს,
„მის გაუმაძღარ სურვილების მძიმე შედეგებს,
„რაც სასაცილო გახდა შემდეგ თაობათათვის.

„შემდეგ ამისა, მოვიგონებთ ჩვენ რეგვენ აქანს,
„ვინც ისრაელებს დაუმალა ნაალაფარი;
„აქაც აწვალებს მას ნავესი სასტიკი რისხვა.

„ვამხელთ საპფირას და მეუღლეს მისას აგრეთვე,
„ვაქებთ იმ ფლოქვებს, ვინც ჩაქოლეს პოლიოდორი,
„ძთის გარეშემო ბინადარნი ჰკიცხავენ ერთხმად,

„პოლიდორისა მუხანათ მკვლელს, ავ პოლიმნესტორს.
„შემდეგ ჩვენ ვყვირით დაჟინებით: „გვაუწყე კრასუს
„შენ ოქროს გემო, უეჭველად გეცოდინება.“

„ზოგი ყიჟინებს, ზოგი ამბობს ამას ჩურჩულით,
„იმის მიხედვით თუ ვინ როგორ აღტყინებულა,
„ხან ნელა დავალთ, ხანაც დავძრწით გამალებული;

„კეთილ საქმეთაც მოვიგონებთ ხანდახან დღისით,
„მაგრამ დღეს მარტო ჩემი გესმათ თქვენ ღაღადისი.
„რადგან სხვას არვის ნდომებია ხმის ამოღება,“

უკვე ამ აჩრდილს გავეყარეთ და შევეცადეთ,
გზისა სიძნელე დაგვეძლია და სვლა განგვეგრძო,
როგორც კი ძალი საამისო შეგვწევდა ჩვენა.

როცა ვიგრძენი მე მეწყერის მაგვარი ტოკვა,
შეირყა მთა და მთელს სხეულში ვიგრძენი ჟრჟოლა,
ვით სიკვდილის პირს მიგდებულმა მთრთოლვარე კაცმა

და ჭეშმარიტად არ ტოკავდა ასე დელოსი,
როცა ლატონა მასზე ბუდეს განიმზადებდა,
რათა ცის თვალნი წარმოეშვა ამ ქვეყანაზე.

შემდეგ ამისა ყოველი მხრით ატყდა ჩოჩქოლი,
იმდენად მძაფრი, რომ ოსტატმა მე მომაშურა,
მითხრა: „ნუ კრთიხარ სანამ გიწევ წინამძღოლობას;“

ხოლო ისინი ღაღადებდნენ: „Gloria in Excelsis Deo!“
რამდენადაც მე გავარჩიე მათი სიტყვები
და ჩვენც ვიდექით არ ვიცოდით რა გვემოქმედნა,

როგორც კი მწყემსი ვინც პირველად ეს მოისმინა,
ვიდრემდის რყევა და გალობა არ შეწყდა სრულად.
მერმე მივყევით ისევ წმინდა გზას წინ მდებარეს,

თანაც ვზვერავდით გარს მოჯარულ სულთა აჩრდილებს,
რომელნიც ისევ ქვითინებდნენ ჩვეულებრივად.
ასეთის ძალით მე არასდროს დამძგერებია

გაუგებრობა თუ ხსოვნა აქ მე არ მღალატობს,
როგორც იმ წუთში, როს გონებას აზვავებულსა
სურდა შეეცნო მეყვსეულად თუ რა ხდებოდა

ჩვენს გარშემო ამ საშინელ ალიაქოთში,
რადგან ვერც ოსტატს შევეკითხე დაფიქრებულმა,
ვერც მე გავართვი განაგონს და შენიშნულს თავი;

ასე ვიდოდი ფერგამკრთალი, ფიქრში წასული.

## ᲥᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ

წყურვილი მქონდა ბუნებრივი და საშინელი,
რის მოკვლა მხოლოდ წყალს შეეძლო, რომელიც სთხოვა
სამარიტელმა დედაკაცმა ოდესღაც მგზავრსა;

თან ვიჩქაროდი, მივყვებოდი ნაბიჯით ოსტატს
ვიწრო, დაკლაკნილ ბილიკებით აღმამავალნი
მწუხარე გულით შევცქეროდი სულთა განკითხვას.

როგორ ჰგავს ესე ლუკას ნათხრობს საღვთო წერილში,
ორ მგზავრს რომ შეხვდა გზად მიმავალთ იესო ქრისტე
როდესაც იგი საფლავიდან ამოდიოდა.

აჰა, აჩრდილი შეგვეფეთა და გამოგვიდგა,
აკვირდებოდა თავის ფერხთით მოკეცილ ლანდებს;
ჩვენ ეს შევნიშნეთ, როცა სული ალაპარაკდა,

გვითხრა: „უფალმა მოგივლინოთ, ძმანო, მშვიდობა“.
მყის მივუბრუნდით და ოსტატმა ვირგილიუსმა
სამაგიეროდ უპასუხა როგორც წესია.

16 რქვა: „ნეტარ სულთა დიდ კრებულში აღუშფოთებლად
„შენ განგაწესოს იმ სამჯავრომ, რომელმაც მენა
„სამარადჟამოდ გამაძევა და გამომრიყა.“

19 „რაო? სთქვა სულმა, განაგრძობდა თანაც სიარულს,
„უკეთუ ზენამ აღგიკვეთათ ცად განწესება,
„ვინ მიგიძღოდათ ამ კიბეზე ზეაღმომავალთ?“

22 და ბრძენმა ჩემმა მიუთითა ჩემს შუბლზე ნიშნებს,
მახვილის წვეტით ანგელოსის მიერ დახატულს,
„გაიგებ რომ მას ნეტართ შორის ეკუთვნის ბინა

25 „ვიდრე დამრთველი დღე ნიადაგ ყოველ სულისთვის,
„მისთვის განკვეთილ მაჭოს ძაფებს კიდევ იზოგავს,
„რაც კლოტოს მიერ თავიდანვე მიჩენილია,

28 „მისი სულიცა, შენისა და ჩემის დობილი,
„ზემოასვლისას ვერ შესძლებდა ჩემთან სიარულს,
„რადგან ჩვენსავით მას არ უჭრის ამ მხარეს თვალი.

31 „მე წარმომგზავნეს ჯოჯოხეთის ბნელი ხახიდან,
„აქ გზას ვუჩვენებ, მერმისშიაც მე ვუწინამძღვრებ,
„ვიდრემდის ცოდნა ჩემი მისთვის საკმარისია.

34 „ახლა მაუწყე თუ რამ შესძრა ძირი ამ მთისა
„და მის ფერდობზე ზღვისკიდემდის ირგვლივ დამსხდარნი
„სულნი ერთბაშად აჩოჩქოლდნენ და ახმაურდნენ“?

37 შეკითხვა იგი ჩემს გულისხმას დაემთხვა ზუსტად
და გულთმისნურად გამოხატა სურვილი ჩემი
და გულის ნადებს უსალბუნა. მიუგო სულმა:

40 „ამ მთასა წმინდას ვერ შეარყევს ძალა სხვაგვარი
„თუ არ უფლისა ნებისყოფით გამომავალი,
„სხვა ზეგავლენა ვერ მისწვდება აქაურობას;

43 „ამ მთის ბუნებას ვეღარ სწვდება რაიმე შფოთი,
„რადგან ვერც წვიმა, ვეღარც სეტყვა და ვეღარც თოვლი,
„ვერცა მერეხი, რთვილი, ჭირხლი და დილის ცვარი,

46 „ამ მიდამოში არ შეგხვდებათ როგორც კი თხემის
„ფერდობის სამსავ საფეხურსა გამოსცილდებით.
„სხვა ცვლილებანიც უცნობია შემოგარენში,

„ვერც წვიმის ღრუბელს დაინახავთ, ვერც მსუბუქ ნისლს
„და ვერარც ელვას და ვერც ასულს ტაუმანტესას,
„რაც საიქიოს ასე ხშირად გეზს იცვლის ხოლმე.

„არც მშრალი ორთქლი გამოსცდება იმ სამ საფეხურს,
„რომელიც წეღან მე ვახსენე ჩემს ნაუბარში,
„რაზედაც პეტრეს მესაყდრემან დაადო ტერფი.

„იქ, ქვევით ხდება მიწისძვრები ჟამგამოშვებით,
„მაგრამ აქ ქარებს ჩამალულებს მიწის საშოში,
„არც ვიცი რატომ, ეს მთა ჯერ არ შეურყევიათ.

„მთა შეტოკდება, როცა სული ვინმესი იგრძნობს
„ერთგვარ განწმენდას და ასწრაფვის ჩქარი ნაბიჯით,
„ზეაღსავლისკენ და ძახილიც აჰყვება აღმა;

„ხოლო სიწმიდეს აქ თან ახლავს მტკიცე სურვილი,
„თავისუფლებას ანაცვალოს სავანე თვისი,
„და ეს ანიჭებს აღმაფრენას მაშინ იმ სულსაც.

„გარნა თუ წინად არა ჰქონდა მას ეს წადილი,
„მაგრამ ზენაარის ნება იყო უცილობელი,
„ტანჯვა ეგემნა შეცოდების სამაგიეროდ.

„მეც ვიტანჯები აქ ხუთას წელს. თუ უფრო მეტ ხანს,
„და მხოლოდ ახლა საცნაურ ვყავ და მოვისურვე
„მე უკეთესი სამყოფელი, სულის სავანე.

„მიტომაც იგრძენ მიწის რყევა და სათნო სულნი
„მთელს ამ ბექობზე ღაღადებდნენ საგალობელსა,
„უსმინოს ღმერთმა აღამაღლოს ისინიც ცათა“.

ასე იტყოდა და თქმა მიმძიმს როგორ ვხარობდი,
რადგან წყურვილის მოკვლა უფრო საამურია,
რაც უფრო მეტად ენატრება ხორციელს წყალი.

და ჰრქვა ოსტატმა: „ახლა ვხედავ როგორის ბადით
„შეპყრობილი ხართ, ან თუ როგორ თავისუფლდებით,
„ან მთა რად ტოკავს და აჩრდილნიც რისთვის ხარობენ;

„ახლა კი მარქვი, ვინ იყავი იმ ცხოვრებაში,
„ასე ხანგრძლივად რად მოგიხდა აქ დაყოვნება?
„დე, ნაუბარმა შენმან მამცნოს ეს ყოველივე.“

„იმ დროს, როდესაც ქველი ტიტუს ღვთის შემწეობით
„სამაგიეროს მიაგებდა იერუსალიმს,
„იუდას მიერ გაყიდული სისხლისა გამო,

„მქონდა სახელი“, უპასუხა ოსტატს აჩრდილმა,
„სხვათა სახელზე უფრო მეტად პატივდებული,
„მაგრამ ჯერ კიდევ ვითვლებოდი ურწმუნოთ შორის.

„სიტყვათა ჩემთა სურნელება ათრობდა მსმენელს,
„მიტომაც რომმა შემითვისა და ტულუზელსა
„შუბლი შემიმკო თავის მგოსანს დაფნის გვირგვინით.

„საიქიოში მიწოდებენ ახლაც სტაციუსს.
„მე ვუმღეროდი ქალაქ თებეს, დიად აქილევს,
„მაგრამ დავეცი იმ მეორე ტვირთის წყალობით.

„აღფრთოვანება ჩამინერგა მგზნებარე ცეცხლმა,
„რამაც აღმანთო ღვთაებრივი აღტკინებითა
„და ჩემს გარეშე ათასებსაც შემოგზნებია,

„აქა ვგულისხმობ ენეიდას, ის იყო ჩემის
„პოეზიისა ტკბილი დედა, ჩემი აღმზრდელი,
„მე ხომ უმისოდ ვერ შევქმნიდი დრამმის საფასურს.

„და იმისათვის რომ მეცხოვრა, როცა ვირგილი
„იმ ქვეყნად იყო, აქ დავყოფდი კიდევ ერთ წელსა,
„ამ ტყვეობიდან გასვლის ვადას გადავაცდენდი.“

ვირგილიუსი ამ სიტყვებმა შემოაბრუნეს;
პირმოკუმულმა მამცნო ასე: შენც იყუჩეო,
ნება ხომ სურვილს მუდამ როდი ემორჩილება;

ცრემლი და ღიმი ისე ახლოს თან მოჰყვებიან
გულის აღგზნებას მათ აღმძვრელსა და გამომწვეველს,
ისინი ნებას არ მისდევენ გულმართალისას,

მე გავუღიმე, როგორც კაცმა წამისმყოფელმა,
მაგრამ აჩრდილი მყის თვალებში შემომაჩერდა,
სადაც გრძნობები უფრო ნათლად ისახებიან.

„მწადის კეთილად შეასრულო ეს გზა დიადი,“
მიოხრა, „მაუწყე შენ სახეზე რად გაიელვა
„ამ წუთში ღიმმა, როგორც მშვიდმა ელვათაკრთომამ?“

და აჰა, ვდგავარ როგორც კაცი შეჭირვებული:
ერთი მოითხოვს ჩემგან დუმილს, მეორე თქმასა,
აქ მეყვსეულად შევყოყმანდი და დავიკნესე.

მიმიხვდა ბრძენი და მიბრძანა: „ნუ გეშინისო.
„სჯობს განუმარტო და აუწყო მას ყოველივე,
„რისი გაგება ასე სწადის შენ წინ მდგომარეს“.

მაშინ მე ვარქვი: „ეგებ ღიმმა შენ გაგაოცა
„ო, ძველო სულო, მაგრამ ჩემი საწადელია,
„რომ უფრო მეტად აწ გაოცდე და გაიკვირო

„იგი ვინც თვალთა, მიმართებას ჩემთა ანიჭებს,
„არის ვირგილი, რომლისგანაც შენ გისწავლია
„ღმერთებისა და კაცთა საქმის ლექსით შექება.

„თუ ჩემი ღიმის გამომწვევი სხვა რამ გეგონა,
„დასთმე ეგ აზრი და მერწმუნე მე მართალი ვარ
„და მის მიზეზი შენს სიტყვებში საძებარია.

და სული იგი დაუვარდა ფერხთით ჩემს ოსტატს,
სურდა ეკოცნა, მაგრამ ბრძენმა მიუგო: „ძმაო,
„ნუ შვრები ამას, რადგანაც ვართ მხოლოდ-ღა ლანდნი“

და აღსდგა იგი: „ახლა ხედავ იმ დიდ სიყვარულს,
„რომელიც ჩემში თავიდანვე შენ აღგიგზნია,
„ასე რომ სულ მთლად დამავიწყდა ლანდი რომ გავხდი;

„თავათაც ლანდნი სხეულებად მეჩვენა ლანდსა“.

## ᲫᲔᲑᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔ

ჩვენს უკან დარჩა ანგელოსი იგი უფლისა
ვინაც მეექვსე გარსისაკენ წინ მიგვიძღოდა,
მახვილის წვერით ვინც წამალა ჩემს შუბლზე დამღა;

ხოლო ისინი ვინც შეფრფენდნენ მართლივ განკითხვას,
გალობდნენ მწყობრად „ნეტარ იყვნეს“-ს ხმა შეწყობილად,
მაგრამ შესწყვიტეს როცა წარსთქვეს სიტყვა „მწყურვალნი.“

მეც უფრო მარდად, ვიდრე სხვაგან, სხვა ჯურღმულებში
დავწინაურდი მუხლის ძალის დაუძაბავად
და მეყვსეულად მივყევ სულებს აღმაჰიმავალთ.

10 მაშინ ვირგილიმ დასძრა სიტყვა, სთქვა: „სიყვარული,
„სიქველისაგან მომდინარე აღანთებს სხვასაც,
„როდესაც ალი თვალსაჩინო გახდება მისი

13 „იმ ხნიდან, როცა ჩამოვიდა ჩვენს შორის ლანდი
„იუვენალის ჯოჯოხეთის შემოგარენში,
„რამაც მე მამცნო ეგზომ დიდი თავაზი შენი

16 „და მეც ისეთი სასოება ვიგრძენ შენდამი,
„როგორიც არვის შეუგრძვნია მოყვასის მიმართ,
„მიტომც მსუბუქი მეჩვენება ეს საფეხურნი.

19 „მარქვი, თანაც გთხოვ მომიტევო შენსა მეგობარს,
„უკეთუ ოდნავ კადნიერი გეჩვენოს ეს თქმა,
„და მეგობრულად მესაუბრე ამიერიდან;

22 „მამცნე რარიგად დაეტია შენში სიძუნწე
„იმ დიდი სიბრძნის სიახლოეს, რომელმაც შენა
„გამუდმებული შრომისაგან აგივსო გული.“

25 ასე ნათხრობმა ჯერ ღიმილი მოჰგვარეს მცირე,
შემდეგ ამისა ეუბნება ვირგილს სტაციუს:
„შენი ნათქვამი სიყვარულის მაცნეა ჩემთვის;

28 „ეს მართალია, რომ მომხდარა ასეთი რამეც,
„იჭვნეულობას ხშირად იწვევს საბაბი მცთარი,
„როს დედააზრი ჭეშმარიტი შეფარვულია:

31 „ამ შეკითხვიდან გამოირკვა, რომ შენ გგონია,
„თიქოს მე ძუნწი ვყოფილიყავ იმ ცხოვრებაში,
„გარსის მიხედვით, რომელშიაც ვიმყოფებოდი.

34 „აწ ეს იცოდე, შორს ვიყავი განუსაზღვრელად
„მე სიძუნწისგან და სტანჯავდნენ ათასთვეობით
„ამ ცოდვისათვის დამნაშავე სულებს აქ, ქვემოდ.

37 „და მეც ოდესღაც გულისყური რომ არ გამეწვრთნა,
„და არ შემეგნო ის ადგილი, სადაც ამბობდი:
„ადამიანის ბუნებაზე გულამრეზილი:

40 „როგორ ახელებ, სიყვარულო ყვითელ ლითონის
„შენ მომაკვდავთა გაუმაძღარ ვნებათა ღელვას,“
„არ ამცდებოდა წამებანი ჯოჯოხეთისა.

„მაშინ შევიცან, რომ ზედმეტი ხელგაშლილობაც
„ამაო არის და ამრიგად მოვინანიე.
„როგორც ეს ცოდვა, ისე ცოდვა მრავალნაირი.

„ჰოდა, რამდენი წამოდგება თავგაპარსული.
„რადგანაც დროზე ვეღარ მიხვდნენ მონანიებას
„იმ ცხოვრებაში, ან სიკვდილის მძიმე წუთებში.

„ესეც იცოდე, ყოველ ცოდვის მოპირდაპირე
„სხვაგვარი ცოდვაც ბუნებითვე პირუკმოდ ქმნილი,
„თანაბარ სასჯელს და განკითხვას უნდა ელოდეს.

„და აქ დავყოვნდი უნებლიედ იმ სულთა შორის,
„ვინაც სიძუნწის ვნებისათვის განკითხულ იქმნენ,
„მე აქ პირუკმო ცოდვისათვის მერგო განწმენდა.“

„შენ უმღეროდი სასტიკ ბრძოლებს, რომელთაც მძიმე,
„ორმაგი დარდი მიანიჭეს ბედშავ იოკატს.“
სთქვა ბუკოლიურ შაირების ბრძენმა მგოსანმა

„სად შენთან ერთად კლიოს ხელიც სიმს ეხებოდა,
„არ სჩანს, რომ იმ დროს შენ გქონოდეს ისეთი რწმენა,
„რომლის უმისოდ ვერ მოიხვეჭს კაცი სიქველეს.

„მაშ რა სინათლე, ან მნათობი იყო რომელი,
„რამაც სიბნელე შემოგფანტა და გაიძულა
„ქველსა მეთევზეს მიჰყოლოდა აფრები შენი?“

მან უპასუხა: „შენ მაჩვენე გზა მე პირველად
„პარნასისაკენ და წყურვილიც იქ მოვიკალი,
„შემდეგ ამისა, მაზიარე უფლის სიქველეს.

„შენ მიემსგავსე იმას, ვინაც მრუმე ღამეში
„მიდის და მიაქვს თავის უკან სინათლის ჭაღი,
„თავათ არ ხმარობს, ხოლო სხვებს კი უნათებს გზასა.

„როცა ამბობდი: ახლდებაო თვით საუკუნო,
„ახალი სჯული მოჰყვებაო კაცთ პირველ ჰასაკს,
„ახალი მოდგმა დაეშვაო უკვე ზეციდან.

„ეს შენ მაქციე მე პოეტად და ქრისტეანად,
„მაგრამ თვალნათლივ რომ გავხადო ჩემი ნათქვამი,
„მე ხელს შევახებ და ფერადით შეკმოსავ ყოველს.

„უკვე ქვეყანა აღვსილიყო კიდითკიდემდე
„ახალი რწმენით და ახალი სარწმუნოებით,
„მარადიული საუფლოჲს მოციქულებით

„და თქმანი შენნი, რომელნიც მე ვახსენე ზემოდ,
„ჰარმონიულად შეეხამა მათ ქადაგებას:
„მეც მივეჩვიე მათ საუბრებს და სწავლას მათსა.

„მაშინ შევიცან მე სიწმინდე მათი უზადო
„და როს მათ დევნა დაუწესა დომიციანმა
„გოდებას მათსას ჩემი ცრემლიც ზედ ერთვებოდა.

„ასე, ვიდრემდის იმ სოფელში დავყოვნდებოდი,
„მე მათ ვშველოდი და მართალმა მათმა ცხოვრებამ
„მე მიმაჩვია სხვა რჯულისთვის მემზირა ზიზღით.

„ვიდრემდის ბერძნებს მივყვებოდი თებაჲს წყლებთან,
„ჩემის ლექსებით შევაქებდი. მე მოვინათლე
„და დაფარულად ვეწეოდი ქრისტეანობას,

„თუმც გარეგნულად წარმართობით მომჭონდა თავი;
„გულგრილობისთვის დავისაჯე მეოთხე გარსში,
„ოთხ საუკუნეს უგზო-უკვლოდ დავყიალობდი;

„ახლა შენ, ვინაც ჩამოხადე აწ საფარველი
„ჩემს შეგნებაში იმ სიკეთეს, რაც მე გაუწყე,
„ჩვენ კიდევ დრო გვაქვს დარჩენილი ზეასვლისათვის.

„მარქვი რა იქნა ჩვენი ძველი, ქველი ტერენცი,
„ცეცილი, პლავტი და ფერონი სადღა არიან?
„განკითხულ იქმნენ? ან ვიცოდე რომელ ერთ გარსში?“

„ისინი, პერსი, მე მათ შორის და სხვა მრავალი,
უთხრა მეგზურმა, იმ ბერძენთან აწ ვიმყოფებით,
„ვისაც მუზებმა მისცეს საზრდო ყველაზე ადრე;

„ბნელი დილეგის პირველ გარსში გამოკეტილნი,
„ჩვენ აქ ვსაუბრობთ იმ მთისათვის, რომელიც არის
„დედამძუძეთა ჩვენთა მუდმივ სამყოფელადა.

„იქ არის ჩვენთან ევრიპიდე და ანტიფონე,
„სიმონიდე და აგათონე და სხვა ბერძნები.
„რომელთა შუბლი შემკული აქვთ დაფნის გვირგვინით.

„შენი გმირებიც იქ არიან, თუნდ ანტიგონე,
გინდ დეიფილე, გინდ არგია, გინა ისმენა
კვლავინდებურად გულმწუხარე, ცრემლით აღვსილი.

„მასაც იქ ნახავ, ვინც უჩვენა ლანგიის წყალი.
„ტირეზიას ქალს და ფეტიდას ასულს მწყაზარსა,
„დეილამია თავის დებით გარს შემორტყმული,“

ორნივ დადუმდნენ ამ ადგილზე ანაზდეულად,
მიმოიხედეს, მოიხილეს შემოგარენი,
არ სჩანდა ირგვლივ გალავანი, არც რამ ბექობი.

დღის მოახლენი, ბარე ოთხნი ჩამორჩნენ უკან,
ახლა მეხუთე შემოაჯდა კოფოზე მზის ეტლს,
ცეცხლებრ მგზებარე ზეცისაკენ მიმართა იგი.

და სთქვა ოსტატმა: „მე მგონია ასე აჯობებს:
„მარჯვენა მხარი უფსკრულისკენ რომ მივაქციოთ
„და ამნაირად მოვუაროთ ამ მთისა ზეთავს.“

ამგვარად ირჩევა გადაგვექცა გზის მაჩვენებლად
და იმ ღირსეულ სულის მიერ არჩეულ გზასა
ჩვენ დავადექით უჭოჭმანოდ და უდრტვინველად,

ორნივ წინ იყვნენ და მე კიდევ მათ მივყვებოდი.
ვიდოდი მარტო, ყურს ვუგდებდი საუბარს მათსას
პოეზიისა მნიშვნელობის გამო დაწყებულს.

მაგრამ სულ მალე მათ შესწყვიტეს ტკბილსიტყვაობა,
შუაგულ გზაზე ხე ვიპოვნეთ გასაოცარი,
ტკბილი ნაყოფი აქვნდა ამ ხეს სურნელოვანი;

როგორაც ნაძვი ვიწროვდება კენწეროსაკენ,
ასევე ეს ხეც ძირისაკენ ვიწროვდებოდა,
რათა ვერავინ ასულიყო მასზე იოლად;

სწორედ იმ მხარეს, საითკენაც გზა იხშობოდა,
ნათელი წყარო ჩამოჰქუხდა მაღალ ფლატედან
და ეფრქვეოდა გარემშემო მოწოლილ მწვანეს.

ორივ მგოსანი ხეს მიადგა გაკვირვებული,
მწვანის წიაღში ხმა გაისმა სრულად უცნობი.
„თქვენ ამ საზრდოსი მონატრული გახდებით ერთხელ...“

„შემდეგ ამისა: „მეტს ფიქრობდა დედაჲ ღვთისა
„ქორწილს სისავსე და სიუხვე არ დაკლებოდა,
„ვიდრე თვის ბაგის ამ მეტყველის შესახებ ზრუნავს.

„და კმაყოფილნი იყვნენ ძველად რომის ასულნიც
„მარტოკა წყლის სმით, დანიელმა უარყო ჭამა
„და მოიხვეჭა მარხულობით სიბრძნე დიადი.

„ოქროსებრ ბრწყინავს საუკუნე უპირველესი;
„რკოს სიტკბოება ეს შიმშილმა მიაგო ერთხელ,
„ხოლო წყურვილმა ამბროზიად აქცია წყარო;

„მკალს და გოლეულს სჭამდა ერთ დროს ნათლისმცემელი,
„ასე სცხოვრობდა უდაბნოში გადახვეწილი,
„მიტომაც დიდად გახმიანდა მისი სახელი,

„როგორც გვასწავლის აქ მოთხრობილს აღთქმა ახალი.“

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ვიდრემდის მზერა მიპყრობილი მქონდა მწვანისთვის
ისევე, როგორც ასეთი რამ სჩვევია ხოლმე,
ვისაც მარადჟამს ფრინველებზე უჭირავს თვალი;

მომმართა მაშინ თვით მამაზე უძვირფასესმა:
„შვილო, აწ გვმართებს ეს დრო ჩვენთვის განწესებული
„გამოვიყენოთ უფრო მეტის მომჭირნეობით.“

მე გამოვბრუნდი, ავუჩქარე მყისვე ნაბიჯებს,
ასე რომ ბრძენებს წინ მიმავალთ ვსდევდი კვალდაკვალ,
საუბრის მათის გაგონება მიწყობდა ხელსა;

უცებ მომესმა მე ქვითინით თქმული გალობა:
Labia mea domine და განაგონმა
მე აღმიტაცა, თანაგრძნობა მოშგვარა თანაც,

„ტკბილო მამაო, ვისი ხმაა, ეს რომ მოგვესმის?“
მე შევეკითხე და მომიგო მან: „აქ ლანდები
„ვალდებულობის გადაკვანძულ მარყუჟებს ხსნიან.“

როგორც ფიქრებში ღრმად წასული მოგზაურები,
გზაში შეხვედრილ უცნობ პირებს თვალს შეავლებენ,
ერთს შეხედავენ, მაგრამ ნაბიჯს არ აუოვნებენ,

19 ასე ჩვენს უკან მიმავალნი აჩქარებულად
გულჩათხრობილნი, მდუმარენი, ამაყნი სულნი
წამოგვეწიენ, შემოგვხედეს და გაგვეცალნენ.

22 ყოველ მათთაგანს თვალი ჰქონდა ჩაშავებული,
სახე ფერმკრთალი, დაქანცული და დაცრეცილი,
ასე რომ ტყავი ზედ ეკვროდა დაშრეტილ ჩონჩხებს.

25 არა მგონია ამნაირად ჩამომხმარიყოს
თვით ერზიხტონიც, როცა იგი შიმშილის შიშსა
გამძაფრებულად განიცდიდა და იტანჯვოდა.

28 ფიქრში წასული მე ჩემსავე გულში ვამბობდი:
ეს ის ხალხია, ვინც დაჰკარგა იერუსალიმ,
როცა მარიამ საკუთარი შესჭამა შვილი,

31 თვალის უპენი ბეჭდებს ჰგვანდნენ, უთვალო ბეჭდებს,
კაცის სახეზე ვინც გაარჩევს წარწერას omo-ს
იგი ასო „m“-ს სულ ადვილად შენიშნავს კიდეც.

34 ვინ იფიქრებდა (თუ წინასწარ არ განიცდიდა),
რომ ნაყოფისა და სისველის ნელსურნელება
ასე ძლიერად აღაგზნებდა შიმშილის გრძნობას.

37 მე უკვე ჩემს თავს გულჩათხრობით ვეკითხებოდი
(რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდი ამის მიზეზი),
მათი სიგამხდრის, ნაქურცვენად გახდომის გამო,

40 უცებ ერთ-ერთმა ლანდთაგანმა მომაპყრო თვალი,
შემომაშტერდა სრულად მზერად გადაქცეული
და დაიყვირა: რა წყალობა მომენიჭაო!

43 მას ანაგობით მე ვერასდროს გამოვიცნობდი,
მაგრამ მისმა ხმამ ყოველივე გამომიმჟღავნა,
რაც მის დაღრეჯილ სახეზედაც იხატებოდა.

46 ამ ნაპერწკლებმა უნებლიედ დაკვესეს ჩემში
და აღადგინეს დარღვეული მისი არსება
და შევიცანი მეყვსეულად ფორეზეს სახე.

49 „ნუ შეგაძრწუნოს შემოხედვამ მჭკნარ ნაქურცვენის,“
ძახ შემომჩივლა და განაგრძო: „ნურც კანის ჭკნობამ,
„არც იმან, ტანი აგრე რიგად რომ დაჩიავდა;

52 „მართალი მითხარ შენს შესახებ, ან ის ორი სხვა
„ვინღა არიან საოცარი მხლებელნი შენნი?
„გემუდარები ამ ჩემს ნათქვამს შეეხმიანე.

55 „ეგ შენი სახე ერთხელ უკვე გამოვიტირე,
„უკვე ნაკლები მწუხარება თუ იწვევს ცრემლებს.“
და მე მივუგე: „თუმცა აქაც ვხედავ დაღრეჯილს,

58 „ღვთის გულისათვის მამცნეთ აგრე რატომ გამხდარხართ?
„სიტყვების წართქმას ნუ მაძალებთ გაოცებულსა,
„ვერ ისაუბრებს ვინაც ზრუნვით აღვსილა უკვე.“

61 მანაც მომიგო: „მარადიულ თათბირის ძალით
„ხესა და წყალსა და ჩვენს უკან დაშთენილს მიწას
„აქ ეახლება ზენა ძალი, რამაც გამახმო.

64 „და ეს სულები ცრემლის ნთხევით აქ მომღერალნი,
„რაკი იმ სოფელს სტომაქს მეტად ანებივრებდნენ,
„შიმშილისა და წყურვილის გზით იწმინდებიან.

67 „ჭამა-სმის სურვილს უცნაურად გვიღვიძებს
„ნაყოფისა და წყლის შხეფისგან მოსული სუნი,
„ეგ სუნი ფოთლებს ზედაპირზე ედება ხოლმე.

70 „განა თუ ერთგზის, მრავალგზისაც როცა დავდივართ,
„ამ შარაგზებზე გვიახლდება წამება ესე.
„წამება-მეთქი? უნდა მეთქვა უთუოდ ლხენა,

73 „რადგანაც ნება ამ ხისადმი ლტოლვილებისა,
„იგივე არის რამაც ქრისტეს წამოაცდინა:
„ილი, ილიო“, როცა სისხლით გამოგვისყიდა,

76 და მე: „ფორეზე იმ დღის შემდეგ, რაც შენ გასცვალე
„წუთისოფელი აქ უკეთეს ცხოვრებისათვის,
„ნუთუ არაა ჯერ გასული წელი მეხუთე?

79 „თუ შეცოდების ძალი უკვე გამოგელია,
„ვიდრე დადგება ჰეშმარიტად მოქცევის ჟამი,
„რითაც უფალთან წილნაყარი გავხდებით ისევ;

82 „როგორ მოსულხარ შენ აქამდის, ასე მეგონა,
„შევეყრებოდით ჩვენ ურთიერთს იქ სადმე ქვევით.
„სადაც დროს დათქმულს აღადგენენ ისევე დროით.“

85 მან კი მომიგო: „ამ ხანმოკლე დროის მანძილზე
„ტკბილი ტანჯვისა ნექტარის სმას აქ რომ ვეღირსე,
„ეს ჩემი ნელლას ცხელი ცრემლის ნაყოფი არის.

88 „გულწრფელი ლოცვით და მხურვალე ვედრების ძალით
„მანვე მომსწყვიტა ფლასით მოსილ ქენჯნის სამყაროს
„და მეც სხვა გარსნი ამიტომაც დავაგდე უკვე.

91 „ღმერთს ებრალება, უყვარს იგი და ეს მით უფრო,
„რომ ჩემი ქვრივი, საყვარელი ჩემთვის არსება,
„მარტოა არის და სიქველის მოჭვედი თანაც.

94 „და სარდინიის ბარბაჯია უფრო ნაკლებად,
„უტიფარია ქალთა მიმართ, ვიდრე ის მხარე,
„სადაც დავტოვე საყვარელი ჩემი მეუღლე;

97 „ძვირფასო ძმაო, სხვა რა გითხრა მე ამის მეტი?
„მე უკვე ვხედავ დროს მომავალს, როცა ჯერ კიდევ
„დღევანდელი დღეც არ იქნება დავიწყებული,

100 „როცა საქვეყნოდ გაიცემა განკარგულება,
„რომ ფლორენციის ბოზ დიაცებს აეკრძალებათ
„მკერდის და ყელის გაშიშვლება ურცხვად, საჯაროდ,

103 „არც ბარბაროსთა, არც სარაცინთ ცოლებისათვის,
„არვის ჩაუცვამთ იძულებით ტანისამოსი,
„არც თუ კანონის დაძალება დასჭირვებიათ,

106 „ჰოდ, იცოდნენ გულარძნილმა დედაკაცებმა,
„თუ რას ამზადებს სწრაფმდინარე ზეცა იმათთვის,
„მაშინ ბაგენი გმინვისათვის განეხვნებოდათ,

109 „და თუ განგებას შეცდომაში აქ არ შევყავარ,
„უმალ ეწვევა მათ ვარამი, ვიდრე ულვაში
„აკვანში მწოლარ ჩვილებს ლოყას დაუმშვენებდეს.

112 „ახლა შენც აქ ხარ, გიჯობს, ძმაო, გახდე აშკარა,
„განა მარტო ვარ, ხომ უყურებ, სულნი მრავალნი
„ხედავენ იმ ლანდს, რომელიც შენ აგყვა გზისაგან.“

115 და მე მივუგე: „თუ აღადგენ ახლა ხსოვნაში,
„თუ რა ვიყავით ჩვენ ორნივე ურთიერთისთვის,
„ეს მოგონება ახლა მძიმე იქნება ფრიად.

„მე იმ ცხოვრებას აი ამან ჩამომაცილა,
„ვინც წინ მიმიძღვის და ეს იყო აგერ გუშინწინ,
„როს დაი მისი, თქვენაც მრგვალად გეჩვენებოდათ.

„და მივუთითე წამსვე მზეზე. „ჩემთან ვიდოდა
„მიცვალებულთა დაულეველ მრუმე ღამეში.
„ეს ხორცი მესხა, მივყვებოდი კვალდაკვალ ოსტატს,

„გამამხნევა და ამ ბექობზე ამომიყვანა
„აღმა და დაღმა მივყვებოდით, მთას გარს ვუვლიდით,
(სადაც სწორდებით ცხოვრებაში მრუდედ მავალნი),

„თავათ დამპირდა მეგზურობას ბელადი ჩემი,
„სანამ მივაღწევ ბეატრიჩეს ადგილ სამყოფელს
„და იქ უმისოდ მომიხდება ალბათ დარჩენა;

„მაცნე ამისა არის თვითონ ვირგილიუსი."
ვთქვი, თანაც ხელი მივაშვირე: „მეორე ლანდი
„იგია, ვისთვის ირყეოდა საუფლო თქვენი,

„როდესაც თავათ გაეყარა იმ საიქაოს."

## ᲥᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲗᲮᲔ

არ აყოვნებდა სვლა საუბარს, არც სიტყვა სვლასა,
მივსაუბრობდით, მივდიოდით ნაბიჯით ჩქარით.
ვითა ხომალდი ზურგის ქარით გატაცებული.

ორგზის გადაცვლილს მიაგავდნენ აჩრდილნი სახით,
გაოცებულნი შემცქეროდნენ ბნელ უპეთაგან,
რა მოსაუბრე და ცოცხალი შეიცვნეს ჩემში.

მე განვაგრძობდი ჩემს სათხრობელს, ვამბობდი ასე:
„ეგებ ამ ხალხმა შეანელოს აწი აღმასვლა,
„რათა ჩვენც შევძლოთ უფრო დინჯად განვაგრძოთ გზაი;

„გვამცნე თუ იცი, სად ვიპოვნოთ ჩვენ აქ პიკარდა?
„წარჩინებულნი თუ არიან ამ დიდ კრებულში,
რომელიც აგრე დაჟინებით მე მითვალთვალებს.

„სათნო და ტურფა. მე არ ვიცი რომელი უფრო,
„ჩემი დაიკო ნეტარებას ეძლევა სრულსა.
„გვირგვინოსანი იქ ოლიმპის მაღალ მწვერვალზე."

16 ასე დაიწყო სულმა სიტყვა, შემდეგ განაგრძო:
„არვის გვეკრძალვის ერთმანეთის დასახელება,
„რადგანაც მარხვამ წარგვიხოცა სახე ყოველთა.

19 „აი ეს სული". მიგვითითა, ბონაჯუნტაა,
„ლუკასს მცხოვრები და მის უკან მდგომარე ლანდსა
„ყველაზე მეტად განაწამებს, სხეულით გვემულს

22 „ოდესღაც წმიდა ეკლესია ებარა თავათ,
„ტურის მკვიდრია და მარხულობს აქ ვერნაჩიას,
„ტკბილი ღვინისა და ბოლსენის თართის მიმრთმევი."

25 თანდათანობით გვაჩვენებდა სხვადასხვა სულებს
და როგორც სჩანდა, არც მათ სწყინდათ რომ ახსენებდნენ;
ასე რომ, არც ერთს მისდგომია წყენისა ჩრდილი.

28 ვნახე თუ როგორ იღლებოდა ამაო ღეჭვით
იქ უბალდინი და ბონიფაც, ვინაც ოდესღაც
დიდძალ ხალხს თავის ყავარჯენით ასაზრდოებდა."

31 მესირ მარჩეზე დავინახე ვინც ფორლში ღვინოს
მარტო წყურვილის მოსაკლავად როდი ხმარობდა,
სვამდა და წყურვილს ვერ იკლავდა ვეღარასოდეს.

34 როგორც მავანი კაცი ვინმე მიმოიხედავს,
ერთს გამოარჩევს მრავალთაგანს უპირატესად,
ასე მოვექეც ლუკას მცხოვრებს, რადგან ვხედავდი,

37 ყველაზე მეტად მას სწყუროდა შემოსიტყვება.
წაიბუტბუტა „ჯენტუკაო" და წართქმულს მისას
ყური მოვკარი და მივმართე მყისვე ამგვარად:

40 „ჰოდ აჩრდილო, როგორც გატყობ მონატრული ხარ
გამესაუბრო, მიწილადე ზრახვა გულისა,
„რათა ორივე დაგვამშვიდოს შენმა ნათქვამმა."

43 „კახსენებ იმ ქალს, ვისაც ჯერაც არ მოსავს რიდე,
განაგრძო სულმა, და ამ ქალის მეოხებითაც
„ჩემი ქალაქი შენც უთუოდ მოგგვრის სიამეს.

46 „წინასწარ თქმული ესე შენაც დაგეუფლება,
„და თუ ვერ ჩასწვდე შენ ჩემს ჩურჩულს გონების ძალით
„სინამდვილეში აგიხდება ჩემი ნათქვამი.

„ახლა მითხარი შენ ხომ ის ხარ, რომელმაც ერთხელ
„ახალი სიტყვა დააფუძნა ამგვარი ლექსით:
„Donne che avete inteletto d'amore!"

და მე მივუგე: „ასეთი ვარ, ამურის მიერ
„შთაგონებულსა ყურს მივუგდებ და ასე ვმღერი
„და ჩემს გულის თქმას ამნაირად ვამცნობ სამყაროს.

„ან ვხედავ ძმაო, „მიპასუხა" მე იმ მარყუჟსა,
„რომელიც ნოტერს მე და გვიტტონს არ გვანებებდა
„შენი ახალი ტკბილი სტილი გვეყო საცნაურ,

„ვხედავ ეს არის პოეზიის თქვენის დიდება,
„თქვენი კალამი გულის კარნახს რომ აჰყოლია,
„და ეს ჩვენთაგანს არ რგებია არასდროს წილად.

„ხოლო ისეთნი, ვინც უკეთესს მიესწრაფვიან,
„ამ ორგვარ სტილში ჯერ კიდევაც ვერ გარკვეულან
„და სდუმან ისე, ვით კმაყოფილს სჩვევია ხოლმე."

როგორც ფრინველნი ნილოსის პირს გადანაზამთრნი,
ხან ერთ ადგილას ხროვა-ხროვად მოსჯარდებიან,
ხანაც უეცრად მოფრინავენ მწკრივად ეთერში;

სწორედ ასევე მოგროვილთა იმ ადგილს სულთა
პირი იბრუნეს და გაფრინდნენ სწრაფი რიალით,
რაკი სიმჩატე და სიგამხდრე უწყობდათ ხელსა.

ვითარცა მგზავრი მოქანცული სიარულისგან
თავის თანამგზავრთ ჩამორჩება ნელის ნაბიჯით
და სულს მოითქვამს ჩქარი სვლისგან ღონემიხდილი,

ასე ფორეზეც ჩემსკენ მოდგა, ჩამორჩა სულებს,
გამომყვა უკან. მეუბნება ნელის ჩურჩულით:
„მარქვი ოდესმე თუ ერთმანეთს შევხვდებით კვალად?

„არ ვიცი-მეთქი თუ რამდენხანს ვიცოცხლებ კიდევ,
ვუპასუხებდი. მაგრამ ჩემი სულისა სწრაფვა,
„აქ მოსვლის ყავლსა წინ უსწრებდა საიქიოშიც,

„რადგან ადგილი მიჩნეული ჩემთვის სამშობლოდ
„დღითი-დღე ჰკარგავს თვის სიქველეს სახენაცვალი
„უფსკრულისაკენ დასაქცევად დაქანებული."

„იარე, მითხრა, იგი ვისაც ედება ბრალი
„ქვეყნის დაქცევის, მიბმულია მხეცისა კუდზე
„და მიათრევენ ცრემლის ველზე განსაკითხველად.

„მიჰქრის ნადირი და იქროლებს დაუცხრომელად,
„ვიდრე მის სხეულს დაამსხვრევდეს ზედ მოკიდებულს
„და მიაგდებდეს საზარელად დასახიჩრებულს.

„არც ისე ბევრჯერ მოასწრებენ სფერონი ცისა
„შემობრუნებას“ (სთქვა, ახედა მყისვე მან ზეცას)
„და უჩემოდაც შენ გაიგებ ყველაფერს ცხადად.

„ახლა დაგტოვებ, ძვირფასია დრო ამ მხარეში.
„უეჭველია ბევრს დავკარგავ, აქ რომ დავყოვნდე,
„ნელი ნაბიჯით რომ ვიარო მეც შენთან ერთად“.

როგორც ჭენებით გაქანებულ ცხენოსანთ შორის
ერთი ჯირითით წინ გამოსწევს ვინმე მხედარი,
რათა პირველი მოჯირითე შეერქვას მერმე,

ასე გაგვშორდა, გაგვეყარა ჩვენ სული იგი,
მე კი მივყევი იმ ორივეს სულს წარჩინებულს,
ვისაც მიწაზედ მოძღვართ-მოძღვრის ერქვა სახელი.

როდესაც იგი ჩვენ გაგვშორდა ისეთ მანძილზე,
რომ ჩემი თვალი მას ისევე კერ ეწეოდა,
როგორც გონება ჩემი მისნურ ნაუბარს მისას;

მე თვალი მოვჰკარ ნაყოფისგან დახუნძულ ტოტებს
მეორე ხისას, მოშორებით გზიდან მდგომარის
და მივაპყარი მზერა ჩემი მყისვე იმ მხარეს.

მზის ქვეშ ბრბო იდგა შტოებისკენ ხელაწეული
და წვეროკინას უცქეროდნენ, ყიოდნენ თანაც,
როგორც ბალღები, როს ჩოჩქოლით ითხოვენ რამეს,

მაგრამ ის კაცი, ვისაც სთხოვენ, სდუმს განგებისად
და ახირების მათის მეტად გასამძაფრებლად
უფრო მაღლა სწევს მავედრალთა ვედრების საგანს,

ბრბო დაიშალა, თითქოს სასოწარკვეთათო,
ამასობაში მივეახლეთ ჩვენ ხესა დიადს,
რომელმაც ყური არ ათხოვა ესდენ ვედრებას.

„სხვა გზით იარეთ და გერჩიოს არ მოგვეახლოთ.
„იქ მთაზე ხე სდგას, რომლის ნაყოფს მიენდო ევა,
„ხოლო ეს ტოტი იმ ხისაგან აქ აღმოცენდა.“

ეს გადმოგვძახა ჩვენ ვიღაცამ ხის შტოებიდან;
ვირგილი, მე და სტაციუსი მივყევით ფლატეს,
კლდეს მივეკარით, ნაპირ-ნაპირ ვიარეთ ასე.

მოიგონეთო, განაგრძობდა „ის დაწყევლილი,
„ღრუბლის ნაშობი კენტავრები ორმკერდიანი.
„ვინაც შემუსრა სიმთვრალეში თვით თეზეოსმა

„და ებრაელნი ვერ შემძლებნი წყურვილის თმენის,
„თანამებრძოლად დაიწუნა გედეონ გმირმა,
„როცა მთებიდან თავს დაესხა მადიანიტებს.

ჩვენაც ერთ-ერთი გზის ფლატეთა გასწვრივ ვიარეთ,
„თანაც ვისმენდით ვით კილავდნენ ღორმუცელობას,
„ნაყოფის ცუდის ოდითგანვე გამომღებელსა.“

შემდეგ ამისა ჩვენ ცალ-ცალკე მივსდევდით ბილიკს,
ბარე ათასი გავიარეთ ნაბიჯი ასე,
ყოველ ჩვენთაგანს საკუთარი ართობდა ფიქრი.

„რატომ მიდიხართ სამივენი ჩაფიქრებულად?“
შემოგვესიტყვა კვლავ ვიღაცა და შევკრთი მეცა,
როგორც ნადირი ჩქამისაგან დაფეთებული.

ზეავიხედე რათა მთქმელი გვენახა თვალით,
ჯერ გაცხელებულ თონეშიაც არვის უნახავს,
ასე წითელი ლითონის, გინდ შუშის ნაჭერი,

როგორც ამ სიტყვის წარმომთქმელი იყო იმ წუთში:
„მთაზე ამოსვლა თუ მოგინდეთ აქ მოუხვიეთ
„და გაგეხსნებათ გზა მშვიდობის ამ სავანეში.“

თვალთ დამიბნელდა სახის მისის ბრწყინვალებისგან,
უკუქცეული მყის მივყევი ჩემ წინამძღვართა,
როგორაც კაცი მიმავალი ხელის ფათურით.

ვითა ცისკარის ტურფა მაცნე მაისის თვეში
ნელ სურნელებას წარმოგზავნის ნიავის პირით,
ყვავილთა ფშვენით და ბიბინით თავბრუდასხმული,

ასეთი ქარი მომეახლა იმ წუთში შუბღზე,
სმენას ფრთებისა გაქროლებაც არ გაპარვია
და ამბროზიის სურნელება მისწვდა ჩემს ყნოსვას

და გავიგონე: „ჭეშმარიტად ნეტარ არიან
„ვისაც ღვთის ცეცხლი განუჭარვებს გაუმაძღრობას,
„ვისაც სიხარბე ვერ დაუხშობს სიკეთეს გულში,

„ვისაც მართლის ქმნის მარტოოდენ სჭირდეს შიმშილი“.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲮᲣᲗᲔ

დრო მომდგარიყო აღმასვლის და არდაყოვნების,
მერიდიანზე შემდგარიყო უკვე კუროჲ,
ღამეს ანაზდად ღრიანკალი შენაცვლებოდა.

იმ კაცის დარად, ვინც ისწრაფვის დაუცხრომელად,
არავის აგდებს აინუნშიც ვინც არ შემოხვდეს,
როდესაც დეზი გაჭირვების სვლას აიძულებს,

ასე შევდით კლდეთა შორის შთენილ ნაპრალში
და სათითოოდ მოვყვებოდით ჩვენ საფეხურებს,
გზა იყო ვიწრო და დუჯჭირი ზედგასავლელად.

ვით ყანჩის მართვე ფრთებს ზეასწევს ამოსაფრენად,
მაგრამ ვერ ბედავს დატოვებას მშობლიურ ბუდის;
შეიშმუშნება და ისევე დაუშვებს ფრთებსა,

ასევე ჩემშიც ინთებოდა, ისევ ჰქრებოდა
კითხვის სურვილი, ვიქცეოდი ისეთნაირად,
როგორაც კაცი სასაუბროდ შემზადებული.

მყის ტკბილმა მამამ შეამჩნია, არ დააყოვნა
(თუმც ვისწრაფოდით და სამივე მივიჩქაროდით)
მითხრა: „მოუშვი მეტყველების შენისა მშვილდი.

მაშინ ბაგენი მეც განმეხვნენ და წარვთქვი ესა:
„როგორ იქნება იქ გახდომა, ხორცის დავსება,
„სადაც არავინ საჭიროებს კვების მიღებას?“

„შენ რომ შეგეძლოს მოიგონო თუნდ მელეაგრი,
„როგორ დაიწვა, ვიდრე ცეცხლი დასწვავდა ძელსა,“
მითხრა: „ამასაც მიხვდებოდი და ჩასწვდებოდი,

„თუ წარმოიდგენ რომ სხეულის თქვენის შერხევა,
„როგორ ატოკებს სარკეშიაც ანარეკლს მისას,
„ასე რომ რბილი შესაძლოა გეჩვენოს მკვრივად;

„სურვილთა შენთა მისახვედრად სჯობს სტაციუსმა,
„მე მას მივმართავ. მოგასმინოს თათბირი თვისი
„და გახდეს იგი იარათა შენთა სალბუნი.“

„იქ, სადაც შენ ხარ, მარადიულ ამბების გამო
„მე მას ვასწავლო. გავუმჟღავნო რამ იდუმალი,
„ეს არ შემშვენის. ნაცრამ იყავ აწ ნება შენი.“

შემდეგ დაიწყო სტაციუსმა: „გონებამ შენმან
„სიტყვანი ჩემნი თუ შეიგნო და შეითვისა,
„ისინი „რატომს“, შენგან წართქმულს მოჰფენენ ნათელს.

„სისხლსა უკეთესს არასოდეს შეისრუტავენ
„ადამიანის ნაგებობის ხარბი ძარღვები,
„სტოვებენ, როგორც ტრაპეზიდან მორჩენილ საზრდოს;

„კაცის სხეულის ყველა ასოს ანიჭებს ფორმას
„გული კაცისა და გულისგან გამომდინარე
„სისხლი მოყვება მერმე ძარღვებს თანდათანობით.

„შემდეგ ხელახლა გადაქმნილი წავა იქითკენ,
„რომლის ხსენებას. არხსენებას არჩევენ ხოლმე;
„აქ სხვანაირ სისხლს უერთდება ბუნებრივ ჯაჭში,

„ორგვარი სისხლი შეერწყმიან მერმე ურთიერთს,
„ორივე მხარის ქმედობისა კანონის ძალით,
„ერთი მქმნელია და მეორე ტანჯვის მიმღები.

„ქმედითი ძალა აბორგდება, ამოძრავდება,
„დაიწყებს დენას, გამუდმებულ დენის მანძილზე
„სისხლს თანაშერწყმულს მიანიჭებს იგი სიცოცხლეს.

„ამგვარად ძალა შემომქმედი იქცევა სრულად,
„იგი მცენარის სულს მიაგავს იმ განსხვავებით,
„ერთი გზაზეა და მეორე ნაპირთან მდგომი.

„გრძნობას მოიხვეჭს ამნაირად და მოძრაობას
„ზღვის ღრუბლის დარად მოიმარჯვებს ისეთ ორგანოდ,
„რომელთა დკრიტა დასაბამით მოცემულია.

„სწორედ ასევე ვითარდება, ო, შვილო ჩემო, —
„მამის გულისგან მომავალი ყოვლი სიქველე,
„მასში მთვლემარე ოდითგანვე კავშირნი სრულნი.

„მაგრამ თუ როგორ ეს პირუტყვი ამეტყველდება
„ჯერ არ გიყვია შენ საცნაურ და ამ სიძნელემ
„თვით ბრძენთაბრძენიც შეაყენა შეცდომის გზაზე.

„ასე რომ თავის მოძღვრებაში იგი სულისგან
„სთიშავს ყოველგვარ, შესაძლებელ ნიჭს გონებისას,
„რადგანაც სულში ვერ პოულობს შესაფერ ასოს.

„ჰეშმარიტებას გული შენი გადაუშალე,
„თანაც იცოდე რომ დვრიტაში სახიერდება
„სრულქმნა გონებით წარმოშვებულ ნიჭიერების.

„პირველთა ძალთა შემოქმედი შეიცნობს შვებას
„რა კი იხილავს ამ ბუნების ხელოვანებას
„და შთაუბერავს მას ახალ სულს, სულს ძლევამოსილს.

„და რასაც ნახავს იქ აქტიურს ითვისებს თავათ
„თავის სუბსტანციში და იქმნება მთლიანი სული,
„რომელიც სცოცხლობს, თავისთავად მიმოიქცევა.

„თუ ეს სიტყვები მოგეჩვენოს შენ ბუნდოვანად,
„ნახე მზის სითბო ვით იქცევა მზვარეში ღვინოდ,
„მტევნებისაგან გადმოჟონილ წვენთან შერწყმული.

„როცა ლახეზისს დაელევა სართავი ძაფი,
„სული სხეულსა გაეყრება ანაზდეულად
„და თან წაიღებს მიწიერსაც და ზეციერსაც:

„მათში პირველნი მაშინათვე იშრიტებიან,
„ხოლო გონება, ნებისყოფა და ხსოვნის ნიჭი
„მომეტებულად მძაფრდებიან და ბასრდებიან;

„სასწაულის გზით ჩაინთქება ის თავისთავად,
„ერთ-ერთ ნაპირზე ნუგეშინის ცერა მპოვნელი
„და აქ შეიცნობს ის პირველად საკუთარ გზასა.

„როგორც კი დათქმულს სული იგი მიაღწევს ადგილს,
„ფორმად ქმნის ნიჭი მან აქ უნდა გამოაშუქოს
„თუ სიცოცხლეში თავის სახსრებს კვებავდა შუქით,

„როგორც ხანდახან წვიმისაგან გაჟღენთილ ჰაერს
„გარსმოწოლილი ანარეკლი ნათელ მთიების
„ააციმციმებს გასაოცარ ფერთა სიუხვით,

„ასევე აქაც იმავ ფორმას იხვეჭს ჰაერი,
„რომელიც მასზე გაავრცელა მოსულმა სულმა
„თავის წიაღით მომდინარე ძალის წყალობით.

„მსგავსად ცეცხლისა, მუდამ ჟამს რომ თანა სდევს ალსა,
„ასევე სულსაც თან დაჰყვება ახალი ფორმა
„და ანაგობა მიღებული ხელახლა ქმნისას.

„ახალ ფორმაში გაბრწყინდება იგი ხელახლა
„და ამიტომაც შეერქმევა ამ სულს ფანტომი
„აღიჭურვება ყოველგვარი შეგრძნობის ნიჭით.

„ამ გზით ვმეტყველებთ ჩვენ კიდევაც ვგრძნობთ და ვიცინით
„ვიოხებთ სევდას, ცრემლებს ვანთხევთ და ვოხრავთ კიდეც,
„რაც არა ერთხელ ამ მთაზედაც გსმენია ალბათ.

„და ისეთ ფორმას აქ ღებულობს, აქ ჩვენი ლანდი,
„როგორ ვნებებს და მღელვარებას განიცდის სული,
„აქ არის სწორედ გაოცების შენის მიზეზიც.“

ჩვენ უკანასკნელ სატანჯველთან მივსულიყავით.
მარჯვენა მხრისკენ გამოვბრუნდით, მივყევით გზასა
და გულისყური აქ მიიპყრო სულ სხვა საგნებმა.

ნაპრალის ფლატეს მოსდებოდა მგზნებარე ალი,
ხოლო ბილიკზე ადიოდა ალის გრიგალი,
რომელიც ხანძარს უფსკრულისკენ ერეკებოდა.

ჩვენ მოვდიოდით სათითოოდ ნაპრალის პირზე,
სიარულის დროს მე ხან ხანძარს ვერიდებოდი,
ხანაც ვშიშობდი არ ჩავენთქე უფსკრულის ხახას,

მითხრა მეგზურმა: „გიჯობს ფრთხილად გეჭიროს თავი,
„მზერას ლაგამი სჯობს ამოკ დო, ასე იარო.
„არ გადაგიცდეს ბილიკიდან უფსკრულში ფეხი.

„Summae Deus clementiae“ მომესმა უცებ
ამ დიდ ხანძარის შუაგულში ხმა მოგუგუნე
და მეც მომინდა დამენახა თუ რა ხდებოდა.

ვიხილე სულნი მოძრაობდნენ ცეცხლმოდებულნი,
ხან ჩემს ნაბიჯებს ყურს ვუგდებდი და ხანაც ძათსას,
ვიმზირებოდი აქეთ-იქით გაოცებული.

რა მოათავეს მათ გალობა ჩვეულებრივი
მყის დაიქუხეს: „Virum non cognosco“
და კვლავ დაიწყეს მათ გალობა ხმადაწეული.

დასასრულ ისევ დაიქუხეს: „ტყეში დიანამ
გაიმარჯვა და გამალებით ილტვის კალისტო,
რაკი იგემა ვენერასგან მიძღვნილი შხამი“.

კვლავ განაახლეს მათ გალობა, აქებდნენ ვაჟებს
და უგალობდნენ დიაცებსაც, ვისაც ცოლქმრობა
კანონით დაცულ უბიწობით უტარებიათ.

ვგონებ ჟივილი არ სწყდებოდა, ვიდრემდის სულებს
გარსმოდებული ცეცხლის ალი არ სცილდებოდა,
ამ გზით ხდებოდა ამ სულების სრული განკურვნა,

რათა იარა მორჩენოდათ უკანასკნელი.

## ᲥᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲥᲕᲔ

როს სათითოდ მივყვებოდით გზას კლდის ნაპირას,
წინ მივდიოდით და ოსტატმა მითხრა შემდეგი:
„გიჯობს თათბირი მრავალგზისი შენ ყურადიღო.“

მე კი მზის შუქი მაცხუნებდა მარჯვენა ბეჭზე.
უკვე დასავლის სანახებში, ნათლისა მთიებს
ლაინის ფერი შეეცვალა ხასხასა თეთრით.

ჩემი აჩრდილი მომეტებულ სიწითლეს ჰგვრიდა
ალისა ლაპლაპს და ეს მცირე უცნაურობა
ვამჩნევდი სულებს გზად მიმავალთ ვით ანცვიფრებდა.

და ეს ამბავი, შევამჩნიე, გახდა საბაბი
მათვის ჩემს გამო საუბრისა, სთქვეს აჩრდილებმა:
„როგორც სჩანს ჩვენსკენ მომავალი არაა ლანდი.“

მომიახლოვდნენ შესაძლებელ მანძილზე, შემდეგ
წინდახედულად მიდიოდნენ. სცდილობდნენ თანაც
არ გადაყროდნენ ძოგიზგიზე გრიგალს ცეცხლისას.

16 „ჰოდ. შენ, ვინაც უკან რჩები არა სიზანტის,
„როგორც სჩანს კრძალვის მეოხებით მაუწყე, სულო.
„მე ვისაც სიცხე და წყურვილი შემომგზნებია;

19 „არა თუ მარტო მე მჭირდება პასუხი ესე,
„არამედ ყველას, ვისაც სდაგავს წყურვილი მეტად,
„ვიდრე ეთიოპს და ინდოელს ცივი ბინული.

22 „გვამცნე ვით შესძელ კედლის დარად მზისგან განდგომა?
„მიდიხარ ისე უშიშარად და უზრუნველად,
„თითქოს არ იყვე ჯერ სიკვდილის ქსელში გაბმული!“

25 სთქვა მათთაგანმა და მე უკვე ვემზადებოდი
პასუხისათვის, როს ამ წუთში ახალ მოვლენას
მე მივაპყარი უნებლიედ გულისაყურე;

28 ვხედავ მოჰქრიან ალმოდებულ გზის შუაგულში,
მოჰქრიან სულნი დამხვდურთ მიმართ პირშექცეულნი
და სწორედ ამათ მაიძულეს მეც მიმეხედნა.

31 ვნახე ორ მხრიდან გამოჰქანდნენ ლანდები მწკრივად,
შეხვდნენ ურთიერთს და დაიწყეს ხვევნა. ალერსი;
გზას განაგრძობდნენ წუთიერად გახარებულნი.

34 ასე ჯინჭველნი მოზიმზიმე, შავ ქარავანში
შეიყრებიან, მიუშვერენ ურთიერთს დინგებს.
ჰკითხავენ, ალბათ, ავკარგის და ნადაელის ამბავს.

37 რა მიესალმნენ მეგობრულად სულნი ერთმანეთს,
ორივე მხრიდან, ვიდრე ნაბიჯს წარსდგამდა ვინმე,
ატყდა ყვირილი, მომხვდურებს და დამხვდურებს შორის.

40 ახლად მოსულთა დაიყვირეს; „სოდომ და გომორ.“
დამხვდურთ მოუგეს: პასიფეა ძროხად გადიქცა,
„რათა მოზვრისთვის მოეგვარა ვნებათა ღელვა“.

43 და ვით წერონი ერთნი რიფეს მთისკენ დაძრულნი,
სხვანი უდაბნოს ხვატისაკენ გადაფრენილნი,
ერთნი სიცივეს, მეორენი მზეს შორდებოდნენ,

46 ასე ლანდებიც მიდიოდნენ და მოდიოდნენ,
გოდებით კვალად ძველ სიმღერებს უბრუნდებოდნენ,
გალობდნენ ისე, როგორც ეს მათ მოუხდებოდა.

49 კვლავ მომეახლნენ ვინც პირველად მევედრებოდნენ,
ისინი, ვინაც ჩემზე ადრე დაადგნენ გზასა,
ვის სახეზედაც ვკითხულობდი მოსმენის სურვილს.

52 მე კი ვინც ორგზის მოვისმინე ვედრება მათი,
ვთქვი: „ჰე, აჩრდილნო, ვისაც გჯერათ რომ უეჭველად,
„ოდესმე თქვენაც წილად გხვდებათ სულის მშვიდობა,

55 „არცა სიყრმეში, არც უმწეო მიხრწნილებაში
„ჩემი სხეული იქ მიწაზე არ დარჩენილა,
„ის ჩემთანაა მჭონებელი კავშირთა სრულთა;

58 „ამ გზას მივყვები, რათა ვძლიო აწი სიბრმავეს,
„ზენარმა დედამ მომანიჭა მადლი ესდენი,
„ჩემს მოკვდავ სხეულს თან ვატარებ თქვენს სამკვიდროში.

61 „წადილი თქვენი აგხდომოდეთ სულ მცირე ხანში
„და ღირსებოდეთ სამუდამოდ ცად დამკვიდრებას,
„რადგან ზენარის მადლს არ უჩანს აღარსად კიდე,

64 „მაუწყეთ, რათა გადვიტანო ესეც ქაღალდზე;
„ვინა ხართ თქვენა ან ვინაა კრებული იგი,
„ვინც შორიახლო თქვენთან ერთად მიყვება გზასა?“

67 როგორც მთიელი უხეში და გაურანდავი,
გაოცებული თვალს აცეცებს მორიდებულად,
როცა ქალაქში მოუხდება ჩამოხეტება,

70 ასევე ლანდებს შეეცვალათ სახის იერი,
როგორც კი თავი დააღწიეს ძრწოლისა ელდას,
რომელიც დიდხანს ვედარა ფლობს სულს კეთილშობილს:

73 „ნეტარ იყავ შენ, — სთქვა, — ვინც მოხველ ჩვენს
სამკვიდროში“ —
სულმა, რომელიც შემესიტყვა თავდაპირველად,
„ცნობიერებას იხვეჭ ახალს მერმისისათვის.“

76 „ჩვენს სიახლოვეს მომავალთა შესცოდეს იმით,
„რისთვისაც ცეზარს ტრიუმფის დროს შესძახეს ერთხმად,
მოურიდებლად თანადამსწრეთ „დედოფალოვო.“

79 მიტომც გარბიან, გაჰკივიან ისინი „სოდომს.“
თავათ ჰკიცხავენ საკუთარ თავს, ეს შენც გესმოდა
„და ცეცხლს შველიან ამ წამების აღსრულებაში.

„ჩვენ კი ორმაგი ტვირთი გვერგო ვით მამათმავლებს,
„რადგან ვეურჩეთ ჩვენ ოდესღაც კაცურსა კანონს,
„როგორც პირუტყვნი აყოლილნი წამიერ ვნებას.

„ჩვენდა საქენჯნად ჩვენვე ვყვირით, ვაძაგებთ ჩვენ თავს,
„როცა იმ ლანდებს ვეთხოვებით, ვახსენებთ იმ ქალს,
„ვინაც ისურვა ნადირს თავათ მიმსგავსებოდა.

„საქმენი ჩვენნი შენაც უწყი და ბრალი ჩვენი,
„მაგრამ თუ გწადის ჩვენთაგანის ყველას სახელი,
„მე **ვერ მოვთვლიდი**, საამისოდ დროც არ იკმარებს.

„ჩემს **ვინაობას** არ დავმალავ, გამოგიტყდები
„**გვინიჩელი** ვარ, გვიდო მქვია, ვიღებ განწმენდას,
„**რადგანაც** სიკვდილს დავასწარი მონანიება.“

როგორც ლიკურგის ორი ვაჟი ეძგერა დედას,
როდესაც მამა მგლოვიარე შვილს მისტიროდა,
**ასე** შევტოკდი, მაგრამ შევკრთი და უკუვიქეც,

როს თავის გვარი გამაგონა მამამან ჩემმან,
მამამ ტკბილხმოვან მგოსნებისამ ვინც კი ოდესმე
**ტკბილი** ლექსებით უმღეროდა მაღალ სიყვარულს.

და დიდხანს ასე მივყვებოდი ხმა გაკმენდილი,
ჩაფიქრებული შევცქეროდი მის ძვირფას აჩრდილს
და ცეცხლის გამო ვერ ვბედავდი მიახლოებას.

შემდეგ ამისა, როცა დავტკბი ჭვრეტითა მისით
მე განვემზადე სამსახურის მისაგებებლად,
**ვეფიცებოდი**, ვარწმუნებდი სიწრფელით სრულით.

მითხრა. „ნათქვამი შენი სტოვებს ჩემზე ისეთ კვალს,
„**ეს** ყოველივე ნათლად მესმის და მწვდება გულში,
„ასე რომ ლეტაც ვერ წარმირეცხს შთაბეჭდილებას.

„თუ ფიცი შენი შემცვლელია სიმართლის სრულის,
„მარქვი, მაუწყე, რა მიზეზით მარწმუნებ ასე
„მზერით და სიტყვით, რომ გიყვარდე თითქოს ძლიერად.“

მე ვუპასუხე: „თქვენი ლექსის ბრალია ესე,
„სანამდის ქვეყნად იარსებებს სტილი ახალი,
„მუდამ ძვირფასი, სანუკველი იქნება ჩვენთვის.

„ო, ძმაო, მითხრა, იგი ვისაც მე მივუთითებ,“
და მან იქავე მდგარი სული მაჩვენა მყისვე,
„მშობლიურ ენის უფრო დიდი იყო ოსტატი,

„ძველ სატრფიალო სიმღერებს და რომანცის პროზას
„მან შორს გაასწრო და შლეგებმა გაიმეორონ,
„რომ ლიმუზინი წინ უსწრებდეს მას ოსტატობით.

„ასეთნი ჭორებს მეტს უსმენენ, ვიდრე სიმართლეს
„და თავის აზრებს უფრო მეტად მიენდობიან,
„ვიდრე გონების, ხელოვნების გულხმიერ კარნახს.

„ასე მსჯელობდნენ ზოგიერთნი გვიტტონის გამოც,
„მხოლოდ განაგონს აყოლილნი განუკითხავად.
„და ბოლოს მაინც გაიმარჯვა ხალხში სიმართლემ.

„ახლა კი, თუ შენ მოგენიჭა წყალობა დიდი.
„გსურს აღიკვეცო აწ მორჩილად იმ სავანეში,
„სად თვითონ ქრისტე წინამძღვარობს და მეთაურობს,

„გთხოვ მის წინაშე წარსთქვა ჩემთვის მამაო ჩვენო,
„რამდენადაც ეს საჭიროა იმ ქვეყანაში,
„სად შეცოდება აღარ არის შესაძლებელი.“

შემდეგ მომდევნო სულისათვის გზის დასათმობად
იგი გაბრუნდა და ხანძარში გაუჩინარდა,
ისევე როგორც თევზი მრუმე წყალში მყვინთავი.

მივუახლოვდი გვიდოს მიერ ნაჩვენებ აჩრდილს,
წავიბუტბუტე, რომ სახელის მისის ხსენებას
მოკრძალებულად მოვისმენდი, ყურად ვიღებდი.

წინ წარსდგა ლანდი და მომიგო ასეთნაირად:
Tan m'abelis vostre cortes deman,
qu'ieu no-me puesc, ni-m voil a vos cobrire

Jeu sui Arnaut, que plor e vau cantan
consiros vei la passada folor
e vei jausen lo jorn qu'esper, denan.

Ara vos prec, per aquella valor
que vos guida al som de l'escalina,
sovenha vos a temps de ma dolor.“

შემდეგ ამისა გაჰქრა იგი მგზნებარე ალში.

მზე ცაში იდგა იმნაირად, როდესაც იგი
თვის პირველ სხივებს მიანათებს იმ მიწისაკენ,
სად შემომქმედმა მისმა სისხლი დაღვარა თვისი,

მხოლოდ სასწორი ებროს თავზე გაიმართება
და განგის წყალზე გადადგება ცხუნვარე ხვატი.
სწორედ ასეთ დროს მოგვევლინა ღვთის ანგელოსი.

იდგა ფლატეზე. არც კი ახლდა ნათლის ირისე,
Beati mundo corde-ს გალობდა თანაც,
უფრო ხმამაღლა, ვიდრე ჩვენი ისმოდა ეს ხმა.

უბნობდა ასე: „წმინდა სულნო, შორს ნუღარ მიხვალთ,
„ვიდრე განწმენდის ცეცხლი ჯერ არ შემოგგზნებიათ.
„შედით და თანაც, მოუსმენდეთ გალმა მგალობელთ.“

ეს გვითხრა როცა მივეახლეთ და გავუსწორდით,
ეს რა ვისმინე, მივემსგავსე მყისვე მე იმას,
ვისაც სამარე გაუთხარეს და ჩაასვენეს.

აღვმართე ხელნი ურთიერთზე გადაჭდობილნი,
ცეცხლს მივაშტერდი, მოვიგონე თვალით ნახული,
როგორ იწვოდნენ ცოდვილები მგზნებარე ცეცხლში.

მეგზურნი ჩვენნი მომიბრუნდნენ და მომეახლნენ,
და მეუბნება ვირგილიუს: „ჰე, შვილო ჩემო,
„ტანჯვას იგემებ ამ ადგილას, სიკვდილს — არასდროს.

„გაჩსოვს თუ არა, გახსოვს როგორ გადაგიყვანე
„თვით გერიონის ზურგზე მჯდარი მე სამშვიდობოს.
„აჭ რა მაბრკოლებს, როცა უფალს მივახლებივარ?

„და ამ მგზნებარე, მოგიზგიზე ცეცხლის წიაღში
„შენ ათას წელსაც უვნებელად დააყოვნებდი,
„ასე რომ ბეწვიც უმცირესი არ დაგეწვოდა.

„და თუ გგონია რომ გაცდენდე რამენაირად,
„მიუახლოვდი, ხელი ახლე, თუ გირჩევნია
„სამოსის შენის მიაკარე ცეცხლს თუნდაც ქუდა.

„ნუ გეშინია, ჰე, დათრგუნე როგორმე შიში,
„იქეთ მიბრუნდი და წინ გასწი იმედიანად“.
მე არ ვიძროდი გულისხმისა ურჩად შთენილი.

34 როცა მან ჩემი სიჯიუტე შეიცნო, მყისვე
გაწბილებულმა მითხრა: „შვილო, ეს კედელი ღა
„დაშთენილია ბეატრიჩეს და შენსა შორის“.

37 როგორც პირამმა სიკვდილის ჟამს ტისბის სახელი
რა გაიგონა, გაახილა მყისვე თვალები
და იმავ წუთში თუთაც გახდა სისხლისა ფერი,

40 მეც ამნაირად გამეცალა უჯიათობა;
შეუხედე ოსტატს, რა მომესმა სახელი იგი,
რომელიც გულში ჰყვავის მარად დაუჭკნობელი.

43 ოსტატმა თავი დამიქნია „მაშასადამე,
დავრჩეთ აქავე“ გამიღიმა, ისევ როგორაც
ბავშვს უცინიან ვაშლის მიძღვნით გახარებულსა.

46 შემდეგ თვითონვე მე შემასწრო ცეცხლის წიაღში,
სთხოვა კვალდაკვალ მომყოლოდა მე სტაციუსი,
რომელიც წელან მიდიოდა ჩვენ ორთა შორის.

49 ცეცხლში, წიაღში მზად ვიყავი გალხვობილ მიწას,
მოწყურვებული მივვარდნოდი გააფთრებული,
ისეთი ხვატი იდგა ირგვლივ ენითუთქმელი;

52 მაგრამ ვირგილი, ტკბილი მამა, გასამხნევებლად
სანუკველ სახელს ახსენებდა ბეატრიჩესას.
ამბობდა: ვგონებ მის თვალებსაც ვხედავო კიდეც.

55 ჩვენ მივყვებოდით გადაღმიდან მოსულ გალობას,
ყურს მას ვუგდებდით მარტოოდენ და გამოვედით
იმავე ადგილს, სადაც ზევით ასასვლელია.

58 Venite benedicti Patris mei.
ხმა ამნაირი მოდიოდა ისეთ ნათლიდან,
რომელსაც თვალის გასწორებაც ვეღარ შევბედე,

61 „მზე ჩადის უკვე, დასძინა ხმამ, საღამოვდება,“
„გაეშურენით და გზადაგზა ნუ დაყოვნდებით,
„ვიდრე დასავლეთს გადაეკვრის მწუხრისა ფლასი“.

64 ბილიკი ხევ-ხევ ადიოდა მწვერვალისაკენ,
ასე რომ გზიდან გავსცქეროდი მომკრთალო სხივებს,
დასავლეთისკენ დაჭანებულ ჩამავალ მზისას.

ძლივს გავიარეთ ჩვენ მანძილი მცირეოდენი
და შევიცანით, ვით ჰქრებოდენ ირგვლივ ლანდები,
მე და ორივე ბრძენთა ბრძენმა და ჩაჰქრა მზეცა.

ვიდრე თვალუწვდენ კიდეებზე გადაჭიმულმა
კიდურმა ცისამ ერთნაირი მიიღო სახე,
ღამე დაეშვა და მიდამოს გადაეფოფრა.

ჩვენც სათითოოდ ნატერფალზე მოვიკალათეთ,
რადგან მთაზე სვლამ გამოგვტაცა ასვლის უნარი,
თუმცა სურვილი დაგვრჩა კიდევ ჩვენ აღმასვლისა.

როგორც თხის არვე მოციგლიგე, მოუსვენარი,
ბრეკებზე ძოვით მოიღლება და გამოძღება,
ბოლოს დაცხრება, დაისვენებს და იწყებს ცოხნას,

მიწვება ჩრდილში მზის ხვატისგან დაშინებული,
და უთვალთვალებს მას მეჯოგე, რომელიც კომბალს
ზედდაეყრდნობა და სდარაჯობს, ძილფხიზლობს თანაც,

და ვით მეჯოგე დარჩენილი ოჯახის გარედ
ჯოგის მახლობლად ღამეს ათევს ძილმორეული,
რათა ნადირმა საქონელი არ დააშავოს;

ასე ვიყავით ჩვენ სამნივე მყუდროდ მთვლემარე.
მე თხასა ვგავდი და ის ორნი ფარის მწყესავსა.
ყოველის მხრიდან შემოგვრტყმოდა გარშემო კლდენი.

არას ვხედავდით თუ არ ნაჭერს ცისას სულ მცირეს
და ამ მანძილზე მე ვხედავდი კიდევ ვარსკვლავებს.
ჩვეულებრივზე უფრო ნათელს და მოელვარეს.

მე მთისა მჭვრეტელს დამეუფლა უეცრად ძილი,
ძილი ისეთი, რაც ხანდახან კაცს ამცნობს ხოლმე
მოსალოდნელსა და მომავალ განცდებს წინასწარ,

ვგონებ ისეთ ჟამს, როს ელვარე აღმოსავლიდგან
მთაზე ციტერე გადმოდგება სხივდაფანჩული,
გალვიძებული მარადჟამულ ტრფიალის ცეცხლით.

მეზმანა მაშინ მშვენიერი, სათნო ქალწული,
რომელიც მშვიდად რონინებდა გაშლილ ტაფობზე.
ჰკრეფდა ყვავილებს, ღიღინებდა თანაც მწყაზარად:

„იცოდეს ყველამ, ვისაც სურდეს სახელი ჩემი,
„მე მქვია ლია, გამიწვდია ნატიფნი ხელნი,
„რათა ამ ველის ყვავილთაგან დავწნა გვირგვინი.

„ჩემსავე სახეს ამ სარკეში შევტრფი შეფრფინვით
„ხოლო რახილი, დაი ჩემი, თავის სარკის წინ
„ზის და კეკლუცობს დღენიადაგ დაუცხრომელად.

„მას უხარია თვის მშვენიერ თვალთა დანახვა,
„ხოლო მე მორთვა და მოკაზმვა ჩემივ ხელებით.
„მას ჭვრეტა ალხენს, მოქმედება — მე დამამშვენებს.“

უკვე ნათელი გარიჟრაჟის წინამორბედი
აღმამიმავალ მოგზაურთა უქადდა ლხენას,
რადგანაც უკვე მივეახლეთ სამშობლოს ჩემსას.

ილტვოდა მრუმე მეყვსეულად ყოველის მხრიდან
და თვლემა ჩემი იმას გაჰყვა: ზეწამოვიჭერ.
რა დავინახე წამომდგარნი მოძღვარნი ჩემნი.

„ნაყოფი ტკბილი გაბნეული სხვადასხვა შტოზე
„მოკვდავთა ზრუნვის და ძიების იგი საგანი
„დაგიცხრობს შიმშილს, დაგამშვიდებს ამიერიდან.“

ამნაირ სიტყვით მომმართავდა ვირგილიუსი,
არც არასოდეს გაგონილა მათი ბადალი
და მონაგვარი სათქმელი და სახარობელი.

ისე მომაწვა გულზე ახლა ნდომა წასვლისა,
ყოველ ნაბიჯის გადადგმისას უფრო და უფრო
მენატრებოდა ამომსხმოდა საფრენი ფრთენი.

როცა მთელ კიბეს მოვექეცით სამნივე ზევით
და უკანასკნელ საფეხურსაც გადავალაჯეთ,
ვირგილიუსმა მე მომაპყრო მყისვე თვალები

სთქვა: „წარმავალი და აგრეთვე მარადიული
„იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ მზღვარამდის,
„რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა სწვდება.

„სიბრძნით და ხერხით მოგიყვანე მე შენ აქამდის,
„აწ გიწინამძღვროს თავათ შენმა ნებამ, სურვილმა,
„შენ განვლილი გაქვს უკვე ხევნი, კლდენი და ღრენი.

133 შეხედე მნათობს, შემოგხარის მთიები მისი,
„ნახე ხეები, ეს ჩირგვები და ყვავილები,
„რომელთაც მიწა თავისთავად აღმოაცენებს.

136 „ძალგიძს მათ შორის ისეირნო და მოისვენო
„ვიდრე თვალები მშვენიერი არ შეგეყრება,
„რომელთა ცრემლმა წარმომგზავნა წინამძღვრად შენდა,

139 „ნუღარ მოელი აწ ჩემს თათბირს, ნუღარც ჩემს სიტყვებს,
„ნებას და სურვილს აღარ აძევს ლაგამი შენსას,
„მცდარი იქნები, რომ არ აყვე შენსავ გულისხმას.

142 და ამიტომაც გადგამ თავზე გვირგვინს და მიტრას.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲠᲕᲔ

მწვავდა სურვილი შეუვალი ტევრი უფლისა
ჩქარა შემეცნო, მომეარა და მიმეხილა,
სიხშირე ტყისა ანათებდა დღის ბრწყინვალებას;

4 ბოლოს დავაგდე მე ნაპირი დაუყოვნებლივ,
ასე მივყევი გადაშლილსა ჩემს წინ ნიადაგს,
ყოველის მხრიდან გაჟღენთილსა ნელსურნელებით.

7 ჰაერი ამოდ მოცახცახე მოჰქროდა ჩემსკენ,
ტკბილი სალბუნით შუბლზე მცემდა დაუცხრომელად.
როგორც ნიავი მობიბინე, შვებისმომგვრელი.

10 სიოს ქროლვისგან დარხეული მწვანე შტოები
იზნიქებოდნენ, იხრებოდნენ იქითკენ სადაც,
სადაც პირველი ლანდი დაწვა წმინდისა მთისა,

13 მაგრამ შტოები ისე მძაფრად არ დადრეკილან,
რომ ჩიტუნები მოციგლიგე მწვანეში მარდად
კვლავ ფუსფუსებდნენ, განაგრძობდნენ უდარდელ ქივილს.

16 გახარებული გარიჟრაჟის პირველი ლხენით
ისინი სტვენდნენ და გალობდნენ ტკბილად მწვანეში,
რომლის შრიალი მოძახილად ისმოდა ისე,

19 როგორიც ისმის ხანდაზმულად წიწვიან ტყეში.
ზღვის ნაპირებზე გადაჭიმულ ფიჭვნარ კიპარისში,
როს ეოლოსი გამოუშვებს სიროკკოს ნიავს,

22 ნელი ნაბიჯით მივდიოდი დაფიქრებული,
უცებ აღმოვჩნდი უსიერს და უძველესს ტევრში,
აღარ ვიცოდი რანაირად ამექცა მხარი.

25 მყის გადამიჭრა გზა სავალი მდინარემ მცირემ,
მხარმარცხნისაკენ მიდიოდა ეს რუ დუდუნით,
სწრაფი ზვირთებით სდრეკდა ბალახს ნაპირზე მოსულს.

28 ყოველი წყალი ამ მიწაზე უსპეტაკესი
მოგეჩვენებათ ამღვრეული ამ წყლის პირისპირ,
ასე კრიალა, მოკამკამე იყო რუ იგი,

31 თუმცა მოთალხო ზედაპირი იყო მოთალხო,
რბოდა მდინარე, ზედ ეფინა ჩრდილი მარადი,
არ მოხვედრია მას არასდროს მთიები მზისა.

34 შევდექ და მყისვე გადავხედე გადაღმა მხარეს,
რათა მეხილა სიკეკლუცე საგაზაფხულო.
სხვადასხვა ხისა და ბალახის ფერთა სიუხვე.

37 და მომევლინა, ისე როგორც კაცს ევლინება,
ესეთი რამე რაც უეცრად მას გააოცებს,
და მეყვსეულად განუქარვებს წინასწარ ნაზრახს,

40 ასული ვინმე მოარული განმარტოებით.
მღეროდა იგი, ყვავილნარში ჰკრეფდა ყვავილებს,
რომელთა ტურფად მოეჩითათ ბილიკი მისი.

43 „ჰოდ, ასულო, სიყვარულის სხივით გამთბარო,
„თუ სარწმუნოა სათნოება სახისმიერი,
„გულის სიკეთის გარეგანი მაუწყებელი,

46 „გვედრი ეახლოთ ამ ნაპირებს, მივმართე კრძალვით,
„მივუახლოვდი ამ მცირე რუს, პირს ნუ მარიდებ,
„რათა შევიცნო თუ რას მღერი, უცხო ასულო.

49 „შენ მომაგონებ თუ სად იყო, როგორი იყო,
„თვით პროზერპინა, როცა დედამ დაჰკარგა იგი,
„ხოლო მას თავათ გაზაფხული გამოეცალა."

52 როგორც ქალწული მოცეკვავე შეტრიალდება,
ლანჩებს გაუსვამს ნიადაგზე, წამოვა გოგვით,
ოდნავად ადგამს მერმე ფეხებს ერთს და მეორეს,

ასე ოქროსფრად და მიწისფრად შემკულ ბაღნარში
მიბრუნდა იგი, წამოვიდა როგორც ქალწული,
თავჩაქინდრულად მომავალი და დარცხვენილი.

მან შეიწყნარა შენავედრი და მიეახლა
ნაპირს იმგვარად, რომ ბაგეთა მისთა ნამღერი
მესმოდა წვრილად, სათითოოდ და გარკვეულად.

რა მოაღწია იმ ადგილას, სადაც ბალახებს
მდინარის ზვირთნი ნებიერად უბანდნენ ქოჩორს,
მე მან მაღირსა შემოხედვა თავაწეულმან.

არა მგონია ანთებოდა ასეთი სხივი
თვალში ვენერას, როცა იგი დაჰკოდა შვილმა,
მთლად უნებურად, ჩვეულების მიუხედავად.

იდგა ნაპირზე, იღიმოდა ასული იგი.
და ხელს ურევდა აურაცხელ ყვავილთა შორის,
რომელნიც მიწას წარმოეშვა სრულად უთესლოდ.

სამი ნაბიჯით გვაშორებდა ურთერთს მდინარე
თვით ჰელესპონტი ქსერქსის მიერ გადალახული
(დღემდის ლაგამი ადამიანთ ამპარტავნობის)

არ სძაგებია ლეანდრს ეგზომ გააფთრებულსა,
ცესტისისა და აბიდოსის შორის მდრტვინავი,
როგორც მე ეს რუ, რადგანაც მან გზა არ დამითმო:

„თქვენ აქ უცხო ხართ, ამიტომაც გაოცებთ კიდეც
„ღიმილი ჩემი“, სთქვა, წალკოტში, რომელიც ზენარს
„განკუთვნილი აქვს კაცთ ბუნების ნეტარ სავანედ,

„მაგრამ ფსალმუნის Delectasi ბრწყინავს ნათელით,
„რომელსაც ძალუძს გაბრწყინვება გონების ჩვენის.
„შენ კი, მდგომარეე ჩემს წინაშე და მავედრალო

მარქვი სათქმელი, გიპასუხებ დაუყოვნებლივ,
„რადგან ამისთვის მოვლენილი ვარ შენ წინაშე.“
„წყალი“ — მივუგე და ტყეების ნაზი შრიალი

„არყევენ ჩემში ყოველივე რწმენას ადრინდელს,
„აქ განაგონი თვალით ნახულს არ ეხამება.“
მან მიპასუხა: „განგიმარტავ როგორ წარმოსდგა,

„ის რამაც შენი გაოცება გამოიწვია,
„მაშინ მიხვდები ყოველივეს და შემეცნებას
„თანაც სიბნელე არცოდნისა გადაეყრება.

„სიქველე იყო იმ თავიდან თავისთავადი
„და მან კეთილად შეჰქმნა კაცი და ეს ადგილი
„მიეცა მასვე საწინდარად მადლის მარადის.

„საკუთარ ბრალით მან მცირე ხანს დაჰყო ამ ადგილს
„ცრემლსა და ჯაფას ანაცვალა მან, როგორც ვიცით,
„სპეტაკი ღიმი სევდისა და ლხენის მიერი

„და იმ აღრევამ, რომელიც მანდ ხდება მიწაზე,
„წყლის, ნიადაგის ათასნაირ აორთქლებისგან,
„რაც ცხუნვარებას თან მიყვება დაუცხრომელი,

„თავს არ დაატყდეს და არ ავნოს კაცს აქ ამოსულს,
„ეს მთაც იმიტომ ატყორცნილა ამგვარად ცაში,
„შეუვალია მხოლოდ ერთგან გადაკეტილი.

„მაგრამ, რადგანაც ატმოსფერა ამ მთის გარშემო
„ბრუნავს და ბრუნავს პირველადი ძალის წყალობით,
„თუ რკალი მისი არ გაირღვა, არ გაწყდა სადმე,

„ამგვარად ბრუნავს ერთნაირად სუფთა ჰაერი,
„ამ მთის გარშემო და შრიალებს ამიტომ ტყეცა,
„რადგანაც ტევრი საგანგებოდ დაბურვილია.

„შერხეულ ხეებს გააჩნიათ ძალა ისეთი,
„სიქველის დვრიტით რომ გაჟღენთონ ჰაერი თავათ.
„შემდეგ ამისა ქარი სთესავს ამ ხეთა თესლსა.

„აქედან მიწაც შეკაზმული ამ კავშირთაგან
„სხვადასხვა ადგილს ცის ნაკვეთის თავის მიხედვით
„წარმოშვებს ხეებს ნაირ-ნაირ ნიადაგისას.

„ამის გამგონეს ნუღარ გიკვირს ამიერიდან
„თუ მცენარენი თქვენს მიწაზე იფურჩქნებიან,
„ხილული თესლიც რომ არ მოსდეს თუნდაც ნიადაგს.

„უნდა იცოდე, ეს ჯეჯილი, რომელსაც ჰხედავ,
„სავსეა მუდამ სხვადასხვაგვარ თესლით, ნაყოფით,
„რისი ბადალიც თქვენს მიწაზე აღარ შევხვდება

121 „და წყალიც ესე არ გამოდის ისეთ წყაროდგან,
„რომელსაც ჰკვებავს ყინვისაგან დაზრული ორთქლი,
„როგორც მდინარეს ხან გიჟმაყსა და ხანაც დამცხრალს,

124 „არამედ მისი სათავეა მარადჟამული
„ზესთაზენარის ნებისყოფა დაუსაბამო
„და მიდის მერმე გაყოფილი ორ მდინარებად

127 „ამ მხრიდან მოდის ძალმოსილი ისეთის ნიჭით,
„რომელიც ართმევს ადამიანს ცოდვის შეგნებას,
„ხოლო მეორე მოგონებას ქველისას აძლევს,

130 „ამ კალაპოტში ლეტე ჰქვია მას ამიტომაც
„ხოლო ევნოე ეწოდება იმას მეორეს.
„ორივე წყალი აქ მოსულმა უნდა იგემოს

133 „და გემო ესე სხვას ყოველგვარს აღემატება.
„ახლა წყურვილი დამცხრალია, ალბათ, შენიცა,
„სხვა რამ კიდევაც არ გაუწყო, არ გაგიცხადო,

136 „მაგრამ მე მინდა კიდევ გამცნო მცირეოდენი
„რაც, ასე ვგონებ, არ დაგრჩება შენაც საწყენად,
„თუმც შესაძლოა გამიგრძელდა ისედაც სიტყვა,

139 „ის პოეტები, ვინც ოდიდგან ხანას ოქროსას,
„უმღერდნენ ნეტარს ედემისდარს ამ ტურფა წალკოტს,
„წინასწარ ხილვით სჭვრეტდნენ, ალბათ, პარნასის მთიდან.

142 „მხოლოდ აქ იყო უბოროტო კაცთ ნათესავი,
„აქ გაზაფხულობს გაზაფხული მარადჟამული,
„ნეტარიც აქ სჩქეფს ყველას მიერ ხოტბაშესხმული.“

145 მე გამოვბრუნდი, მყის მოვიქეც მგოსნებისაკენ
და დავინახე მომღიმარნი იდგნენ, ისმენდნენ
ზემოდ ნათხრობის უკანასკნელ წინადადებებს.

148 შემდეგ ამისა მივაცქერდი მშვენიერ ასულს.

## ᲥᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲪᲮᲠᲔ

მან დაასრულა ეს სიტყვები, როგორაც ქალმა
შეყვარებულმა და დასძინა შემდეგ ამისა:
Beati quorum tecta sunt peccata.

4 როგორც ნიმფები უღრან ტყეში მოხეტიალე,
ერთნი მზისაგან განტოლვილნი ჩრდილის საძებნად,
სხვანი კი მზვარეს მონატრულნი გარბიან ხოლმე,

7 ასე ილტვოდა, მიყვებოდა მდინარეს აღმა
ნაპირ-ნაპირ და მეც მის გასწვრივ ვიდოდი ნელა,
მძიმე ნაბიჯით მივყვებოდი ასულს კვალდაკვალ;

10 ასი არ გვქონდა ჩვენ ორივეს ჯერაც განვლილი,
როცა მდინარის კიდეები მოიქცა განზე,
ასე რომ ისევ გზა განვაგრძე აღმოსავლისკენ.

13 კიდევ ამდენი გადავლახეთ ორთავ მანძილი
ქალმა მომხედა მეყვსეულად და მომიბრუნდა:
„ძმაო, მომაპყარ ყურადღება და მომისმინე!“

16 აჰა, ნათელი უეცარი აენთო ირგვლივ
დაბურულ ტყისა შტოებიდან გადმონთხეული
ასე მეგონა ელვათკრთომა ატეხილიყოს.

19 მაგრამ ელვა ხომ წამიერად ენთება, ჰქრება,
ეს კი ბრწყინავდა ხანდაზმულად, მომეტებულად.
და ვთქვი იდუმალ გულში ასე: რა არის-მეთქი?

22 ტკბილი ჰანგებით გაიჟღინთა ირგვლივ ჰაერი
და უბოროტო იჭვის გრძნობით აღტყინებულმა,
დავგმე იდუმალ სითამამე მაშინ ევასი,

25 რადგან ისეთ ჟამს როს მისდრიკეს ხმელი და ზეცა
ახლად შექმნილმა დედაკაცმა არ მოითმინა
თვალთა წინაშე მცირე რიდეც იდუმალების,

28 არ დაეთრგუნა მას ეს შიში უფლის წინაშე,
ეს ნეტარებაც საოცარი, ენითუთქმელი,
მაშინ აქამდის გახდებოდა ჩემთვის საცნაურ;

31 მე მივდიოდი მომლოდინე ესოდენ ტკბილთა
და მარადჟამულ ნეტარებით დაწაფებისა,
მწვავდა სურვილი უფრო მეტის საცნაურყოფის,

34 ჩვენს წინ ალივით მოვარვარე გახდა ჰაერი,
მწვანე ხეების შტოებს ქვეშ გვესმა მოარულთ
ტკბილი გალობა აღრეული უცხო ხმაურში.

37 წმინდა ასულნო, თუ შიმშილი და უძილობა,
ხშირად სიცივეც მე თქვენს გამო მომითმენია,
ვგონებ ნება მაქვს აწ ვითხოვდე სამაგიეროს

40 ან ჰელიკონმა ღვაროს ჩემთვის თავისი წყლები
და ურანიამ მომაშველოს ხორო თავისი,
რათა ლექსად ვთქვა გონებისგან მიუწვდომელი.

43 მე მომეჩვენა შვიდნი ხენი ოქროისანი,
თვალი აცდუნა აქ მანძილმა საკმაოდ შორმა,
რომელიც იდო იმ ხეთა და მაცქერალს შორის.

46 როცა იმ ხეებს მივეახლე, ბუნდოვანება
გრძნობათა ჩემთა მაცდენალი მყის გაიფანტა
და სინამდვილე წარმომიდგა სიცხადით თვალწინ.

49 ცნობიერებამ გონებისამ იმარჯვა მყისვე,
შვიდი სასანთლე შევიცანი ოქროისანი,
ხოლო გალობა ყოფილიყო თურმე ოსანა,

52 ეს სასანთლენი ქათქათებდნენ უფრო ბრწყინვალედ,
ვიდრე მთოვარე გადმოსული მოწმენდილ ცაზე,
ნაშუაღამევს, ნახევარის თვის მიწურულში.

55 განცვიფრებული მივუბრუნდი მაშინვე მეგზურს,
ქველ ვირგილიუსს, მაგრამ მანაც სამაგიეროდ
მევე მომაპყრო გაოცებით აღსავსე თვალნი.

58 შემდეგ ამისა, კვლავ შევხედე დიად მოვლენებს,
მაგრამ ისინი ისე დინჯად მოისწრაფოდნენ
მათ გაარჩევდათ თუნდაც ახლად ჯვარდაწერილნი.

61 მკიცხავდა ქალი გულნაწყენი: „რატომ ესოდენ
„აღტაცებული შეაშტერდი იმ სასანთლეებს,
„ხოლო მათ უკან მომავალთა აღარც კი ამჩნევ?“

64 და მომავალნი ვით ბელადის ასაბიები
მაშინ შევნიშნე მე ლანდები თეთრადმოსილნი.
(ამგვარ სითეთრეს ვერვინ ნახავს ჩვენ ხმელის პირზე).

67 ჩემგან მხარმარჯვნივ ვარვარებდა წყლის ზედაპირი.
სხეულის ჩემის ნახევარი. მარცხენა მხარე
თითქოს ჩემს გკერდით ყოფილიყო სარკე დადგმული;

რა შევარჩიე წყლის ნაპირზე მარჯვე ადგილი,
როცა მხოლოდ რუ მაშორებდა მომავალთაგან,
ვიწყე ნელი სვლა, რათა უკეთ მემზირა მათთვის.

ახლა ვხედავდი წინ მიმავალ ალების ფარფატს.
ჰაერში ისე ლიცლიცებდნენ ეს სასანთლენი,
როგორც პაწია ალისფერი დროშის ფოჩვები.

ატმოსფეროში ვარვარებდნენ ჭრელი ზოლები,
შვიდთა ფერთაგან შეკაზმული, რომელთაგანაც
მზე ცისარტყელას და დელია ჰქარგავს თვის სარტყელს;

დროშების მწკრივებს ვერ წვდებოდა ბოლომდის თვალი.
უკიდურესნი, რამდენადაც შევძელ დანახვა,
ათ-ათ ნაბიჯზე მიყვებოდნენ ერთი მეორეს.

უკვე ჩემს მიერ გამოხატულ მშვენიერ ცის ქვეშ
თორმეტი წყვილი მოდიოდა მოხუცებული.
შუბლზე თვითეულს შროშანების ედგათ გვირგვინი.

გალობდნენ ერთხმად. Benedetta tue
Nelle figlie d'Adamo, e benedette
Sieno in eterno le bellezze tue.

როგორც კი მდელო, ყვავილებით სავსე წალკოტი
გადალმა მხარეს, ჩემს პირდაპირ განთავისუფლდა
და რჩეულები სათითოოდ თვალს მიეფარნენ,

როგორც მნათობნი ამოდიან ზედიზედ ცაზე
გამოჩნდა მტილზე ოთხი მხეცი თანდათანობით,
მწვანით შემკული ჰქონდათ ყოველ მათთაგანს შუბლი,

ფრთენი ექვს-ექვსი, ესხათ ფრთებზე თვითეულს თვალნი
და რომ ნამდვილად ყოფილიყვნენ არგუსის თვალნი,
ზედმიწევნებით ამგვარ თვალებს ემსგავსებოდნენ.

მაგრამ ამ თვალთა აღსაწერად მე არ დავხარჯავ
ლექსებს, მკითხველო, რადგან სხვაგან მომელის ხარჯი
ისე საშურო, რომ სიუხვეს აქ ვეღარ ვიჩენ.

შენ ეზიკიელ წაიკითხე, ეს მან აღწერა,
ვით მოდიოდნენ ყინულეთის ბნელ საუფლოდან
ესენი ცეცხლის, ღრუბლების და ქარის ამალად.

სწორედ ისეთნი, როგორსაც იქ ნახავ აღწერილს
სწორედ ისეთნი იყვნენ აქაც, მაგრამ უფრთებოდ
და ფრთების გამო იოანეც მე მემოწმება.

ამ ოთხთა შორის მოდიოდა ორბორბლიანი,
გაქანებული სატრიუმფო ეტლი და იგი
ქინჩზე მოებათ უზარმაზარ გრიფფონისათვის;

აღეპყრო ფრთენი ორივენი ამ ფრთოსან ნადირს,
სამ-სამი ესხა თითო მხარზე და არც ერთ მათგანს
არ აყენებდა ზიანს რასმეს ფრთების გაშლისას.

თვალით ვერ შევწვდი მე სიმაღლეს იმა ფრთებისას,
ფრინველს სახსრები გამოსხმოდა ოქროსი სრულად.
სხვა დანარჩენი სრულად თეთრი ძოწგარეული

ასეთი ეტლი არ უძღვნია ხომ არასოდეს
არც ავგუსტისთვის და არც თავათ აფრიკელისთვის,
თვით ეტლი მზისა მასთან არად გამოჩნდებოდა.

ეტლი, რომელიც გზას გადაცდა და დაიბუგა,
როს სათნო ლოცვა შეისმინეს დედამიწისა,
იუპიტერის მართებული მსჯავრის მიხედვით.

ეტლის მხარმარცხნით სამი ქალი უვლიდა ფერხულს,
ერთი მათგანი ისე წითლად იყო მორთული,
რომ ალისაგან ცეცხლის პირას ვერ გაარჩევდი;

ხოლო მეორეს შეუსხამსო თითქოს სხეული;
სამარაგდოსგან აგებული თხემით ტერფამდის.
მესამე ქალი თოვლსა ჰგავდა ახლად დაფიფქულს,

გეგონებოდათ ყველას თეთრი წინ მოუძღვისო.
ხანაც წითელი და სიმღერას მისას აღგზნებულს
ფეხს აყოლებდნენ დანარჩენნი მეფერხულენი,

მარცხენა ეტლთან კიდევ ოთხი როკავდა ქალი.
ყველას პურპური ტანთ ემოსა და მიუძღოდა
სამივეს ერთი მოცეკვავე სამთვალიანი.

უკვე აღწერილთ მოყვებოდა კვალდაკვალ უკან
ორი მოხუცი ტანთჩაცმული სხვადასხვაგვარად.
დარბაისლობით ორივენი ჰგვანდნენ ურთიერთს.

ერთი მათგანი იყო, ალბათ, ნაშეგირდალი
ჰიპოკრატესი, რომელიც თვით დედაბუნებამ
თვის უძვირფასეს კავშირთათვის აღმოაცენა.

მეორე სჩანდა სულ სხვანაირ ზნეობის კაცად,
ისეთი ბასრი და ელვარე ხმალი ეკიდა,
მდინარის გაღმა მომაწვდინა შიშისა ქარი.

შემდეგ ვიხილე კიდევ ოთხნი კრძალვით მოსილნი,
მათ მიყვებოდა ბერიკაცი დაფიქრებული,
თვალს ძლივს ახელდა თვლემისაგან ღონემიხდილი.

ყველას შვიდავეს ისე ეცვა როგორც პირველთა,
მხოლოდ ეს იყო არ ამკობდა არც ერთ მათთაგანს
თეთრი შროშანის გვირგვინები ტურფად დაწნული,

არამცედ წითელ ყვავილების გირლიანდები.
შორით მნახველი თუნდაც ფიცით დაამოწმებდა:
მოსდებიათო ცეცხლის ალი წარბებს ზემოდან.

როგორც კი ეტლი გამისწორდა მდინარის გაღმა,
მყის დაიგრგვინა და კრებული პატივცემული
შესდგა, რა სამანს მიაღწიეს უკვე აკრძალულს

და შეაყენეს სასანთლენიც წინ მიმავალნი.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲐᲗᲔ

როგორც კი შედგა პირველ ზეცის გუთანი ცაზე
რასაც ჯერ ჩასვლა, არც ამოსვლა არ ღირსებია,
არც თუ ნისლები, ცოდვის რიდეს თუ შეუბურავს

და ახლა ყველას შესაცნობად საცნაურყოფდა,
რომ ეს გუთანი, უჩვენებდა ეტლსა ანთებულს,
მას ვინც ნავთსადგურს მიელტვოდა საჭისმპყრობელი.

მყის მამაკაცნი სიმართლისა მახარობელნი,
გრიფფონისა და იმას შორის მშვიდად მავალნი,
ეტლს მიუბრუნდნენ როგორც სადგურს განსვენებისას.

მათგანმა ერთმა, ვით ციურმა მახარობელმა,
სამგზის იყვირა: Veni sponsa de Libano
დანარჩენებმა ეს აგრეთვე გაიმეორეს.

13 როგორც ნეტარნი უკანასკნელ შეძახილისას
ზეაღსდგებიან, დააგდებენ თავიანთ მღვიმეს;
განახლებული ხმით იტყვიან ალილუიას,

16 ასე ღვთიური ეტლის ირგვლივ მოფუსფუსენი,
აღსდგნენ **ad** vocem tanti senis
ორი ერგასი მარადიულ ყოფნის შიკრიკნი.

19 ამბობდა ყველა: Benedictus qui venis
აყრიდნენ ყვავილს ეტლს ზევიდან, ხანაც გარშემო
Manibus o date lilia plenis.

22 მინახავს წინად დილაობით ცისკრისა ჟამზე,
აღმოსავლეთი ვით ირთვება ვარდისა ფერად,
ხოლო ლაჟვარდი გაიქნება დანარჩენ ცაზე;

25 მზე თვალს გაახელს დაბინდული ნისლის ნინევით,
როს ცხუნვარება ართმევს ხოლმე მას ბრწყინვალებას
და ამიტომაც აადვილებს მზერის მიპყრობას.

28 ასე ყვავილთა ღრუბლებისგან გარემოცული
მათ ანგელოსნი გარს აბნევდნენ საკუთარ ხელით,
(სცვივოდა ირგვლივ, იბნეოდა ბრე ფურცლებისა);

31 ზეთისხილის შტო შუბლს უმკობდა თეთრ ვუალიანს,
ასე ვიხილე მე ასული, გარს მარტო მწვანე
შემოეხვია ალისფერი საცმელით მოსილს.

34 და სულმან ჩემმან (აჰ, რამდენი ხანია უკვე
მას არ უგრძვნია სახის მისის წინაშე კრთომა
და აღტკინება უცნაურად ელდანაკრავსა),

37 იგრძნო ძველისა სიყვარულის ძალმოსილება,
თუმც ამ ასულის უხილავი ზეგავლენისგან,
თვალნი ვერ სჭვრეტდნენ მოახლებულს ჯერაც სავსებით.

40 რა თვალნი ჩემნი აღფრთოვანდნენ უცნაურ ძალით,
როგორიც ერთხელ ეს ვიგრძენი განსაცვიფრებლად
ჯერაც ჭაბუკმა ეასაკომ და უწვერულმა.

43 მხარმარჯვნისაკენ მივიქეცი გულმოცემული,
როგორც ჩვილი ყრმა მიაშურებს ხოლმე თვის მშობელს,
დაშინებული ან უეცრად გულგანაწყენი.

46 რათა ეს მეთქვა ვირგილისთვის: არც ერთი დრამმა,
სისხლისა ძარღვში აღარ დამრჩა რომ არ ტოკავდეს,
მეცნაურება მე ნიშატი ხანდაზმულ ალის.

49 მაგრამ ვირგილი აღარ იყო ჩვენს სიახლოეს,
ჩემი ტკბილი და გულხმიერი მამა ვირგილი,
ვირგილი, ვისაც მომაშორეს ხსნის მაძებარი.

52 არც იმის პოვნამ, რაც პირველმა დაჰკარგა დედამ
აღარ იკმარა, რომ ღაწვები აწ დათრთვილული,
ხელახლა ცრემლებს არ მოერწყო, არ დაესეტყვა.

55 „დანტევ, ვირგილის განშორებას ნუღარ მისტირი,
„ნუ სტირ, ჯერ შენთვის ეს ცრემლები ნაადრევია,
„რადგანაც ხმალი სხვანაირი მოგგვრის აწ ცრემლებს“.

58 ვით ადმირალი, გემის ჭვინტზე ზეამოსული
მიმოიხილავს მეზღვაურებს გარს მოფუსფუსეთ
და გაამხნევებს, სხვა გემებზედ მომუშავეთაც,

61 ეტლის მარცხენა კიდის ზედან ვნახე შემდგარი
(როს მუნ მივიქეც, რაკი მესმა სახელი ჩემი
უცილებლობით ამ ადგილას განცხადებული),

64 მე დავინახე, ის ასული წინად ნახული
ანგელოსთ კრებულს თან რომ ახლდა პირშებურვილი
ახლა მდინარის გადაღმიდან მიმზერდა ჯიქურ,

67 თუმცა ვუალი შემოხსნოდა თავს გარეშემო,
მინერვას მწვანით შემოსილსა და დამშვენებულს.
მაინც ვერ ვჭვრეტდი სახის მისის მე აღნაგობას.

70 ჯერაც მეფური სიამაყით იყო აღვსილი,
და განაგრძობდა, როგორც ერთი რიტორი ვინმე,
მღელვარე სიტყვათ შემნახველი სიტყვის დასკვნისთვის:

73 „ბეატრიჩე ვარ, დამაკვირდი, მართლაც, ო, მართლაც...
„როგორ ინებე ზეამოსვლა ამ მთაზე, განა
„შენ არ იცოდი რომ აქ კაცი ხდება ნეტარი?“

76 აქ მზერა ჩემი გამსჭვირვალე რუში ჩაიჭრა
და რა ვიხილე მუნ ხატება მე საკუთარი,
ველს გადავხედე დარცხვენილმა. ღაწვშეფაკლულმა.

79 როგორაც დედა მოეჩვენოს თვის ძეს სასტიკად,
ასევე იგიც მე ამ წუთში მეჩვენებოდა,
რადგან სიბრალულს თან მოჰყვება ხანაც სამსალა.

82 იგი დადუმდა და ანგელოსთ შეჰქმნეს გალობა:
Jn te Domine speravi
და განაგრძობდნენ ვიდრე pedes meos.

85 როგორაც თოვლი იყინება ტევრთა ჯაგარზე,
იტალიისა მაღალ მთებზე, როდესაც სუსხი
სლავონიიდან მონაბერი შემოუქროლებს,

88 და ჭირხლი იგი გალხვობილი დაიწყებს ჟონვას,
როდესაც ხმელი დაუბერავს ჩრდილს მოკლებული,
ან როგორც ცვილი ლხვება ხოლმე ცეცხლის შემყურე;

91 ასე ვიდექი ცრემლისა და ოხვრის კიდეგან,
ვიდრე გალობა არ დაიწყეს იმათ, ვისი ხმაც
მარადჟამული სფეროების ერწყმის ღაღადისს.

94 როდესაც მათმა ტკბილმა ჟღერამ მაუწყა მათი
მე თანაგრძნობა უფრო სრულად, ვიდრე ნათქვამმა,
რად აწამებო, ჰე ასულო? მიმართეს ქალსა.

97 მაშინ ყინული გულზე ლოდად შემოწოლილი
გალხვა, გადიქცა სითხედ, სევდად და მწარე ოხვრად
და გადმოინთხა პირისა და თვალებისაგან.

100 ხოლო ასულმა, ეტლის იმავ მხარეზე მდგარმა
ასე მიმართა გარს მოგროვილ არსებათ წმინდათ
და ასეთი რამ უთხრა სულებს ირგვლივ მოჯარულთ:

103 „თქვენ მარადიულ დღის სინათლეს შეჰყურებთ ფხიზლად,
„არც ღამისა და თვლემის ჟამში გაგეპარებათ
„საუკუნისგან გადადგმული ნაბიჯი ერთიც.

106 „მიტომც პასუხი ჩემი ესდენ სავსეა ზრუნვით,
„რათა გაიგოს ეს მტირალმა მდინარის გაღმა,
„რათა ვარამი მის შეცდომებს შეეთანაბროს.

109 „არა თუ მარტო თვალშეუდგამ სფეროთ წყალობით,
„რომელნიც იფქლის ამწიფებენ თესლს დღენიადაგ
„მისდა მიხედვით თუ ვარსკვლავნიც ხელს შეუწყობენ,

„არამედ უფლის გულუხვობის მეშვეობითა,
„რომელიც ისეთ სათავიდან ჟინჟლავს ჩვენ თავზე,
„რომ თვალი ჩვენი მას ვერასდროს გაუსწორდება.

„ამ კაცს შეეძლო განახლებულ ცხოვრების გზაზე
„ისეთ არსებად გამხდარიყო, რომ ზრახვა ქველი
„მასში უთუოდ გაიღებდა ნაყოფს საოცარს.

„მით უფრო უხამსს იღებს სახეს თვით ნიადაგიც,
„როდესაც ცუდ თესლს დააკლდება ჯაფა და მოვლა,
„რაც უფრო მეტად ნაყოფიერს შეიცავს ძალას,

„მას ვამხნევებდი პირისჩენით თავდაპირველად,
„ქალწულურ თვალთა ჩემთა მზერით გულმოცემულსა.
„ასე, ამრიგად ვატარებდი მას მართალ გზაზე,

„რა გადავდექი მე მეორე ჰასაკის ზღურბლზე,
„და შევიცვალე მე მოკვდავი ცხოვრების ნირი,
„ის გადამიდგა, სხვას მიემხრო და მოეფონა.

„როს დავთმე ხორცი და ავმაღლდი, გავსულიერდი
„მშვენებითა და სიქველითაც აღმატებული,
„მან უკვე გული ამარიდა თავის სასურველს,

„ცთუნების გზისკენ გადუხვია და გამოუდგა
„ოცნებას ფუჭსა, უნაყოფო, მცდარ მოჩვენებათ,
„რომელთა აღთქმაც არაოდეს შესრულებია.

„სრულად ამაოდ ვეძიებდი მე შთაგონებას,
„ძილში და ცხადად მოუხმობდი უკუმოქცევად,
„ფუჭი რჩებოდა ყოველგვარი ღონისძიება.

„მერე ის იყო დაქვეითდა იგი ვაგლახად,
„და გზად ხსნისა სამუდამოდ დაეხშობოდა,
„რომ არ ეხილა დაწყევლილთა მოდგმა მას თავათ,

„მეც ამიტომაც ვინახულე სიკვდილის ბჭენი
„და მეგზურს მისსა ამ მთისაკენ წამომყვანს თანაც
„ჩემი ცრემლები და ვედრება ჩამოვუტანე.

„დაირღვეოდა განაჩენი ზესთაზენური,
„რომ ლეტეს წყალი სულს ეკემნა გაღმა გადასულს,
„ისე რომ ცრემლით და ვედრებით არ შეესყიდნა

„განვლილი ცოდვის გულმართალი მონანიება“.

„ო. შენ წმინდისა მდინარისა გადადმა მდგარო,“
ისე განაგრძო რომ ნაბიჯიც არ მოუკლია
და სიტყვა მისი გამახული იყო ხმალივით;

4 მემწარა იგი, ხოლო მთქმელი კვლავ განაგრძობდა:
„მიოხარ ხომ არის ეს სიმართლე, ხამს ეს მხილება
„საცნაური ჰყოს შემეცნებამ გონების შენის.“

7 მე ისე რიგად დავუძლურდი და ავირიე,
რომ ხმა ჩამიწყდა, ვიდრე იგი ჩემივ ბაგიდან
ამოსვლასა და ბგერადქცევას მოაბერხებდა.

10 შესდგა მცირე ხანს და განაგრძო: „რას ფიქრობ ნეტა?
„გამეც პასუხი, ვიდრე მძიმე მოგონებანი
„არ წაუშლია ჯერაც წყალსა თოვლის წამლეკელს.

13 „ძრწოლა და შიში აირია მყის ურთიერთში,
წავიბუტბუტე: „დიახ“-მეთქი, მე უღიმღამოდ,
ასე რომ ნათქვამს წამისყოფა წამოვაშველე.

16 როგორც უზომოდ დაჭიმული მშვილდი აიშვებს,
გასწყვეტს საგდებელს და ისარიც მისგან ნატყორცნი,
მიზანსაც დუნედ და უღონოდ დაეძგერება.

19 მეც ვერ გავუძელ გრძნობის ჭაპანს, გულზე მოწოლილს,
ცრემლი და ოხვრა უნებურად დამეხშო გულში
და ხმაც წამერთო გაბზარული და დაბეჟილი.

22 „იმ სურვილთ შორის, მან განაგრძო, რაც ჩაგაგონე,
„რამაც წარგმართა სიქველისა შესათვისებლად,
„რომლის უფროსი სხვა არაა ქვეყნად სიკეთე,

25 „რა ხანდაკებმა გზა მოგიჭრეს ან რა ჯაჭვებმა,
„ასე რომ სასო წარგეკვეთა და დაგაღონა
„და წინ წასვლაზე რამაც ხელი აგაღებინა?

28 „რა სიიოლე ან მოგება ნახე როგორი
„შენ სხვის შუბლებზე თვალწარმტაცი და მომხიბლველი
„სურვილის მათის ფარეშობას როს ეწეოდი.“

31 როცა აღმომხდა ჩკერდით ოხვრა გულისწამღები,
ძლივს მოვუყარე ორიოდე სიტყვას მე თავი,
ბაგემან ჩემმან დაძაბულმან წაილუღლუღა.

34 ქვითინით ვარქვი: „წარმავალმა ვითომც სიკეთემ
„გზა ამირია უდღეური სვის მაძებარი,
„მას შემდეგ, რაც თქვენ განმეშორეთ, გაუჩინარდით.“

37 „ეს სულერთია გამოტყდები თუ დადუმდები,
მომიგო, მაინც ყოველივე გამოირკვევა
„და ეუწყება გულთამხილავს, მსჯავრის დამდებელს.

40 „მაგრამ უკეთუ საკუთარი ბაგით წარსთქვამენ,
„განვლილი ცოდვის აღსარებას, ჩვენს სამსჯავროში
„სალეს გელაზით დაჩლუნგდება მახვილის პირი.

43 „ახლა კი გიჯობს რომ სირცხვილი იგრძნო შენ თავათ,
„ცოდვათა შენთა შემცნობელმა, რათა მერმისში,
სირენის ხმების გაგონებამ არ შეგარყიოს.

46 „მაშ მომისმინე და გაიგებ რომ სულ სხვა გზაზე
„შენ წარგმართავდა სხეულება ჩემი მოკვდავი,
„აწ სამუდამოდ გადასული, დამიწებული.

49 „არც ხელოვნებას, არც ბუნებას აღუტაცნიხარ,
„ისე როგორაც სილამაზეს სახსართა ჩემთა,
„რომელნიც უკვე დანაცრულან და ჩაფერფლილან.

52 „და თუ ვნებანი წარმავალნი შენ გაგეცალენ,
„როცა მოგიკვდი, სხვა რა იყო რაც გაყოვნებდა,
„რამ წარგიტაცა ასე რიგად ცნობიერება?

55 წარმავალობის როცა მოგწვდა ისარი მალი,
„უნდა დაგეთმო ამ საწუთროს სხვა ნატამალი
„და მომყოლოდი ამ ქვეყნისკენ რა გადვიცვალე.

58 „არამცდაარამც არ გმართებდა დაკეცვა ფრთების,
„ახალ განცდათა მოლოდინი ან ვინმე ქალის
„ამაოებით მოტყუება გულის და თვალის.

61 „მხოლოდ ბახალა თუ მოუცდის სამჯერ მოქნევას,
„მაგრამ თუ ფრინველს გამოესხა ფრთენი საკმაოდ,
„მაშინ ჩიტბადეს მას უგებენ სრულად ამაოდ.“

64 როგორც ჩვილ ბალღებს დაადუმებს ხშირად დარცხვენა,
მდუმარედ მიწას დაჰყურებენ თავჩაქინდრული,
დანაშაულის შემცნობელნი და დატუქსულნი.

ისე ვიდექი, მან განაგრძო: „თუ დაგაღონეს
„ჩემმა სიტყვებმა, მაშინ ასწი წვერები მაღლა,
„მძაფრად შეიგრძნობ მწუხარებას რომ შემომხედავ.“

უფრო ნაკლების გამძაფრებით ამოთხრის ხოლმე
მუხას გრიგალი ჩვენი მიწის ან ის ზღვაური,
იარბის მხრიდან მოვარდნილი ჩვენს სამშობლოში,

ვიდრე მე თავი ზეავწიე ბრძანებისამებრ,
სახისა ნაცვლად მისგან წვერის ჩემის ხსნება,
იყო საბაბი გესლიანი ნიშნის მოგების;

როცა დაბოლოს ზეავწიე მე პირისახე,
ჩემმა თვალებმა დაინახეს რომ ანგელოსნი
აღარ აბნევდნენ გარეშემო ხელით ყვავილებს

და მზერამ ჩემმან შეტყორცნილმან გაუბედავად
მყის შეამჩნია: ბეატრიჩე მხეცს შესცქეროდა;
ერთ არსებაში ორნაირი ბუნების შემცველს;

რიდე მოსავდა ამწვანებულ ნაპირზე დამდგარს,
სიტურფე მისი ადრინდელსა სჭარბობდა ისე,
ვით წინანდელი სილამაზით ყველა ხორციელს.

და სინანული დამეუფლა მე ამაზრზენი,
ასე რომ, რაც კი წინად ჩემსავ თავს მაყვარებდა,
აწ ყველაფერი სიძულვილის იყო აღმძვრელი.

შემიპყრო ქენჯნამ უცნაურმან და წამაქცია
და რა გადამხდა იმ წუთებში, რაც განვიცადე,
მან ერთმან იცის, ვინც საბაბი მომცა ამისა.

როს გულმან ჩემმან გარეგანი მომაგო ძალა,
წარმომდგომოდა თავზე ქალი, მარტო ხილული,
მიხმობდა იგი: მე მომყევი, მომეჭიდეო.

შემდეგ ამისა გადამიშვა მან მდინარეში,
თან მიმათრევდა, ზედაპირზე მიფარფატებდა,
ისე მსუბუქად ვით სართავის ციგლიგა მაქო.

როს მივეახლე მე მდინარის ნაპირს კურთხეულს,
მყის შემომესმა ღაღადისი: „Asperges me.“
რის მოგონებაც მიჭირს ახლა, არც თუ აღწერა,

პირმშვენიერმა ქალმა მაშინ მოიღო მკლავნი,
თავზე მომხვია, მაიძულა წყალში ჩაყვინთვა,
რადგან სულ მცირე უნებურად უნდა შემესვა.

შემდეგ ამისა განბანილი მიმგვარა იქვე
ოთხ ლამაზმანსა მოცეკვავეთ ნარნარ ფერხულში.
მყის სათითოოდ მომეახლნენ, დამასხეს ხელი,

„იქ ნიმფები ვართ, ხოლო ცაზე ვართ ვარსკვლავები
„და ბეატრიჩე ვიდრე მიწად ჩამოვიდოდა,
„შიმუნვარებად ვახლდით ჩვენ მას ოთხნივე ერთად.

„ჩვენ დაგანახვებთ თვალებს მისას, საამურ ნათელს,
„მათში მგზნებარეს გაჩვენებენ მზერაწამახულს,
„სამი ასული მომავალნი ეტლისა გვერდით.

ასე დაიწყეს მათ გალობა, შემდეგ ამისა,
გრიფფონს მიმგვარეს, დამაყენეს მის მკერდის გასწვრივ,
აქ შევეყარეთ ბეატრიჩეს ჩვენსკენ მაცქერალს.

მითხრეს: „ხამს თვალნი არ დაზოგო ამ წამს მზერითა,
„ჩვენ შეგაყენეთ სამარაგდოს წინაშე განგებ,
„საიდანაც შენ თვით ამური გტყორცნიდა ისრებს,

„ათას წადილთა ალზე უფრო უმგზნებარესთა
და მზერა ჩემი მიაჯაჭვეს მის ნათელ თვალებს,
რომელიც გრიფფონს დაჟინებით მიშტერებოდნენ.

ვით ანარეკლი ბრწყინვალე მზის თვალთა სიღრმეში
იხატებოდა მხეცი იგი ორსულიანი,
ხან ერთ ბუნების, ხან მეორის განმცხადებელი.

თავათ განსაჯე ოჰ, მკითხველო, როგორ გავცოცდი,
როცა ვიხილე რომ საგანი უძრავად მყოფი
სახეს იცვლიდა უცნაურად და იდუმალად.

ამასობაში მოლხენილი, გაოცებული
სული შეფრფენდა იმ სიხარულს მოჭარბებულსა,
რომელიც მასვე ვისაც აძღებს, ჰმატებს სიხარბეს.

გრაციით სავსე, პირმჩინარნი გამოეშურნენ.
დაწინაურდნენ სამივენი და მოროკავდნენ,
ანგელოსური ნაზი ხმებით მოიმღეროდნენ.

„ო, მიაპყარი ბეატრიჩე ეგ თვალნი წმინდა.“
ამას ისინი იმღეროდნენ „ერთგულსა შენსა,
„შენ სახილველად ვინც ესდენი განვლო მანძილი.

„მისდა სამადლოდ, შეგვივრდომე, აიხსენ რიდე
„და მას უჩვენე ეგ ღიმილი რათა იხილოს
„შენი მეორე სილამაზე აწ შეფარვული.“

ო, ბრწყინვალებავ მარადჟამულ, ცხოველ ნათელის,
ვის დაუყვია იმდენი დრო პარნასის ჩრდილში,
ან მის შადრევნის ვის უსვია იმდენ ხანს წყალი,

რომ მის გონებას სიძაბუნე არ დასჩენოდა,
იმის სათქმელად თუ შენ როგორ გიხილე თვალით,
როცა ზეციურ ჰარმონიით გარემოცული

გამომეცხადე თავისუფალ სფეროთ წიაღში.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

თვალები ჩემი ისე მტკიცედ და დაჟინებით
შეუდგნენ მოკვლას ათეული წლის წყურვილისას,
რომ ყველა გრძნობა დანარჩენი მე დამშრეტოდა.

თითქოს კედლები სიძულვილის გარს მევლებოდნენ,
ისე მიეპყრო თვალნი ჩემნი ღვთაებრივ ღიმილს
ადრინდელ ბადით ტყვედ შექმნილნი, დაოკებულნი.

როს ღმერთქალებმა დაძაბული ეგ მზერა ჩემი
მიაპყრეს მარცხნით იძულებით, რადგან მომესმა;
ზომაზე მეტად დაჟინებით რად უცქერიო.

მაგრამ უნარი, რაც ჯერ კიდევ მოეპოვება,
თვალს მიშტერებულს მზის დისკოსთვის, მე მცირე ხანში
წამერთო კიდეც და ჩემს თვალებს ეწვია ბინდი.

როს მზერა ჩემი ელვარებას შეეწყო მცირეს,
მე ვამბობ „მცირეს“, შედარებით იმ დიდ კაშკაშთან,
რომლისაგანაც მე მომწყვიტეს და მომახედეს;

მყის დავინახე მხარმარჯვნისაკენ ვით შემობრუნდა,
სახელგანთქმული ბრუნდებოდა დიდი ლაშქარი,
შვიდნი უძღოდნენ სასანთლენი და დისკო მზისა.

19 ვით რაზმეული თავდაცვისთვის შემზადებისას
შეიკუმშება წრედ შეკრული, ფარს მოიმარჯვებს,
დროშებიანად მობრუნდება ფრონტის შეცვლამდის,

22 ასე ლაშქარიც ზეციური დაწინაურდა,
ჩვენ ჩაგვიარა, ვიდრე ეტლი მას მოასწრებდა
ბორბლების თვისის შებრუნებას და გზისაქცევას.

25 შემდეგ ამისა ქალწულები ეახლნენ ბორბლებს
და ტვირთს კურთხეულს მყის შეუდგა გრიფფონი იგი
ისე, რომ პეწიც მის ნაკრტენზე არ შერხეულა.

28 ტურფა ასული, ვინც მდინარის გვაუწყა ფონი,
მე და სტაციუსს, სამნივენი მივყევით ბორბალს,
რომელიც მცირეს აკეთებდა რკალს ტრიალისას.

31 როს გავიარეთ დიდი ტევრი უკაცრიელი,
(პირველი დედის ბრალისაგან, გველს მინდობილის)
ნაბიჯებს ჩვენსას ვუხამებდით ანგელოსთა ხმას.

34 და ვგონებ სამგზის გატყორცნილი ისარი ფრენით
გადაივლიდა აქ ჩვენს მიერ განვლილსა მანძილს,
როს ბეატრიჩე ჩამოვიდა ეტლიდან მყარზე.

37 და შემომესმა ყველამ ერთხმად ახსენა: „ადამ.“
შემდეგ ამისა შემოერტყნენ გარშემო ერთ ხეს,
რომლისა შტოებს შემოფცქვნილი ჰქონდა ფოთლები.

40 ზევით და ზევით წვეროკინა მომეტებულად
დაფანჩულიყო და თვით წითელ ინდიელებსაც
თავიანთ ტყეში მისი ხილვა გააოცებდა.

43 „კურთხეულ იყავ ჰოდ, გრიფფონ, ვისაც ნისკარტით
„ხე ესდენ ტკბილი ჯერ კიდევ არ დაგიკორტნია,
„რადგან მის მიმრთმევს შეეყრება სტომაქის გვრემა.“

46 ასე ჰკიოდნენ დანარჩენნი დიად ხის ირგვლივ,
ხოლო თვით მხეცმან ორნაირის ბუნებისამან:
„ასე ყოვლისა ინახება თესლი მართალი.“

49 დაძრულსა ტიმონს მიუბრუნდა იგი ეტლისას,
მიგვარა იგი უფოთლებოდ დაქვრივებულ ხეს.
ზედვე მიაბა მისგან ერთხელ წამოღებული

52 ვით ჩვენი მიწის მცენარენი ისეთ ხანაში,
როს ციდან მოჰქრის ათინათი დიდთა მნათობთა,
ციური თევზის ნაშუქართან ჯუფთად შერწყმული

55 იფურჩქნებიან სათითოდ, საკუთარ ფერებს
განაახლებენ, ვიდრემდისინ მზე მოასწრებდეს
თავის ჰუნეთა სულ სხვა ნირის ვარსკვლავში შებმას.

58 ვარდზე მომკრთალო და იაზე უფრო ხასხასა
ფერით აღივსო ხე სავსებით განახლებული,
რომლის რტოები უსიცოცხლო სჩანდა აქამდის.

61 მე ვერ გავიგე, არც მღერიან მიწაზე ასე;
ჰიმნი, რომელსაც იმღეროდნენ ამ წუთს ესენი,
არც თუ ბოლომდის ჩამრჩენია ხსოვნაში ეს ხმა.

64 მე რომ შემეძლოს გამოვხატო ვით მოეკიდა
ძილი მის თვალებს, ვინც სირინგის ისმენდა ზღაპარს,
თვალებს, რომელთაც ძილფხიზლობა დაუჯდათ ძვირად,

67 როგორც მოდელის გადამღები მხატვარი ვინმე
გამოვხატავდი ვით ჩავთვლიმე მე თავათ ძილში,
ძილი მან ხატოს ეისაც იგი მოეპრიანოს,

70 მე კი გიამბობთ თუ რარიგად გამომეღვიძა.
ვამბობ: სინათლემ გააღვივა თვლემისა რიდე
და შემოძესმა შეძახება: „აღსდექ, რას შვრები?“

73 მსგავსად ვაშლის ხის, რომლის ჭვრეტა აღუძრავს ხოლმე
ცის ანგელოსებს მის ნაყოფით დატკბობის სურვილს,
მართავდნენ მერმე მარადიულ ნადიმს ზეცაში,

76 პეტრე, იაკობ, იოანე მთაზე ასულნი
რულმორეულნი გამოფხიზლდნენ რა ესმათ სიტყვა,
უფრო ღრმა ძილის გამკრთობელი და რა იხილეს,

79 როგორც ილია ისე მოსე იქ აღარ იყვნენ,
გამოკლებოდნენ უცაბედად კრებულსა მათსას,
ხოლო სამოსი მაცხოვრისა გამოცვლილიყო:.

82 მეც გამოვფხიზლდი და ვიხილე თავს წამდგომოდა
ასული იგი კურთხეული ვინც მიწინამძღვრა,
ვინც მომიყვანა ამ მდინარის ნაპირებამდის.

„სად არის-მეთქი, ბეატრიჩე?“ ვკითხე შემკრთალმან,
„შეხე ეგერ ზის“ მიპასუხა თანაც დასძინა:
„ახალ მწვანისა საჩრდილეთში, ხისავ ფესვებზე.

„ეგერ მისივე შიმუნვარნი შემოკრეფილან,
„დანარჩენები მიყვებიან გრიფფონს აღმართში,
„უფრო ნატიფი, უფრო ტკბილი გალობის მთქმელნი.“

თუ რაოდენ ხანს გრძელდებოდა უბნობა მისი,
არც ვიცი, რადგან წინ დამიდგა ასული ვინაც
სხვა რაზის სმენად ყურნი ჩემნი დაახშო სრულად.

მე მივიხედე იჯდა იგი მიწაზე მარტო
და სდარაჯობდა როგორც ვნახე იგი იმ ეტლსა,
ორმაგი მხეცის მიერ ხეზე ჩემს თვალწინ მიბმულს.

გარს შემორტყმოდნენ მას ნიმფები შვიდნივე ერთად
და სასანთლენი ეპყრათ ხელში, რომელთაც ქარი
ვერას დააკლებს ვეღარც სამხრის და ვერც ჩრდილოსი.

„აქ შენ მცირე ხანს დაყოვნება თუ მოგიხდება,
„ხოლო ჩემთან კი მოქალაქედ დაჰყოფ მარადჟამს,
„იმ როჽში, სადაც რომაელი არს თვით იესო.

„ასე, ბიწიერ ცხოვრებაში მყოფთა სამადლოდ
„ეტლს დააკვირდი, რასაც ნახავ, დაიმახსოვრე
„და როს მიწაზე კვლავ მიბრუნდე, აღწერე ესე.“

ეს ბეატრიჩე შემესიტყვა და მეც ამგვარად
მისთა ნაბრძანთა მომსმენელი ქედმოდრეკილად
ზრახვა და მზერა მივაპყარი როგორც მას სურდა.

აროდეს მეხი ასე სწრაფად არ წამოსულა
ზრქელ ღრუბლებიდან, როცა მოდის ქვეყნად მერეხი,
თვალშეუდგამი სიმაღლიდან გადმოშვებული,

როგორც ფრინველი ძვესისა დაეშვა, ვნახე,
ხეზე და თანაც მოაცილა გარშემო ქერქიც
არა თუ მარტო ყვავილი და მწვანე ყლორტები;

შემდეგ ამისა მთელის ძალით ეძგერა ეტლსაც,
იგი შეირყა, შეტორტმანდა ვით გემი ზღვაზე
მხარმარცხნიდან და მხარმარჯვნიდან ტალღით ნაცემი.

მცირე ხნის შემდეგ ტრიუმფიურ ეტლისა კოფოს,
მივარდა ვნახე ჩემი თვალით ერთბაშად მელა,
სჩანდა აროდეს ღირსებოდა მას ტკბილი ლუკმა.

მაგრამ სასირცხო ბრალდებებით მყის დატუქსული
უკუაქცია იგი ჩემმა გულისმპყრობელმან
ისე უეცრად, რაც შეეძლო გაძვალტყავებულს.

მერმე ეს ვნახე: იმავ მხრიდან, ძირს ჩამოეშვა
არწივი დიდი, ეტლს ზემოდან გადაეფოფრა
ფრთენი დაჰყარა და დაჰფარა იგი სრულიად,

და მსგავსად ხმისა, დაზაფრულის გულის მომსკდარის
მოისმა ციდან უცნაური ხმაჲ მეტყველი:
„ო, ნავო ჩემო, რა აუგად დაუტვირთავხართ!“

შემდეგ მეჩვენა თითქოს მიწა განეხვნა ორად
ორ ბორბალს შორის და ვიხილე ურჩხული დიდი,
რომელმაც ბასრი ჭანგი თვისი შეურჭო ეტლსა.

მსგავსად კრაზანის, რომელიც გესლს წაიღებს უკან,
ურჩხულმაც ჭანგი შხამიანი კვლავ დაითრია
და თან წაიღო იმა ეტლის ქვედა ნაწილი.

ასე წავიდა იგი ზლაზვნით, გაუჩინარდა.
ხოლო ნარჩენი, როგორც მსუყე მიწა ბალახით,
ფრთებით, ვინ იცის, მოტანილით კეთილი ზრახვით,

გარს შეიმოსა და ბალახმა დაფარა ეტლის
ორივ ბორბალი, მისივ საჭეც იმოდენ ხანში,
რამდენსაც კვნესა საჭიროებს პირის დაბჩენას,

ასე უეცრად შეიცვალა ეს ეტლი წმინდა.
სხვადასხვა ნაწილს გამოესხა სხვადასხვა თავი
საჭეზე სამი ამოვიდა, ორიც გვერდებზე.

პირველნი რქებსა მიაგავდნენ ბებერ ხარისას,
ოთხს სათითაოდ ამოსვლოდა რქა თითო-თითო,
არვის უნახავს ამნაირი სადმე ვეშაპიც.

იდგა ციხისებრ შეუვალი, ცად აზვინული
ვიხილე მასზე უსირცხვილო მეძავი მჯდარი
იმზირებოდა გარეშემო თვალის ხამხამით;

151 მას გვერდით უჯდა დევი ერთი უშველებელი,
თითქოს შიშობდა მდევი იგი არ წამართვანო,
ლოშნიდა მდევსა ის მეძავი ჟამიდან ჟამზე,

154 როგორც კი თვალი არეული და შურიანი
ჩემსკენ მოაპყრო, მყისვე კუროო გაცოფებულმან
მორეჯგვა იგი უსაშველოდ თხემით ტერფამდის.

157 შემდეგ იჭვის და სიბრაზისგან დაბრმავებულმან,
მოხსნა მან ეტლი, დაითრია იგი ტყე და ტყე
და მან დაჩრდილა ჩემ თვალთაგან როგორც მეძავი,

160 ისე ახალი მხეცი იგი განშორებული.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

Deus Venerunt gentes ქალწულები ასე გალობდნენ
მორიგეობით ხან სამ-სამი, ხანაც ოთხ-ოთხი,
თანაც ცრემლები მოსდიოდათ ღაწვზე წკანწკარით.

4 ხოლო გულნაზი ბეატრიჩე ყურს მიუგდებდა
ისეთი სახით, რომ მარია ჯვართან მჯდომარე
მოწყენით ოდნავ თუ სჭარბობდა მას ამ წუთებში.

7 როგორც კი ქალწულთ მოათავეს გალობა იგი,
წამოდგა მყისვე, გაიმართა ნაზად მჩინარე
და უპასუხა ცეცხლის დარად ღაწვშეფაკლულმა:

10 „Modicum et non videbitis me
„კიდევ მცირე ხანს ჰოდ, დანო ძვირფასნო ჩემნო,
„Modicum et vos videbitis me“.

13 მერმე შეიდივე დააყენა თავის წინაშე,
შემდეგ ჩვენ უკან წამისყოფით ჩამოგვიყენა
მე, ერთი ქალი, ბრძენი იგი ჩვენთან შთენილი.

16 დაწინაურდა და არ მახსოვს ათი ნაბიჯის
მიწაზე დადგმაც მას მოესწროს, როცა თვალებით
მან დააოკა და მონუსხა ჩემი თვალები.

19 უდრტვინველ სახით მეუბნება: „იარე ჩქარა,
რათა ისეთ დროს, როცა მე შენ გესაუბრები
ჩემს ახლოს ვლიდე მომავალი ჩქარი ნაბიჯით.

22 როს მივეახლე, ისე როგორც თავათ ინება,
მითხრა: „რათ არ გსურს გამიბედო გასაუბრება
„როცა მოდიხარ ასე ახლოს, ძმაო, ჩემს გვერდით?“

25 როგორც კაცს მავანს უფროსების წინაშე კრძალვით
სიტყვა აებნეს და ჩაუწყდეს ხმა ვიდრემდისინ
ყელით დაძრული მოაღწევდეს კბილის ღრძილამდის,

28 ასევე მეცა დაკეპილი სიტყვები წარვთქვი.
ვარქვი: „ბატონო, კარგად უწყით ჩემი ამბავი,
„ისიც თუ როგორ მოევლება სიძძიმილს ჩემსას.“

31 მომიგო: „გიჯობს უკუაგდო ზედმეტი რიდი
„ასე მწადია ეს იცოდე ამიერიდან
„არ მეტყველებდე, როგორც კაცი ოცნებით მთვრალი,

34 „იცოდე გველმა კიდობანი თუ დაამსხვრია,
„მაგრამ ყოველთვის ხამს ახსოვდეს დამნაშავესაც,
„ღვთის შურისგებას „სუპპეს“ ჰამით ვერას უშველის.

37 „არც თუ დარჩება უმემკვიდროდ არწივი იგი
„ვინაც შემოსა ეტლი ჩვენი თავის ნაკრტენით.
„ჯერ ურჩხულად და შემდეგ მსხვერპლად გადაქცეული

40 „მე ვსჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც,
„თან მოაქვთ ქამი აწ ვარსკვლავებს ახლო მჩინარეთ
„ყოვლის ზღუდის და დაბრკოლების კიდეგან მდგარი.

43 „ღმერთი წარგზავნის ხუთასათას და კიდევ ხუთსა,
„ვინც უეჭველად ბოროტმომქმედს მოუღებს ბოლოს
„და მოაკვდინებს მდევს მეძავთან მრუშობისათვის.

46 „ამ მრუმე თხრობამ შესაძლოა, ვერ დაგარწმუნოს,
„როგორც თემიდის, ან და სფინქსის წინასწართქმულმა
„რაკი მათსავით ესეც ბნელით თრგუნავს გონებას;

49 „მალე საქმენი იქცევიან ნიადაგებად,
„გამოირკვევა ამოცანა ამოუცნობი,
„გადარჩებიან ჯოგები და ნახნავ-ნათესი.

52 „შენ მოისმინე აქ ჩემს მიერ წინასწართქმული.
„და ასწავებდე იქ მიწაზე ჯერეთ ცოცხალთა,
„ვისი სიცოცხლეც სიკვდილისკენ ლტოლვაა მხოლოდ.

„მოიგონებდე როს ასწერო ეს ყოველივე,
„არც ის დამალო თუ როგორი იყო ხე იგი;
„რომელიც ორ გზის აქ გაძარცვეს შენ თვალთ წინაშე.

„ვინც მას გაძარცვავს და აშოთხრის მას ფესვიანად,
„იგი მკრეხელად ჩაითვლება უფლის წინაშე,
„რადგან ის უფალს შეუქმნია მხოლოდ თავისთვის.

„და მის ნაყოფთა შეცნობისთვის დიდის წამებით
„ხუთიათას წელს მოელოდა სული პირველი,
„იმას ვინც ტანჯვით შეცოდება გამოისყიდა.

„გონება შენი თვლემისაგან თუ არ მოღლილა,
„გაიგებ მიზანს საგანგებოს რისთვისაც ის ხე
„წვეროკინისკენ ვრცელდებოდა უფრო და უფრო.

„შენი გონების გარეშემო ამაო ფიქრნი
„არ გამხდარიყვნენ ვით საგანი ელზას წყლის შლამში,
„და სიტკბო მათი შენთვის უკვე არ ქცეულიყო,

„რაც იყო პირამ სიკვდილის ჟამს თუთის ხისათვის,
„განსჯის სისწორეს უფლის მიერ განწესებულსა,
„ამ ხის იგავში უეჭველად ამოიცნობდი,

„მაგრამ მე ვხედავ თუ რამდენად გონება შენი
„გაქვავებულა, ამღვრეულა და შებღალულა,
„ასე რომ შუქი ამ სიმართლის გიბნელებს მზერას.

„ამიტომაც გთხოვ დაწერილი თუ არ წაიღო
„აქ თვალმოკრული სახეები მინიშნებულად
„თანწარიტანო; ვით ბზის ტოტი არგანით მწირმა.“

„მე ვუპასუხე: „როგორც დამღა თავის ანაბეჭდს
„აროდეს შესცვლის, თუნდ მრავალგზის იხმაროს კიდეც.
„ასე აღბეჭდა თქვენგან თქმულმან გონება ჩემი,

„მაგრამ ეს მარქვი, რად ვერ სწვდება სიტყვასა თქვენსას
„გონება ჩემი ამ სანუკველ საუბრის დროსაც,
„ეგზომ ამაოდ აღგზნებული და დაძაბული?“

„უნდა შეიგნო, მიპასუხა, რომ სკოლა იგი,
„ანდა მოძღვრება, რომელსაც შენ აღვიარებდი
„ვეღარ მიწვდება ჩემს ნაუბარს აქ გამყღავნებულს,

88 „გეჭეშმარიტოს რომ ხმა თქვენი უფლის ხმისაგან
„ისე შორსაა და იმზომად განსხვავებული,
„როგორც მიწისგან ცა სფეროში ირგვლივ მბრუნავი.“

91 მე ვუპასუხე, „თუ აქ ხსოვნამ არ მიღალატა,
„მე ხლებას თქვენსას ჯერ აროდეს განვრიდებივარ.“
„არც თუ მიგრძვნია საამისო ქენჯნა რაიმე.“

94 „ასეთი რამე თუ არ გახსოვს, მომიგო თანაც,
მას გაეღიმა, ამას მაინც მოიგონებდე,
„როგორ დალიე ძოღან თავათ წყალი ლეტესი.

97 „და თუ ცეცხლისა სიახლოვის მაცნეა კვამლი,
„მაშინ ამოწმებს მაგნაირი გულმავიწყობა
„ნებისა შენის სხვა მიზნისკენ მიდრეკის ბრალსაც.

100 „ამიერიდან შიშვლდებიან სიტყვანი ჩემნი,
„ისე თვალნათლივ და აშკარად რომ შენს გონებას,
„ხელი მიუწვდეს შესაცნობად, აწ დაჩლუნგებულს.

103 ამასობაში მოვარვარე მზემ ნელი სრბოლით
გადაიარა უკვე რკალი მერიდიანის,
რომელიც მიწის ჰორიზონტებს უთანაბრდება.

106 შეჩერდნენ მყისვე (როგორც ჯარის მეგზური ვინმე,
შესდგება ხოლმე, დაუცხრომლად წინ მოარული,
როცა ნივთს რამეს დაინახავს გზაზე დაგდებულს).

109 შვიდნი ასულნი გამოსულნი ხშირი ჩრდილიდან.
რომლის მაგვარსაც მიაფენენ ხოლმე ალპები
ტყეებს ფოთლიანს და ჩქერალებს სიგრილის მომგვრელთ,

112 მათ სიახლოვეს დავინახე (თუ მომეჩვენა)
ერთ სათავიდან გამოსული ტიგრ და ეფრატი,
ვით მეგობარნი დაშორების მაყოვნებელი.

115 ჰოჲ, სინათლევ, ო, სახელო ადამის თესლის,
ეს რა წყლებია ერთ სათავით გამომდინარნი,
მანძილს განვლენ და მერმე ისევ გაიყრებიან,

118 მე მიპასუხეს: „რადგან ამის გნებავს შეცნობა,
„მატელდას ჰკითხე, განგიმარტავს“, მომცა პასუხი
(ისეთნაირად ვით ვექილი იცავს ბრალდებულს).

121 ნაზმა ასულმა: „როგორც ეგ და ისე სხვა რამეც
„მე განვუმარტე, თანაც მჯერა დაბეჯითებით,
„რომ ეს ლეტეს წყალს მის ხსოვნაში არ წარუშლია...“

124 და ბეატრიჩემ: „შესაძლოა ფიქრმა ხანგრძლივმა,
„რომელიც ხშირად აუძლურებს მეხსიერებას,
„გონებას მისას მრუმე ფლასი გადააფარა.“

127 „შეხე ევნოეს, როგორ იცვლის მიმართულებას,
„მანდ მიიყვანე, როგორც შენ ეს გჩვევია ხოლმე.
„და განაახლე მასში უკვე დახშული ძალი.“

130 ვით ქველი სული უყოყმანოდ სიქველის მქნელი,
თვის მღელვარებას დაუმონებს სხვის ნებისყოფას
რა საამისო წამისყოფას მიიღებს მისგან.

133 ასე მეც ხელი წამომავლო დაუნდობელად
ნაზმა ასულმა, წამიყვანა, მისწვდა სტაციუსს:
თავაზიანად ეუბნება: „შენც მიჰყევიო,“

136 ჰოდა, მკითხველო, საკმარისი რომ მქონდეს არე,
ნაწილობრივად ვუმღერებდი მე ამ ტკბილ სასმელს,
რომელსაც ბაგეს არაოდეს მოვაშორებდი.

139 მაგრამ, რადგანაც ამა წიგნის ყველა გვერდები,
დაწერილია და ჩემს მიერ შესრულებული,
წინ აღარ მიშვებს აწ ლაგამი ხელოვნებისა

142 და გამოვედი წმინდა წყლისგან ხელახლად ქმნილი
ვითა მცენარე განძარცული ძველ ფურცელთაგან,
სპეტაკი სრულად, განმზადილი სულის შეფრფინვით

145 ცად აღსავლენად, მისაწევნად ვარსკვლავებისა.

## ს ა მ ო თ ხ ე

### ქ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

დიდება მისი ყოველივეს ვინც ამოძრავებს,
ბრწყინავს ყოველგან და ელვარებს სხივმოსილობით
ზოგგან ნაკლებად და ზოგგანაც მომეტებულად.

4 ცაში ვიყავი, კაშკაშებდა სხივთ ათინათი,
ვნახე ბევრი რამ, რის აღწერას ვეღარ შეიძლებს.
ვინაც მუნიდან, კვლავ მიწაზე მობრუნებულა.

7 რა მიეტანოს ამგვარ ზრახვას გონება ჩვენი
ისეთ სიღრმეში ჩაეფლობა ანაზდეულად,
ალარ შერჩება უკუქცეულს მეხსიერება.

10 რაც კი ვიხილე, განვიცადე და მოვიხვეჭე
საუფლოს წმინდას და შევკონე გონების ძალით,
ამიერიდან ამ სიმღერის ქცეულა საგნად.

13 ჰოდ, აპოლონ, მწედ ეყავი ქმნილებას ჩემსას
ამ უკანასკნელს, რათა შევძლო შენი ძვირფასი
დავიმსახურო მართებულად დაფნის გვირგვინი.

16 აქამდის ჩემთკის საკმარისი იყო პარნასი
ამიერიდან ორივენი გახდენ უცილო,
რათა დარჩენილ ასპარეზის მივაგნო ჰელოს.

19 მოვედ ჩემს გულში და მათხოვე აწ სუნთქვა შენი,
რომლითაც ერთხელ, ო უკვდავო, თავათ მარსიას
შეუბრალებლად ამოართვი სხეულის ქარქაშს.

22 მოვედ, სიქველეც ღვთაებრივო და შთამაგონე
რათა ვიხილო აჩრდილები ნეტარი ქვეყნის,
რომელთაც კვალი ჩემს ხსოვნაში აღუბეჭდიათ.

25 მომახვეჭინე დაფნა შენი ეგზომ ძვირფასი,
ფურცელთა მისთა დამამშვენონ უკეთუ შენ და
ქმნილება ჩემი საამისოდ დამრთავთ მე ნებას

28 ტრიუმფის დაფნა იშვიათად მოუხვეჭნიათ
პოეტების და ცეზარების გარეშე სხვათა.
ჰოდ სირცხვილო კაცობრიულ არარაობის,

31 დელფის ღვთაება აღივსები სიხარულისგან,
როს პენეს რტონი აღაგზნებენ გულს სიხარულით.
ხშირად, ნაპერწკალს თან მოჰყვება ხანძარი დიდი.

34 რაგინდ რომ მცირეც იყვეს თუნდაც ცეცხლის ნაკვესი.
შესაძლო არი ჩემზე უფრო მჭევრად მეტყველი
ელირსოს პასუხს ცირრასაგან უფრო სანუკველს.

ციური სხივი გვევლინება სხვადასხვა მხრიდან,
მაგრამ როდესაც იგი ხვდება იმ ადგილს, სადაც
ოთხივე გარსი, სამი ჯვარი შეიყრებიან,

სხივი წამოვა მომეტებულ ძალმოსილებით
კაცთ ევლინება და აღბეჭდავს უფრო მკაფიოდ,
მიწიერ დინგელს საკუთარის ნების მიხედვით.

დღე იწყებოდა ცალ კიდეზე, ცალზედაც ღამე,
ჰემისფეროი ერთი იყო თეთრად ელვარე,
ხოლო მეორე დათალხული მწუხრის ფერებით,

როს ბეატრიჩეს თვალი მოვჰკარ მარცხნით მიდრეკილს.
მზეს გასცქეროდა, ისე როგორც ჯერ არასოდეს
არ შეუხედავს არწივთაგანს ამ მნათობისთვის.

როგორაც სხივი აღმოცენდეს ხშირად მეორე
პირველისაგან და დაიწყოს თავათ ზესწრაფვა,
მსგავსად მწირისა, რომ ნატრულობს შინ მობრუნებას.

ასევე მისი საქციელი მე გადმომედო
თვალების ჩემის მეშვეობით დავძაბე მზერა
და მივაშტერდი ციურ მნათობს გაოგნებული.

**იქ ბევრი რამე შესაძლოა რაც აქ არ ძალგვიძს,**
**ამას იმ ადგილს ვუმადლოდეთ, რომელიც ერთხელ**
**კაცთათვის იყო პირველადი, დასავანები.**

სხივს ვერ გავუძელ მე ხანგრძლივად, მაგრამ ნათელი
ირგვლივ ისვროდა მოელვარე მთიებს ვით რვალი,
გაღვივებული ცეცხლისაგან, გრდემლზე მდებარე.

მეჩვენა თითქოს დღეს ერთვოდა, კვლავ დღე ახალი,
თითქოს განგებას რომლის ძალნიც უშრეტელია,
ცისთვის ებოძოს სხვა ახალი მანათობელი.

და ბეატრიჩე გასცქეროდა ეტლს მარადიულს
მივაპყარ თვალნი, მივაშტერდი ზეზე მდგომარეს,
ვუჭვრეტდი, თანაც განვიცადე თითქმის იგივე,

რაც შემთხვევია თურმე გლავკუსს, როცა ბალახი
გასაოცარი მან იგემა, ღმერთს ეზიარა
და გადაიქცა ამის შემდეგ ზღვათა ღვთაებად.

70 Fraensumanar significar per verbe
ამას შეიცნობს მხოლოდ იგი, ვინც ეღირსება
განცდას იმ დიდის, უცნაური ბედნიერების.

73 ჰოდა ამურო, თავათ უწყი ცათა მპყრობელო,
თუ იგი დავრჩი, როგორათაც შენ გამაჩინე
შენ ვინც მძლეობა მომანიჭე განსხივოსნებულს,

76 როს სფეროებმა, რომელთაც შენ აბრუნებ მარად,
გულისხმა ჩემი მიიტაცეს იმ ჰარმონიით
რითაც შენ ზესკნელს აწესრიგებ და ატრიალებ.

79 ვნახე ცადაქმნილს მოსდებოდა ისეთი ალი,
რომლისოდენა არ დამდგარა ჯერ ხმელზე წყალი,
ხმათა სიახლემ და სხივების უცხო ციალმა,

82 ისე შემიპყრო, მომენატრა მიზეზის ცნობა,
რომ წადილს აგრე არაოდეს ავუტანივარ
და ბეატრიჩე მყის მიმიხვდა გულთმეცნიერი,

85 აღახვნა ბაგე ნატვრის ჩემის აღსასრულებლად.
და ვიდრე კითხვას შევკადრებდი, მომიგო აგრე:
მცდარსა ოცნებას შეუპყრიხარ და თვალს იბრმავებ,

88 მაგრამ თუ შესძლებ განკურნებას ამ სენისაგან
იხილავ იმას რაც გაგცლია უკვე ხელიდან.
შენ გეჩვენება თითქოს ფეხი გედგას მიწაზე,

91 მაგრამ ზეციდან გადმოვლენილ ელვის სისწრაფით
მიუბრუნდები შენ ისევე სამყოფელს შენსას.
მან მოკლე სიტყვა გაღიმებით შემომაგება

94 და ერთი იჭვი განმიქარვა მწვავედ მქენჯნავი,
მაგრამ მეორე ჩამისახა და ვეუბნები
„მე განმიქარდა განცვიფრება ანაზდეულად,

97 „ახლა ეს მიკვირს. და მწადია, ვჰყო საცნაური
„ვით აღმიტაცა მატერიამ ესდენ მსუბუქმა?“
ამოიოხრა, თანაგრძნობა აღძვროდეს თითქოს,

100 შემომცქეროდა ისე ნაზად და გულხმიერად,
როგორც მშობელი თავის პირმშოს თავგზააბნეულს.
მითხრა: „კაეშირთა სოფლიურთა მართავს კანონი

„გარდაუვალი დაწერილა დასაბამიდან
„რომ ღმერთს სამყარო ხატად თვისად გაუჩენია.
„ზეარსებანი თვალით ჰვრეტენ ზენარულ ძალთა

„მარადულ ქცევას, რომლის მიზანს შეადგენს იგი
„კანონი რაც მე გაგახსენე შენ ამას წინად,
„ბუნების ძალნი მიჰყვებიან ეტლს სხვადასხვაგვარს,

„ბოლოს ესენი ერთ ჰელოსთან შეიყრებიან,
„მიესწრაფიან ეტლნი ესე ბოღოზს სხვა და სხვას,
„ამ აზვავებულ ყოფნის ზღვაზე მოტივტივენი

„ნაირ-ნაირი ინსტიქტების ღელვით შეძრულნი.
ცეცხლს იგი აწვდის დაუცხრომლად ცაზე მთოვარეს,
„იგივე თავათ ამოძრავებს გულსა კაცისას,

„იგივე სთიშავს და აერთებს ქვეყნის კიდეებს,
„და არა მარტო იმ არსებათ, რომელთაც ნიჭი
„შემეცნებისა წართმეული აქვთ ბუნებისაგან

„ხვდება ისარი განატყორცნი ამ მშვილდის მიერ,
„არამედ სხვათაც, სიყვარულის ნიჭის მქონებელთ.
„ძალი ზენარი გამგებელი ბუნების წესთა

„ანიჭებს ზეცას ბრწყინვალებას მთიებით თვისით,
„და ამოძრავებს დაუცხრომლად ციურ სფეროებს.
„ძალმოსილებას ამ მშვილდისას ჩვენაც იქითკენ

„მივყევართ ახლა და უწყვეტელ კანონის ძალით
„ისარნი მისნი უმიზნებენ ბედნიერებას.
„იგიც სწორია რომ ურჩია ფორმა ხანდახან,

„არ ეგუება შემომქმედის გულისა ზრახვას,
„რადგან ყრუ არის მატერია, არ გაგცემს პასუხს,
„აგრე არსობაც აღმოჩნდება ხშირად ჯიუტი.

„დააგდებს მართალ მიმართებას მრუდედ მავალი
„და გადაჰყვება მცდარ სურვილებს ანაზდეულად
„ვით ნაპერწკალი ქუხილისა ცით დაშვებული.

„შენ ნუღარ გიკვირს ზეამოსვლა ამიერიდან
„ეს იგივეა, თუ არ ვცდები ამ შემთხვევაში,
„ხედავდე თითქოს მწვერვალიდან დაძრულ მდინარეს,

136 „რომელიც ქვევით მიიკაფავს ბარისკენ გზასა.
„მართებულია განცვიფრებას შეეპყრე მაშინ,
რომ დაბრკოლების ყოველგვარის შეუმთხვეველად

139 „კვლავ საიქიოს მიბრუნება რომ შეგძლებოდა
„და მიკრობოდი მიწას მკერდზე ვით ცეცხლის ალი.“
ეს სთქვა და ისევ ზეალმართა ზეცისკენ თვალნი.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

ჰოჲ თქვენ, ვინაც უკან მოსდევთ ტანმორჩილ ნავით
ხომალდსა ჩემსას, მოისწრაფით მღელვარე ზღვაზე
და მის სიმღერას ყურს მიუგდებთ სმენად ქცეულნი

4 უკუ-იქეცით, მიაშურეთ მშობლიურ ნაპირს.
ზღვას ნუ ენდობით, შესაძლოა დამკარგოთ თვალით
და გზა დაგებნათ თვალშეუვლებ წყლის უდაბნოში,

7 რომელიც ჯერაც ძეხორციელს არ გადუსერავს.
მინერვა აფრებს ამოძრავებს, აპოლო საჭეს,
ხოლო ცხრა მუზა მიჩვენებენ ზეცაზე გუთანს.

10 ჰედ რჩეულნო, ვინაც მუდამ ხელგაწვდილნი ხართ
სამღვთო იფქლისა მისაღებად, რაც თქვენ განიჭებთ
როგორც სიცოცხლეს, ისე შიმშილს მარადჟამულსა,

13 თქვენ შეგიძლიათ გაიყვანოთ ნავები ზღვაზე,
რომელსაც გემი ჩემი სერავს და სტოვებს კვალსა,
ვიდრე ორნატი იგი წყლისგან წარიშლებოდეს.

16 თქვენ უფრო მეტად გაოცდებით ვიდრე ბერძნები,
რომელთაც ნახეს კოლხიდაში იაზონ ხნავდა
ცეცხლისმფრქვევ ხარით გამართული გუთნით ნიადაგს.

19 უფლისმიერის სამყაროსკენ ჩვენ აღგვავლინა
უშრეტმა ნდომამ, შთანერგილმა ისე უეცრად
როგორც ჩვენ ძალგვიძს მოვიხილოთ თავანი ცისა.

22 ზეაიხედა ბეატრიჩემ, მივხედე წამსვე
ისევე სწრაფად როგორაც ისარს მოსწევენ მშვილდით
და გასტყორცნიან სანიშნოის მისაწეველად.

25 მე მივალწიე ისეთ მხარეს სად უცნაური
სანახაობა შეეხეჩა თვალს განცვიფრებულს.
იგი ვინც ზრახვის ჩემის იყო მარად საგანი

28 მყის მომიბრუნდა, მეუბნება პირმშვენიერი:
„მიაგე მადლი მამაუფალს ცათა მპყრობელსა,
„ვინც ნება დაგრთო მივწეოდით ვარსკვლავსა პირველს.“

31 მე მომეჩვენა: დაგვნათოდა ზედ ღრუბლის ჭული
თეთრი, ბრწყინვალე და ქათქათა ვით დიამანტი
სხივთა კრთომაში უცნაურად აელვებული.

34 მარადიულმა ალმასებმა ისე მიგვიღეს,
ვით სხივებს მზისას ათინათებს ჰავლნი წყლისანი.
აღარ ვიცოდი თუ მე კიდევ ზედმესხა ხორცი,

37 ან სივრცე ერთი ვით შეერწყო სივრცეს მეორეს,
სხეული სხეულს რანაირად შეუსხეულდა.
მღრნიდა სურვილი, რომ შემეცნო რამენაირად,

40 ჩვენი ბუნება ვით გადადის ღვთის არსობაში.
ამას მივწვდები მხოლოდ რწმენით არა მსჯელობით,
თავისთავადი, ქვეშეცნეულ განჩინებითა

43 ვით პირველ კაცთა შეუცვნიათ ჭეშმარიტება.
მე მივუბრუნდი ბეატრიჩეს თავმოდრეკილი.
„მადონა, ვუთხარ. სათნოებით სრულით აღესილი,

46 „მადლს მოვახსენებ ყოვლისშემძლეს ვინაც ინება
„და მომაშორა წუთისოფლის უხამს ჟრიამულს.
„ახლა ეგ მამცნე, რად ეტყობა ნეტავ ამ სხეულს

49 „შავი ტალები. რამაც კაცთა მისცა საბაბი
„ქვევით პიწაზე. კაენისთვის ეს მიეწერათ?“
მან შემომხედა, გაბიღიმა და მიპასუხა:

52 „თუ ხალხის რწმენა უეიცობით დაბრმავებული
„ვერ შესწვდენია ისეთ რამის შეცნობას რასაც,
„გრძნობების თქვენის კლიტენიცა ვერ მორგებია

55 „გაოცებისგან ნუ შეკრთები ამიერიდან.
„რადგან თქვენს გრძნობებს ცნობა უწევს ხელმძღვანელობას.
„ხოლო გონებას შეკვეცილი ასხია ფრთენი,

58 „ახლა ეგ მინდა შენი აზრი მამცნო თავათვე.“
და მე მივუგე: „განსხვავება ეს უნდა იყოს
„მრუმე და ნათელ სხეულების ალბათ თვისება“.

61 „თუ რა მცდარია აზრი შენი გაიგებ ამას,
მითხრა, „როდესაც გამცნობ საბუთს, რომელსაც მევე
„შენს მიერ ნათქვამს დავუყენებ ახლავ პირისპირ.

64 „მერვე ცას ბევრი გააჩნია სხვადასხვა ზომის
„სხვადასხვაგვარი ბრწყინვალების, შუქის ცთომილნი,
„აღნაგობითაც ურთიერთში განსხვავებულნი.

67 „საგანთ სიმრუმე ან სინათლე რომ ქმნიდეს მიზეზს,
„სულ ყველა ვარსკვლავს ექნებოდა იგივე ძალა
„მეტ-ნაკლებ ზომის, თანაბარის სხივმოსილებით

70 „ხარისხთ სხვაობა შედეგია შექმნის პრინციპის,
„შენს აზრს რომ ავყვეთ, გვექნებოდა პრინციპი ერთი
„ერთსახელობა იმეფებდა მთელს სამყაროში.

73 „მაშინ ნათელი სხეულები ამ შემთხვევაში
„გამოიწვევდნენ წარმოშვებას შუქ ლაქებისას,
„რომელთა მიზეზს ეძიებდი, ხოლო მთოვარე

76 „უცილებლად მოიკლებდა და დაჰკარგავდა
„ნივთობრიობას და უთუოდ ემსგავსებოდა
„ცხოველის სხეულს ზოგგან მჭლესა და ზოგგან მსუქანს,

79 „თავათ ცთომილი ნაწილობრივ იცვლიდა ფერსა.
„ეს მოხდებოდა უეჭველად მზის ელიპსის დროს
„და მაშინ სხივი გაატანდა უცილოდ მთვარეს

82 „როგორც ყოველგვარ გამჭვირვალე საგანს რაიმეს.
„ახლა მეორე დებულებას დავარღვევ შენსას
„და დაგარწმუნებ აზრი შენი რომ იყო მცდარი.

85 „ვთქვათ საგნის სიზრქე გამსჭვირვალე არაა სრულად,
„იგულისხმება მას ექნება ერთ-ერთი კიდე
„და მისგან სხივი მოიქცევა უკუკრთომითა

88 „როგორც სარკისგან, რომლის უკან დაუდევთ ტყვია.
„ეგებ მომიგო ამ ჯარში მოსჩანდეს სხივი
„უფრო მომკრთალო, უფრო მრუმე ვიდრე სხვა ადგილს

„და ამიტომაც უკუჭცევით წამოსულაო,
„მაგრამ ეს აზრიც დაგერღვევა თუ კი მიმართავ
„ცდას რაიც არის თავკიდური და საძირკველი

„ყოველნაირი, თქვენებური ხელოვნებისა.
„აიღე თუნდაც სამი სარკე, ორი მათგანი
„ურთიერთისგან მთლად თანაბარ მანძილზე დადგი,

„ხოლო ოდნავ შორს ჩამოკიდე სარკე მესამე.
„შეხედე მერე შენ სამივეს დაკვირვებულად,
„ხოლო შენს უკან ანთებული დადგან შანდალი

„ისე, რომ სხივი აშუქებდეს სარკეს სამივეს
„და უკუჭცევით მოდიოდეს სხივი შენამდე
„თუმც სახე შენი უშორესი სარკის წიაღში

„უფრო მომკრთალო გეჩვენება, მაინც მიხვდები,
„რომ სამივენი თანაბარად გაბრწყინდებიან.
„ახლა, ვით სხივი ადრიანი გამოზაფხულის

„მთის ღარტაფებში ყოველივეს გაუკრთობს ფერსა
„და სუსხს პირველადს ცხუნვარების თვისის წყალობით,
„ასე გონებაც მსურს განვკურნო შენი, ცთომისგან

„და მივაფინო ამნაირად გააზატებულს
„ნათელი აზრის მოხასხასე სხივთა ჩქერალი.
„ღვთაებრივ ზავის სამყაროში ბრუნავს სხეული

„თავათ შემცველი ზენარული ყოფნის მიზეზის.
„სხვადასხვაგვარი სუბსტანციების თავათ შემცვლელი
„ამ ზეცის ირგვლივ სხვა ზეცაა, სხვა ვარსკვლავეთი.

„და იგი აძლევს სხვადასხვა არსთ სიცოცხლის ძალას
„მისგან შექმნილთა. და მისგანვე განსხვავებულთა.
„სფერონი სხვანი შეადგენენ წრეებს სხვადასხვათ

„ძალთა სხვაობა სუბსტანციებს ნაირნაირსა
„უქვემდებარებს ნაირნაირ მიზნებს და ზრახვებს
„და ორგანონი სამყაროის, როგორც შენ ხედავ

„საფეხურებად დადგენილან ციდან მყარამდის.
„დაიმახსოვრე რაგვარი გზით მიუახლოვდი
„ჭეშმარიტებას, რის შეცნობაც გწყუროდა აგრე,

„რათა შემდეგში ეს თავათაც გამოიყენო
„და უჩემოდაც გზა იპოვნო, მიაგნო ფონსა.
„წმინდა სფეროთა მოძრაობა და ზეგავლენა

„როგორც ჩაქუჩის მოხმარება ოქრომჭედლისთვის
„საცნაურ ხდება ზენარული გონების მკლავით.
„და ზეცა იგი ვარსკვლავებით დამშვენებული

„ულრმესი სულის ძალისაგან მოძრაობს მუდამ
„დადაღულია მისივ სახის ანაგობითა.
„და როგორც სული თქვენს წარმავალ, მოკვდავ სხეულში

„სხვადასხვა სახსრებს შორის არის განრიგებული,
„სხვადასხვაგვარი ფუნქციების აღმსრულებელი,
„აგრემც გონება ზენარული სიქველეს თვისთა

„ურიცხვ ვარსკვლავებს უნაწილებს და თავათ კვალად
„ისწრაფვის თავის განუყოფელ მთლიანობისკენ.
„სხვადასხვა ძალით უერთდება სხვადასხვა სხეულთ,

„რომელთაც იგი იმგვარადვე უკავშირდება
„როგორც სიცოცხლე კაცობრიულ მოკვდავ სხეულსა.
„სიქველე იგი ღვიის მერმე ყოველ ვარსკვლავში

„გულმხიარული ბუნებისგან გამოვლენილი
„როგორც სიცოცხლის ნაპერწკალი თვალის გუგაში.
„ამ სიქველისაგან, არც თუ სხეულთ სიმკვრივისაგან,

„არც სინათლისგან ნაწილდება პლანეტთა შორის
„სხივმოსილება და პრინციპი ეგ ფორმალური
„ანიჭებს ცთომილთ ბრწყინვალებას და სიმრუმესაც.“

## ქება მესამე

მზემან, ოდესღაც ვინცა მწვავდა ვნებით ძლიერით
ჰყო საცნაური განმარტების, ახსნის წყალობით
ჭეშმარიტების ზენარულის ტურფა იერი.

4 და მეც მეწადა გულახდილად აღვიარება
თუ რანაირად დამარწმუნა ნათხრობმა მისმა,
ავსწიე თავი და მინდოდა, მეთქვა პასუხი.

7 მაგრამ მეჩვენა საოცარი გამოცხადება,
რომელმაც ისე დაატყვევა გულისხმა ჩემი,
რომ ხსოვნამ ველარ მიკარნახა საუწყებელი.

10 ვით ზედაპირზე გამსჭირვალე, ბრტყელი ბროლისა
ანდა ანკარა წყაროს თვალში, რომელსაც ღელვა
ჰავლს არ აღვიძებს, ველარ სწვდება ქროლვა ქარისა,

13 ჩვენ ვჰვრეტთ სახეთა ჩვენთა ნაჩრდილს დია ბუნდოვანს
ფერგადასულსა ვით სავსებით ფერგამკრთალ შუბლზე
გამოკრთის ხოლმე თავსაკრავის მარგალიტები.

16 ასევე ვნახე გარეშემო იმდენი სული
სალაპარაკოდ განმზადილი და მყის მოვტყუვდი,
ვითა ნარგიზი წყაროს თვალზე შეყვარებული,

19 და როს შევნიშნე სახე მათი გასაოცარი,
რომელიც წელან მოჩვენება მეგონა თავათ
უკუვიქეცი, მოვიხედე ისევე უკან,

22 რათა მენახა ვისაც მზერა მისწვდა პირველად,
იდგა მადონა ჩემს წინაშე და მიღიმოდა,
თვალთაგან მისთა გამოკრთოდა მგზნებარე ალი.

25 „ნუ გაოცდები რომ შეცდომამ შენმა ბალღურმა,
მითხრა, ღიმილი რომ დაჰბადა ჩემსა ბაგეზე
„ჯერაც ბორძიკით ეტანები ჭეშმარიტებას

28 „კვლავინდებურად დაფათურებ სიმცდარის გზაზე.
„ვისაც აქ ხედავ არ გეგონოს მოჩვენებანი
„აქ ასახლებენ მხოლოდ აღთქმის გამტეხელ სულებს.

31 „მაშ შეესიტყვე, დამერწმუნე გიპასუხებენ,
„მათ გზას უნათებს აწ ნათელი ჭეშმარიტების
„და ცდუნების გზას არასოდეს დაადგებიან.

34 და, მეც მივმართე სულს, რომელსაც ზედეტყობოდა
ყველაზე მეტად, საუბარი ენატრებოდა:
„სულო ნეტარო, ვისაც სხივის ამ საუფლოში

37 „მარადჟამული სიცოცხლისა გისვამს ნექტარი,
„რომელსაც მხოლოდ, ის შეიცნობს, ვინც მას იგემებს.
„ეგებ ინებო და მაუწყო თავაზიანად,

40 „სახელი შენი, ვინაობა, ან გვარი შენი
ბოლოს ამბავი, ვითარება ხვედრისა შენის?“
მან გამიღიმა, შემომხედა და მიპასუხა:

43 „ჩვენ არვის ვუხშობთ სიყვარულის ჩვენისა ბჭეებს
„გულ წმინდად მზრახველთ, როგორც ღვთისა
გულმოწყალება.
„რომელსაც სწადის, ტაძრეული მასვე ემგვანოს.

46 „საიქიოში მონაზონად ვირიცხებოდი,
„თუ მომიგონებ არ ვიქნები შენთვის უცნობი.
„თუმც დამშვენებულს, მაგრამ თვალნი ანაზდეულად

49 „მოგაგონებენ შენ პიკარდას, აქ მომავლინეს
„და დანარჩენ ნეტართა შორის
„ბედნიერებას აწ განვიცდი აუმღვრეველსა.

52 „სურვილთა ჩვენთა ასულდგმულებს სუნთქვა მარადი
„სულისა წმინდის და მის ნებას ვემორჩილებით,
„ლხენით აღვსილნი და შექნილნი, ნებითა მისით.

55 და გარსი ესე ეგზომ დაბლა ჩვენ მიგვიჩინეს,
„რადგანაც აღთქმებს დადებულთა იმ სამყაროში
„ჩვენ საკმარისად, გულმოდგინედ არ ვასრულებდით.“

58 მე ვუპასუხე: „გასაოცარ მაგ თქვენს სახეზე
„ბრწყინავს ისეთი სათნოება ღვთივმშვენიერი,
„რომ თქვენ ჩემს თვალში შეგიცვლიათ ძველი იერი,

61 „მეც ამიტომაც ვერ შეგიცვნეთ ანაზდეულად,
„ვიდრე შენ თავათ გამიმხელდი შენს ვინაობას,
„რამაც ანაზდად, მომაგონა მე სახე შენი.

64 „ახლა ეგ მარქვი, ამ მხარეში ცხონებულ სულთა
„უფრო მაღალი სამყოფელი თუ გენატრებათ
„ღვთის აღმატებულ სიყვარულის მოსახვეჭავად?“

67 სულმა ღიმილით გადახედა თავის თანატოლთ
და მიპასუხა ჩემს კითხვაზე ისე მოლხენით
თითქოს პირველი სიყვარულის შეჰყროდა ვნება.

70 „გულმოწყალება აშოშმინებს ჩვენს ნებას, ძმაო,
„ვკმაყოფილდებით უდრტვინველად და ის გვახარებს
„რაც წილად გვერგო და სხვაგვარი არ გვაქვს სურვილი.

„ჩვენ რომ ვისურვოთ ამაღლება ამაზე ზევით,
„ეს უეჭველად დაგვატეხდა რისხვას იმისას,
„ვის ნებისამებრ მიგვიჩინეს ჩვენ ეს სავანე.

„ამგვარ წადილებს ამ სფეროში არ აქვთ ადგილი,
„ჩვენს შორის მხოლოდ სიყვარულის განაგებს ძალა,
„თუ ჩაწვდენიხარ ვითარებას ჩვენსას სტუმარი.

„ამ ნეტარების საუფლოში ყოფნისა აზრი
„მხოლოდ ეგ არის, ყოველივე მონებდეს უფალს,
„ნებასა მისას შეურთდეს ყველას სურვილი.

„და თუ აქ ხდება სფეროების გარდანაცვლება
„ჩვენ სფეროს ვიცვლით როს მეუფეს ამ საბრძანისის
„და მთელს საუფლოს მიაჩნიათ ეგ სასურველად.

„მის ნებაშია თავკიდურა ჩვენის მშვიდობის
„ის თავათ ზღვაა ყოველივე იმის შემცველი
„რაც კი განგებას და ბუნებას გაუჩენიათ".

მე შევიცანი რომ ყოველი უბანი ზეცის
სამოთხისაა თუმცა მადლი ყოვლის შემქმნელის
ზოგგან მეტია და ზოგგანაც ოდნავ ნაკლები.

როგორც ნადიმზე გამაძღარნი ერთ-ერთი კერძით
მოვითხოვთ სხვას და ველოდებით მორთმევას მისას,
ამას გადავდგამთ, გადავიღებთ მერმე სხვანაირს.

აგრე მეც სიტყვით, ნაწილობრივ მუნჯი წამყოფით
ვამცნე, რამეთუ მე მინდოდა კიდევ გამეგო
კვლავ რომელ საქსოვს აკლდა კიდევ ცხემლის გაკლება?

მითხრა: „უცოდველ ცხოვრებისთვის სამოთხის წიაღს
„დამკვიდრებულმა წმინდა კლარამ ჩვენ ეს გვიბრძანა:
„ჩაგვეცვა ძაძა სამონაზნო და სიკვდილამდის

„ვყოფილიყავით სასძლო მისი ვინც აღთქმას ყოველს
„თვით იმახსოვრებს სიცოცხლისა მომნიჭებელი.
„კლარას სურვილით, ჯერაც კიდევ სიყმაწვილეში,

„დავთმე სოფელი და ჩავიცვი მონაზვნის ძაძა,
„აღთქმა დავდევი მივყოლოდი ნატერფალს მისას,
„მაგრამ სიავის და სიმცთარის მუდამ მზრახველთა

„მე გამიტაცეს სავანიდან და უწყის ღმერთმა
„რა საშინელი მე დამეწყო მერმე ცხოვრება.
„მე მანდ მეორე უცნაური ნათლის ჩვენება,

„შენ ამჩნევ ალბათ მხარმარჯვნისკენ ჩემგან მდგომარეს
„შუქით რომ მოსავს სფეროს ჩვენსას, მყუდრო სავანეს,
„ჩემებრ ეწამა, განიცადა მანაც იგივე,

„მასაც მოხადეს მონაზნური რიდე თავიდან,
მაგრამ სოფელში იძულებით მიბრუნებულმა
„თუმც დაარღვია გარეგნულად აღთქმანი თვისი,

„სიქველით თვისით, სათნოებით წარჩინებულმა
„გულში ატარა მონაზნური რიდე გლოვისა.
„კონსტანცა გახლავთ ეგ ნათელი გამოცხადება,

„ვინაც შვაბების ამ მეორე სიამაყიდან
„შვა ეს მესამე, შვაბთა გვარში უკანასკნელი.“
ეს სთქვა პიკარდამ, მყის შესწყვიტა ჩემთან უბნობა,

Ave Maria იგალობა, გაუჩინარდა,
ვით მძიმე ნივთი, უცაბედად წყალში დანთქმული.
და მყისვე მზერა მივაყოლე ლანდს მოფარფატეს,

სანამ შემეძლო, მაგრამ როცა დავკარგე თვალით
კვლავ მივუბრუნდი ნდომის ჩემის საგანს განუყრელს;
და მოვინდომე: შესიტყვება ბეატრიჩესთან,

საბისა მისის ელვარებამ შემაკრთო ისე,
რომ თვალნი ვეღარ გავუმართე მარად სასურველს
გაოგნებულმან და სავსებით გაოცებულმან

ვეღარ შევძელი მეყვსეულად კითხვის მიცემა.

## ᲥᲔᲒᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ვინმე დამშეულს რომ დაუდო წინ ორი კერძი
ვერც ერთს სწვდებოდეს, მოდიოდეს ნდომისგან ნერწყვი,
სული ხდებოდეს და ვერ მიხვდეს თავის საწადელს,

ან და ბატკანი ცახცახებდეს ტყეში შთენილი
ორი მძვინვარე მგლის შიშისგან შეძრწუნებული,
მწევარი იდგეს განაბული ორ მშვილთა შორის

7 აგრე მეც ვდუმდი, თუმც არ მედო ამაში ბრალი
ორმაგი იქვით ამღვრეული, არც თუ ვიქადნი,
თან ვაღვიარებ იძულება მიკარნახებდა.

10 დიახ, მე ვდუმდი, თუმცა გულის ზრახვანი ჩემის
ჩემსავ სახეზე აღბეჭდილი ზედ მეტყობოდა
უფრო თვალნათლივ ვიდრე სიტყვით გამჟღავნდებოდა.

13 ვით დანიელმა, განრისხებულს დაუცხრო ერთხელ
ნებუკადნეზარს გულისწყრომა უმართებულო,
აგრევე ჩასწვდა ბეატრიჩე ჩემს გულისთქმათა.

16 მითხრა: „გონება შეუპყრია, მე როგორც ვხედავ
„ორ მქენჯნავ ზრახვას ერთმანეთში მოპაექრეთა
„მიტომაც გიმძიმს დაარღვიო სიტყვით დუმილი.

19 „შენ ასე ფიქრობ: ნებისყოფა თუ მომსდევს ქველი
„ეს როგორ ხდება რომ უცხოთა ძალმომრეობა
„აგრი ამცირებს ხარისხს ჩემის დამსახურების?

22 „გარდა ამისა, შენ სხვაგვარიც გაწვალებს იქვი
„პლატონის სწავლა შეგიცვნია რომლის მიხედვით
„სიკვდილის შემდეგ ვარსკვლავეთში ადიან სულნი.

25 „ეს საკითხები თანაბარად გიღრნიან გულსა,
„ახლა დავიწყოთ სათითოოდ მათი გარჩევა,
არც სერაფიმებს, მამა ღმერთის სწრაფ მალემსრბოლებს,

28 „არც მოსეს, დავითს, არც დანიელს, არც იოანეს,
„არც თვით მარიამს უფლის მშობელს და უხრწნელ ქალწულს
„ამ გარსის მკვიდრთა უკეთესი არ აქვთ ადგილი,

31 „არცა პატივი ამ სამოთხის შემოგარენში,
„არც სიხანგრძლივე, ან სიმოკლე აქ დაყოვნების.
„ყველა ესენი ამშვენებენ ამ გარსსა პირველს;

34 „განსხვავდებიან მხოლოდ იმით ურთიერთისგან,
„სხვადასხვაგვარი ოდენობით გადმოდის მათზე
„ამ ცხოვრებაში მარადიულ სულების მადლი.

37 „და ეს სულები ამ სფეროში იმყოფებიან
„არა იმისთვის, განკუთვნილი ჰქონოდეთ იგი,
„არამედ ცაში წარჩინებას მორიდებოდნენ.

40 „ასეთი სიტყვა კაცთ გონებას უკეთ მისწვდება.
„იგი რაც გრძნობებს ეფონება ადამიანთა
„ხელმისაწვდენი ხდება შემდეგ გონებისათვის.

43 „სამღვთო წერილიც დათმობაზე მიტომც წავიდა
„კაცთ შემეცნებას შეუგუა მოძღვრება თვისი,
„მიტომც ხელფეხი გამოასხა ქვეყნისა გამჩენს.

46 „და ეკლესიაც ხომ ანიჭებს კაცურ თვისებებს
„მიქაელსა და გაბრიელსა. იმ მესამესაც
„ვინცა ტობიას მოარჩინა სიბრმავისაგან.

49 „რასაც ტიმეოს ასწავლიდა სულების გამო
„არ ეგუება იმას, რასაც აქ ჰხედავ თავათ,
„მას ის სჯეროდა რასაც თავათ ამბობდა ხოლმე.

52 „სულიო, იგი ასწავლიდა, კვლავ მიელტვისო
„ისევე ვარსკვლავს, რომლისგანაც მოსწყდაო თავათ
„იმავე წუთში როს მიიღო სხეულის სახე.

55 „შესაძლო არის აქ სხვაგვარი ღვივოდეს აზრი
„და შეფარვულად სულ სხვა იყოს ამით ნათქვამი,
„მაშინ დაცინვას მის წარმომთქმელს არ ვაკადრებდით

58 „თუ იგი ამბობს: ვით პატივი, ისე ძაგება
„კვლავ იმ სფეროებს საბოლოოდ უბრუნდებაო,
„აქ შესაძლოა სწორედ სცემდეს ისარი მისი.

61 „ცუდად გაგებულ მოძღვრებამან მთელი ქვეყანა
„სიმცდარის გზაზე დააყენა: მარსი, მერკური
„და იუპიტერ მიიჩნიეს მართლაც ღმერთებად.

64 „მეორე იჭვში ნაკლებია შხამის იოტი,
„აქ მარტოოდენ უსაფუძვლო აზრი რიალებს.
„მიტომაც იგი ვერ გაგვთიშავს უკვე მე და შენ.

67 „სიმართლე ჩვენი რომ ეჩვენოს სიმრუდედ კაცთა
„ეს რწმენისაგან უმეტესად მომდინარეობს
„და მწვალებლობის აქ არ მოსჩანს ნიშანწყალიცა.

70 „რადგანაც ვიცი, შეუძლია გონებას თქვენსას
„საცნაურყოფა ამნაირი ჭეშმარიტების
„გნებავს, მე ავხდი საიდუმლოს ახლა საფარველს.

73 „ძალმომრეობა თუ ეგაა სადაც მოძალეს
„არაფერს შველის დათრგუნვილი, ჭირთამთმენელი,
„მაშინ ეს სულნი ვერ შესძლებენ თავის მართლებას.

76 „უძლეველია, მოძალადეს ვინც არ ნებდება,
„იგი ცეცხლსა ჰგავს, ბუნებრივი წესის მიხედვით
„მაღლა მლტოლვარეს დაბრკოლების მიუხედავად.

79 „სად ნება დათმობს, შესუსტდება ცოტა თუ ბევრად
„მოძალეც მაშინ გამხნევდება და ეგ სულებიც
„რომ გარჯილიყვნენ ამნაირად, ღმერთს ეწეოდნენ.

82 „მათ რომ ჰქონოდათ მტკიცე ნება, რის მეოხებით
„ლორენცო დაწვა თავის ნებით წამების ლასტზე
„და ან ბუჩიომ თვით გასწირა მარჯვენა ხელი,

85 „ნება იგივე მიიყვანდა მათ უეჭველად
„კვლავ მართალ გზასთან, ძალადობის განვლის უმალვე,
„მაგრამ ასეთი მტკიცე ნება იშვიათია.

88 „ეს განმარტება თუ ჩაგწვდება ანაზდად გულში
„უეჭველია გაგიფანტავს იჭვს სამუდამოდ,
„რაც ასე დიდხანს სულს გიმღვრევდა და გაშფოთებდა,

91 „ახლა სხვა იჭვი შესდგომია შენს გულს ახალი,
„ამას შენ თავათ ვერ დასძლევდი, ვერ დათრგუნავდი
„დაჭანცულობა უჩვეულო რომ არ შეგყროდა.

94 „მე გასწავლიდი. მოგითხრობდი რომ ნეტარ სულებს
„ეუცხოვება ყოველგვარი ცრუმეტყველება,
„რადგან ისინი ჭეშმარიტის მისწვდენ სათავეს.

97 „კონსტანცამ რიდის სიყვარული გულში ატარა,
„იმის მიხედვით, რაც პიკარდამ გაუწყა წელან
„ამან ჩვენ შორის ჩამოთესლა უთანხმოება.

100 „მოხდება ხოლმე, ძმაო, ხშირად, როდესაც საფრთხე
„კაცს უდარაჯებს, იგი ისეთ რამეს ჩაიდენს,
„რაც მის ჩამდენელს არ შეშვენის, არ ეკადრება.

103 „ასე ალკმეონ, აყოლილი მამის მუდარას
„გადასწყვეტს მოჰკლას საკუთარი, მშობელი დედა
„და გულჩვილობის მეოხებით გახდა უგულო.

„აქეთკენ მწადის მე მივმართო გონება შენი;
„აქ ნებისყოფა ძალას ისე გადაჭდობია,
„რომ ცოდვას უკვე სინანული ველარ უშველის.

„სრულქმნილი ნება ბოროტებას არ ეტანება,
„ნება სუსტდება მხოლოდ მაშინ, როცა მიხვდება
„რომ **არ** დათმობით უფრო მეტი დაუშავდება.

„პიკარდა წეღან გიამბობდა, სრულ ქმნილისათვის,
„მე კი სხვა ნება დაგისახე და ასე ვგონებ
„ეს ჩვენ ორთავეს შეგვათანხმებს და მოგვარიგებს.

ასე მოსჩქეფდნენ წმინდა წყალთა ტალღები წმინდა,
ჭეშმარიტების აუმღვრეველ წყაროსთავიდან,
და, დაივანა ჩემს სულშიაც უკვე მშვიდობამ.

„ო, სიყვარულო, პირველადი სიყვარულისავ,
„ქალო ღვთიურო, შევაგებე მე თავათ სიტყვა,
„სიმჭევრემ შენმა აღტაცების შემასხა ფრთენი.

„ჯერ უაღრესი არ მიგრძვნია მე სიყვარული,
„რათა მადლის წილ შემაგებო თანაბრად მადლი
„გულთამხილავი თუ მოგიზღვავს სამაგიეროს.

„ვხედავ გონება ვერ დასცხრება ჩვენი ვერასდროს,
„თუ არ გაბრწყინდა ამ ღვთიური ჭეშმარიტებით.
„რომლის კიდეგან ყოველივე წარმავალია.

„გონება ჩვენი მუნ ისვენებს, როგორც ნადირი
„თავის ბეჩოში და თუ იგი ვერ მიჰხვდა ნათელს
„სულ ამაოა ყოველგვარი წრიალი სულის.

„დასასრულ, იჭვი ჭეშმარიტის გარშემო ბუდობს
„როგორც ყლორტები მცენარეთა ფესვის მახლობლად,
„ხოლო ბუნება მიგვაჭანებს მწვერვალებისკენ.

„ეს მაბედვინებს კიდევ ერთი წარმოგიდგინო
„ჰოდ, მადონავ, მოკრძალებით კითხვა ამგვარი;
„გთხოვ გამიშუქო კიდევ ერთი ახლა საკითხი,

„მსურდა გამეგო შესაძლოა თუ არა, მძიმე
„დანაშაული ან აღთქმათა ტლანქი დარღვევა
„კაცს ეპატიოს ქველი საქმის მეოხებითა?“

139 აქ ბეატრიჩემ მე მომაპყრო ისეთი სათნო,
მოსიყვარულე და ელვარე თვალნი, რომ მყისვე
თვალთ დამიბნელდა, ელდა მეცა, დავხარე თავი

142 და მზერა ჩემი დანდობილად უკუშეიქცა.

## ძეგა მეხუთე

„თუ მე აქ ვბრწყინავ შენს წინაშე ტრფობის ალმურით
„მომეტებულად, ვიდრე უწინ, იმ ცხოვრებაში,
„თუ თვალთა შენთა გამძლეობას ვნუსხავ მზერითა,

4 „ეს ნუ გაოცებს, გამახვილდა აქ თვალი ჩემი
„და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია.
„მე უკვე ვამჩნევ ვით ანათებს უკვე შენს თვალში

7 „მარადი სხივის ანარეკლი მზეებრ ბრწყინვალე.
„ამ შუქისაგან მოხიბლული დარჩები მუდამ
„თუ აწ მოგხიბლა, გაგიტაცა რამემ ძლიერად.

10 „კარგად უწყოდე, ეს იქნება ამიერიდან,
„ამა სხივისა ათინათი ვერ შეცნობილი,
„მეკითხებოდი, თუ ახალი ქველმოქმედებით

13 „შესაძლოაო მოიხვეჭოს სასუფეველი
„სულმა, რომელმაც სიქველენი მოიმოქმედა,
„მაგრამ ვინც ერთხელ დაარღვია უკვე აღთქმული?“

16 მითხრა ასულმა და დაიწყო აგრე ღაღადი
და სიტყვა მისი მოლივლივე ვით წყაროს თვალი
კვლავ განაგრძობდა საუწყებელს ჩემთვის განკუთვნილს:

19 „ყველაზე დიდი საჩუქარი, რომელიც ღმერთმა
„კაცთა შექმნისას მოგანიჭათ ვითარცა ძღვენი
„განუსაზღვრელი სიკეთისა მაუწყებელი,

22 „ეგ არის ნიჭი თავისუფალ ნებისყოფისა
„და ამიტომაც მიუზომა იგი უფალმა
„მხოლოდ გონიერთ ჰასაკოვან არსებათ შორის.

25 „თუ შენ ეს გესმის, მაშ განსაჯე აწ სიდიადე
„ამა აღთქმისა, თუ უფალი მიიღებს იმას
„რასაც აღუთქვამ უზენაესს თავმოდრეკილად.

28 „ღმერთმა და კაცმა რომ პირობა დასდონ ერთხელაც
„კაცი მას სწირავს იმ საუნჯეს წეღან ხსენებულს
„ვითარცა მსხვერპლსა და საწინდარს დაუფასებელს.

31 „ახლა ესა სთქვი ამის ნაცვლად, რას მისცემს კაცი?
„თუ შენ გგონია ქველი საქმით გამოისყიდი
„დადებულ აღთქმას შენს მიერვე უკვე გატეხილს?

34 „ეს იგივეა ნაპარავით ქნა საქმე ქველი.
„მაგრამ იმისთვის რომ გაიგო თუ რას გასწავლით
„თქვენ ეკლესია, რაც ჩემს მიერ განმარტებულსა

37 „ჰეშმარიტებას თითქოს სრულად არ ეფარდება,
„მაშინ ინებე, გევალება შენ დაყოვნება
„იმ სუფრის ახლოს, რომელზედაც გასტეხე პური

40 „რათა სტომაქმა მონელება შეიძლოს შენმა.
„გახსენ გონება შესასმენად ნათხრობის ჩემის
„და ყოველივე აღიბეჭდე ასე ხსოვნაში.

43 „რადგან მოსმენა როდი ნიშნავს მეცნიერებას
„არამედ მხოლოდ, მონასმენის მტკიცედ შეგნება.
„ორი რამეა საკვირველი აღთქმის არსობის:

46 „პირველი თავათ საგანია მსხვერპლთ შეწირვისა,
„ხოლო მეორე — კაცის გულში დანთქმული აღთქმა.
„მოგეხსენება ებრაელებს ევალებოდა, უკვე დათქმულის

49 „და ოდითგანვე დაპირებულ მსხვერპლის შეწირვა,
„თუმცა შეეძლოთ საზვარაკოს შეცვლა მუდამჟამს.
„აღთქმის მეორე ნიშანია ასეთნაირი:

52 „საზვარაკოის შენაცვლება არ მოასწავებს
„რაიმე ცოდვის მოკიდებას და შეცოდებას.
„სურვილისამებრ ნუ აირჩევ ტვირთსა ვალდებულს,

55 „მხარს ნუ შეუშვერ მას თუნდაც რომ მოგეპრიანოს
„კიდევაც თავათ რომ გერჩიოს, ვიდრე გაგიღებს
„კარებს დაგმანულს თეთრი კლიტე, ან და ყვითელი.

58 „მერწმუნე. შეცვლა უსაზღვროა თუკი საგანი
„ძველად აღთქმულის სხვა ახალში არ მოთავსდება,
„როგორაც ოთხი ექვსში არის მოთავსებული.

„როცა რაიმე ბევრს იწონის ღირებულებით
„და იგი სასწორს გადასწონის თავის სიმძიმით,
„სამაგიეროს ვერვინ დასდებს ამ ფიალაზე.

„ჰოდა, მოკვდავნო, სათამაშოდ ნუ აქცევთ აღთქმებს.
„ნუ გასტეხთ დათქმულს, ნუმც მიბაძავთ მოხუც იეფთეს
„დაუფიქრებელ და სამძიმო აღთქმის დადებით.

„მას რომ ეს ეთქვა: „უაზრო რამ დაჰპირდი ღმერთსო,“
„ეს აჯობებდა მაგ უსაზმნო მსხვერპლის გაღებას.
„ასე მოიქცა გულბოროტი ბერძენთ მთავარიც,

„ცრემლით წარეცხა მან სიტურფე იფიგენიის
„და მისტიროდა ამ მწუხარე ამბავს თანაბრად,
„დიდი და მცირე, სულელი და მოძღვართ-მოძღვარი.

„ქრისტეანენო, გულდინჯობა გმართებთ უთუოდ,
„ნუ ემსგავსებით ფარფლს ქარისგან აღტაცებულსა,
„ყოველგვარ წყლისგან ცოდვა როდი წარიხოცება?!

„ნაბოძები გაქვთ თქვენ ახალი და ძველი აღთქმა,
„მწყემსად იგულეთ ეკლესია უფლისმიერი.
„ეს საკმაოა სასუფევლის მოსახვეჭელად,

„თუ მცდარმა ზრახვამ გაგიტყუოთ ბოროტებისკენ,
„იყავით კაცნი, არ ემსგავსოთ უგუნურ ცხოვართ,
„რათა ურიამ არ დაგცინოთ თქვენს შორის მყოფმა.

„ნუ ბაძავთ ბატკნებს დედის ურჩთა და ატროკებულთ,
„რომელთაც მშობელს ურჩევნიათ ანცი კუნტრუში“.
ასე უბნობდა ბეატრიჩე როგორც ახლა ვწერ.

შემდგომ ამისა შეაქცია პირი იქითკენ,
სადაც ნათელი კაშკაშებდა ძალმოცემული.
დუმილმა მისმან, შებრუნებამ მოულოდნელმა

მოწყურებული დაამშვიდა გონება ჩემი,
რომელიც კიდევ აპირებდა კითხვის მიცემას.
ისევე სწრაფად, როგორც მიზანს ხვდება ისარი,

ვიდრე შესდგება მოზიდული მშვილდის საბელი,
ჩვენ ორთავეთა მივაღწიეთ ზეცას მეორეს.
როგორც კი დონას მოეფინა ალმასის სხივი

94 მე დავინახე ბეატრიჩე ისე დამშვენდა,
რომ თვით პლანეტმაც შეიმატა სხივმოსილება.
თუ კი ცთომილი შეიცვალა პირმომცინარე,

97 მე რას ვიქმოდი, მე რომელსაც ბუნებითგანვე
შეწერილი მაქვს უებარი ცვალებადობა?
როგორც ანკარა, გამჭვირვალე ტბისა სიღრმეში

100 ჩაგდებულ საგანს მისცვივიან მყის ლიფსიტები
გარს ეხვევიან დამშეულნი, აცეტებულნი,
ასე ჰგონიათ წავაწყდიო — სასანსლავ რასმეს,

103 აგრე ურიცხვი ნაპერწკლები ციალ-ციალით
შემოგვესიენ, და ასტეხეს თანაც ჟივილი:
„აჰა, მოვიდა სიყვარულის მომნიჭებელი.“

106 როცა მათგანი რომელიმე მოგვეწეოდა,
ვხედავდით სულებს, სიხარულით აღტაცებულთა
და მოელვარეთ, გაბრწყინვებულთ სხივთა ციაგით.

109 წარმოიდგინე, წამკითხველო, აქ დაწყებული
ამბავი ესე შემეწყვიტა. როგორი ძრწოლა
მყის შეიპყრობდა, აწ სათხრობის მომლოდინესა.

112 ახლა გაიგე, თუ რარიგად მეწადა, მეცა
მათი ამბავი, ვითარება გამომერკვია
ვინაც წარუძგა ამ წუთებში მზერასა ჩემსას.

115 „ჰოდ, ნეტარო, ვისაც ტახტი მარადიული
„ტრიუმფებისა მიგიჩინა უზენაესმან
„ვიდრემდის გასვლას მოასწრებდი ბრძოლის ველიდან,

118 „ნათელი ზეცის საუფლოთა შუქთმომფენელი
„ჩვენც მოგვწვდენია, ამიტომაც გაუწყებთ შენაც
„თუ გსურს გაიგო თუ ვინა ვართ და სადაურნი?“

121 ასე მაუწყა სულმან ერთმან სათნოთაგანმან
და ბეატრიჩემ ეს დასძინა: „სთქვი გაბედულად,
„ამიერიდან მიენდევი ღვთიურ აჩრდილებს.“

124 „მე კარგად ვამჩნევ, საკუთარი გმოსავს ნათელი
„და სხივი იგი მოელვარე და მოციაგე
„თვალთაგან გცვივა, ბაგეზედაც შემოგდგომია.

„ვინ უნდა იყო? ვეღარ მივხვდი, სულო ნეტარო,
„ან რად გამხდარხარ ბინადარი ამ ცთომილისა,
„რომელსაც მზისა ელვარება ჩრდილავს ჩვენს თვალში.“

აგრე მივმართე უკვე ჩემსკენ მოწეულ ნათელს
და მეყვსეულად შეემატა მას ელვარება,
რომელიც წელან უფრო მკრთალად მეჩვენებოდა,

როგორც მზე ცაზე მომეტებულ სხივთა ციალით
პირს შეიბურავს ისეთ ჟამში როს საფარველი
სქელი ორთქლისა მოევლება დისკოს გარშემო,

ასევე სულმა მომეტებულ სიხარულისგან
მორთო კაშკაში, აელვარდა სხივით მოსილი,
გაუჩინარდა და მაუწყა ღრუბლის კარვიდან,

იგი რაც შემდეგ ქებაშია მოხსენებული.

## ქება მეექვსე

„რაც კონსტანტინემ არწივისა ქროლვა ამაყი
„მიმართა ცისურ ცთომილების სრბოლის წინაღმდეგ,
„ენეასს მოჰყვა ეს ფრინველი ამაზე ადრე

„ასეულ წლებში ნავარდობდა დაუცხრომელად
„იგი ევროპის უკიდურეს სამანის ახლოს,
„ტროიას მთებზე საიდანაც იგი მოფრინდა.

„წმინდა ფრინველის ფრთეთა ქვეშე დამყარებული
„ხელისუფლება განაგებდა სამყაროს მთელსა,
„ხელიდან ხელზე გადასული მოსწვდა ჩემამდის.

„ვიყავ ცეზარი, ვარ მორჭმული იუსტინიან,
„პირველ სიყვარულს აყოლილმან სჯულის დებიდან
„მე გავაძევე უსარგებლო ბნელმეტყველება.

„ვიდრე ამ საქმეს გულმოდგინედ შევუდგებოდი
„ვყავ საცნაური მაცხოვარში ბუნება ერთი
„და შევაჯერე კიდეც გული ამაზე მტკიცედ.

„მაგრამ აგაფიტ მღვდელმთავარი წინ გადამიდგა
„ჭეშმარიტ გზისკენ მიმაქცია გულწრფელი სიტყვით,
„ვყავ საცნაური ხმაჲ მისი, ახლაც კარგად ვგრძნობ,

19 „რომ უეჭველად სწორი იყო მოძღვრება მისი,
„შენც კარგად უწყი ყოველივე contradicio
„შეიცავს მუდამ ერთ სიმცდარეს და ერთ სიმართლეს.

22 „როს ეკლესიას ხმა შეუწყვე ჰარმონიულად,
„თავდადებულად ვემსახურე ვალსა სოფლიურს
„ზენარის მიერ შთაგონებულს და ნაკარნახევს.

25 „ლაშქარი ჩემი გადვულოცე ერთგულ ბელიზარს,
„მკლავი უფლისა მფარველობდა მახვილსა მისას.
„ზენამ მანიშნა მეც მის ამაგს დავმყარებოდი.

28 „შენს კითხვას პირველს ამნაირი მართებს პასუხი,
„მაგრამ იცოდე ეს იმდენად რთული რამეა
„აქ განმარტება დამჭირდება მცირეოდენი.

31 „რათა უწყოდე შენ თვალნათლივ როგორ ბღალავენ
„ამ წმინდა ნიშანს როგორც მისი ცხადად მომხრენი
„ისე იგინიც, ვინც ებრძვიან მას გულმოდგინედ.

34 „უწყი რა რიგი სიქველისა მეოხებითა
„გამხდარა იგი ერთობლივის პატივის საგნად,
„პალასის სიკვდილს მოჰყვა მისი გაბატონება.

37 „იგივე სამას წელზე მეტად მართავდა ალბას,
„ვიდრემდის ბრძოლა გულფიცხელი შეექმნათ სამთა
„სამის წინაღმდეგ ამ არწივის მეოხებითა.

40 „იცი თუ რა ჰქნა ბოლოს მანვე ლუკრეციამდის
„საბინიელი ლამაზების მოტაცებიდან.
„შვიდთა მეფეთა ვით დაიპყრეს ირგვლივ ერები.

43 „მის მეოხებით ძლევამოსილ რომაელებმა
„შემუსრეს ბრენუს, სძლიეს პირუსს და ყველა მათნი
„მოკავშირენი, თანამდგომნი ერნი, თავადნი.

46 „და ტორკვატუსმა, ქვინტიუსმა (თმაგაჩეჩილმა),
„ფაბიუსმა და დეციუსმა სახელი დიდი
„მას მოუხვეჭეს აწ ჩემს მიერ კვლავ შექებული.

49 „მანვე შემუსრა არაბები, რომელნიც ალპებს
„გადაღმა მხარეს თან გადაჰყვნენ მამაც ჰანიბალს,
„სადაც, პოს წყალო, შენ მყინვარი გაწოვებს ძუძუს.

52 „მის ფრთეთა ქვეშე ტრიუმფები გადაიხადეს
„სციპიონმა და მომპეუსმა, ბევრი სიმწარე
„წილადხვდა გორაკს ფლორენციის შენის მახლობლის.

55 „მერმე, როს ზენამ მოინდომა ქმნა მშვიდობისა,
„არწივი იგი რომის ხალხის სურვილისამებრ
„მიანდვეს ცეზარს რომაელთა სარდალს და მამფალს.

58 „შემდეგ რაც მოხდა ვარას წყალსა და რაინს შორის
„კვალად იწვნიეს იზერმა და წყალმა სენისამ,
„რონას მდინარის და აგრეთვე ერის ზვირთებმა.

61 „მან რუბიკონი გადალახა რავენას შემდეგ
„ისე უეცრად, ისე სწრაფად რომ ვეღარც ენა,
„ვეღარც კალამი მიასწრებდა ლაღად გაფრენილს.

64 „იგი ესპანეთს დაეძგერა, შემდეგ დურაცცოს,
„ისე შემუსრა ფარსალია, რომ ვაებისგან
„ნილოსის წყალი აამტუტა და შეაშფოთა.

67 „მოინახულა მან ანტანდროს და სიმონეტა.
„ადგილი სადაც განისვენებს ჰექტარის ნეშთი,
„პტოლომეოსი შეაძრწუნა ნაკრტენმა მისმა.

70 „გაფრინდა იგი იუბასკენ ანაზდეულად,
„მოულოდნელად გამობრუნდა დასავლეთისკენ
„და აქ მოფრენილს შემოესმა პომპეის ბუკი.

73 „რაც ამის შემდეგ დატრიალდა შენც კარგად იცი,
„ამას ღმუიან ჯოჯოხეთში ბრუტუს, კასიუს,
„და მისტირიან მოდენა და პერუზა მწარედ.

76 „ამას მისტირის კლეოპატრა, რომელიც ომში
„მტერს გამოექცა სამარცხვინოდ, მაგრამ უეცრად
„ასპიტს წააწყდა და იმსხვერპლა ანაზდად შხამმა.

79 „ბოლოს ორთავემ მოაღწიეს მეწამულ ზღვამდე
„და დაამყარეს ქვეყანაზე ისეთი ზავი,
„რომ გამოკეტეს იანუსის ტაძრის კარები.

82 „მაგრამ რაც ჩემგან შექებულმა არწივმა მაშინ
„და მის შემდეგაც ჩაიდინა და გააკეთა
„წუთისოფელში მბრძანებელმან ყოველთა ზედან

„ეს ყოველივე უმნიშვნელოდ მოგეჩვენება
„იმის პირისპირ, რაც მესამე ცეზარის ხელში
„მოხდა მის ფრთებს ქვეშ და აღსრულდა ნება უფლისა,

„მან ვისაც ახლა მე ვგულისხმობ ამ შემთხვევაში
„მიუზღო ყველას მისაზღვავი და მართებული.
„აწ გაოცება გმართებს ჩემის ნათხრობის გამო

„ტიტუსთან ერთად მოქმედებდა არწივი იგი,
„იძიებს შური იმათზედაც ვინც კი ოდესღაც
„შურს იძიებდა ადამიტურ ცოდვებისათვის.

„ბოლოს, როდესაც ლომბარდიის ეშვმა დაგლიჯა
„უფლის საყდარი, სწორედ მაშინ, მის მეშვეობით
„დიდი კარლოსი ეკლესიას წამოეშველა.

„ახლა განსაჯე ვისაც ბრალი დავდე მე წეღან.
„ყველანი ვისაც ახლა მსჯავრი გამოუტანე
„ხომ მართებულად მიმაჩნია თქვენ დაძღუპველად?

„ერთნი ამ ნიშანს ოქროს შროშანს ანაცვალებენ,
„სხვანი პარტიას აკუთვნებენ არწივის ნიშანს.
„ძნელად გაარჩევ რომელია ბრალდადებული?

„გიბელინები მიყვნენ ისევ სხვანაირ ალამს,
„ვერც ის გაჰყვება ამ არწივის ამაყსა ქროლვას
„ვინც ერთხელ ნებით გაეყარა მართლმსაჯულებას.

„ახალი კარლოს სჯობს ერიდოს არწივთან შებმას,
„ახსოვდეს კარგად, რომ მის ჭანგებს უფრო მძვინვარე
„ლომისა ქურქი ძველს ბრძოლებში დაუფხრეწია.

„შვილებს მრავალგზის მოუმკიათ მამათა ცოდვა,
„ნურვის ჰგონია, რომ უფალმან ჩვენ დაგვრთოს ნება
„არწივის ნაცვლად შემოვიღოთ შროშანი გერბად.

„ამ წვრილ ვარსკვლავში შეხიზნულა ურიცხვი სული
„იმათი, ვისაც უბრძოლიათ მამულისათვის,
„სახელისა და სიქველეთა მოსახვეჭელად.

„ოდეს სურვილნი წარმავლობას ეტანებიან
„მაშინ ნამდვილი სიყვარულის სხივმოსილება
„ძალმილეულად გაანათებს ზეცად აჭრილი

„დამსახურებას, რომ ავწონოთ ჯილდოს სასწორზე,
„ეს მოგვანიჭებს ჩვენ მშვიდობას, შვებას სულისას,
„როცა ორივე ერთმანეთის თანაბარია.

„სწორედ ამიტომ შემომქმედის მართლმსაჯულებამ
„ისე აღავსო გულნი ჩვენნი კმაყოფილებით,
„რომ ბოროტების გზა მოგვეჭრა ყოველნაირი.

„სხვადასხვა ხმანი წარმოშვებენ ტკბილსა გალობას
„აგრე ხარისხნი ამ გარსისა, ამ ცხოვრებისა
„ქმნიან უწყვეტელ ჰარმონიას სასუფეველისას.

„ამ მარგალიტში ბრწყინავს სხივი ქველი რომეოს,
„რომლის ამაგი უანგარო და სამსახური
„უმართებულოდ შეურაცხჰყვეს, არ დააფასეს.

„სამაგიეროდ გულბოროტი პროვანსელები
„იქ მოხვდნენ, სადაც სიცილისთვის ვერვინ მოიცლის.
„ასეთი ბედი ელოდება ყველა მეშურნეს.

„ოთხი ასული ჰყავდა მაშინ ბედკრულ რაიმონს,
„ოთხნივ დედოფლის ტახტზე დასვეს, აქაც რომეოს
„ყველაზე მეტი მიუძღოდა დამსახურება.

„აჰყვა ბერანჟე ბოროტ ენებს და სამართალში
„მისცა ის, ვინაც ათის ნაცვლად აძლევდა თორმეტს
„ანგარიშების წესიერად მოგვარებისას.

„განშორდა ბატონს გულმართალი მოხუცებული,
„ხალხს რომ სცოდნოდა თუ რამდენი გადაიტანა
„ჩამოთხოვილი პურის ჭამით მაგ სვედავსილმა

„მომეტებულად გაითქვამდა სახელს რომეო“.

## ქება მეშვიდე

„Osana Sanctus Deus Sabaoth
„Superillustrans claritate tua
„Felices ignes horum malachóth.“

ასე გალობდა სული იგი აღტყინებული
თანაც ტრიალით აჰყოლოდა ცთომილს თავისას,
ორმაგი ნიმბი მოელვარე შემოდგომოდა.

და სხვა სულებიც მასთან ერთად ცეკვავდნენ მწყობრად,
ირგვლივ ბრწყინავდნენ ნაპერწკლები ცეცხლებრ მგზნებარე,
ასე გაფრინდნენ და ანაზდად თვალს მიეფარნენ.

მე ვყოყმანობდი, ხოლო გული მიკარნახებდა:
„აწ შეესიტყვე შენს მადონას, ნეტარი სიტყვით
„წყურვილი გულის დაგიამოს და გაგიმრთელოს“,

მაგრამ კრძალვისგან ისე ვიყავ გაოგნებული
წარვთქვი მყის ბ... იჩე და დავხარე იმ წამსვე თავი
როგორც მთვლემარეს ემართება ხოლმე ანაზდად.

და ბეატრიჩე მომეშველა და გამიღიმა
ისე მწყაზარად, რომ თვით კაცსაც ცეცხლშემოგზნებულს
შვებას მოჰგვრიდა უეჭველად და დაატკბობდა.

„როგორც მე ჩემმა უტყუარმა თვალმა მანიშნა,
„გაწუხებს კითხვა: როგორაა შესაძლებელი
„რომ დაისაჯოს მართებულად შურისმგებელი?“

„ახლავ აგიხსნი ყოველივეს და განგიმარტავ,
„ყური დამიგდე გულმოდგინედ და მთლად იდუმალ
„ჭეშმარიტებას შეფარვულსა შეგაცნობინებ.

„კაცმა, რომელიც არაოდეს დაბადებულა,
„არ მოინდომა დაოკება ნებისყოფისა,
„თავათ წყეულმა თვისი მოდგმაც დააწყევლინა,

„ამადაც მრავალ ასეული წლების მანძილზე
„მოდგმა კაცისა სიბნელითა იყო მოცული
„სანამდის ქვეყნად არ მოვიდა სიტყვა უფლისა.

„სადაც ბუნება შემომქმედის კიდეგან მდგარი
„მარადიული სიყვარულის მეოხებითა
„თავის არსობით გაამთელა, დაიკავშირა.

„ახლა ათხოვე გულისყური ნაუბარს ჩემსას,
„ბუნება იგი შემომქმედთან გაერთებული
„იდგა მუდამჟამს ბოროტების, ცოდვის გარეშე.

„მაგრამ განდევნეს სამოთხიდან, რადგანაც ბრალი
„თვით მიუძღვოდა შემომქმედის ჩვენის წინაშე,
„ჭეშმარიტების და ცხოვრების გზას აცდენილი.

„წამება იგი ჯვარცმის სახით აღსრულებული
„იყო ყველაზე მართებული მთელს ქვეყანაზე,
„თუ ვიგულისხმებთ კაცობრივი ბუნება მისი,

„ამასთანავე მთლად უღმერთო, უსასტიკესი,
„თუ მოვიგონებთ პიროვნებას ჯვარზე გაკრულის
„ადამიანურ ბუნებაში ქვეყნად მოსულსა.

„მიტომც ერთ მიზეზს ორნაირი მოჰყვა შედეგი:
„ღმერთს და ურიებს მოკვდინება უნდოდათ მისი,
„განიპო ზეცა, აცახცახდა მთლად დედამიწა.

„ახლა აღარც შენ გეუცხოვოს, როცა ამბობენ,
„რომ მართებული შურისგებას მოჰყვება ხოლმე
„დანაშაულის მართებული ხშირად განკითხვა.

„მაგრამ მე ვხედავ შეცნობისა წადილი შენი
„როგორ წრიალებს ამ აზრების ლაბირინტებში
„და ელოდება მევე გავხსნა თავათ ეს კვანძი.

„შენ ასე ფიქრობ: კარგად ვიცი ეს ყოველივე,
„მაგრამ არ მესმის რად ისურვა ღმერთმა ამგვარად
„კაცთა ჯილაგის გადარჩენა წარწყმედისაგან?

„ეს განჩინება შეუცნობი დარჩება მისთვის,
„ვისი გონებაც ღვთაებრივი სიყვარულისა
„ალში ნაწრთობი არ ყოფილა იმ თავიდანვე.

„მე განგიცხადებ (თუმც ამაოდ ცდილობენ ზოგნი
„გონების ძალით საიდუმლო შეიცნოს ესე),
„რად მოისურვა მამაღმერთმა ამგვარი განსჯა?!

„მადლი უფლისა, მოკლებული მეშურნეობას,
„გარს მიმოაბნევს ღვთაებრივის ცეცხლის ნაპერწკლებს,
„აჩენს ყოველგვარ მშვენიერს და უკვდავ ქმნილებებს.

„რაც კი უშვალოდ წარმომდგარა ამ მადლისაგან
„წარუვალია, რადგან სახე მისი უკვდავი
„წარუხოცელად ზედ შერჩება ქმნილებას მისას.

„და ქმნილებანი წარმომდგარნი მისგან უშვალოდ
„თავისუფალნი იქმნებიან რადგან ახალი
„ცვლილებებისგან დარჩებიან ხელშეუვალნი.

73 „რაც მას წააგავს, სანუკველი უფროა მისთვის,
„და ცეცხლი იგი ღვთაებრივი, ქვეყნად მბრწყინავი
„მსგავს ელემენტში უფრო მეტად ხდება საცნაურ.

76 „ამ ღირსებებით განირჩევა მოდგმა კაცისა
„სხვა ქმნილებათგან, მაგრამ თუნდაც დაჰკარგოს ერთიც,
„მას უფლის თვალში აეყრება მყისვე პატივი.

79 „ცოდვამ წარწყმინდა, დაიმონა ადამიანი,
„წაართვა მასვე მიმსგავსება ღვთაებრივ მადლთან,
„თუმც ნატამალი ამ მადლისა კვლავ შერჩენია.

82 „ვერც დაიბრუნებს იმ ღირსებას აწ კვლავინდებურს,
„სანამ მანკიერ ბუნებისგან ჩადენილ ცოდვის
„სამაგიეროდ არ მიიღებს სასჯელს მართებულს.

85 „ბუნებამ თქვენმა, როცა სცოდა თავდაპირველად,
„ცოდვის განკითხვა დააკისრა ამით მთელს მოდგმას,
„თვით დაქვეითდა და დაჰკარგა სამოთხის მადლი.

88 „ვეღარც შეიძლებს ამ ცოდვების ის გამოსყიდვას
„თუ შენ ჩემს ნათქვამს ყურადღებით ისმენდი წეღან,
უკეთუ ერთ-ერთს არ დაადგა გზას აქ ჩამოთვლილს:

91 „ან შემომქმედმა გულმოწყალემ მას არ შეუნდო,
„ან თავათ კაცმა საკუთარი სურვილისამებრ
„მონანიებით შევრდომება თუ არ ითხოვა.

94 „ახლა გონება დაძაბული მარადჟამული
„სინათლის უფსკრულს მიაპყარი და მომისმინე
„რაც აწ მოგითხრო შთაგაგონო ამიერიდან.

97 „კაცს არ შეეძლო კმაყოფილი დარჩენილიყო
„თავის ბუნების სამანებში, რადგან არ მოსდევს
„თავის მოდრეკა, ბუნებითვე ამპარტავანსა.

100 „იგი ურჩობით აღმავლობას მიესწრაფვოდა,
„აი მიზეზი თუ რის გამო მან ვერ შეიძლო
„სულის ლხინება მოეხვეჭა თავისთავადი.

103 „სხვა გზა არ იყო დარჩენილი და ღმერთმა თავათ
„ეს უმწეობა შეისმინა და ამიტომაც
„გზანი ღვთიურნი განუმზადა მოდგმას კაცისას.

106 „შემომქმედისთვის იმდენადვე სანუკვარია
„ქმნილება მისი, რამდენადაც ზედაღბეჭდილა
„სულისა წმინდის მხურვალება წარუხოცელი.

109 „მიტომც ღვთიურმა სასოებამ, რამაც სოფელი
„აგრე აღავსო, მოინდომა კვლავ წარჩინება
„ადამიანის და შემოსა მაღალი მადლით.

112 „პირველ შექმნათა პირველივე დღის დადგომიდან
„უფრო მაღალი, მშვენიერი რამ არ შექმნილა,
„არც შეიქმნება უკანასკნელ ღამის მოსვლამდის.

115 „ჯვარზე გავიდა, რათა კაცთა სულით აღდგომა
„გამოეწვია და ეს უფრო მეტს მოასწავებს
„ვიდრე ცოდვების მიტევების წესად დადება.

118 „სხვაგვარი ზომა მართლგანკითხვის არ იკმარებდა,
„მიტომც არჩია ძემ კაცისამ განსხეულება,
„შემდგომ ამისა ჯვარზე გასვლა თავმოდრეკილად.

121 „ახლა იმისთვის რომ დაგიცხრო ცნობის წადილი
„ერთ საიდუმლოს კიდევ ავხდი მე აქ საფარველს,
„რათა შენც ჩემებრ ნათლად ჭვრეტდე ღამეულ საგნებს.

124 „შენ ასე ამბობ: „თვალით ვხედავ ჰაერს და წყალსა,
„ცეცხლსა და მიწას და ყოველთვის ერთს და იმავეს
„ეგზომ ხანმოკლეს და წარმავალს, ეგზომ უხანოს.

127 „რაკი ყოველი უფლის მიერ არის შენაქმნი
„თუ შენგან თქმული აქ სიმართლეს შეეწონება
„ეს ყოველივე უნდა იყოს მარადჟამული.

130 „ეს ანგელოსნი, ძმაო ჩემო, ეს საბრძანისი
„სადაც ახლა ხარ, შეუქმნია ცათა მეუფეს,
„ვით ქმნილებანი სრულყოფილად აღსრულებულნი.

133 „ხოლო შენს მიერ აღნუსხული ელემენტები
„ისევ სტიქიის წიაღიდან წარმოშობილან
„უკვე შენაქმნი ძალისაგან გამოვლენილნი.

136 „შენაქმნი არის მატერიაც მასალა მათი,
„აგრეთვე ძალა ცთომილების აღმაგზნებელი
„მათი ციკლიურ ირგვლივ სრბოლის დიდი სათავე.

„ხოლო მცენარეთ და პირუტყვთა სული და სუნთქვა
„წმინდა ვარსკვლავთა წიაღიდან წარმოშობილან,
„მათგან იღებენ სინათლესა და მოძრაობას.

„სიცოცხლე ჩვენი უმეშვეოდ მომდინარეობს
„წმინდა მადლიდან და სიყვარულს ამ მადლისადმი
„დაუშრეტელად ჩვენს გულშივე აღმოაცენებს.

„ახლა შენთვისაც ნათელია თუ როგორ ხდება
„მკვდრეთით აღდგომა იმ სოფელში მზეგადასულთა
„თუ მოიგონებ რომ წინაპრებს კაცთა მოდგმისას

„სისხლი და ხორცი უფლის მიერ აქვთ ნაბოძები“.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ

ასე ეგონათ უმეცრებით დაბრმავებულებს
თითქოს კიპრიდა უგზავნიდეს მიჯნურთ სიშმაგეს
მიწას მესამე სასრბოლელი ეპიციკლიდან.

და ამიტომაც ზეიმობდნენ ცრუმორწმუნენი,
აღთქმულ საკლავებს შესწირავდნენ და ადიდებდნენ
ძველი ბერძნები და აგრეთვე რომაელები,

განა მარტო მას, თაყვანს სცემდნენ თვით ღმერთს დიონას,
და კუპიდონსაც. როგორც დედას და როგორც შვილსა,
რადგან კუპიდო ჩაუსვამსო დიდოს კალთაში.

დიდოს სახელით, რამაც ლექსი წარმოშვა ესე,
იწოდებოდა ის ვარსკვლავი ზოდიაქოს ქვეშ,
რომელიც ხშირად მზეს წინუძღვის, ხან უკან მისდევს.

თუ როგორ მოვხვდი ამ ცთომილზე მე აღარ მახსოვს,
მაგრამ მანდ ყოფნა მე მაუწყა მადონას სახემ,
რომელიც უფრო მშვენიერი გახდა ანაზდად.

და როგორც ცეცხლში ნაპერწკლების ვჭვრეტთ ნამუსრევებს.
როგორც გალობის ერთობლივსა და ტკბილ ღუღუნში
გაგირჩევიათ კრინი, ბანი, წვრილი და დვრინი,

ასევე ვნახე ამ ვარსკვლავში მასსა შუქისა,
ყველანი ერთად შეკონილნი ძნებისა დარად
სხივებს აფრქვევდნენ, ტრიალებდნენ რკალის გარშემო.

22 სველ ღრუბლებიდან არ მოჰქრიან ზამთრის ქარები
იმგვარ სისწრაფით, არც ხილულნი, არც უხილავნი,
რომ ქროლვა მათი ყველას ნელი არ ჩვენებოდა,

25 ვინც მორიალე ამ შუქების სრბოლას ნახავდა
მოჰქროდნენ ჩვენსკენ წრეშეკრულნი, მოფარფატენი,
წინ მოუძღოდათ სერაფიმთა დიდი კრებული.

28 როგორც კი დასი მეწინავე მოგვიახლოვდა
მყის შემომესმა მე „ოსანა მაღალთა შინა“,
რომლის მოსმენა არაოდეს მომეწყინება.

31 ბოლოს გვეახლა სულთაგანი ერთი უეცრად:
კრებული ჩვენი შეგვეყარა თავაზიანად
„მოგესალმებით ამ სფეროში სტუმრად მოსულსა.

34 „ერთიან წყურვილს შევუპყრივართ სამარადისოს
„ჩვენ და თავადნი ამ სფეროთა მრავალჟამულთა
„ვისაც ოდესღაც შენ უმღერე, ჰოჲ მგოსანო:

37 „Voi ch'intendendo il terzo ciel movete!
„ისე აღვსილნი ვართ შენდამი სიყვარულითა
„მზადა ვართ ყველა, წამიერად შევწყვიტოთ სრბოლა“.

40 აღვახვნე თვალნი, მივაპყარი მადონას ჩემსას,
მოკრძალებულად მას შევხედე ღვთივმშვენიერსა,
ვინც გამამხნევა აღტაცების მომგვრელი მზერით.

43 კვალად მივხედავ ლანდს სხივოსანს მრავლისა აღმთქმელს
და ვეუბნები: „მარქვი ვინ ხარ ჰე, საოცარო?“
ხმა ამითრთოლდა ღელვისაგან აცახცახებულს.

46 უფრო გაბრწყინდა შემატებულ სიხარულისგან
მომეტებულად მოერია მშვენების ეშხი,
როცა ამ სულმა შესიტყვება შეიცნო ჩემი,

49 და მეუბნება მომღიმარე: „ვიყავ მცირეხანს
„მე იმ სოფელში, მაგრამ მეტ ხანს რომ ვყოფილიყავ
„გადურჩებოდით თქვენ მომავალ პატიჟთ მიწაზე.

52 „გახარებულსა ვერ მხედავენ აწ თვალნი შენნი,
„შეფარვული ვარ იმნაირად სხივის მთიებში
„როგორაც ყაჭი აბრეშუმის პარკში მთვლემარე.

„მე შენ გიყვარდი, ასე ვგონებ, არც თუ ამაოდ,
„მე რომ მეცოცხლა, იგემებდი განა თუ ფურცლებს,
„არამედ ნაყოფს უმკვიდრესის მეგობრობისას.

„მხარე მარცხენა როდანის წყლის იმ ადგილიდან,
„სადაც მას სორგვის წყალი ერთვის, ელოდა ერთხელ
„ჩემს გამეფებას მამა-პაპის საბრძანებელში.

„აგრეთვე რქაი ავზონიის, სადაც გვეგულვის
„კროტონ, გაეტა და ზღვის პირა ქალაქი ბარი,
„სად ჩრკას ერთვიან მდინარენი ტრონტო და ვერდე.

„ჩემს შუბლზე უკვე სხივმოსილი იდგა გვირგვინი
„იმ საბრძანისის, სად დუნაის მოსჩქეფენ წყალნი
„გერმანთა ქვეყნის სამანიდან მომდინარენი.

„და სადაც გოლფი გოგირდისგან გაშავებულა
„კვაძლისა გამო (არ მიუძღვის ტიფეას ბრალი)
„იქ პახინოსა და პელორის ნაპირებს შორის,

„სად აღმოსავლის თარეშობენ ქარნი სასტიკნი
„მანდ სიცილია რუდოლფის და კარლოსის ძეთა
„ტახტის მემკვიდრედ გულისხმობდა ჩემის წყალობით.

„ხალხს გადათქერილს შურისგება რომ არ დაეწყო
„ტირანიისა დასამხობად ამხედრებულსა,
„პალერმოელებს არ ეყვირათ: „სიკვდილი მტარვალთ“.

„ჩემი ძმა რობერტ შორს მჭვრეტელი რომ ყოფილიყო
„კატალონელთა ანგარებას თავს არიდებდა
„არ გახდებოდა მღელვარების მსხვერპლი ანაზდად.

„უნდა სცოდნოდა მას ამბავი უკვე ცნობილი
„(და ამის ცოდნა არვის აწყენს ამ ხმელის პირზე)
„რომ დატვირთულ გემს არვინ ტვირთავს ისევ ხელახლა“.

„გულუხვ მამის შვილს ანგარება წამოეძალა,
„კარისკაცებიც გაიჩინა სწორედ ისეთი
„ვინც ხელმრუდობით მდიდრდებოდა და ნაქურდალით.

„ის სიხარული, მე მგონია, მეფე ბატონო,
„რომელსაც სიტყვა მე მანიჭებს შენი იმ მხარეს
„სად ყოველგვარი სიქველის სჩანს თავი და ბოლო,

88 „ხალისს მიმატებს, ნაუბარი შენს მიერ წელან
„მეტად მახარებს რადგან ყოვლის ანი და ჰოე
„ღმერთში გეგულვის, დამარწმუნა ამაში გულმა.

91 „შენ გამახარე, მიპასუხე შენვე ბარეღამ
„(რადგანაც იქვი ნაუბარმა აღმიძრა შენმა)
„ძირტკბილას ფესვი რად იძლევა ნაყოფს უმწარესს?“

94 მე ეს ვუთხარი, მან მომიგო: „როს საიდუმლოს
„ამას გაუწყებ, შენ შეიქცევ უთუოდ პირსა
„მისკენ, ვისკენაც ახლა დგახარ ზურგშექცეული.

97 „მადლი, რომელიც ახალისებს და ამოძრავებს
„ციურ საბრძანისს აწესრიგებს ამ ცთომილების
„ციკლიურ სრბოლას განჩინების თვისის მიხედვით.

100 „გონება მისი სრულყოფილი, თავისთავადი,
„არსთ ასულდგმულებს, თავათაა არსთა მპყრობელი,
„ბედისა მათის უმაღლესი ხელისუფალი.

103 „და ყოველივე რაც მოწყდება ამ შვილდის საბელს
„თვალმიუცდენლად გატყორცნილი ისრის სისწრაფით
„ხვდება სანიშნოს წინასწარვე მისგან განჭვრეტილს.

106 „ასე რომ არა, წაახდენდა ქვეყანას ზენა,
„ცთომილთა ეტლებს სრბოლის წესი აერეოდა,
„შექმნისა ნაცვლად მოხდებოდა სამყაროს რღვევა.

109 „ეს არ მოხდება და მცდარია იმის მტკიცება
„თითქოს ცთომილთა ზეციურთა მაღალ გამგებელს
„ქმნილება თვისი ჯეროვანად არ ექმნა მყარი.

112 „თუ გნებავს კიდევ განმარტება რამენაირი?“
და მე „ო, არა, იქნებოდა უთუოდ მცდარი
„შენაქმნი მისნი რომ არ იყოს ვითომდაც მყარი“.

115 „და მან „ესა სთქვა: სულ ამაო იყოს ეგების
„კაცი რომ არის მოქალაქე ხმელისპირისა?“
„არა, მივუგე, ეს ამბავი არ მეეჭვება.

118 „ხომ ვერ გაძლებდა კაცთა მოდგმა ყველას ერთგვარი
„მოვალეობა რომ ჰქონდა დაკისრებული?“
„ცხადია არა, მართალია გულთამხილავი“.

121 ბოლოს დაასკვნა საუბარი მან ამნაირად:
„ამგვარად კაცმა რომ შეიძლოს ქვეყნად ცხოვრება
„საჭირო არის ტალანტების სხვადასხვაობა.

124 „ერთნი სოლონის, ქსერქსესის და მელქისედეკის
„მსგავსად შობილან, დედალოსმა ფრთენი ცვილისა
„გამოიგონა და დაღუპა ფრენის დროს ვაჟი.

127 „სფეროთ ბუნება ამოძრავებს ციურ პლანეტებს,
„იგივე ასვამს თავის დამღას დინგელს კაცობრივს,
„მაგრამ არ არჩევს შეგნებულად სახლს სახლისაგან.

130 „და ამიტომაც საშოშივე განირჩეოდნენ
„ისაკისაგან იაკობი, ხოლო კვირინუსს
„მარსის ძეობა მიაწერეს, მდაბიორის ვაჟს.

133 „ასე მოდგმიდან მოდგმისაკენ ივლიდა მუდამ
„ბუნება თავათ რომ განგებას ზესთაზენარულს
„არ შეეცვალა თვითნებობის ამგვარი წესი.

136 „ახლა ხომ ხედავ იმას, რასაც ვეღარ ამჩნევდი,
„მაგრამ იმისთვის, რომ დარწმუნდე, თუ ვით მიყვარხარ,
„გაიზიარე კიდევ ერთი დასკვნა ამგვარი:

139 „როს ბედისწერა ბუნების წესს შეეჩხირება
„იქ უეჭველად უდღეური ჩნდება ნაყოფი
„როგორც ნათესი ჭირნახული მწირ ნიადაგზე.

142 „და კაცთა მოდგმა მიჰყოლოდა მუდამ ნატერფალს
„ბუნების მიერ დაწესებულს და ნაკარნახევს,
„ხალხს უკეთესი ექნებოდა, ალბათ, მერმისი.

145 „მაგრამ თქვენ იმას, ვისაც უხვად მიცემული აქვს
„სამხედრო ნიჭი, მას ხუცობას დააწყებინებთ.
„ხოლო მეფის ტახტს — მიუბოძებთ რიტორად შობილს

148 „და ამნაირად გადასცდებით თქვენს მოწოდებას“.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ

შენმა კარლოსმა, მშვენიერო, ჰოდ, კლემენცა,
ეს ყოველივე განმიმარტა. შემდეგ ახსენა ის ხიფათი,
რომელიც ელის მის ნაშიერს და მეუბნება:

„ახლა დადუმდი და იდინოს თავისთვის დრომა,
„ხოლო ერთს კეტყვი: ჩამოდგება ისეთი ჟამიც,
„როს თქვენ სიმძიმილს შეანელებს მართლმსაჯულება“.

შემდეგ ამისა თვალნი თვისნი მიაპყრო მზესა
აჩრდილმა წმინდამ კვლავ მიხედა მნათობს ზეციერს,
რომელსაც მოსავს თანაპარი მადლით სულყველას.

ო, კაცთა მოდგმავ, უგზოობით დაბრმავებულო,
რად შეაქციე ამ სიკეთეს ანაზდად ზურგი
ამაოების მცდარ ოცნებით დაბრმავებულმა?

ახლა მეორე მომეახლა ლანდი ნათელი,
მომაპყრა თვალნი მოელვარე, ღვთივმშვენიერი
და დამიმოწმა სიყვარული თავაზიანად.

და ბეატრიჩეს ნაზმა მზერამ და შემოხედვამ
მე გამამხნევეს, მოვიკრიფე ისევე ძალი
და მოვახერხე გამოსახვა გულის ნადების.

„მოველ, მომაპყარ გულისყური, სულო ნეტარო,
„და დამიმტკიცე რომ შენ ძალგიძს ამოიკითხო
„ზრახვანი ჩემნი იდუმალნი თვალთაგან ჩემთა“.

სულმა უცნობმა, რომლის მხოლოდ ტკბილი გალობა
მესმოდა წელან, მითხრა, თანაც ამოიოხრა
(ზედ ემჩნეოდა მოოხება სურდა გულისა):

„იტალიისა გაფუჭებულ, წამხდარ კუთხეში
„რიალტოსა და იმ მთებს შორის რომ მდებარეობს,
„სად მდინარენი იშვებიან ბრენცა, პიავა,

„არის გორაკი, საიდანაც წარმოსდგა ერთხელ
„ხანძარი იგი რომლის გამო გაუბედურდა
„ირგვლივ გაშლილი ტაფობების მოსახლეობა,

„ერთ და იმავე ფესვისაგან ვართ წარმომდგარი,
„კუნიცცა ვიყავ და აქ ვბრწყინავ მე შენს წინაშე
„რადგან ვენერას ვუერთგულე კუბოს კარამდის.

„მე ეს ვნებები ვაპატიე ისევე ჩემს თავს
„არ გავწითლდები იმათ გამო აღარასოდეს
„თუმც ბრბო მიწაზე ვერასოდეს მიხვდება ამას.

„და ეგ ნათელიც მოფარფატე ჩემს სიახლოვეს
„ისე ბრწყინავდა თქვენს მიწაზე ერთხელ ოდესღაც, —
„ეს საუკუნე ბარე ხუთჯერ გადაკეთდება,

სანამ მიწაზე სახელს მისას დაივიწყებენ.
„აწ კაცთა მოდგმამ თვით იზრუნოს წარმატებისთვის
„რომ ამ ცხოვრებით მოიხვეჭოს ყოფნა მეორე.

„ასე არ ფიქრობს ბრბო ხალხისა, რომელიც ცხოვრობს
„ტაგლიამენტოს და ადიჯეს მდინარეთ შორის
„არც თუ სინანულს მიეცემა ნებაყოფილად,

„მაგრამ პადუა ენდროსფერად შეღებავს მალე
„ვიჩენცას ირგვლივ გადაჭიმულ ველებს, ჭაობებს,
„რადგან მანდაურთ დავიწყნიათ მოვალეობა.

„სადაც კანიან უერთდება სილეს მდინარეს,
„გამეფებულა კაცი ერთი ამპარტავანი,
„რომელიც ბოლოს თვით დაიდგამს თავისთვის მახეს.

„სამაგიერო მიეზღვება ფელტროს გამგებელ
„ეპისკოპოსსაც უმძიმესი ცოდვების გამო,
„ასე რომ მალტის სისასტიკე დაავიწყდებათ.

„სად გამოჩნდება ქვეყანაზე ისეთი ჩაფი
„ფერარელების რომ აირწყოს დაღვრილი სისხლი
„ან უნციებით ვინ დაითვლის მის ოდენობას,

„სისხლი, რომელიც ამ ხუცესმა მსხვერპლად მიართვა
„თავის პარტიას (ხომ შეფერის ეს გულუხვობა
ამ კუთხის ხალხის პაპისეულ ჩვეულებასაც!)

„უფლის გარშემო დადგმულია სარკენი დიდნი,
„სადაც მრისხანე სახე მისი საცნაურ ხდება,
„მე მაბედვინებს განცხადებას აქ ნაუბარის“.

დადუმდა იგი, და ნეტართა ნათელ მწკრივებში
მყის გაერია, თანაც მამცნო რომ სულ სხვაგვარი
ზრახვებისათვის ფიქრს მიეცა ანაზდეულად.

ახლა მეორე შემეფეთა ლანდი ნათელი,
შემომძანათა მყის თვალებში ისეთმა შუქმა,
როგორიც ასდის ბროწეულებს მზისგან სხივ დაკრულს.

70 სიხარულისგან ცაც ისევე ხდება ბრწყინვალე
როგორც ღიმილი, ჯოჯოხეთში სული მრუმდება
როს მწუხარებით აღივსება მანდ ბინადარი.

73 „ღმერთი ყოვლისა მხილველია, სულო ნეტაროო“,
ასე მიემართე: „და ზრახვანი უფლისმიერნი
„საცნაურ ხდება შენთვის მუდამ უსაფარველოდ.

76 „მაშ ხმაი შენი ცაში შვილდთა გალობას ტკბილსა
„რომ უერთდება სინათლისა მუდმივ სათავეთ,
„რომელთაც ექვსნი ამშვენებენ ბრწყინვალე ფრთენი,

79 „სურვილთა ჩემთა რად არ აცხრობს, არ უპასუხებს?
„მე რომ შემეძლოს შენებრ ზრახვათ ცხადლივ შეცნობა,
„არ მოვუცდიდი შეკითხვების შენგან პასუხსაც“.

82 „ის უდიდესი გავაკება, დაიწყო სულმა,
„რომელიც კვებავს ზღვას, ხმელეთზე გარს შემოვლებულს
„აღმოსავლისკენ გაშვერილი ისეთნაირად,

85 „რომ ორ მეშურნეთ კონტინენტებს განაკერძოებს,
„ასე რომ იგი მერიდიანს მიჰყვება ვიდრე
„თვით ჰორიზონტი საბოლოოს მოსწვდება სამანს.

88 „დავბადებულვარ ამავე ზღვის ერთ-ერთ ნაპირზე,
„სად ებროს წყლისა და მდინარე მაკრას ტალღები
„ტოსკანასა და გენუასას მიჯნავს სამანებს.

91 „მზის აღმოსავლის და დასავლის წერტილებს შორის
„არის ბეჩჩია და ქალაქი ჩემი სამშობლო,
„რომელმაც სისხლით გააცხელა თავისი პორტი.

94 „მე ჩემი ხალხი მიწოდებდა ოდესღაც ფოლკოს
„და ზეცა ისე განიმსჭვალა მთიებით ჩემით,
„როგორც ნათელით ცისიერით ვარ გამსჭვალული,

97 „რადგან მიწაზე ისე ვნებით არ ანთებულან
„(როგორც მე დამწვა სიყვარულმან ძალღონით სავსე)
„ბელუსის ქალი, სიხეას და კრეუზის მტერი,

100 „აღარც ფილიდა, ვისაც ფიცი მიჯნურებისა
„არ შეუსრულა თრაკიელმა დემოფოონტმა,
„არცა იოლა ჰერკულესის გულის ტრფიალი.

„მაინც არავინ ინანიებს აქ თავის ცოდვებს
„მივიწყებულთა და ვეძლევით მხოლოდღა შვებას
„უფლისა მიერ სათნოებით ჩვენთვის ნაბოძებს.

„აქ ჩვენ გვაოცებს ხელოვნება უფლისმიერი
„ყოვლის შემქმნელი, წარმომშვები ზეციერ მადლის,
„რომელიც მიწას უმორჩილებს ზენა სამყაროს,

„მაგრამ იმისთვის ამ სფეროის წიაღში შენი
„დაეჭვებანი საბოლოოდ რომ განიფანტონ,
„საჭიროდა ვცნობ გავაგრძელო აქ საუბარი.

„შენ გსურს გაიგო ვინა ბრწყინავს იმ დიდ ნათელში,
„ჩემს სიახლოვეს, ვით ელვარე სხივთ უკუკრთობა
„მზის ბრწყინვალებით გამსჭვირვალე წყლიდან ამდგარი?

„მანდ განისვენებს, ეს იცოდე, რააბის სული
„ჩვენთან ნეტარობს, მიაღწია ხარისხს უმაღლესს
„ამ საბრძანისის ბინადართა შორის საჩინომ.

„ცის იმ ნაწილში, სადაც უწევს ჩრდილი მიწისა
„წვეტით თავისით, უწინარეს მიიღეს იგი
„ქრისტეს ტრიუმფის შემდეგ მოსულ ცოდვილებს შორის.

„აქ წილად ერგო არჩევანით სულს რააბისას
„თანაზიარი ყოფილიყო იმ გამარჯვების,
„რომელიც ქრისტემ მოიხვეჭა ორივე მკლავით,

„მისი წყალობით ქანაანის მიწაზე ფეხი
„შესდგა ოდესღაც ძალმოსილმან ისეო ნავემ,
„რაც აღარ ახსოვს რომის პაპსა, ქრისტეს მოსაყდრეს.

„ქალაქი შენი, ნაშიერი ბელზებელისა,
„რომელიც ერთხელ აუჯანყდა ცათა მეუფეს
„(მეშურნეობით წარმწყმედელი დედამიწისა),

„ფერსა მას ყვითელს მთელს სამწყსოში განავრცობს ახლაც.
„ცხვრებსა და კრავებს იგი აცდენს სიმართლის გზიდან,
„რათა მწყემსობა უბოროტესს მგელს დაეკისროს.

„ღვთისმეტყველება დავიწყებას მიეცა უკვე
„და სახარებას დეკრეტალებს დაწაფებულნი,
„სქოლიოებში კითხულობენ უქნაროზის ჟამს,

„ასე იღწვიან რომის პაპი და პრელატები,
„ნაზარეთისკენ აღარა ჰქრის გონება მათი,
„სად გაბრიელმა ფრთენი თვისნი გაშალა ერთხელ.

„მაგრამ ვატიკანს, ქალაქ რომის წმინდა ადგილებს,
„სად პეტრე წმინდის მხედრებისა წმინდა ნაწილნი
„განისვენებენ, აწ უთუოდ მეძაობისგან

„გამოიხსნიან, რა გაივლის მცირედი ხანი“.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲐᲗᲔ

თავის ძისადმი სიყვარულით გულმოცემულმან
გამოუთქმელის, უხილავის ძალმოსილებამ,
თავათ მიზეზმან შესაქმეთა უპირველესმან

იმ გვარად შექმნა შეუცნობი, თვალშეუგამი,
ასე რომ ყოვლის ნების მისის ბრძნულად შენაქმნის
მჭვრეტელს უთუოდ გაოცება მოეძალება.

თვალი მიაპყარ ჩემთან ერთად ჰოდ, მკითხველო,
აწ ცადაქმნილის იმ თავანებს, სადაც სფერონი
ჯვარედინ სრბოლით ეხლებიან ერთი მეორეს.

ჰყავ საცნაური ბრძნული საქმე დიდოსტატისა,
რომელსაც ეგზომ უყვარს თავათ ქმნილება თვისი,
თვალს არ აშორებს თვის ნახელავს ჭვრეტით გართული.

ეკვატორის რკალს გაეყრება ეკლიპტიკისა
რკალი ირიბი, წარიტაცებს თავის სრბოლაში
პლანეტებისგან მეყვსეულად ძალმოცემული.

არ ყოფილიყო სრბოლა მათი აგრე ირიბი
მაშინ ცთომილნი დაჰკარგავდნენ ზეცაში ძალას
მიწასაც მათი ბრწყინვალება მოაკლდებოდა.

გადასცდენოდა სრბოლა მათი ხაზსა პირდაპირს
მაშინ სამყაროს როგორც ზენას ისე ქვენასაც,
დაერღვეოდა ოდითგანვე დათქმული წესი.

ახლა იჯექი ჰე, მკითხველო, შენ საკარცხლულზე,
იფიქრე თავათ იმის გამო რისი ჭაშნიკიც,
წეღან მოგეცი, მოიკრიბე სულის მხნეობა.

25 ინებე ჩემგან მორთმეული, რჩეული კერძი,
რადგანაც ღონე შევალიე ამდენი საქმეს,
რომლის აღმწერად თავი მომაქვს მე შენს წინაშე.

28 დღის დიდმფლობელი, ვინც აღბეჭდავს ბუნების წიგნზე
ტვიფარით თვისით ზეციერსა ძალმოსილებას,
ვინც ნათლით ზომავს დროთა სრბოლას დაუცხრომელად.

31 ბრუნავს ამ რკალში, რომლის გამო წელან გითხრობდი,
სპირალურ ხაზით მიმდინარე მოძრაობაში
მან მიაღწია თავის დროზე ვერძის სფერომდის.

34 მეც მანდ ვიყავი. მაგრამ ისე უეცრად მოვხვდი
ამ პლანეტაზე, რომ თავათაც არ შემინიშნავს,
როგორც ვერ ამჩნევს ფიქრის აღძვრას პირველადს კაცი.

37 და ბეატრიჩე უფრო მეტად გამშვენიერდა
ისეთნაირად, ისე სწრაფად, ძეხორციელი
დროის მიხედვით ამ ცვლილებას ვერ აღნუსხავდა.

40 მზეებრ ბრწყინავდა თავისთავათ ღვთივმშვენიერი,
მაგრამ რაც მზეში მაშინ მოხდა, სადაც ვიყავი
არაფერისგან. მარტოოდენ ბრწყინვალებისგან

43 ამას ვერც ნიჯი, ვერც გონება, ვერც რიტორობა
ველარ გამოსთქვამს რომ თქვენთვისაც ჰყოს საცნაური,
თქვენ შეგეძლიათ დამერწმუნოთ, ვინა იანტროთ,

46 მაგრამ თუ თქვენი ფანტაზია მას ვერ შესწვდება,
ნუ გაოცდებით, ეს ამბავი ნუ შეგაშფოთებთ,
რადგან მზისათვის ჯერ კაცს თვალი არ გაუმართავს.

49 ამგვარი იყო ეს მეოთხე დიდი ოჯახი,
სად შინაურებს გულმოწყალე მაშაუფალი
კვებავს სამების, ერთარსების სასოებითა,

52 და ბეატრიჩე მეუბნება: „მადლი მიაგე,
„მადლი მიაგე ანგელოსთა, მზეს ნათლითმოსილს,
„ვინც ხილულ მზემდის მოგიყვანა მადლის მთესველმა.“

55 არც ერთ მომაკვდავს ესოდენი სასოებითა
არ აღგზნებია ჯერ ამგვარად გული არასდროს,
არც თუ ლოცვები შეუწირავს ასე მხურვალე .

58 როგორც მე მაშინ, რა ვისმინე სიტყვანი მისნი,
და სიყვარული ისწრაფვოდა მხოლოდ მისდამი,
(არც კი მახსოვდა მე იმ წუთში ჩემი მადონა).

61 არ მიწყრებოდა, მიღიმოდა მხოლოდ მწყაზარად
და ელვარებამ თვალთა მისთა წმინდა ცეცხლისამ
ფიქრები ჩემი მიმოფანტა ანაზდეულად.

64 თვალის მომჭრელნი სხივთა ძნები აურაცხელი
ჩვენს ირგვლივ სრბოდნენ შეკინძულნი გვირგვინის სახით,
თვალს იტაცებდნენ, გვიამებდნენ თან ყურთასმენას,

67 ამგვარ გვირგვინით ხშირად ვხედავ ლატონას ასულს,
როცა ღრუბლისგან იჟღენთება ზეცის თავანი
სხივის ბლონდებში გაეხვევა მცხრალი ცთომილი.

70 ღვთის სასახლეში, საიდანაც მოვბრუნებულვარ,
მოიპოვება ბევრი თვალი პატიოსანი,
მაგრამ ვინ დასძრავს მათ ზეციერ საბრძანისიდან.

73 სწორედ მათ შორის ლაპლაპებდნენ სულნი ნეტარნი,
მაგრამ ესაა ვისაც ფრთენი მაღლა საფრენი
არ გააჩნია, მას მოუთხრობს ყრუ-მუნჯის ენამ.

76 შემდგომ ამისა ეს ცთომილნი ტკბილის გალობით
სამგზის ჩვენს ირგვლივ გარს მოიქცნენ როგორც ვარსკვლავნი
უძრავ პოლუსის გარეშემო მორიალენი.

79 მე მომაგონდა მოცეკვავე ასულთა დასი,
როცა ისინი შესდგებიან მდუმარედ მკირეს,
ელოდებიან ახალ ბგერებს საკრავებისას.

82 ახლა მომესმა, შემესიტყვა ერთი მათგანი:
„რაკი ნათელი იმ მადლისა რომელიც ანთებს
„კოცონს ნამდვილი სიყვარულის დაუშრეტელის,

85 „აგრე ანთია შენში ათგზის გაბრწყინებული,
„რამაც ამ კიბით მოგიყვანა იმ საბრძანისში,
„სადაც კვლავ მოსვლას ეღირსება ერთხელ მოსული.

88 „ვინც შენ აქ ღვინო ფიალიდან არ გიზიაროს
„თავისუფლებას იქნებოდა ის მოკლებული,
„როგორც ბინული ზღვის კიდესთან დაგუბებული.

„შენ გსურს გაიგო რა ყვავილნი ამკობენ ცაში
„ტურფა გირლიანდს, ფიანდაზას შენის მადონის,
„ვინც გიწინამძღვრა და გაგიღო სამოთხის კარნი?

„მე კრავი ვიყავ ამ ცხოვართა წმინდათა შორის,
„ვისაც წინ უძღვის დომინიკო გულმართალ გზაზე
„სად ყველა ხარობს, ვინც ცთუნებას თავს აარიდებს.

„ჩემს გვერდით, მარჯვნით გახლავთ სული ალბერტ დიდისა
„ოსტატის ჩემის, ხელნაძღვანელის, ნაძმობის ჩემის,
„თომას აკვინელს მიწოდებდნენ მე სიცოცხლეში.

„გნებავს იცოდე ვინ არიან მანდვე მახლობლად?
„მზერით მიჰყევი სიტყვებს ჩემსას, მიმოიხილე
„იმ გირლიანდის გარეშემო სულნი ნეტარნი.

„იგი ვინც ახლა გააბრწყინა ღიმილის ეშხმა
„გრაციანია, ვინც სამოთხის მადლი მოიგო,
„თუმც ემსახურა სჯულისდებას ორთავეს ერთად.

„იგი ვინც ამკობს ამის შემდეგ ჩვენს თავყრილობას
„პეტრეა თავათ, ვინც შესძინა ღვთის ეკლესიას
„ძვირფასი განძი თანადგომით ქვრივი დედისა.

„უბრწყინვალესი ჩვენ ოთხ შორის სული ნათელი
„ისეთი დიდი სიყვარულით აღგზნებულია,
„რომ დედამიწას ხილვა მისი კვლავ ენატრება.

„გონება მისი იყო თავათ სიბრძნის სათავე,
„ჭეშმარიტება თუ შეიცავს ჭეშმარიტებას,
„ჯერ ხმელის პირზე მას ბადალი არა ჰყოლია.

„შემდგომ ამისა, ალბათ, ხედავ შუქს მოელვარეს,
„ვინცა ბუნება ანგელოსთა ზესთაზენური
„ყველაზე უკეთ შეისწავლა და განგვიმარტა.

„ნათელთა შორის უმცირესი ჩვენ შემოგვცინის
„დიდი დამცველი დასავლეთის ქრისტიანობის,
„ვისაც ლათინურს უწოდებდა თვით ავგუსტინე.

„ახლა თუ თვალი მიაყოლე ჩემგან ნაუბარს
„სულნი ნათელნი სათითოოდ თუ მოიხილე,
„ალბათ, გწადია საცნაურ ჰყო ის მერვე სული?

„იმ სულთა შორის გაბადრულა ნათლითმოსილი
„ის ქველი სული ვინც ამ სოფლის წარმავალობა
„ჰყო საცნაური ყველასათვის, ვინც მას უსმენდა.

„ნეშთი, რომელსაც გამოექცა მაღალი სული,
„დაკრძალულია ჩიელ დ'ოროს ეკლესიაში,
„და სულმა მისმა განისვენა წამებისაგან.

„მანდ მოშორებით ცეცხლის ალში გამოხვეულან
„ბედა, ისიდორ და რიკარდო, რომელიც იყო
„შემოქმედებით კაცობაზე აღმატებული.

„ხოლო ნათელი, ვისაც წელან შეავლე თვალი
„ანარეკლია იმ სულისა, ვინაც მიწიერს
„წარმავალობას მისტიროდა, სიკვდილის მდომი.

„ეს სინათლეა საუკუნო სიგეტერასი
„ვინც ასწავლიდა არისტოტელს, ჰყიდიდა ჩალას,
„და მეშურნენი გაიჩინა ბრძენმეტყველებით".

ვით საათები ადრიანი, ტკბილი წკარუნით
გაგვაღვიძებენ ისეთ წუთში როს ქრისტეს სასძლო
საქმაროს თვისას ეგებება სათნო ძლისპირით;

გვესალბუნება ჟღერა მათი მელოდიური,
როგორც ებნის ხმა ყურთასმენის დამატკბობელი
გულში აღვიძებს ნეტარებას სიყვარულისას,

ამგვარად ჟღერდნენ თვალშეუდგამ სფეროთა შორის
ცთომილთა რკალნი აღგზნებულნი, ეთერში მსრბოლნი
და ეგზომ ნეტარ ჰარმონიას ვერვინ მოასმენს,

ვინც მარადჟამულს არ ეწვევა უფლის საბრძანისს.

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ

ჰოჲ, ამაო სურვილებო, კაცთა მოდგმისა
რარიგ მცდარია ეგ უმწეო სილოგიზმები,
რომელნიც ხუთავს ყოველივე თქვენს აღმაფრენას.

ზოგი სამართალს იშველიებს, სხვა აფორიზმებს,
ეს ჭურუმობით გზას იკაფავს, ის ტახტზე ასვლით,
ერთი ხმალს იქნევს და მეორე იბრძვის სოფიზმით.

ზოგი ყაჩაღობს, ზოგს საერთო მოღვაწეობა
აჭმევს ლუკმა პურს, ეს ზარმაცობს, იგი ცულღუტობს.
ზოგსაც ხორციელ ვნებათათვის დაუდევს თავი.

მე კი შორს ვიყავ იმ ზეციერ საბრძანებელში
ამ ვნებათაგან, ჩემ სანუკველ დონასთან ერთად
ცად აღვლენილი, შემოსილი ესდენ პატივით.

როს სულთაგანი კვლავ იმ ადგილს მიბრუნებოდა,
სადაც ყოველი ამშვენებდა რკალს სათითოოდ
როგორც სანთლები გარსმოჯარულ სასანთლეებზე.

ნათელი იგი ვინც პირველად შემომესიტყვა
უფრო განათდა, შეიმატა მან ბრწყინვალება,
და მეუბნება ღიმილისგან პირგაბადრული:

„ისევე როგორც მე აქ ვბრწყინავ მარადი შუქით
„მისივე ძალით შენში ვხედავ უკვე თვალნათლად
„ფიქრების შენის უეცარსა აღმოცენებას.

„აღგძვრია იქვნი და გწადია რომ შენებურად
„აშკარად ავხსნა, შევუფარდო შენს მეტყველებას
„ჩემს მიერ წედან გამოთქმული მოსაზრებანი:

„სად ყველა ხარობს, ვინც ცთუნებას თავს აარიდებს,
„ახლა მეორე: „მას ბადალი არა ჰყოლია.“
„ეს ყოველივე უფრო ნათლად მსურს განგიმარტო.

„მსოფლიოს ჩვენის დიდოსტატმა, ვინც იმზირება
„ისეთ სიღრმეში, სად მოკვდავნი ვერ ჩაწვდენილან,
„(თუმც ბევრს ეწადა ჩაეხედა ამ უფსკრულებში)

„შეჰმატა ძალა უფლის სასძლოს, რათა ნატერფალს
„თავის საქმროსას გაჰყვეს უფრო გამხნევებული,
„მას ვინც ინება შეუღლება სისხლითა წმინდით,

„მასთან მიმავალს განუყრელად თავდადებულად,
„სასძლოს წინამძღვრად მიუჩინეს თავადი ორი
„აქაც და იქაც მაჩვენებლად გზისა მართალის.

„ერთი სერაფიმს მიემსგავსა სიყვარულითა,
„ხოლო მეორის ბრძენკაცობა საიქიოში
„ქერუბიმული ნათლით იყო გაბრწყინებული.

„ვგულისხმობ პირველს, რადგან ქება მისგამო თქმული
„შეეფერება როგორც პირველს, ისე მეორეს,
„რადგან ორივეს აერთებდა ერთი მიზანი.

„ტუპინისა და იმ მდინარეს შორის, რომელიც
„სათავეს იღებს მწვერვალიდან, სადაც უბალდოს
„სამყოფლო ჰქონდა არჩეული შემონაზვნებულს,

„(აქედან მოსდის პერუჯიას პორტა სოლეს გზით
„ქარი და სიცხე, ხოლო გაღმა ცრემლებს აფრქვევენ
„მთების ორწოხში მომწყვდეული ნოჩერა, გვალდო),

„არც ისე მაღალ მთის ფერდობზე, მზე ამობრწყინდა
„როგორც მნათობი კირჩხიბის წრეს მიახლებული
„ზაფხულის პირზე განგის წყლიდან მოგვევლინება.

„ამგვარად თუ გსურს ეს ადგილი დაასახელო,
„არ სთქვა ასკეზი, სჯობს ახსენო აღმოსავლეთი,
„სამშობლო მზისა და სინათლის ძველი სათავე.

„არც თუ შორს იყო ამ ნათელის აღმობრწყინება,
„როცა ქვეყანამ წინასწარად შეიგრძნო უკვე
„ამ სიქველისგან გამოსული სხივი ცხოველი.

სიჭაბუკეში გადაუდგა იგი მამამისს
„და შეიყვარა იგი, ვისაც როგორც თვით სიკვდილს
„არვინ ინატრებს სტუმრად ჰყავდეს თავის ნადიმზე.

„მან განკითხულმა სულიერი მამის წინაშე
„Etcoram patre დანიშნა იგი
„ვინაც უყვარდა უკანასკნელ სიკვდილის დღემდის.

„რაც ქალბატონი სიღარიბე ქმარს გაეყარა
„უკვე იქნება საუკუნე ბარემ თორმეტი,
„იგი უცდიდა ამ საქმაროს, უკვე მეორეს.

„რა ბედენაა ამიკლასის ღატაკურ ქოში
„რომ არ შემკრთალა იმ მრისხანე ხმისა გამგონე
„რაც მთელს ქვეყანას ძრწოლისაგან აცახცახებდა?

„რა ბედენაა, როს ცრემლებით გულდამდუღრული
„ჯვართან მარიამ იჯდა მარტო საგოდებელზე
„ხოლო ის თავათ ჯვარზე აჰყვა მაცხოვარს ჩვენსას?

„მაგრამ გაკმარებ სიტყვებს მრუმეს და ორაზროვანს,
„გეტყვი: ფრანჩესკოს და ქალბატონ სიღარიბისა —
„ამ ორ მიჯნურის თავათ იკი, ალბათ, ამბავი.

„მათი ერთობა, მხიარული მათი გუნება,
„თავდადებული სიყვარული და სათნოება
„გახდა უღრმესი დაფიქრების წმინდა საგანი.

„სათნო გრძნობებით აღგზნებულმა თავდაპირველად
„ბერნანდმა ფეხზე გაიხადა, ჩაიცვა ჩოხა
„მათ წმინდა ძმობას მიაშურა და შემოუნაზვნდა.

„ო, საგანძურო, თავის დროზე ვერშეცნობილო,
„ფეხზე გაიძრო სილვესტრომაც, მას მიჰყვა ეგიდ,
„აჰყვენ ფრანჩესკოს სასძლოს მისის მოტრფიალენი.

„ახლა ოსტატმა და ნეტარმა მამა ფრანჩესკომ
„როზს ჩაიყვანა ცოლი თვისი, მთელი ოჯახი,
„რომელსაც წელზე შემოერტყა უკვე საბელი.

„არც კი შემკრთალა აქ ფრანჩესკო ჩვეულებრივად,
„როცა იტყოდა შვილი ვარო ბერნარდონესი
„თუმც ამის გამო იგი ყველას ეზიზღებოდა.

მან ინოკენტის წარუდგინა წესდება თვისი,
„გამოითხოვა კიდეც მისგან დასტურის დამღა
„და მიაღწია დამტკიცებას ბერულ ორდენის.

„როცა ღარიბთა ძმობა იგი გამრავლდა მეტად,
„ვისი ცხოვრებაც საიქიოს შეიქნა ღირსი
„ცათა წიაღში ანგელოსთა მიერ შექების,

„აქ სული წმინდამ აიძულა ჰონორიუსი
„ეკურთხებინა ხელმეორედ არქიმანდრიტი,
„თავზე დაედგა მისთვის მიტრა საკუთარ ხელით.

„ბოლოს ეწადა მარტვილობა გამოეცადა,
„იგი წარუდგა უშიშარად მძვინვარე სულტანს
„და ქრისტესმჯული უქადაგა შეუკრთომელად.

„რაკი დარწმუნდა იმ ხალხების ველურობაში,
„მყის გამობრუნდა, მიაშურა კვლავ იტალიას,
„რათა მათ სამკალს თავის დროზე დაუფლებოდა.

„ტიბროსისა და არნოს შორის მაღალ მწვერვალზე
„იესოს დამღა მას ეღირსა უკანასკნელად,
„ორ წელს ატარა ამ მიწაზე წყლულება იგი.

„როდესაც იმან, ვისაც ჰყავდა ამორჩეული
„მამა ფრანჩესკო — სიქველეთა მაუწყებელად,
„თავმოდრეკილი აღამაღლა ღვაწლმოსილებით,

„ფრანჩესკომ თავის მემკვიდრეებს ორდენისმიერთ,
„მეუღლეს თვისის სიყვარული მისცა ანდერძად,
„ძმებს დაუბარა თავმოდრეკა და ერთგულება.

„და წმინდა სული მან თავისი თავათ დაიხსნა
„იმქვეყნიური სიღარიბის იწროობიდან,
„უარჰყო კუბო და შიშველი დაასაფლავეს.

„ახლა მიხვდები იმ ხანებში რა დიდი იყო
„მეორე ძმაცა, ვინც ზღვაურის მიუხედავად
„ეხმარებოდა წმინდა პეტრეს ნავის მართვისას.

„მღვდელმთავარია იგი ჩვენი, ის მართავს საჭეს,
„და ყველა ვინც კი მის ნაბრძანებს ემორჩილება,
„სიქველისაკენ ნათელი გზით მიემართება.

„საკვებსა ახალს დაეწაფა აწ სამწყსო მისი,
„მიტომც გაიბნენ უკვე ცხვრები სხვადასხვა მხარეს,
„სხვადასხვაგვარი საძოვარის მაძიებელი,

„რაც უფრო მეტად სცილდებიან თავის წინამძღოლს,
„მით უფრო მეტად იფანტება ცხოვართა ფარა
„და ფარეხებსაც არ აწვდიან მიტომაც ნაწველს.

„მხოლოდ მცირედნი კვლავ მიენდვნენ მწყემსს და წინამძღვარს
„მაგრამ რა ცოტა დასჭირდება მათ პატრონს მატყლი,
„ამ ძმების ტანზე შესაკერავ ჩოხებისათვის.

„ამიერიდან გასაგები იქნება შენთვ-ს
„სიტყვანი ჩემნი, ყურადღებით თუ მომისმინე
„ალბათ, გაიგე წინანდელი ჩემი ნათქვამიც,

„ახდა ამგვარად აწ ერთ-ერთი სურვილი შენი!
„აჰა, ხე იგი ავღრისაგან შტოდალეწილი,
„ახლა გაიგე შევონება ჩემს მიერ თქმული,

„სად ყველა ხარობს ვინც ცთუნებას თავს აარიდებს“.

რა წარსთქვა სულმა იმ ნეტარმა ალში მგზნებარემ
უკანასკნელი თვისი ჩემთვის საუწყებელი,
ისევ დაიწყო ირგვლივ სრბოლა ციურმა სფერომ

4 და ვერ მოასწრო ერთი რკალის ცაში მოხაზვა,
ახლა მეორე დატრიალდა მყის მის გარშემო,
სრბოლა სრბოლასვე შეემატა, ჰიმნები ჰიმნებს.

7 ამ გალობათა, ამ ჰიმნების ერთხელ გამგონეს
ჩვენი მუზების, სირენების სიმღერა მკრთალად
გვეჩვენებოდა ვით არიელი შუქის წინაშე.

10 ვით თხელ ღრუბლებში ცისარტყელის ორმაგი რკალი
ჩვენ გვევლინება პარალელურ, მბრწყინავ წრეებად,
როცა ქვეყანას იუნონა უგზავნის შიკრიკს,

13 (ამ რკალთა შორის ორში ერთი ანარეკლია
მსგავსი სიმღერის იმ ნიმფისა, რომელიც ტრფობას
დაულევია როგორც ორთქლი მზეს მოელვარეს),

16 რათა მიწაზე დაარწმუნოს ადამის მოდგმა,
რომ ღმერთის მიერ ნოესადმი აღთქმის თანახმად
აღარ წალეკავს დედამიწას წარღვნა არასდროს.

19 აგრე უჭკნობი ყვავილების გარს გვეხვეოდა
ჩვენ გირლიანდი ორნაირი, ნაზად შეთხზული,
ორნივ ურთიერთს შეწყობილი, შეხამებული.

22 როს როკვა ავგი საზეიმო და აღგზნებული,
უფლის ტახტისკენ აღვლენილი ყოველი მხრიდან
და ანთებული ჟინყღილების ელვათა კრთომა,

25 შესწყდა, დადუმდა ისე სწრაფად, ისე ანაზდად,
როგორც ჩვენ ნებსით ფიქრს გავიგებთ ხოლმე იდუმალს
და ქუთუთოებს ხან აღვმართავთ. ძირს დავხრით ხანაც.

28 ახლად მოვლენილ სულთაგანის მომესმა ხმაი,
და როგორც ნემსი პოლარული ვარსკვლავისაკენ
აგრე გულის ხმაც მას მივაპყარ, ვინც ამეტყველდა.

31 „ის სიყვარული ვინც გონება მე გამიწათლა
„მე მიკარნახებს აწ მეორე ვაქო ბელადი,
„რაკი ერთ მათგანს წილად ერგო ამდენი ხოტბა.

34 „სად ერთს ვადიდებთ, ხამს მეორეც მოვიხსენიოთ.
„რაკი ორივე თანამდგომნი იყვნენ ბრძოლებში
„ერთად შევამკოთ ორივენი ღვაწლშემოსილნი.

37 „ქრისტეს მხედრობა, რომლის კვალად აღჭურვა ასე
„ძვირად დაგვიჯდა, მოჰყვებოდა ყოყმანით დროშას
„არც თუ მრავალი, სასოებით ძალმოცემული,

40 „როს მბრძანებელმა, სასოების მომნიჭებელმა,
„უშველა მებრძოლთ განსაცდელის მომლოდინეთა
„გულმოწყალებით, (თუმც მათ ეს ვერ დაიმსახურეს)

43 „წარგზავნა მყისვე, თავის სასძლოს გადასარჩენად
„ორი სარანგი, ვისმა საქმემ, სიტყვის სიმჭევრემ
„კვლავ მოაგროვა დაფანტული, დამფრთხალი მრევლი.

46 „იმ ქვეყანაში, საიდანაც სდგება ეთერი
„უნატიფესი იმ ყვავილთა აღმომცენები,
„რომლითაც მოსავს ევროპის ხმელს ფერთა სიუხვე,

49 „იმ ჭარაფების სიახლოვეს, სადაც ტალღები
„ეტმასნებიან იმ ნაპირებს, რომლის გადაღმა
„მზე ემალება კაცთა მზერას შორეთის მგზავრი,

52 „მანდ მდებარეობს ბედნიერი აწ კალაროგა
„იმ დიდი გერბის მფარველობით სვებედნიერი,
„რომელსაც ამკობს ლომისა და კოშკის ხატება.

55 „იქ იშვა გული მოყვარული, უერთგულესი
„ქრისტეს მოძღვრების და სარანგი დიდად საჩინო,
„თავისიანის შემწყნარები, მტერთათვის რისხვა.

58 „ჯერ საშოშივე სული ედგა ისე მძლეთამძლე,
„უსპეტაკესი მადლისაგან ადრეჭვე მოსილს
„დედის მუცლიდან მოელოდნენ წინასწარმეტყველს.

61 „როს ამის შემდეგ რწმენასა და მას შორის მტკიცე
„კავშირი იქნა დადებული, ნიშნად ამისა
„თავზე დაიდგა მან გვირგვინი სარწმუნოების.

64 „ესიზმრა დიაცს ამის მოწმეს სიზმარი რაგვარ
„დიდ გამარჯვებას მოიმკიდა ახლად შობილი,
„აგრეთვე ყველა ნაშიერი მისი მერმისში.

67 „ბოლოს სახელის შესარქმევლად, მოსანათლავად,
„ციდან მოფრინდა ანგელოსი, მისცა სახელი
„მისი, ვინაც ყრმას უწინამძღვრა ცხოვრების გზაზე.

70 „ყრმას მან უწოდა დომენიკო და მეც უბნობას
„მისგან დავიწყებ, მებაღეა იგი ქრისტესი
„სოფლად მისული უფლის ბაღის მოსაშენებლად.

73 „იგი მიაჩნდათ ქრისტეს მონად, მის მოციქულად,
„რადგანაც აზრნი მისმიერნი უპირველესნი
„იყვნენ იესოს პირველ თქმასთან შეხამებულნი.

76 „ბევრჯერ უნახავს იგი ძიძას ჯერ კიდევ ჩვილი,
„თავმოდრეკილი და მიწაზე წამოჩოქილი,
„მთქმელი ამისა: „საამისოდ ვარ მე შობილი.“

79 „მართლაც ფელიჩე იყო მამა, მისი შემქმნელი
„და ჯიოვანა, დედამისი დამბადებელი
„ვინც ამ სახელებს იზიარებს, დაუფიქრდება.

82 „არც თუ სოფლიურ ანგარების მეოხებითა
„(მსგავსად ტადდეოს ან ოსტიელ კარდინალისა),
„არამედ ციდან წმინდა მანნას მოსახვეჭელად,

85 „სულ მცირე ხანში გახდა დიდი მოძღვართმოძღვარი,
„უვლიდა ფრთხილად თავის ვენახს რაკი იცოდა
„მოუვლელობით ვაზს კაჭაჭი რომ მოერევა.

88 „და ტახტისაგან (რა ბრალია პაპის ტახტისა,
„რომ ღარიბთათვის მიუვალი რომ გახდა იგი
„ფარისეველებს აქ მიუძღვით მთავარი ბრალი)

91 „ითხოვდა იგი განა მყუდრო „მსუქან“ ადგილებს,
„ან ღარიბთათვის გადაგდებულ სამადლო გროშებს?
„Non decimas, que sunt pauperum Dei,

94 „არამედ მხოლოდ გზას აცდენილთ წინაღმდეგ ბრძოლას.
„იმ თესლისათვის, რომელთაგან აღმოცენებულთ
„ოცდაოთხ ყვავილს თავათ ხედავ აწ შენს გარშემო.

„დოქტრინებით და ნებისყოფით მან აღჭურვილმან
„სამოციქულოს მიაშურა მოვალეობას,
„ვითა ჩქერალმა ბარისაკენ მთიდან დაძრულმა,

„სად მწვალებლობას უაღრესად გაუდგა ფესვი
„იქ უფრო მეტის გააფთრებით იბრძოდა იგი
„მძვინვარე მტრების გაშმაგების არდამრიდები.

„ამ ჩქერალიდან წარმოიშვა რუ ბევრზე ბევრი,
„რომელთაც მორწყეს ბაღი იგი კათოლიკური
„და ყვავილნარი გააცოცხლეს და დაამშვენეს.

„თუ კათოლიკურ ეკლესიის საომარ ეტლის
„ბორბალი ერთი იყო აგრე ძალმოცემული
(შინაურ ომში მიტომც იყო გამარჯვებული),

„მაშინ რარიგად ექნებოდა ღერძი მაგარი
„ბორბალს მეორეს, რომელსაც აქ თვით წმინდა თომა
„ხოტბას ასხამდა მართებულად, მჭევრმეტყველურად.

„მაგრამ აწ უკვე გზას გადასცდა სრბოლა ეტლისა,
„ასე რომ სადაც ყვავილნარი უწინ ხარობდა
„მანდ ჭაობია და სადები ზედგაუვალი.

„და მრევლი მისი, ვინც ოდესღაც გულმოცემული
„თავის ოსტატის მიჰყვებოდა წმინდა ნატერფალს,
„გარეშეიქცა, ანაცვალა წინსვლას — უკუსვლა.

„მაგრამ მერწმუნე, დაგვიდგება მკის ყავლი მალე
„და სარეველას ცეცხლს მისცემენ, ხოლო მოსავალს
„პატრონი ჩვენი თვის პეღლებში გაანაწილებს.

„ცხადია, ვინც კი გადაფურცლავს დაკვირვებულად
„წესდებას ჩვენსას, იგი ნახავს მასში ფურცლებსაც
„მინაწერებით: „მე ერთი ღა დავრჩი უმწიკვლო“.

„არც აკვასპარტას, არც უბერტო და-კაზალესაც
„ეს არ ეხება, ერთმა მეტად შებოჭა ძმები
„ხოლო მეორემ ხალვათობით გადააჭარბა.

„მე ვარ იცოდე, შენს წინაშე ბონავენტურა
„სამწყსოს საქმეებს ვასრულებდი გულმოდგინებით
„წარმავალობის სოფლიურის კიდეგან მდგარი.

„ჩემთან არიან ავგუსტინ და ილლდუმინატი
„პირველთაგანნი ფეხშიშველა ძმების ორდენში
„ვინაც სამოთხე მოიხვეჭეს ბერულ საბელით.

„ესენი გახლავთ სან ვიტორე, სახელად ჰდუგო,
„ეგ მანჯადორე, ხოლო იგი — პდერ დ'ისპანო,
(„თორმეტი წიგნი ბრწყინვალებით მოსავს მის სახელს);

„მისანი ნატან, ქრიზოსტოე მიტროპოლიტი,
„ეგეც ანსელმი, ის დონატი ვინც პირველადი
„ხელოვნებისა დაგვიტოვა კარგი ნიმუში,

„აქავე ბრწყინავს ცთომილივით სული რაბანის,
„კალაბრიელ მღვდლის ღვაწლმოსილი ჯიოაკკინოს,
„ვინცა მისნობით იყო მუდამ სახელგანთქმული,

„მე მათქმევინა ამ გმირების ხოტბანი ესე
„მიტომც აღვნიშნე ღვაწლმოსილთა ამაგი დიდი,
„რადგანაც თომამ ამ აღგზნების მომცა ნიშანი,

„მათ ადიდებენ ეგ სულნიცა გარს მოჯარულნი.“

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

ვისაც ჩემს მიერ აქ ნახულის შეცნობა სურდეს
წარმოიდგინოს ეს სურათი (სანამ დასასრულს
მე არ მივაღწევ), დაიხსომოს სამარადჟამოდ.

ბარე ხუთმეტი სხივს აფრქვევდა ირგვლივ ცთომილი
ქვეყნის ოთხივე კიდისაკენ, ასე რომ სქელი
ღრუბლის ზღუდენიც ვერ ახშობდენ მათ ელვარებას;

აგრეთვე ეტლიც გარს მსრბოლელი მისი ტიმონი,
რომელიც აგრე განუხრელად დღისით და ღამით
ცდომილთა შორის ბრუნავს გეზის გაუმრუდებლად.

წარმოიდგინე რქისა ამის წვეტი, ან ყელი,
და იგულისხმე იგი ბოლოს იმა ღერძისა,
რომლის გარშემო ბრუნავს სფერო უპირველესი.

ორმაგი ხომლი ვარსკვლავების წარმოიდგინე
მსგავსად იმისა როგორც ეს ქნა მინოსის ქალმა
სიკვდილის წუთში ვარსკვლავიან მაღალ თავანში,

16 ისეთნაირად, რომ მთიები ერთი რკალისა
წინ ისწრაფვოდეს, მოელვარე სხივთა ჩქერალი
შეხამებულად მიჰყვებოდეს უკან მეორე:

19 მაშინ წარსდგება შენს წინაშე სრულად ნაჩრდილი
ვარსკვლავთა ხომლის და სულების ორმაგი როკვის
რაც იქ ხდებოდა ჩემს გარშემო, ნეტარ წუთებში,

22 ჩვენთვის ცნობილი არაფერი მას არ ემსგავსის
ისევე როგორც კიანას წყლის ზანტი დინება
ზეციურ სფეროთ ირგვლივ სრბოლას ვერ შეედრება.

25 არც დიონისოსს უმღერიან მანდ, არც აპოლონს,
არამედ წმინდას მას სამებას ერთ არსებაში,
რომელმაც კაცი ღვთაებაში განაპიროვნა.

28 ნეტარი ყოფნის სიხარულით აღტყინებულმა
წმიდა კრებულმა მოათავა როკვა, სიმღერა
ჩვენთვის პატივის მისაგებად წამოწყებული.

31 შემდგომ ამისა დაარღვია უცებ დუმილი,
სწორედ იმ სულმა ვინც მოგვითხრო უფლის გლახაკის
გასაოცარი წმინდანური ცხოვრების გამო:

34 „როცა საღეწის ერთი წილი გალეწილია
„და ჭირნახული სანახევროდ შემონახული
„უკვე მაწუხებს დანარჩენის დროზე გალეწვა.

37 „შენ თუ გგონია რომ იმ მკერდმა, რომელსაც ფერდი
„გამოაცალეს შესაქმნელად იმ არსებისა
„ვისი ცთუნებაც ასე ძვირად დაუჯდა კაცთა

40 „ან და მეორემ განგმირულმა ჰოროლისაგან
„წინად, ან შემდგომ მოიხადა იმგვარად ვალი,
„რომ კაცთა ცოდვა გამხდარიყოს ვითომდაც მჩატე,

43 „ბოძებულია იმდენივე მადლი ნათლისა,
„რამდენიც ძოდგმას ადამისას რგებია წილად
შემომქმედისგან როგორც ერთის ისე მეორის.

46 „მიტომც გაოცდი როს გაუწყე ძე ამას წინად
„არა ჰყავს-მეთქი მას ბადალი ბრძენკაცობაში,
„მას აქ მეხუთე ნათლის რკალში გამომწყვდეულსა.

„აღახვენ თვალნი, დარწმუნდები უცილობელად,
„რომ რწმენა შენი და სიტყვანი ჩემნი ერთბაშად
„ერთი მეორეს ზედმიწევნით დაემთხვევიან.

„როგორც მოკვდავი, ისე არსი მარადიული
„ანარეკლია უცილობლად იმ იდეისა,
„რასაც ღმერთი შობს სიყვარულით სავსე საშოდან.

„რადგან ნათელი ცხოვრებისა, რომელსაც ღმერთში
„სათავე თვისი უპოვნია, მის მეოხებით
„და სიყვარულის თანადგომით ჩვენ გვეცლინება

„როგორც ჩვენება სარკის პირზე გამოსახული.
„ამ ცხრა სფეროში ამავე დროს რჩება მარადჟამს
„განუყოფელი უკუნითი უკუნისამდე.

„აქედან ბოლოს ხარისხებზე ჩამოდის დაბლა,
„ქმედობის ძალა დაშრეტილი, დასუსტებული,
„და აჩენს მხოლოდ წარმავალს და უხანო საგნებს.

„წარმავალთ შორის მე ვგულისხმობ ამ შემთხვევაში
„წარმოშობილთა, რასაც აჩენს სფეროთა ბრუნვა,
„ხან დვრიტის მქონეთ, ხან არსებათ უდვრიტოს, ფუჭეთ.

„განსხვავებული მასალისგან წარმოშობილან
„ეს არსებანი და მიტომაც ხატება მათი
„ანაგობითაც განსხვავდება ურთიერთისგან.

„ხე რომ ხე არის — ნაყოფს ისხამს ჯიშის მიხედვით,
„სხვადასხვანაირს, ხან ტკბილსა და ხან კიდევ მწარეს.
„თქვენც იბადებით განსხვავებულ ნიჭიერებით.

„მასალა იგი სრულყოფილი რომ ყოფილიყო,
„უზენაესი ძალისაგან გამოკვეთილი
„მაშინ ნატვიფრიც იქნებოდა თავათ უზადო.

„მაგრამ ბუნება თვით იძლევა ნატვიფრს უსრულოს,
„ვით ხელოვანი ხელოვნების პრინციპთა მცოდნე.
„მაგრამ მომქმედი გაუბედავ, მთრთოლვარე ხელით.

„ასე სადაც კი სიყვარული მართლაც მისნური
„პირველად ძალით გამოიჩენს ქმედობის ძალას,
„იქ იბადება სრულყოფილი ანაზდეულად.

„აგრე შეიქნა თვით სამყარო თავდაპირველად
„ანიმალური სისავსითა გამოჩენილი,
„აგრევე გახდა ღვთისმშობელი ორსულოვანი.

„შენ მართალი ხარ ბუნებაჲ კაცობრიული
„აღარც ყოფილა არც იქნება აწ იმნაირი
„როგორიც ღვთისგან მიენიჭა მხოლოდ იმ ორ კაცს.

„ვიცი ამ ადგილს რომ შევწყვიტო მე საუბარი
„ასე მეტყოდი: „რად იყოვო იგი უბადლო,
„როგორ იქნება ამ მესამეს არ ჰყავდეს სწორი?

„მაგრამ იმისთვის, რომ შენიშნო ვერ შემჩნეული,
„მკითხე ვინ იყო კაცი იგი, რას ესწრაფვოდა?
„როცა შესთხოვდა და მოესმა ხმაჲ „ითხოვე?“

„უეჭველია განიშნებდა ჩემი ნათხრობი.
„ის იყო მეფე და ითხოვდა ტალანტს სიბრძნისას,
„რათა სამეფოს გასძღოლოდა უკეთ თავისას,

„მას არ ეწადა რომ გაეგო თუ რაოდენნი
„ძალნი ზენარნი აქ მართავენ ვარსკვლავთა ეტლებს,
„ან თუ necesse თუ იძლევა ისევ necesse-ეს

„არც „si est dare primum motum esse...
„ან თუ წესია რომ მოვხაზოთ ნახევარ წრეში
„კუთხე უსწორო სამკუთხედის სტერეოტიპი?

„რას ვგულისხმობდი ნათელია დამტკიცებიდან,
„შენ ხედავ ახლა იგი იყო ტოლდაუდები
„ბრძენკაცი დიდი მეფეებზე აღმატებული,

„მაშ ნათელია სიტყვა ჩემი „იყო უბადლო“.
„მე აქ მეფეებს ვგულისხმობდი, მეფე ბევრია,
„მაგრამ მათ შორის ფრიად მცირე შეგვხვდება კარგი.

„ამ განმარტებით შეისმინე ნათხრობი ჩემი
„კვლავინდებურად შეგიძლია წარმოიდგინო
„უპირველესი წინაპარი და მაცხოვარი.

„ეს გქონდეს მუდამ როგორც ტყვია ფეხზე შებმული,
„რათა გულდინჯად მოისაზრო და მოიფიქრო
„სად „დიახ“ ითქმის, ან სად უნდა წარმოსთქვა: „არა.“

„უპირველესი იგი არის სულელთა შორის,
„ვინც ჰოს მთქმელია ყოველ წუთში დაუფიქრებლად
„აგრეთვე მჩატედ ყოველივეს უარმყოფელი.

„მიტომაც ხდება რომ ნაფიქრი ნაუცბათევად
„გზას ასცილდება სიმართლისას და სადავენი
„მართლად განსჯისა ხელთ უპყრია უსაზმნო ვნებას.

„ვინც სიმართლისთვის მებადურობს გამოუცდელად
„ზღვაზე გასული, მობრუნდება ხელცარიელი,
„უფრო მეტს ვიტყვი, დამაშვრალი და ნირშეცვლილი,

„ლეგიონია აძნაირთა რიცხვი მიწაზე.
„ბრის, პარმენიდეს, მელისუსი და სხვა მრავალი,
„გზას იკაფავდნენ, არ უწყოდნენ მხოლოდ საითკენ?

„აგრე სცდებოდნენ საბელუსი და არიუსი
„მათმა კალამმა სამღვთო შჯული დაგვისახიჩრა,
„სურდათ ღვარჭნილად წარმოდგენა მართლად ქმნილსა.

„სულმოსწრაფებით ნუ იმსჯელებთ, კაცნო, ნურას დროს,
„ნუ ემსგავსებით იმ მეველეს ვინცა სწონიდა
„ხორბალს ჯერ მწვანე ჯეჯილების თვალისშემვლები.

„აკი მეც ბევრჯერ დამინახავს ზამთრობით ბაღში,
„ეკლებდაყრილი ღიჭიანი გაშიშვლებული,
„გამოზაფხულზე ყვავილებით დამშვენებული?

„გემებიც ბევრი სწრაფად მსრბოლნი შემიმჩნევია,
„რომელნიც ტალღებს მიაპობდნენ ყელმოღერილნი,
„მაგრამ პორტების სიახლოვეს იღუპებოდნენ.

„ნუ ეგონებათ მონნა ბერტას და სერ მარტინოს
„რადგანაც ერთი მპარავია, მოგვი მეორე,
„თითქოს შეეძლოთ მათ უფალთან წილნაყარობა,

„ვინ უწყის ბოლოს ვინ დაეცეს, აღსდგეს რომელი?“

## ᲯᲔᲒᲐ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ

როგორც ცენტრიდან კიდისაკენ, ხანაც პირუკუ
იძვრის მომრგვალო სურის შიგნით ნადღვები წყალი,
იმის მიხედვით თუ რარიგად არყევენ ჰაერს,

ასეთი რამე მოხდა მაშინ ჩემს არსებაში
როს თომა წმინდის სული ეგზომ სახელგანთქმული
დუმილს მიეცა, მოათავა საუწყებელი.

გონება ჩემი აამღვრიეს თანაბრად ორთა,
თომას სიტყვებმა, ბეატრიჩეს მიერ ნათქვამმა
როს დონამ ჩემმა თომას შემდეგ იწყო უბნობა:

„მას ეჭირვება, თუმც არ უთქვამს მას თქვენთვის წეღან
„არცა სიტყვითა, არც წამყოფით გულის წადილი,
„თქვენგან შეიცნოს აწ ახალი ჭეშმარიტება.

„ამა ეს გითხრას: ის მთიები რომელნიც ირგვლივ
„შემორტყმული გაქვთ, ისე როგორც ანათებს ახლა
„თუ ზედ შეგრჩებათ, უკუნითი უკუნისამდე?

„და თუ შეგრჩებათ, როცა მკვდრეთით აღსდგებით უკვე
„და ხელმეორედ შეიქნებით არსნი ხილულნი
„ხელს არ შეუშლის ელვარებით თქვენს მხედველობას?“

როგორც ფერხულში წრის გარშემო მოცეკვავენი
ერთს შესძახებენ სიხარულით გულმოცემულნი
აღტყინდებიან და შეჰქმნიან ერთობლივ როკვას,

სწორედ ამგვარი აღტაცება მოჰგვარა სულებს
ამ სათნო ლოცვამ და შეფრფინვით დაფარფატებდნენ
გულანთებულნი მოძალებულ სიხარულისგან.

ვინც იმას ჰგონებს კაცს სიკვდილი რომ უწერია
რათა სამოთხეს აქ ეწიოს, მან ეს არ იცის
თუ რა ნეტარი გველოდება ზეცაში რთველი.

იგი, ვინც სუფევს სამებაში, ერთარსებაში
ვინც თვით მზღვარია, ხოლო თავათ მზღვარდაუდები,
დაუსაბამო, დასაბამი ყოვლის არსისა,

სამგზის ადიდეს სათითაოდ ნეტართა სულთა
და ეს გალობა იყო ეგზომ მელოდიური
მათი მოსმენა უდიდესსაც სჭარბობდა ჯილდოს.

ყველაზე მეტად ღვთივმშვენიერ სულის ნათელმა
მე გამაგონა ხმა ისეთი მოკრძალებული
როგორიც ჰქონდა მახარობელს მარიამისას;

„სანამ სამოთხის აქ გრძელდება ნეტარი ლხენა
„მთიებნი მისნი შეამკობენ სიყვარულს ჩვენსას,
„სიყვარულს ციურ ჭვრეტისადმი აქ განკუთვნილსა,

„რომელსაც გვაწვდის საზრდოება უზესთაესი,
„რაც უფრო მძაფრად გაღვივდება იგი ჩვენს გულში
„მით უფრო მეტი მოგვეზღვება მადლი ციური.

„როცა ხელახლა ვეღირსებით განსხეულებას
„მით უფრო მაღალს ჩვენ მივაღწევთ ცაში ხარისხებს.
„რაც უფრო მეტად სრულყოფილად განვპიროვნდებით.

„იმატებს ბოლოს ბრწყინვალების თვისის მიხედვით
„სხივი ჩვენდამი ნაბოძები ზენარისაგან,
„სხივი რომელიც ჩვენ გვანიჭებს უნარს ხედვისას.

„როგორც ნახშირი ალისაგან გარემოცული
„ალში ღვივდება და გამოსცემს კიანთს მოთეთროს
„ამგვარად ცეცხლშიც ანაგობას არ ჰკარგავს თვისას,

„აგრეც ნათელი ზენარულად მონაბოძები
„კრთომა-ციმციმში თავისთავად დაუძლურდება
„ცხედრების ჩვენის სხივოსნობის პირისპირ მდგარი.

„მაშინ ჩვენს თვალებს რას დააკლებს ნათლის ციმციმი,
„რადგანაც მთელი სხეულების ჩვენის ორგანონ
„გაძლიერდება და იქნება მეტად ამტანი".

ორივე ხოროմ სიხარულით აღტყინებულმა
ისე შესძახეს ერთობლივად ამის მთქმელს: „ამენ",
მივხვდი თუ როგორ ინატროდნენ განსხეულებას.

სხეულს ნატრობდნენ არა მარტო ყველა საკუთარს,
სხეულს მშობლების, მახლობლების და საყვარელთა,
სანამ სულყველას არ დასწვავდა ცეცხლი მარადი.

აჰა, ვიხილე, ნათლოსანთა რკალსა მას პირველს
ირგვლივ მოერთო, სხვა ახალი შემოგზნებოდა
როგორც ნათება განთიადის ცაზე გამდგარი.

ვითა მიმწუხრის ადრიანის დადგომის უმალ
აკიაფდება ვარსკვლავები პირველი წყების
ხან თვალსაჩინო, ხან მთვლემარე რძისფერ ბურუსში,

ასე მეჩვენა აქ სულები ახალ-ახალი,
გარს ეხვეოდნენ წრედ შეკრულნი გვირგვინის დარად
იმ ორმაგ გვირგვინს სულებისას და მრავლდებოდნენ.

ჰოდ მთიებო, ჭეშმარიტის სულის წმინდისავ,
ისე ძლიერი იყო თქვენი ელვათა კრთომა,
რომ თვალი მომჭრა მე ანაზდად ნათლის ლიცლიცმა!

და ბეატრიჩე მომღიმარე პირმშვენიერი
ისე შვენოდა, ნათლისაგან გაბრწყინვებული,
რომ აღსაწერად ვერ შებედავს მას კაცის სიტყვა.

როცა თვალების გასახელად მომეცა ძალი,
მივხვდი, თუ როგორ ამამაღლეს მე მასთან ერთად
ცაში უმაღლეს ნეტარებათ ზედა ხარისხზე.

შევნიშნე უკვე ამ სფეროში სხვა საბრძანისი
და სხვა ვარსკვლავი მიღიმოდა, რომლის ციმციმი
განთიადივით იმატებდა სხივის ათინათს.

სულისა მთელის სიწრფოებით და იმ ენაზე,
რომელიც ყველა ეროვნებას ესმის თანაბრად
მადლი მივაგე ყოვლის გამჩენს ამ წყალობისთვის.

ჯერაც არ მქონდა გამოთქმული გულისნადები,
როცა შევიცან რომ ღვთაებას არსთა გამგებელს
თნევდა ჩემს მიერ გულახდილად მადლის მიგება.

ორი ბრწყინვალე, მოელვარე და მეწამული,
ზოლი შუჭისა შემეფეთა ისე ანაზდად,
რომ დავიძახე: „ო ჰელიოს, მშვენებავ ცათა!“

ისევე როგორც მოთეთრო გზას პოლუსთა შორის
გაავლებს ხოლმე ცადაქნილზე ირმის ნახტომი.
დიდი და მცირე ვარსკვლავებით მთლად მოჩითული,

ასე შეერთდა მარსზე უცებ გადაჯვარული
ორივე სხივი და ჩვენება წრეს დაემსგავსა
თანაბარ ზომის კვადრატებით გადასერილსა.

აქ ხელოვნებას მახსოვრება გადააჭარბებს,
ქრისტე ბრწყინავდა სხივმოსილი უკვე ამ ჯვარზე
მის აღსაწერად მე არ მყოფნის სიტყვის სიმჭევრე.

103 მაგრამ ვინც თავათ ჯვარს აიღებს, გაჰყვება ქრისტეს
იგი უთუოდ მომიტევებს ამ სიძაბუნეს,
რადგანაც თავათ გაბრწყინვებულს ნახავს მაცხოვარს.

106 ჯვრის ტოტებს შორის, მწვერვალსა და საფერხეს შორის
რბოდნენ ნათელნი მოციაგე და უმეტესად
აენთებოდნენ როს ურთიერთს შეეყრებოდნენ.

109 ასე ცეკვავენ, ხან ცეტურად და ხანაც ზანტად
ქვევით და ზევით ნამუსრევნი მოქოთქოთენი
და ტრიალებენ დაუცხრომლად იმ შუქის წრეში,

112 რომელიც ხშირად შეიჭრება ანაზდეულად
მრუმე საჩრდილში, რასაც კაცი პაპანებაში
თავდასაცველად გააკეთებს ხელოვნურ ხერხით.

115 როგორც აწყობილ ლირების და არფების ლარნი
გამოიღებენ ხმას უტკბილესს ხელშეხებისას,
მაგრამ არსად სჩანს ჯერ ნოტების ამეტყველება,

118 აგრე ნათელნი ჯვრის გარშემო მორიალენი
გალობდნენ მწყობრად მელოდიებს, ვიხიბლებოდი
მაგრამ თვით სიტყვებს ამ ჰიმნისას ველარ ვარჩევდი.

121 მაინც შევიგნე რომ ეს იყო ხოტბის აღვლენა,
რადგან სიტყვები „აჰა, აღსდეგ“ და „გიხაროდეს“
მე გავარჩიე გაუგებარ სიტყვათა შორის.

124 ისე მომხიბლა ამ გალობამ მანდ მოსმენილმან,
რომ ამის შემდეგ მე არ მახსოვს რაიმეს ქვეყნად
თუნდაც ესინჯოს სულის ჩემის მოჯადოვება.

127 ეგებ სიტყვანი ჩემნი იყვნენ ერთობ თამამნი
რა დამავიწყდა ელვარება იმ თვალებისა
მარადჟამული აღტაცების მომნიჭებელთა.

130 უფრო და უფრო მივიწევდით მაღლა და მაღლა
და ბრწყინვალება ზეციერი სხივს იმატებდა,
მე აღარ ვჭვრეტდი ბეატრიჩეს უკვე ამ წუთში,

133 გეჭეშმარიტოს ეს სიტყვანი წრფელად ნათქვამი.
რაც უფრო მაღლა ვისწრაფვიდი მით უფრო მეტად
ხილვისა მისის ღვივდებოდა აღგზნება ჩემში

136 და ამ საწადელს სისპეტაკე ემატებოდა.

ნებამ კეთილმა, რომლის ძალით ყოველოვის კაცში
სახიერდება სიყვარული ალალმართალი
როგორც სიხარბე სიავეში ხდება საცნაურ,

4 დუმილისაკენ მოუწოდა ტკბილსა მას ლირას
და დაასვენა მეყვსეულად ლარნი წმინდანი,
რომელთაც ყღერა უფლის მკლავმან გააღებინა.

7 როგორ იქნება არ ათხოვონ ჩემს ლოცვებს ყური
იმ სულებისა წმინდა ხორომ, ღადუმებულმან
არ გამამხნევონ სავედრებლის გამოსათქმელად.

10 აწ მართებულად მას წამება ნუ მოაკლდება
ვინც წარმავალი წადილისგან გატაცებული
ამ დიდ სიყვარულს შეგნებულად გაემიჯნება.

13 როგორც წყნარ ცაზე მეტეორი გადაიქროლებს
ცეცხლის მთიებით გადასერავს მთვლემარე ზეცას
და წარიტაცებს მაცქერალის ხედვას ანაზდად;

16 კაცს ეჩვენება გარდენაცელოს ვარსკვლავს ადგილი
სწორედ იმ ადგილს, სად ცთომილმა წამს გაიელვა.
თუმც მანდვე რჩება სხვა ვარსკვლავი აურაცხელი,

19 ასევე ჯვარის მხარმარჯვნისკენ გაწვდილ ტოტიდან
მის საფერხემდე გაირბინა ვარსკვლავმა ერთმა
და გაიელვა უცაბედად იმავ სფეროში.

22 არ გათიშვია ბუდეს თვისას ეს მარგალიტი,
გაჰყვა ცეცხლის გზას, აციმციმდა ისეთნაირად,
ვით ნაღვერდალი კრისტალის ქვეშ ამოდებული,

25 ასე ამაღლდა ანჭიზესის სული მაღალი
(როგორც გვაუწყებს უდიდესი პოეტი ჩვენი),
როს შეეყარა ვაჟს თავისას ელიზიუმში,

28 „O Sanguis meus, o superinfusa
Gratia Dei; Sicut tibi cui
Bis unquam coeli janua reclusa

31 ასე უბნობდა ეს ნათელი და მე ცისაკენ
აღვაპყარ თვალნი, შემდეგ დონას მივხედე ჩემსას,
გაოცებისგან ვიდექ ასე გაოგნებული.

34 ისეთნაირად კიანთობდა მისი ღიმილი
თითქოს იმ წუთში მიმეღწიოს ჩემი სამოთხის
და ნეტარების უზესთაეს ხარისხისათვის.

37 ბოლოს იმ სულმა სახილველად ეგზომ საამომ
ისეთი მრუმე მეტყველება დაიწყო უცებ,
რომ ნათქვამს მისას ვეღარ მისწვდა გონება ჩემი.

40 ბნელმეტყველება როდი იყო ნებისმიერი
არამედ სიტყვა იყო მისი მიუწვდენელი,
გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებს.

43 მაგრამ როს ლარი მოჭარბებულ მგრძნობიერების
ოდნავ მოეშვა და სიტყვანი მისნი უწევდნენ
უკვე ჩვენებურ შემეცნების დათქმულ სამანებს,

46 „ვხედავ საცნაური მის ნათქვამში უპირველესად:
„დიდება შენდა ერთარსებავ სამების სახით,
„ჩემთა ნამიერთ რომ აღავსებ ციური მადლით.

49 „ნათლის წიაღში საიდანაც გესაუბრები
„ეს შენ დამიცხრე ხანდაზმული წყურვილი. შვილო,
„ჩემში აღძრული იმ დიადი წიგნის კითხვისას,

52 „რომლის ფურცლებზე არ ხუნდება ფერი მელნისა.
„უნდა მივაგო უცილობლად პალი მაღალ სულს
„აქ მოსაფრენად ვინაც ფრთენი შენ მოგანიჭა.

55 „შენა გგონია რომ აზრები შენი მე მომწვდა
„როგორც ღვთიური აზროვნების გამოძახილი,
„როგორც ერთიდან გამოსული ხუთი და ექვსი.

58 „მიტომც არ მკითხე ვინაობა, სადაურობა,
„მიტომც გეჩვენე სხვაზე მეტად გახარებული
„ამ ნათლითმოსილ სულთა შორის როცა მიხილე.

61 „შენ მართალი ხარ, ამ საფლოს მცირე და ღიდი
„საცნაურ ხდება იმ სარკეში, სადაც ზრახვანი
„გააზრებამდის თვალსაჩინო ხდება ანაზდად.

64 „მაგრამ იმისთვის, რათა ტრფობა, იგი, რომელსაც
„ფხიზელ გონებით ვეძვრეტ მარადის, სულიერტარი,
„ვახდეს სრულ ქმნილი, მსურს ვისმინო ისევე შენგან

„გულის პასუხი; აწ, შენი ხმა იყოს თამამი,
„გამხნევებულმა მამცნოს წრფელი წადილი შენი
„და საპასუხოდ მისაგები მე მზად მექნება“.

ამის გამგონემ ბეატრიჩეს მიაპყარ მზერა,
მანაც მანიშნა მომღიმარემ პირგაბადრულმა;
წადილსა ჩემსა ამნაირად შეასხა ფრთენი.

„სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“, მე ვუპასუხე,
„თანაბარია აწ თქვენ სულში შემდგომ იმისა,
„რაც თქვენ იგემეთ თანაბრობა პირველადქმნილი

„იმ მზის პირისპირ, რომლის სხივი თქვენ აქ გინათებთ,
„ისე თანაბრად გაქვთ სულ ყველას აქ ნაბოძები
„სხვა სითანაბრე ბათილდება ამ შემთხვევაში.

„მაგრამ შეძლებას, ნებისყოფას კაცთაგანისას,
„თქვენთვის ცნობილი მიზეზების გამოისობით,
„ფრთენი ასხია უთანაბრო ძალმოსილების.

„რადგან კაცი ვარ მე მოკვდავი, მესმის კიდევაც
„უთანაბრობა ამნაირი, გიძღვნი მადლობას
„უგულითადესს მამობრივი მიღებისათვის.

„გვედრი, ცოცხალო ო ბრწყინვალე ტოპაზიონო,
„ამ სამკაულის უწინდესის მამშვენებელო.
„მარჭვი ვინა ხარ და მომგვარე სულის მშვიდობა“.

„ჰოდ შენ, ჩემო ნაშიერო, დიდი ხანია
„რაც აქ მოგელი“ მიპასუხა სულმა ნეტარმა,
„ვარ ფესვი შენი“ და განაგრძო შემდგომ ამისა.

„იგი ვარ ვინაც გვარი შენი წარმოშვა ქვეყნად,
„ხოლო ის ვინაც, უკვე ასზე მეტი წელია,
„რაც სალხინებლის მთას გარს უვლის დაუცხრომელად

„შვილია ჩემი, ხოლო შენი მამისა პაპა,
„გვედრი, მაგ პედშავს შეუმოკლო კეთილი ლოცვით,
„მანდ დაყოვნების და ტყვეობის ხანგრძლივი ყავლი.

„სამშობლო შენი ფლორენცია გარს მოვლებული
„უძველეს ზღუდით, სადაც კიდევ გაისმის რეკვა
„ტერცის და ნონის, იყო სუფთა ქალაქი ერთხელ.

„არც მანიაკებს ატარებდნენ, არცა გვირგვინებს,
„არც ოქროს ქაშრებს გაპრანჭული მანდილოსნები,
„არც სამკაულებს პატრონებზე უფრო ძვირფასებს.

„ოჯახის მამებს არა გვრიდა ჯერ კიდევ ძრწოლას
„ქალების ყოლა, რა კი ჰქონდათ გამორკვეული
„მზითევის ზომა, გათხოვების უცვლელი ყავლი.

„ვერ იპოვნიდი იავარქმნილ სახლებსაც სადმე,
„სარდანაპალი ჯერ არ იყო მანდ ჩამოსული,
„რათა ენახათ როგორ რთავენ მდიდრნი სახლებს.

„ჯერ მონტემალოს დიადობით ვერ დაუჩრდილავს
„ეგ უჩელატო, ისე სწრაფად აღზევებული,
„როგორც დაღუპვა მან მოასწრო უკვე ერთგზისი.

„უბრალო ღვედის, ძვლის ბალთიან ქამარს ირტყამდა
„ბელიჩონე, ხოლო მისი მეუღლე სარკეს
„გაეცლებოდა ღაწვთა თვისთა შეუფერავად,

„არც ნერლისა და არც ვეკკიოს ერცხვინებოდათ
„ტყავის სამოსი, ხოლო მათი მეუღლეები
„სელსა ბეჭავდნენ და ხელსაქმით იყვნენ გართულნი.

„სვებედნიერი დიაცები და მათი ქმრები
„მამაპაპეულ საძვალეში იმარხებოდნენ,
„არვის სჭიროდა გადახვეწა სხვის ქვეყანაში.

„ერთი აკვანთან ძილფხიზლობდა და იმ ენაზე,
„რომელიც მისთა წინაპართაც ეამებოდა
„ჩვილს იავნანას უმღეროდა გულმოცემული.

„მეორე გორგალს ძაფს აცლიდა და მოუთხრობდა
„ყმაწვილებს ტკბილად რომის, ტროას თავგადასავალს
„და ფიეზოლეს ისტორიებს, საგმირო ამბებს.

„იმ დროს უთუოდ ყველას ისე გააოცებდა
„ფლორენციელნი სალტარელლო და ჩაანელლა,
„როგორც ჩვენს დროში კორნელია და ცინცინატი,

„ასეთ საამურ საუკუნეს, სიქველით სავსე,
„უსაჩინოეს მოქალაქეთ ძვირფას მამულში,
„დედა ღვთისმშობელს შეევედრა და მარიამმა

„დამბადა ქვეყნად, სანათლოის ძველ სალოცავში,
„წამცხეს მირონი და იმ დღიდან გავხდი კიდევაც,
„მე ქრისტეანი, მონა ღვთისა კაჩიაგვიდა.

„მყავდა ორი ძმა: მორონტოი და ელიზეო.
„ცოლი ვითხოვე გამოსული პადოს მხარიდან,
„მისგან მივიღე მე მეორე გვარი კიდევაც.

„ბოლოს მივემხრე, ვემსახურე კესარს კურრადოს,
„ისე გავითქვი ბრძოლის ველზე მერმე სახელი,
„კიდეც მებოძა, რაინდისა ქველი წოდება.

„მე მასთან ერთად გავილაშქრე მათ დასამხობად,
„ვინც მწყემსის თქვენის შეცდომების მეოხებითა
„მიისაკუთრა ქრისტეანთა ძველი ქვეყანა.

„ამ უღმერთოთა და უშჯულო აგარიანთა,
„მომხსნეს მხრებიდან წარმავალი ცხოვრების ტვირთი,
„რომლის სიყვარულს ბევრზე ბევრი წარუწყმედია,

„მეოტ ვექმენი მარტვილობას, აქ განვისვენე“.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔ

ო, სისხლის ჩვენის უმნიშვნელო აზნაურობავ,
თუ შენ კაცთათვის სიამაყის იძლევი საბაბს,
სააქაოში, სად ვნებანი ადრე ჭკნებიან.

ამიერიდან აღარ მიკვირს, ცათ საუფლოში,
სადაც სულს ფუჭი ოცნებანი ვეღარ წვდებიან,
რომ ვამაყობდი, ჩემის მოდგმით თავი მომჭონდა.

შენ მანტია ხარ, დამოკლდები და გახუნდები,
დროგამოშვებით თუ კალთები არ განგიახლეს,
დროს მაკრატელი შეგიკვეცავს უთუოდ ჭობას.

ამ სიტყვით: „თქვენა,“ რომში ახლად შემოღებულით,
(თუმც რომაელებს ამჟამადაც არ უყვართ იგი,)
მივუახლოვდი და დავიწყე კვლავ საუბარი.

მახლობლად მდგომმა ბეატრიჩემ მე გამიღიმა,
მომექცა ისე ვით დედოფალს ის შიმუნვარი,
ვინც ჩაახველა როს ჟენევრამ აკოცა მიჯნურს.

16 ასე ვუთხარი: „თქვენ მამა ხართ ჩემი ძვირფასი,
„თქვენ გამამხნევეთ და აღმაგზნეთ საუბრისათვის,
„და უფრო მეტად ამამაღლეთ ვიდრე ვიყავი.

19 „თქვენგან აღძრული სიხარულის გრძნობათ სისავსე
„გულზე მომაწვა ჩქერალებად გადმოღვარული
„და ძლივს შევძელი დაოკება ჭარბი გრძნობისა.

22 „ახლა ეს მარქვი. წინაპარო. ვინ იყვნენ თქვენი
„პაპის პაპანი, ან წარსულის ჟამთააღმწერელთ
„შობისა თქვენის თარიღები სად უწერიათ?

25 „ისიც მაუწყე თუ ფარეხში სან ჯიოვანის
„რამდენი იყო მაშინ ხალხი, ან ვინ გამხდარა
„მასში ქველობით, ვაჟკაცობით სახელგანთქმული?“

28 როგორც ქარების უეცარი შემოქროლვისგან
ღვივდება ხოლმე ნაღვერდალი, ასევე სული
ნათლითმოსილი გააბრწყინა ნათქვამმა ჩემმა.

31 როგორც ბრწყინვალე საჩილეელად გარდიქცა იგი,
ასევე ამო იყო მისი სიტყვის მოქცევა
(და ეს არ ჰგავდა თანადროულ ჩვენს მეტყველებას):

34 „იმ დღიდან, როცა ანგელოსის გაისმა „Ave“
„ჩემ შობის დღემდის, როს წარმომშვა ჩემმა მშობელმა,
„რომელიც უკვე მიერიცხა წმინდანთა კრებულს,

37 „მარიხი ჩვენი, მოტრიალდა ხუთას ოთხმოცჯერ,
ლომს შეეყარა ზოდიაქო ნიშანი თვისი
„რათა მის ფერხთით ელვარება კვლავ მოეხვეჭა.

40 „წინაპრებითურთ მე ვცხოვრობდი სწორედ იმ სასტუმრო,
„სადაც ძველთაგან წელიწდეულ დღესასწაულებს
„მოსდევდა ხოლმე ნასუქალთა ცხენთა ჯირითი.

43 „ახლა ვიკმაროთ წინაპართა გამო უბნობა,
„ვინაობის და საქაობის მათის ამბავი,
„უხერხულია წინაპრებით ცაში ქადილი.

46 „რიცხვი იმათი, ვინც ონებში გამოდგებოდა
„მარიხის ძეგლს და ჯიოვანის სალოცავს შორის,
„უდრიდა მცხოვრებთ იმ ჟამინდელთ ერთსა მეხუთედს.

„სამაგიეროდ მოქალაქეთ ნამდვილთა სისხლი
(ჩერტალდო, კამპი და ფიგგინეც რომ მივათვალოთ)
„იყო პირწმინდა, უცხოურთან აურეველი.

„ვგონებ გიჯობდათ მეზობლების მეზობლად ყოლა,
„არც თუ მირჩევდით, გადამთიელთ შემოერთებას
„(გალუცციასა და ტრესპიანის ვგულისხმობ მკვიდრთა),

„ვიდრე სიგნელი აქოთებულ გლეხის მოთმენა,
„ან აგულონელ მონაყოფილს რად აძლევთ ნებას
„მექრთამეობით გაისქელოს თავათ ჯიბენი?

„პაპის კურია გულარძნილი, ჯიშდაკარგული,
„არ მოპყრობოდა ცეზარს როგორც დედინაცვალი
„და მოქცეოდა ისე როგორც შვილს უვლის დედა,

„მაშინ ზოგ ჩარჩებს ვერ ნახავდით ფლორენციაში,
„ისინი ალპათ სემიფონტის მიაშურებდნენ,
„სად მათ წინაპრებს მათხოვრობაც უკადრებიათ.

„მონტემურლოში დარჩებოდა აქამდის კონტი,
„ჩერკის ოჯახი იქნებოდა სოფელ აკონში,
„და ვალდიგრევში იცხოვრებდნენ ბუენდელმონტნი.

„ტომთა აღრევა ყოველ დროში მოასწავებდა
„ძიზეზს უდიდესს, ქალაქების იავარქმნისას,
„ხოლო ჭამა-სმა აღრეული მოწამლავს სტომაქს.

„ბრმა ხარი მეტად ენარცხება ხშირად მიწაზე,
„ვიდრე ბრმა ცხვარი, ხოლო ხმალი ხანდახან ერთი
„უფრო კარგად სჭრის ვიდრე ხუთი ერთად გორდაი.

„დახე ლუნის ბედს, ან სადღაა ურბისალია?
„იავარქმნილან და იგივე მოელის ხვედრი
„კაუზისა და სინგალიას ტიალ ნანგრევებს.

„ნურავის უკვირს გვაროვნებათ გადაშენება,
„ნუ გაგაოცებს ეს ამბავი უკვე ცნობილი,
„თუ ქალაქები და ხალხები გადაგეპულან.

„საქმენი თქვენი იმგვარადვე მოისრებიან.
„როგორც თქვენ თავათ, მაგრამ დროის ზანტი დინება
„ჩქმალავს ამ ამბავს და ცხოვრებაც ასე მოკლეა.

„ვით მთვარის ეტლის ზეგავლენა ხან გააშიშვლებს,
„ხანაც დაფარავს ზღვის ნაპირებს ანაზდეულად,
„ასევე ბედი ათამაშებს თქვენს ფლორენციას,

„ნუ გაოცდები, თუ მე ოდნავ შევეხო აქვე
„იმ ფლორენციელთ ვის სახელსაც საუკუნეთა
„გადააყარეს დავიწყების დავსილი ავლი.

„მინახავს უგი, კატელინი, მინახავს გრეჩი,
„ალბერიკისა, ორმანის და ფილიპის ძენი —
„იმჟამად დიდი სიმძიმილი შეემთხვათ მათ და

„მათ სახლისკაცებს. მაგონდება ახლაც სანელლას
„დიდება დიდი, ასეთივე შენი დელ-არკა,
„თქვენიცა, ბოსტნიკ, და თქვენიცა, სოლდანიერო.

„იმ კარიბჭესთან, სადაც ახლა ავი ზრახვებით
„ყველანი ისე დაიტვირთნენ გაოგნებულნი,
„რომ ვერ ამჩნევენ მოსალოდნელ ხიფათს უცილოს,

„რავინიანთა ბინადრობდა გვარი, რომელთაც
„გრაფები გვიდი წარმომდგარან. ძველი სისხლისა,
„ბელიჩიონედ წოდებულნი მოგვიანებით.

„კარგად ესმოდათ მართებლობის წესი, კანონი
„გრაფ დელლა პრესას, ხოლო ცნობილ გალიგაიოსს
„არ აკლდა ხმლები, დიდკაცურად მოოქროვილი.

„დიადი იყო დელ ვაიოს თეთრი კოლონა,
„ასევე დიდნი საკკეტის და ბარუჩჩის გვარნი,
„გალლი და იგიც ვინც იკადრა ყალბისმქნელობა.

„დიადი იყო წინაპარი კალფუჩის გვარის,
„სახელმწიფოში საპატიო საკარცხლულებზე,
„ისხდნენ ნიადაგ ნაშიერნი არრიგუჩჩისა.

„რა დიდ პატივში ჰყავდით თქვენაც, ვინც სიამაყემ
„აგრე ძირს დასცა და ელავდნენ ბირთვნი ოქროსნი,
„ფლორენციისა საქმეებში ვარდისა ფერად.

„თავი გაითქვეს წინაპართა მათთა ოდესღაც,
„როს სუქდებოდნენ, განაგებდნენ კონსისტორიებს,
„როცა პრელატი ეკლესიებს აღარა ჰყავდა.

„თავხედი გვარი, ვინც ვეშაპად ეცლინებოდა
„გარდახვეწილებს, ხოლო მასთან ვინც აჩვენებდა
„ჭანგებს და ქისას, უცოდველი იყო ბატკანი,

„აღზევებული იყო უბირ მდაბიორთაგან,
„მიტომც გაუწყრა, უბერტინო ბელიჩიონეს,
„რომ არ ეწადა დამოყვრება უჯილაგოსთან.

„კარგად ვაჭრობდა კაპონსაკი შუაბაზარში,
„ფიეზოლელი. იძლეოდნენ ზნეობის ნიმუშს,
„მოქალაქენი სერ ჯიუდა და ინფანგანტე.

„ახლა უცნაურს გეტყვი ამბავს თუ მერწმუნები,
„ციხის გალავნის ერთ კარიბჭეს ერქვა სახელად
„დელლა პერასი, გვარი მათი იყო პერუჩჩი.

„ყველას მათთაგანს, ვინც მიიღო დასამშვენებლად
„ბარონის გერბი, ადიდებენ ვით „გრანბარონეს"
„თომა წმინდისა ეკლესიის მწირველნი მღვდელნი,

რაინდთ წოდებას არიგებდნენ ეს აზნაურნი,
„ხოლო მათგანნი, ვინც ისევე ხალხს დაუბრუნდა
„ეტრფოდნენ მუდამ ოქროცურვილ გერბებს გვაროვნულს.

„უკვე ამოწყდნენ იმპორტუნ და გვალტიეროტტი,
„და თქვენი ბორგო დაშთებოდა აღუშფოთველი,
„ახალ მეზობლებს მყუდროება არ დაერღვიათ.

„პატივდებულად ითვლებოდა იგი სახლიცა,
„რომელმაც ყველას გადაგკიდათ მრავალი ჭირი,
„ვის შურისგებამ ჩამოაგდო სისხლის წვიმები,

„და თქვენს ცხოვრებას აუმღვრეველს უცვალა ნირი.
„ბუონდელმონტე, რად უმტყუნე საცოლეს პირი,
„ცრუმოთათბირეთ აყოლილმა აგრე უსაზმნოდ!

„მრავალი შვება დამწუხრებულთ მიეგებოდა
„განგების ძალით, რომ ემსხვერპლე ზვირთებს ემასას,
„იმ დღეს, როდესაც საქორწინოდ გზას დაადექი.

„სჩანს ასე სურდა ქვას დამსხვრეულს ზედ ხიდისთავთან,
„მსხვერპლად მიტანა ფლორენციის აგრე ბედითად,
„ეგზომ უდრტვინველ, მყუდრო დღეთა განსაკითხავად.

„ამ ჳვირთა შორის და მრავალგვარ ვითარებაში
„მომსწრე ვარ ბევრის, უწყინარი, მშვიდი დროების,
„როს ფლორენციელთ ცრემლთა დენის აკლდათ საბაბი.

„ასე მინახავს მე მანდ ხალხი ალალმართალი,
„პატიოსანი, არც დაჰქონდათ თეთრი შროშანი,
„შუბის წვერებზე თავდაყირა დაკიდებული

„ჯერაც არ იდგა ჩვენს ქალაქში სისხლის წვიმები.“

## ᲔᲒᲔᲑᲐ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ

როგორც კლიმენეს მიმართავდა იგი, ვინც ერთხელ
მშობლებს ასწავლა ძლიერ ფრთხილად მოქცეულიყვნენ,
თვისთა ნაშიერთ სათხოვარის ასრულებისას.

მეც ასე ვქენი, ამას მიხვდნენ მადონა ჩემი,
და ის ნათელი ვინც იცვალა წეღან ადგილი,
ჯვრიდან დაეშვა უეცარად და შემესიტყვა.

მითხრა მადონამ: „გამოსახე გულის წადილი,
„მაგრამ იმგვარად, რომ ნათქვამი აღბეჭდილ იქნეს
„სულისა შენის უაღრესად სპეტაკ ტვიფარით, —

„არა იმისთვის, რომ განსწავლა მივიღოთ შენგან,
„არამედ ისე, რომ წყურვილი სულისა შენის,
„მათ გაუმჟღავნო ვისგანაც შენ მოელი სასმელს.

„ჰოდა მაღალო და მორჩმულო პაპისა პაპაც,
„როგორც ის ვიცით სამკუთხედი რომ ვერ დაიტევს
„ორ კუთხეს ერთად, თუ ორივე იქნება ბლაგვი,

„აგრეთვე განსჭვრეტ შენ მოვლენებს, ვიდრე ისინი
„აღსრულდებიან, საცნაურს ჰყოფ ყოფნას მარადულს,
„რომლის წინაშე ყველა დრონი ითვლება აწმყოდ.“

როდესაც მე და წინამძღოლი ჩემი ვირგილი
მთას მივადექით, სადაც ხდება ლხინება სულთა
და როს ჩავედი მე დილეგში მზე გადასულთა,

მამცნეს ანაზდად მომავლისა ჩემისა გამო
მძიმე ამბავი, თუმც თავსა ვგრძნობ, როგორც ბექთარი,
ბედისწერისგან მოღერებულ შუბების მიმართ,

მაინც ეს გული უფრო მეტად დამშვიდდებოდა,
თუ შევიცნობდი რას მიქადის წერა, რადგანაც
ისარნი მისნი ეგზომ ზანტად ახლოვდებიან.

28 მე ეს ვაუწყე იმ ნათელ სულს. უმზაკვრო ენით,
ისევე როგორც ბეატრიჩეს თავათ ეწვდა
და ამნაირად განვუცხადე გულის პასუხი.

31 არ თუ იგავურ, საჭოჭმანო ბნელმეტყველებით,
როგორც ძველ ხალხებს აბრმავებდა ხმა ორაკულის,
ვიდრე იესო მოდგმის ცოდვას გამოისყიდდა,

34 არამედ სუფთა ლათინურით, ნათელი სიტყვით,
მომიგო მყისვე წინაპართა მოსიყვარულემ,
ნათლით მოსილმან, მომანათა ღიმილის შუქი:

37 „შემთხვევითობა, სათავენი უძევს რომელსაც
„მოკვდავთა მოდგმის შემეცნების სამანთ გადაღმა,
„განცხადებული არის უკვე უფლის მზერაში.

40 „შენ არ გეგონოს შემომქმედი ატანდეს ძალას
„დინებას მისას, ისე როგორც მიმავალ გემის
„სრული ხატება ჩვენს თვალებში გამოკრთის ხოლმე.

43 „ვითა ორგანოს მომხიბლველი ტკბილი მუსიკა
„სწვდება ჩვენს სმენას, ასე ვხედავ უკვე ოვალნათლივ
„შენთვის მერმისში განმზადილთა სიმძიმილთ მეცა.

46 „ვით ჰიპოლიტე ათინიდან გამოაძევეს
„გაბოროტებულ დედინაცვლის ჯორების გამო,
„შენც აგრე, შვილო, ფლორენცია უნდა დასტოვო.

49 „მათ ეს სწადიათ, მოითხოვენ ამას ისინი,
„აღისრულებენ უეჭველად გულის საწადელს,
„იქ, სადაც ქრისტეს ღვენიადაგ თავათ ჰყიდიან.

52 „ბრბო ახლაც ისე. როგორც ხდება ჩვეულებრივად,
„დამარცხებულებს დააკისრებს დანაშაულსაც,
„მაგრამ უფალი შურისგებას არ დააყოვნებს.

55 „დასთმობ ყველაფერს იძულებით. რაც კი ოდესმე
„შენ გყვარებია და მოგხვდება გულზე ისარი
„ამ გზით პირველი გაძევების მშვილდით ნატყორცნი.

58 „მაშინ იგემებ ჩამონათხოვ პურის სიმწარეს,
„მაშინ გაიგებ. თუ რა ძნელი ყოფილა თურმე
„სხვის კიბეებზე ხეტიალი განუკითხავად.

61 „უბედობანი არ გაგტეხენ იმდენად წელში,
„როგორც იმ გახრწნილ რეგვენებთან ურთიერთობა,
„ვისთანაც ერთად მოგეღება კიდევაც ბოლო.

64 „ცოფი, ბოროტი, გულარძნილი და გარეწარი
„თავს დაგესხმიან, მაგრამ მცირე გაივლის ხანი
„მათვე იმსხვერპლებს ორმო იგი შენთვის გათხრილი.

67 „მათ სირეგვენეს ნათელჰყოფენ საქმენი მათნი,
„მომეტებული წილად გხვდება პატივისცემა,
„თუ გაიჩინე საკუთარი თავის პარტია.

70 „შენ მოგანიჭებს მფარველობას უცხოობაში,
„სახელგანთქმული ლომბარდელი დიდი ვაჭკაცი,
„რომლის მაღალ გერბს ამშვენებდა შავი არწივი.

73 „მის სასახლეში ვერ მოგწვდება გესლი დევნისა,
„შენ ვერ მოასწრებ სათხოვარის ენით გამოთქმას
„და საწადელი უთქმელადაც აღგისრულდება.

76 „შენ იქ იხილავ მას, ვის გულშიც დაბადებიდან
„მარიხის ძალამ დაივანა და ვინც შეიძლებს
„დიდთა საქმეთა წამოწყებას და აღსრულებას.

79 „ჯერ კაცთა შორის არ გამხდარა იგი საჩინო,
„რადგან ამ სფეროთ ცთომილებმა ყმაწვილის თავზე
მხოლოდღა ცხრაგზის ძლივს მოასწრეს შემობრუნება.

82 „მაგრამ ვიდრემდის გასკონელი უღალატებდა
„დიდსა ჰაინრიხს, მან ქვეყანას აჩვენა უკვე
„სიქველე თვისი, სიძულვილი ოქროის მიმართ.

85 „დიდება მისი ცათამწვდენი გახდება ეგზომ.
„რომ თვით მისივე მეშურნენი დადუმებულნი
„მისდა საქებრად აიდგამენ უთუოდ ენას.

88 „მისგან და მისთა საქმეთაგან ელოდე ნაყოფს,
„კაცთა ცხოვრებას იმნაირად გადაჰქმნის იგი,
„მდიდარი ძრწოდეს და ღატაკი განიხარებდეს.

91 „არ დაგავიწყდეს ეს სიტყვები, ჩვენგან წასულმან
„არაფერი სთქვა,“ თანაც მითხრა ისეთი რამე,
რისი მოსმენაც თანადამსწრეს განაცვიფრებდა.

94 შემდგომ დასძინა: „განგიმარტე.“ შვილო, ყოველი
„რაც მოისმინე, ეგეც წელთა აწ მომავალთა
„შენთვის დადგმული მახეები და განსაცდელი.

97 „ნურც გეხარბება აწ მოყვასთა ბნელნი საქმენი,
„საკმაოდ დიდ ხანს მოგიხდება თავათ ცხოვრება,
„რათა იხილო გულარძნილთა განსჯა მართალი.“

100 როს დადუმებით მე მაუწყა სულმა ნათელმა
აწ მოთავება საფუძველის **იმ საქ**სოვისა,
რომელსაც წელან მე ვავავლე **პირ**ველად ცხემლი,

103 მევე დავიწყე, როგორც კაცი დაეჭვებული
კვლავ მიიქცევა სათათბიროდ მოყვასისადმი,
რომლისაგანაც თანადგომას მოელის წრფელსა:

106 „მამაო, ვუთხარ, კარგად ვხედავ ვით ისწრაფიან
„ბედის ლახვარნი გულის ჩემის გასავმირავად,
„არც ძალი შემწევს მე უმწეოს თავდა**ს**აცველი.

109 „სიფრთხილე მმართებს, რათა მართლაც ეგრე უსაზნოდ
„სამშობლო ჩემი არ დავკარგო სამარადჟამოდ
„ლექსების გამო, სიბერეში თავმისადრეკი.

112 „მანდ განუსაზღვრელ ჯურღმულებში, ცრემლის დილეგში,
„შემდგომ ამისა, მწუერვალიდან განწმენდის მთისა
„მადონას მზერამ აღმავლინა უკვე ზეცაში.

115 „ბოლოს ზენარულ საუფლოში დაყოვნებულმან
„ისეთი რამე შევიცანი, რისი გამხელაც
„ბევრს უფრო მეტად ეძნარება ვიდრე ლენცოფა.

118 „და თუ სიმართლის საუწყებლად არ მეყო ძალი,
„ვშიშობ მათ თვალში, ვინც დროს ჩვენსას უწოდებს ძველსა,
„მე არ შემერჭვას მხდალი კა**ც**ის ფუჭი სახელი.“

121 უცებ ნათელმა, რომელშიაც იმყოფებოდა
ჩემს მიერ მანდვე თვალმოკრული იგი ჯავარი,
მორთო კაშკაში მეწამული, თვალის მომჭრელი,

124 და მითხრა აგრე: „ვისაც ქენჯნა აწუხებს სულის,
„ვინც კი ოდესმე ჩაძირულა სირცხვილის ლაფში,
„მას უეჭველად ეძნარება შენი ნათხრობი.

„გირჩევ განაგდო აწ სიცრუე თვალით ნახული,
„ამცნო ქვეყანას, დეე, კაცთა იფხანონ იქვე,
„სად ყოველ მათგანს გამოაჩნდეს მუნის ქერეჭი.

„ვინძლო ეგ სიტყვა მოეჩვენოთ პირველად მკაცრი,
„ნუ დაღონდები, ვინც მშვიდობით მას მოინელებს
„მერმე იგივე სანუკვლად მოეჩვენება.

„დეე, შენი ხმა ამოვარდეს ვით ქარბორბალა,
„ეცეს მწვერვალებს ცად აწვდენილთ ეგზომ ამაყად
„და განამკვიდროს ქვეყნად შენი სახსენებელი.

„მიტომც გაჩვენეს სფეროების ამ საბრძანისში,
„განწმენდის მთაზე და მწუხარე ცრემლთა დილეგში
„სახელგანთქმულნი, საჩინონი სულთა მათ შორის,

„რადგანაც კაცთა არ სჩვევიათ ისწავლონ რამე.
„მათგან ვინც უცნობ ფესვებისგან წარმოშობილან,
„არც თუ უჩინო გამომდგარა სადმე ნიმუშად,

„ბრწყინვალებაა საწინდარი შეჯერებისა.“

## ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲔ

მისგანვე თქმული ახარებდა სულსა მას ნეტარს,
ხოლო მე დავრჩი საკუთარი ფიქრით მოცული,
ვიშოშმანებდი სიდუხჭირეს შვებით ციურით,

ოდეს ასულმა, ვინც წარმიძღვა უფლის წინაშე
მითხრა: „აწ გიჯობს შეიცვალო ზრახვანი შენნი,
„რადგან კახლავარ მართებულად მსჯავრის დამდებელს.“

ხმამ გულითადმა მიმახედა ბეატრიჩესკენ
და თუ რამდენი სიყვარული მე მის თვალებში
მაშინ შევნიშნე, აღსაწერად არ მყოფნის ძალი.

არა თუ სიტყვის უძლურების მეოხებითა,
არამედ ჩემსა ფანტაზიას მაღალ საგნების
კვლავ მოსათხრობად არ ეყოფა აქ შთაგონება.

ერთს ვიტყვი მხოლოდ, იმ წუთებში, როცა მას ვჰვრეტდი
გული გამეხსნა და ვიგრძენი შვება ისეთი,
რომ კირთებაძა მიწიერთა მომეხსნა ტკირთი.

16 ციური იგი აღტაცება გადმოვლენილი,
დონას სახეზე უკუკრთომიო შემომნათოდა
და მან აღავსო სული ჩემი სავსებით თვისით.

19 მყის მომიბრუნდა ბეატრიჩე ღვთივმშვენიერი
და მამცნო მაშინ მომნუსხველი თვისი ღიმილით:
„შენ არ გეგონოს ჩემს თვალებში იყოს სამოთხე.“

22 როგორც მიწიერს დაეტყობა სახეზე ცნება,
როცა სულს უწევს აღტყინება ვნებისმიერი
და აენთება კაცი გრძნობამოჭარბებული,

25 ასე ნათლისგან იმ ნეტარი წმინდა სულისა,
რომლის წინაშე მე ვიდექი, მენიშნა კიდეც,
რომ მას ეწადა საუბარის ჩემთან დაწყება.

28 მითხრა: „მეხუთე ამ ვარსკვლავის განაშტოებში,
„ხეზე, რომელიც მწვერვალიდან ლებულობს საზრდოს,
„რათა მარადჟამს იყვავილონ მსხმოიარეთა,

31 „დავანებულან აწ ნეტართა სულთა დასები,
„რომელთაც ქვეყნად, ისე დიდი ჰქონდათ სახელი
„რომ ეყოფოდათ თავათ მუზებს სადიდებელად.

34 „ჯვარს დააკვირდი და იხილავ ვით გაიელვებს,
„სხივი იმ სულთა, ვისაც მე აქ დავასახელებ
„როგორც ღრუბლებში დაკვესილი ელვათაკრთომა.“

37 და მე შევნიშნე გამოკრთომა სხივის ჯვარიდან
იესო ნავე რა ახსენეს და უსწრაფესად,
ვიდრე სახელი მოაღწევდა ყურთასმენამდი.

40 როცა ახსენეს მაკაბელი სახელგანთქმული,
იფეთქა ალმა და თან გაჰყვა იესო ნავეს,
როგორც გორგალი მოელვარე და მორიალე.

43 როს კარლოს დიდის და როლანდის შესმა ხსენება,
მე მივაშტერდი ცეცხლის ბირთვებს ვით მონადირე
თავის მიმინოს, ირაოს დროს ცაში ავარდნილს.

46 შემდეგ გოტფრიდმა, გრაფ ვილჰელმმა და რინოარდომ
შემომანათეს, ბოლოს ვნახე ჯვარზე იელვა
ნორმანდიელმა დიდმა გმირმა, რობერტ გვისკარმა.

ახლა ნათელი გამეყარა ბრძნულად მეტყველი,
მყის გაერია სულთა კრებულს და დამიმტკიცა
რარიგად ტკბილი მგალობელი ყოფილა იგი.

მხარმარჯვნისაკენ მივუბრუნდი კვლავ ბეატრიჩეს,
მსურდა გამეგო რას მეტყოდა აწ დონა ჩემი,
რარიგ მოქცევას მანიშნებდა უტყვი წამყოფით.

აჰა, ვიხილე, თვალნი მისნი ეგზომ ბრწყინვალე,
და ათინათიც ამ მზერისა იყო დიადი,
სხვა, მის დანარჩენ შეხედვაზე აღმატებული.

და როგორც კაცი სიქველისა მუდამ მომქმედი
ხედავს ყოველდღე ემატება კმაყოფილება,
რაც უფრო მეტად წინ ისწრაფვის ამ ასპარეზზე,

აგრეთვე მეცა ზესწრაფვისას ცათა თავანში,
სადაც განვლილი მქონდა უკვე მრავალი რკალი,
საცნაურ ვყავი სასწაულის გაორკეცება.

როგორც ქალწულის ნაზ ღაწვებზე დარცხვენისაგან,
ფერი მომკრთალო შეიცვლება ბროწეულისფრად,
ასე უეცრად, მე შევნიშნე, ვიცვალე სფერო,

გარს შემომერტყა მყის სითეთრე სადაფისფერი,
უკვე მეექვსე ცთომილისა, რომელსაც ახლა,
მე ტოსკანელი, თვის წიაღში უნდა მიველე.

იუპიტერის ამ ცთომილში სხივმოსილებამ,
სულთა, რომელნიც მასში იყვნენ დავანებული,
მე დამანახვა ენის ჩვენის ასონიშნები.

როგორც ჩიტები ქარაფებზე მოციგლიგენი,
დაფარფატებენ ჭიაღუას აღტყინებულნი,
ხან წრედ შეკრულნი, ხანაც მწკრივად მორიალენი,

აგრე ეს სულნი, მოელვარე ნათლითმოსილნი,
როკავდნენ ანცად, დაფრინავდნენ, გალობდნენ თანაც.
ხაზავდნენ ცაში ხან D-სა და J-ს, ხანაც L-სა.

მწყობრი ფარფატით მგალობელნი სახავდნენ ფორმას,
ასთაგანის რომელიმეს გამომხატველსა,
ხან შესდგებოდნენ წამიერად, დადუმდებოდნენ;

ო, პეგასეა ღვთაებრივო, ეს შენ ანიჭებ
მორჩმულებას და უკვდავებას ადამის მოდგმას,
კაცთა საბრძანისს, სამეფოებს და მათ ქალაქებს,

მეც მიზიარე ბრწყინვალების შენის იოტი,
რომ ეს ასონი ვნახო ისე, როგორც მინახავს
და ძალი შენი განაცხადე ამ ჩემს ლექსებში.

სულთა მათ ხუთჯერ გამოხატეს შვიდნი ხმოვანნი
და თანხმოვანნი, წავიკითხე ეს სენტენცია
სწორედ ისევე, როგორც თვალთა ჩემთა ეჩვენა.

„Diligite justiciam“ იყო პირველი
„ზმნა და სახელი არსებითი, რაც წავიკითხე
„შემდგომ ამისა: „Qui judicas terram“.

ბოლოს მეხუთე სიტყვის „M“-ში დამწკრივდნენ სულნი,
ისე დალაგდნენ, რომ მეჩვენა მაშინ ანაზდად,
იუპიტერი ვერცხლნაჭედი, ოქროცურვილი.

ყოველი მხრიდან სულნი ირგვლივ ნათლით მოსილნი,
მოაწყდნენ მწვერვალს ასო M-ის და შესდგნენ აქვე,
ადიდეს იგი ვისკენ თავათ მიისწრაფვოდნენ.

ვით ცეცხლის კოცონს ნუგუზლებით ჩხრეკისას ასდის,
ბევრი ათასი ნაპერწკალი, რომელიც ხშირად
სამარჩიელოდ საბაბს აძლევს მუცლით მეზღაპრეთ,

აგრეთვე აქაც მილიონი ადგა ნათელი.
ხან ძირს მოჰქროდნენ, ხან ილტვოდნენ ცისკენ ციალით,
ისევე როგორც მზეს ეწადა, მათ გამშუქებელს.

როგორც კი სულნი მიუბრუნდნენ თავიანთ ადგილს,
მყისვე შევნიშნე, თუ ვით შესდგა ნაპერწკლებისგან
არწივის ერთის თავკისერი ცეცხლით ნახაზი.

ვინღა მოხაზა ეს ჩვენება, ვინ გამოსახა?
მხოლოდ მან ერთმან, ვინაც სიბრძნით მარადჟამულით
დარანში თევზებს, ტყის ფრინველებს აჩენს ბუდეში.

მეორე დასი, თავმოყრილი M-ის ზეთავზე
ახლა ტოკავდა თანაბარად, გამოხატავდა
შროშანის თეთრის ამ სიმბოლოს ნათლის ნაშუქით.

115 ნაზო ვარსკვლავო, შენ ქათქათებ ელვის მთიებით,
ნიშნად იმისა რომ ჩვენს გულში მართლმსაჯულება
ცის მიერ ერთხელ ნაბოძები ნიჭია დიდი.

118 მე ვეკედრები სულს, რომელმაც წარმოშვა ქვეყნად
სიქველე შენი, მანვე გვამცნოს როგორ წარმოსდგა
კვამლი ეგზომად გამბიდნავი ციმცის შენის.

121 დეე, იქუხოს მან მრისხანედ ბოროტის თავზე,
რათა ღვთის სახლი აღარ იქნეს ბაზრად ქცეული,
მარტვილობით და სასწაულით აღშენებული.

124 დასო ციურო, რომელსაც გჭვრეტ აქ ჩემს გარშემო,
გვედრი ილოცო მათ მაგვრად, ვინც ხმელის პირზე
ცთომილებისა მრუმე გზებზე არის შემდგარი.

127 ოდესღაც ხმალი ომებისთვის იხმარებოდა,
ახლა ხმლით სჭრიან ერთი მხრიდან, ხან მეორიდან
პურს, რაც ყველასთვის ცათა უფალს უბოძებია.

130 მაგრამ შენ ჰეჲ, სამღვთო სჯულის შემგინებელო,
იცოდე, ღვთიურ ვენახისთვის თავდადებულნი
პეტრეც და პავლეც ორივენი ცოცხლობენ დღემდის.

133 შენ ასე ამბობ: მე მიყვარსო მხოლოდ ის ერთი,
ვინც უდაბნოში მარტოხელა იმყოფებოდა,
ვისაც დიაცმა მოცეკვავემ მოუღო ბოლო.

136 პეტრეს და პავლეს, არც ერთ მათგანს არად ვაგდებო.

## ქება მეცხრამეტე

იდგა ბრწყინვალე, ფრთებგაშლილი წინაშე ჩემსა
სახე დიადი და უჭვრეტდნენ გარსმოჯარულნი
სულთა ნეტართა, შუქმფინარე დასთა დასები.

4 თითოეული მათთაგანი ბრწყინავდა ისე,
როგორც რუბინი, ანთებული მზის ელვარებით
და ჩემს თვალებში ჩაჭრილიყო ეს ათინათი.

7 იგი, რის თხრობას მე ვაპირებ თქვენთვის ამჟამად,
ბგერას აროდეს დასცდენია ამ ქვეყანაზე,
არც თუ კალმით და ფანტაზიით გამოხატულა.

10 კარგად ვხედავდი და მესმოდა ნისკარტი მისი,
როგორ ამბობდა სადაც „ჩვენ და ჩვენი“ ეწოდა
გამოესახა, იქ გალობდა: მე და ჩემიო.

13 ასე ამბობდა: „რადგან ვიყავ თქვენს ცხოვრებაში
„მართლგანმკითხველი, აქ შემმოსეს მთიებით ისე,
„როგორც არასდროს შემოსილა სხვა ჩემზე ადრე.

16 „ისეთი ხსოვნა კაცთა შორის დარჩა მიწაზე,
„თვით გარეწარნი, უჯიშონი, უბოროტესნი
„მას პატივს სცემენ, თუმც დადიან თავათ მრუდე გზით“.

19 როგორც უამრავ ნახშირთაგან ადის ერთბაშად
სიცხე, ასევე მირიადი სულთა დასისგან,
გულის პასუხი ამ არწივის პირით ისმოდა.

22 და მე: „ო, მარად უჭკნობელთა ყვავილთა მტილო,
„ნელსურნელებით ერთობლივით მობიბინეო,
„მომაგე სუნთქვა საამური და სანუკველი.

25 „დამიცხრე, გვედრი, ეს შიმშილი, რომელიც დიდხანს
„მტანჯავდა აგრე უმოწყალოდ, რადგან მიწაზე
„ესდენ ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას.

28 „მე კარგად ვიცი რომ ნათელი მართლგანკითხვისა
„სხვა სფეროებში თუ მჟღავნდება მარადჟამულად,
„არც თქვენ სამკვიდროს აღკვეთილი ექნება იგი.

31 უწყით რაგვარი გულისყურით მე ვემზადები
„სასმენად თქვენდა, ან რარიგად დაუცხრომელი
„გულს მიღრნის იჭვი, ძველთაგანვე შემოჩვეული“.

34 ვით შავარდენი (რა მოხსნიან თავით „კაპპოლლოს“)*
ფრთებს გაიმართავს, თავს წამოსწევს ომახიანად,
თვალებს აცეცებს ნადირობას დანატრებული,

37 აგრე მოიქცა ეგ სიმბოლოც მირიად ნათლის,
ნაპერწკლებიდან შედგენილი; იწყო გალობა,
ასე მეგონა მასთან ერთად გალობდა ცაცა:

40 დაიწყო: „მას, ვინც მზღვარი დასდო ერთის შეხედვით
„ქვეყნად უფსკრულთა და აღავსო იდუმალებით
„უფსკრულნი იგი ხილულით და უხილავითა,

---

* პატარა ქუდი, რომელსაც შავარდენს თავზე ახურავენ.

„ხომ არ შეეძლო სამყაროზე ძალი თავისი
„მას აღებეჭდა ისე მძლავრად, სიტყვა მისივე
„უკვე შენაქმნის ქვემდებარე რომ ყოფილიყო.

„ეს დაამტკიცა მან პირველმა ამპარტავანმა,
„რომელიც იყო ყველა არსზე აღზევებული,
„ნათელს დაასწრო და დაემხო დაუმწიფებლად.

„თუ ეს ასეა, შეზღუდულნი არსთ საუფლოში,
„ვერ დაიტევენ ბუნებითვე არსობას მისას.
„ვინც უსაზღვროა და თავათვე არს საწყაული.

„მიტომც ვერ სწვდება მას გონება კაცობრიული,
„რომელიც მხოლოდ ნაშუქია მთიების მისის,
„ვინც თავათ არის საძირკველი არსებულისა.

„არც გააჩნია კაცს საკმაო ძალმოსილება,
„რათა ზრახვანი მან შეიცნოს უფლისმიერნი,
„მას შეუძლია საკუთართა მხოლოდ გამხელა.

„რადგანაც თვალი მოკვდავთათვის მინიჭებული,
„ისე ვერა სჭვრეტს მართლგანკითხვის სიღრმეს უაღრესს,
„როგორც იგივე ოკეანის უფსკრულს ვერ სწვდება.

„აკი ზღვის ფსკერი ნაპირიდან თვალსაჩინოა,
„უფსკრულის სიღრმეს ვერ მისწვდებით ვერასდროს თვალით,
„თუმცა უფსკრულსაც გააჩნია აგრეთვე ფსკერი.

„სადაც ნათელი ცისიერი არ ბოძებულა,
„მანდ სუფევს ბნელი დანაჩრდილი სხეულთაგანის,
„იქ სიმრუმეა და ყოველგან შიშინებს შხამი.

„ახლა საკმაოდ აეხადა აწ საფარველი,
„იდუმალებას შენს წინაშე, რომელიც ეგზომ
„იჭვნეულ კითხვათ აღგიძრავდა შენვე ამაოდ.

„შენ ასე ფიქრობ: შობილაო ოდესღაც კაცი
„ჰინდუს ნაპირად, მაგრამ ქრისტეს მანდ მაღალ მცნებას
„არვინ ახსენებს, არც ჰქადაგებს საყოველთაოდ;

„სულით და ხორცით იყო კაცი იგი უმწიკვლო,
„გონების ჩვენის თვალსაზრისით რომ განვიკითხოთ,
„მას არც საქმით და არც თუ სიტყვით უქნია ცოდვა.

„გარდაიცვალა პოლოს იგი მოუნათვლელად,
„მაშ რისთვის უნდა განიკითხოს იგი მსაჯულმა,
„რა ბრალი უდევს მას ურწმუნოდ რომ მიიცვალა?

„მაგრამ შენ ვინ ხარ, მსაჯულობა რომ გიკისრია,
„ასეულ ეჯის სიშორეზე მართლგანმკითხველი,
„თვალს ვეღარ უწვდენ ხუთიოდე წყართისა სიშორეს.

„ცხადია, იგი. ვინც ისურვებს გაპაექრებას,
„სამღვთო წერილი რომ არ იყოს ციო ნაბოძები,
„გაოცების და იჭვის საგანს გამოსძებნიდა.

„ო, კაცთა მოდგმავ, გაუთლელო, მოუხეშავო,
„ეგეც იცოდე ნებისყოფა უპირველესი,
„თავათ სიკეთე არ ვრცელდება» აროდეს თავათ.

„მართებულია მხოლოდ მასთან შეხამებული
„ვერც მიიზიდავს მას ოდესმე კეთილად ქმნილი,
„მხოლოდ მისივე უკუკრთომა არს მართლის მქმნელი".

ვით ბუდის ირგვლივ მორიალეს წეროს ფრთაგაშლილს
უკვე მაძღარნი შეჰხარიან მართვენი თვისნი,
შესჭყიპინებენ, შესცქერიან შეფრფინვით დედას,

ასე დაგვფრენდა ჩვენც მაღლიდან ხატება წმიდა,
ფრთების შრიალით დაგვცქეროდა ახლა მაღლიდან
სულთა ნეტართა ნებისყოფის გამომხატველი.

ბრუნავდა ირგვლივ მგალობელი, აგრე მეტყველი:
„როგორც ჩემი ხმა შენთვისაა შეუწვდომელი,
„ასე შორსაა მართლგანკითხვა კაცთა მოდგმისთვის".

დადუმდნენ უკვე სულის წმიდის მგზნებარე ალნი,
რომელნიც წელან შერწყმულ იქმნენ იმ სიმბოლოში,
რამაც ოდესღაც რომს გაუთქვა სახელი ქვეყნად,

კვლავ სთქვა არწივმა. „ჯერ არავინ აქ არ მოსულა
„ვისაც მიწაზე არა სწამდა იესო ქრისტე.
„მას შემდეგ რაც ის მიაჭედეს სამსჭვალით ჯვარზე

„დეე, ზოგიერთს ბაგეზედაც ეკეროთ ქრისტე,
„მათ მოუხდებათ განკითხვის დღეს უფრო შორს დგომა,
„ვიდრე მათ, ვისაც არც სმენია სახელიც ქრისტე.

„ეთიოპები დასწყევლიან ამ ქრისტეანებს,
„როცა ყველანი ორ ნაწილად გაიყოფიან,
„ერთნი სამოთხეს ეწვევიან, სხვანი გეენას.

„რას არ ეტყვიან ირანელნი მეფეთა თქვენთა,
„როს გადაშლიან ფოლიანტებს, სადაც სწერია
„სამარადჟამოდ წარუშლელი სირცხვილი მათი.

„იქვე ნახავენ ჰოჲ, ალბერტ, სხვა საქმეთ შორის
„მასაც თუ როგორ დაარბიე განუკითხავად
„ქრისტეანული, ერთმორწმუნე ქალაქი პრაგა.

„ნახავენ მასაც, თუ როგორი დიდი ზარალი
„ხალხს მიაყენა სენის პირად, მან ვისაც ტახმა
„ხადირობის დროს ამოხადა ეშვებით სული.

„იქვე ნახავენ ამპარტავანს, ვინც შოტლანდელებს
„და ინგლისელებს აშფოთებდა, არ ანებებდა
„გულდამშვიდებით, უდრტვინველად ეცხოვრათ ქვეყნად

„მანდვე წერია გარყვნილება რასაც ეწევა
„ესპანეთისა სეფეწული და ბოჰემელი
„მთლად უნამუსო, გარეცხილი სინიდისისგან.

„მანდვე წერია კოჭლი იგი პალესტინელი,
„ვის სიქველესაც აღნიშნავენ ასოთი I-ით
„ხოლო მის ცოდვებს მარტოდენ ლათინურ M-ით.

„მანდვე ნახავენ სიძუნწეს და მატყუარობას
„მისას, ვის ხელშიც ცეცხლოვანი სტირის კუნძული,
„სად დღენი თვისნი მოათავა გმირმა ანქიზემ.

„თავათ რომ მიხვდეს იგი თავის ღირსებას მცირეს,
„საქმენი მისნი შეკვეცილად სწერია მანდვე,
„რათა მრავალი მცირე ნიშნით გამოიხატოს.

„ყველა შეიცნობს სავალალო საქმეთ ბიძისას,
„აგრეთვე ძმისას და იმასაც რარიგად ორნი
„პატივდებულნი გვარისშვილნი ბილწავენ გვირგვინს.

„პორტუგალიის და აგრეთვე ნორვეგიისა
„ორთავ მეფეთა და მთავარის დალმაციისა,
„ყველას საქმენი სამარცხვინო მუნვე სწერია,

142 „შენ ბედნიერი იქნებოდი, ალბათ, უნგრეთო,
„თავისუფლება მოგეხვეჭა და შენც, ნავარა,
„პირინეები მტკიცე მზღვარად გადაგექცია.

145 „ზემოდ ნათქვამი რომ გეჩვენოს უფრო სარწმუნოდ,
„დახე ვით აფრქვევს ფამაგოსტა მდუღარე ცრემლებს
„და ნიკოზია იმ ცოფიან ძაღლის წყალობით,

148 „რომელიც სძიძგნის სხვებთან ერთად ამ ნაალაფარს".

## ᲪᲔᲒᲐ ᲛᲔᲝᲪᲔ

როდესაც იგი, ვინც ანათებს სამყაროს მთელსა,
ჩვენს ჰემისფეროს გაეყრება დასავლეთისკენ,
დღე დაივსება და ლიცლიცებს შუქმილეული.

4 მხოლოდ მის მიერ ანთებული კრთის ცადაქნილი
და უეცარად გამოჩნდება ვარსკვლავთა ხომლი,
რომელსაც თავათ მზე ანიჭებს შუქთა სავსებას.

7 ეს მომაგონდა მე ანაზდად სწორედ იმ წუთში,
როცა მსოფლიოს, მბრძანებელთა მისთა სიმბოლომ
ორბის ნისკარტში მოათავა საგალობელი.

10 აქვე იმ სულთა აღგზნებულმა ნათელმა ხორომ,
მომეტებულად მოელვარემ, იწყო გალობა
ადამიანურ ხსოვნის მიერ აღუდგენელი.

13 ჰოჲ, უტკბესო სიყვარულო, ნათლის რიდის ქვეშ,
როგორ ღვივოდი ნაპერწკლებით იმ დიად ცეცხლის,
რომელსაც სულთა მათ შთაგბერეს აღგზნების ძალა.

16 ბოლოს როდესაც პატიოსან თვლების ამ ხორომ,
შუქმიფენილმან იმ მეექვსე პლანეტისაგან
ანგელოსური ჰარმონია თვისი შესწყვიტა,

19 მე მომეჩვენა, ჩუხჩუხებდა, მოწკრიალებდა
მდინარე ტკბილად ქვის ხორგებზე გადმომჩქეფარე,
როკვით დაძრული წყალ-მრავალი სათავისაგან.

22 როგორც ტონები მომდინარე ლირის ლარებზე
ან და ჰაერი დაგუბული სტვირის გუდაში
ჰარმონიულად ამღერება ყელთან მოსული,

25 აგრეთვე დვრინი იმ არწივის მაღალ კისრიდან
დაიძრა ნელა, ყელს ამოყვა ამოდსასმენი,
მიმოიფანტა იგი ტკბილი და სასურველი.

28 ახლა ეს დვრინი გარდაიქცა უცებ სიტყვებად,
არწივის ნისკარტს ეს სიტყვები წამოსცდა ისე,
ვით გულს ეწადა, სადაც იგი აღბეჭდილ იქმნა:

31 „თვალი მიაპყარ ჰოდ, სულო, ორგანოს ჩემსას,
„ბადალს იმისას, რითაც მზის სხივს ჰგრეტს და ატარებს
„ქვეყნად არწივი მიწიერი“, ასე დაიწყო,

34 „ფიგურის ჩემის გამომხატველ ნათელთა შორის,
„თვალების ჩემის ბრწყინვალებით გამშუქებელნი,
„წარჩინებითაც უპირველეს სდგანან ხარისხზე.

37 „იგი ვინც თვალის გუგაშია მოთავსებული,
„ღმერთს ადიდებდა და დაჰქონდა მას კიდობანი,
„თვის საუფლოში დადიოდა კიდით კიდიდან.

40 „მას აქ დაუხვდა ღვაწლის თვისის მხსაგებელი,
„რარიგ მგზნებარე სიყვარულით იგი გალობდა,
„სამაგიეროც იმდენივე მიუზღო ზენამ.

43 „იმ ხუთეულში, ვინც თვალს ჩემსას ზედ ადგას წარბად
„სწორედ მეხუთემ, ვინც ნისკარტთან უფრო ახლოა,
„მან ანუგეშა ქვრივი იგი გამწარებული.

46 „აქ ხედავს იგი, თუ რა დიდი ცოდვაა ქვეყნად,
„ქრისტეს არ ცნობა, სისასტიკეც იმ ცხოვრებისა
„გაიგო აქვე და შეიგრძნო სამოთხის სიტკბო.

49 „ხოლო მეორემ, იმავ რკალში, რომელიც წელან
„მე აქ ვახსენე, შეისყიდა მდუღარე ცრემლით
„და სინანულით გაგრძელება სიცოცხლის ყავლის.

52 „აქვე დარწმუნდა სული იგი, რომ განჩინება
„ღვთის არ იცვლება, თუ ერთ დღისთვის გადაწყვეტილი
„მეორე დღემდის სისრულეში არ მოიყვანეს.

55 „სულმა მომდევნომ შეისმინა პაპის ვედრება,
„(რამაც შემდეგში გამოიღო ნაყოფი ცუდი)
„გაბერძნდა თავათ, წამიყვანა აღმოსავლეთში.

58 „ის აქ დარწმუნდა: კარგი ზრახვის ცუდი შედეგი
„მას არ მოჰკითხეს, თუმც საქციელს მისას თან მოჰყვა
„გაჩანაგება, გაოხრება მთელი ქვეყნისა.

61 „ახლა შემდეგი, რკალის ბოლოს მოთავსებული
„გახლავს ვილჰელმი, ვინც ქვეყანამ გამოიტირა.
„ახლაც ცოცხალნი მას იგლოვენ შარლ და ფრედერიკ.

64 „აქ ხედავს იგი რა პატივი მიეზღვის ხოლმე
„მეფეს გულმართალს და თავათაც ელვისებრ ბრწყინავს,
„სულთა ნეტართა თვალისმომჭრელ ნათელ მთიებში.

67 „ნუთუ ირწმუნებს თქვენი მიწა დაბრმავებული,
„გმირი რიფეჲ, ძველი ტროას წარჩინებული,
„აქ მეხუთეა ამ სამოთხის ნათელთა შორის.

70 „აქ იგი ხედავს (რაც კაცთათვის დაფარულია)
„წმინდა მათ მიზნებს ღვთაებრივი სიყვარულისას,
„თუმცა ვერც იგი მისწვდენია მის ფსკერს უაღრესს“.

73 როგორც ტოროლა მონავარდე ზეცის თავანში
გალობს წკრიალით, მაგრამ უცებ შეჯერებული
საკუთარის ხმით, გაყუჩდება ანაზდეულად,

76 ასე მეჩვენა ანაბეჭდი მარადულ ნების,
ვისი ბრძანებით ყოველივე ამ ქვეყანაზე
ისე დადგინდა, როგორც არის დამკვიდრებული.

79 თუმც ეჭვი ჩემი გამოკრთოდა ისევ ჩემგანვე,
როგორც ფერი რამ, შუშის ქვემოდ ამოდებული,
მაინც არ მეყო მოთმინება დასადუმებლად.

82 „ეს რა მითხარი?“ შევეკითხე მყისვე მე არწივს.
და დავინახე სიხარულმა შესძრა მთიები
და კურთხეულმან მან სიმბოლომ გახარებულმან

85 შემომაგება ანთებული ცეცხლივით თვალი,
მომცა პასუხი, რათა ეგზომ გაოცებულსა,
ლოდინისაგან გულზე დარდი არ დამწოლოდა:

88 „მე კარგად ვხედავ შენ ერწმუნე ჩემგან ნაუწყებს,
„რადგან ეს მე ვთქვი, არა რწმენის შენის მიხედვით,
„და უნებლიედ დამიჯერე, არც იცი რატომ?

91 „შენ ჰგავხარ იმ კაცს, ვინც შეიცნობს მხოლოდ სახელით
„საგნებს, თუმცა მან ვითარება არ იცის მათი,
„სანამ ვინმესგან განმარტებას არ გაიგონებს.

94 „Regnum coelorum“-ს აქ ატყვევებენ,
„სიყვარულითა და იმედით ცხოველმყოფელით,
„რადგან ღვთის ნებას ორივენი ეუფლებიან.

97 „არა იმგვარად, როგორც მხდალი მამაცს ნებდება,
„იგი იმარჯვებს და მიტომაც ტყვედ ჩავარდება,
„სიქველით არის მუდამ თავათ გამარჯვებული.

100 „შენ გაგაოცა პირველმან და მეხუთე სულმან
„ჩემს წარბზე, გიკვირს რად ილხენენ ისინი ცაში,
„ვით თანასწორნი ანგელოსურ ამ ოჯახისა.

103 „მათ მიატოვეს და დააგდეს სხეულნი თვისნი,
„არა წარმართულ სიბნელეში, არამედ იყვნენ
„მომლოდინენი, მაცხოვარის ჯვარზე გაკრულის.

106 „ერთი მოვიდა ჯოჯოხეთის ბნელ ჯურღმულიდან
„(რომლითგან ჯერაც, ამ ცხოვრებას არვინ წვევია)
„და ეს იმიტომ რომ იმედი არ დაუკარგავს,

109 „ნამდვილი სასო, ჩანერგილი ეგზომ სიწრფელით,
„რომ ღმერთს ხელახლა მიებოძნა მისთვის სხეული
„ჯოჯოხეთისა ორწოხებით გამონახსენი,

112 „სული ნეტარი, რომლის გამო მე გეუბნები,
„კვლავ განსხეულდა, თუმც მცირე ხანს დაჰყო მიწაზე
„მაინც შეიცნო მან ზენარის მადლი და ძალა,

115 „ამ შემეცნებით შეიყვარა მან შემომქმედი
„ისე ძლიერად, რომ ორგზისი სიკვდილის შემდეგ
„დაიმსახურა დავანება ამ საბრძანისში.

118 „ხოლო მეორემ, მეოხებით იმ გვარი მადლის,
„რომლის სათავე უაღრესი ჯერაც არავის
„არ შეუცვნია, არვინ იცის თუ სად იწყება,

121 „ცხოვრება თვისი შეალია მართლმსახურებას,
„მიტომაც ღმერთმან აღაზევა მადლმოსილებით,
„და ცოდვათაგან გამომხსნელი ასწავა გზანი.

„მორჯულებულმან, ისე მკაცრად დავმო წარმართნი,
„დაგმო მან შჯული, წარმართული უსასტიკესად,
„ჰკიცხავდა მარად უმეცრებით დაბრმავებულებს.

„სამ ქალწულთაგან (რომელიც შენ ნახე მხარმარჯვნით
ეტლის ბორბლიდან), მან მიიღო ნათლისღებაჲ
ათ საუკუნით უფრო ადრე მირონცხებამდის.

„ჰოჲ, განგებავ, ზენარულო, შორსაა ფესვი
„შენი იმათთვის, ვისაც ძალი არ მოსდევს მისთვის,
„რომ მიაწვდინონ თვალნი თვისნი სათავეს შენსას.

„ჰოჲ მოკვდავნო, ნუ გჩვევიათ აჩქარებული
„განსჯა, უკეთუ ჩვენ ვინც უფალს ვჭვრეტთ დღენიადაგ,
„ყველა რჩეულთა აღარ ძალგვიძს საცნაურ ყოფა.

„ჩვენ არ გვაწუხებს უმეცრება ესე ვითარი
„და ვეტანებით უმეშურნო ბედნიერებას,
„გვწადია იგი, რაც უფლისთვის საამურია“.

ასე ხატებამ ღვთაებრივმა, ძალკურთხეულმან,
მზერისა ჩემის სიძაბუნის დასათრგუნველად,
მე ამნაირი დარიგება მარგუნა წილად.

როგორც მომღერალს ხელოვანი ციტრის დამკვრელი
ტონს ააყოლებს, რომ დაატკბოს ის მელოდია,
რომელსაც ეგზომ გრძნობით მღერის ხოლმე ოსტატი,

ასევე, მახსოვს, რამდენ ხანსაც იგი უბნობდა
ორი ნათელი, ვით წამწამნი ორთავე თვალის,
შეთანხმებულად გარს აფრქვევდნენ ცეცხლის ნაპერწკლებს,

ალს ატოკებდნენ აყოლილნი სიტყვათა ტაქტსა.

## ჭეშა ოცდამეერთე

თვალები ჩემი, სული ჩემი დაუცხრომელად
მისკენ ილტვოდენ, სახით მისით დატყვევებული,
არ გამიღიმა დონამ ჩემმა და მითხრა ტკბილად:

„აქ რომ ღიმილი შეგაგებო“, მითხრა მადონამ,
„ისე ბედითი გეწვეოდა უთუოდ ხვედრი,
„როგორც ზემელეს ცეცხლში დამწვარს და დაფერფლილსა.

„მშვენების ჩემის ბრწყინვალება, აღზევებული
„ამ მარადიულ სასახლეში, სწვავს მომეტებით
„რაც უფრო მაღალ ხარისხისკენ მივიწევთ ზევით,

„მე რომ მთიების მხურვალება არ დამეოკნა,
„გაბრწყინდებოდა ისე ძლიერ, რომ ეგ მოკვდავი,
„სხეული შენი იქცეოდა მთლად ნაცარტუტად.

„ჩვენ მივაღწიეთ, ეგ იცოდე, სფეროს მეშვიდეს,
„ლომის აღგზნებულ მკერდის ქვემოდ მოთავსებულსა,
„(ორივეს სხივი მიწისაკენ აქვთ მიშვერილი),

„გონება შენი მიაყოლე თვალთ მიმართებას,
„და დააცქერდი ამ ჩვენებას გულმოდგინებით,
„ნახე ხატება ამ სარკეში გამოჩენილი“.

ვინც წარმოიდგენს თუ როგორი ბედნიერება
მე მოვიხვეჭე, იმ იღუმალ ჭვრეტის წუთებში,
როს სახეს მისას ავარიდე ერთბაშად პირი,

იგი მიხვდება თუ რარიგად დავემორჩილე
წამყოფას მისას, დავიცავი თანასწორობა,
ერთი სიამის მეორესთან შენაცვლებითა.

პლანეტა იგი, უდიდესი ცთომილთა შორის,
იწოდებოდა გარდასულთა დღეთა მპყრობელად,
როს ბოროტებას გასავალი არა ჰქონია.

მე აქ ვიხილე კიბე დიდი ოქროცურვილი,
მთლად ცეცხლის ფერი და მაღალი, ისე მაღალი,
რომ კაცის თვალი მის დასასრულს ვერ მისწვდებოდა.

მის ხარისხებზე მე შევნიშნე აურაცხელი
ბრწყინვალე სულნი, ნიაღვარად ჩამოდიოდნენ,
ასე მეგონა დაძრულაო ცით ვარსკვლავეთი.

როგორც ყორნები აყოლილნი ჩვევას საკუთარს,
დილა ადრიან დაფრინავენ ხროებად ცაში,
გაყინულ ფრთების გასატფობად მზის მხურვალებით,

შემდგომ ამისა ერთნი წავლენ და აღარ მოვლენ,
სხვანი ისევე ძველ ადგილებს მიაშურებენ,
სხვანი და სხვანი ერთ ადგილას იწყებენ ტრიალს.

ასეთი რამე შევამჩნიე როს დავაკვირდი,
ტალღისებრ ჩვენსკენ მომდინარე სულებს, როდესაც
მათ მოაღწიეს ოქროს კიბის ქვედა ხარისხებს.

ერთი მათგანი მომეახლა ყველაზე მეტად,
ისე გაბრწყინდა უცნაურად, რომ გავიფიქრე:
„თუმცა მიცქერის სული იგი თავაზიანად,

„მაგრამ რადა სდუმს ბეატრიჩე, რომელიც მამცნობს
„სად ავმეტყველდე, სად გავჩუმდე, როგორ მოვიქცე,
„ხომ არ დავდუმდე, მორჩილების დასამოწმებლად?“

მაგრამ მადონამ ზრახვა ჩემი ამოიკითხა
იმის თვალებში, ვინც მარადქამს ხედავს ყველაფერს,
მითხრა: „ნება გაქვს შეისრულო გულის წადილი“.

ასე დავიწყე: „თუმცა ჩემი დამსახურება
„ღირსად არა მხდის, რომ მელირსოს შენგან პასუხი,
„მაგრამ რადგანაც ნება დამრთე შეგსიტყვებოდი,

„სულო ნეტარო, სიხარულის რიდით მოსილო,
„ახლა ამას გთხოვ რომ მაუწყო თავათ მიზეზი
„ხლებისა შენის, ჩემთან ასე მოახლოების?

„და ისიც მარქვი, რატომ სდუმან ამ პლანეტაზე?
„სიმფონიები, შემომქმედის ჩვენის სახოტბო,
„სხვა ცთომილებში ეგზომ ტკბილად აჟღერებულნი? “

„მომაკვდავია სმენა შენი, ხედვის უნარი,
მომიგო, როგორც ბეატრიჩე არ იღიმება,
„აღკვეთილია ყოველგვარი აქვე გალობა.

„მე ჩამოვედი იმა კიბის ხარისხებიდან,
„მოველ ჰივილო, მოგესალმო როგორც სიტყვებით,
„ისე ნათელით, რომლით თავათ ვარ შემოსილი.

„არა უდიდეს სიყვარულით ვარ მე აღძრული,
„თავათ შენიშნავ გარს ანთებულ ჩირაღდანთ შორის,
„მომეტებულად სხვა ნათელიც ანთებულია

„უზესთაესი სიყვარული, რამაც გვიბრძანა
„ვექვემდებაროთ დიად მამფალს სამყაროისას,
„იგივე ახდენს აქ არჩევანს, თავათაც ჰხედავ.“

73 მივუგე: „ვხედავ, ო, ნათელო, სხივშემოსილო,
„ეს შენ ავრცელებ სიქველეთა ამ სასახლეში,
„მარადჟამული განგებისა ნების მიხედვით.

76 „გონება ჩემი, მხოლოდ ამას ვერ მისწვდენია,
„რისთვის გარგუნეს თანატოლთა ნათელთა შორის
„შენ ამნაირის აღსრულება ვალდებულების.“

79 ეს ვთქვი თუ არა, შეტრიალდა იგი ნეტარი,
ნათლის საფარველს მიეფარა სახე ანაზდად
და დატრიალდა ვით წისქვილის სწრაფი გელაზი.

82 და სიყვარულის ხმაჲ იგი მასში ამღერდა:
„ღვთაების სხივმა მე დამადგა მოწყალე თვალი,
„ჩასწვდა ნათელში სადაც ვიყავ დავანებული,

85 „ამადაც ვიწვი სიხარულით გულანთებული,
„მან აღმაზევა და მიტომაც ვხედავ სათავეს
„უზესთაესის, მარადჟამულ ძალმოსილების.

88 „აჰა, მიზეზი ჩემი ეგზომ აღტყინებისა,
„რადგან რამდენად სული ჩემი უზადო ქმნილა,
„იმდენად უფრო მაცისკროვნებს ნათლის სამოსი.

91 „ვისაც არ ჰკითხავ აქ შემომხვდარ ნეტართა შორის,
„თუნდ სერაფიმი, ვინც თავათ ჭვრეტს სახეს უფლისას,
„ვერვინ მოგიგებს შენს კითხვაზე დაბეჯითებით.

94 „რადგანაც იგი რის შეცნობაც აგრე გწადია,
„თავათ შეიცავს უფსკრულების იდუმალებას,
„რაც მოკვდავთათვის მუდამ რჩება თვალმიუწვდენი.

97 „როს მომაკვდავთა სამყაროში კვლავ მიბრუნდები,
„აუწყე კაცთა ნურვინ ცდილობს რომ გადალახოს
„გონებისათვის შეწერილი მაღალი მზღვარი.

100 „აქ თუ გონება ნათელია, მანდ ის კვამლია,
„თავათ განსაჯე, რაც არ უწყის აქ ცისიერმა,
„იმ სამყაროში ვინ შეიძლებს იმის შეცნობას.“

103 სიტყვა მომიჭრა იმნაირად ამ კურთხეულმან
მოვეშვი კითხვას და შევხედე მოკრძალებულად,
ეს ღა შევკადრე: „სადღა იყო სამყოფლო შენი?“

„სამშობლოს შენის სიახლოეს, იტალიისა
„იმ ნაპირთ შორის, სადაც მთანი სდგანან მაღალნი,
„რომელნიც ღრუბლებს გულზვიადად ზედ დასცქერიან,

„სწორედ ამათთან განშტოვდება კატრიას ქედი,
„სადაც ტაძარი უდაბნოში, დიდი ხანია,
„აღმართულია სადიდებლად შემომქმედისა.“

ასე მომიგო მესამეჯერ სულმა დიადმა.
შემდეგ განაგრძო: „აღვიკვეცე მე იმ ტაძარში
„და შევუდექი სათნოებით სამსახურს ღვთისას.

„ვიკვებებოდი ზეთისხილის, მარტო წვენითა,
„ვერც სიცხე მძლევდა, ვერც სიცივე მაკლებდა რასმეს,
„ღვთიურ ჭვრეტაში იმ ზომაზე ვიყავ გართული.

„ეს მონასტერი იძლეოდა რთველსა ხვავრიელს
„სამოთხისათვის, ახლა უკვე იავარქმნილი,
„დეე, უწყოდეს ეს ამბავი ყოველმა კაცმა.

„მე ამ ტაძარში ვბინადრობდი — პაერ დამაენ,
„ხოლო ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში
„ადრიას ზღვასთან, მუნ იღწვოდა პაერ პეკატორ;

„ჯერაც არ იყო დღენი ჩემნი უკვე დათვლილი,
„როს უნებლიეთ დამაკისრეს მიღება მიტრის,
„რომელიც ახლა უარესებს ახურავთ თავზე.

„ხომ მიდიოდი შენ, ო, კიფა, საქადაგებლად,
„შენაც ჭურჭელო უფლის მიერ ამორჩეულო,
„საქადაგებლად ორივენი მშიერ-მწყურვალნი?!

„ახლა მღვდელმთავრებს დაათრევენ მსახურნი ხელით,
„შეუდგებიან უშველებელ მძორს აქეთ-იქით,
„უჭირთ უქნარებს საკუთარის ზიდვა ლეშისა.

„ერთ საფარველს ქვეშ ორი მხეცის მოსათავსებლად
„მათსავე ცხენებს შეფუთვნიან ტფილი მანტიით,
„ჰოდ, სანამდის ითმენ ამას, სამებავ წმინდავ?!“

ამის გამგონე ჩამოსცვივდნენ ხარისხებიდან
სულნი ნათელნი, შემოჯარდნენ დასთა დასები,
საყოველთაო ელვარებით გაბრწყინვებულნი,

139 გარს შემოერტყნენ იმა ნათელს, ჩემთან მოუბარს
იწყეს კივილი და ყიჟინი ისეთნაირი,
რომლის მაგვარი ამ სოფელში არა მსმენია

142 და ყურთა სმენა დამიჩლუნგდა ამ გრუხუნისგან.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔ

გაოცებულმან მივაპყარი ანაზდად თვალნი
მეგზურსა ჩემსა, როგორც ბალღი შესჩივლებს ხოლმე
სიმძიმილის ჟამს იმედების თვისისა სასოს,

4 და მან ვით დედამ, რუდუნებით მონდომებულმან,
თავისი პირმშოს მშობლიური ნუგეშისცემით,
ზრუნვით აღვსილმან, თანაგრძნობით გულანთებულმან

7 მითხრა: „ხომ იცი, რომ ზეცაში, აქ იმყოფები,
„სადაც საწადელს აჯილდოებს მადლი ზენარი,
„სად ყოველივე წმინდანობით არის აღვსილი.

10 „წარმოიდგინე თუ რაგვარად შეძრწუნდებოდი,
„არ სდუმდეს ხორო, მეც ღიმილი მეხატებოდეს,
„თუ ერთის კვნესამ ამნაირად შენ შეგაშფოთა.

13 „თუ იმ კივილმა შენ ეგზომად აგაცახცახა,
„საცნაურს ყოფდი, ალბათ მასში გამხელილ თრთოლვას,
„და შეიგრძნობდი შურისგებას მოსალოდნელსა.

16 „ხმალი უფლისა არ აყოვნებს, არც აჩქარდება,
„იგი აყოვნებს სასოებით აღვსილთა მიმართ,
„იგი სწრაფია მის წინაშე შემკრთალ სულთათვის.

19 „ახლა მიბრუნდი და მიხედე დანარჩენებსაც,
„დაძაბე მზერა, დააკვირდი თავანს ზეცისას,
„და დაინახავ მანდ მრავალ სულს წარჩინებულთა.“

22 აღვაპყარ თვალნი, ბეატრიჩეს სურვილისამებრ,
ვნახე სფერონი ასიოდე, სადაც მთიების
ერთად შერწყმისგან მატულობდა მშვენება მათი.

25 მე იმას ვგავდი, ვინც იოკებს მოწადინებას,
ვერ ბედავს კითხვას, მომეტებულ ცნობის წადილით
არ ითავხედოს, ამიტომაც დადუმებულა.

28 მარგალიტთაგან უდიდესი, უბრწყინვალესი
დაწიხაურდა, რათა ეგზომ უსაზღვროდ ლოდინს
არ დაესეტყვა გული ჩემი, განუკითხავად.

31 მომესმა ხმაჲ: „შენ ჩემსავით ხედავდე იმ მადლს,
„რომლისგან ჩვენ აქ ერთობლივად ვართ აღგზნებულნი,
„გულისთქმას შენსას გამოსთქვამდი მოუჩერებლად.

34 „მაგრამ იმისთვის რომ დაგიცხრო გულის წადილი
„და ძიზანს შენსას ძიალუჩიო დაუკითხავად,
„მე გამოვიცნობ და გაუწყებთ შენსავე ზრახვებს:

37 „იმ მთის მწვერვალზე, როძლის ერთ-ერთ ფერდობზე ახლა
„მონასტერია კასინოსი, იკრიბებოდნენ
„კაცნი ცთომილნი და აღესილნი ბიწიერებით.

40 „მანდ მე პირველმა შევიტანე სახელი მისი,
„ვინც მიწას თქვენსას უკანმინა ჭეშმარიტება
„აღმავლენელი სულთა ჩვენთა ცის საუფლოში.

43 „იმდენი მადლი მოენიჭა უფლისმიერი,
„ეს მე დავამბე ბომონები შემოგარენთა,
„და კერპნი მათნი წარმწყვენდელი კაცთა მოდგმისა.

46 „სულნი ნათელნი, აღზგნებულნი აქ ელვარებით,
„იყვნენ ძმვრეტელნი ანთებული იმავე მადლით,
„რამაც წარმოშვა წმინდანობის ნაყოფი ტკბილი.

49 „ეს მაკარია, ხოლო იგი რომუალდია,
„ეს დანარჩენნი ძმანი ჩემნი ვინც ჩემთან ერთად
„იღწვოდნენ ერთხელ მონასტერში გამოკეტილნი.

52 მე ვუპასუხე: „სიყვარულმა, როშელიც ბიწმობს
„სიტყვანი შენნი და მოპყრობამ თავაზიანმა
„ყველა თქვენგანის აქ ჩემს ბიერ გამოჩენილმა

55 „ეგ ჩემი გული გადამალეს ვით ბადის ვარდი
„გამოზაფხულის სააძურმა სხივებმა მზისამ,
„გამოაცოცხლოს, ააყვაოს და გადაფურჩქნოს.

58 „აი ამიტომ გევედრები, მამაო ჩემო,
„კეთილ ინებე, წამიერად გამომეცხადე
„და დამანახე სახე შენი უსაფარველოდ.

61 მითხრა: „ო, ძმაო, საოხოარი ეგზომ მხურვალე
„შეგისრულდება უკანასკნელ სფეროს წიაღში,
„მანდ ორთავენი საწადელთა მივხვდებით ჩვენთა.

64 „ყველა სურვილი მანდ წმინდაა და აღსრულდება
„ზრახვანი ჩვენნი და რაც არის მთელ სამყაროში,
„სრულის სისავსით ჩვენ თვალნათლივ მოგვევლინება.

67 „და სფერო იგი, სივრცის გარედ არის მდებარე,
„უპოლუსოა და შენს თვალწინ ზეაფრენილი,
„კიბეცა იგი იმყოფება იქვე ეთერში.

70 „როცა სიზმარში იაკობმა იხილა იგი,
„კიბის მწვერვალი ზეცის თავანს ებჯინებოდა,
„მის ხარისხებზე ანგელოსნი მიმოდიოდნენ.

73 „მიწიერთაგანს არვის უნდა მასზე ზეასვლა.
„ხოლო წესდებას ორდენისთვის ჩემგან დაწერილს,
„ცაში ხმარობენ ვით უბრალო ქაღალდის ნახევს.

76 „მონასტრის ჩვენის საკანები გადააქციეს
„მძარცველთა ბინად და ბერებმა კაპუშონები
„ფქვილის ტომრებად, სანოვაგის გადასაზიდად.

79 „მევახშეობა არ შებღალავს ისე ღვთის ნებას,
„როგორც ბერების უტიფარი მუცელღმერთობა
„და ანგარება ორდენების ჩვენის ძმებისა.

82 „ძველად ყველაფერს ეკლესიის მიერ მონაგარს,
„ღვთის გულისათვის მავედრებელ გლახებს აძლევდნენ
„და არა თავის ნათესავებს და კიდევ სხვათა.

85 „ახლა სხეული კაცთაგანის ისე დარბილდა
„ერთი თაობაც ვერ მოაღწევს უკვე მანამდის,
„სანამ რკოსაგან დიდი მუხა წარმოიშვება.

88 „პეტრემ უვერცხლოდ დაარსა ღვთის ეკლესია,
„მე მონასტერი დავაფუძნე ლოცვით და მარხვით,
„ხოლო ფრანჩესკომ თავმოდრეკით და სათნოებით.

91 „ახლა დახედე, ვით დაიწყო თითოეულმა,
„თავათ შენიშნავ ამ მიწაზე მომხდარ ცვლილებას,
„რაც თეთრი იყო, იგი უკვე გამხდარა შავი.

„უფრო ნაკლები სასწაული იქნება, თუ თქვენ
„იორდანეს წყალს უკუაქცევთ სათავისაკენ,
„ვიდრე ეგზომად გულარძნილთა გამოსწორება.“

ეს მითხრა სულმა და გაფრინდა ანაზდეულად
და შეუერთდა მოზეიმე დასს სულებისას,
შემდგომ ამისა ზეაიჭრენ ვით ქარბორბალა.

მყისვე მანიშნა ბეატრიჩემ და ხარისხებზე
ავყევი მე მათ და ამგვარად ძალმოსილებამ
მისმა უეცრად გაიმარჯვა ჩემს ბუნებაზე.

მიწაზე რა გვაქვს იმნაირი ჩვენ იარაღი,
ზეასასვლელი, ან მაღლიდან ჩამოსასვლელი,
თავის სისწრაფით შევადარო ჩემს ფრთებს მაშინდელს.

მკითხველო ჩემო, დღესაც ვიწვი ამ ტრიუმფისთვის,
რომლის ხელახლა მონიჭებას ღმერთსა ვთხოვ ცრემლით,
და მუშტებს ვიცემ თვით მქენჯნელი საკუთარ მკერდზე.

შენ ისე სწრაფად ვერ გამოსწევ ცეცხლიდან ხელსაც,
როგორც მე მაშინ მივაღწიე იმ ნიშანს ცაზე,
რომელიც კუროს ვარსკვლავეთში უკან მიჰყვება.

ჰოჲ, ვარსკვლავნო დიდებულნო, ჰოჲ ნათელო,
თქვენ ნატვიფარნო სიქველისავ, ეს თქვენ წარმოშვით
ჩემი გენია ისეთივე როგორიც არის.

თქვენთან შობილი თქვენთან ერთად ბნელს ჩაესვენა,
გამჩენი ყოვლის წარმავალის ხმელისაპირზე,
რომ მე პირველად შევისუნთქე ტოსკანას ჰავა.

შემდეგ როდესაც მომენიჭა მადლი, იმ სფეროთ
წიაღში ყოფნის, რომელსაც თქვენ აბრუნებთ თავათ,
და წილად მერგო თქვენთან ეგზომ მიახლოება,

აწ გეველრებათ სული ჩემი თავმოდრეკილად
ძალი უბოძოთ მას იმ ქვეყნად მისაღწეველად,
რომელსაც ეგზომ აღტაცებით მიელტვის გული.

„ასე ახლოს ხარ უკანასკნელ მადლის სამანთან,“
მითხრა მადონამ, „ხამს დაძაბო, ახლავე მზერა
„თავათ გაფანტო შენს გარშემო მცირე ბურუსიც.

„ძირს დაიხედე და სანამდის დაწინაურდე,
„ნახე, რამდენი და რა ვრცელი სამყაროები
„ჩვენ გადავლახეთ ვიდრე ზევით ამოვაღწევდით.

„დეე, განათდეს სიხარულით აწ შენი გული
„და შეერიე მოზეიმე სულების დასებს,
„მაღალ ეთერის ცადაქნილში წინ მიმჭროლავთა“.

თვალი მოვავლე უკვე შვიდთა ცეურ სფეროთა,
რა დავინახე მიწის ბირთვი ეგზომ პატარა,
და დალეული, გავიღიმე სიბრალულისგან.

მოსაწონია მხოლოდ მათი მოსაზრებანი,
ვისაც იგი სძაგს უზესთაეს მისწრაფებაში,
და მათ მიეზღვის ბრძენკაცობის დიდი სახელი.

ლატონას ასულს, თვალი მოვკარ სახეგაბადრულს,
მას აღარ ახლდა ის ტალღები, რომელთაც მცდარნი
აღმიძრეს ფიქრნი ამ პლანეტის ლაქების გამო.

არც ვაჟის შენის ბრწყინვალებას ო, ჰიპერიონ,
ჩემთვის უცნია; და მახლობლად იყო მაჲა,
იქვე დიონა, ორივენი მანდ ტრიალებდნენ.

მანდ შევამჩნიე მოძრაობა იუპიტერის,
მანდვე მერკურის და ვენერის გარემოქცევა,
ყველა მათგანი გარს ულვიდა წერტილს ცენტრისას.

ვნახე სიდიდე მე შვიდივე ცთომილებისა,
ეტლების მათის მოძრაობა თვალმიუწვდენი,
გადამლახავი უშორესის სივრცეებისა.

ხოლო ის მიწა, სადაც ვყბედობთ ამპარტავნულად,
მარადჟამული მარჩბივების წრეში მსრბოლელმა
მე დავინახე ვით ნაკვეთი მთების და ზღვისა,

შემდგომ ამისა კვლავ შევხედე მადონას თვალებს.

## ᲫᲔᲑᲐ ᲝᲪᲓᲐᲔᲡᲐᲛᲔ

როგორც ფრინველი, ჯერ უმწეო მართველთა დედა,
ბუდეში თავის პატარებთან სულგანაბული
იცდის, ვიდრემდის ღამის რიდე მოსავს ქვეყანას.

ინატრის მალე გათენებას, ბარტყების ნახვას,
რათა გაფრინდეს გასარჯელად და მოიხვეჭოს
სადმე საკვები შვილებისთვის სახელდახელოდ,

წინ უსწრებს რიჟრაჟს და მოელის მთრთოლვარე გულით,
რათა ავრორამ ცისკიდური მალე შეღებოს,
ოქროცურვილი სხივის ბლონდით შეამკოს იგი.

აგრე მადონაც იდგა ჩემს წინ, თავაწეული,
იმზირებოდა ყურადღებით სწორედ იქითკენ,
სადაც ნელ-ნელა მიდიოდა ეთერში მზეჲ.

გაოცებული, ბეატრიჩეს ამგვარი ჭვრეტით,
მე განვიცადე რასაც ხშირად განიცდის კაცი
იმედით სავსე და ლოდინით გულაღგზნებული.

მაგრამ არც დიდი დრო გასულა, როგორც ეს მახსოვს
დაყოვნებასა და საწადლის მიხდომას შორის,
როს აელვარდა მოვლენებულ მთიებით ზეცა.

მითხრა მადონამ: „აჰა მოდის ქრისტეს ამალა,
„აქვეა რთველი იმ ნაყოფთა, რომელიც გსურდა,
„შენ მოგეხვეჭა სფეროებში დაყოვნებისას.“

მადონას სახე მომეჩვენა მთლად აღგზნებული
და სიხარული მის თვალებში ისე ბრწყინავდა,
რომ აქ სიტყვანი აღსაწერად ვერ იკმარებდნენ.

როგორც მოწმენდილ ცადაქნილზე სულგატრუნვილი,
ჰეკატა ტკბილად იღიმება ნიმფების წრეში,
ზეცის თავანის სიღრმეებში შუქის მფრქვეველი,

აგრე მეც ვნახე აურაცხელ ვარსკვლავებს შორის
მზე კაშკაშებდა, აბრწყინვებდა ირგვლივ ყოველთა,
ისე ვით ჩვენი აქ აშუქებს ვარსკვლავთა დასებს.

ამ მოქათქათე ნათელთაგან გაშუქებული
ღმერთშემოსილი ვარვარებდა არსება ისე,
რომ თვალნი ვეღარ შევაგებე მის ელვარებას.

„ო, ბეატრიჩე, წინამძღოლო სულზე უტკბესო,“
და მან მომიგო: „აქ დაგძლია შენ იმ სიქველემ,
„რომლის წინაშე ამაოა ყოველი ძალა.

„ჯგუფად შეკრულან ურთიერთთან ძალი და სიბრძნე,
„გზა გაუკაფავთ მათ ზეცასა და მიწას შორის,
„სადაც ამდენხანს მოელოდა, მას კაცთა მოდგმა.“

ვით ღრუბელთაგან დაიძრება ანაზდად ცეცხლი,
რომელიც ცაში განვრცობილი მანდ ვერ ეტევა
ბუნებას თვისას ეურჩება, ეწევა მიწას,

ასევე სული ჩემი ცაში გადიდებული,
აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისნი
და აღარ მახსოვს თუ რა გავხდი მე იმ წუთებში.

აღვახვენ თვალნი და მიხილე როგორი გავხდი,
შენ უკვე ნახე ისეთი რამ, რაც მოგანიჭებს
უნარს ღიმილის ჩემს სახელზე უვნებლად ჰვრეტის.

მე მივაგავდი კაცს, რომელსაც შორი წარსულის
ჩვენების კვალად წარმოდგენა მონდომებია,
მაგრამ ამაოდ თავს იტკივებს მის მოგონებით.

როცა ვუსმენდი სიტყვებს მისას ეგზომ წმინდათა,
ისე ღირსეულთ, რომ მე იგი ჩავწერე უკვე
წარსულის წიგნში და აღვბეჭდე მანდ წარუშლელად.

მე რომ სულ ყველა ის ენები მოვიშველიო,
რომელთაც ძველად პოლიმნია და სხვა მუზები
სანუკველი რძით მთა პარნასზე ასაზრდოვებდნენ,

ვერ გამოვთქვამდი მეათასედს იმ აღტაცების,
რომელიც მაშინ მე მომგვარა მისმა ღიმილმა,
და სახემ მისმა მეყვსეულად გაბრწყინვებულმა.

ვით მოგზაური ნაპრალებზე გადადის ხტომით,
ასე ვიქცევი მე სამოთხის აქ აღწერისას
წმინდა პოემის ამ ნაკვეთის მოსათავებლად.

ვინც წარმოიდგენს ტემის ჩემის ნამდვილ სიმძიმეს,
და მხრებს მოკვდავი, დაშრეტილის კაცთაგანისას,
ის არ გამკიცხავს სადმე ხელი თუ ამითრთოლდა.

ის ზღვა, რომელსაც აწ ხომალდი მიაპობს ჩემი,
არც მცირე ნახვის ასპარეზი ეგონოს ვინმეს,
არც თუ ძაბუნი მენავისგან გადასალახი.

„რისთვის მოგხიბლა მეყვსეულად სახემან ჩემმა,
„მიხედე იმ ბაღს, სად ხელახლა აყვაეებულა
„ქრისტეს სხივებით შემოსილი მცენარეული.

„ე, მანდ, ვარდია, ჰასში სიტყვამ შეისხა ხორცი,
„იქ შრომანები, სურნელების მათის წყალობით
„გზაი მართალი გაიკაფეს ზეცისკენ კაცთა.“

სთქვა ბეატრიჩემ და მარადის მისმა მორჩილმან
მე შევეცადე თვალთა მისთა ბრწყინვალებისთვის,
როგორმე თვალნი გამემართა და შემეხედნა.

და მე ვმდგარიყავ თითქოს ლეგა ღრუბლების ჩრდიღ ში,
ზედ დამცემოდეს სხივი მათგან გამოპარული,
თვალწინ დამიდგა მთელი ველი ცეცხლის ალების.

სულნი ნათელნი ზიმზიმებდნენ წინაშე ჩემსა,
ელვის ისარნი ანთებულნი ზეცის თავანში,
თუმც არ ვიცოდი მოვლინების მათის სათავე.

ო, უფლისწულო, შენ ამაღლდი ისეთ სივრცეში,
რომ შეგიძლია მომანიჭო ძალმოსილება,
საუფლოს შენის სამანების მოსახილველი.

Rosa mjtica-ამ, რომლის სახელს ასე ვადიდებ
ცისკარზე, მწუხრზე, მან განმივრცო მე მხედველობა,
რათა ვიხილო უფრო დიდი სინათლის არე.

როგორც კი თვალწინ წარმომიდგა და მომეჩვენა
დიდებითა და ბრწყინვალებით ვარსკვლავის სხივი,
რომელმაც ორთავ სამყაროში სძლია ყოველთა,

ცათა სიღრმიდან ჩამოიჭრა ალი მომრგვალო,
გვირგვინის სახის, და ზედ ვარსკვლავს გადაეფოფრა
გარს შემოკრტყა, მის გარშემო დაიწყო სრბოლა.

ამ ქვეყნიური უტკბილესი მელოდიები,
რომელნიც სმენას ჰარმონიით აჭადოვებენ,
გეჩვენებოდათ როგორც მეხის მძიმე გრუხუნი,

თუ ამ ზეციურ ლირათ ჟღერას შეადარებდით,
და ჟღერა იგი ამშვენებდა ტურფა საფირონს,
რომელიც ირგვლივ სხივს ფანტავდა საფირონისას.

„ვარ სიყვარული უტკბილესი ანგელოსების.
„ვგალობ ისევე აღგზნებული, ვით შენ გალობდი,
„როცა საშოში ჩაგესახა სასო სოფლისა.

„და ვიტრიალებ დედოფალი ცის საბრძანისის,
„ვიდრემდის მისდევ ძისა შენის ძვირფას ნატერფალს
„და ზეცის სფეროთ მიაბიჯებ ბედნიერებას.“

ასე გალობდა ნათლის დასი გარსმოჯარული
და მათ გარშემო მოზიმზიმე სულთა კრებული,
ალად აენთო და გაისმა უცებ: „მარია!“

მყისვე მანტია დედოფლური, რომელიც მოსავს
ირგვლივ სფეროებს და რომელსაც სუნთქვა ეფლისა,
უგზავნის მთიებს და აღაგზნებს ღვთიური ცეცხლით,

ისეთ მანძილზე გაიშალა და აფრიალდა,
იმ ადგილიდან, სადაც თავათ ციმყოფებოდი,
ველარ ვხედავდი მის სამანებს ამ მანძილიდან

და თვალებს ჩემსას აღარ ეყოთ იმდენი ძალი,
ალით შემოსილ დიადემას თან მიჰყოლოდა,
როდესაც იგი თავის ძისკენ მიისწრაფოდა.

და როგორც ბალღი გამომძღარი დედის ხსენითა,
ფუნჩულა ხელებს მშობლისაკენ გაიწვდის ხოლმე,
და ამნაირად გამჟღავნებს სიყვარულს თვისას,

ასე ნათელნი წვეროკინებს იწვდიდნენ ცისკენ
და ყოველ მათგანს სიხარული ზედ ემჩნეოდა,
მარიასადმი სიყვარულის გამომხატველი.

ბოლოს ისინი ჩემს წინაშე შესდგნენ მცირე ხანს,
და ისე ტკბილად იგალობეს ჰიმნი: „Regina...“
რომ ეს გალობა არაოდეს დამავიწყდება.

ბედნიერია გუთნისდედა, რომელმაც მომკა
კარგი სამკალი იქვე, სადაც დასთესა თავათ
ყველაზე მეტად შერჩეული თესლი იფქლისა.

ჩვენ აქ მივხვდებით თუ რამდენად წმინდაა განძი,
ცრემლების ნთხევით მოხვეჭილი ო. ბაბილონო,
შენს ტყვეობაში, სადაც ოქროს არ ედო ფასი.

136 აქვე ზეიმობს თავის ტრიუმფს ნაზარეველთან,
წმინდა ქალწულთან. როგორც ახალ ისევე ძველი
აღთქმის წმინდანთა წმინდა დასთან შეთანხმებულად

139 ღვთის ეკლესიის კლიტეთ მცველი, აწ პეტრე წმინდა.

## ᲛᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲗᲮᲔ

„ჰოდ, ვინცა ხართ წოდებულნი სერობად კრავის,
„რომელიც ისეთს თქვენ გაწოვებთ საჭმელს და სასმელს,
„თქვენს ნებისყოფას არ დაატყობს აროდეს შიმშილს.

4 „თუ უფლის ნებით იგიცა სჭამს აწ ნაბიჭევსა,
„რომელიც უფლის ტაბლისაგან გადმოცვენილა,
„და თუმცა იგი ჯერაც ცხოვრობს ცოცხალთა შორის,

7 „შიხედეთ აწი თუ რამდენი მას უტანჯნია,
„და მოუკალით მას წყურვილი დაუცხრომელი,
„აკი თავათ სვამთ მარადჟამულ სათავის წყაროს.“

10 ესა სთქვა დონამ და სულებმა შექმნეს ტრიალი,
ვით სფეროებმა თავათ მოძრავ ჰოლუსთ გარშემო,
კომეტათ დარად სხივთ აფრქვევდნენ დაუცხრომელად.

13 და ვით ბორბლები საათისა ბრუნავენ ხოლმე
ისეთნაირად, რომ პირველი მოსჩანს უძრავი,
და უკანასკნელს, ასე იტყვი, შესხმია ფრთენი,

16 ამნაირადვე სულნი ესე უთანასწოროდ
გარს მოტრიალე, ჩვენ გვაძლევდა საბაბს გვეფიქრა,
ყველა არ იყო თანაბარად აღტაცებული.

19 ერთი მათგანი მომეჩვენა მე უტურფესად,
მისი მთიებიც ნეტარებით ისე პრწყინავდა,
სხივოსნობითაც ყველასაგან განირჩეოდა.

22 მან ბარე სამგზის ბეატრიჩეს შემოუარა,
ისე ღვთიურად მგალობელმა. რომ მის გამოთქმას
აწ ფანტაზია ვეღარ შესძლებს ჩემი ვერასგზით.

25 მიტომ გაურბის მის აღწერას კალამი ჩემი,
არც თუ მიცდია, რადგან სიტყვა და წარმოდგენა
ამნაირ სურათს ვერასოდეს ვერ გამოსახავს.

28 „დაო ძვირფასო, შენი თხოვნა ისე სათნოა,
„იმდენი ცეცხლი სიყვარულში გამოგვიმჟღავნე,
„რომ ჩამოვცილდი მე ანაზდად სულთა გირლიანდს.“

31 ალი ნეტარი შესდგა მყისვე, გაბსნა ბაგენი
და ეუბნება ბეატრიჩეს ნაზი ჩურჩულით,
სწორედ იმ სიტყვებს რაც მე წეღან უკვე ავღნუსხე.

34 მიუგო დონამ: „ო, დიდკაცის ღიდო ნათელო,
„ვისაც კლიტენი ჩააბარა თვის საუფლოსი,
„უფალმან ჩვენმან ცოდვილთათვის განკაცებულმან.

37 „დაჰკითხე იგი, გამოსცადე შჯულის ცოდნაში,
„ჰკითხე რაც გსურდეს, რაც ეხება იმავე რწმენას,
„რომლის წყალობით დადიოდი შენ ერთხელ ზღვაზე.

40 „არ გამოსტოვო სიყვარული, იმედი, რწმენა,
„რადგანაც მზერა შენი მუდამ შესცქერის სარკეს
„სად ყველაფერი იხატება სრულის სინათლით.

43 „მაგრამ რადგანაც მხოლოდ რწმენა გაუხსნის კარებს
„ამ საუფლოსას მოქალაქეთ, სასურველია,
„მან აქ ადიდოს შენს წინაშე იგივე რწმენა“.

46 ვით ბაკკალავრი, საპაექროდ მომზადებული,
უცდის მაგისტროს, როდის მისცემს გამომცღელ კითხვას.
რათა პასუხი მიაწოდოს, და არა მსჯავრი,

49 მე მოვიკრიფე მთელი ცოდნა, როცა მადონა
ჩემი ციერი, იმ ნათელ სულს ესიტყვებოდა,
რადგან ვიცოდი თუ ვინ იყო აქ გამომცდელი.

52 და მითხრა სულმა: „სთქვი, ჰე, მონავ ქრისტესმიერო,
„რაჲ არს რწმენა?“ მივუბრუნდი მყისვე იმასვე,
ვინაც ინება ამნაირი კითხვის მოცემა.

55 შემდგომ ამისა ბეატრიჩეს მივაპყარ თვალნი,
და მან მანიშნა გულახდილად მეუწყებინა,
შემკითხველისთვის გულისთქმანი ჩემნი ანაზდად.

58 „აწ მადლმა იმან, ვუპასუხე, ვის მეოხებით
„მე აღსარებას ვაძლევ პირველს აქ მხედართაგანს
„მომმადლოს ძალი მისაცემად სწორი პასუხის.

61 „სწორედ ისევე როგორც სწერდა შენი ძმობილი,
„ვისთანაც ერთად მოაქციე ერთხელ შენ რომი,
„ქრისტეს მოძღვრებად (აზრი მისი მეჭეშმარიტა)

64 „სარწმუნოება არს საწადელ საგანთ სუბსტანცი
„და არგუმენტი უხილავთა, მეც ამნაირად
„მესმის არსობა ჭეშმარიტი სარწმუნოების.“

67 და მან მომიგო: „აზრი შენი მართებულია,
„მაგრამ თუ იცი რატომ არის ნაგულისხმევი
„რწმენა მის მიერ სუბსტანცსა და არგუმენტს შორის?“

70 და მე მივუგე: „ეს უფსკრულნი, ეს მოვლენანი,
„რომელსაც ვხედავთ ამ სფეროთა დიდ მანძილებზე
„ისე არიან მიჩქმალულნი და შეუვალნი,

73 „რომ მხოლოდ რწმენით თუ შევიძლებთ ჩვენ მათ შეცნობას,
„რწმენას ზედ ერთვის, სასოება ზესთაზენური,
„მიტომც ვიხმარე მე სუბსტანცი ამ შემთხვევაში.

76 „ამ რწმენისაგან გამომავალს მართებს გონებას
„დაუმტკიცებლად იაზროვნოს და ამიტომაც
„მე მიმაჩნია არგუმენტად იგივე რწმენა“.

79 მესმა პასუხი: „მონახვეჭი მეცნიერების,
„ქვევით, მიწაზე ასე კარგად თუ შეითვისეს,
„მაშინ სოფისტებს მოელებათ უცილოდ ბოლო.

82 ასე უბნობდა ეს ნათელი სიყვარულისა,
დასძინა ბოლოს: „როგორც წონა, ისე ხარისხი
„ამ მონეტისა შევიცანი უცილოდ სწორად,

85 „მაგრამ ესა სთქვი იგი თუ გაქვს, მართლაც ქისაში?“
და მე: „დიახაც, ისე ბრწყინავს კეთილ ნაჭედი,
მის ნატვიფრევში არ შეუვა არავის იქვი“.

88 ბოლოს გამოხდა სინათლისგან ხმაჲ მეტყველი:
„მაგრამ ეს მარქვი, თვალი იგი პატრიოსანი,
„რომელსაც ყველა სიქველენი ემყარებიან,

91 „როგორ იპოვნე?“ ვუპასუხე: „ჭეშმარიტების
„ყველა საბუთი თავიდანვე მოცემულია
„სამღვთო წერილში გინა ძველში, გინა ახალში.

„მისთვის ბუნებას არასოდეს გაჩენის დღიდან
„ჯერ არ უწვრთნია თვის ქურაში მხურვალე რვალი,
„არც თუ გრდემლს სადმე მოხვედრია ნაცადი ურო.

ახლა მომიგო: „თუ ახალმა, აგრეთვე ძველმა,
„სილოგიზმებმა დაგარწმუნეს შენ საბოლოოდ,
„როგორღა სცანი სიტყვის წმინდის ძალმოსილება“.

და მე: „ეს ცნება ჭეშმარიტი მე განმიმარტეს
„სასწაულებმა, არც ბუნებას გამოუჭედავს
„ოდესმე რვალი, არც თუ ცეცხლზე უწვრთნია იგი“.

მკითხა ნათელმა: „ეგეც მამცნე, გონება შენი
„რამ დაარწმუნა სასწაულში? განა საბუთმა?
„მერმე ისეთმა, რაც ხელახლა უნდა დამტკიცდეს?“

„თუ ქვეყანაზე დაამყარეს ქრისტეანობა
„უსასწაულოდ, მაშინ ყველა სხვა სასწაული
„ვერ შეედრება მნიშვნელობით ამ ერთს ვერასდროს.

„რადგან შენ ბაღი გააშენე მშიერ-მწყურვალმა
„და მარხვისაგან დაშრეტილმან, თუმც ეგ ვენახი
„ქარგა ხნით ადრე დაბურდული იყო კაჭაჭით“.

ეს ვთქვი თუ არა, მთელმა ხორომ იწყო გალობა:
„ვადიდოთ ღმერთი“, ისე ტკბილად, მელოდიურად,
როგორც ეს ცაში შეიძლება კაცს გაეგონოს.

ზეცის თავადმან, წმინდა პეტრემ, ვინც გამომცადა,
ისე მიშველა შტოდან შტომდე გარდანაცვლება,
რომ მივაღწიე უკვე მწვერვალს დიადი ხისას.

მაუწყა კვალად: „მადლი იგი ვინცა გონებას
„შენსას იგივე ათქმევინა რაც თვით ეწადა,
„მეც ყოველივე შევამოწმე შენს მიერ თქმული,

„მაგრამ შენ ახლა განმიმარტე აწ რწმენა შენი,
„მარქვი ვინა გწამს, აღიარე წინაშე ჩემსა
„და რწმენის შენის სათავეებს მიმაგნებინე“.

„მამაო წმინდავ, ამჟამადაც შენ ხედავ იმას,
„რომელსაც ეგზომ თაყვანს სცემდი, ჯერაც ჭაბუკი,
„ყველაზე ადრე შენ ჩახვედი მის სამარეში“.

127 ასე დავიწყე: „ახლა გწადის ამ საბრძანისში
„წარმოგიდგინო მე ფორმულა რწმენისა ჩემის
„და სათავენი, აწ მისმინე, მე გიპასუხებ:

130 „მწამს ერთი ღმერთი, ერთად ერთი, მარადჟამული,
„უწინარესი თვით მიზეზი ხმელთა და ცათა,
„სფეროთ შემძრავი მამის შენის ნებისყოფითა.

133 „ამას გვასწავლის კაცთა მოდგმას როგორც ფიზიკა,
„ამასვე გვიხსნის ყოველივე მეტაფიზიკა,
„ეს გვწამს, რადგანაც ეს გვასწავლა იმ თავიდანვე

136 „მოსემ, ფსალმუნმა, სახარებამ და ძველმა აღთქმამ,
„მოციქულების ქადაგებამ, ეპისტოლეთა,
„სადაც გონებას სული წმინდა ჰფენდა ნათელსა.

139 „მწამს მე სამება წმინდა იგი მარადჟამული
„და ერთარსება ღვთაებრივი, სამპიროვანი
„სადაც ურთიერთს ეხამება „sunt“-იც და „est“-იც.

142 „ღვთის არსებობის მისტერია როგორც გვასწავლის
„ჩვენ სახარება ღვთის მიერი ქვევით მიწაზე,
„როგორც ტვიფარი აღბეჭდილი მაჩნია მკერდზე.

145 „აი ეგ არის რწმენის ჩემის წმინდა სათავე,
„და ნაპერწკალი გარდიქმნება მგზნებარე ცეცხლად,
„დეე, იბრწყინოს მან ჩემს გულში ვარსკვლავის დარად“,

148 როგორც ბატონი საამური ამბავის მომტანს
გადაეხვევა თავის მსახურს და გაიხარებს,
როგორც კი იგი მოათავებს ამბისა თხრობას,

151 აგრეთვე მეცა მახარობლის დიდის ნათელმა,
რაკი მის კითხვებს ვუპასუხე მოუცდენელად,
დამლოცა ტკბილად, დატრიალდა ჩემს ირგვლივ სამგზის,

154 ესრეთ იამა მას პასუხი ჩემგან ნასმენი.

## ᲭᲐᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ნეტავ ოდესმე თუ შევიძლებ წმინდა პოემით,
რომელსაც ცის და დედამიწის ზედ აწევს ხელი,
(მის გამო შრომამ მე დამადნო წლების მანძილზე)

4 დავძლიო მტერნი ვინც ბოროტად დამიხშეს კარნი
იმა ფარეხის, სადაც ტკბილად მეძინა კრავსა,
მტერს იმ მგლებისა, ვინაც მბრძოდნენ დაუცხრომელად.

7 მივბრუნდებოდი უკვე სხვა ხმის და სხვა საწმისის
პოეტი, გვირგვინს დავიდგამდი იმავ საყდარში,
სადაც მომნათლეს, მირონცხება სადაც მარგუნეს.

10 იქ ვეზიარე მე უფლისა გზათა მართალთა,
რომელნიც ღვთისკენ წარმართავენ მოკვდავთა სულებს,
რისთვისაც პეტრემ ამ ნათელში დამიდო წილი.

13 ახლა მეორე აკიაფდა ჩვენ წინ ნათელი
იმ გირლიანდის, საიდანაც გამოგვეცხადა
ქრისტეს მოსაყდრე და ნაცვალი მისი მიწაზე.

16 აღტაცებული მეუბნება მადონა ჩემი:
„დახე, მხედარი, რომლის დიდი დამსახურება
„კაცს მოანატრებს გალიციის მონახულებას“.

19 ვით მტრედის მართვე გულის ტოლთან ჩამოფრენილი
ეკურკურება, ეტმასნება, ეალერსება
თავის მეგობარს, სიყვარულის დასამოწმებლად,

22 ასევე ვნახე ეს ორივე დიდი თავადი
შეხვდნენ ურთიერთს, მიესალმნენ და გაიხარნენ
და ადიდებდნენ ციურ საზრდოს ცაში მიღებულს.

25 როს დარბაზობა მოათავეს მყის ორივენი
შესდგნენ მდუმარედ და გაბრწყინდნენ ისეთნაირად,
რომ ელვარებას ვერ გაუძლეს ჩემმა თვალებმა.

28 ახლა მადონამ გაიღიმა და სთქვა შემდეგი:
„სულო ბრწყინვალევ, შენ აღავსე ოდესღაც მიწა
„ეკლესიისა მართლმორწმუნის უზადო რწმენით,

31 „ბორცვთაგან ბარად გაისმოდა ხმა სასოების
„რადგანაც მთებში შენ იყავი რწმენის სიმბოლო,
„როს სამ მოციქულს მოევლინა იესო ქრისტე.

34 „თავი ასწიე, მოიკრიბე სულის მხნეობა,
„ჩვენს საბრძანისში აქ მოსული მოკვდავთაგანი
„სხივების ჩვენის მხურვალებით უნდა დამწიფდეს“.

ეს გამხნევება მომაგება ახლა მეორემ
ნათელთაგანმა, ახლა ამ მთებს მივაპყარ თვალნი,
თვალნი მათივე სიდიადით წელან შემკრთალნი.

„რადგანაც მადლმა უზენაესს იმპერატორის
„შეგვაძლებინა ამ სოფლიდან გარდავლენამდის
„ამ საუფლოში გადაჰყროდი მის მაღალ გრაფებს,

„იმისთვის, რათა შენ, რომელსაც გაჩვენა ერთხელ
„თავის სასახლე ჭეშმარიტი, გულს ჩაგინერგოს,
„აგრეთვე სხვასაც სასოება უზესთაესი,

„მაშ განგვიმარტე აწ არსობა მისი ნამდვილი,
„ან რანაირად ჰყვავის იგი ახლა შენს გულში“.
ამას ამბობდა ის მეორე სული ნათელი.

ასულმა, ჩემმა წინამძღოლმა, რომელმაც ფრთენი
აქ მოსასვლელად მე შემასხა ანაზდეულად,
ჩემს მაგიერად მიაგება იმ სულს პასუხი:

„ამ ჩვენს მეომარ ეკლესიას არა ჰყავს შვილი,
„რომელსაც მასზე აღმატებით გააჩნდეს სასო,
„რასაც ამოწმებს ამ საუფლოს მზეჲ დიადი,

„მიტომაც დართეს მას ეგვიპტის იმ ბნელეთიდან
„ნება სიონში აქ მოსვლისა, სანამდის იგი,
„ქრისტეს მეომარ ეკლესიას გაეყრებოდა,

„ორი სხვა კითხვა, რაც შენ ჰკითხე არა იმისთვის,
„გესწავლა რამე, არამედ სხვისთვის იმ მიწაზე საუწყებელად,
„თუ როგორ დიდად მიგაჩნია შენ ეს სიქველე.

„მასვე მივანდოთ, დეე, თავათ გამოარკვიოს
„(არა მგონია ამის გამო რომ გაამაყდეს),
„დეე, უფალმა ძალი მისცეს მათ სატარებლად“.

როგორც შეგირდი გულმოდგინეთ, აუჩქარებლად,
თავისვე ოსტატს გადაუშლის საკუთარ ცოდნას,
რათა მისგანვე მოისმინოს მსჯავრის დადება,

„იმედი არის მოლოდინი გამარჯვებათა,
„რომელთაც მადლი ჩვენ გვანიჭებს შემოქმედისა
„ღვაწლთაოვის ჩვენთა“, — ვუპასუხე, თანაც განვაგრძე:

„ვარსკვლავთა მრავალთ მომაფინეს მე ეს იმედი,
„უწინარესად ვინც დანერგა იგი ჩემს გულში
„იყო მგოსანი დიდებული დიდისა ღმერთის.

„Speret in te“ ამბობს იგი თავის ფსალმუნში.
„ყოველნი სულნი, ვინც იცით სახელი შენი.
„ჩემებრ მორწმუნემ ვინ არ იცის თუ ვის ვგულისხმობ?

„შენც ისე უხვად მომაფრქვიე იპისტოლებით
„იმედის შენის ჩქერალისა უხვი შეფეკები,
„მე შემიძლია სასოება სხვას ვუწილადო“.

მე ეს ვუთხარი და ნათელი იგი ანაზდად
მთლად აცახცახდა, აელვარდა მგზნებარე ალი,
როგორც ბურუსში დაწყებული ელვათაკრთომა.

და მითხრა მერმე: „სიყვარული სიქველისადმი,
„რამაც ოდესღაც მარტვილობა ამაკიდინა,
„რის მეოხებით მე ვიბრძოდი დაუცხრომელად.

„მანიჭებს ძალას კვლავ მის გამო გაგესაუბრო,
„გეტყვი აქ სათქმელს და მერმე შენ მითხარი თავათ
„რაჲ აღგითქვა, რას დაგპირდა იმედი შენი?“

„როგორც ახალი. ისე ძველი სამღვთო წერილი,
„მიგუგე, სახავს ღვთის მოყვარე კაცთა სიცოცხლის
„ერთადერთ მიზნად საბოლოოდ მხოლოდდა სასოს

„მათთვის, იტყოდა ისაია, განმშვიდილია
„სამშობლოშივე სამოსელი უკვე ორმაგი,
„სამშობლოდ უნდა ვიგულისხმოთ სასუფეველი.

„და ძმამან შენმან აღგვიწერა გამოცხადება
„ჩვენ უფრო წვრილად, კაცნი იგი კრავის წინაშე
„მდგარნი თხემიდან ტერფებამდის თეთრად მოსილნი.

შემდგომ ამისა, შემოგვესმა ძალლიდან ხმაჲ:
„Speret in te“ და იმ მროკველ ნეტართაგანი
ყველა ერთბაშად ამ გალობას გაეხმაურა.

ისეთი დიდი ელვარება გამოხდა შემდეგ,
ამისმაგვარი თავათ კირჩხიბს რომ დაჰყოლოდა,
ზამთრის თვე მაშინ იქნებოდა მხოლოდ ერთი დღე.

და ვით ასული იწყებს ცეკვას შეუჭირვებლად,
არც თუ ქორწილში ხელოვნების გამოსაჩენად,
არამედ ამ გზით ახალ სასძლოს დასდოს პატივი,

ასევე ვნახე მოდიოდა სული მაღლიდან,
ამ ორ ნათელთან, ტრიალებდა დაუცხრომელად
მათთვის მხურვალე სიყვარულის დასამოწმებლად.

და მათთან ერთად ელვარებდა. თანაც გალობდა.
მადონამ ჩემმა მიანათა ამ ნათელს თვალნი,
იდგა მდუმარედ და უძრავად ვით პატარძალი.

„ეგ იყო იგი. ვინაც მკერდზე მიიყრდნო ვარხვმა
„მას დაეკისრა უდიდესი მოვალეობა.
„როდესაც სული განუტევა ჯვარზე გაკრულმა“.

ეს სთქვა მადონამ. როცა იგი ამბობდა აძას,
ისე შემდეგაც შესცქეროდა ნათელს პირდაპირ,
მზად იყო მისგან მოესმინა საუწყებელი.

ვით კაცს, რომელიც მზეს ხანგრძლივად მიაშტერდება,
რათა შეატყოს დაბნელება მოსალოდნელი,
დიდხანს ჭვრეტისგან დაეკარგოს თვალისა ჩინი,

მეც ასე ჭვრიდა ამ სინათლის დიდხანს მზერისგან
და მესმა ხმაჲ: „რისთვის იღლი თვალს სანახავად,
„ისეთი რამის რაც ნამდვილად არც კი არსებობს?

„მიწაზე მიწად გადაიქცა ჩემი სხეული
„და იქ დარჩება სანამ უფლის განჩინებითა
„არ შეივსება აქ ნეტართა რიცხვი სრულიად.

„ცად ამაღლება წილად ერგო მხოლოდღა ორთა,
„ორთავ ორმაგი ზედეე ეცვათ ტანისამოსი,
„ეს განაცხადე თქვენს მიწაზე საყოველთაოდ“.

ეს ითქვა მხოლოდ, გირლიანდი ალმოდებული
შესდგა ანაზდად, გაინაბა სულ სამეულიც,
დადუმდა ჰიმნი და შესწყვიტეს გალობა ისე,

ვით მენიჩბენი ფლატეების, ან დაღლის შიშით
შეაყენებენ ერთობლივად თავიანთ ნიჩბებს,
როგორც კი სტვენას უფროსისას გაიგონებენ.

136 ჰოდ, რარიგად მღელვარებდა გონება ჩემი,
როს მოვიხედე ბეატრიჩეს დასანახავად
ვეღარ ვიხილე სასურველი, პირმშვენიერი

139 თუმც მასთან ვიყავ, ამ კურთხეულ ღვთიხ საბრძანისში.

## ᲥᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

შემკრთალი ვიყავ: თვალის ჩინი არ დამვსებოდა
ამ დროს ბრწყინვალე ალისაგან, რომელმაც მზერა
ჩემი დაშრიტა, შემომესმა ხმა უცნაური:

4 „სანამდის ისევ მოგეცემა უნარი ხედვის,
„რომელიც ჩაჰქრა ალის ჩემის ბრწყინვალებისგან,
„მზერის დაკარგვა მასლაათით შევამსუბუქოთ.

7 „აბა, დავიწყოთ, რას მიელტვის მაშ სული შენი.
„თანაც გახსოვდეს მხედველობა არ დაგიკარგავს,
„მხოლოდ შემკრთალი დაგისუსტდა მზერის უნარი.

10 „იცოდე თვალებს იმ ქალისას, ვინც შენ გიძღოდა,
„ამ საბრძანისში აქვს ისეთი ძალმოსილება,
„რაც ანანიას აღმოაჩნდა პავლეს გამკურნველს.

13 „დეე განკურნოს თვალნი ჩემნი, მივუგე მყისვე,
„აღრე თუ გვიან ვინც ჩემივე თვალის სარკმლიდან
„გულში ჩამინთო ალი მარად დაუშრეტელი.

16 „სიქველე იგი, რაც იფრქვევა აქ სფეროებში
„გახლავს იმ წიგნის სანუკველის ანი და ჰოე,
„სად სიყვარული შევიცანი სხვადასხვაგვარად“.

19 და ხმად იგი ვინც გაფანტა ძრწოლა ჩემს გულში
ამ მხედველობის უეცარად დაკარგვის შემდეგ,
მე შთამაგონა საუბარის კვალად განგრძობა:

22 „ხამს უფრო წვრილად აზრი შენი გასცრა საცერით,
„იგიც მაუწყე რანაირად შემართე მშვილდი
„ნებისა შენის ამ მიზანთა მისაღწეველად?“

25 მე ვუპასუხე: „ნააზრევმა ფილოსოფოსთა
„და ხმამან ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოღწეულმან,
„მათ ამოტვიფრეს სიყვარული იგი ჩემს სულში.

28 „რამდენსაც უფრო მეტს შეიცავს სიქველე იგი
„სიკეთეს თავათ (ეს ჩვენც ვუწყით ცდის მეოხებით),
„იგი მით უფრო მომეტებულს სულს აწვდის საზრდოს.

31 „ეს სიქველენი ისე უხვად აჯილდოებენ,
„რომ ყოველივე, მის გარეშე მდებარე ნიჭი,
„არს ათინათი ზენარულის შუქთაფენისა.

34 „ჰეშმარიტება ჩამინერგა ესევითარი
„მან, ვინც მასწავა, მარადჟამულ სუბსტანციებში
„ეს სიყვარული ითვლებაო უპირველესად.

37 „და შემომქმედმაც უცდენელმა, უზესთაესმან
„მამცნო როდესაც მოსეს უთხრა ასეთნაირად:
„მე გაჩვენებო უცილობლად სიკეთეთ ჩემთა“.

40 „გვასწავე შენაც, როს ყველასთვის ჰყავ საცნაური
„უზენაესი მისტერია, კაცთ საგულისხმოდ
„ყველაზე მეტის მონდომებით, მჭევრმეტყველებით.

43 „და მესმა ხმაჲ მეოხებით კაცთა გონების,
„და სახარების შთაგონების მეოხებითაც,
„უზენაესი სიყვარული მიაგე უფალს.

46 „მარქვი, სხვაგვარი რა გაერთებს მასთან შენ ლარი,
„ჩამომითვალე სათითოოდ ყველა მათგანი,
„რაც სიყვარულთან ღვთაებრივთან გაერთიანებს“.

49 ვყავ საცნაური აწ ზრახვანი ქრისტეს არწივის,
ისიც შევიცან თუ რა სურდა მას გაეგონა,
როცა ხელახალ აღსარებას მე მას ვეტყოდი.

52 „იგი რაც ღვთისკენ მიაქანებს გულს და გონებას,
ასე მივუგე, „არს ნაშობი სიყვარულისა,
„რომელმაც გული მე აღმივსო ღვთიური ცეცხლით,

55 „არსობა ჩემი და სამყაროს სრულიადისა,
„სიკვდილი მისი (დეე მასთან გავცოცხლდე მეცა),
„ყოველი სასო მართლისა და მართლმორწმუნისა,

58 „ბოლოს სიქველის შემეცნების ცხოველი ძალა,
„ყველაფერი ეს მცდარ გრძნობათა ზღვის წიაღიდან
„მიმაქანებდა სიყვარულის კანდელისაკენ.

61 „იმ ზომად მიყვარს მე იმ ბაღის ფურცლოვანობა,
„მარადიული მებაღისგან გაშენებულის,
„რა რომ სიკეთით შემომქმედმა შემოსა იგი“.

64 ეს ვთქვი თუ არა, მყის გაისმა ტკბილი გალობა
ცათ საუფლოში და მადონამ წამოიძახა:
„წმინდა არს. წმინდა არს, წმინდა არს“...

67 როგორც მზის სხივი თვლემისაგან გამოგვაფხიზლებს,
ხედვის უნარი უეცარად განგვიახლდება,
როდესაც შუქი ქუთუთოებს გაატანს მკაცრი,

70 და დანახული კაცს შეაკრთობს მოულოდნელად,
და ძილნასვამი ვერ იგონებს გარემოს ჩვეულს,
სანამ გონება არ უშველის მეხსიერებას,

73 ასე მადონამ განმიფანტა ირგვლივ ბურუსი
თავის ბრწყინვალე, მოელვარე შემოხედვითა,
რომელიც ათას მილიაზე წვდებოდა საგნებს.

76 ახლა ყველაფერს უფრო ნათლად ვჭვრეტდი თვალებით
და ვკითხე დონას, განემარტა, ეუწყებინა
მეოთხე ალი თუ ვინ იდგა ჩვენს სიახლოეს.

79 სთქვა ბეატრიჩემ: „ამ ნათელის ელვარებაში
„ზეიმობს სული პირველქმნილი, რომელიც უფალს
„ყველა არსებათ უწინარეს ჰყავდა შენაქმნი“.

82 ვით ქარიშხალი შტოს შეარყევს მაგრამ ამაოდ,
ძირს დაზნექილი იმართება იგი ხელახლა,
კვლავ შემოტევას დრეკადობით მოიგერიებს,

85 მეც დამაღონა მისგან თქმულმან, თავდაპირველად,
მაგრამ გავმხნევდი, მოვიკრიბე ისევე ღონე,
რადგან მომინდა პირველ კაცთან გასაუბრება.

88 ვუთხარ: „ნაყოფო, ვინაც შეგქმნა სიმწიფის ჟამზე
„მიწამ, ო, პაპავ უძველესო, ყველა ცოლების
„შენ ითვლებოდი მამამთილად ყოველჟამს, დღემდის.

91 „გვედრი მაღირსო მე პასუხი ისეთი კითხვის;
„რომელსაც ალბათ უჩემოდაც კარგად მიხვდები.
„რადგანაც მალე მსურს ვისმინო ხმა სასურველი“.

94 როგორც ცხოველი ატოკდება ზედსაფენის ქვეშ
და შეტოკება მატერიის აუწყებს მჭვრეტელს
ცხოველის ტანის მოძრაობას ყოველნაირსა,

97 ასევე სული პირველქმნილი მე მაუწყებდა
ცეცხლის ალიდან გამონაკრთომ სიხარულითა,
რომ მას ეწადა აღსრულება წადილის ჩემის.

100 გამოხდა ხმაჲ: „ვიდრე სურვილს შენ გამოთქვამდე
„მე ვჭვრეტ წინასწარ ზრახვათ შენთა საფარველიდან,
„და გულის წადილს, თუმცა თავათ სდუმხარ მათ გამო.

103 „ვჭვრეტ ყოველივეს იმ უტყუარ სარკის წყალობით,
„რომელიც გაძლევს უკუკრთომას ყოვლის მოვლენის,
„თუმც სხვა საგანი მის ათინათს არსად იძლევა.

106 „შენ გსურს გაიგო თუ რა ჟამმა განვლო მას შემდეგ,
„რაც ჩამასახლეს მე იმ ბაღში, რომელიც დონამ
„გამოგატარა, ამ სფეროში ზეამოსვლამდე.

109 „რამდენ ხანს ჭვრეტდნენ სანუკველ ბაღს თვალები ჩემი,
„ან და რა იყო შემომქმედის რისხვის მიზეზი,
„ან რა ენაზე ავმეტყველდი თავდაპირველად?

112 „იცოდე, შვილო, გამაძევეს მე სამოთხიდან
„არა იმიტომ, რომ ვიგემე ნაყოფი იგი,
„არამედ რადგან გადავლახე დათქმული მზღვარი.

115 „სწორედ იმ ადგილს, სადაც დონამ იხმო ვირგილი,
„დავყავი ბარე ოთხი ათას სამასი წელი,
„ორიც მიქცევა უკუნეთში მზის ელიპსისა,

118 „ცხრაას ოცდაათ წელს ვუმზერდი სხვა პლანეტთ შორის,
„მოქცევას მზისას წელიწდეულს, როდესაც, შვილო,
„ვცხოვრობდი ცოდვილ დედამიწის ჰემისფეროზე.

121 „ენა, რომელსაც მე ვხმარობდი სალაპარაკოდ,
„მოკვდა ვიდრემდის ნათესავი ნებროთიანთა
„განიზრახავდა ბაბილონში კოშკის აგებას.

124 „რადგან ყველაფერს მომდინარეს თქვენი სულიდან
„წარმავალობა თან დაჰყვება იმ თავიდანვე.
„რაკი ბუნებას კაცობრიულს განაგებს ზეცა.

„ენას ბუნება მიანიჭებს მოდგმას კაცისას,
„მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს მეტყველება
„ამას განგება განაწესებს, განაგებს თავათ.

„ვიდრემდის ჯურღმულს ვეწვეოდი ჯოჯოხეთისას,
„ელ“ ერქვა უფალს, ჩვენს შემომქმედს ზესთაზენარულს
„ვინც სიხარულის საფარველით შემმოსა მეცა.

„შემდგომ ამისა „ელი“ ყოფას ეწოდებოდა,
„რადგან იცვლება კაცთა ყოფა მსგავსად ფოთოლთა,
„ერთნი წავლენ და სხვანი მოვლენ ისევ მიწაზე.

„ყველაზე მაღალ მთის მწვერვალზე დავყავ უმწიკვლომ
„შემდგომ ამისა ცოდვით სავსემ გარიჟრაჟიდან,
„კიდევ შვიდ საათს დამაყოვნეს მე სამოთხეში.

„სწორედ იმ დრომდის როდესაც მზე იცვლის ციფერბლატს“.

## ᲫᲔᲒᲐ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

„Al Padre, al Figlio, allo Spirito Santo“...
მთელმა სამოთხემ ააყოლა ამ ხმას დიდება,
მომაჯადოვა ამ გალობამ ანაზდად მეცა.

და ყოველივე რაც ხდებოდა აქ ჩემს წინაშე
მეჩვენებოდა მე სამყაროს მთელის ღიმილად,
რომელმაც ეგზომ დაატყვევა ჩემი გონება.

ოჰ, სიხარულო, აღტაცებავ გამოუთქმელო,
ო, სიყვარულო, უდრტვინველი ტკბილი დღეების
ჰოდ, უნაღვლო ნეტარებავ, აუმღვრეველო.

ოთხი ნათელი იდგა ჩემს წინ გაბრწყინვებული
იგი, რომელიც მომევლინა ყველაზე ადრე,
უცებ, ყველაზე უფრო მეტის აენთო შუქით.

ბოლოს, ისეთი გახდა იგი ანაზდეულად
როგორიც მაშინ იქნებოდა იუპიტერი,
როცა მარიხის მიიღებდა ფერს, ანავობას.

განგებამ, ვინაც ანაწილებს ზეცაში როლებს,
მყის დაადუმა ხოროები ყოველ კუთხეში,
სდუმდნენ ნეტარნი და მომესმა ამ დროს ანაზდად:

19 „ნუ გაგაოცებს საოცრება ესე ვითარი
„მე რომ ფერს ვიცვლი, აწ იგივე მოუვა ყველას,
„ამას იხილავ სანამ მე აქ ვილაპარაკებ.

22 „ვინც მიიტაცა თქვენს მიწაზე ადგილი ჩემი,
„ჩემი ადგილი, ჰო, დიახაც, რომელიც ახლა
„უფლის წინაშე უმოსაყდროდ არს დაშთენილი,

25 „გადააქცია დაბახანად საფლავი ჩემი
„სისხლით და ობით შეთითხნილად, იშვებს ის მხეცი,
„ვისაც მოელის ჯოჯოხეთის ბნელი ჯურღმული“.

28 ახლა ვიხილე ცას გაეკრა ისეთი ფერი,
როგორც მიაგებს მზეჲ ღრუბლებს დილას — საღამოს,
ზეცის თავანი აელვარდა და შეიფაკლა.

31 როგორც ქალწული გაურყვნელი, კდემამოსილი,
მოისმენს ხოლმე მღელვარებით, ელდის ცახცახით
სხვისგან ჩადენილ უზნეობის უტიფარ ამბავს,

34 მადონაც ჩემი, ამ თქმისაგან ისე აიმღვრა,
ასე მეგონა მოიღუშა ამგვარად ზეცა,
როცა გოლგოთას მიავლინეს მეუფე ჩვენი.

37 ნათელი წმინდა განაგრძობდა კვალად მოთხრობას,
და ხმაჲ მისი უფრო მეტად იყო შეცვლილი
ვიდრე ის ცეცხლი, რაც ზედ ჰქონდა შემოგზნებული.

40 „ქრისტეს სასძლოჲს გულისათვის სისხლი დავღვარეთ
„მე, ლინმა, კლეტმა არა მისთვის რომ მოგვეხვეჭა
„ოქრო და ვერცხლი, ან დიდება რამენაირი;

43 „არამედ მისთვის, ამ ლხენაში დაგვედო წილი,
„პიუსი, სიქსტი, კალიკსტი და პაპი ურბანი,
„ყველა სისხლს ღვრიდა რწმენისათვის ეგზომ გვემულნი.

46 „ჩვენ არ გვნდომია, რომ მორწმუნე მას ქრისტეანნი,
„ზოგი მხარმარცხნით შემოესხა, ზოგიც მხარმარჯვნით
„ტახტისა ჩვენის მიმტაცებელს, ვითომდაც მსაჯულს;

49 „არც თუ კლიტენი, რომელიც მე გადამაპირეს
„საომარ ნიშნად იმ დროშებზე ეტარებინათ,
„მათ ვინც ქრისტეანთ აუტეხა ფიცხელი ომი.

„არც ჩემი სახის ტვიფარებად გამოყენება,
„მატყუარების სიგელებზე მისი აღბეჭდვა,
„რის გამოც ახლაც მიწითლდება დარცხვენით ღაწვნი

„ყველა სამწყოში ზეციური მოსავთ სამოსი,
„მწყემსო შენ ვითომ, თავათ მგელო უბოროტესო
„ჰოდა, უფალო, გაიელვოს მახვილმა შენმა.

„იგი ბოროტი გასკონელი და კაჰორელი
„ემზადებიან უკვე სისხლის ჩემის სახვრეპად.
„შეხეთ ავ ნაყოფს გამოლებულს. კარგ ყვავილისგან!

„მაგრამ განგება, ვინც სამყაროს სასიქადულოდ,
„სციპიონის ხმლით რომს დიდებულს იცავდა ერთხელ,
„ვგონებ კვლავ აღსდგა, სადაცაა მოგვეშველება.

„და შენაც, შვილო, როს სხეული შენი მოკვდავი
„კვალად მიბრუნდეს თქვენს მიწაზე. აღახვენ ბაგე.
„არც შენ დამალო, რაც მე თავათ გამოვამჟღავნე“.

ვით ღრუბლის ორთქლი გაყინული ამ ჩვენს ჰაერში,
სცვივა ფრთილებად, როცა ვერძი თავისი რქებით
მზეს მიეწევა, შეეხება მნათობს ზეციერს.

ასევე ვნახე მე, ეთერი როგორ გაივსო,
ფრთილების დარად მოციალე ნათელ სულებით,
რომელთაც ჩვენთან დააყოვნეს ამდენი ხანი.

მათ მოძრაობას ვადევნებდი მე თვალს მანამდის,
სანამ ისინი მიაღწევდნენ სამანს ზეციერს,
რომელიც მზერის ჩვენისათვის არის ნაკრძალი.

რა ნახა დიდხანს ამგვარ ჭვრეტით ვიყავ გართული,
„დახარე თვალნი, მითხრა დონამ, უფსკრულეთისკენ,
„და დაინახე რაოდენი განვლე მანძილი.“

მას შემდეგ რაც მე გადავხედე პირველად მიწას,
შევნიშნე უკვე გამივლია თურმე ის რკალი.
პირველ კლიმატის ნახევრიდან დასასრულამდის.

მე ვნახე გზაი ოდისევს. კადიქსის მხრიდან,
იმ ნაპირამდის. საიდანაც ერთხელ ევროპა
ფრიად საამო, გახდა ტვირთი მომტაცებლისა.

კიდევ ბევრ რამეს შევნიშნავდი ამ ჩვენ მიწაზე,
მაგრამ ჩემს ქვევით წინ გაესწრო უკვე ცის მნათობს,
მეტი მანძილი ვიდრე ერთი ნიშნის ოდენი.

ხელქმნილი სული აღტაცებით დონას მჭვრეტელი,
ახლა იწვა და მომეტებით ცეცხლმოდებული
და ესწრაფვოდა კვლავ შეხედვას სასურველისას.

ყველაფერი ის, რასაც ქმნიან ხოლმე ბუნება,
ან ხელოვნება კაცთა მზერის მოსახიბლავად
სინამდვილეში, ან მხატვრობის ნაზი ფერებით,

ეს ყოველივე თუნდაც ერთად შეხამებული,
ვერ შეედრება აღტაცებას მომჯადოებელს,
რომელსაც მისი გაღიმება მომაგებებდა.

ძალმოსილებამ, მზერის მისის მონიჭებულმან,
მე გამიტაცა პირმშვენიერ ლედას ბუდიდან
და გადამტყორცნა მე უსწრაფეს სფეროებისკენ.

ყველა კიდენი შემოსილნი იყვნენ მთიებით,
ისე თანაბრად, რომ ვერ შევძელ გამომერჩია,
რომელი ერთი მიეპინა ჩემთვის მადონას.

მაგრამ მას ჩემში შეემჩნია ფერნამკრთალობა,
და შემესიტყვა ისე ტკბილი, ტკბილი ღიმილით,
რომ თავათ ღმერთი მის სახეზე აღბეჭდილიყო.

„ბრუნვის ბუნება შუაგულში ძვრას მოკლებული,
„რომელიც ყველას თვის გარშემო აბრუნებს ხოლმე,
„იძვრის აქედან და აქ აროის დაძვრის სამანი.

„უსწრაფესია ამ ცის ბრუნვა, კიდევაც მასში
„ცხოვრობს ღვთის სული სიყვარულის აღმაგზნებელი
„და ძალი მისი ამოძრავებს აქ ყოველივეს.

„ამ რკალს გარს ერტყმის სიყვარული, სინათლის ძალა
„ისევე როგორც რკალი იგი სამყაროს მთელსა,
„ამ რკალს შეიცნობს ისევ მისი დამფუძნებელი.

„სისწრაფეს მისას სხვა სათავე არ გააჩნია.
„მაგრამ დანარჩენ რკალთა ზომა მასში თავსდება,
„ისე ვით ათში მოთავსდება ორი და ხუთი.

„რა ფესვებს იყრის ახლა დროი ამ ნიადაგში,
„მისი ფოთლები და ყლორტები ვით გადასულან
„სხვა სფეროებში, ამას შენაც მიხვდები თავათ.

„ჰოდ სიხარბევ მომაკვდავთა, ისე ატყვევებ
„შენ კაცთა თვალებს, რომ არავის არ შესძლებია
„შენი ბობოქარ ზვირთებისთვის ეძლია მკლავით.

„ხომ აყვავდება ხოლმე კაცში ნება კეთილი,
„მაგრამ წვიმანი უწყვეტელნი წამოვლენ თქეშად
„და კვირტებშივე დააზრობენ ნაყოფთ სიქველეს.

„უბიწოებას მხოლოდ ყრმათა შორის თუ ნახავთ,
„მაგრამ ისინიც ფუჭდებიან ანაზდეულად,
„როცა ბაგეზე შეახმებათ ხსენი დედისა.

„სანამდის ენა ეჩლიქებათ, იცავენ მარხვას,
„მაგრამ როგორც კი აიდგამენ ისინი ენას,
„ყოველგვარ საზრდოს განურჩევლად ეძგერებიან.

„სანამდის ენა ეჩლიქებათ მათ უყვართ დედა,
„მას პატივს სცემენ, მაგრამ უკვე წამოჩიტულთა
„უკვე საშუროდ მიაჩნიათ მისი სიკვდილი,

„ასე შავდება თეთრი კანი ტურფა ღაწვებზე
„იმ ასულისა, ვისაც დღისით თან მოაქვს ჭაღი
„და საღამო ჟამს თან წაიღებს შუქის სათავეს.

„ნუ გაგაოცებს ეს ამბები ამიერიდან,
„ეგეც იცოდე ქვეყანაზე არ სუფევს მეფე,
„მიტომც მრუდე გზას დასდგომია კაცობრიობა.

„მაგრამ ვიდრემდის იანვარი ასცდება ზამთარს,
„თქვენში, მიწაზე ამ მეასედს არად აგდებენ,
„ეს სფეროები ისეთნაირს შეჰქმნიან ქუხილს,

„რომ ის გრიგალი, რომელსაც თქვენ ელით აძდენ ხანს,
„ისე უეცრად შეაბრუნებს საჭეს გემისას,
„რომ ფლოტი თქვენი მიაშურებს პირდაპირ მიზანს

„და კეთილ ყვავილს ნაყოფიცა მოჰყვეს კეთილი“.

როს განაჩენი თვისი დასდო ჩვენს საუკუნეს,
ცოცხალ მოკვდავთა საგულისხმოდ მადონამ ჩემმა,
ვინც აღმავლინა მე სამოთხის ამ საბრძანისში;

და ვითა კაცი, ვინც შენიშნა თავის ზურგს უკან
სარკეში სხივი ფაკელისა, რომლისა შუქით,
მოულოდნელად გაიფანტა გარშემო ბნელი,

მობრუნდეს მერმე კაცი იგი და დაინახოს
ერთბაშად ორი სასანთლენი მოკიაფენი,
მიმსგავსებულნი ვით სიმღერის სიტყვა და ტაქტი.

ასევე მახსოვს, მოვიქეცი მეც აგრე რიგად,
როცა ვიხილე ელვარება იმ თვალებისა,
სადაც ამურის დანაგები მიცდიდა ბადე.

როცა მას სახე ავარიდე, ვიხილე მზერით,
იგი, რასაც ჩვენ ვხედავთ ხოლმე აღტაცებულნი,
როს ზეციერი ხოროების გვესმის გალობა,

აჰა, ვიხილე ალმასივით მბზინავი სხივი,
ისეთი მძაფრი რომ მისივე ათინათიდან
მყისვე დავხარე თვალთა ჩემთა ქუთუთოები.

მოცულობითაც ისე მცირე იყო ეს სხივი,
მის სიახლოვეს თვით ვარსკვლავიც გამოჩნდებოდა,
ისე ვით მთვარე ვარსკვლავებით გარემოცული.

ისეთ მანძილზე, რომელზედაც ჩვენ ვამჩნევთ ხოლმე
მთოვარისა და მზის გარშემო წრეს შემოვლებულს,
როცა ღრუბლების გარს არტყია მნათობებს სქელი,

და რკალი იგი ანთებული, ცეცხლებრ მგზნებარე,
ბრუნავდა ირგვლივ, უსწრაფესად ვიდრე სხვა ცაჲ,
ამ სფეროების საბრძანისში გარს მოარიალე.

ამ რკალს მეორე გარს უვლიდა აგრეთვე რკალი,
იმას მესამე და მესამეს — უკვე მეოთხე,
მას კი — მეხუთე და მეხუთეს — ირგვლივ მეექვსე.

31 ამ უკანასკნელს კი მეშვიდე ისეთ მანძილზე,
რომ თვით შიკრიკი, მალემსრბოლი იუნონასი
ვერ დაიტევდა მას სივრცეთა თავის წიაღში.

34 რკალსა მას მერვეს ირგვლივ ერტყა სხვა რკალი — მეცხრე
ყოველი რკალი ისე ზანტად ბრუნავდა ირგვლივ
რამდენი სივრცეც რკალებს შორის დარჩენილიყო.

37 ის რკალი სჩანდა აღგზნებულად ყველაზე მეტად,
რაც ნათელს წმინდას სხვაზე მეტად მეახლებოდა,
მიტომც ბრწყინავდა უდიდესის ნათლის სავსებით.

40 რა დამინახა დაღვრემილი, ფიქრში გართული,
მითხრა მადონამ: „ეს წერტილი არს გამგებელი,
„როგორც ბუნების, ისე ცათა საბრძანისისა.

43 „ნახე წრე იგი, მის მომიჯნე უახლოესი,
„ეგეც იცოდე, ბრუნავს ასე თვალმიუწვდენად,
„რომ სიყვარულის ალისაგან არს აღგზნებული.“

46 და მე: „ქვეყანაც რომ ამრიგად წარმართულიყო,
„როგორც მე აქ ვეჭვრეტ სფეროების ამ საბრძანისში,
„შენი ნათქვამი იქნებოდა ჩემთვის სარწმუნო.

49 „მაგრამ გრძნობათა სამყაროში სჩანან საგნები
„უფრო ღვთიურად, რამდენადაც მომეტებულად
„შორს გვეგულება სამყაროის ჩვენის ცენტრიდან.

52 „თუ გსურს აღსრულდეს აქ წადილნი ჩემნი სრულიად,
„ამ გასაოცარ, ანგელოსურ ტაძრის წიაღში,
„რომელსაც ირგვლივ სიყვარულის მიჯნავს სამანნი,

55 „უნდა მაუწყო რატომ აგრე განსხვავდებიან
„ქვევით ნატვიფრი, ხოლო ზემოდ თავათ ტვიფარი,
„რასაც გონება აქამდისაც ვერ მიწვდა ჩემი?

58 „კვანძი იოლად რომ ვერ გახსნეს თითებმა შენმა,
„მე ეს არ მიკვირს, არც უცდია სხვას მისი გახსნა,
„მიტომც აქამდის იყო აგრე გადანასკვული“.

61 ეს მითხრა დონამ და დასძინა: „ხამს დაუკვირდე
„თუ ეს გსურს იჭვნი საბოლოოდ შემოგეფანტოს.
„შემდგომ ამისა შეგიძლია იმსჯელო თავათ.

„მატერიალურ სფეროების იქმნება რკალი,
„ვიწრო, ხან ფართო, ეს ჰკიდია სწორედ იმაზე,
„თუ რაოდენი სიქველენი თავსდება მათში.

„დიდი სიქველე სიკეთესაც წარმოშვებს დიდსა,
„მეტ ძალას მეტი დასჭირდება უთუოდ რკალი,
„თუმც ნაწილები თანაბარად იყოს სრულქმნილი.

„მიტომც ის რკალი, სამყაროსთან ერთად მოძრავი,
„უთანაბრდება მოძრაობის თვისის იერით
„ყველაზე მეტად გულმეცნიერს, მოსიყვარულეს.

„ასე რომ, თუ შენ განიხილავ ამ წრეთ სიქველეს,
„არა თუ მარტო მოცულობას გარეგნულს მათსა
„ამა სუბსტანცებს, მიმსგავსებულთ ამ სფეროებთან,

„ალბათ შენიშნავ გასაოცარ ურთიერთობას
„დიდსა და დიდსა, მცირეოდენს და მცირეოდენს,
„ყოველ ცასა და მის აღმძვრელ გონებას შორის.“

როგორც ჰაერის ჰემისფერო აელვარდება,
როცა ბორეა იმ ლოყიდან ამოისუნთქავს,
რომლისგან სიო უნაზესი გამოდის ხოლმე,

იგივე დაფხრეწს და გაფანტავს ღრუბლების რიდეს,
გადაიკარებს და ლაჟვარდი გაბრწყინვებული
ცას გადააკრავს უეცარად ღიმილს ბროლისას,

იგივე მოხდა ჩემს სულიერ სამყაროშიაც,
როს ბეატრიჩემ შემაჯერა ნათელ პასუხით,
და ვარსკვლავივით გამიღიმა ჭეშმარიტებამ.

როგორც კი დონამ მოათავა სათქმელი თვისი,
ვით ნაპერწკლები გაღვივებულ, ნაწრთობ რვალიდახ
ირგვლივ აენთნენ სფეროები ცეცხლმოდებულნი.

წინწკლები წინწკლებს ზედ დაერთვენ, ალი ალს მისწვდა,
და ნაპერწკლები გახდნენ ასჯერ უფრო მრავალი,
ვიდრე უჯრედნი ჭადრაკების ორმაგ ფიცარზე.

„ოსანა“-ს ხმაი მყის მოედო ირგვლივ ხოროებს,
იმ მყარ პუნქტამდის, რაც ამაგრებს ახლაც სფეროებს,
გაჩენის მათის პირველ დღიდან უკუნისამდე.

და მან ვინც მცირე იჭვსაც ჭვრეტდა მუდამ ჩემს სულში,
მითხრა: „იცოდე მეწინავე ამ ხოროებში
„გეგულებოდეს ქერუბიმნი და სერაფიმნი.

„მიტომც სწრაფია აღმაფრენის მათისა ძალა,
„იმ პუნქტს ისინი შეერწყმიან შეძლებისამებრ,
„რამდენად მეტად სპეტაკი აქვთ ძალა ჭვრეტისა.

„მათ ირგვლივ მდგომნი აქ ზეცაში იწოდებიან
„ტახტად ზეციერ მეუფების თვალთა წინაშე,
„რადგან ისინი ასრულებენ სამეულს პირველს.

„რაც უფრო ღვივის სიხარულის ანთება მათში,
„მით უფრო მეტად ჩასწვდებიან ჭეშმარიტებას,
„რომელიც სულებს მიანიჭებს ნათლის სავანეს.

„ეგეც იცოდე, ჭვრეტაშია ბედნიერება,
„მას ნუ ეძიებ სიყვარულში შენ ნურასოდეს,
„რადგან ეს გრძნობა ისახება ჭვრეტის შედეგად.

„ხოლო ის ჯილდო, რასაც კაცი მოიხვეჭს ხოლმე,
„ციური მადლის და სიქველის მეოხებითა,
„არის საზომი ამგვარ ჭვრეტის ჩვენის უნარის.

„ის სამეული, მარადიულ ამ გაზაფხულზე,
„ვინც ასე აჩენს ამ ბაღნარის მშვენიერ კვირტებს,
„რომ მათ ვერასდროს გააშიშვლებს თხის რქაჯ ღამით,

„გალობს მარადჟამს უწყვეტელად იგი „ოსანას“
„სამივე, ხორო აღგზნებული უცნაურ ვნებით
„და სიხარული სამივესი დვრინავს ერთბამად.

„სამი ღმერთქალი იმყოფება ამ დასთა შორის,
„სამთავროები, სიქველენი, რიცხვით მეორე,
„ხოლო მესამედ იგულისხმე ხელისუფალნი.

„მთავარ ანგელოსთ დაინახავ პირველ ორ დასში
„სამთავროებსაც და მესამეს მხარს უმშვენებენ
„ანგელოსები მგალობელნი უფლის მიერნი.

„ყველა ესენი მწვერვალისკენ იმზირებიან,
„თუმც ზეგავლენას ქვემოურთაც არ მოაკლებენ,
„ზენარისაკენ აღზევებას ურჩევენ სხვათაც.

„და ანგელოსთა წმინდა ყოფამ ისე ძლიერად
„თვით დიონისეც გაიტაცა მას ჟამსა შინა,
„რომ ჩემებური განრიგება მან დააწესა.

„თუმცა გრიგორი მას ოდესღაც გაეპაექრა,
„მაგრამ როდესაც მას უფალმან აღუხვნა თვალნი,
„მას სასაცილოდ არც კი ეყო თავის ნაწერი.

„ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ
„ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა,
„ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო.

„აქ მან მრავალი სხვა სიმართლეც ჰყო საცნაური“.

## ქება ოცდამეცხრე

როცა ქალ-ვაჟი ლატონასი შევლენ თხის რქაში,
აგრეთვე სასწორს თანაბარად მიეწევიან
გარს მოერთვება ჰორიზონტი მათ ქამრის დარად,

იმავე ხანში ამ სასწორის ორ ფიალაზე,
ორთავ ზენიტი გააჩერებს ვიდრე ხელახლა,
ქამარს შემოხსნის და შეუცვლის ჰემისფეროებს,

სწორედ ამდენ ხანს უბრწყინავდა ღიმილი დონას,
სდუმდა და მზერას მიაპყრობდა სწორედ იმისკენ,
რაც მე შემაკრთო და მან მითხრა შემდგომ ამისა:

„მე გიპასუხებ, თუმც შენ არას შემკითხებიხარ,
„მაგ შენ ზრახვაზე, რაც უთქმელად ვყავ საცნაური,
„მე ვხედავ იმ პუნქტს, სადაც დრო და სივრცე შერწყმულან.

„არა იმისთვის, რომ სრულყოფა მოგახვეჭინო,
„(ეს არ მოხდება) რათა თავათ განათდე შენაც
„მის ათინათით და იტყოდე: „აჰა, ვარსებობ“.

„მარადჟამული, დროისა და სივრცის კიდეგან
„მარადიული სიყვარული, თავათვე იქცა
„ტრფობად უსაზღვროდ და ისევე განახლებულად.

„არც ითქმის თითქოს შესაქმეთა დასაწყისამდე,
„არც მასზე ადრე, არც შემდეგში რომ ყოფილიყო
„სული უფლისა წყალთა ზედან უქმად მავალი.

22 „ფორმა და ნივთი შეუუღლდნენ ღვთიურ სიყვარულს
„და აღსდგა წმინდა, უბოროტო ნებისყოფითა,
„სამი ისარი სამ საბლიან მშვილდის ნატყორცნი.

25 „როგორც მზის სხივი გაიელვებს ხოლმე მინაში,
„ქარვაში, ბროლში, იმნაირად რომ აღარ რჩება
„მის შესვლის წერტსა და გაყელვთის ხარვეზებს შორის,

28 „ასე უფლისა ძლიერებამ სამპიროვნულმა
„ყოფნას იმგვარი, ერთიანლივი მიაგო შუქი,
„რომ შენაქმს მისას არ ატყვია არსად საწყისი.

31 „ამ სუბსტანციების განრიგება ღადგენილ იქმნა
„ხოლო აქ ზევით დაამწკრივეს ყველა ისინი,
„რომელთაც ზენამ მოქმედების მიაგო ნიჭი.

34 „მარტივი ნიჭი მიაკუთვნეს ძალას უმდაბლესს,
„ხოლო შუაში მიმღეობა და ძალი ქმნისა
„სამარადჟამოდ გადაასკვნეს ერთი მეორეს.

37 „იერონიმმა დაგვიწერა რომ ანგელოსნი
„ღმერთს შეუქმნია საუკუნით მრავალით ადრე,
„ვიდრე სამყაროს ქაოსიდან გამოიყვანდა.

40 „დაგიმოწმებენ ჩემგან თქმულის ჭეშმარიტებას,
„სამღვთო წერილის საკითხავნი დაბეჯითებით,
„და დარწმუნდები როცა თავათ ჩაუფიქრდები,

43 „გონება თქვენიც, ალბათ, ამას დაადასტურებს
„ან ამ მანძილზე ვით გაძლებდნენ სფერონი ესე,
„საჭეთ მპყრობელნი ამ საბრძანისს რომ არ ჰყოლოდა.

46 „ახლა შენც უწყი სად და როგორ ღმერთს შეუქმნია
„ანგელოსთ დასნი, აწ სამივე დაეჭვებანი
„ჩემმა ნათქვამმა გაგიფანტა ამიერიდან.

49 „უფრო მოკლე ხანს, ვიდრე ოცჯერ კაცი დაითვლის
„ანგელოსების ღმერთს განუდგა ერთი ნაწილი
„და დაარღვიეს მათ კავშირნი იმ სოფლიურნი.

52 „სხვა დანარჩენნი დარჩნენ ისევ უფლის ერთგულნი,
„მათვე დაიწყეს მოძრაობა ეს საოცარი
„და უწყვეტელად ამ სფეროებს ატრიალებენ.

„წარწყმედის ამის, სიამაყის წყეული სული,
„იყო მიზეზი და შენ ნახე იგი ჯურღმულში
„მთელი სამყაროს სიმძიმისგან წელმოწყვეტილი.

„ხოლო მათ, ვისაც აქ უყურებ თავმოდრეკილთა,
„ადრე შეიცნეს ღვთაებრივი მადლისა ძალა,
„ვინც მათ მიაგო ზენარული გონების ძალი.

„და მზერა მათი აღამაღლა ძალამ მადლისამ,
„ნების სიმტკიცის და სისავსის მათის წყალობით,
„გაბრწყინდა ცაში მათი დიდი დამსახურებაც.

„მე ეს არა მსურს, რომ შენ იჭვი აქ დაგებადოს,
„მსურს ეგ იცოდე: მხოლოდ მადლი არის შედეგი,
„უფლის წინაშე მართებული დამსახურების.

„თუ ჩემს ნაუბარს გულხმიერად დააკვირდები,
„შენ უკვე ძალგიძს საცნაურჰყო დაუხმარებლად
„ამ სფეროების ანგელოსთა დასის ამბავი,

„მაგრამ მიწაზე თქვენს სკოლებში რომ განმარტავენ,
„თითქოს ბუნებას ანგელოსურს მოსდევდეს ნიჭი
„ჰვრეტის, ნდომისა და წარსულის მოგონებისა,

„მე ამის გამო შემიძლია აქვე დავსძინო,
„რათა უწყოდე შენ სიმართლე შეუფარველი,
„ორ აზროვნების დამყარება სურთ ამ საკითხში.

„რაც ამ სუბსტანცთა მოიხვეჭეს მადლი ზენარის,
„უფლის სახისა ხილვის შემდეგ დღედაღამ თვალნი
„მიპყრობილი აქვთ იმისაკენ, ვინც სჭვრეტს ყველაფერს.

„მიტომც მათ მზერას სხვა საგანი ვეღარ მიიპყრობს,
„არც შეგონება შეუძლიათ რამენაირი,
„რადგან სხვა ფიქრი არც აღეძვრით მათ არაოდეს.

„მიწაზე ზოგი ბოდავს კიდეც თვალგახელილი,
„ყველა ვისაც სწამს, ან არა სწამს დოქტრინა ესე,
„მაგრამ პირველთა უმეტესი მიუძღვის ბრალი.

„ბრძენმეტყველებით თქვენ მიჰყვებით ხშირად მრუდე გზას,
„რადგან აჰყვებით თქვენ სახელის ამაოებას,
„და გაგიტაცებთ ხან წყურვილი თავმოთნეობის.

88 „ამას ითმენენ ჯერაც ცაში ასე თუ ისე,
„მაგრამ ვაჲ მათ, ვინც წაბილწა სამღვთო წერილი,
„სინათლე მისი დააბნელა ყალბის მქნელობით.

91 „არავინ იცის თუ რამდენი დაღვრილა სისხლი
„მათის წყალობით, ან უფალი როგორ აფასებს
„ვინც სიტყვა მისი შეითვისა თავმოდრეკილად.

94 „ბევრი მკვრეხელობს და იგონებს ათასგვარ არაკს,
„და თავი მოაქვთ მოჩმახული გამოგონებით,
„ხოლო სიტყვანი სახარების დადუმებულან.

97 „ერთნი იტყვიან: მთვარე უკუმოქცეულაო
„ვნების კვირაში და იმგვარად დამდგარა ცაზე
„მზის შუქი თავათ დაუჩრდილავს მიწისკენ მსრბოლი.

100 „სხვანი: მზე მალე საუკუნოდ დაბნელდებაო
„ესპანელთათვის და აგრეთვე ინდოელთათვის,
„ვერც ურიანი ნახავენო ოდესმე მზესა.

103 „ლაპო და ბონდი ფლორენციას არ ჰყავს იმდენი,
„რამდენ ზღაპარსაც კათედრიდან თქვენ გაიგონებთ,
„წელიწდეულად გამონაგონს, უშნოდ მოჭორილს.

106 „უვიცი ცხვრები ბრუნდებიან შინ კმაყოფილნი,
„საკვების ნაცვლად ნიავქარით გამობესტილნი,
„მაგრამ აქ ზევით უვიცობაც ცოდვათ ეთვლებათ.

109 „მოციქულთათვის როდი უთქვამს ქრისტეს ოდესმე:
„მოვლეთ ქვეყანა და სიცრუე მოიხვეჭეთო“,
„არამედ საგზლად გააყოლა ჭეშმარიტება.

112 „და სიტყვა იგი ისე ჰქუხდა მათი ბაგიდან
„სარწმუნოების დასაცავად სამღვთო წერილი
„იყო მათ ხელში როგორც მშვილდი, ისე ბოძალიც.

115 „ქადაგების დროს მოჰყვებიან მოჩმახულ ამბებს,
„და როცა მრევლი გულიანად გადიხარხარებს,
„გამარჯვებისგან“ იფუყება მღვდლის კაპუშონი.

118 „ბრბომ რომ იცოდეს რა ფრინველი დაბუდებულა
„ბერის ჩოხაში, არ ირბენდა დაუცხრომელად
„ინდულგენციის ოქროს ფასით შესასყიდავად.

„და კაცთა მოდგმა იმნაირად ჭკუა მოკლეა,
„რომ გონივრული საბუთების გაუსინჯავად
„ყოველგვარ აღთქმას ხელაღებით დაერწმუნება.

„ღორებსაც აგრე ასუქებდა წმინდა ანტონი,
„მაგრამ ღორებზე უარესნი იყვნენ უთუოდ
„ის მორწმუნენი, ვინც ყალბ ფულებს სჭრიდნენ უგერბოს.

„უკვე გადავცდით საუბარის ჩვენისას საგანს,
„თვალი მიაპყარ ამიტომაც მიზანს მართებულს,
„რომ თავის დროზე მივაღწიოთ სასურველ სამანს.

„ანგელოსთ დასნი ისე სწრაფად იზრდება ცაში,
„რიცხვი არ ჰყოფნის კაცთ გონებას მათ დასათვლელად,
„არც თუ ოდესმე შეძლებულა აღნუსხვა მათი.

„თუ დააკვირდი დანიელის გამოცხადებას,
„შენ მიხვდებოდი უსათუოდ ამას თავათაც,
„იგი არ ამხელს ანგელოსთა რაოდენობას.

„სათავე იგი სინათლისა მარადჟამული
„ისე მიიღო, შეითვისა, ბუნებამ მათმა,
„რომ ერთობლივი ბრწყინვალებით შერწყმიან მასვე.

„და რადგან ჭვრეტას სიყვარული მოსდევს შედეგად
„ზოგი მათგანი მგზნებარეა ამ სიყვარულში,
„ზოგიც გულგრილი ამავ გრძნობის მიმღეობაში.

„აწ შეიცანი ძლიერება მისი მარადი,
„ვისაც წინ უდგას ესოდენნი ვრცელნი სარკენი,
„სადაც მრავალგზის შუქის მისის სჩანს ათინათი,

„თუმც თავათ იგი რჩება მარად განუყოფელი“.

## ᲫᲔᲒᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲐᲗᲔ

მეექვსე ჟამზე, ექვსი ათას მილის მანძილზე
ჩვენგან ნაჩრდილი დედამიწის გადაიხრება
ჰორიზონტისკენ, შუაგული ამ დროს ზეცისა

მოსჩანს იმგვარად თაღოვანი ზენიტის ახლოს,
რომ ჩვენ ვეღარ ვჭვრეტთ, ძლიერადაც დავძაბოთ მზერა
ვარსკვლავს ზოგიერთს და რაც უფრო მეტად ბრწყინდება

7 მზის შიმუნვარი და უგზაუნის გარემოს მთიებს,
მით უფრო შეტი მოაკლდება ვარსკვლავებს სხივი,
შუქი აკლდება თვით ტიტურფესს ვარსკვლავს ცისკრისას.

10 თავათ ტრიუმფიც მორიალე დაუცხრომელად
იმ პუნქტის ირგვლივ, რამაც წელან დამიხშო მზერა,
რომელიც თავათ გარემოცვას შეიცავს თვისას,

13 ჩაჰქრა ნელ-ნელა და განქარდა ანაზდეულად,
გაქრობამ მისმა, სიყვარულმა ჩემმა მგზნებარემ
მე შთამაგონეს მადონასთვის მიმეპყრო მზერა.

16 ქებანი ჩემნი მის საპოტბოდ აქ დაწერილნი,
ყველას რომ ერთად მოუყაროს მგოსანმა თავი,
არ იკმარებდა შესამკობად აძკერად მისდა.

19 მშვენება მისი იყო ეგზომ გაბრწყინვებული,
მის აღსაწერად ფანტაზიაც ვერ იკმარებდა,
მხოლოდ შემომქმედს თუ შეეძლო შეცნობა მისი.

22 ჩემი პოემის ამ ადგილზე ისე დავმარცხდი,
როგორც არასდროს სხვა პოეტი დამარცხებულა
ტრაგედიის ან კომედიის ვინმე ავტორი.

25 ვით თვალთა მზერა მზის დისკოზე მიშტერებული
ბრწყინვალებისგან დაძაბუნდეს, ისე ჩემს სულსაც
მისმა ღიმილმა უცნაურმა წაართვა ძალა.

28 პირველი დღიდან, რაც ვიხილე მე სახე მისი
ამ ჩვენებამდის ლექსი ჩემი დაუცხრომელად
მისდა საქებრად ითხზებოდა და ირთვებოდა.

31 მაგრამ ამჟამად ხამს აქ შესდგეს მუზაცა ჩემი,
რადგან ვერ მიჰყვა ალმავლენას მშვენების მისის,
ვით ხელოვანი ხელოვნების თავის მიჯნაზე.

34 მშვენება მისი აწ შეამკოს უფრო ძლიერმა
ებანმა, ვიდრე აწ დაქანცულს მე გამაჩნია
ქმნილების ჩემის დასასრულთან უკვე მიღწეულს.

37 და მრქვა მან როგორც წინამძღოლმა გულმეცნიერმან:
„ჩვენ მივაღწიეთ ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს,
„სადაც სუფევა წმინდა სათლის დამკვიდრებულა,

„ნათელი დიდის ინტელექტის, სიყვარულისა,
„სიქველის ტრფობა, სიტკბოების სავსების მჩენი
„და სიხარული უტკბილესის ნეტარებისა.

„აქ შენ იხილავ ცის მხედრობას, ორთავე დასის,
„იხილავ მათაც იმ გვარსავე ანაგობითა
„როგორსაც მათვე დაინახავ განკითხვის დღესაც".

ვით ელვათ კრთომა უეცარად გაბრწყინვებული
მზერას დაახშობს იმნაირად, რომ მისთვის უკვე
ცხადლივ ნახული საგნებიცა დაბნელდებიან,

აგრეთვე მეცა შემომერტყა შუქი ცხოველი
და მან იმგვარად გამიბიდნა ანაზდად თვალნი,
რომ ვეღარ შევძელ დამენახა ჩემს ირგვლივ რამე.

„ამ ცის აღმგზნებელ სიყვარულის ჩვეულებაა:
„სულის ცეცხლისა მისაღებად შესამზადებლად
„ახალმოსულთა ამნაირად აქ შეგებება".

რა მოვისმინე შეგონება ეგზომ მცირედი,
ანაზდეულად შევიცანი ძალთა სიჭარბე
და შევიცანი იმნაირი ძალმოსილება,

აენთო ჩემში მხედველობის უნარი ისე,
რომ უდიდესი ბრწყინვალებაც ამ ქვეყანაზე
ვეღარ დაშრეტდა გამძლეობას ჩემი მზერისას.

აჰა, ვიხილე მე ნათელი მსგავსი მდინარის,
თვალისმომჭრელი ათინათის ბრწყინვალებითა,
ნაპირნი მისნი გაზაფხულით ამოქარგულნი.

მდინარე იგი აპკურებდა გარემოს წინწკლებს,
რომელნიც ირგვლივ ყვავილნარებს ზედ ეფრქვეოდნენ,
ვითარცა ლალნი მსხდომარენი ოქროს ბუდეში.

შემდეგ დამთვრალნი ყვავილების სურნელებითა
იგინი ისევ მდინარეში ჩაეშვებოდნენ,
ახლა მუნიდან იფრქვეოდნენ, ისევ ახალნი.

„წადილი იგი უაღრესი, რაც შენ აღგანთებს
„შეცნობად მისდა რასაც ჰხედავ საკუთარ თვალით,
„იმდენად მომწონს რაოდენსაც თავათ ეგზნები.

„მაგრამ ჯერ გირჩევ: მოსვა მცირე ამ მდინარიდან,
„მოძალებული მაგ წყურვილის დასაცხრომელად“,
**ეს მითხრა** მაშინ მზემ, თვალების ჩემის სინათლემ.

შემდეგ დასძინა: „ეგ მდინარე, ეს ტოპაზები,
„ეს მომღიმარე წალკოტები არიან მხოლოდ,
**„მხოლოდ და მხოლოდ** საფარველნი სინამდვილისა,

„არა იმისთვის რომ მათ ხილვას ახლდეს სიძნელე,
„არამედ მიტომ რომ შენს მზერას თან ახლავს ზადი
**„შენს თვალს** აკლია საკმარისი მზერის სიმძაფრე“.

არც ერთი ბალღი ისე სწრაფად არ მიაშურებს
**დედის ძუძუებს, გაცილებით უფრო გვიანაც**
**ვიდრე ჩვეულა, ძილის** შემდეგ თვალგახელილი,

როგორც მე მაშინ განსაწმენდად თვალების ჩემის
დავაცხრი უცებ იმ მდინარის წყალთა მათ წმინდას,
**რომელთა** დენა აღმითქვამდა ეგზომ **სრულყოფას.**

როგორც კი წვეტნი ქუთუთოთა შეეხო წყალსა,
მე შევამჩნიე: ეს მდინარე გრძლივ მიმავალი
**თვალთა წინაშე** მეყვსეულად გარდიქმნა მრგვალად.

მერმე ვით კაცი, ვინც ნიღაბი ჩამოიხადა
გახდება სულ სხვა ვიდრე იყო, რაკი მოიხსნის
**იმას** რაც სცვლიდა სახეს მისას ანაზდეულად.

ასე გარდიქცენ უდიადეს სანახაობად
**ყვავილნარები** და ცქრიალა ის ნაპერწკლები,
**და მე შევნიშნე** ტაძრეული ორი ციერი.

ო, ბრწყინვალებავ ღვთაებრივო, ვინაც მაჩვენა
**ჰეშმარიტების** საუფლოში ტრიუმფი იგი,
**მწედ მეყავ** შევძლო გამოვხატო ეს ყოველივე.

მანდ ნათელია, რაც შემომქმედს გვახილვებინებს,
რათა ის თავათ განეცხადოს ქმნილებს თვისას,
ვისაც ეს ხილვა მოუპოებს ნავთსაყუდელსა.

და წრის მაგვარი ის მდინარე გაბრწყინვებული,
გადაშლილიყო იმნაირად, რომ მოცულობა
**მისი** ჭამრადაც ეყოფოდა მზის დისკოს თავათ.

მას აბრწყინებდა მხოლოდ სხივი ის ერთადერთი,
რომლის სათავე პირველ წრიდან გამოდიოდა,
მისგან იღებდა სხივოსნობის თვისის ათინათს.

და ვით მწვერვალი იმზირება იქავე ფერხთით
მის ქვეშ გადაშლილ წყლის სარკეში, სად იხატება
მწვანე წალკოტი ყვავილებით დამშვენებული,

ასევე ვჭვრეტდი ამ მდინარის სხივოსნობაში
ათასნაირსა ხარისხებზე დავანებულთა
ყველას, ვინც ჩვენგან სამოთხეში აღუვლენიათ.

თუ ქვედა ნაწილს ბრწყინვალება ახლდა ასეთი,
რა იქნებოდა სიდიადე იმა ვარდისა
ფურცელთა მისთა უცნაური სხივმოსილება.

სიმაღლე მისი და სიგანე არ აფერხებდა
მზერასა ჩემსას, რადგან ვჭვრეტდი უკვე თამამად
მთელს მოცულობას, სიდიადეს უფლის ბაღისას.

არც სიახლოე, არც სიშორე მანდ არ არსებობს,
რადგან არა სჭრის მანდ კანონი ამ სოფლიური
რაკი ღმერთია უმეშვეოდ მუნ გამგებელი.

შიგ ვარდის გულში შემიყვანა მადონამ ჩემმა,
ვარდის ფურცელნი აღაკმევდნენ ნელსურნელებას
მარადიული გაზაფხულის სადიდებელად.

თუმც სდუმდა დონა მომღიმარე, თავდაპირველად,
მაგრამ აღახვნა უწმინდესმა კვალად ბაგენი:
„დახე, ხორონი ამ ნათელი ვარსკვლავებისა:

„ისე ვრცელია დიდებული ქალაქი ჩვენი,
„და გავსებული ამ დარბაზის საკარცხლულები,
„რომ სხვა არავინ გაგიხდება აქ სანატრელი.

„ხოლო იმ ტახტზე, სადაც თვალნი მიაპყარ შენნი,
„გვირგვინს ოქროსას მანდ დადებულს იმაზე ადრე
„ვიდრე ამ ქორწილს ეწვეოდი საიქიოდან.

„დაჯდება ერთხელ ცეზარების დიად ბისონით
„დამშვენებული მეფეთ მეფე დიდი არრიგო,
„ვინც იტალიას თავის დროზე მიეშველება.

139 „ვხედავ სიხარბემ ისე ძლიერ მოგაჯადოვათ,
„მაგონებთ ბავშვებს დამშეულებს მერმე ისეთ დროს,
„როცა მათ ძიძებს შოლტით გარედ ერეკებიან.

142 „შემდგომ ამისა ტახტს დაიდგამს დიად ფორუმზე
„ისეთი კაცი, ვინც არც ცხადად, არც დაფარულად
**„არრიგოს გზებით არ ინდომებს უკვე სიარულს.**

145 „მაგრამ უფალი არ მოითმენს დიდხანს ამ მსაჯულს
„და შთააგდებენ მას შავეთის ბნელ ჯურღმულებში
**„სად სიმონ მოგვი განისვენებს მუცლით მეზღაპრე,**

148 „რათა უფრო ღრმად ჩააყუდონ ალანჟელი“.

## ქება ოცდამეთერთმეტე

ამგვარად ვნახე თეთრი ვარდის ამ ჩვენებაში
მხედრობა წმინდა, ტაძრეული იგი უფლისა,
იესოს მიერ დანიშნული ცრემლით და სისხლით.

4 ხოლო მეორე დაფრინავდა, ჭვრეტდა, გალობდა
ხოტბას ზენარის სანატრელის, სასურველისას,
მომმადლებელის ზეციერის მადლმოსილების.

7 ვით ფუტკრის გუნდი დაეშვება ყვავილნარებზე,
შემდეგ ადგება და ზუზუნით გაემართება
იქითკენ, სადაც ეგულება ფიჭაში თაფლი,

10 ამგვარად, იგიც ასხდებოდა იმ დიად ყვავილს,
კვლავ აფრენილი იმ სამყოფლოს მიაშურებდა,
სად სიყვარული იყო მისი დავანებული.

13 ამ სულებს ჰქონდათ ალისფერი პირისსახენი,
ფრთენი ოქროჭას, ხოლო თავის ანაგობითა
თავათ თოვლზედაც უთეთრესი, უსპეტაკესი.

16 როდესაც ვარდში ხარისხებით ჩამოდიოდნენ,
ირგვლივ აფრქვევდნენ ფრთენი მათნი მოფარფატენი
სათნოებასა და მშვიდობას ღვთისგან მოხვეჭილს.

19 მაგრამ ამ სულთა ეს ფარფატი დაუცხრომელი,
ყვავილებისა და ეთერის შემოგარენში
თვალს არ უშლიდა ამ ციური ხატობის ხილვას.

22 რადგან ზენარულ მის სინათლეს ამ მსოფლიოში,
სად მართებულსა და ღირსეულს ხმას მიწვდეს იგი,
ვერავითარი საფარველი ვერ შეაკავებს.

25 ეს საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა,
უახლესი და უძველესი სულებით სავსე
მიშტერებოდა სიყვარულით მხოლოდ ერთ მიზანს.

28 ჰოდა ნათელო სამებისავ, მიაპყრობ მზერას
ერთადერთ ვარსკვლავს, მას შესცქერი მონუსხულივით,
ჩვენც გაგვაბრწყინე გრიგალისაგან ქანცმილეულნი.

31 თუ ბარბაროსნი ჩამოსულნი ჩრდილოეთიდან,
სადაც ჰელიკე გამუდმებით მიმოიქცევა
თავის საყვარელ ვაჟთან ერთად პოლუსის კიდეს,

34 გაოცდებიან რა ნახავენ რომს მარადიულს,
სად ლატერანი უძველესი და დიდებული
ახლაც მაღლიდან გადაჰყურებს მცირე შენობებს,

37 მე, აქ მოსული იმ სოფლიდან — ამ საბრძანისში,
წარმავლობიდან — მარადჟამულ ამ საუფლოში,
ფლორენციიდან — მართალთა და ბრძენთ სავანეში,

40 გასაგებია თუ რარიგად გავვოცდებოდი.
მიტომაც ამგვარ სიხარულით გაოგნებულსა
არც მეთქვა რამე, ყურთასმენაც რომ წამრთმეოდა.

43 ვით კაცი ვინმე საღარიბოდ სადმე წასული,
მიმოიხილავს წმინდა ადგილს, ან ტაძარს აღთქმულს,
რათა შემდეგში, სხვასაც ამცნოს თვალით ნახული,

46 მეც ყურადღებით ამ ზეციერ ნათლის სავანეს
ვუთვალთვალებდი, მის ხარისხთა თვალს მოვავლებდი,
ხან ქვედა ნაწილს, ხან ზემოურს, ხანაც გარემოს.

49 ვხედავდი ირგვლივ, სათნოებით სავსე სახეებს,
განათებულებს შემომქმედის ტკბილი ღიმილით
და მიხვრა-მოხვრას დარბაისლურს და კეთილმცნესა.

52 სავსებით ცხადი გახდა უკვე თვალთა ჩემთათვის
ზოგადი სახე და სურათი ციურ სამოთხის,
თუმც არც ერთ ნაწილს საგანგებოდ არ დავაკვირდი,

და მივუბრუნდი ბეატრიჩეს, რათა მეკითხა
ისეთი რამე, რასაც ჩემი გონების ძალი
ვეღარ წვდებოდა და მივაპყარ მადონას თვალი.

მე ერთს ველოდი და სხვა რამე შემომეყარა.
მსურდა მეხილა ბეატრიჩე და დონას ნაცვლად
ვიღაც მოხუცი ჩემს წინ იდგა გაბრწყინვებული.

თვალები, სახე სავსე ჰქონდა მას სათნოებით,
და ანაგობა ისე ტკბილი და საამური,
როგორიც მამას შვილის მიმართ ნაზად მზრუნველსა.

„სად არის იგი?“ შევეკითხე მყისვე იმ მოხუცს.
მომიგო: „მიხმო ბეატრიჩემ ჩემს სამყოფლოდან
„რათა მის ნაცვლად აგისრულო გულის წადილი.

„თუ აიხედავ მესამე წრის მაღალ ხარისხზე,
„შენ უსათუოდ დაინახავ მას გაბრწყინვებულს,
„სადაც ის ტახტზე დააბრძანეს სამართლიანად“.

ხმა არ გავიღე, ავიხედე იმ ხარისხებზე,
ვნახე მადონა და მის გვირგვინს გასხივოსნებულს
გარს მოდგომოდა ათინათი მარადი სხივის.

მოკვდავის თვალი თვით უშორესს ზღვათა სივრცეშიც
ჯერ არ გაყრია უზენაესს საუფლოს ცისას,
სადაც გაისმის უდიდესი გრუხუნი მეხის,

როგორც მადონა იყო ჩემგან დაშორებული
მიუხედავად განუსაზღვრელ სივრცეებისა,
ხატებას მისას თვალნი ჩემნი მაინც სწვდებოდნენ.

„ჰოჰა, მადონავ, ყვავილნარო სასოებისავ,
„ვინც სულის ჩემის წამებისგან გამოსასყიდად
„ჯოჯოხეთის კარს ნატერფალნი, დასტოვე შენნი.

„რაც რამ ვიხილე მე სამოთხის ამ საბრძანისში,
„ეს ყველაფერი შენის ძალის, მადლის წყალობით,
„მათი ამდენი სასწაული შემაცნობინეს,

„ღონისძიებით ყოველგვარით და ყველა გზებით,
„(სადაც რამდენი იყო ჩემთვის ხელმისაწვდენი)
„მონობისაგან დამიხსენი და მააზატე,

„მომმადლე შენი გულმხურვალე მოსარჩლეობა,
„რომ სული ჩემი განწმენდილი უკვე შენს მიერ,
„აღარ შეგძაგდეს როცა სხეულს გაეთიშება“.

ასე ვევედრე, ხოლო დონამ ვინც შორს მოსჩანდა,
ერთი შემხედა მომღიმარემ თუ არა ვცდები,
და მიუბრუნდა მარადიულ დიდების წყაროს.

მითხრა მოხუცმა: „გზისა შენი მოსათავებლად,
„(მეც ხომ ამისთვის მომიწოდეს წმინდა ლოცვებმა,
„რათა მწედ გეყო, დამარიგა ამრიგად დონამ).

„გირჩევ მოავლო წმინდა ბაღნარს გარშემო თვალი,
„რათა ამგვარად დაგიმძაფრდეს ძაბუნი მზერა,
„რათა შეიძლო გაუმართო იგი ღვთიურ შუქს.

„ციერი ჩვენი დედოფალი ვინაც აღმაგზნო
„მე სიყვარულით, შეგვეწევა ყოველნაირად,
„რადგან ეს მე ვარ მონა მისი სათნო ბერნარდი.

ვით კაცი რომში ჩამოსული კროაციიდან,
საკუთარ თვალით ვერონიკას დასანახავად,
უყურებს დიდხანს ტილოს ნაჭერს გაოცებული

და ფიქრობს თანაც: როგორც იქნა გავხდიო ღირსი
ჰოჰა, იესო მაცხოვარო, მაცხონებელო,
მაშ ამნაირი ყოფილაო ხატება შენი,

ასე გავვოცდი როს ვისმინე გულმოწყალება
მისი, ვინც ერთხელ თვით მიწიერ აღტყინებითაც
შესძლო ეხილა ეს მშვიდობა მარადჟამული.

„ჰე, ნაშიერო, ზეციერი მადლმოსილების,
„ასე დაიწყო, ვერ შეიცნობ ლხენას ციურსა,
„უკეთუ აგრე თავდახრილმა იარე აწიც.

„აღაპყარ თვალნი იმ უმაღლეს ხარისხისაკენ,
„ვიდრე დედოფლის იმ მაღალ ტახტს დაინახავდე,
„რომლისკენ აგრე ისწრაფვიან სხივნი ციერნი“.

აღვაპყარ თვალნი და ვით დილით აღმოსავლისკენ
აელვარდება ცადაქნილი მომეტებულად,
ვიდრე ცისკიდე დასავლისა მიმწუხრის ჟამზე.

121 ასევე მეცა, ავიხედე თუ არა ზევით,
შევნიშნე არე ვარდის გვერდით უფრო ბრწყინვალე,
ვიდრე ყოველგან სხვა დანარჩენ შემოგარენში,

124 ვით ცის ნაწილი საიდანაც მოველით ხოლმე,
მბრწყინავ ფაეტონს მის მიერვე ცუდად წარმართულს
აელვარდება უფრო მეტად ვიდრე სხვა მხარე,

127 ასევე მშვიდი ორიფლამმა თვით შუაგულში
უფრო ბრწყინავდა, ქათქათებდა და მის გარშემო
ეს სხივთაკრთომა მომეტებით უძლურდებოდა,

130 ამ შუაგულში მე ვიხილე ათასზე მეტი
ღვთის ანგელოსი ფარფატებდა მანდ ფრთაგაშლილი,
ერთმანეთს შორის ანაგობით განსხვავებული,

133 ვხედავდი, მადლი ღვთაებრივი იღიმებოდა
მათი ფარფატის, ელვარების მათის შემყურე
სხვა წმინდანებსაც უღიმოდა სუყველას სახე.

136 მე რომ სიტყვაშიც იმოდენი გამაჩნდეს განძი,
რამდენიც მომდგამს ფანტაზიის მიერი ნიჭი
გამოვხატავდი ნეტარების ამის მეასედს.

139 რა შემამჩნია მღელვარება წმინდა ბერნარდმა,
და იგიც რარიგ მივაშტერდი სატრფოს სანატრელს,
თავათაც მზერა მიაგება მარად სასურველს,

142 და მზერას ჩემსას შეემატა გზნება ამგვარად.

## ქება ოცდამეთოთრმეტე

ასე დამიწყო მე განსწავლა ბრძენმა მჭვრეტელმა
თვის სატრფიალო საგნისაგან აღტაცებულმან
და მომაგება ესოდენი წმინდა სიტყვები:

4 „წყლულები იგი მარიასგან მოშუშებული
„გახსნა დიაცმა მშვენიერმა, რომელიც ახლა
„წამომჯდარია ჩვენს წინაშე ღვთისმშობლის ფერხთით.

7 „მათ ქვემოდ, იქვე ამშვენებენ ხარისხს მესამეს
„რაჰილი, შემდეგ ბეატრიჩე და როგორც ვხედავ
„მანდვეა სარა და რებეკა პირმშვენიერი.

10 „ემანდ ივდითი — ებრაელთა სათნო მშველელი,
„იქვე დიდედა მეფსალმუნის, ვინც თვით ქეხჯნაში
„ასე იტყოდა თავმოდრეკით: Miserere mei.

13 „შენ ყველას ჰხედავ ვისაც მე აქ დავასახელებ
„ისევე დამსხდართ, ვით მოვკვები ჩამოთვლას აგრე
„მე ვარდის ფურცლებს მწვერვალიდან ვიდრე ძირამდის.

16 „ხარისხს მეშვიდეს დააკვირდი და მის ქვემოდაც
„ნახენ ქალები ებრაელთა, რომელნიც სხედან
„ვითა ყვავილთა გირლიანდი ვარდის გარშემო.

19 „იესოსადმი მიპყრობილი მზერის მიხედვით
„ისინი კედლად ხარისხებს შორის ჩამდგარან.
„ურთიერთისგან ჰყოფენ ხარისხთ ქვედათ და ზედათ.

22 „იმ მხარეს, სადაც ვარდი იგი მომწიფებულა
„იმყოფებიან ის ნეტარნი, რომელთაც სწამდათ
„იესოს მოსვლა უეჭველი ამ ქვეყანაზე.

25 „მეორე მხარეს, სად ადგილნი შეუვსებელნი
„აგრე სთიშვენ, ჰემიციკლებს ურთიერთისგან,
„სხედან ისინი, ვინც იხილეს მიწაზე ქრისტე.

28 „და როგორც ტახტი დედოფალის ზეციერისა
„ჰყოფს ამ ხარისხებს და მათ ქვემოდ სხვა დანარჩენთა
„ჰემიციკლებად, მათთან ერთად მთელ საბრძანისსაც,

31 „ისევე დიდი იოანე, წმინდა ყოველგან
„თვით უდაბნოში, განუწყვეტელ მარტვილობაში
„აგრეთვე ორ წელს ჯოჯოხეთის ბნელ ჯურღმულებში,

34 „მის ქვემოდ მსხდარნი, მის მიერვე აძორჩეულნი
„წმინდა ფრანჩესკო, ბენედიქტი და ავგუსტინი.
„ყველა ესენიც ორად ჰყოფენ ამ ჩვენ სამოთხეს.

37 „ხამს აქ ადიდო, შვილო ჩემო, სიბრძნე უფლისა:
„ორივე აღთქმის მანდატურნი ეგზომ დიაღნი
„თანაბრად ჰყოფენ ამ საბრძანისს უზესთაესის.

40 „ეგეც იცოდე, იმ მზღვარიდან, რომელიც მიჯნავს
„ორივე ნაწილს სამოთხისას, იმყოფებიან
„სულნი მოსულნი არა ღვაწლთა თვისთა მიხედვით,

43 „არამედ ქრისტეს მეოხებით, მადლის წყალობით.
„რადგან ესენი თავის სხეულს გაყრიან მაშინ,
„როს არჩევანი უცხო იყო ჯერ კიდევ მათთვის.

46 შენ ამ სულების დაგარწმუნებს თვით ანაგობა,
და ხმა ბალღური გულმოდგინეთ თუ მიაყურებ
ან მათ შეავლებ დაკვირვებულ, დაძაბულ მზერას.

49 „შენ იჭვი შეგდის, მიტომც სდუმხარ გამგუნებული,
„მაგრამ ახლავე მე საფარველს ავხდი ყველაფერს,
„რომ სიდუხჭირე ავარიდო გონებას შენსას.

52 „ამ საბრძანისში, ამ ბაღნარის შემოგარენში
„არავის ახსოვს მოვლენანი რამ შემთხვევითი
„ისევე როგორც შემცივნება, წყურვილი, სევდა,

55 „ეს ყველაფერი, რასაც ხედავ განზომილია
„კანონის კვალად და ისევე გამოზომილად
„როგორც ბეჭედი მორგებული წინასწარ თითზე.

58 „მიტომაც სულნი ნაადრევად ვინც მიწევია,
„ყოფას ჭეშმარიტს, ჯერ არასდროს აღზევებულან,
„თუ საფუძველი არ გააჩნდათ შესაბამისი.

61 „მეუფე, ვინაც დაამყარა ამ საბრძანისში
„ეგზომ ნათელი სიყვარული მარადჟამული,
„რომლის უაღრესს თვით სურვილიც ვერ მისწვდებოდა,

64 „ქმნის აქ ამ სულებს მზერის თვისის ბრწყინვალებითა
„და ყოველ მათგანს მიუბოძებს იმდენ სიკეთეს,
„რამდენსაც თავათ სასურველად მიიჩნევს ხოლმე.

67 „სამღვთო წერილში მითითება გაქვთ პირდაპირი
„იგულისხმება ის მარჩბივნი, რომელნიც მტრობამ
„დედის საშოში გადაჰკიდა ერთი მეორეს.

70 „ისევე როგორც თმის ფერითაც განსხვავდებოდენ
„ურთიერთისგან, მათ აგრეთვე სხვადასხვა გვარად
ეფინებოდა ნათლის შუქი არა თანაბრად.

73 „აგრეთვე სულთაც ნეტარება აქ მოიხვეჭეს
„არა თუ თვისთა საქციელთა გამოისობით
„არამედ მხოლოდ თვისებების მეოხებითა.

„იმ სულებისთვის, ვინც ცხოვრობდა პირველ ერაში
„საკმაო იყო სასუფევლის მისაღწეველად
„მშობლიურ რწმენის გულმართალად აღვიარება,

„გამოხდა ხანი, ჩაიარეს საუკუნეთა,
„საჭირო გახდა უცილობლად წინადაცვეთა
„ვაჟთათვის ციურ საბრძანისში ასამაღლებლად.

„მაგრამ როგორც კი დადგა ჟამი მადლის მოფენის,
„ქრისტეს მიერი მირონცხების კიდეგან სულნი
„ვერ ასცდებიან ჯოჯოხეთის მრუმე ჯურღმულებს.

„შეხედე სახეს მიმსგავსებულს ქრისტეს სახისას
„მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმშობელის ძალმოსილება
„მიგმადლებს უნარს მაცხოვარის იხილო სახე“.

ვიხილე როგორ დაათოვა მას სიხარულმა,
რომელსაც ქრისტე თან ატანდა იმ ნეტარ სულთა,
ვინაც ეთერში ასაფრენად აქ მოვლენილან.

არაფერს ისე ჩემს მიერვე აქვე დანახულს
ისეთი დიდი აღტაცება არ მოუგვრია,
იმის მაგვარი რაც ვიხილე მე იმ წუთებში,

იმ სიყვარულმა რომელმაც აქ მას უგალობა:
„მოგესალმები ო, მარიამ, მადლით მოსილო“,
ფრთები გაშალა ტახტის მისის მისაღწეველად.

„მამაო წმინდავ, ვინც ინებე ჩემი გულისთვის
„ქვევით ჩამოსვლა, სად განგების წმინდა სურვილით
„მიჩნეული გაქვს საპატიო ადგილი შენი,

„ვინ არის იგი ანგელოსი ვინც სიხარულით
„მიაპყრო თვალნი ზეციერსა დედოფალს ჩვენსას,
„ეგზომ მგზნებარე და ელვარე უფროს ცეცხლისა“.

ასე მივმართე მე იმ ბრძენკაცს კვალად რჩევისთვის
მადონას შუქით აწ იმგვარად გაბრწყინვებულსა,
როგორც მზის სხივით მოელვარე დილის ვარსკვლავი.

მითხრა: „რაგვარის სილამაზე, გინა სიქველე
„უნდა გააჩნდეს კაცთაგანს, გინდ ანგელოსთაგანს,
„მას აბადია (ასეთი რამ ხამს გვსურდეს ჩვენცა):

109 „ეს არის იგი ვინც ბზის ტოტი უძღვნა მარიამს,
„იმ დღეს, როდესაც ძე კაცისამ ეს გადასწყვიტა
„მოდგმისმიერნი, თვით ეკისრნა ცოდვანი ჩვენნი.

112 „აწ სიტყვებს ჩემსას მიაყოლე აქ გულისყური
„და დააკვირდი ამ მართალი და სათნო მხარის
„დიდ აზნაურებს მორჭმულებით, სიკეთით სავსეთ.

115 „ის ორი სული უაღრესად გაბრწყინვებულნი,
„ამ საბრძანისის დედოფალის მახლობლად მსხდარნი
„ხამს მივიჩნიოთ ამა ვარდის მარჩიელ ფესვებად.

118 „მხარმარცხნისაკენ მადონასგან მჯდომარე გახლავს
„კაცთ წინაპარი; ვინც იგემა ხილი ნაკრძალი
„და უანდერძა მოდგმას ჩვენსას დიდი სიმწარე.

121 „ხოლო მხარმარჯვნივ პაპის პაპა ეკლესიისა,
„მწყემსი კეთილი, ვისაც ქრისტემ გადასცა კლიტე
„მშვენიერ ვარდის დასაცავად, შესანახავად.

124 „მანდვეა იგი, ვინც იხილა სიკვდილზე ადრე
„პატიჟნი დიდნი ქრისტეანულ ეკლესიისა
„რომელმაც ძლევა მოიხვეჭა სამსჭვალით, შუბით.

127 „პეტრეს გვერდით ზის ის ბელადი ფრიად მორჭმული,
„ვის დროსაც მანნამ ზეციერმა კვლავ აღადგინა
„ჯილაგი იგი უმადური, და გულჯიუტი.

130 „პეტრეს პირისპირ, ალბათ, ხედავ ღვთისმოსავ ანას,
„იგი უმზერის გამალებით თვისივე ასულს,
„რომელიც გალობს მანდ „ოსანას“ გარინდებული.

133 „კაცთა მოდგმისა წინაპარის გასწვრივ დამჯდარა
„ლუჩია, ვინაც ბეატრიჩე წარმოგიგზავნა,
„როცა წინ გედვა მრუმე გზები ჯოჯოხეთისა.

136 „მაგრამ რადგანაც თვლემის შენის გასულა ჟამი,
„სჯობს აქ დავყოვნდეთ ვით ირჯება კარგი მკერავი,
„რამდენი შალიც გააჩნია იმდენს გამოსჭრის.

139 „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს,
„რათა შეიძლოთ დაჟინებულ ჭვრეტით ამგვარით
„შენ მოახერხო ბრწყინვალებას მისას ეახლო.

142 „არ გაგიტაცოს ეს იცოდე ოცნებამ ფუჭმა,
„ფრთების შერხევა როდი ნიშნავს გაფრენას მუდამ,
„გირჩევ ლოცვებით შენ წყალობა გამოითხოვო,

145 „მისგან, ვისგანაც შეწევნაა მოსალოდნელი.
„მაშ წამომყევი და ეცადე რამენაირად,
„რომ გული შენი ნათქვამს ჩემსას არ გაეთიშოს“.

148 შემდგომ ამისა მან დაიწყო ლოცვანი წმინდა:

## ქება ოცდამეცამეტე

„დედავ უხრწნელო, ჰე, ასულო ძისა შენისა,
„თვით სათნოებავ, არსთა შორის უზესთაესო,
„ცათა მპყრობელის ნებისყოფის მიზანო დიდო.

4 „მოდგმა კაცისა შენ გახადე კეთილშობილი,
„ასე რომ ყოვლის შემომქმედმა უზეშთაესმა
„შენ აგირჩია უზენაეს ქმნილებად თვისად.

7 „მაგ შენ საშოში სიყვარულმა ისე იბარტყა,
„რომ ალმან მისმან აქ წარმოშვა ყვავილი იგი
„ამ მარადჟამულ სამყაროჲს მშვენება, სასო.

10 „შენ ჩვენთვის მზე ხარ შუადღისა მადლით მჩქეფარე,
„ხოლო მიწაზე კაცთა მოდგმის შუქის ლამპარი,
„დიდი სათავე უშრეტელი იმედის ცხოვლის.

13 „ისე ძლიერი და დიადი ხარ შენ დიაცი,
„ვისაც უშენოდ შეწყალება მონდომებია,
„სწადია უფრთოდ ალმაფრენამ იფრინოს მისმა.

16 „განა თუ მარტო მას ეწევი ვინც თავს გავედრებს
„არამედ ხდება, ეს მეტწილად, რომ მადლი შენი
„წინ უსწრებს ხოლმე შევედრებას მახვეწარისას,

19 „შენშია მარად სათნოება, გულმოწყალება,
„დიდება დიდი, მორჩმულობა და სხვა სიქველე
„არსობის ყოვლის შენში არის შეთავსებული.

22 „რადგანაც კაცმა ვინც სამყაროს ჯურღმულებიდან
„აქ ამოსულმა, უზენაესს საბრძანისამდე
„იხილა სულთა ვითარება, ნაირსხვაობა,

25 „შენ გეველრება მიანიჭო მას მადლი შენი,
„რათა შეიძლოს თვალნი თვისნი მიაპყროს ზენას,
„და უზეშთაესს, და უაღრესს გულმოწყალებას.

28 „მე ხომ არასდროს მითხოვნია ასე მხურვალედ,
„როგორც აქ მისთვის გამოვითხოვ უნარს ჭვრეტისას,
„გვედრი ამაო არ შეიქნეს ვედრება ესე.

31 „ამ ლოცვით, შეგთხოვ, მზერის შენის მეოხებითა,
„აწ თვალთა მისთა განუფანტო მიწის არმური,
„და მოევლინოს მათ ნათელი უზეშთაესი.

34 „კიდევ ამას გთხოვ, დედოფალო, ყოვლის შემძლეო,
„რომ მას ამგვარი ხილვის შემდეგ შერჩეს უვნებლად
„საღი უნარი სიყვარულის მიმართებისა.

37 „და შერჩეს ძალი, წინ აღუდგეს ვნებათ მიწიერთ.
„თვალი შეავლე ბეატრიჩეს, სხვა სულთ ნეტართაც,
„რომელნიც ჩემთან ილოცვიან ხელაპყრობილნი“.

40 თვალნი, რომელნიც ცათა უფალს უყვარს ეგზომად,
მიეპყრო სათნოდ მავედრებელს და ჩვენც დავრწმუნდით
რარიგ ეამა მას ლოცვანი გულმხურვალენი.

43 შემდგომ ამისა მარადჟამულ ამ ნათელს მზერა
მან მიაშტერა იმ სინათლეს, რომელსაც ვერვინ
აგრე თვალნათლივ ვერ იხილავს, ვეღარც თუ განსჭვრეტს.

46 და მე ვიგრძენი სიახლოვე იმ საუფლოსი,
სად სურვილების საბოლოო არის მიზანი
მიტომ წადილი გულის ჩემის აგრე განელდა.

49 წმინდა ბერნარდი მიღიმოდა და მანიშნებდა
აეხედეო, მაგრამ უკვე ზეაპყრობილი
მჭოდა თვალები, შეგონების გაგონებამდის.

52 და მზერა ჩემი განწმენდილი მომეტებულად
აღზევებული ისწრაფვოდა იმ სინათლისკენ,
რომელიც არის თვით ნათელი ჭეშმარიტება,

55 ამიერიდან ჭვრეტის ძალი ჩემი აღზევდა
მან მეტყველების უნარს ჩემსას გადააჭარბა
და ხსოვნის ნიჭიც დამეჩრდილა ანაზდეულად.

58 ვით კაცი იგი ვინც სიზმარში ჰხედავს რაიმეს,
მაგრამ იღვიძებს და შერჩება გამოფხიზლებულს
მხოლოდ ერთგვარი ბუნდოვანი შთაბეჭდილება,

61 ასევე მეცა, ეს ზმანება შემომეფანტა,
ხოლო ჩემს გულში სიხარულის თრთოლავდა სიმი,
რომელიც მოჰყვა ამ უცნაურ გამოცხადებას.

64 ვით სხივი მზისა თოვლს გაალხობს გამოზაფხულზე
როგორც სიბილლას წერილები მიჰქონდა სიოს,
და მინაწერი სამუდამოდ იკარგებოდა.

67 ჰოჲ, ნათელო ზეციერო, რომელსაც მუდამ
მოკვდავთა ფიქრზე უფრო მაღლა გჩვევია ფრენა,
მოჰმადლე მცირე აღმაფრენა გონებას ჩემსას,

70 და ენას ჩემსას მიანიჭე ძალა იმდენი,
რათა სახელის დიდებულის შენის ნაკვესი
აწ მომავალი თაობისთვის ვჰყო საცნაური.

73 დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს,
დეე, ლექსებმა ხოტბა შენი ცად აღავლინონ
ტრიუმფის შენის შესამკობად, შესაჯერებლად.

76 ასე მგონია, მოქათქათე სხივების კრთომა
ჩემს ირგვლივ მდგარი უეჭველად დამაბრმავებდა.
შემკრთალი სახე ცხუნვარებას მორიდებოდა,

79 მაგრამ ეს მახსოვს, გავთამამდი კიდევაც შემდეგ
შუქთა ელვისგან, ავიტანე ვიდრემდის ბოლოს
ჩემსავე მზერას არ შეერწყო დიადი ძალა.

82 მარადჟამულო ძლიერებავ უფლისმიერო,
შენის იმედით გავუშტერე თვალი იმ ნათელს,
რომლის წიაღშიც ჩაჰქრა მზერა ჩემი ანაზდად.

85 მის უფსკრულებში შევიცანი ვით უერთდება
სიყვარულის წრეს, რაც სამყაროს კავშირებს შორის
მოიპოვება გათიშული ათასნაირად.

88 აქ ვჰვრეტდი სუბსტანცს, შემთხვევასა, არსთა რაობას,
ეს ყოველივე ისე იყო ერთად შერწყმული,
რომ აქ ნათქვამი მხოლოდ მკრთალი ჩრდილია მისი.

91 ვგონებ ამ კვანძის უცნაურის ზოგადი ფორმა
მე შევამჩნიე და მიტომაც უფრო თამამად
ვწერ ამ სტრიქონებს უფრო მეტად გახარებული.

94 მე დამავიწყდა ეს სურათი ერთ წუთში უფრო
მომეტებულად, ვიდრე ლანდი არგოს გემისა,
ნეფტუნის მიერ შენიშნული ზღვის ზედაპირზე.

97 ვიდექ ამრიგად, უცნაურად გაოგნებული,
ვჭვრეტდი უსიტყვოდ და უძრავად გახევებული,
და მანიჭებდა გაოცება მე ძალას ახალს.

100 ისეთი იყო ზეგავლენა ამ სინათლისა,
რომ არ მგონია შესძლებოდა ვინმეს ამქვეყნად
მისგან მზერისა სხვა საგნებზე გადანაცვლება.

103 მთელი სიქველე, ნებისყოფის ჩვენის მიზანი,
მასშია ყველა და რაც არის კიდეგან მისა,
ამაო არის, წარმავალი და მოჩმახული.

106 ამიერიდან რა ვიხილე და განვიცადე
ამას ყველაფერს ენა ჩემი მოგითხრობთ უფრო
უმწეოდ, ვიდრე გიამბობდათ ძუძუთა ბალღი.

109 არა იმიტომ ყოფილიყოს ნათელი იგი
თითქოს ჩემს თვალწინ მრავალნაირ ანაგობისა,
(არა, მარადის უცვლელია სხივი მარადი).

112 არამედ თვალთა მზერის ძალა გამიათკეცდა
და მხედველობაც ამნაირად გამოსახავდა
მარად უცვლელსა და ერთობლივ შუქმოსილებას.

115 თავის უაღრესს. გამსჭვირვალე არსობის ძალით,
სამნაირ დისკოდ მოშეჩვენა ნათელი წმინდა.
სამფეროვანნი მოქცეულნი ყველა ერთ წრეში.

118 ერთი მეორეს აშუქებდნენ, ვით ცისარტყელას
ცისარტყელიდან მიადგება ხოლმე სხივები,
ხოლო მესამე შემოიკრებს მათ ბრწყინვალებას.

121 რა უძლურია აქ სიტყვები ფიქრების ჩემის
გამოსათქმელად და მით უცრო ვერ იკმარებენ
ისინი ჩემგან დანახულის გამომსახველად,

124 ჰოჲ, ნათელო, საწყაულო არსობის შენის,
შენ საცნაურ ჰყავ თავი შენი, შემცნობნი შენნი,
შენ თავს უღიმი კმაყოფილი, გაბრწყინვებული.

127 დისკო იგივე, რაც შენ თავათ წარმოგიშვია
დაგიდგა თვალწინ ვით სინათლის უკუმოქცევა,
როგორც კი მზერა მივაწვდინე აელვარებულს.

130 და განმეცხადა მის ფერებით გამოსახული
ხატება ჩვენი ისე ნაზი, ისე მწყაზარი,
რომ მზერა ჩემი მან ანაზდად მოაჯადოვა:

133 ვით გეომეტრი, ვინც დაძაბა გონების ძალი
წრის გასაზომად; კანონების დასადგენელად,
მაგრამ ამაოდ შეეცდება მათ გამორკვევას.

136 ასე ვუჭვრეტდი ამ უცნაურ სანახაობას,
მსურდა გამეგო რანაირი შეთანაბრება
სახისა ჩვენის, იმ წრეს შორის არის დათქმული.

139 მაგრამ აქ ჩემი აღმაფრენა ვერ იკმარებდა
სულს ჩემსას სხივის ბრწყინვალება არ მოხვედროდა,
რამაც დამიცხრო დანდობილად გულის წადილი.

142 ძალი მიაკლდა ფანტაზიას ჩემსას ანაზდად
მაგრამ წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა,
როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული,

145 იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს.

4Love.Ge